საქართ… …ჭედია ბა… თბილისი – შიგ ჩასმული ბადახში

# თბილისელები®

ყოველკვირეუ… ჟურნალი …-28 სექტემბ… №38 (717) * ფასი 1,50 ლარი

www.tbiliselebi.ge



გვ. 74
ვინ მოუწყო კახეთში ქეთი მელუას დაუვიწყარი დაბადების დღე და რამ გააოცა საქართველოში პირველად ჩამოსული მისი ქმრის ნათესავები

გვ. 14
სად დადის ხელთათმანებითა და ნაგვის დიდი პარკებით ლევან ხარაშვილი და როგორ არის მის ოჯახში კონფლიქტების საქმე მოგვარებული

გვ. 78
რის მიმართ გამოუმუშავდა იმუნიტეტი ვაჟა მანიას და რატომ ექმნება მუდმივად პრობლემები „ბერკლიში“ სწავლასთან დაკავშირებით

გვ. 19
როგორ გადაიტანა მარინა ბერიძემ ცხოვრების რთული პერიოდი და ვისი ზმუილი არ აძინებს მას გამთენიისას

## კვირის ფრაზები

* ცოლს მუშაობას ვუშლი, პლუს საყვარელიც მყავს...
* გოგო, რომელიც გავიცანი, შეიხის მეოთხე ცოლი იყო, თან, ყველაზე ახალგაზრდა – 29 წლის და, ისეთებს ყვებოდა, თვალები შუბლზე ამდიოდა
* მარტო ქალის ცხოვრებამ ბევრი ახალი ჩვევა გამიჩინა
* ისეთი გაბერილი ჩამოვედი, ლამის ჩაჩავაში მივედი საშველად



გვ. 22
სად აღარ იკვეთება ეკა ბერიძისა და მისი ქმრის გზები და რა შეიცვალა მათ ცხოვრებაში 12 წლის შემდეგ



გვ. 16
რატომ არ სჯერა ქართველების სიზარმაცისა და მექალთანეობის ლევან ყოჩიაშვილს და რატომ ველარ იქცევიან საქართველოში რაინდულად



გვ. 71
რა განძი ერგო თამრიკო ჭოხონელიძეს მემკვიდრეობით და რა ანდო მას ბიძინა ივანიშვილმა 17 წლის წინ



გვ. 18
რა არ მოსწონს ლაშა ჯოხაძეს ქართველი მოდელების და რატომ დათანხმდა ის „ცეკვავენ ვარსკვლავების“ კონტრაქტს

# მშვიდობიან კვირას გისურვებთ!

# ალკოჰოლის მიღება აქვეითებს ღვიძლის მუშაობას

თანამედროვე სამედიცინო პრაქტიკაში ერთ-ერთი ყველაზე ხშირი პათოლოგიური მდგომარეობაა ღვიძლის ქრონიკული დაავადებები, რომელთა გამომწვევი მიზეზები მეტად მრავალფეროვანია. მათ შორის ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს ალკოჰოლის ჭარბ მოხმარებას. ეს უკანასკნელი ადრეულ სტადიებზე უკავშირდება ჰეპატოსტეატოზის განვითარებას. ამ დროს ღვიძლის უჯრედებში-ჰეპატოციტებში მიმდინარეობს ბიოქიმიური პროცესების სხვადასხვა დარღვევები. ღვიძლში ჰომეოსტაზის დარღვევას კი მივყავართ ცხიმის უჯრედშიდა დაგროვებასთან. ეს ღვიძლის პარენქიმის დარღვევის პირველი ეტაპია, რომელიც კლინიკურად არ ვლინდება, თუ მას არ დაერთო ანთება (სტეატოჰეპატიტი). ქრონიკულად მიმდინარე მუდმივად არსებული ანთებითი პროცესების გამო დროთა განმავლობაში ჰეპატოციტებში ვითარდება ბალონური დეგენერაცია, ხდება ნეკროზული დაზიანებები, რასაც თანდათან მივყავართ შეუქცევად ცვლილებებამდე, კერძოდ კი, ფიბროზის ჩამოყალიბებამდე. ღვიძლის ფიბროზი ეს არის ღვიძლის პარენქიმის ჩანაცვლება შემაერთებელი ქსოვილით, რაც საბოლოოდ იწვევს ღვიძლის ფუნქციების დარღვევას და პორტული ჰიპერტენზიის ჩამოყალიბებას. ვითარდება ციროზი-ღვიძლის დაავადებების ბოლო სტადია. იგი შეუქცევადი პროცესია. ავადმყოფთა 10-15%-ს ამ ფონზე უვითარდება ჰეპატოცელულური კარცინომა.

აღსანიშნავია, რომ ყველა ადამიანის ორგანიზმი ინდივიდუალურია და სხვადასხვაგვარად რეაგირებს ალკოჰოლის მიღებაზე. ღვიძლის დაზიანების ხარისხი და სიმძიმე ალკოჰოლის მიღების შემთხვევაში ბევრად არის დამოკიდებული ინდივიდუალურ მგრძნობელობაზე, ალკოჰოლის დოზასა და მისი მოხმარების ხანგრძლივობაზე. ამასთან, გასათვალისწინებელია ღვიძლის ალკოჰოლური დაზიანების კავშირი მრავლობით თანხმლებ პათოლოგიებთან, რაც ადასტურებს ალკოჰოლის ტოქსიკურ ზემოქმედებას ორგანოების ყველა უჯრედის მეტაბოლიზმზე.

ამრიგად, ეთანოლით ქრონიკულ ინტოქსიკაციას მივყავართ ორგანიზმში ყველა სასიცოცხლო სისტემაში დამახასიათებელი სტრუქტურული ცვლილებების განვითარებამდე. მათ შორის არის არტერიული ჰიპერტენზია, გულის იშემიური დაავადება, რაც საბოლოოდ იწვევს გულის ქრონიკულ უკმარისობას, სომატონევროლოგიური პათოლოგიების განვითარებას ცენტრალური და პერიფერიული ნერვული სისტემის დაზიანებით.

სომატონევროლოგიური გართულებების თერაპია ალკოჰოლური დამოკიდებულების დროს წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას. მიუხედავად ფარმაკოლოგიური პრეპარატების მრავალფეროვნებისა, თანადროულად ჰეპატოპროტექტორული და ნოოტროპული მოქმედების სამკურნალო საშუალებები არც თუ ისე ბევრია. მათ შორის ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს პრეპარატ ჰეპა-მერცს.

პრეპარატი ჰეპამერცი ხასიათდება გამოხატული დეზინტოქსიკაციური თვისებებით და საკმაოდ ეფექტურია ალკოჰოლური აბსტინენციის სინდრომის დროს სომატოვეგეტატიური და ნევროლოგიური დარღვევების ასალაგებლად. მას ახასიათებს გამოხატული ჰეპატოპროტექტორული და ზომიერი ნოოტროპული აქტივობა.

როგორც ცნობილია, ქრონიკული ალკოჰოლური ინტოქსიკაციისას პაციენტები უჩივიან ძლიერ საერთო სისუსტეს, ძილის დარღვევას, ძილიანობას, გაფანტულობას, კონცენტრირების შესუსტებას. ყველა ზემოთ აღნიშნული უკავშირდება ღვიძლის ალკოჰოლურ გადატვირთვას, რის გამოც ღვიძლი ველარ ართმევს თავს ტოქსინების გაუვნებელყოფას. ეს ტოქსინები მიეწოდება ორგანიზმს როგორც გარედან, ასევე წარმოიქმნება ორგანიზმშიც (მაგ., ამიაკი). ჰეპა-მერცი ბოჭავს ტოქსინებს და ამით იცავს ღვიძლს, ეხმარება მას თავისი ფუნქციების შესრულებაში, ამიტომ პირები, რომლებიც ჭარბად მოიხმარენ ალკოჰოლს პერიოდულად უნდა იტარებდნენ თერაპიას ჰეპა-მერცით.

თამარ რუხაძე
ექიმი ინფექციონისტი

ჰეპა-მერცი - გამოცდილი პრეპარატი ღვიძლისთვის
L-ასპარტატი, L-ორნითინი

ალკოჰოლური ინტოქსიკაცია საშიშია!
ალკოჰოლური სასმელის რეგულარულად მიღებისას მაღალია ღვიძლის დაზიანების რისკი.

ღვიძლის ალკოჰოლური დაზიანების პროფილაქტიკისთვის და მკურნალობისთვის, ნაბახუსევის სიმპტომების შემცირებისთვის, ალკოჰოლის მიღებამდე და მის შემდეგ, რეკომენდებულია თერაპიული კურსის ჩატარება ღვიძლის დამცავი პრეპარატებით.




ჰეპა-მერცი მიიღება
1-2 პაკეტი 2-3-ჯერ დღეში, 10-30 დღე.
1 პაკეტი იხსნება 200 მლ სითხეში და მიიღება პერორალურად,
აქვს ფორთოხლის სასიამოვნო გემო.

დამზადებულია გერმანიაში
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს

# „ჩვენი სუფრა“ ჯანმრთელობისათვის სასარგებლო სიმინდის ზეთს გთავაზობთ!

**მცენარეულ ზეთებს შორის სიმინდის ზეთი ერთ-ერთ საუკეთესოდ მიიჩნევა. სიმინდის ზეთი ტრადიციულ მზესუმზირის ზეთს ჰგავს: სასიამოვნო სურნელი აქვს და ფერს ღია ყვითლიდან მოწითალო ყავისფრამდე იცვლის. მისი მიღება სიმინდის დაპრესვითა და ექსტრაქციული მეთოდებით ხდება.**

არსებობს რამდენიმე ტიპის სიმინდის ზეთი: არარაფინირებული; რაფინირებული არადეზოდორირებული; რაფინირებული დეზოდორირებული; D კლასის (გამოიყენება საბავშვო და დიეტური საკვების მოსამზადებლად); რაფინირებული დეზოდორირებული, P კლასის (გამოიყენება კომერციულ ქსელში, საზოგადოებრივი მოხმარების მიზნით). დამუშავების შედეგად ზეთი ღიავდება და პრაქტიკულად კარგავს თავის ნატურალურ გემოსა და სურნელს; ხდება პროდუქტის გასუფთავება სხვადასხვა მავნე ნივთიერებებისგან და ნარჩენი პესტიციდებისგან.

არარაფინირებულისგან განსხვავებით, რაფინირებულ სიმინდის ზეთს აქვს ნეიტრალური გემო. „ჩვენი სუფრის“ რაფინირებული სიმინდის ზეთი იდეალურია საკვების შესაწვავად – არ იწვის და არ ქაფდება. მზესუმზირის ზეთისგან განსხვავებით კი, თითქმის არ წარმოშობს კანცეროგენებს. რაფინირებული სიმინდის ზეთი, ასევე, გამოიყენება საკვების მოსაშუშად და ფრიტიურში საკვების მოსამზადებლად, სხვადასხვა სოუსისა და მაიონეზის დასამზადებლად; რაფინირებულ სიმინდის ზეთს ცომშიც ამატებენ.

სიმინდის ზეთი ცხიმიანი მცენარეული ზეთია, რომელიც მზადდება სიმინდის მარცვლებისგან და დიასახლისების მიერ კულინარიაში გამოიყენება ისევე, როგორც მზესუმზირისა და ზეითუნის ზეთები. ჩვენი სუფრის სიმინდის ზეთი ასი პროცენტით შედგება სიმინდის ზეთისა და ბეტა-კაროტინისგან (პროვიტამინი A).

მას შემდეგ, რაც სიმინდი მთელმა მსოფლიომ გაიცნო, ასობით წელი გავიდა. მისი მარცვლებისგან ხალხმა უამრავი რამის მიღება ისწავლა: სახამებლის, სპირტის, გლუკოზის, ბუნებრივი ქსოვილის, ფოტოფილმების ფირების... სხვადასხვა ჯიშის სიმინდი გამოდგება უმაღლესი ხარისხის ქაღალდისა და პლასტმასის წარმოებისთვის, თუმცა, ყველაზე ღირებული საჩუქარი, რომლის მიღებაც ადამიანებმა ისწავლეს სიმინდისგან, ზეთია, რომელსაც მას სიმინდის ოქროსფერი მარცვლებისაგან წურავენ.

ბიოლოგიური ნივთიერებების სიუხვის გამო, რომლებიც ახალგაზრდავებს და აჯანმრთელებს ორგანიზმს, „ჩვენი სუფრის“ სიმინდის ზეთსა და სიმინდს მართლაც შეიძლება ვუწოდოთ „ოქროს პროდუქტი,“ – რამდენიმე ქვეყანაში სწორედ ამ სახელით მოიხსენიებენ სიმინდის კულტურას. სიმინდის ზეთს როგორც გარეგანი, ასევე, შინაგანი სამკურნალო თვისებები ახასიათებს: ის ხელს უწყობს თმის, კანისა და ფრჩხილების სილამაზის შენარჩუნებას. სიმინდის ზეთი უნივერსალურად ითვლება კულინარიაშიც, რადგან მისი გამოყენებით ყველაფრის მომზადება შეიძლება.




სიმინდის ზეთი მდიდარია A ვიტამინით, B, P, K ჯგუფის ვიტამინებით, არაერთი მინერალური ნივთიერებით, ლეციტინით, ფიტორტეროლით; ამასთან, მასში ყველაზე დიდი რაოდენობითაა ვიტამინი E (მცენარეული ზეთი ამ რაოდენობის თითქმის ნახევარს შეიცავს), ასევე ვიტამინი F, რომელიც ცხიმმჟავებთან კომპლექსში გვევლინება.

ექიმები და დიეტოლოგები სიმინდის ზეთის მიღებას გულსისხლძარღვთა დაავადებების დროს პროფილაქტიკის მიზნით გვირჩევენ. მისი მიღება ასევე კარგია გარემოში არსებული მავნე ნივთიერებებისგან დასაცავად, განწყობის ასამაღლებლად, ძილის და, საერთოდ, მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ამ ზეთს შეუძლია ახალგაზრდობის გახანგრძლივება, ალერგიული რეაქციების შემცირება, კანის განახლება. ის ეხმარება ორგანიზმს ნერვული დაავადებებისა და შაკიკის დროს, ეფექტურია სექსუალური პრობლემების მოსაგვარებლად.

სპეციალისტების მიერ რეკომენდებულია სიმინდის ზეთის ყოველდღიურ რაციონში შეტანა. ის განსაკუთრებით სასარგებლოა ბავშვების, ორსულებისა და მეძუძური დედებისთვის, რადგან, შეიცავს ფოსფატიდს – ნივთიერებას, რომელიც, უჯრედის მემბრანის ნაწილია და, ასევე, არეგულირებს ტვინის ფუნქციონირებას.

სიმინდის ზეთის მიღება რეკომენდებულია დიეტის დროსაც, რადგან ის ნაწლავების მოქმედებასაც აუმჯობესებს.

ხალხური მედიცინა სიმინდის ზეთით მკურნალობს დამწვრობებს, ალერგიას და ყველანაირ გამონაყარს სახის კანზე, ტუჩებზე ან სხეულზე.

დღეში ორჯერ, საკვების მიღებამდე ერთი ან ნახევარი საათით ადრე, თითო სადილის კოვზი სიმინდის ზეთის მიღებით ნაღვლის ბუშტის ტონუსის აწევაა შესაძლებელი.

ჭამის დროს სიმინდის ზეთის მიღება კი ათეროსკლეროზის პროფილაქტიკისთვის ხდება – დღეში სამჯერ, 25 გრამის ოდენობით; შაკიკსა და პოლინოზს კი თითო სადილის კოვზის მიღებით კურნავენ.

უძილობის დროს სასურველია სიმინდის ზეთის სხეულზე წასმა და 5-7 წუთის შემდეგ ფრთხილად ჩამობანა. სიმინდის ზეთი, ასევე, სასარგებლოა „ქალური“ და ნერვული დაავადებებისთვის.

სიმინდის ზეთის ერთ-ერთი უმთავრესი უპირატესობა არის E ვიტამინის მაღალი შემცველობა – მისი რაოდენობა სიმინდის ზეთში ორჯერ უფრო მეტია, ვიდრე ზეითუნის ან მზესუმზირის ზეთებში. ბევრი მკვლევრის აზრით, სიმინდის ზეთი ყველაზე დიდი რაოდენობით შეიცავს ვიტამინ E-ს, იგივე ტოკოფეროლს. ტოკოფეროლი არის ცხიმის დამშლელი ვიტამინი, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი მიღება ცხიმის დაშლას იწვევს. ვიტამინი E (ტოკოფეროლი) ანტიოქსიდანტად გვევლინება და ანელებს ორგანიზმის დაბერების პროცესს. ტოკოფეროლის შემცველობის გამო, სიმინდის ზეთი ხელს უწყობს სასქესო ჯირკვლების ნორმალურ ფუნქციონირებას და განსაკუთრებით სასარგებლოა ორსული ქალებისთვის.

სიმინდის ზეთის გამოყენების უკუჩვენება თითქმის არ არსებობს, მთავარია, მიღებისას არ გადაამეტოთ, რადგან, ზეთი საკმაოდ მაღალკალორიული პროდუქტია. გარდა ამისა, არ შეიძლება ვადაგასული ზეთის გამოყენება.

**ეთო ხურციძე**

# ჰუმანიზმის ა ბ ე ბ ი

## სხვისი ჭირი – ღობეს ჩხირი

მაშინ, როდესაც საზოგადოებაში **დიდი სჯაბაასია ამტყდარი, უნდა დაჯარიმდეს თუ არა შეურაცხყოფის მიყენება** (უმეტესად, რატომღაც, ამ პერსპექტივამ აღშფოთება გამოიწვია, თითქოს ვინმე უცხოს ეთქვას: **„ათასად კაცი დაფასდა, ათი ათასად – ზრდილობაო“),** შევიტყვეთ, რომ, ამასობაში, **აღმაშენებლის ნომერ 181-ის მცხოვრებლებს სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეთა სკოლა-ბაღის კარი შეუდუღებიათ**, რომელიც მეზობელ საერთო ეზოში გადის. მიზეზად კი იმას ასახელებენ, რომ **მათი სუსტი გულები, თურმე, ვერ უძლებს სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვების დანახვას** (გულჩვილები ეგენი!). თუმცა, რეალურად, სავარაუდოდ,



**მიზეზი მეტად პროზაულია: საცხოვრებელი სახლის ეზო სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვების მშობლების მანქანებისგან განტვირთეს.**

სახელდობრ, ერთ-ერთი, უშუალოდ შემდუღებელი თუ არა, ამის აშკარად თანამგრძნობი, აცხადებს: „... **აგეტირებოდა, ზოგი ისეთი ბავშვი იყო**. ეგეც იყო. მე მგონი, **სიბრალულის გრძნობა უფრო იყო, ვიდრე ეზოს გადატვირთულობა“.**

საქმე კი შემდეგნაირადაა: „სკოლაში შესასვლელი ძირითადი გზა ბორჯომის ქუჩიდანაა, რომელიც, ასევე, საერთო ეზოზე გადის, ხოლო **აღმაშენებლის გამზირის მხარეს დატანილი კარი სათადარიგოა, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში იყენებდნენ.** სწორედ ამ კარიდან **შემოდიოდნენ ეტლით მოსარგებლე ბავშვები**.“

შესაბამისად, **ეტლით მოსიარულე ბავშვების მშობლებს, „გულჩვილი“ მოსახლეების გამო, შვილების სკოლის ეზომდე მიყვანა ხელით უწევთ**.

შესაძლოა, კანონი მაცხოვრებლების მხარესაც იყოს, თუმცა, ის კი **აშკარაა, რომ არაერთ ჩვენს თანამოქალაქეში ადამიანის გასაღვიძებლად, სპეციალური აბების**, ისინი რომ არსებობდეს, **მიღება სავალდებულო უნდა გახდეს**! –

# ასე ვერ იწრთობოდა „ფოლადი“

## „მეფე ვარ და მინდა“?!

თუკი არჩევნებამდე **საპრეზიდენტო კანდიდატი ბ-ნი მარგველაშვილი ირწმუნებოდა, რომ პლასტელინის იყო**, არჩევის შემდეგ **პრეზიდენტმა მარგველაშვილმა გადაწყვიტა, რომ ფოლადისა გამხდარიყო,** თუმცა, როგორც ბოლო პერიოდში დატრიალებული მოვლენები ადასტურებს, **გარდასახვის**



**პროცესი რთულად მიმდინარეობს**. –

ან კი როგორ არ გართულდებოდა, როდესაც საქმე **მარტივ ლოგიკაშია**: **თუ ვივარაუდებთ** (თუმცა რაღა ვარაუდი, ფაქტია, რომ ასე იყო), **რომ ის პრეზიდენტის სკამზე მხოლოდ იმ დამსახურებით მოხვდა, რომ ბიძინა ივანიშვილს მოეწონა** (სხვა საქმეა, კარგია თუ ცუდი სხვისი მოწონებულის პრეზიდენტად არჩევა), **ამომრჩეველმა კი სწორედ ამ მოწონების გამო მოიწონა** (რაც პირადად მე არ მომწონს და კიდეც ეწინააღმდეგება თავისუფალი არჩევნის პრინციპს), გამოდის, რომ **მისი ქცევაც მთავარი მომწონებლის მოსაწონი უნდა იყოს**. ხოლო, რაკი არ აღმოჩნდა, მოვლენებიც ლოგიკურად განვითარდა.

ასეა თუ ისე, თუკი **პრეზიდენტობის კანდიდატი გვპირდებოდა, რომ საპრეზიდენტო სასახლეში არ შევიდოდა (**ზედმეტი ფუფუნებააო) და **ათონელის ქუჩაზე მოკრძალებულ რეზიდენციას დაჰყაბულდებოდა**, **პრეზიდენტი შევიდა** (ახლოდან, ეტყობა, ფუფუნება ეამა), ხოლო, სულ ახლახან ისიც გავარკვიეთ, რომ **საქართველოს პრეზიდენტი ათონელზე მშენებარე საპრეზიდენტო რეზიდენციაში გადასვლას არ აპირებს**.

ეს ამბავი **პრეზიდენტის ადმინისტრაციას მთავრობისთვის 21 ივლისს გაუმხელია**, შესაძლოა, ინსტრუქციაც მიაყოლა, თუმცა **ჩვენთვის არგადასვლის მიზეზები არ გაუმხელიათ.**



ხოლო, თუ გავიხსენებთ, რომ **პრეზიდენტის რეზიდენცია ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზეა,** არ არის გამორიცხული, **მოვლენები გაეროს კლიმატის ცვლილებისადმი მიძღვნილ სამიტზე საინტერესოდ და დრამატულად განვითარდეს**. იმას გარდა, რომ, თუკი აქამომდე ასე ვიცოდით: **„მეფე ხარ და ხამს“,** აწ უკვე ლოგიკა ასეთია: **„მეფე ვარ და მინდა“!**

ან, შესაძლოა, საქმე გაცილებით მარტივადაც იყოს: იქნებ **ფოლადის გამოწრთობა მხოლოდ საპრეზიდენტო სასახლის ფუფუნებაშია შესაძლებელი?!**

# „ჩიტო, ჩიტო, ჩიორაო“

## ანუ დაობლებული „ბარტყები“

**საფრანგეთი რფ-ს „მისტრალს“ უპრიალებს** და აინუნშიც არ აგდებს საფრთხეს, რომ **იმ „მისტრალს“, დიდი ალბათობით, სწორედ „ნატოს“ წევრი ქვეყნების წინააღმდეგ გამოიყენებს** (თუ დასჭირდება), თორემ, **სახელდობრ ჩვენ რფს-ის შავი ზღვის ფლოტის ფლაგმანი „მოსკვაც“ გვეყოფა.**

**ამასობაში გერმანული გამოცემა Sddeutsche Zeitung იუწყება,** რომ რფ-ის **პრ. პუტინმა** უკრაინის პრეზიდენტ **პეტრო პოროშენკოს განუცხადა, ევროპის სხვადასხვა დედაქალაქში ჯარებს შევიყვანო** (თუ, რასაკვირველია, **ეს უკანასკნელები ჯეროვნად არ მოიქცევიან**).

ეს ამბავი ბ-ნ **პოროშენკოს არც გაუციებია** (ან კი როგორ გააციებდა), **მსწრაფლ აცნობა ევროკომისიის პრეზდენტ ჟოზე მანუელ ბოროზუს**. მომყავს პრ. პუტინის ზუსტი ციტატა: **„რომ მოვინდომო, ორ დღეში ჯარს არა მხოლოდ კიევში, არამედ რიგაში, ვილნიუსში, ტალინში, ვარშავასა და ბუქარესტში შევიყვან** (თვალშისაცემია, რომ **ჩამოთვლილია პოსტსოციალისტური ქვეყნების დედაქალაქები**).”

ამას გარდა, **ურჩევია, მთლად ევროკავშირის იმედადაც ნუ იქნები**, იმ მარტივი მიზეზით, რომ **ევროსაბჭოს დონეზე გადაწყვეტილების დაბლოკვაც შემიძლიაო**.

ჩვენ არ ვიცით, **გაითვალისწინებს თუ არა ბ-ნი პოროშენკო პრ. ვლ. პუტინის რჩევას** ან **რას მოიმოქმედებს საპასუხოდ ევროპრეზიდენტი ბ-ნი ბაროზუ**. თუმცა, შექმნილი ვითარება აჩენს ეჭვს, რომ, შესაძლოა, **ჩიტი** (ამ კონკრეტულ შემთხვევაში, დასავლეთი) **ბარტყების თითო-თითოდ გადასაყრელად გაემზადოს**. –

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „თბილისელები“

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი **ზაზა ახობაძე**
მთავარი რედაქტორის მოადგილე **ალექსანდრა ნაკაიძე**

პასუხისმგებელი რედაქტორი **ზაალ ცინაძე**

**რედაქციის მისამართია:**
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის №47




**განყოფილებები**

პოლიტიკა: რედაქტორი – ნინო ხაჩიძე, ჟურნალისტი – თამუნა სამადაშვილი
საზოგადოება და კულტურა: გოჩა მანველიძე, ნინო წულუკიძე, ნათია უტიაშვილი, სალომე გველესიანი, ეკა პატარაია, ნონა დათეშიძე, მარიკა ხიდურელი, ხატია კარანაძე, დალი მიქელაძე, თამუნა ახობაძე, თამუნა ნიჟარაძე, ეკა სალაღაია,
რელიგია: ნათია უტიაშვილი, თამუნა ახობაძე, რევაზ ტომარაძე
კრიმინალი და სამართალი: ნიკა ლაშაური, ეკა ბარაბაძე

დაიჯესტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე, ანა თაყაიშვილი
მედიცინა: ნონა დათეშიძე, მაია ნუცუბიძე
სპორტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე
სტილისტ-რედაქტორი: თამრიკო ზამთარაძე
სტილისტი: ნანა წერეთელი
მთავარი რედაქტორის თანაშემწე: თამუნა ახობაძე
ოპერატორი: მაია კარანაძე
ფოტოკორესპონდენტები: თებუკა კვეზერელი, ლექსო ხარიტონაშვილი
მხატვრები: ზაალ სულაკაური, ჯემალ ფხალაძე

დირექტორი: გუგა ახობაძე
ოფისმენეჯერი: ინგა კერვალიშვილი
იურისტი: ქეთი უტიაშვილი
მთავარი ეკონომისტი: ნანა ბირჩაძე
კომერციული მენეჯერი: მარინა მჟავანაძე
ვებ-გვერდის მოდერატორი: საბა კარანაძე
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი სარეკლამო დარგში: სოფი ლორია
სარეკლამო სამსახური: სოფი ლორია, მანანა დოლიაშვილი, მაია ფირცხალავა, ხატია ჟღენტი
მარკეტინგის მენეჯერი: ლევან მენთეშაშვილი

ტელ: 239-25-52; 599 10-15-20 239-23-52
სარეკლამო სამსახური: 593 38-75-61; 239-23-53
დამფუძნებელი: შპს „თბილისელები პლუსი“
იბეჭდება გამომცემლობა „თბილისელებში“
ვებ-გვერდი: www.tbiliselebi.ge
ელექტრონული ფოსტა: tbiliselebi2001@gmail.com

# შეზღუდვათა თავსხმა

## სად დავიჭიროთ ჭიქა?

გასულ კვირას **შემზღუდავი სახელისუფლო ინიციატივების ისეთ თავსხმაში მოვყევით** (ამთავითვე უნდა გამოვტყდე, რომ ყველა მათგანს ვეთანხმები), **ლამის მორევმა წაგვიღო**: აქეთ – **ალკოჰოლური სასმელების ქუჩაში სმისთვის დაჯარიმების ინტენსიური პროცესი დაიწყო**, იქით – **ლამის 11-დან დილის 7 საათამდე გნიასი აიკრძალებაო**, თვით **ფოიერვერკების გაშვებაცო**, შიგადაშიგ კი **მათაც დააჯარიმებენ, სოციალურ ქსელებში რომ მამაცობენ, ილანძღებიან და ბილწსიტყვაობენ** და **იარაღის ტარების პირობებიც გამკაცრდებაო.**



თუმცა, ამთავითვე უნდა გითხრათ, რომ **ქუჩაში, ანუ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ალკოჰოლის მიღება ბარე სამი წელია, აიკრძალა** (2011 წლის შემოდგომიდან), ისევე, როგორც **ქუჩა-ქუჩა ხვევნაკოცნა** (ჯერჯერობით კანონის ამ მოთხოვნის დაცვას სამართალდამცველები არ მისძალებიან). შესაბამისად, **დედაქალაქის სკვერებიც თითქოს უფრო დასუფთავდა – ბუნებრივია, ნასუფრალისგან** (რაც ჰბადებს იმედს, რომ, **თუკი ჩვენი თანამემამულენი დროსტარების შემდეგ ნასუფრალის ალაგებასაც ისწავლიან** და **ალკოჰოლით გონებადაბინდულები ერთმანეთის დაჭრასაც გადაეჩვევიან**, იქნებ **ჭიქა ქუჩაში ისევ დააჭერინონ**).

ღამის საათებში **ხმაურის აკრძალვას მოსახლეობა დადებითად, ხმაურიანი ობიექტების პატრონები კი უარყოფითად გამოეხმაურნენ** – დავილუპებითო. თუმცა **ყველაზე მწვავედ ჩვენმა თანამემამულეებმა თვით სოციალურ ქსელში შეურაცხყოფის მიყენების გამო დაჯარიმების პერსპექტივა განიცადეს** (ისეთი შთაბეჭდილება რჩება – **„ტყ“ კომბინაციის გარეშე თითქოს ცხოვრება გაუფასურდა**).

ხოლო, თუ გავიხსენებთ, რომ **ნაგვის დაყრის მავნე ჩვევას მხოლოდ ჯარიმებით გადავეჩვიეთ** (სამშობლოს სიყვარულისთვის დაცლილი სასმისის სიდიდის მიუხედავად), გამოდის, რომ **ცივილიზებული ანტურაჟის შესაქმნელად ჯარიმები, უბრალოდ, ჰაერივით აუცილებელია**. ანუ, ეს ის შემთხვევაა, როდესაც **კარგი ცხენი** (ამ კონკრეტულ შემთხვევაში, მოქალაქე) **მათრახს** (ანუ ჯარიმის აუცილებლობას) **არ დაირტყამს,** იმას გარდა, რომ **დედამიწელები მარსზე სეირნობენ, ჩვენ კი იმაზე ვდავობთ, სად დავიჭიროთ ჭიქა**. –

# ფანტაზია „დუმაში“

## დემოგრაფიის მტერი – ნიორი

გასულ კვირას კვლავ **გაგვაოცეს „დუმელებმა“,** კერძოდ, მათ მიერ შემუშავებული ახალი კანონპროექტის თანახმად, შესაძლოა, **რუსეთის ფედერაციის გარკვეული კატეგორიის მოქალაქეებს ნივრის ჭამა აეკრძალოთ** (ვითომ, **დასავლური კაპიტალიზმივით ყარს**?!).

ეს იდეა, როგორც მოსალოდნელი იყო, **„ელ დე პე ერის“ წევრის, ვინმე ივანოვის თავში მომწიფებულა**. სახელდობრ, მის მიერ შემუშავებულ კანონპროექტში ვკითხულობთ, რომ **„ნივრის რეალიზაცია აკრძალულია, თუ შენობა არ არის აღჭურვილი შესაბამისი სავენტილაციო სისტემით. ნივრის მიყიდვა დაუშვებელია ფეხმძიმე ქალებისა და მეძუძური დედებისთვის; კულტურისა და ხელოვნების სფეროს წარმომადგენლებისთვის, რომლებიც ურთიერთობენ მოსახლეობასთან; სახელმწიფო მოხელეებისთვის; ასევე, 18 წლამდე ასაკის მოზარდებისთვის.“**



ამას გარდა, კანონპროექტი ითვალისწინებს, რომ **აიკრძალოს ნივრის პირში გლახაობა, დაღეჭვა და დასუნვა კულტურულ, საგანმანათლებლო დაწესებულებებში, საავადმყოფოებში, მატარებლებსა და თვითფრინავებში, საზოგადოებრივ ტრანსპორტში, ლიფტებში, ვაგზლებსა და საბავშვო მოედნებზე, რა თქმა უნდა, სასტუმროებში და სახელმწიფო შენობებში.**

ავტორი მიიჩნევს, რომ სწორედ **ნივრის აუტანელი სუნის გამო არ იბადება რფ-ში ყოველწლიურად რამდენიმე ასეულ-ათასი ბავშვი** (ანუ, რუსეთის მოსახლეობის დეპოპულაციის პირველი მტერი ნიორიაო!), მეტიც, მათივე თქმით, **ნივრისსუნიან ადამიანებთან კონტაქტის გამო, რუსეთის ფედერაციის თითოეული მოქალაქის სიცოცხლის ხანგრძლივობა 9 წლით მცირდება**, რუსეთის ეკონომიკა კი მთლიანი შიგაპროდუქტის 6,3 პროცენტს კარგავს.

როგორც აღმოჩნდა, ამგვარი აკრძალვა **მთლად „ნოუ-ჰაუც“ არ არის,** რადგან, წლების წინათ, მაგალითად, **აშშ-ში, თეატრსა და კინოთეატრს ნიორგასინჯული ვერ ეწვეოდი** და, **ცოლს შეეძლო, ნივრის მირთმევის ფაქტი ქმრისთვის საკუთარი მოვალეობის შესრულებაზე უარის თქმის მიზეზადაც გამოეყენებინა.**

როგორც უნდა იყოს, **ჩვენ არ ვიცით, რა გადაწყვეტილებას მიიღებს საბოლოოდ „დუმა“,** თუმცა შეგვიძლია, თადარიგი დავიჭიროთ და **საოკუპაციო ზოლთან ნივრის პლანტაციები გავაშენოთ** – იქნებ ამით მაინც დავაფრთხოთ?!

# ყველაზე „ბედნიერები“

## „დავეწიოთ და გავუსწროთ აშშ-ს“

სულ ახლახან რფ-ში საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი ცენტრის გამოკითხვა ჩატარდა – ფედერაციის 42 სუბიექტში, ცდომილებით, მაქსიმუმ, 3-4 პროცენტი, რის მიხედვითაც გაირკვა, რომ, **რუსეთის მოსახლეობის აზრით, მათი ქვეყანა ბევრ რამეში სჯაბნის და უსწრებს დასავლეთს.**



სახელდობრ, **გამოკითხულთა 68 პროცენტის აზრით**, მხოლოდ **რუსეთშია შესაძლებელი ადამიანებთან გულღია საუბარი** და მხოლოდ 8 პროცენტს მიაჩნია, რომ ამისთვის საუკეთესო ადგილი დასავლეთია.

**რესპონდენტთა 53 პროცენტი დარწმუნებულია,** რომ რფ-ში გაცილებით მეტი შესაძლებლობაა **ბავშვების სწორად აღზრდისა და მათი მავნე გავლენებისგან დაცვისთვის.**

51 პროცენტს ჰგონია, რომ რუსეთში **უსაფრთხოების უფრო მაღალი ხარისხი და ხარისხიანი პროდუქტებია**. იგივე პროცენტი დარწმუნებულია, რომ, **ისე ცხოვრობენ, როგორც მოესურვებათ.**

მეტიც, რესპონდენტთა ნახევარს ღრმად სწამს, რომ **რუსეთში ეკოლოგიური პირობებიც უკეთესია,** თავისუფალი **დროის საინტერესოდ გატარების საშუალებაც დასავლელებზე მეტი აქვთ**, შესაფერისი **სამუშაოს პოვნისა და საუკეთესო განათლების მიღების შესაძლებლობა ხომ, ჰქონიათ და ჰქონიათ**.

სავსებიც ბუნებრივია, **გემოვნებაზე არ დაობენ და** არც იმაზე**, „ოღონდ მჯეროდეს მე ჩემი ბოდვა და სიყვარულის დღესასწაული.“**

**გვერდები მოამზადა**
**ნინო ხაჩიძემ**


ნდობის ტელეფონი
ინტიმი
0902 200 206
0902 200 244
მობილურებიდან

ზარი ფასიანია

**მართალია, „ნატოს“ უელსის სამიტზე მოგვრილი სიხარული, აქეთ – შექების, იქის – „ოქროს ხუთეულში“ მოხვედრის გამო, ერთგვარად მინელდა, თუმცა საფრთხე იგივე რჩება: რფ კვლავ არ აპირებს შეეგუოს სამხრეთ საზღვრებთან ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გაფართოებას, ჩრდილოატლანტიკური ალიანსი კი, რეალურად, როგორც ვხედავთ, არც აპირებს გაფართოებას. ამის პარალელურად, საფრანგეთმა თითქმის უკვე გადასცა ერთი „მისტრალი“ რუსეთს, რაც იმას ნიშნავს, რომ „ნატოს“ შემდეგ სამიტს ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი კიდევ უფრო უკეთ შეიარაღებული შეხვდება. როგორ აფასებს დასავლური მედია „ნატოს“ სამიტს და აქვთ თუ არა იმედი, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსი დაიცავს თავის წევრებს რეალური სამხედრო საფრთხის შემთხვევაში? – თემას საერთაშორისო ურთიერთობების მკვლევართან, უცხოური პრესის ანალიტიკოსთან, სიმონ კილაძესთან ერთად მიმოვიხილავთ.**

# რატომ ალაპარაკდა რუსეთი საქართველოს ნეიტრალიტეტზე და რატომ ეთანხმება ისრაელის დაზვერვის ყოფილი შეფი კრემლს, რომ საქართველოს „ნატოში“ გაწევრიანება რუსეთის წინააღმდეგაა მიმართული

**– როგორ შეაფასა დასავლურმა პრესამ საქართველოს „ოქროს ჯგუფში“ გადაყვანა?**

– ამ თემაზე სამიტამდე უფრო მეტი იწერებოდა დასავლურ მედიაში – მხედველობაში მაქვს ამერიკული და ინგლისური გამოცემები. ფრანგული და გერმანული გაზეთები უფრო თავშეკავებულები იყვნენ. ეს შედარებით იოლად ასახსნელია, იმიტომ რომ საფრანგეთისა და გერმანიის დამოკიდებულება ჩვენი „ნატოში“ მიღების საკითხისადმი ყოველთვის ნეგატიური იყო. ჯერ ერთი, უფრო მეტი იწერებოდა სამიტამდე და იწერებოდა უფრო მეტი ოპტიმიზმით. თუმცა ბევრი ექსპერტი მიუთითებდა, რომ, თუ „მაფს“ არ მისცემენ საქართველოს, მაშინ სხვა ყველაფერი მკრთალდება. რადგან „მაფი“ არის „ნატოს“ მიერ ოფიციალურად გაწევრიანებამდე დადგენილი საფეხური, დანარჩენი პაკეტები – ოქრო-ვერცხლისა თუ ლალ-ფირუზის – ხელოვნურადაა შექმნილი კონკრეტული მოცემულობისთვის.

**– დროის გაწელვის მცდელობაა, რომ სახე არ დაკარგონ?**

– დიახ, აი, საქართველო გვეხმარება და მთლად უპატივცემულოდ რომ არ დავტოვოთ, რაღაც მაინც მივცეთო, თორემ, საბოლოოდ, თუნდაც, „მაფი“ მოგვცენ, გარკვეული დისტანციაა გასავლელი „ნატოში“ შესვლამდე. ყოველ შემთხვევაში, ერთი დასკვნა შეიძლება, გაკეთდეს: ერთი მხრივ, ხელისუფლება ვალდებულია, რაც მიიღო, ის გააფიაროს, მაგრამ ჩვენ ხომ ვიციით ობიექტურად, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსი ანგარიშს უწევს რუსეთს?! ჩვენთვის ამის აღიარება არ არის სასიამოვნო, რადგან ხელს გვიშლის „ნატოში“ გაწევრიანებაში, მაგრამ, თუ ამაზე თვალს დავხუჭავთ და არ მივიღებთ ობიექტურ ჭეშმარიტებად, რეალობის გრძნობას დავკარგავთ.



**შესაძლოა, გარედან არ ჩანს, მაგრამ წერენ „ნატოს“ შიგნით არსებულ განხეთქილებაზე: რომ „ნატოს“ წევრები არათანაბრად ზრუნავენ ბლოკის ძლიერებაზე**

**– როგორ შეაფასა იმავე დასავლურმა მედიამ, ჯერ ერთი, 2008 წლის ომის შემდეგ საფრანგეთის შეთანხმება რუსეთთან, რომ დაუმზადებდა „მისტრალებს“ და, მეორე, უკრაინის დაქცევის ფონზე ამ „მისტრალის“ რუსეთისთვის გადაცემა?**

– ვიცით, რომ საფრანგეთსა და გერმანიას ფართო ეკონომიკური ურთიერთობა აქვს რუსეთთან. ბევრი ილაპარაკეს სამიტამდე, რომ თითქოს საფრანგეთი ყოყმანობდა, საერთო ზეწოლის ფონზე და სოლიდარობის გამო საფრანგეთი იძულებული გახდა, რომ უშიშროების საბჭოზე განეხილა ეს საკითხი და თითქოს შეაჩერეს გადაცემის პროცესი, მაშინ, როდესაც ერთი „მისტრალი“ უკვე თითქმის მზადაა და რუსი მეზღვაურები მასზე წვრთნას გადიან. თუმცა საფრანგეთის იმ პორტში, სადაც იწყობა „მისტრალი“, რუსეთის საწინააღმდეგო მიტინგი გაიმართა და მეზღვაურებს ორი-სამი დღით აუკრძალეს ნაპირზე გასვლა, მაგრამ საქმე იქითკენ მიდის, რომ საფრანგეთი გადასცემს რუსეთის „მისტრალს“ და ეს თავისთავად ცხადია, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში საფრანგეთი ნახავს ძალიან დიდ ზარალს.

**– გავრცელდა იფნორმაცია, რომ თითქოს „ნატო“ შეისყიდის ორივე „მისტრალს“.**

– ჯერ ერთი, „ნატოს“ თავისი შეიარაღებაც საკმაოდ ბევრი აქვს, მეორეც, თუ რუსეთი არ იყიდის, ვინ უნდა იყიდოს? ანალიტიკოსებმა დაითვალეს, რამდენი უნდა გადაუხადონ რუსეთს, თუ არ გადასცემენ „მისტრალს“ და საკმაოდ დიდი თანხა გამოვიდა. თანაც, მივაქციოთ ყურადღება: ნახევარი გემი, კიჩო, გაკეთებულია რუსეთში, შემდეგ წაღებულია ბუქსირით; მთელი დოკუმენტაცია თარგმნილია რუსულ ენაზე, უამრავი რუსული ტექნოლოგიაა გამოყენებული და „ნატოს“ რუსული ტექნოლოგიას რაში სჭირდება?! ანუ ეს ხომალდი – „მისტრალი“ თითქმის რუსულადაა გაკეთებული და სპეციალურად რუსეთისთვისაა შექმნილი. ამიტომ სხვა მყიდველი მხოლოდ ჯართად თუ იყიდის და ამ დროს მილიარდობით კომპენსაციაც უნდა გადაუხადოს რუსეთს. აქედან გამომდინარე, დავასკვენი, რომ ეს „მისტრალი“, საბოლოოდ, მაინც რუსეთს გადაეცემა, ერთი მაინც, რომელიც უკვე აშენებულია.

**– ზოგადად „ნატოს“ შესაძლებლობებისადმი როგორაა განწყობილი დასავლური პრესა, აქვთ იმედი, რომ დაიცავს ჩრდილოატლანტიკური ალიანსი შესაძლო სამხედროს საფრთხისგან?**

– ბევრი ანალიზი გაკეთდა თემაზე – „ნატო“ ცივი ომის შემდეგ და დღეს. ანუ საბჭოთა კავშირი დაიშალა, „ნატოს“ როლი შესუსტდა, სამხედრო როლიც თითქმის დაკარგა და პოლიტიკურ ორგანიზაციად გადაიქცა. შესაძლოა, გარედან არ ჩანს, მაგრამ წერენ „ნატოს“ შიგნით არსებულ განხეთქილებაზე. სამიტამდეც წერდნენ, რომ „ნატოს“ წევრები არათანაბრად ზრუნავენ ბლოკის ძლიერებაზე, არადა, წესდების თანახმად, ყველამ თანაბრად უნდა შეინატოს ორგანიზაციაში თავისი წვლილი – თუ არ ვცდები, ბლოკის წევრები ვალდებულები არიან, დაეხმარონ ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს თავიანთი მთლიანი შიგა პროდუქტის 2 პროცენტით. როგორც აღმოჩნდა, ზოგიერთი ქვეყანა არ ასრულება თავის ვალდებულებას. ამ ფაქტს, ძირითადად, ამერიკელი ანალიტიკოსები აფასებდნენ უარყოფითად, თუ ამერიკას თითქმის თავის ზურგზე გადააქვს „ნატოს“ ოპერაციები და სამოქმედო გეგმები, სხვებმაც კეთილი ინებონ და თავიანთი წვლილი შეიტანონ, რაც მათ „ნატოს“ წესდებით ევალებათო. მეორე მხრივ, აღნიშნავენ, რომ რუსეთმა გამოაცოცხლა „ნატოს“ ძველი სული, რაც იყო ჩადებული მის შექმნაში – წინააღმდეგობა გაუწიოს კომუნისტურ საფრთხეს. იწერება, რომ „ნატომ“ უნდა გააძლიეროს სამხედრო შემადგენელი, რომ წინააღმდეგობა გაუწიოს სავარაუდო დაპირისპირების შემთხვევაში სავარაუდო მოწინააღმდეგეს. სულ უფრო და უფრო ხშირად ამბობენ, რომ საქართველო-რუსეთის ომი „ნატომ“ შეაფერხა – მაღვიძირა არ დავაყენეთ გამოსაფხიზლებელ ზარზე, ძილი განვაგრძეთ და ახლა უკვე უკრაინის მოვლენებმა დაგვანახვა, რომ რეალობის აღქმა შეგვისუსტდა და ამიტომ უფრო მეტი დრო უნდა დავუთმოთ შეიარაღებას, მით უმეტეს, რომ რუსეთის არმია არ არის, რაც იყო და ის ვითარდებაო. ამ მხრივ, ისევ და ისევ აქტიურობენ ამერიკა და ბრიტანეთი. მართალია, გერმანია სოლიდარულია ჩრდილოატლანტიკური ალიანსის, მაგრამ, როგორც ევროკავშირის ეკონომიკურად ყველაზე ძლიერ ქვეყანას, ბევრი რამის ატანა შეუძლია იმავე „ნატოსთან“ დაკავშირებით. თუმცა გერმანია და საფრანგეთი მაინც თავს იკავებენ ძლიერი, მწვავე კონფრონტაციისგან რუსეთის მიმართ.

**– როგორ აფასებს ევროკავშირის დანარჩენი ქვეყნები გერმანია-საფრანგეთის ამ ორმაგ თამაშს?**

– გითხარით, რომ შიდა უთანხმოებაა: აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, ბალტიისპირეთი, პოლონეთი, ბულგარეთი, რუმინეთი, უფრო აქტიურები არიან, მათი აზრით, „ნატომ“ უფრო მეტი წინააღმდეგობა უნდა გაუწიოს რუსეთის ამბიციებს, რადგან ისინი გრძნობენ, რომ რუსეთი, ადრე თუ გვიან, მათაც იმავეს გაუკეთებს. მაგრამ საქმე ის არის, რომ ეს მცირე სახელმწიფოები თავს უსაფრთხოდ გრძნობენ „ნატოს“ ძლიერი სახელმწიფოების ქოლგის ქვეშ. თავის მხრივ კი, ეს ძლიერები, უტრირებულად თუ ვიტყვით, მათ ეუბნებიან: ჩემი იმედი გქონდეთ, მაგრამ თქვენ გამო ამხელა რუსულ მონსტრს ვერ წავეჩხუბები, თუ კონფლიქტი მოგივათ, რუსეთს ბომბები უნდა დავაყარო, ამიტომ ფრთხილად იყავით რუსეთთან. სხვა მხრივ, „ნატო“ თავისი პრინციპების ერთგული და-

რჩა, იმავე ახალი წევრების მიღების თვალსაზრისით – „ნატოს“ გაფართოება მაინცდამაინც დაგეგმილი არ არის. ვინც ყველაზე ახლოს იყო, მათი გაწევრიანების საკითხიც კი არ დამდგარა, რასაც სიხარულით შეხვდა რუსეთი.

**– რუსული საინფორმაციო საშუალებები ავრცელებდნენ ინფორმაციას, რომ „ნატო“ შეშინდა რუსეთ-ჩინეთ-ინდოეთის ეკონომიკური კავშირით და ვერ გაბედა გაფართოება, რაც რუსეთის პოლიტიკის გამარჯვებად შეფასდა. ეს მართლაც შეიძლება, ჩაითვალოს რუსული პოლიტიკის წარმატებად?**

– ნამდვილად იყო ასეთი განწყობა. წაგიკითხავთ რუსეთის პირველი არხის საინფორმაციო გადაცემა „ვრემიაში“ გასულ სიუჟეტის შინაარსს. „მოსკოვი სავსებით სამართლიანად მიიჩნევს, რომ როგორც „ნატოს“ არსებობა, ისე მისი მიახლოება რუსეთის საზღვრებთან და მით უმეტეს, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ალიანსში გაწევრიანების პერსპექტივები რუსეთისთვის საფრთხეს ნიშნავს. მაგალითად, როდესაც ლაპარაკობენ საქართველოს „ნატოს“ წევრად მიღებაზე, ორი აზრი არ არსებობს, რომ ეს რუსეთის წინააღმდეგაა მიმართული. წარმოიდგინეთ, შავ ზღვაში სამი სახელმწიფო: თურქეთი, ბულგარეთი, რუმინეთი „ნატოს“ წევრები არიან, ალიანსისთვის თურქეთი უფრო ეფექტიანია, ვიდრე მცირე ზომის საქართველო. აქედან გამომდინარე, საქართველოს „ნატოში“ გაწევრიანება აშკარად ანტირუსული ნაბიჯია“. ანუ ამბობენ, რაში სჭირდება „ნატოს“ საქართველოო.

**– მაშინ რუსეთს რაში სჭირდება, თუ უმნიშვნელოა? რა მნიშვნელობა აქვს, სად იქნება?**

– აქ უკვე მეორე მომენტია: რუსეთი არ განიხილავს თურქეთს თავისი გავლენის სფეროდ, ის თავისი გავლენის სფეროდ განიხილავს კავკასიასა და საქართველოს და ცდილობს, დასვას გარკვეული მიჯნები. იცით, ვინ არის ამ ტექსტის ავტორი, რომელიც რუსეთის ტელევიზიის პირველი არხით გადაიცა? ისრაელის სპეცსამსახურ „ნატივის“ ყოფილი ხელმძღვანელი იაკობ კედმი. მას სთხოვეს კომენტარი. განვაგრძობ: „რუსეთმა არაერთხელ გააკეთა გამაფრთხილებელი განცხადება, რომ „ნატოში“ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების მიღება, ადრე თუ გვიან, გარდაუვლად გამოიწვევდა სისხლისღვრას. საქართველოში ომი იმის შედეგი გახდა, რომ თბილისი ალიანსის იმედზე იყო და ფიქრობდა, რომ დაუსჯელი დარჩებოდა. უკრაინაში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებები კი იმითაა გამოწვეული, რომ მოსახლეობის ნაწილისთვის ხელისუფლებაში მოსული ადამიანების მიზანი – უკრაინის „ნატოში“ გაწევრიანება – მიუღებელია.“ აი, ასეთი პათოსია ძირითადად რუსულ პრესაში. ბოლო ხანებში გამოქვეყნდა „მგიმოს“ საერთაშორისო ურთიერთობის სახელმწიფო ინსტიტუტის ანალიტიკური ცენტრის მასალები. რამდენიმე დღის წინათ გამოქვეყნდა ალექსი ტოკარევის სტატია „ნატო“ ცდილობს, საქართველოსთან ურთიერთობა მისი გაწევრიანების გარეშე შეინარჩუნოს“ და ზუსტად ამას წერს: „ერთი მხრივ, ასეთმა ძლიერმა და აქტიურმა დახმარებამ ქართულ არმიაზე დადებითად იმოქმედა, მეორე მხრივ, გამოიკვეთა ურყოფითი მომენტი, ქართველი სამხედროების მონაწილეობა მსოფლიოს ცხელ წერტილებში, რაც საქართველოს ინტერესი არ არის, მაგრამ თავს მოვალედ გრძნობს, გააგზავნოს თავისი ჯარისკაცები, რაც მოსახლეობაში უარყოფით გავლენას იწვევს. ამასთან, დასავლურმა დახმარებამ უარყოფითი როლი შეასრულა: ქართველმა „ქორებმა“, უპირველესად, ექსპრეზიდენტმა სააკაშვილმა დაიჯერა, რომ ძალითაც შეუძლია ტერიტორიული პრობლემების მოგვარება.“ ყველაზე მთავარი ის არის, რომ რუსი ანალიტიკოსის აზრით, საქართველოს „ნატოში“ არ მიიღებენ, სანამ მისი ტერიტორიული მთლიანობა დარღვეული იქნება, ამიტომ, სანამ ეს ასეა, თავი მეტნაკლებად მშვიდად უნდა ვიგრძნოთო. აქედან დასკვნა – რუსეთი ყველანაირად ეცდება, რომ ჩვენი საზღვრები მუდმივად დარღვეული იყოს.

**რუსეთში დარწმუნებულები არიან, რომ საქართველოს „ნატოში“ არ მიიღებენ, სანამ მისი ტერიტორიული მთლიანობა იქნება დარღვეული. აქედან დასკვნა – რუსეთი ყველანაირად ეცდება, რომ ჩვენი საზღვრები მუდმივად დარღვეული იყოს**

**– რუსი პოლიტოლოგებისა და პოლიტიკოსებისგან ხშირად მომისმენია, რომ დასავლეთი არღვევს 90-ან წლებში მიღწეულ შეთანხმებას, რომ ისინი არ შეეხებოდნენ ყოფილი საბჭოეთის ტერიტორიას, ამიტომ, რადგან, თურმე, დასავლეთი არ ასრულებს სიტყვას, ამიტომ არც ისინი შეასრულებენ და არ იქნებიან, მათ შორის, უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის გარანტი, რაზეც ხელი მოაწერეს. თუ არსებობს წერილობითი შეთანხმება, რომ დასავლეთს არ უნდა გაევრცელებინა თავისი გავლენა ყოფილ საბჭოეთის რესპუბლიკებზე?**

– მე არსად მინახავს დოკუმენტი ან დეკლარაცია, რომელიც რუსეთსა და დასავლეთის შორის დადებულ ამ ტიპის შეთანხმებას ასახავდეს, თუმცა მას ხშირად იშველიებს რუსეთი. ალბათ, მაშინ მაღალი დონის შეხვედრებისას ეს ჯენტლმენური შეთანხმება დაიდო. შესაძლოა, სადღაც ჩაწერილია კიდეც რაღაც ფორმით. მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტს შეგახსენებთ: ყველა ამბობდა, რომ არის, რუსეთი აცხადებდა, რომ არ არის, საბოლოოდ კი, აღმოჩნდა, რომ იყო. საერთოდ, დიპლომატიური მოლაპარკებისას ბევრი რამ გარედან არ ჩანს, თუმცა არ მგონია, ისეთი ბეცები ყოფლიყივნენ საბჭოთა ლიდერები, თან, კომუნისტური იდეოლოგიით გაჟღენთილები, რომ „ნატო“ მათი მტერია და ყოველგვარი პირობის გარეშე გაეყვანათ ჯარები ევროპიდან. შესაძლოა, თავიანთი პირობაც წამოაყენეს: ჩვენ გაგვყავს ჩვენი ჯარები გერმანიიდან, მიიღეთ აღმოსავლეთ გერმანია „ნატოს“ წევრად, მაგრამ ყოფილი სოციალისტური ბანაკის ქვეყნებს თავი დაანებეთ. ძნელია ამაზე ილაპარაკო, როდესაც ამ ამბის მონაწილე არ ხარ, მაგრამ ლოგიკურად ისმის კითხვა: თუ დამირღვიე ბალანსი და „ნატოში“ არათუ პოლონეთი და ბულგარეთი, ბალტიისპირეთიც კი მიიღე, მაშინ მე საპასუხოდ ვიმოქმედებ. ჩვენთვის ეს რთულად წარმოსადგენია, რადგან „ნატოს“ წევრობა გვინდა, ამ დროს კი რუსეთი თავის ნაწილად განგვიხილავს, მაგრამ დიპლომატიაში ბევრი რამ ხდება დამალული. ასე რომ, გამორიცხული არ არის, მართლაც არსებულიყო ასეთი ტიპის ზეპირი ჯენტლმენური შეთანხმება. ჯენტლმენური შეთანმხება კი არ იწერება წერილობით.

**– აბა, ასე ხალხური ზეპირსიტყვიერებასავით გადაეცემა თაობიდან თაობას?**

– ტრადიციაა ამისი, თუ ხარ ჯენტლმენი, ობიექტური მხარე და დიპლომატი და იცავ მიღებულ პრინციპებს, ესეც უნდა დაიცვა. თუ არ იცავ, საპასუხო ნაბიჯებსაც უნდა ელოდე. არ ვიცი, როდესაც საკუთარი თვალით არ გინახავს, რთულია, იმსჯელო, მაგრამ ლოგიკურად, შესაძლებელია, რომ ასეთი შეთანხმება ყოფილიყო.

**– ჩვენი ნეიტრალიტეტის თემა თუ განიხილება ან ერთი, ან მეორე მხარის მიერ?**

– რუსეთში ბოლო ხანს ალაპარაკდნენ, რომ მათთვის, ასეა თუ ისე, საქართველოს ნეიტრალიტეტი მისაღებია.

**ნინო ხაჩიძე**


**მსოფლიოში ცნობილი, უძლიერესი პარაფსიქოლოგი – კოლხი წინასწარმეტყველი**

*კოლხი ნათია ბავშვობიდან კურნავს ხალხს. ის კოლხი მედეას შთამომავალია – ბებიის, ცნობილი მკურნალის, ფაფალა დადიანისგან, მემკვიდრეობით ერგო არაჩვეულებრივი ნიჭი ადამიანების განკურნებისა. ქალბატონი ნათია 40 წელია, რაც ამ საქმეს ერთგულად ემსახურება. ის ლოცვით უამრავ დაავადებას კურნავს – ნევროზს, შიშებს, აკვიატებულ აზრებს, გათვალვას, ხსნის ჯადოს, წმენდს დაბინძურებულ აურას. მოგიხსნით ფინანსურ პრობლემებს, ბედის ჩაკეტვას.*



**აზა ხ-ძე** *(50 წლის, დიასახლისი):* ჩემმა ერთადერთმა ვაჟმა ბინა გამაყიდინა, თამაშობდა... მას მერე ჩვენი ოჯახის საქმე უკან-უკან წავიდა. ამ მიზეზით ჩემი რძალი ბავშვებიანად სახლიდან წავიდა. კოლხი ნათიას შესახებ ჟურნალიდან შევიტყვე. მაშინვე დავურეკე და მივედი. გარდა იმისა, რომ ჩემი ოჯახის გასაჭირი გულთან ახლოს მიიტანა, ფაქტობრივად, მან გადამირჩინა ოჯახი. ძალიან ძლიერი ფსიქოლოგია. მას მომავლის წინასწარ განჭვრეტაც შეუძლია. ულრმესი მადლობა ქალბატონ ნათიას!

**კახა ჯ-შვილი** *(45 წლის, ბიზნესმენი, თბილისი):* ჩემი პატარა ბიზნესი უკან-უკან მიდიოდა, ფინანსური პრობლემები მქონდა, რის შედეგადაც დამეწყო ნევროზი, შიშები. ჩემმა მეუღლემ ჟურნალიდან შეიტყო ნათიას შესახებ და *(იცინის)* მასთან მისვლა მაიძულა, რადგან მე არასდროს მჯეროდა ასეთი რამის. ღმერთმა დალოცოს ეს ღვთისნიერი ქალბატონი. სამი ვიზიტის შემდეგ, ყველაფერი წესრიგში ჩადგა.

**ეკა რ-შვილი** *(35 წლის, ექიმი):* ყველაფერი მქონდა: სახლი, სამსახური, მანქანა, თუმცა პირადი ცხოვრება ვერა და ვერ ავაწყვე. ყოფილა შემთხვევები, ქორწილამდე მისული ურთიერთობა ჩაშლილა. თავიდან უიღბლობას ვაბრალებდი, თუმცა, თურმე, ჯადოს და გათვალვის ბრალი ყოფილა. ამაში მას შემდეგ დავრწმუნდი, რაც ქალბატონ ნათიასთან მივედი. ეს იყო 2 წლის წინ. ახლა უკვე ოჯახი მაქვს, 1 წლის გოგონაც მყავს და ქალბატონი ნათიას წყალობით, უზომოდ ბედნიერი ვარ.

**ანონიმურობა დაცულია.**

**ტელ: 599-98-74-25; 514-45-18-81**
**Skype bulvarzelioni**

**ძალიან მალე ღამის თბილისის სიმშვიდესა და მოქალაქეთა დამფრთხალ ძილზე თბილისის საკრებულოს ზედამხედველობის ინსპექცია იზრუნებს. დამოუკიდებელი დეპუტატის, ალეკო ელისაშვილის ინიციატივით, საკრებულო დედაქალაქის ტერიტორიაზე საზოგადოებრივ სივრცეში ხმაურზე რეგულაციების გამკაცრებაზე იწყებს მუშაობას. დეპუტატის ინიციატივით, რესტორნებსა და ბარებში ღამის 11 საათიდან ხმაურზე მკაცრი კონტროლი დაწესდება. როგორ იმუშავებს ახალი ინიციატივა თბილისურ რეალობაში, ამას დრო გვიჩვენებს, თუმცა, ნაქეიფარ ქართველ მამაკაცებს ღამის სერენადების გაკონტროლება და მათი 55 დეციბელის ფარგლებში მოქცევა რომ მოუწევთ, ეს ფაქტია. როგორ დაწესდება რეგულაციები და ვინ გააკონტროლებს აკრძალვებს, რომელსაც, ასევე, დაექვემდებარება ღამის ფოირვერკები, რაც ძველი თბილისის მორყეულ სახლებს ისე აზანზარებს, თითქოს ზარბაზნიდან უტევენ, ამის შესახებ თავად ინიციატივის ავტორს, ალეკო ელისაშვილს გავესაუბრეთ.**

# როგორ მკაცრდება რეგულაცია თბილისში ხმაურზე და ვინ დაჯარიმდება მოქალაქეთა ძილის დაფრთხობისთვის 1 000 ლარით

**ალეკო ელისაშვილი**: რეგულაციის ეს წესი, დავაწესოთ ზედამხედველობა ხმაურზე საზოგადოებრივ სივრცეში ღამის 11 საათიდან დილის 8 საათამდე, საკრებულოს დადგენილებით, 2004 წლიდან არსებობს, თუმცა, სანქცია არ იყო დაწესებული და არც მის აღსრულებაზე უზრუნია ვინმეს. საკრებულოში ასეულობით წერილია შემოსული – ხალხი შეწუხებულია ხმამაღალი მუსიკით, ხმაურით, რაც რესტორნებიდან, ბარებიდან გამოდის და დახმარებას ითხოვს. ეს არის საერთო ურბანული პრობლემა, რომლის მოგვარებაც აუცილებელია. საზოგადოებრივ სივრცეში ხმაურის აკრძალვა უკვე აუცილებლობად იქცა, რადგან, ადამიანებს ფიზიკურად აღარ შეუძლიათ ცხოვრება იმ ადგილებში, სადაც ახლოს რესტორნები და ბარებია. ტყესთან რომ რესტორანია, იქ რეგულაცია არ დაწესდება, ციყვები ჩვენთან საჩივარს ვერ შემოიტანენ. ახლა ვსწავლობთ ევროპული ქალაქების გამოცდილებას, სადაც რესტორნებისა და მსგავსი დაწესებულებების მუშაობის რეგულაციები მერიის მიერ გაცემული ნებართვებით ხდება. პირადად მე არც ხმის გამზომი ვარ და არც ზედამხედველი, მე ვარ ამ იდეის ინიციატორი, დანარჩენი – საკრებულოსა და საზოგადოების აქტიურობაზეა. ჩვენ არ მივიღებთ გადაწყვეტილებას ერთპიროვნულად, ისე, როგორც ადრე იყო. საკრებულოში მოვიწვევთ ბარ-რესტორნების მფლობელებს, ბაიკერებს, ფოირვერკების გამშვებ კომპანიებს და ადამიანებს, რომლებიც შეწუხებული არიან ხმაურით; გავითვალისწინებთ ყველა მოსაზრებას და მერე მივიღებთ საბოლოო გადაწყვეტილებას. აბა, ასე გაგრძელდეს? რა გააკეთონ გომის, ლესელიძის, ქიაჩელის, ტაბიძის ქუჩების მცხოვრებლებმა? არ დაიძინონ ღამით? აქამდეც ყველა ჩიოდა, რომ, ძალიან ხმამაღალი მუსიკის გამო, მათი ცხოვრება გაუსაძლისი გახდა, ამ ქუჩებიდან უამრავი საჩივარია შემოსული. ხალხი დანევროზებულია, პატრულის გამოძახება საქმეს არ შველის. მოტოციკლებს, მანქანებს უნდა ჰქონდეთ მაყუჩები. ღამით რომ შეიკრიბებიან ბაიკერები და აბღუილებენ მოტოციკლებს, ხალხს უჭირს ცხოვრება. არანაირი რეგულაციები არ არსებობს ფოირვერკებზე, რომლებიც ღამის საათებში ჩვეულებრივი რამ გახდა – კაცი კარგ ხასიათზეა და, მიდი, ღამის 2 საათზე დააბუთქუნებს ფოირვერკს! ასე ქაოტურად არ შეიძლება, საკონცენტრაციო ბანაკებში არ ექცეოდნენ ასე ხალხს.



**კაცი კარგ ხასიათზეა და, მიდი, ღამის 2 საათზე დააბუთქუნებს ფოირვერკს. საკონცენტრაციო ბანაკებში არ ექცეოდნენ ასე ხალხს**

– **როგორი იქნება სანქციები?**

– მკაცრი. მიმაჩნია, რომ მინიმალური ჯარიმა უნდა იყოს 1 000 ლარი, რომ ყველა პასუხისმგებლობით მოეკიდოს ამ საკითხს. პირდაპირ ჯარიმებამდე, ალბათ, არ მივა საქმე და, ჯერ გააფრთხილებენ ბარებისა და რესტორნების მფლობელებს, რომ დაიცვან რეგულაციის წესი. ჯარიმა არაა კარგი, მაგრამ, სხვანაირად არ გამოდის საქმე. ბიზნესიც ვაკეთოთ, ბატონო, დავხარჯოთ კიდეც ფული ჩვენი სიამოვნებისთვის, მაგრამ, არ შევაწუხოთ ერთმანეთი და ძილის საშუალება მივცეთ ადამიანებს.

– **ვინ გააკონტროლებს, ვინ გაზომავს დეციბელის ზღვარს?**

– დეციბელს მიყურადებით ვერ დაადგენ, არსებობს სპეციალური აპარატი, რომლითაც შეიძლება დადგენა აღწევს თუ არა ხმაური დადგენილ ნორმას – 55 დეციბელს. ამ აპარატებით ისარგებლებენ ზედამხედველობის სამსახურის წარმომადგენლები, რომლებსაც დაეკისრებათ კონტროლი. ეს ინიციატივა ისე არ გაიგოთ, რომ ადამიანებს სახლში არ ექნებათ ქეიფის, მოლხენის საშუალება და მათ შეუვარდებათ ზედამხედველობის სამსახური, არა! ხმაური სხვას არ უნდა აწუხებდეს. მართალია, არსებობენ ისეთი ტიპის ადამიანები, რომლებიც ყველაფრით წუხდებიან, მაგრამ, ამის დარეგულირებაც შესაძლებელია.

– **როგორ წარმოგიდგენიათ, ღამით, რესტორნიდან გამოსულ მოქეიფეები, ღამის სერენადების „შესრულებისას," დეციბელების განსაზღვრას დაიწყებენ?**

– ეგრე არ არის. შენ თუ სიმღერა და ქეიფი გინდა, ვიღაცას ეძინება. რომ გამოდგებიან ძველ თბილისში, სადაც ხის გადახურვებია და ხმამაღალ გუგუნს დაიწყებენ, იქ მცხოვრებლებმა რა დააშავეს?! 55 დეციბელი ცოტა არაა. სიმართლე გითხრათ, ბევრი არ მეგულება ადამიანი, ვისი სიმღერის ხმაც 55 დეციბელზე მეტია, ამ ზღვრამდე თუ „აუწია" ვინმემ სიმღერას, არა მგონია, ის დასაჯარიმებელი იყოს *(იცინის)*, ეს უფრო რესტორნებსა და ბარებში ხმამაღალ მუსიკას ეხება.

– **ძალიან ბევრს საცხოვრებელ ბინებშიც კი აწუხებს ახლოს მდებარე დაწესებულებების მძლავრი ვენტილაციის ხმაური, რომელიც მუდმივ რეჟიმშია ჩართული და, გგონიათ, თვითმფრინავში ცხოვრობთ. სპეციალისტები ამბობენ, რომ ასეთი ხმაურის გამუდმებით მოსმენა ჯანმრთელობისთვის არის სახიფათო. რა სტანდარტები შეიძლება დაწესდეს ამ მხრივ?**

– ეს ცალკე რეგულაციის თემაა, ამ თემით შეწუხებული არაერთი ადამიანი მოსულა ჩემთან. ვაჟა-ფშაველას გამზირის მოსახლეობა დაწესებულებების კონდიციონერების ხმაურით ისეა შეწუხებული, პრობლემის გადაჭრას ჩვენგან ითხოვენ. კონდიციონერების თანამედროვე პირობებში, იზოლაციის ისეთი მაღალხარისხიანი საშუალებები არსებობს, მათი მეშვეობით ნამდვილად შეიძლება ხმის ჩახშობა ისე, რომ მოქალაქეები არ შეწუხდნენ. გაუკეთონ, ბატონო, დამცავი საშუალებები, ყუთები – რა ვიცი, უამრავი რამ შეიძლება იყოს გამოყენებული, თუ ამისი ნება ექნებათ იმ ორგანიზაციების მეპატრონეებს, ვინც მოქალაქეებს მშვიდი ცხოვრების საშუალებას არ აძლევენ; ვისაც ეს ნება არ ექნება, მათთვის იმოქმედებს რეგულაციის ის წესი, რომელიც აქამდე არ სრულდებოდა, მაგრამ, ალბათ, ახლო მომავალში სანქციებით იქნება გამკაცრებული.

**რეგულაციებს უნდა დაექვემდებაროს დაწესებულებების მძლავრი კონდიციონერების ხმაური. საბურთალოს რაიონში ამ თემით უამრავი ადამიანია შეწუხებული**

**თამუნა ნიჟარაძე**

# რაში დახარჯა სერგო მესხმა ბიუჯეტიდან ხელფასის სახით მიღებული მილიონი ლარი და რატომ არ გააჩნია არც ანაბარი და არც უძრავ-მოძრავი ქონება ორი საცხოვრებელი ბინის გარდა

ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი კომისიის წევრი, მაია ნადირაძის კოლეგა, სერგო მესხი 1978 წელსაა დაბადებული თბილისში. მის ოფიციალურ ბიოგრაფიაში არ არის მითითებული, სად მიიღო მან საბაზისო საბაკალავრო განათლება, მხოლოდ ის წერია, რომ 2000-2002 წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ეკონომიკის ფაკულტეტის მაგისტრატურაში სწავლობდა. ხოლო 2003-2005 წლებში, ასევე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ პროფესიათა ფაკულტეტზე, სამართალმცოდნეობის განხრით. ხოლო 2003 წელს სრული სასწავლო კურსიც გაუვლია ფინანსურ აღრიცხვაში. 2010 წლიდან სწავლა გაუგრძელებია საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის დოქტორანტურაში – ამჯერად ეკონომიკის ფაკულტეტზე. თუმცა მისი შრომითი ბიოგრაფია ჯერ კიდევ სწავლის პერიოდში დაწყებულა – 2001-2004 წლებში ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში მუშაობდა. 2004 წელს, რატომღაც, უშიშროების სამინისტროში გადაუნაცვლებია, სამსახურის უფროსად, იმავე წელსვე – გენერალურ პროკურატურაში, აგრეთვე, სამსახურის უფროსად. 2005 წელს კი პრეზიდენტთან არსებული სსიპ „განვითარებისა და რეფორმების ფონდის" სამეურვეო საბჭოს წევრი გამხდარა; 2006 წელს – სსიპ „განვითარებისა და რეფორმების ფონდის" სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარეც (2008 წლამდე). იმავდროულად, 2005–2007 წლებში, მუშაობდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის უფროსად, ხოლო 2007 წელს ენერგეტიკის მინისტრის მოადგილედ დაანიშნავს, აი, 2008-ში კი უკვე – ენერგეტიკის მინისტრის პირველ მოადგილედ, ოღონდ იმავე წელს კონტროლის პალატაში გადაიყვანეს, სადაც 2010 წლამდე კონტროლის პალატის თავმჯდომარის მოადგილის პოსტი ეკავა. რატომღაც, სემეკის გვერდზე გამოქვეყნებულ დეკლარაციაში არ არის მითითებული, თუ როდიდან გახდა ბ-ნი მესხი სემეკის წევრი, თუმცა ამ ინფორმაციას ვიგებთ მის მიერ შევსებული დეკლარაციიდან – ეს ბედნიერება მას 2010 წელს ეწვია (ბედნიერება, ვინაიდან იმ წლიდან მოყოლებული მისი წლიური სახელფასო შემოსავალი 200 000 „ს ჩემ ტო" ლარის ფარგლებში მერყეობს).

რაკი სტაჟიანი ჩინოვნიკია, სერგო მესხის მიერ პირველად შევსებული დეკლარაცია 2004 წლით თარიღდება, რომელიც მან იუსტიციის სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის რანგში შეავსო. იმხანად ის დედასთან, ქ-ნ იზაბელასთან და 1983 წლის 27 იანვარს დაბადებულ დასთან, ვარვარასთან, ერთად ცხოვრობდა და მათი ერთადერთი უძრავი ქონება – საცხოვრებელი ბინა რუსთავში (15 000 ლარად ღირებული) – ქ-ნ იზაბელას ეკუთვნოდა. მასვე ჰქონდა ნაღდი ფული – 5 000 აშშ დოლარი. 2005 წელს შევსებულ დეკლარაციაში სერგო მესხს ოჯახის წევრებად მითითებული ჰყავს დედა და 1984 წლის 24 იანვარს დაბადებული და – ნინი მესხი. რაც შეეხება შემოსავლებს: 2004 წელს ბ-ნმა მესხმა ოთხი სამინისტრო გამოიცვალა და, საერთო ჯამში, ხელფასის სახით, აიღო 8 000 ლარამდე და კიდევ გრანტის სახით – 16 717 ლარი. ხოლო უშიშროების სამინისტრომ ჯილდოდ 800-ლარიანი ცეცხლსასროლი იარაღიც გადასცა. 2006 წელს სერგო მესხი დაოჯახდა, ხოლო, წლიურ ხელფასად, როგორც შემოსავლების სამსახურის მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, 28 740 ლარი აიღო. 2007 წელს სერგო მესხი უკვე ენერგეტიკის მინისტრის მოადგილეა და მისმა წლიურმა სახელფასო შემოსავალმა 42 000 ლარი შეადგინა. 2008 წელს ენერგეტიკის მინისტრის მოადგილეობაც მოასწრო და კონტროლის პალატის თავმჯდომარის მოადგილეობაც. ამ ორივე სამუშაო ადგილას მისმა წლიურმა სახელფასო შემოსავალმა 37 500 ლარი შეადგინა. 2009 წლის განმავლობაში სერგო მესხმა, როგორც კონტროლის პალატის თავმჯდომარის მოადგილემ, 75 500 ლარი აიღო, ხოლო მისმა დამ – ნინო მესხმა, როგორც სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიუროს ლაბორანტმა, 7 700 ლარი. 2010 წელს სერგო მესხს პირველი ქალიშვილი ეყოლა – ნია მესხი, თუმცა ოჯახის წევრთა ჩამონათვალში მეუღლე მითითებული არ ჰყავს (ის კვლავ დასთან და დედასთან ერთად ცხოვრობს). რაც შეეხება შემოსავლებს: იმ წელს, როგორც კონტროლის პალატის თავჯდომარის მოადგილემ, 36 978 ლარი აიღო, ხოლო, როგორც სემეკის წევრმა – 172 213 ლარი, ხოლო ნინო მესხმა აწ უკვე, როგორც ექსპერტიზის ბიუროს ექსპერტმა, 16 924 ლარი. 2011 წელს სერგო მესხს მეორე შვილიც შეეძინა – ემი მესხი და კვლავ დედასთან და დასთან ერთად ცხოვრობს. რაც შეეხება ოჯახის შემოსავლებს: სერგო მესხმა, როგორც სემეკის წევრმა 265 050 ლარი აიღო, ხოლო მისმა დამ – 19 802 ლარი. სულ ბოლო დეკლარაცია სემეკის წევრმა 2013 წელს შეავსო, რომლიდანაც ვიგებთ, რომ სერგო მესხს აქვს საცხოვრებელი ბინა თბილისში, საგარეჯოს ქუჩაზე, 220 კვ. მ. ფართობის და ასევე, მიცკევიჩის ქუჩაზე, 70 კვ. მ. ფართობის. თუმცა, 2012 წლის განმავლობაში, როგორც სემეკის წევრმა, 279 000 ლარი აიღო, ხოლო მისმა დამ, როგორც ექსპერტიზის ბიუროს ექსპერტმა, 22 290 ლარი. სავარაუდოდ, იმავე ოდენობის ხელფასი აიღო სერგო მესხმა 2013 და 2014 წლებშიც.




**2012 წლის განმავლობაში, სერგო მესხმა როგორც სემეკის წევრმა, 279 000 ლარი აიღო**

**ნინო ხაჩიძე**


**გამოიწერეთ ჟურნალი „თბილისელები"**

*შინიდან გაუსვლელად ყოველ ორშაბათს ფოსტალიონი მოგართმევთ სახლში*

„მაცნე" – 214-39-06;
„პლანეტა" – 251-75-21;
„ელვასერვისი" – 238-80-02;
„ინფოსერვისი" – 234-11-40, 234-09-35;
„ჯეომედია" – 295-51-70;
ქ. ბათუმი, „სალუქვაძე და კომპანია" – 294-32-32

ნდობის ტელეფონი
0 9 0 2 2 0 0 2 0 0
SMS – 93094
დარეკვა შეგიძლიათ ნებისმიერი ქალაქიდან



ზარი ფასიანია

**მიუხედავად მძლავრი ფემინისტური მოძრაობისა და ქალთა ემანსიპაციის არანაკლებ ძლიერი ტალღისა, უნდა ვაღიაროთ, რომ გენიოსთა შორის, რომლებსაც იცნობს კაცობრიობა, ქალების აშკარა ნაკლებობა. პირადად მე ამ თემის ჩემეული ახსნა მაქვს, რომელსაც არც თქვენ დაგიმალავთ: თუ გავითვალისწინებთ, რომ საუკუნეების განმავლობაში ქალს არათუ განათლების მიღება არ შეეძლო, ის, საერთოდაც ნივთად განიხილებოდა და მხოლოდ იმ შემთხთევაში დაიშვებოდა წიგნებთან, თუკი ამ ცოდნით მამაკაცისთვის სიამოვნების მინიჭება შეეძლო. ამიტომაც სავსებით ბუნებრივია, რომ ინტელექტუალურ შეჯიბრში მამაკაცებს სწორედ ობიექტური მიზეზების გამო ვერ გაუტოლდებოდა. თემას – ქალისა და მამაკაცის შესაძლებლობების შესახებ, იმ ფონზე, რომ ქალები, სულ რაღაც, 100 წელია, აღიარა კაცობრიობამ მამაკაცის თანაბარუფლებიან სუბიექტად (ისიცაა, რომ სრულიად სამყაროს მაინც არ უღიარებია!) – ფსიქოლოგ რამაზ საყვარელიძესთან ერთად განვიხილავთ.**

# რატომ განსხვავდებიან ქალები და მამაკაცები სულიერი დაავადებების სახეობების მიხედვითაც და რის ხარჯზე ატარებენ ქალები კაცებს თავიანთ ჭკუაზე, მათი ნების საწინააღმდეგოდ

**– ბატონო რამაზ, ეთანხმებით ჩემს მოსაზრებას თუ რით ხსნით გამორჩეული ქალების ნაკლებობას თითქმის ყველა სფეროში?**

– ალბათ, ეს მისაღები ვერსიაა, თან, თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს ერთ და ორ წელს კი არ გრძელდებოდა, არამედ საუკუნეების განმავლობაში. მეორე მხრივ, დღეს რომც შეუქმნა კიდეც პირობები, უკვე გენეტიკურად მოდის ის მიდგომა, რაც თაობების განმავლობაში ჩამოყალიბდა. ამდენად, ლაპარაკი იმაზე, თუ რა პოტენციალი ჰქონდა ქალს ევას დონეზე, ძნელია; იმ დონეზეც, რაც ჩვენს თვალსაწიერში ხვდება, ქალისა და კაცის უკანაც კაცობის და ქალობის განმსაზღვრელი გარკვეული გენეტიკური პროგრამები დევს. ეს საკითხი საკმაოდ არის მკვლევარების ინტერესის საგანი. მაგრამ ვიმსჯელოთ იმ ცოდნის დონეზე, რომელიც ყველას გვაქვს. თუ ამ ცოდნის დონეზე შევხედავთ, შევამჩნევთ, რომ მაგალითად, სადილი შეიძლება, ერთხელ კაცმაც გააკეთოს სტუმრებისთვის და უყვარს ეს საქმე, მაგრამ ყოველდღიური სადილი უკვე ქალის საქმეა. კაცს რომ მოსთხოვო, სადილი ყოველდღე გააკეთეო, ვერ შეძლებს. ასე რომ, სადილის კეთება არა მარტო ტვირთია, არამედ ქალის ნიჭიცაა. იმავე ტიპის ნიჭია დალაგება, გარეცხვა, ზოგადად, მოწესრიგება. კაცის გარემო უმეტესწილად მოუწესრიგებელია, ქალს მოუწესრიგებელ გარემოში ყოფნა უჭირს. ეს მოწესრიგებულობაც ნიჭია. ეს ნიჭი შემდეგ თავს იჩენს იმაში, რომ გარკვეული ტიპის სამუშაოებს, რომლებიც ამ ნიჭს ითხოვს, ქალი უკეთ ასრულებს. ამიტომ გარკვეული ტიპის ექიმები ქალები უკეთესები არიან, მაგალითად, თერაპევტები. მასწავლებელიც ქალი უკეთესია. იქ, სადაც დაგროვება და ამ დაგროვილის გამოყენებაა საჭირო, ქალი უკეთესია. კაცს არ შეუძლია ასეთი დაგროვება. კაცს რაღაც იდეა გაუჩნდება და იმ იდეისკენ გადაუხვევს. სხვანაირად ამბობენ ხოლმე, რომ ქალი არის შემგროვებელი, ამიტომაც არის ქალი მიწის სიმბოლო მითებში, კაცი კი არის სიახლის, რისკის მაძიებელი, აგრესიული. თამაშებსაც დავაკვირდეთ.



ქალს რომ ფიზიკური ძალა არ ჰქონდა, ინტუიცია განივითარა და ქალმა ისე შეიძლება, კაცი ატაროს თავის ჭკუაზე, რომ კაცი ამას ვერც მიხვდეს. ძალიან იშვიათია, კაცმა ისე ატაროს ქალი თავის ჭკუაზე, რომ ქალი ვერ მიხვდეს

**– გოგონები თამაშობენ სახლობანას, ბიჭები – ომობანას.**

– კომპიუტერულ თამაშებშიც იგივე პრინციპია. ფილმების მხრივაც: ბიჭებს სხვა ტიპის ფილმები იზიდავს, ქალს – უფრო რომანტიკული. სექსუალურ ცხოვრებაშიც სპეციფიკაა – კაცს შეუძლია, ყველასთან ჰქონდეს სექსი და არანაირი ემოცია, გარდა ბიოლოგიური მოთხოვნილების დაკმაყოფილებისა, არ გააჩნდეს. ქალს უჩნდება სურვილი, რომ სქესობრივ აქტს დაემატოს სიყვარული.

**– არა მხოლოდ ამის, სხვა მიზეზების გამოც, მგონია, რომ ქალი უფრო მაღალგანვითარებული მატერიაა, ვიდრე კაცი.**

– არის რაღაცები, რაშიც ქალი მართლაც უფრო მაღალგანვითარებულია. ქალს ემოციური მხარე აქვს განვითარებული, რის წყალობითაც არა მარტო თავისი, სხვისი ემოციების წაკითხვაც შეუძლია. ინტუიცია ქალს გაცილებით უკეთესი აქვს, ესეც საუკუნეების შედეგია: ქალს რომ ფიზიკური ძალა არ ჰქონდა, ინტუიცია განივითარა და ქალმა ისე შეიძლება, კაცი ატაროს თავის ჭკუაზე, რომ კაცი ამას ვერც მიხვდეს. ძალიან იშვიათია, კაცმა ისე ატაროს ქალი თავის ჭკუაზე, რომ ქალი ვერ მიხვდეს.

**– უბრალოდ ქალი თანხმდება, რომ იაროს კაცის ჭკუაზე.**

– ამიტომ ქალი ეშმაკეულადაა მიჩნეული, მას ტყუილი შეუძლია, ეშმაკობა შეუძლია, კაცს არ შეუძლია. კაცს, რაც თავში მოუვა, იმას აკეთებს; რაზეც ღონე ეყოფა, იმას აკეთებს. ხერხი სჯობია ღონესაო, უფრო ქალის ფორმულაა, ვიდრე კაცის. ქართული ფრაზა კი იმიტომ არის, რომ მცირე ქვეყანა ვიყავით და დიდებთან ურთიერთობისთვის ხერხი გვჭირდებოდა.

**– ქალის როლის აღება.**

– დიახ. ქალსაც ფიზიკურად თავისზე ძლიერებთან უწევს ურთიერთობა, ამიტომ ხერხია მისი იარაღი. ამდენად, თქმა იმისა, რომ ქალი დაჩაგრა ბუნებამ, ძნელია, რაღაც გამორჩეული ნიჭები მისცა, თუმცა მისცა მამაკაცებსაც. იგივე აზარტი და აგრესიულობა კარგია პროფესიულ საქმიანობაში.

**– ჩემეული ახსნაც მაქვს, კაცი ბიზნესმენი იმიტომაა მეტი, რომ კაცი უფრო იოლად რისკავს, ქალი – ნაკლებად, ჩემი აზრით, იმიტომ, რომ მეტი აქვს პასუხისმგებლობის გრძნობა.**

– ის რისკავს, ეს არ რისკავს, პასუხისმგებლობის ბრალია ეს თუ სხვა რამის, ძნელი სათქმელია, მაგრამ რისკი ნიშნავს გაურკვეველ მდგომარეობაში ყოფნას. მე ზემოთ ვახსენე მოწესრიგებულობა, ქალს არ უყვარს გაურკვევლობა. მან შეიძლება, შემდეგ ამას პასუხისმგებლობა დაარქვას, მაგრამ გაურკვეველ მდგომარეობაში ქალს სტრესი ეწყება, კაცს – ნაკლებად. კაცი უფრო ადაპტირებულია გაურკვეველ მდგომარეობასთან. იმიტომ რომ ის მუდმივად იბრძოდა, მებრძოლმა კი არასდროს იცის, რით დამთავრდება ბრძოლა. მაშინ, როდესაც ქალი არ შევა ბრძოლაში, თუ არ იცის, რით დამთავრდება. ერთი სიტყვით, ბუნებამ რაღაც ნიჭი ქალს მისცა, რაღაც – კაცს. მაგრამ ვიცით ცნობილი ადამიანების ცხოვრებიდან, რა გავლენას ახდენდნენ მათზე ქალები.

**– ყველა ცნობილი კაცის უკან დგას ქალიო.**

– ქალის ტვინი მართლაც ძალიან დიდ როლს ასრულებს. საერთოდ, ქალის ტვინი ძალიან სპეციფიკურია. მან შეიძლება, ომი ვერ დაგეგმოს, რასაც მხედარმთავარი აკეთებს, მაგრამ ინტრიგა დაგეგმოს. იქ, სადაც ადამიანთა ურთიერთობებია წამყვანი. როგორ შეიძლება, ამხელა სპექტრის შემქმნელ არსებას დასწამო სულიერი სიღარიბე?!

**– მე არ ვწამებ, უბრალოდ ისინი არ ჩანან.**

– იმიტომ რომ ამაში ნობელის პრემიას არ იძლევიან. იმას, რაშიც ქალი გენიოსია, საზოგადოებრივი ღირებულება არ აქვს, ინდივიდუალური ღირებულება აქვს. დახატა ვან გოგმა გენიალური ნახატი, იპოვა ფერი, ის მოეწონათ სხვებს, ანუ მისი პროდუქტი ხდება საზოგადოებრივი საკუთრება, ქალის პროდუქტი კი – მისია. ბევრი ისეთი ნაცნობი მყოლია, რომლებიც შესანიშნავად ყვებიან ამბავს, ართობენ საზოგადოებას, მაგრამ სოციალურ ორბიტაზე კარგავენ ამ ფერებსა და სიმდიდრეს, რითაც საინტერესონი არიან შვიდკაციან გარემოში. ყველა ნიჭს თავისი გავრცელების რაღაც არეალი აქვს. ქალის ნიჭი არ არის იმ ბაზრის, რომლის გამოც გენიოსობის იარლიყს იძლევიან.

**– ანუ იმას ამბობთ, რომ ქალს არ აქვს**

**საზოგადოებრივად სასარგებლო ნიჭი?**

– ერთი ნიუანსი: 7 წელიწადს ხატავდა ლეონარდო ჯოკონდას, გააკეთებდა ქალი ამას?! ვახსენეთ ბავშვები და თამაშები: თავსატეხებით ვინ უფრო თამაშობს ხოლმე – ბიჭები თუ გოგონები? თომას კუნმა, მეცნიერებათმცოდნემ, მეცნიერებას თავსატეხი დაარქვა, მეცნიერებაში ძირითადი მოტივია თავსატეხის ამოხსნა და ამის შემდეგ გამოჩნდება, რომ ის გენიოსია. ლეონარდოს 7 წელი იმიტომ ვახსენე, რომ რა უნდოდა ერთი პორტრეტის დახატვას, მაგრამ იმ პორტრეტში მან თავსატეხი ჩადო: თავსატეხად ეგულებოდა ჯოკონდას ღიმილი და ამას დაახარჯა 7 წელი. აი, ეს თავსატეხებისადმი მიდრეკილება ნაკლებად აქვთ ქალებს. ქალს ურჩევნია, დაალაგოს და არა – ამოხსნას. ტეტჩერს რატომ უწოდებდნენ „რკინის ლედის“? იმიტომ რომ გადაწყვეტილებას იღებდა კაცივით, ანუ ადვილად. კაცმა შეიძლება, სულელური გადაწყვეტილება მიიღოს, მაგრამ ადვილად იღებს. ქალს – უჭირს, იმიტომ რომ ეშინია, შეცდომა არ დაუშვას. ესეც ისტორიიდან მოდის: ქალი უფრო მძიმედ იხდიდა საზღაურს თავისი შეცდომის გამო. აი, ამ შეცდომის შიში აქვს, უფრო მეტად, ვიდრე კაცს. არადა, ორ მილიონ წელზე მეტია, არსებობს ადამიანი.

**– და ჩვენ აქედან ფორმალურად მხოლოდ 100 წელია, რაც ადამიანებად გვაღიარეს.**

– ამხელა გენეტიკური ინერციაა ამ ორ ტიპში – კაცსა და ქალში და ამ ინერციას მხოლოდ აღიარებით ვერ შეცვლი. როგორც აღმოჩნდა, ქალი ბევრ რამეშია გენიოსი და ეს არ არის, მაინცდამაინც, ის ნიჭები, რაც სამზარეულოშია ჩაკეტილი. ქალს შეუძლია, იყოს ემოციური და თან, საოცრად ცინიკოსი რაციონალისტი.

**– დაუნდობელიც.**

– ამიტომ ქალები უკეთესი „ქილერები“ არიან. ამდენად, ძალიან საინტერესო ფენომენია ქალი, რომელმაც ხშირად არ იცის, რომ საინტერესოა. ძალიან ხშირად ქალმა არ იცის თავისი ფასი. რატომ არ უნდა ეძახო ბატარა ბავშვს, რომ იდიოტია? როგორც გაირკვა, თუ თავისი თავი იდიოტად მიიჩნია, ის მოიქცევა, როგორც იდიოტი. ამ თვალსაზრისით, ქალს თუ ვუძახეთ, რომ სამზარეულოა მისი ადგილი, ის ისე მოიქცევა, რომ მისი ადგილი მხოლოდ სამზარეულოში იყოს. თუმცა ქალურობის ის ასპექტი, რომელიც ერთ კულტურაში ძალიან ჭარბად გვხვდება, გაიხედავ და მეორე კულტურაში აღარ არის. მაგალითად, ევროპულ ქვეყნებში ჭარმაგი ასაკის ქალიც ქალია, აზიურ ქვეყნებში რაღაც ასაკის შემდეგ ქალი აღარ ქალურობს. გარკვეული ასაკის შემდეგ ქალი თავის თავს ქალად კი არა, გულისხმობს დამლაგებლად, მომვლელად. მაშინ, როდესაც საფრანგეთში ქალობა ნებისმიერ ასაკში გულისხმობს, რომ კაცთან კეკლუცობა შეშვენის და მართლაც შეშვენის. ასე რომ, ეს ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, რა შინაარსს ჩადებენ ქალები თავიანთ თავში. ეს არის მათი გენიოსობის არენა.

**– გამომდინარე იქიდან რაც თქვით, ესე იგი, ქალი თავის გენიალობას ვერაფრით გახდის საზოგადოებრივ საკუთრებად?**

– მანდაც, მგონი, ისევ ღმერთი ეთამაშება ქალებს. საერთოდ, ეს თემა, არიქა, კაცის სიმაღლის ვარ თუ არა, ქალის შემოტანილი თემაა. თავის თავში დარწმუნებული ადამიანი ასეთ საკითხს არ აყენებს: მე უფრო მაგარი ვარ თუ ის. რატომ მოგახსენეთ, რომ ღმერთი დასცინის ქალებს: იმიტომ რომ ქალი ძალიან კარგი ფიგურაა პოლიტიკაშიც, ოღონდ გააჩნია, როგორი ქვეყნის პოლიტიკაა. ქვეყანაში, რომელიც აწყობილია და მხოლოდ მოწესრიგება სჭირდება, რომ არ ამოვარდეს კალაპოტიდან, ამას ქალი აკეთებს ბრწყინვალედ, მაგრამ, თუ მონასტერი აირევა, იქ კაცია საჭირო. თუმცა ისიც ვიცით, რომ ტეტჩერმა ომი ორ დღეში მოამთავრა. ამიტომ აქ რაღაც ასპროცენტიანი ფორმულები არ არსებობს, მაგრამ ის ქალები, რომლებიც დღეს ევროპაში ჭარბად არიან პოლიტიკაში, მოწესრიგებულ ქვეყნებს ვლიან მეტწილად. არ ვამბობ, რომ ეს წესია, თუ, მეორე მხრივ, გადმოიხედავ აზიისკენ. განდი და ფხუტო ეყოფიან მთელ ევროპელ ქალებს. ბრწყინვალე ფენომენები იყვნენ ქალურობისაც და პოლიტიკოსობისაც. ძალიან საინტერესო მოვლენაა ევროპელი და აზიელი ქალები. წესით, თითქოს აზიელები უფრო დაჩაგრულები უნდა იყვნენ, ის წნეხი, რაზეც ვისაუბრეთ, ყველაზე მეტად აზიელებზე მოდიოდა, მაგრამ ამავე დროს სწორედ აზიელებს შორისაა უფრო მეტი თვალსაჩინო ქალი. მათ ტიპაჟში ქალურობა დაკარგული ნამდვილად არ არის, მაგრამ ამავე დროს რკინის ხასიათს ამჟღავნებენ. ასე რომ, აქ ბევრი საინტერესო კვანძი იკრიბება. კერძოდ, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, როგორია კაცი იმ კულტურაში. იქ, სადაც კაცის კაცურობა უფრო შენარჩუნებულია, აღმოჩნდება, რომ შანსი იმისა, რომ მამაკაცური ძარღვი იყოს ქალში, უფრო მეტია. თითქოს მისგან სწავლობს ქალი.

> **ქალი არ შევა ბრძოლაში, თუ არ იცის, რით დამთავრდება. ერთი სიტყვით, ბუნებამ რაღაც ნიჭი ქალს მისცა, რაღაც – კაცს. მაგრამ ვიცით ცნობილი ადამიანების ცხოვრებიდან, რა გავლენას ახდენდნენ მათზე ქალები**

**– თუ თანამედროვეები ვერ ქაჩავენ, კულტურის გავლენით მაინც იცის, რას ნიშნავს ნამდვილი კაცი. რომ არ იცოდეს, აბა, როგორ შეიძენს კაცისთვის დამახასიათებელ თვისებებს.**

– გავიხსენოთ, რა პერიოდში აქვთ ქალებს გადადგმული მსოფლიო მნიშვნელობის ნაბიჯები? როდესაც კაცები მაგრები იყვნენ. გაიხსენეთ, რა კაცები ჰყავდა გარშემო ჟორჟ სანდს.

**– ელენე ახვლედიანს?**

– დიახ. ელენე იყო და გვერდით ჰყავდა გუდიაშვილი, კაკაბაძე, მთელი პლეადა. ისინი ერთმანეთს გადასდებდნენ უამრავ რამეს, იზოლირებულები ხომ არ იყვნენ?! ამასობაში ჩნდება თავსატეხების გამოყვანის აზარტი, რაზეც ვლაპარაკობდით. სხვათა შორის, სულით დაავადებების მიხედვითაც განსხვავდებიან ქალები და კაცები, ზოგი დაავადება ხშირია ქალებში, ზოგი – კაცებში. მაგალითად, ისტერიულობა უფრო ქალისთვისაა დამახასიათებელი. მანიაკალურობა – მამაკაცებისთვის. აქედანაც შეიძლება, საინტერესოდ დაინახო ეს ორი ტიპი. ქალი რომ მაგარი ტიპია იქიდანაც ჩანს, რომ, თუ გადაავლებთ თვალს გარეგნულად საინტერესო ქალებისა და კაცების გალერეას, რომელია უფრო მრავალფეროვანი?

**– ქალების, რა თქმა უნდა.**

– იმიტომ რომ სუსტი ქალიც ძალიან მომხიბვლელია და ძლიერიც. ქალს არ აქვს რაკურსი, როდესაც არ შეუძლია, იყოს მომხიბვლელი. მაშინ, როდესაც კაცს, ამ მხრივ, ძალიან მცირე ასპარეზი აქვს. თითოეული რაკურსი მომხიბვლელად ხომ ქალმა გადააქცია?! ამავე დროს არსებობენ ფიზიკურად ძალიან ლამაზი ქალები, რომლებიც არ არიან საინტერესონი. გარეგნობის სილამაზედ ქცევაც ქალის უზარმაზარი შინაგანი უნარის პროდუქტია, რაც კაცს არ შეუძლია.

**ნინო ხაჩიძე**


**სტუდენტების საყურადღებოდ!!!**

უკვე გახდით ან ხართ იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი? ამ შემთხვევაში, ერთი სემესტრის განმავლობაში, სულ რაღაც, 12 ლექციაში მოგიწევთ თითოეული იურიდიული დისციპლინის ათვისება, რაც აშკარად არასაკმარისია კონკრეტული საგნის საფუძვლიანად დასაუფლებლად და გამოცდის წარმატებით ჩასაბარებლად და, რაც მთავარია, იწვევს ისეთ პრობლემებს, როგორიცაა – დარჩენილი საგნები, დამატებითი სემესტრები, წლები და ზედმეტად გადახდილი თანხა.

პროფესიონალი და პრაქტიკოსი იურისტები დაგეხმარებიან ლექციაზე მოსმენილი მასალის ათვისებასა და გააზრებაში, უპასუხებენ თქვენს შეკითხვებს და უზრუნველყოფენ, რომ ხარისხიანად მოემზადოთ შუალედური და ფინალური გამოცდებისთვის ყველა მიმართულების იურიდიულ საგანში.

თითოეულ სასწავლო ჯგუფში იქნება მხოლოდ 4 სტუდენტი.

**დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ:**
**5 55 66–77–45; 5 93 64–49–96;**
**მისამართი: თბილისი, მერაბ კოსტავას №47/57**

**ლექს-სენისთვის დღემდე ყველაზე საყვარელ საქმეს სტუდიაში მუშაობა, სიმღერის ჩაწერა წარმოადგენს. თუმცა, არსებული რეალობის გამო, ამას ისე დიდ დროს ვეღარ უთმობს, როგორც ეს წლების წინ ხდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ის ამ მხრივ, ისეთი აქტიური აღარ არის, ადამიანების ყურადღებას, თბილ დამოკიდებულებას ძალიან ხშირად გრძნობს. ისიც ცდილობს, საკუთარ მსმენელს შესთავაზოს როგორც ძველი, ცნობილი სიმღერების განახლებული ვარიანტი, ასევე ახალი სიმღერებიც ჩაწეროს.**

# რას ვერ იგებს დღემდე ლექს-სენის მეუღლე და რატომ უწევს მას ხშირად სიამოვნების პიკზე უარის თქმა

**– ცოტა ხნის წინ მეუღლესთან და შვილთან ერთად, ზღვაზე იყავი დასასვენებლად. დროის, საქმეების გამო, ალბათ, ოჯახს ერთად დასვენების ფუფუნება ხშირად არ გაქვთ.**

– ეს მართლაც ფუფუნებაა ჩვენს რეალობაში. თუმცა, ჩემს ახლო მეგობარს ძალიან კარგი სასტუმრო აქვს კვარიათში, გვპატიჟებს ხოლმე და მივდივართ. შეიძლება ითქვას, ეს პრობლემა მოგვარებული გვაქვს. საოცარი ადგილია, ჩემთვის მისაღები, ზღვის, მთის ჰაერი ერთად. თან, გაგვიმართლა, ჩვენს იქ ყოფნას კარგი ამინდები დაემთხვა. ბავშვი ძალიან ბედნიერი იყო. ჯერ პატარაა, მაგრამ ნელ-ნელა სწავლობს ცურვას. ისეთ გარემოში დავისვენე, როგორშიც მე მიყვარს: ჩემი წრე, მეგობრები, სიმშვიდე, ყოველ საღამოს ღვინო, ლუდი, პოლემიკა, საუბარი, მოკლედ, როგორც მჩვევია.

**– რომანტიკაც იყო?**

– რა თქმა უნდა.

**– ბუნებით რომანტიკოსი ხარ?**

– რატომღაც აღარ ვარ რომანტიკული. ადრე, შეიძლება, უფრო ვიყავი, მაგრამ ეს ცხოვრება გიმახინჯებს ფანტაზიას. რომანტიკას სიფაქიზე ახასიათებს, უფრო სხვა რაღაცეები უნდა... მეუღლეც მეუბნება ხოლმე: ადრე უფრო იყავი რომანტიკულიო. ახლაც მეგობრებმა დამპატიჟეს ჩანჩქერის სანახავად, მაგრამ მე ასეთ რაღაცეებზე ვამუხრუჭებ. მეუღლე ჩემზე მეტად რომანტიკულია. როცა ვმუშაობ, რაღაცას ვაკეთებ, ზუსტად იმ მომენტში დგება და ვიცი, რომ სადღაც 10 წუთში, შემოვა ლანგრით ხელში: ყავას, ჩაის, ნამცხვარს შემომიტანს. მაქსიმალურად მიწყობს ხელს და ზუსტად ხვდება, როდის რა მინდა. ახლაც, რომ ვისვენებდით, მივდიოდი სათევზაოდ, მომყვებოდა: ეს ხომ არ გინდა, ეს ხომ არ გავაკეთოთ. ყველაფერი ჰარმონიულად მიდის, დრომაც გამოგვწრთო ორივე. ისეთი ადამიანია, რომ მითქვამს: ეს ხომ შენია და ის მეუბნება: ჩვენია, ჩვენი.

**– ოჯახის შექმნა მაინც ერთგვარი რისკია. თან ამას, თქვენს შემთხვევაში, დაემატა ისიც, რომ მეუღლე უცხო ქვეყნიდან ჩამოიყვანე, სულ სხვა გარემოში მოუწია მას ყოფნა, ახლობლების, მეგობრების გარეშე.**

– ასეთ დროს მაინც პირველი ეტაპი არის სწორად შერჩევა და მერე უკვე შენზეა ბევრი რამ დამოკიდებული. კაცია მაინც ოჯახში დრაივერი, როგორ წაიყვანს ოჯახს, ეს მასზეა დამოკიდებული. რა თქმა უნდა, გამართლებაც არის და პლუს ამას ის, რომ ადამიანში ბევრი რამ სწორად უნდა შეაფასო. სირთულეები მაინც იქნება, მეც მქონია. ეს სირთულეები იმისთვის არის, რომ ჩვენს ცხოვრებაში, ცნობერებაში შემოდის ნოვაცია, ისეთი რაღაც, რის შესახებაც მანამდე წარმოდგენა არ გქონია. შენ რომ დიდი ყანწები მოგწონს, თურმე, შენს მეორე ნახევარს ეს არ მოსწონს და იდეაში კონფლიქტი იბადება. თუ ჭკუა გაქვს და ვაჟკაცობა გყოფნის, უნდა მიხვდე, რა გააკეთო, რადგან მას ვერ გადაიყვან შენს ყაიდაზე და ეს სწორიც არ იქნება.



**ჩემს მეუღლეს ვუთხარი: წავალ, სადაც ვიწროა, იქ გაწყდეს. შენს ძმებსაც წავიყვან – ქართველებს ომის დიდი გამოცდილება გვაქვს, მთელი ცხოვრება ომში ვართ. გაგიჟდა, არ მიშვებდა: ხომ არ გადაირიეო**

**– შენი მეუღლე, დარწმუნებული ვარ, ძალიან განიცდის უკრაინაში განვითარებულ მოვლენებს.**

– ძალიან განიცდის და შეიძლება ითქვას, რომ მასზე მეტად მე განვიცდი. შინაგანად ძალიან ნერვიულობს, მის ძმებს არმიაში იძახებენ... ვუთხარი: წავალ, სადაც ვიწროა, იქ გაწყდეს. შენს ძმებსაც წავიყვან – ქართველებს ომის დიდი გამოცდილება გვაქვს, მთელი ცხოვრება ომში ვართ. გაგიჟდა, არ მიშვებდა: ხომ არ გადაირიეო. სერიოზული კონფლიქტი მოგვივიდა. ბოლოს ვუთხარი: ვიხუმრე-მეთქი. ვიცი, შენი ხუმრობაო. იცის, როცა რაღაცას ვიტყვი, იმას აუცილებლად გავაკეთებ. გულის სიღრმეში ძალიან განვიცადე. მორალურად, რაც შემეძლო, გავაკეთე. ჩემს სიმღერასაც დაუბრუნდა აქტუალურობა, რომელიც რუსეთის მისამართით დავწერე.

**– რასაც უნდა აკეთებდე, მუსიკა მუდმივად შენ გვერდითაა – ამას ვერ გაექცევი.**

– სამწუხაროდ – არის, ვერაფერს ვუშველი. იდეები სულ მოდის. ამდენი დრო გავიდა და დღესაც ხალხი თბილად მხვდება. ზღვიდან რომ ამოვდიოდი, მეუბნებოდნენ: „ფოტოების გადაღება შეიძლება თქვენთან?“ ჩემი ცოლი ამას ცოტა ვერ იგებს: რა არის, რატომ არ გასვენებენო. მე ვეუბნები: არ შეიძლება, ადამიანი რომ მოდის, გესაუბრება, ფოტოს გადაღებას გთხოვს, უარი უთხრა, ცუდად მოექცე-მეთქი. ეტყობა, ეჭვიანობის მომენტი აქვს, რადგან ძირითადად, გოგონები მოდიან, თან, საცურაო კოსტიუმებით: „შეიძლება ფოტო გადავიღოთ თქვენთან?“ მეც ვეხუმრები: რა გინდა, მშვენიერი გოგონა იყო-მეთქი. და ამაზე გიჟდება. რაც შეეხება მუსიკას, ეს ყოველთვის ჩემთანაა. ქალაქიდან გასვლა ბევრ ახალ იდეას ქმნის, განსაკუთრებით, როცა სიცარიელეა, სიჩუმეა... ამ სიჩუმეში უფრო მეტად მოდის მუსიკა, რიტმი, მერე ამას ვიმახსოვრებ. ახლა ვაკეთებ ჩემი ერთ-ერთი ძველი სიმღერის რემიქსს – აქამდე ასეთი რამ არ გამიკეთებია. არანჟირება უკვე დამთავრდა, ჩაწერას ვიწყებ და მალე მოევლინება დღის შუქს. წესით, ურიგო არ უნდა იყოს. გარდა ამისა, მე და დათო კენჭიაშვილს საინტერესო მონახაზი გვაქვს, ვმსჯელობთ ამაზე, შეიძლება, ორიგინალური რაღაც გავაკეთოთ. დათოს იდეაა და ჯერჯერობით არ მინდა, რამე ვთქვა, გავუსწრო მოვლენებს.

**– არაფერს გეგმავთ შენ და შენი ძმა მინდოზა? დღემდე აქტუალურია შენი სიმღერიდან ფრაზა: „ჩემი ძმა, ჩემი მინდოზა...“**

– მინდოზა ის კაცია, რომელიც საჭირო კაცია. როდესაც კონცერტი მაქვს, ჩემი ბეგრაუნდი ყოველთვის ჩემთან არის. მხოლოდ მინდოზა არ არის, რამდენიმე კაცია. ამ სეზონზე ყველაფერი გაყინული იყო, თორემ გვინდოდა კონცერტების ჩატარება. ზოგი ელოდება, რომ შენ შესთავაზო რამე. არადა, პირიქით, ვისაც დარბაზი აქვს ან კლუბი, წესით, მან უნდა შემოგთავაზოს სივრცე: მოდი, ეს გავაკეთოთ. მაგრამ, ყველას რაღაც შიში აქვს: გამომივა, არ გამომივა. რამდენი ხანი გავიდა და ჩვენი ქვეყანა მაინც პარალიზებულია, ამნეზიაში, მოჯადოებული წრიდან ვერ გამოვდივართ.

**– კიდევ წერ ლექსებს?**

– ბევრი ახალი ლექსი მაქვს, მინდა, დაგროვდეს კიდევ. რაც მოდის, იმას არ ვუშვებ არსად. ყველა გარემო სხვადასხვა ემოციას იწვევს, შენც ენთები, ემოცია, ტემპერატურა მატულობს და ეს მერე პროდუქტზეც აისახება. სტუდიაში მუშაობისას ყველაფერს ვწყდები. მერე ისე გიტყდება, რომ უნდა მობრუნდე და უკან მოიხედო. როცა ვმუშაობ, მაშინ წინ ვარ, ძალიან წინ და სტუდიიდან რომ გამოვალ და გამოვიხედები: უკან ვცხოვრობთ – ეს არის მარაზმი. იქ თავისუფლად ვარ, ჩემს მუღამში, ვაჟაზებ. იქ მინდოზაა, იქ პეპე უბერავს და ამ დროს კი ვიღაც გირეკავს, გეძახის, ან ტელევიზორს უყურებ და ეგრევე უკან ცხოვრებას იწყებ. წინ ცხოვრება კი მიყვარს, კარგია, მაგრამ შეგნებულად ვიზღუდავ. ერთგვარი შიშია, რომ ეს მუშაობა დაკარგული არ აღმოჩნდეს. ამის გარდა, ხომ ბევრ რამეს ვედრებით: იქ უნდა ვიყო, იქ რაღაც უნდა ვიშოვო, ვიყიდო, გავყიდო, ბავშვს რაღაც უნდა. არ მინდა გადავდო, მაგრამ სხვა გზა არ მაქვს. ამიტომ, ისევ სტუდიაში მუშაობას ვაკლებ

**ცხენი, ეს არის ცხოველი, რომელიც ყველა ადამიანს უყვარს და იზიდავს. მხატვრულ ლიტერატურას თუ გადავხედავთ, იქ ვნახავთ უამრავ შემოქმედს, რომლებიც აღფრთოვანებით გვიხატავენ ამ დიდებულ ცხოველს. ისტორიას თუ გადავავლებთ თვალს, გაგვახსენდება კონკრეტული ეპოქები, მმართველები, დიდებული მხედრები თავიანთი ღვთაებრივი და სასწაულმოქმედი ცხენებით.**

**ლიტერატურიდანაც და ისტორიიდანაც შთაბეჭდილება იმდენად დიდია, რომ თითქმის არ მეგულება ადამიანი, რომელმაც დაუფიქრებლად არ გითხრას, რომელიმე პერსონაჟის თუ ისტორიული პირის ლეგენდარული, ზღაპრული ცხენის სახელი.**

**სულაც რომ არ გვქონდეს ცხენთან პირადად შეხება, მას მაინც ყველა ვეტრფით. თუმცა, რამდენად გვაქვს მასთან ურთიერთობის ბედნიერება, ეს სხვა საკითხია.**

**მე ვერ გეტყვით, ჩვენს წინაპრებს, სახელოვან მხედრებს თუ უბრალო მფლობელებს, ცხენის მოვლა-პატრონობა რა უჯდებოდათ, მაგრამ რა მდგომარეობაა ამ მხრივ ახლა ჩვენს ქვეყანაში, რა თანხებს და პირობებს საჭიროებს ეს ზღაპრული ცხოველი, ამასთან დაკავშირებით ნამდვილად მოგაწვდით ინფორმაციას, შპს „თბილისი იპოდრომსერვისის დირექტორის“ გიორგი კვერნაძის დახმარებით.**

# რატომ აღარ იმართება საქართველოში დოღი და რატომ ვერ გაემგზავრა ქართველი გამარჯვებული თასის ფინალზე

**– ბატონო გიორგი, რა ჯიშის ცხენები გვყავს საქართველოში და რომელია ზოგადად საუკეთესო ჯიშის ცხენი?**

– რომელია საუკეთესო ჯიშის ცხენი, ამაზე ერთმნიშვნელოვანი პასუხის გაცემა არ შეიძლება. ცხენს აქვს თავისი ფუნქციური დანიშნულება, ზოგი გამოიყენება სპორტში და ესენია, ძირითადად, გერმანული ჯიშის ცხენები; ზოგიც – დოღისთვის. დოღი არ არის სპორტის სახეობა. ეს არის ცხენის გამოცდა, რომელიც უფრო საჩვენებელ ხასიათს ატარებს. მსოფლიო მასშტაბით რა დოღებიც ტარდება, 90 პროცენტში ინგლისური ჯიშის ცხენები მონაწილეობენ, შედარებით მცირე რაოდენობითაა არაბული.

ჩვენთან, საქართველოში თითქმის ყველა ჯიშის ცხენია წარმოდგენილი: წმინდა სისხლის ინგლისური, არაბული, გერმანული, ლეკური. გარდა ამისა, მათი ნაჯვარი ჯიშებიც, რომლებიც უკვე აღარ ითვლება წმინდა ჯიშის სახეობად.

**– ანუ, კონკრეტულად საუკეთესო ჯიშის გამოკვეთა რთულია, გააჩნია, რა ფუნქცია აქვს მას?**

– დიახ. გააჩნია, რისთვის არის და ვის რომელი მოსწონს. ვისაც ცხენი უყვარს, იმისთვის საკამათოა, რომელია უკეთესი.

**– ძირითადად, უცხოური ჯიშები ჩამოთვალეთ. ქართულზე რას იტყვით?**



**ზოგადად, ცხენის ფასი დაახლოებით სათქმელი თანხა არ არის. მაგალითად, ცხენის ფასი, რომელიც ოლიმპიადაზე გამოდის – 500 000 დოლარიდან იწყება, დუბაის შეიხის ცხენების ფასი კი – სადღაც მილიონი დოლარიდან**

– ისტორიულად ცნობილი იყო თუშური ცხენი. მაგრამ, ახლა ამ სფეროს დიდი ყურადღება აღარ ექცევა მთელი ქვეყნის მასშტაბით. აღარ ხდება სელექცია, ამიტომ ჯიშის სიწმინდეზე ძალიან რთულია საუბარი.

ზოგადად, არსებობს საჯიშე წიგნები, რომელშიც რეგისტრირებულია ყველა ცხენი. ასეთი წიგნები აქვთ: ინგლისურს, ახალთექურს და არაბულს. ძირითადად, სწორედ ესენია წმინდა სისხლის ჯიშები.

ყველაზე ძლიერი ინგლისური ჯიშია. მსოფლიოში რაც კი ცხენია ცნობილი, ყველაში, სადღაც, მაინც ინგლისური ჯიშის სისხლი ურევია.

**– რა პირობებია საჭირო ცხენის შენახვისთვის?**

– აქ, იპოდრომზე, არ ვახდენთ შეჯვარებას, იმიტომ რომ, ახალგაზრდა კვიცი 8-10 საათის განმავლობაში მაინც უნდა იმყოფებოდეს სუფთა ჰაერზე, რისთვისაც შესაფერისი პირობები არ გვაქვს. ჩვენ, მარნეულის რაიონში, ყულაში ვფლობთ ძველ ცხენსაშენს, სადაც ხდება შეჯვარება. იქ არის საამისო პირობები, სუფთა ჰაერი, ნედლი ბალახი. აქ კი ცხენები ძირითადად, თავლაში გვყავს და დღეში რამდენიმე საათით გამოგვყავს სუფთა ჰაერზე, ვავარჯიშებთ. სპეციალური უნარ-ჩვევებისა და განათლების მქონე პირები წვრთიან მათ.

ეკონომიკური თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია კვებისა და შენახვის ნორმები, რომლებსაც გვერდს ვერ ავუვლით. საჭმლის ის რაოდენობა, რაც აუცილებელი არის ცხენის ორგანიზმისთვის, მან უნდა მიიღოს. ჩვენი შესაძლებლობებით და გათვლებით, ეს არის დღეში 6 კილოგრამი თივა და 6 კილოგრამი შვრია. ასევე, საჭიროა მედიკამენტები, მეჯინიბის მიერ მოვლა, დალაგება-დასუფთავება და ასე შემდეგ. რაც მცირე თანხებთან არ არის დაკავშირებული. და ეს საიდუმლო ინფორმაცია არ გახლავთ.

**– გაქირავების ფასები და პაკეტები როგორია?**

– უპირველესად, ვიტყვი, რომ ჩვენ მომსახურებას ვთავაზობთ კერძო მფლობელებს. პიროვნებას, რომელსაც ჰყავს ცხენი და უნდა, რომ ის კარგ პირობებში იყოს, თუ ამას თავად ვერ უზრუნველყოფს, შეუძლია, მოიყვანოს ჩვენთან. ჩვენ ვაჭმევთ, გავასუფთავებთ და ყოველნაირად მოვუვლით. ყოველთვის ფორმაში გვეყ-

**(გაგრძელება 81-ე გვერდზე)**

დროს, არადა ეს სიამოვნების პიკია, ყველა საქმეს მაკეთებინებს.

**– ძველი დროიდან, ალბათ, მხოლოდ ამის ნოსტალგია გაქვს.**

– მაშინ საჭიროებაც ასეთი იყო. ყოველთვის ვამბობ: პრინციპი – ახალი ცოცხი კარგად გვის – კარგია, მაგრამ ძველმა შეიძლება, უფრო დიდხანს გაძლოს. ბებიაჩემის შეკრული ცოცხი დღემდე მინახავს და ახალი თურქული ცოცხებიც, რომლებსაც ძაფები ცვივა და ცვივა. არ მაქვს, საბედნიეროდ, ნოსტალგიური მომენტი, არც შიში. იმდენად სრულყოფილად, კარგად გავაკეთე ყველაფერი, რომ წუნი არ ყოფილა. რამდენიმე დღის წინ ერთი ქალი გადამეხვია: ჩემს შვილიშვილს ძალიან უყვარდიო – ეს დიდი ბედნიერებაა და იმასაც ნიშნავს, რომ ეს დიდი წონაა. ამ წონის აწევა ვიღაცამ უნდა შეძლოს, გაიმეოროს – თუმცა, არ არის მარტივი. ხარისხი ძალიან მნიშვნელოვანია ამ დროს.

**– რა იყო შენს ცხოვრებაში გარდამტეხი ეტაპი?**

– იმას არ ჩავთვლი, რაც პირად ცხოვრებას უკავშირდებოდა: ვიღაცამ მესროლა, რაღაც მოვიტეხე, ვკვდებოდი, საავადმყოფოში ვიყავი, რეანიმაციაში ამოვყავი თავი. მაშინ უკეთ გავაცნობიერე, რომ სიცოცხლე საჭიროა. მაგრამ ყველაზე მძიმე პერიოდი იყო მაშინ, როცა დავოჯახდი. ყოველთვის ჩემი კისრით ვშოულობდი ფულს, საჭმლისთვისაც, გასართობადაც, გოგოს დასაპატიჟებლადაც. მაგრამ, თურმე, ოჯახისთვის ეს არ არის საკმარისი. თან, შოუბიზნესი ჩიხში შედიოდა, ამ მხრივაც პრობლემები იყო. მაშინ საკმაოდ კარგი ავტომობილი მყავდა, „ბეემვეს“ მარკის. ზოგადად, მანქანისტი კი ვარ, ძალიან მიყვარს, მაგრამ გავყიდე ჩემი შავი „ბეემვე“ იმ იმედით, რომ ეს სწორი გადაწყვეტილება იყო. მახსოვს, ჩემი მეგობრები ძალიან მეხმარებოდნენ, მათი დახმარებით ძველი „09“ ვიყიდე და იმით გამოვიყვანე ბავშვი სახლში. ასეთ დროს სარკეში ხედავ, ადამიანები როგორები არიან. ვიღაც დაგინახავდა სამშობიაროდან ბავშვი „09-ით“ გამოგყავს, იტყოდა: ნახე, ეს დებილი რა მანქანით დადის. არადა, გუშინ „ბეემვე“ რომ მყავდა, მაშინაც იტყოდა: ნახე, ეს დებილი რა მანქანით დადის. უბრალოდ, ამ ორ შემთხვევაში, ინტონაციაა განსხვავებული. ეს კიდევ ცალკე წნეხია, ამას სხვა რაღაცეებიც ემატებოდა. მაგრამ, უფრო მეტად ამანთო, დაგეშილი მგელივით ვიყავი, რომ რამე შემექმნა: ეს მეკუთნის, ეს ჩემია. ეს პერიოდი იყო ყველაზე რთული და საბედნიეროდ, გადავლახე. დღეს აღარ მაქვს ისეთი გაჭირვება და პირიქით, ვცდილობ, სხვებს დავეხმარო.

**ახლაც, რომ ვისვენებდით, მივდიოდი სათევზაოდ, მომყვებოდა: ეს ხომ არ გინდა, ეს ხომ არ გავაკეთოთ. ყველაფერი ჰარმონიულად მიდის, დრომაც გამოგვწრთო ორივე**

**ნათია უტიაშვილი**

**გადაცემა „ექიმების“ ერთ-ერთი წამყვანი, ბავშვთა ქირურგი ლევან ხარაშვილი უკვე წლებია, იაშვილის კლინიკაში ორ განყოფილებაში მუშაობს: გულმკერდისა და მუცლის ღრუს ქირურგიაში. მას ყველაზე საყვარელ არსებებთან, ბავშვებთან უწევს ურთიერთობა, რომელთა ჯანმრთელობაზე მუდმივად ზრუნავს.**

# სად დადის ხელთათმანებით და ნაგვის დიდი პარკებით ლევან ხარაშვილი და როგორ არის მის ოჯახში კონფლიქტების საქმე მოგვარებული

**– გადაცემაზე რომ იწყებდით მუშაობას, მაშინ თუ ფიქრობდით, რომ ასეთი წარმატებული და რეიტინგული იქნებოდა?**

– რა თქმა უნდა, ველოდებოდით, რადგან ეს ამერიკული გადაცემის ანალოგია, რომელსაც „ემი“ აქვს მოგებული. ძალიან საინტერესო გადაცემაა და ამიტომაც გახდა, ალბათ, პოპულარული. მიზანი ზუსტად ის იყო, რომ მარტივ, ყველასთვის გასაგებ ენაზე გველაპარაკა ისეთ პრობლემებზე, რომლებიც აქტუალურია, ყველას აწუხებს, ოღონდ შეიძლება, არც დაფიქრებულან ამაზე. მაგალითად, ვისაუბრეთ ჯანსაღ კვებაზე, სკოლაში რომ მიდის ბავშვი, როგორ უნდა აარჩიონ ზურგჩანთა და ასე შემდეგ. ეს არის საინტერესო თემატიკა, რომელზეც არასდროს არავინ ლაპარაკობს, ან ლაპარაკობენ ექიმის კაბინეტში. როცა ექიმი ჭკვიანი სახით, თეთრი ხალათით გეუბნება: არ მოწიო სიგარეტი, მავნებელია – შეიძლება, ამას შედეგი არ მოჰყვეს. მაგრამ, როცა იგივე საკითხს სხვა სახით მიაწვდი, ისე, რომ პირველკლასელმა ბავშვმაც გაიგოს და თან, ამას ვიზუალიზაციაც ერთვის, როგორც ეს ჩვენი გადაცემის შემთხვევაშია, მაშინ უკვე გასაგები ხდება. მე მგონია, კარგი გადაცემაა, მომწონს.

**– მეც მომწონს. ხშირად ექიმები პაციენტებს მართლაც მათთვის გაუგებას ენაზე ესაუბრებიან. თქვენს შემთხვევაში, როგორ არის საქმე?**

– სამწუხაროდ, ბევრი ექიმი სამედიცინო ტერმინებით საუბრობს. ეს გასაგებიცაა, ხანდახან ჩვენც წამოგვცდება ხოლმე – ეს ჩვენთვის ნორმალურია. კოლეგების ერთმანეთთან საუბარი რომ მოისმინოთ, ვერ გაიგებთ, რაზე ვლაპარკობთ, ამიტომაც, როცა პაციენტს რაღაცას ვუხსნით, იქაც გაგვეპარება ხოლმე ასეთი ტერმინები. ალბათ, ჩვენ, ოთხივე ამ ნიშნითაც აგვარჩიეს გადაცემისთვის, რომ გასაგებ ენაზე ვსაუბრობთ. მე პედიატრი ვარ, ბავშვებთან მიწევს მუშაობა, ამიტომ მშობლებს ყველაფერს დეტალურად, დაწვრილებით ვუხსნი: საკვებიდან დაწყებული სხვა რაღაცით დამთავრებული. დღის განმავლობაში შეიძლება, ერთი და იგივე ძალიან ბევრჯერ გავიმეორო, ამიტომ გასაგებ ენაზე საუბარი არ არის ჩვენთვის რთული. თუმცა, ძალიან ვაკონტროლებთ თავს, რომ ტერმინებისგან თავი შევიკავოთ. როცა სერიოზულ დაავადებაზეა ლაპარაკი, მაგალითად, როგორიც არის მკერდის კიბო, იქ მხოლოდ პოპულარული ენით საუბარი გიძნელდება. მაგრამ მაინც ვაკონტროლებთ თავს.

**– გადაცემაში აშკარად ბევრი იმპროვიზაციაა.**

– იმპროვიზაცია არის, კი. დაახლოებითი მონაზახი გვაქვს, მაგრამ გადაცემის რეპეტიცია და ჩაწერა, ერთმანეთისგან აბსოლუტურად განსხვავდება. ჩემს სამივე კოლეგას იუმორის ძალიან კარგი გრძნობა აქვს.

**– მეოთხეც არ უჩივის იუმორის გრძნობას. მახსოვს სერგიენკოსთან თქვენი დიალოგი.**

– სერგიენკოსაც კარგი იუმორის გრძნობა აქვს და ამიტომაც გამოვიდა ასე კარგად. ჩვენი პროდიუსერები, მთლიანად ჯგუფი, მხიარული ხალხია და გვიადვილებენ შრომას. რა თქმა უნდა, ეს ჩვენთვის, ექიმებისთვის უცხო გარემოა. ჩემთვის მშობლიური გარემო საოპერაციო და მისი მიმდებარე ტერიტორიებია. ამიტომ, ცოტა გაგვიჭირდა. თუმცა, როგორც ამბობენ, ძალიან მალე ავუღეთ ალღო იმას, რაც თავის დროზე ბევრ გამოცდილ და ცნობილ ტელეწამყვანსა და მსახიობს გაუჭირდაო – ასეთ კომპლიმენტებს ვიმსახურებთ ხოლმე, გვანებივრებენ. სტიმული ძალიან მნიშვნელოვანია, ჩვენი ხასიათიც, როგორც ჩანს, უკვე კარგად აქვთ შესწავლილი. სტიმული სულ არის: კარგები ხართ, ყოჩაღ, ყოჩაღ... – გვაქებენ, რომ არ მოგვწყინდეს, არ დავითრგუნოთ, გავაუმჯობესოთ ყველაფერი. თან, იმხელა ადრენალინის გამომყოფი საქმეა, არ მეგონა, თუ ასეთ აზარტში შევიდოდით.

**– ვინც ტელევიზიაში მუშაობას იწყებს, მერე თავის ძირითად პროფესიას ღალატობს და იმედია, თქვენს შემთხვევაშიც ასე არ იქნება.**

– არა, ჩვენს შემთხვევაში, ასე ნამდვილად არ იქნება და შემიძლია, ამის გარანტია მოგცეთ. ექიმები ვართ და როცა წლებია, ექიმად მუშაობ, ეს იმას ნიშნავს, რომ სამსახურზე ფანატიკურად ხარ შეყვარებული, სხვანაირად ექიმობას ვერ შეძლებ. ჩვენ გვიყვარს ჩვენი საქმე და სწორედ ამ საქმის სიყვარულმა გადაგვადგმევინა ის ნაბიჯი, რომ ამ პროექტში მიგველო



როცა ბავშვები ავად არიან, ექიმთან მიმყავს. მე ამ დროს მამა ვარ

მონაწილეობა და იქიდანაც გვეცადა, ჩვენი საქმე გაგვეკეთებინა.

**– რამდენად მოულოდნელი იყო შემოთავაზება წამყვანად მუშაობაზე?**

– ნამდვილად წარმოუდგენელი იყო, რადგან ტელევიზიასთან მუშაობის არანაირი გამოცდილება არ მქონია. თავიდან ვიფიქრე: რა მინდა ტელევიზიაში-მეთქი, მაგრამ მერე ჩვენმა პროდიუსერმა, დუდა გელოვანმა მითხრა: ამ ლინკებს უყურე, ამერიკული ვარიანტის ლინკები მომცა, ცოტა დაფიქრდი და მერე გამეცი პასუხიო. რომ ვნახე, ძალიან მომეწონა, განსაკუთრებით კი გადაცემის მიზანი. ამიტომ, ბევრი აღარ მიფიქრია. ჩემს კოლეგებს, მასწავლებლებს, ყველას, ვისი აზრიც ჩემთვის მნიშვნელოვანია, დავეკითხე და პრინციპში, ყველამ ერთხმად მითხრა: უნდა წახვიდეო და არ ვნანობ, ეს რომ გავაკეთე.

**როცა ექიმი ჭკვიანი სახით, თეთრი ხალათით გეუბნება: არ მოწიო სიგარეტი, მავნებელია, შეიძლება, ამას შედეგი არ მოჰყვეს**

**– დროის დეფიციტი კიდევ უფრო გაგეზრდებოდათ.**

– ისედაც ცოტა დრო გვაქვს თავისუფალი და კვირა საღამოც დავკარგე. ხშირად შაბათს მორიგე ვარ. ძალიან რთულია ოთხივეს ერთდროულად გვეცალოს. ოთხივე ქირურგები ვართ, სხვანაირი რეჟიმი გვაქვს, ამიტომ ჩვენს შეკრებაზე ძალიან წვალობენ. არის ისეთი შემთხვევები, როცა გამოძახებები გვაქვს. მიგვიტოვებია რეპეტიცია, წამოვსულვართ ოპერაციაზე ან რაღაც მანიპულაციაზე და მერე მივბრუნებულვართ. ეს ყველაფერი გათვალისწინებული აქვთ, იციან, რომ ნებისმიერ დროს შეიძლება, გასაქცევი გავხდეთ.

**– ყველაზე დაუცველ, ფაქიზ და საყვარელ არსებებთან, ბავშვებთან გიწევთ მუშაობა. რატომ შეაჩერეთ არჩევანი მედიცინში ერთ-ერთ რთულ სფეროზე, ბავშვთა ქირურგიაზე?**

– სამკურნალო ფაკულტეტი მაქვს დამთავრებული, ანუ განათლებით მოზრდილების ექიმი უნდა ვყოფილიყავი. მაგრამ მერე, პედიატრიაში ამოვყავი თავი და არ ვნანობ. სტუდენტობის დროს სხვადასხვა კლინიკაში ხომ ვმორიგეობდით და ერთ დღეს, ბავშვთა განყოფილებაში, რეანიმაციაში მომიწია მორიგეობა. მაშინ ძალიან შემიყვარდა, მივხვდი, რომ პატარების ექიმი უნდა ვყოფილიყავი. ბავშვთა ქირურგია სპეციფიკური და საინტერესო დარგია. ძალიან მიყვარს ჩემი საქმე, პაციენტები და ვფიქრობ, გამიმართლა ცხოვრებაში – ღმერთმა მომცა იმის შანსი, რომ პატარა ბავშვებს დავეხმარო. ზოგჯერ ისეთ პათოლოგიებთან გვიწევს მუშაობა, განსაკუთრებით ახალშობილებთან დაკავშირებით – ხშირად თანდაყოლილი მანკებია და ამის კორექცია გვიწევს. ყველანაირი შედეგი გვაქვს, ხშირად ვიმარჯვებთ და პატარებს ნორმალურ კალაპოტში ვაბრუნებთ, რომ ჯანმრთელები იყვნენ და ბედნიერად იცხოვრონ.

**– ლევანი ექიმის ეშინიათ?**

– პატარები ექიმებთან ნაკლებად ჭირვეულობენ. შეიძლება, ეს იმის ბრალია, რომ ეს ექიმთან პირველი კონტაქტია. არ იციან, რომ ეს ტკივილთან, დისკომფორტთან არის დაკავშირებული. გაცილებით უფრო მარტივია მათთან მუშაობა, თუ ყველაფერს აუხსნი, მოგყვებიან, გენდობიან და ხშირ შემთხვევაში, თუ რამე მოსათმენია, ითმენენ. თუმცა, ჩვენ ვცდილობით, ყველა მტკივნეული მანიპულაცია ანესთეზიით გაკეთდეს – მომწონს ეს მიდგომა. ამას წინათ ძალიან საყვარელი გოგონა იწვა ჩვენთან, ავტომობილმა გადაუარა ხელზე და დიდი რეკონსტრუქციული ოპერაცია გავუკეთეთ. კარგი შედეგი მივიღეთ. დიდხანს მოუწია საავადმყოფოში ყოფნა, გადახვევებს რომ ვუკეთებდით, რა თქმა უნდა, მტკივნეული იყო. რომ წავიდა სახლში, ზუსტად მაშინ გავიდა ჩვენი პირველი გადაცემა. დედამისმა მითხრა: როგორც კი ტელევიზორში დაგინახათ, მაშინვე გამორთოო. გადახვევაზე რომ მოვიდა, მოვეფერე და მითხრა: რა გინდოდა ჩემს ტელევიზორშიო.

**– ჩვენს საზოგადოებაში, რატომღაც, ახალგაზრდა ექიმებს ნაკლებად უცხადებდნენ ნდობას, სკეპტიკურად უყურებენ... თქვენც დამდგარხართ ასეთი ფაქტის წინაშე?**

– კი, თუმცა, მგონი, ეს მიდგომა იცვლება. ახალგაზრდა ექიმი უფრო პროგრესთან, ინოვაციასთან, უცხოეთთან კავშირის ასოციაციას იწვევს. თუმცა, ახლაც არის შემთხვევა, როცა ეჭვის თვალით გვიყურებენ ახალგაზრდებს – ეს ნორმალურია. ჩემი ახალგაზრდული ასაკი ზოგჯერ პაციენტების მშობლებში ასეთ კითხვებს იწვევს: გაგიკეთებიათ აქამდე ასეთი ოპერაცია? მათი მესმის, რადგან ძალიან ნერვიულობენ, მათთვის ეს პირველია. მიუხედავად ჩემი ახალგაზრდული ასაკისა, ქირურგიაში მუშაობის დიდი გამოცდილება დამიგროვდა. დიდი ხანია, ამ კლინიკაში ვმუშაობ, მყავს კარგი პედაგოგები. სამწუხაროდ, ჩემი გამზრდელი პროფესორი, პაატა გვეტაძე გარდაიცვალა. მასთან და ჩვენი კლინიკის სხვა ქირურგებთან მუშაობის დიდი გამოცდილება დამიგროვდა. რომ გაიგებენ, ბატონი პაატას მოსწავლე ვარ, წლების განმავლობაში ერთად ვმუშაობდით, მისი ავტორიტეტი მეხმარება. ტელევიზიასაც დი-

(გაგრძელება 50-ე გვერდზე)

**ანტროპოსი – ანუ ადამიანი! დიაგნოსტიკურ-გამაჯანსაღებელი ცენტრი „ანტროპოსი" არის სამედიცინო კლინიკა, რომელიც ორიენტირებულია ადამიანზე, როგორც არა მხოლოდ ცოცხალ ორგანიზმზე, არამედ მის სიცოცხლისუნარიანობასა და ქცევაზე. ის, რომ ამ სამედიცინო ცენტრში ადამიანი ყველაზე და ყველაფერზე უპირატესია, იმ მადლიერი პაციენტების შთაბეჭდილებებიდანაც ჩანს, ვინც წლების განმავლობაში ამ კლინიკის პაციენტები იყვნენ. კლინიკა, დაკომპლექტებულია ძალიან მაღალი კვალიფიკაციის სამედიცინო გუნდით, რომელსაც თავის საქმეზე უზომოდ შეყვარებული ექიმი, ბატონი იგორ ღვინჯილია ხელმძღვანელობს. რით არის გამორჩეული კლინიკა „ანტროპოსი" და რაში მდგომარეობს დიაგნოსტიკისა და მკურნალობის იმ მეთოდის უნიკალურობა, რაც ამ კლინიკაშია დანერგილი ამის შესახებ სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრის დამფუძნებელს, ბატონ იგორ ღვინჯილიას გავესაუბრეთ.**

# სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „ანტროპოსი" – გულ-სისხლძარღვთა სისტემის ექსპერტული უნიკალური მეთოდი

**– ბატონო იგორ, თქვენი კლინიკა ერთადერთია საქართველოში, სადაც დანერგილია დიაგნოსიკისა და მკურნალობის უნიკალური მეთოდი „ანტროპოსი". რას წარმოადგენს ანტროფიზიოლოგიური მიდგომის არსი?**

– ეს მეთოდიკა ფართოდაა დანერგილი ევროპულ ქვეყნებში. ჩვენი კლინიკაც რამდენიმე წელია ამ მეთოდით მუშაობს. კომპიუტერული დიაგნოსტიკური სისტემა „ანტროპოსით" გამოკვლევა საშუალებას გვაძლევს განვახორციელოთ ჯანმრთელობის ექსპერტიზა, განვახორციელოთ გულის და სისხლძარღვების სრული დიაგნოსტიკური გამოკვლევა, ობიექტური შეფასება და ანალიზი. ამ მეთოდით გამოკვლევისას შესაძლებელია, გამოვავლინოთ ,,დაფარული" მდგომარეობა, რომელიც მიუწვდომელია სხვა სტანდარტული გამოკვლევის მეთოდებისთვის; განვსაზღვროთ გულ-სისხლძარღვთა სისტემის ,,სუსტი წერტილები" მათ გამოვლენამდე; გამოვიყენოთ რეკომენდაციები, რომლებიც აამაღლებს სპეციალური მკურნალობის ეფექტს; განვახორციელოთ პერიოდული კონტროლი ადამიანის ჯანმრთელობაზე; შევიტანოთ კორექტირება კომპლექსურ მკურნალობაში, ცხოვრების პირობებში.

დიაგნოსტიკური სისტემა: „ანტროპოსი," სხვა თანამედროვე გამოკვლევის მეთოდებისგან განსხავავებით, გვაძლევს საშუალებას, „დავინახოთ" ორგანიზმის დაძაბული მდგომარეობა დაავადების განვითარებამდე. შესაბამისად, შეგვიძლია, თავიდან ავიცილოთ დაავადების პროგრესირების საფრთხე და საშუალება არ მივცეთ შემდგომი პათოლოგიების განვითარებას. თუ მეთოდმა უკვე გამოავლინა ჩამოყალიბებული დაავადება, „ანტროპოსი" გვაძლევს საშუალებას, უფრო ზუსტად შევარჩიოთ მედიკამენტური მკურნალობა და ავამაღლოთ მკურნალობის ეფექტი.

ახლა რაც შეეხება თავად მეთოდის უნიკალურობას, ამასთან დაკავშირებით მოგახსენებთ. ყველასთვის კარგადაა ცნობილი, რომ ადამიანს გააჩნია სიცოცხლის უნარიანობის ორი პოზა: ვერტიკალური (დამდგარი, დამჯდარი) და ჰორიზონტალური (მწოლიარე). თანამედროვე მედიცინა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევას აწარმოებს მხოლოდ ერთ, მწოლიარე მდგომარეობაში და არ ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ ადამიანი ვერტიკალური არსებაა და ცხოვრების მეტ ნაწილს ატარებს სხეულის ვერტიკალურ მდგომარეობაში.



**ამ მეთოდით ხდება ყველა მაგისტრალური სისხლძარღვის გამოკვლევა და სისტემის ფუნქციური მდგომარეობის ზუსტი დადგენა**

ყველა იმ დაავადებების დაახლოებით 90 %, რომლებიც ჩვენ ასე გვაშინებს (ინფარქტი, ინსულტი) ძირითადად განვითარდება ვერტიკალურ მდგომარეობაში. „ანტროპოსის" ანტროპო-ფიზიოლოგიური მიდგომის არსი ორიენტირებულია ადამიანზე, ვერტიკალურ მდგომარეობაში, შესაბამისად, კლინიკაში გამოკვლევა ხდება ორ პოზიციაში – ვერტიკალურ და ჰორიზონტალურში. ასეთი მიდგომა აფართოებს ინფორმაციას პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ და გვეხმარება, სწორად მივუდგეთ და შევარჩიოთ მკურნალობის ტაქტიკა.

**რატომ ემართებათ ადამიანებს ინსულტი, ინფარქტი უფრო ხშირად, ფეხზე დგომისას**

**– ასე მნიშვნელოვანია დიაგნოსტირება ორ სხვადასხვა პოზიციაში? ვერტიკალურ მდგომარეობაში ჩატარებული დიაგნოსტიკა უფრო ზუსტ და სრულფასოვან ინფორმაციას იძლევა?**

– მწოლიარე და ვერტიკალურ პოზიციაში ორგანიზმის ფუნქციური მდგომარეობა რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისგან. ამიტომ, გამოკვლევა და დიაგნოსტიკა მარტო ერთ ტრადიციულ პოზაში (მწოლიარე) იქნება არასწორი. ასეთი გამოკვლევის შემდეგ დანიშნული მკურნალობა კი – არაეფექტური. ადამიანები დღე-ღამის განმავლობაში უმეტეს დროს ვატარებთ ვერტიკალურ მდგომარეობაში – ვსწავლობთ, ვმუშაობთ, ვთამაშობთ. ჩვენი სასიცოცხლო ფუნქციების შესრულება ამ პოზაში, ვერტიკალურ მდგომარეობაში ხდება. სამწუხაროდ, ბევრი მკურნალობას იტარებს არა საწოლში – მწოლიარე მდგომარეობაში, არამედ ფეხზე დგომისას. ვიღებთ მედიკამენტებს და არ ვითვალისწინებთ, რომ პრეპარატები მნიშვნელოვან ცვლილებებს გულსა და სისხლძარღვებზე ახდენს; რომ გულსისხლძარღვთა სისტემის მუშაობა მწოლიარე და ვერტიკალურ მდგომარეობაში ძირეულად განსხვავდება ერთმანეთისგან. შეიძლება, ვინმეს გაუჩნდეს შეკითხვა – ჩვენ ჩაგვიტარეს გამოკვლევა მწოლიარე მდგომარეობაში, მედიკამენტებს კი ვიღებთ ვერტიკალურ მდგომარეობაში, ეს რაიმე გავლენას ახდენს ორგანიზმზე? ამასთან დაკავშირებით გეტყვით, რომ ეს მნიშვნელოვანი მომენტია იმისთვის, მიხვდეთ რამდენად აუცილებელია სრულად მივიღოთ დიაგნოსტიკური ინფორმაცია ავადმყოფობის შესახებ ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ მდგომარეობაში. ამასთან, ერთი და იგივე მედიკამენტური და არამედიკამენტური მოქმედება იწვევს სრულიად განსხვავებულ ეფექტს ორ სხვადასხვა მდგომარეობაში. ადამიანის ორგანიზმზე სწორედ ასეთ მიდგომას საფუძვლად დაედო კომბინირებული დიაგნოსტიკური სისტემა „ანტროპოსის" დანერგვა. ამ მეთოდით ხდება ყველა მაგისტრალური სისხლძარღვის გამოკვლევა ორ ძირითად პოზაში, რაც საშუალებას გვაძლევს, სრული შეფასება მიეცეს გულ-სისხლძარღვთა სისტემის ფუნქციურ მდგომარეობას.

**– რა პროფილის პაციენტები მკურნალობენ თქვენთან?**

– ჩვენი პაციენტები არიან ადამიანები, რომელთაც აქვთ ჩივილები, მაგრამ ობიექტურად არ არის გამოვლენილი. ადამიანები, ერთი შეხედვით პრაქტიკულად ჯანმრთელნი, რომელთაც უწევთ აქტიური მუშაობა, აქვთ ფიზიკური დატვირთვა და გადაღლა. ჩვენი პაციენტები არიან ისინი, რომელთაც აღენიშნებათ გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, ჰიპერტონია, იშემიური დაავადებები, არტერიული და ვენური სისხლის მიმოქცევის დაქვეითება. ასევე, ძალიან დიდია ეფექტურობა გულ-სისხლძარღვთა სისტემის გამოკვლევისას ორსულ პაციენტებთან. მეთოდი გვაძლევს საშუალებას მათ მივცეთ ზედმიწევნით კომპეტენტური და დეტალური კონსულტაციები, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე გვაქვს პათოლოგიურ ორსულობასთან.

**თამუნა ნიჟარაძე**

ჩვენ ყოველთვის მზად ვართ დაგეხმაროთ!

ინფორმაციისთვის დარეკეთ: 2 74 61 00: 5 71 74 61 00.
მისამართი: თბილისი, მეტრო „ისანთან", ნავთლუღის ჩიხი №9.

**სანიმუშო ქართველი მამაკაცის, შვილის, მეუღლის იმიჯი ხელის ერთი მოსმით გაანადგურა, როცა ცოლს „უღალატა“ და სრულიად საქართველოს ქალბატონების რისხვა დაიმსახურა... თუ მისი გმირი „ტიპურ“ ქართველობას „აწვება“ და „ღვინო, დუდუკი, ქალების“ სტერეოტიპს წარმატებით აგრძელებს, რეალურ ცხოვრებაში ლევან ყოჩიაშვილი ქართველი კაცის ბევრ უარყოფით თვისებას ხედავს... ბევრი რამ არ მოსწონს და დარწმუნებულია, რომ ქართველები ათეული წლების წინ გაცილებით უკეთესნი ვიყავით...**

# რატომ არ სჯერა ქართველების სიზარმაცისა და მექალთანეობის ლევან ყოჩიაშვილს და რატომ ვეღარ იქცევიან საქართველოში რაინდულად

**ლევან ყოჩიაშვილი**: ვერ ვიტყვი, რომ ქართველები ვინმეზე ბევრად ცუდები ან ბევრად კარგები ვართ. ვფიქრობ, რაიმე იშვიათი განსაკუთრებულობა არ გვახასიათებს. ქართველები ვართ – სულ ეს არის *(იცინის)*.

**– ანუ, გადაჭარბებული წარმოდგენა საკუთარ ქართველობაზე არ უნდა გვქონდეს?**

– დიახ. ამას ვგულისხმობდი. თუმცა, ნამდვილად გვქონდა რაღაც ღირსება, რაც დღეს დაიკარგა და მხოლოდ „ქართველები ყველაზე მაგრები ვართ“ ძახილით, ბევრი რამ გავაფუჭეთ. კარგი თვისებების, კარგი ტრადიციების აზრი და ფორმა შეიცვალა ცუდისკენ. ეს სამწუხარო რეალობაა, რასაც თვალებში უნდა ჩავხედოთ.

**– მაგალითად, ქართველები ვართ „მაგარი ტიპები“ – უდარდელები, ხელგაშლილები... ვამბობთ მაგარ სადღეგრძელოებს...**

– ვერ ვხვდები, რატომ უნდა იყოს ასე და რა არის ამაში საამაყო *(იცინის)*. მე არ მჯერა, რომ ჩვენი წინაპრები უდარდელად სვამდნენ სამშობლოს სიყვარულის სადღეგრძელოს და არაფერს აკეთებდნენ. მაშინ აქამდე ქვეყანა ვერ მოვიდოდა. მით უმეტეს, თუ ჩვენს ისტორიას გავითვალისწინებთ. სულ მგონია, რომ ვილაცას ძალიან დასჭირდა, რომ ქართველებს საკუთარ თავზე ასეთი წარმოდგენა შექმნოდათ. წარმოიდგინეთ, მეომარ ქართველს, სულ რომ ხმალი ეჭირა ხელში, მექალთანეობისა და სიზარმაცის დრო ექნებოდა?! თავად განსაჯეთ, შეეფერება თუ არა ეს რეალობას. მე პირიქით გეტყვით – ქართველს ყოველთვის გამოარჩევდა სიტყვა-პასუხი და ქალისადმი რაინდული დამოკიდებულება, მისი პატივისცემა. დღეს მე ამას ვერ ვხედავ. ხანდახან მამაკაცები ისე იქცევიან, მე მრცხვენია მათ მაგივრად. ნამდვილად არ ეკადრება არც ერთ კაცს ქალისადმი ასეთი დამოკიდებულება.

**– სულერთია, ქალი როგორ იქცევა?**

– სულერთია. ჯერ ერთი, განა როგორ უნდა მოიქცეს ქალი, რომ მას ისე მოექცე, როგორც მამაკაცსაც კი – შენს სწორს, არ მოექცევი. ცუდი არაფერია იმაში, რომ ქალს დაუთმობ მაშინაც კი, როცა ის რაღაცას ისე ვერ აკეთებს, როგორც საჭიროა. ზედმეტიც რომ მოგივიდეს დათმობა და პატივისცემა, ამით მხოლოდ საკუთარ ღირსებას მატებ რაღაცას. ჩემთვის ქალის ზედმეტი პატივისცემა ბევრად მისასალმებელია, ვიდრე მისი დაჩაგვრა ან დამცირება. რა მოხდა, დათმე... რა დაგაკლდება ამით. ქალის თვალში რომ ღირსეულად გამოჩენილიყვნენ, მამაკაცები თავსაც კი იკლავდნენ, მათი გულისთვის.

**– ანუ, ქარველი კაცი ღირსეულად აღარ იქცევა?**

– არა. აღარ შვრებიან ამას, ერთი-ორი გამონაკლისის გარდა. რაც, ჩემი აზრით, სირცხვილია. ახლა, რაც შეეხება ქართველის სიზარმაცეს. ქართველობა სიზარმაცესთან არაფერ შუაშია. ადამიანები ზოგადად არიან ან ზარმაცები, ან შრომისმოყვარეები. ჩვენ რომ ზარმაცები ვყოფილიყავით – ერს ვგულისხმობ, აუცილებლად გადავშენდებოდით.

**– შენი გმირი – დათო, ტიპური ქართველი მამაკაცია – ნაკლოვანებებისა და მახინჯი სტერეოტიპების სრული ნაკრები.**

– *(იცინის)* ვაიმე, რატომ? არ არის ცუდი კაცი. კარგი მამაა, კარგი შვილია... კარგი მეზობელი და კარგი მეგობარი. ჰო, ცოლთ-



როგორ შეიძლება ღალატი „მოსული“ იყოს. დაუშვებელია ყველანაირად. ნუ იქნები მაშინ მასთან და რაც გინდა, ის აკეთე

ან ნამდვილად შეეშალა, რაშიც არ ვეთანხმები. არც იმაში ვეთანხმები, რომ ქალმა არ უნდა იმუშაოს. რატომ აქვს ამაზე „გაჭედილი“, ვერ ვხვდები.

**– იმიტომ, რომ ქართველი კაცების უმრავლესობას ცოლი უნდა „კუხნაში“.**

– მერე რატომ, რატომ? მიეცი საშუალ-

**სისულელეა იმის მტკიცება, რომ, თუ ქართველი ხარ, აუცილებლად უნდა გიყვარდეს ფეხბურთი**

ება ადამიანს, გამოავლინოს თავისი შესაძლებლობები, აკეთოს ის საქმე, რაც კარგად გამოსდის და კარიერაც გაიკეთოს, რატომაც არა?! შენ რაში უნდა შეგიშალოს ამან ხელი? ბოლოს და ბოლოს, მისმა მშობლებმა მისცეს განათლება, ჩადეს შვილში ინვესტიცია. არავის აქვს უფლება, მეორე ადამიანს საკუთარი თავის რეალიზება აუკრძალოს. ძალიან მეშლება ნერვები დათოზე, ცოლს მუშაობას რომ უშლის.

**– საყვარელი რომ ჰყავდა, მაგაზე ძალიან არ აგშლია ნერვები?**

– *(იცინის)* შეეშალა... ისე, მე მართლაც სტერეოტიპების „ბუკეტი“ გამოვდივარ. როგორ ჩამომეშალა ხუხულასავით იმიჯი?! მოქეიფე, კარგი მსმელი, კარგი მჭამელი... ცოლს მუშაობას ვუშლი, პლუს საყვარელიც მყავს... უჰ, ეს როგორ შეიძლება...

**– ანუ, „რა მოხდა, კაცს თუ საყვარელი ჰყავს,“ არ მოსულა?**

– არა, რა თქმა უნდა. როგორ შეიძლება ღალატი „მოსული“ იყოს. დაუშვებელია ყველანაირად. ნუ იქნები მაშინ მასთან და, რაც გინდა, ის აკეთე... მოკლედ, რა შემრჩა საბოლოოდ ხელში მას მერე, რაც გავარკვიეთ, რომ დათომ ყველაფერი იკადრა? *(იცინის)* კარგი შვილია თავისი მშობლების... რაც არ არის საკმარისი ქართველი ღირსეული მამაკაცისთვის...

**– რომელსაც, თუ კაცია, აუცილებლად უნდა უყვარდეს ფეხბურთი...**

– კიდევ ერთი „საშინელი“ ნაკლი მომიძებნეთ, ჰო? დასდევს სანყალ ბავშვს, მითხარი, რატომ არ გიყვარს ფეხბურთიო. რა თქმა უნდა, სისულელეა იმის მტკიცებაც, რომ თუ ქართველი ხარ, აუცილებლად უნდა გიყვარდეს ფეხბურთი.

**– ლევან, რა გვაკლია ყველაზე მეტად, რაც, შენი აზრით, ჩვენც გვიშლის ხელს ქართველობაში და ქვეყანაც არ მიჰყავს წინ?**

– ერთმანეთის მიმართ თანაგრძნობა და პასუხისმგებლობა გვაკლია ყველაზე მეტად. მე მაინც ეს ორი რამ მგონია ჩვენი კარგად არყოფნის მიზეზი. ჩვენ რომ ერთმანეთის გასაჭირი გვტკიოდეს, ჩვენ რომ ერთმანეთის გვესმოდეს, ჩვენ რომ ერთმანეთისა და ქვეყნის მიმართ პასუხისმგებლობა გვქონდეს, ამ პაწაწინა ქვეყანაში ამდენი ღარიბი და მშიერი ბავშვი არ იქნებოდა. არც პატიების უნარი გვაქვს. სულ ელემენტარულსაც კი, რაც შეიძლება, შენც დაგემართოს, არაფრით პატიობ სხვას. განა, რამდენი ვართ სულ... ან ჩვენი ქვეყანა რამხელაა... ოთხი დღე გეყოფა, რომ თავიდან ბოლომდე შემოუარო. სულ იმას გავიძახით, ცოტანი ვართ, ცოტანი ვართო და ეს ცოტანიც კი ვერ მოვრიგებულვართ ერთმანეთში. არადა, ამ სიცოტავეს უფრო უნდა შევეკარით და გავეერთიანებინეთ... რატომღაც ეს არ გამოგვდის. ერთმანეთს ანგარიშს არ ვუწევთ და იმიტომ. შეიძლება, სამშობლოც არ გვიყვარს ისე, როგორც უნდა გვიყვარდეს. საკმარისია, დააკვირდე, როგორ ვიქცევით ქუჩაში, რომ დარწმუნდეთ – ჩვენ ჩვენს ქვეყანას პატივს არ ვცემთ, არც საკუთარ ქართველობას, სამწუხაროდ.

კიდევ, რაც ძალიან მაწუხებს, ბილწსიტყვაობაა... ყველა სიტყვის შემდეგ... ყველა ფრაზაში, ისეთ რაღაცას გაიგონებ, კაცი ვარ და მრცხვენია. რა არის ეს, ვერ ვხვდები. შეიძლება, დაუსრულებლად, ყველგან და ყველასთან იგინებოდე? ქალთან, კაცთან, ბავშვთან... უფროსთან თუ უმცროსთან... მიზეზით თუ უმიზეზოდ... არადა, არ ვიყავით ქართველები უკულტუროები და უზრდელები... თბილები ვართ, მოსიყვარულეებიო, რომ გავიძახით, რაღაცაში ხომ უნდა გამოჩნდეს ეს?!

**ნინო წულუკიძე**

**ცოტა რამ არაბული ქვეყნების ტრადიციების ცხოვრების შესახებ.**

**„1001 ღამის“ თანამედროვე რეალობა და ერთი ქართველის თავს გადახდენილი სიყვარულის ისტორია, რომელიც ქვეყნიდან გაძევებით დასრულდა.**

# როგორ აწამებენ არაბი შეიხების ცოლები ერთმანეთის შვილებს და როგორ გადაურჩა ქართველი ბიჭი იემენში დახვრეტას

**– ბევრი საინტერესო ისტორია გაქვს მოსაყოლი და, როგორც დაგპირდი, სახელ-გვარის გარეშე ჩავწერთ ინტერვიუს. რომელ ქვეყანაში იყავი და რა მისიით?**

– 2007 წელს სამუშაოდ იემენის რესპუბლიკაში წავედი. ეს არის ღრმა არაბული სახელმწიფო, თავისი უმკაცრესი რელიგიური და კულტურული მემკვიდრეობით, სადაც ტრადიციებს დღემდე უმკაცრესად იცავენ. მოსაზღვრე ქვეყნებია: ომანი, ეთიოპია და სომალი. სხვათა შორის, ჩემი იქ ყოფნის პერიოდში სომალელმა მეკობრეებმა ადენის ყურეში გემი დააკავეს, სადაც ქართველებიც იყვნენ და ჩვენი ტელევიზიები ხშირად აჩვენებდნენ ხოლმე ახალ ამბებში. ზოგადად, რთული რეგიონია. სხვათა შორის, ბინ ლადენი იემენში იმალებოდა ზუსტად ჩემი იქ ყოფნის პერიოდში. ამბობდნენ, მას პრეზიდენტი ალი აბდალაჰ სალეჰი მალავსო. გაოგნებული ვუსმენდი ადგილობრივებს, როცა ბინ ლადენზე და მის დაჯგუფებაზე როგორც გმირებზე, ისე მელაპარაკებოდნენ. ერთხელ ვთქვი, ჩემს ქვეყანაში ტერორისტებად ითვლებიან-მეთქი და, ცოტას გადავრჩი, არ მიმახვრიტეს.

**– ანუ, ბინ ლადენი ტერორისტად არ მიაჩნიათ?**

– ისინი ამბობენ, რომ ის გმირია; თან, ყველას არ აქვს პატივი, თვითმკვლელი კამიკაძე იყოს, რადგან, ეს მხოლოდ რჩეულთა ხვედრია. სიტყვა „ტერორისტი” მათი ლექსიკონიდან ამოღებულია. მე მახსოვს, ერთ დილას გამოვედი ქუჩაში და მთელი ქალაქი აჭრელებული იყო ვიღაცის ფოტოებით. აღმოჩნდა, თვითმკვლელი, რომელმაც სადღაც თავი აიფეთქა და პლაკატები გააკრეს მისი გამოსახულებით, როგორც გმირის, რომ ყველას ენახა მისი სახე. პირველად რომ ჩავედი და იარაღგადაკიდებული ბავშვები დავინახე, ვიფიქრე, სათამაშო თოფებია-მეთქი. თავიდან ძალიან დაძაბული ვიყავი, მაგრამ, მერე „ფესვები გავიდგი”. მართალია, ადგილობრივის იერი არ მქონდა, თუმცა, თავისიანად აღმიქვამდნენ და არაბულად მიწყებდნენ საუბარს.

**– როგორ გაუძელი ერთი წელი ასეთ გარემოს?**

– თავიდან მიჭირდა, მაგრამ მერე მივეჩვიე, ადვილად ავუწყვე ფეხი მათ ცხოვრებას – ვიცვამდი მათ ნაციონალურ ტანსაცმელს, ვღეჭავდი ნარკოტიკს, რომელიც ამ ქვეყანაში ნარკოტიკად არ ითვლება. სხვათა შორის, მსოფლიოში ერთადერთი ქვეყანაა, სადაც ეს მცენარე ხარობს და ნარკოტიკთა სიაში არ შედის; ის კი არა, არასრულწლოვანებისთვისაც დაშვებულია.

**– მახსოვს, ადრე ამბობდი, ტერორისტებთანაც ვმეგობრობდიო, ეს სიმართლეა?**

– პირობითად, მე ყველას „ტერორისტს” ვეძახდი. ერთი მეგობარი მყავდა, ოსამა ერქვა და, შესაბამისად, „ბინ ლადენი” შევარქვი. ტელეფონშიც, მისი ნომერი ოსამა ბინ ლადენის სახელით მაქვს შეყვანილი. მაგრამ, იემენელებიდან, ვისთანაც ვმეგობრობდი, ზოგი უბნის მაყურებელი იყო, ზოგი – ქალაქის, აი, ჩვენში „შავებს” რომ ეძახიან, ისეთები, ოღონდ, შეიხის შვილები და სერიოზული, გავლენიანი ხალხი იყო, ვიღაც პაცნები კი არა.

**– ეს შეიხები რა ფენომენია? ამბობენ, რომ ზოგი მათხოვარს ჰგავსო...**

– დიახ, მართალია. ყოველ შემთხვევაში, იემენში ვერც ერთს ვერ შეატყობ, რომ შეიხია. მე ვცხოვრობდი შეიხის სასახლის გვერდით. ადამიანი, რომელსაც სალამს ვეუბნებოდი და ზოგჯერ ვლაპარაკობდით კიდეც, სასახლის მოჯამაგირე მეგონა, სანამ მისი ერთ-ერთი ცოლი არ გავიცანი. სუპერმარკეტში, სრულიად მოულოდნელად, ვიღაც გოგოს ჩემი პიჯაკი მოეწონა და მკითხა, სად იყიდეო. გავიმარიაჟე – დიზაინერი ვარ და ჩემი შეკერილია-მეთქი და, იმ ჩადრში დავინახე, თვალები როგორ გაუბრწყინდა. ამ ქალმა მითხრა, ჩემი ქმარი ამ უბნის შეიხიაო და, მთხოვა, მისთვის სტილი შემერჩია და ტანსაცმელი შემეკერა.

**– ტყუილში გამოგიჭირეს?**

– ქართველი რისი ქართველია, ვინმემ ტყუილში გამოიჭიროს?! მე იმან უფრო შემაშინა, რომ, ქალებს, როგორც წესი, აკრძალული აქვთ კაცთან საუბარი, მით უმეტეს – უცხოელთან და სახალხოდ. მაგრამ ჩემი მეზობელი აღმოჩნდა და, გავყევი სახლში. სანამ მივედით, გადარეკა და გავიგე, როგორ უთხრა – ქართველი დიზაინერი მომყავსო და, უფრო „დავიზმენდი”, ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, ეს „მოჯამაგირე” აღმოჩნდა შეიხი. მეორე დღეს მდიდრების „შოპინგ მოლში“ წავედით, ვაყიდვინე ყველაფერი, რაც კი მომეწონა; ჩემთვისაც შემარჩევინა ბრენდული ტანსაცმელი და მიყიდა, 500 დოლარიც გადამიხადა და ამის შემდეგ, პერიოდულად, გარდერობის განახლებაში ვეხმარებოდი ხოლმე.



**– შეიხებს რამდენი ცოლის ყოლის უფლება აქვთ?**

– შეიხებს კი არა, ნებისმიერს შეუძლია ოთხი ცოლი ჰყავდეს, მაგრამ, მრავალცოლიანობა ფინანსებზეა დამოკიდებული, ამიტომ, ბევრი ცოლი მხოლოდ მდიდრებს ჰყავთ. შეიხი – წოდებაა, რომელსაც ადამიანი მემკვიდრეობით იღებს ან სახელმწიფო ანიჭებს, ანუ, ჩვენს ენაზე, ბატონია. ოღონდ, ოთხი ცოლის ერთ სახლში ცხოვრება – ეს არის „მეორედ მოსვლა”. ცოლები ერთმანეთს რომ ამწარებენ, გასაკვირი არ არის, მაგრამ, ერთმანეთის შვილებს ხან ადუღებულ ჩაის ასხამენ და ფუფქავენ, ხან ცემაში ხდიან სულს. ეს გოგო, რომელიც გავიცანი, მეოთხე ცოლი იყო, თან, ყველაზე ახალგაზრდა – 29 წლის და, ისეთებს ყვებოდა, თვალები შუბლზე ამდიოდა.

> **მსოფლიოში ერთადერთი ქვეყანაა, სადაც ეს მცენარე ხარობს და ნარკოტიკთა სიაში არ შედის, ის კი არა, არასრულწლოვანებისთვის დაშვებულია**

**– სექსის პრობლემა თუ არის ასეთ ჩაკეტილ ქვეყნებში?**

– პირველ ხანებში – ფანტაზიითა და მარჯვე ხელებით „ვშრომობდი”, მაგრამ, მერე ჩვეულებრივი „1001 ღამე“ იყო. ამგვარ ქვეყნებში ისეთი გართობაა, თვით კაზანოვასა და ეკატერინეს შეშურდებოდათ, ოღონდ, „შებმის” მაგარი მეთოდი აქვთ, რომლის დამკვიდრება საქართველოში ვცადე, მაგრამ, არ გამომივიდა: ბლუთუსზე უთითებ ნომერსა და სქესის ნიშანს – m ან f, ანუ, კაცი ხარ თუ ქალი; როცა „სერჩავ”, ავტომატურად გიგდებს კონტაქტს; მერე უგზავნი შენს სურათს და ასე იწყება რომანი.

**– ქორწინების ტრადიცია როგორი აქვთ?**

– ეს მთელი რიტუალია. ქორწილს ცალ-ცალკე იხდიან, ისე, რომ ერთმანეთი ნანახიც არ ჰყავთ; გოგო ცალკე ზეიმობს, ბიჭი – ცალკე, მაგრამ, ქორწილამდე დიდი და რთული გზაა გასავლელი. ალბათ, ყველამ იცის, რომ არაბულ ქვეყნებში ცოლს ოფიციალურად ყიდულობენ, ოღონდ, გააჩნია კაცის შესაძლებლობებს და ქალი რამდენად არის ნაჭამ-ნასვამი. თუ ქალს კარგი ოჯახი აქვს და კარგად არის გაზრდილი, უფრო მეტი ფასი აქვს, თუმცა, მოსახლეობის უმრავლესობას ვალებით მოჰყავთ ცოლები. საბანკო სისტემის განვითარებასთან ერთად, ალბათ, ცოლები უკვე განვადებითაც არის. ვხუმრობ, მაგრამ, ბევრი მართლა ნასესხები ფულით ყიდულობს ცოლს და ყიდვა მთელი შემოქმედებითი პროცესია, როცა ბიჭის მშობლები მიდიან გოგოს მშობლებთან და იწყება ვაჭრობა. არ დაგავიწყდეთ ისიც, რომ, შეიძლება, ვაჭრობა მიდიოდეს ისე, რომ გოგო არც ბიჭს და არც მის ოჯახს ნანახი არ ჰყავდეს და წუნი სახლში მიყვანის შემდეგ აღმოუჩინონ. თუკი ბიჭის დედა მოისურვებს, გოგო ძაძების გარეშე ნახოს, ეს ცალკე გადასახადია და, ვისაც „შემოწმების” ფული არ აქვს, ხშირად მოტყუებულიც რჩება, რადგან, გაყიდულ ქალს უკან აღარ იბრუნებენ.

**– ამ ყველაფერს სერიოზულად ყვები თუ ხუმრობ?**

– როცა მიყვებოდნენ, რა როგორ ხდება, მეც შეჰერაზადას ზღაპრები მეგონა, მაგრამ, სრული სიმართლეა. მაგალითად, მდიდრები აქლემებით აფასებენ თავიანთ ქალიშვილებს. იშვიათია, მაგრამ, არის შემთხვევები, რომ 4-5 აქლემად შეუფასებია ოჯახს ქალიშვილი და გაუყიდია კიდეც, ანუ, გააჩნია „ნავაროტკებს“ *(იცინის)* – რამდენი ენა იცის, რა განათლება აქვს, როგორი აღნაგობის არის, რამდენად ჯიშიანია და შეუძლია თუ არა ბევრი შვილის გაჩენა და ასე შემდეგ...

**– აქლემი შეფასების უმაღლესი კრიტერიუმია?**

– არის აქლემები, რომლებიც 20 ათასიდან 80 ათასამდე ღირს გარიგების პირობებში ქეციანი აქლემები არ იგულისხმება და, რაც მთავარია, შეიძლება ისე შედგეს პირველი ღამე, რომ ბიჭს სახეც არ აჩვენოს გოგომ. მეორე დღეს მხოლოდ დედამთილს აქვს უფლება, სახეზე შეხედოს რძალს და მხოლოდ მესამე დღეს ხდება ჩადრის მოხსნა ოჯახის უფროსისთვის, ანუ მამამთილისთვის.

**– საინტერესოა, შეყვარებულობის პერიოდი როგორია, ან, ბიჭს როგორ უყვარდება, თუკი სახეც არ იცის, როგორი აქვს?**

– თვალებით და ინტუიციით უყვარდებათ. ის კი არა, მეც შეყვარებული ვიყავი გოგოზე, რომლის სახე არასდროს მენახა და, ამ სიყვარულმა ისეთი პრობლემები შემიქმნა, რომ გამოსაქცევად გამიხდა საქმე. რაც მქონდა, ყველაფერი მივატოვე და ქვეყნიდან გამომაპარეს.

**– ოჯახმა გაიგო თქვენი ურთიერთობის შესახებ?**

– ჩვენ სექსი კი არა, კოცნითაც არ გვიკოცნია ერთმანეთისთვის, პლატონურად მიყვარდა და არც ის იყო გულგრილი ჩემ მიმართ, მაგრამ, ვიღაცამ ცუდად მიუტანა ამბავი მამამისს. ოღონდ, მამა არ იყო უბრალოდ მდიდარი მამა, ზემდიდარი, თან, ძალიან ცნობილი ოჯახი იყო. გამიმართლა, რომ კარგი სანაცნობო წრე მყავდა, რომლებიც ჩავრიე და არ მოაკვლევინეს ჩემი თავი, მაგრამ, 48 საათში ქვეყნის დატოვება და კომპანიის კონტრაქტის გაწყვეტა მომიწია, რის გამოც, ჯარიმის სახით, 5 000 დოლარი ჩამომაჭრეს ანგარიშიდან და ამის შემდე კომპანიამ არც ერთ პროექტზე აღარ დამასაქმა.

**რომან საყვარელიძე**

**ლაშა ჯოხაძე თბილისში დაიბადა და გაიზარდა, იგი 28 წლისაა. მისი კარიერული წინსვლა, ჯერ კიდევ, სამხატვრო აკადემიაში სწავლისას დაიწყო. დაბრკოლებების მიუხედავად, ბავშვობაში დასახულ მიზანზე ხელი არასოდეს აუღია. როგორც თავად ამბობს, პატარაობიდანვე იცოდა, რისი გაკეთებაც უნდოდა. ხატავდა ძალიან ბევრს და ხშირად მისივე დახატულ სამყაროში ცხოვრობდა. ლაშას დაუღალავმა შრომამ, შედეგი გამოიღო, ის დღეს ერთ-ერთი წარმატებული დიზაინერია. ლაშა ყოველთვის ცდილობს, ინდივიდუალური და ექსკლუზიური სამოსი შექმნას.**

# რა არ მოსწონს ლაშა ჯოხაძეს ქართველი მოდელების და რატომ დათანხმდა ის „ცეკვავენ ვარსკვლავების“ კონტრაქტს

**ლაშა ჯოხაძე**: ბავშვობიდანვე ვიცოდი, რა მინდოდა, რა უნდა გამეკეთებინა ცხოვრებაში. არ ვგავარ მათ, ვინც ერთ რაღაცას დაიწყებენ და შემდეგ სხვაგან ეძებენ ბედს. ზუსტად ვიცოდი, რომ მინდოდა ის, რასაც ვაკეთებ. არ მიფიქრია, თუ რა პროფესიის უნდა ვყოფილიყავი. არც ოჯახის წევრების რჩევით გავმხდარვარ დიზაინერი. ბევრი დაბრკოლებაც იყო, ვიწვალე კიდეც, მარტივად აქამდე არ მოვსულვარ, მაგრამ შევძელი. მქონდა მომენტი, როცა ოჯახის წევრების წინააღმდეგობაც ყოფილა. მეუბნებოდნენ, ეს მარტივი სფერო არ არის და შესაბამისად, თავის დამკვიდრებაც გაგიჭირდებაო. მაგრამ არ მეშინოდა, გულით თუ რამეს ისურვებ, ის აუცილებლად გამოგივა. დაბრკოლებას ყოველთვის შეხვდები, ზოგს ყურადღება არ უნდა მიაქციო, ზოგზე კი აუცილებელია რეაგირების მოხდენა. დავამთავრე თუ არა სკოლა ჩავაბარე კულტურისა და ხელოვნების კოლეჯში, შემდეგ – სამხატვრო აკადემიაში. ვიყავი ძალიან წყნარი და მშვიდი ბავშვი. მიყვარდა ფანჯარასთან ხატვა. აკადემიიდან წავედი იტალიაში. იქ გავიარე მოკლე კურსი და ჩამოვედი საქართველოში.

– **როდის გამოჩნდით პირველად მოდის სფეროში?**

– ვერ ვიტყვი, გამოვჩნდი–მეთქი. დღესაც არ ვჩანვარ. არ ვარ ეპატაჟური. არ მიყვარს, როცა ძალით იქმნიან იმიჯს და საზოგადოების განცვიფრებას ცდილობენ, ყურადღების მიქცევის მიზნით. შესაძლებელია, ძალიან ჩვეულებრივი გზით მიაღწიო წარმატებას.

– **თქვენც ჩვეულებრივი გზით მოხვედით დღემდე?**

– კი ნამდვილად. იმ დროისთვის სერიოზული ჩვენებები არ მქონია, მაგრამ ამ ელემენტარულმაც ბევრი რამ მომცა. თუნდაც კონტაქტები, გავიცანი ადამიანები. ოჯახის წევრები მეუბნებოდნენ: რატომ წვალობ და ათენებ ღამეებს, რას მოგიტანს ეს ყოველივეო. განსაკუთრებით ხშირად, დედა მეუბნებოდა მსგავს რაღაცეებს ***(იცინის).*** ეს ის პერიოდი იყო, ტაქსის ფული რომ არ მქონდა, მაგრამ ფეხითაც ძალიან კარგად დავდიოდი, მხარზე კოსტიუმების ჩანთა მქონდა გადაკიდებული და მაინც არ ვნდებდებოდი.

– **პირველად ვინ შეგამჩნიათ?**

– ასე, კონკრეტულად, არავის შევუმჩნევივარ. აკადემიიდან დაიწყო ჩემი წარმატებები და მერე იყო სხვადასხვა პროექტი: ფილმები, სერიალები, რეკლამები. ვმუშაობდი ფილმ „მანდარინებისთვის“, სერიალ „დეტექტივებისთვის“. ცნობილი რეჟისორის, მიშელ ჰაზანავიჩუსის ფილმ „ძიების“ მასობრივი სცენების კოსტიუმების მხატვარი ვიყავი. არ ვიცვლი სტილს, სულ კოსტიუმებზე ვმუშაობ. არავინ დამხმარებია დღემდე, აქამდე ჩემით მოვედი. ამ ეტაპზე მაქვს ხელშეწყობა.

– **რა დახმარებასა და ხელშეწყობას გულისხმობთ?**

– ფინანსურ დახმარებას. მაღაზია ძალიან დიდ თანხებთანაა დაკავშირებული. მადონა ჯიქიას დამსახურებაა, რომ დღეს ამ ეტაპზე ვარ. სამი თვეა, რაც საკუთარი მაღაზია გავხსენი.

– **ბევრი კონტრაქტი გქონიათ, ახლახან „ცეკვავენ ვარსკვლავებთან“ გააფორმეთ ხელშეკრულება. ეს ყველაზე სერიოზული შემოთავაზება იყო თქვენთვის?**

– ვიდრე კონტრაქტს გავაფორმებდი, მანამდე, „ცეკვავენ ვარსკვლავებს“ უბრალოდ დავეხმარე რამდენიმე კოსტიუმის შექმნაში. მეოთხე სეზონზე პრომოზე გადავინაცვლე და ახლა უკვე, მეხუთე სეზონზე – უფრო გავიმყარე ადგილი. ძალიან რთულია, ენდო ადამიანს. ამიტომ, ყოველთვის ინტერესდებიან გამოცდილებით, რა გაქვს გაკეთებული, რას შეძლებ. არ არის ეს მარტივი პროექტი, რომ გითხრან, მოდი, იმუშავეო. რატომაც არა, – ვიტყვი, ეს ხომ ერთ-ერთი, სერიოზული და საუკეთესო შემოთავაზებაა. ჩემთვის საინტერესოა, ყოველი შემთხვევისთვის. როგორც კი შემომთავაზეს, უარი არ მითქვამს, მაშინვე დავთანხმდი.



**ამ დროს რა მოხდა, არ ვიცი, გავითიშე. ნახატსაც არ ვაყოლებდი თვალს, მხოლოდ ერთ წერტილს ვუყურებდი. მდგომარეობიდან რომ გამოვედი ვენერა დახატული მქონდა**

– **დიზაინერის თვალი მაინც სხვაა და როგორ მოგწონთ ქართველების ჩაცმის სტილი?**

– გემოვნებით იცვამენ, მაგრამ ერთი ძალიან ცუდი თვისება აქვთ – რასაც ერთი ჩაიცვამს, შემდეგ მთელი თბილისი ისე დადის. ეს არ მომწონს და ჩემთვის ცოტა გამაღიზიანებელია. ინდივიდუალურობას კარგავენ. შეიძლება, საერთოდ არ უხდებოდეს, მაგრამ სხვაზე, რომ მოსწონს თავადაც იგივეს იცვამს, ეს მიბაძვა ძალიან ცუდია.

**ერთი თუ გაღიარებს და იტყვის, რომ კარგი ხარ, ესე იგი, მართლა ასეა. საქართველოში სხვის აზრს ანიჭებენ უპირატესობას**

– **რომელიმე კონკრეტულ ფერს თუ ანიჭებთ უპირატესობას?**

– ყველა ფერი საინტერესოა. ძალიან მიყვარს შაბიამნისფერი. მწვანეს და წითელს ხშირად არ ვიყნებ.

– **რა დონეზეა დღეს ქართული მოდის სამყარო?**

– ჩემი აზრი თუ გაინტერესებს, საერთოდ არ არსებობს. მოდა სულ სხვა რაღაცაა. პატარა ქვეყანაა საქართველო, ამიტომ ბაზარი არ გვაქვს. სამწუხაროდ, ვფიქრობ, რომ ვერც განვითარდება ისეთ დონეზე, როგორცაა მაგალითად: მილანში, პარიზში, ლონდონში და ასე შემდეგ. უბრალოდ, არიან დიზაინერები და აკეთებენ იმას, რაც მოსწონთ. იმ ქვეყნებში კი, რომლებიც დავასახელე, სულ სხვაგვარად მიდის, თუნდაც, მუშაობის პროცესი. ძალიან ადრე კეთდება კოლექციები თავისი კონცეფციებით, ქსოვილის დამუშავებით და ასე შემდეგ

– **თქვენი კოლექცია მასაზეა გათვლილი თუ კონკრეტული ჯგუფისთვის ქმნით სამოსს?**

– ჩემი მუშაობის პრინციპია, გავაკეთო ინდივიდუალური და ექსკლუზიური. ორ ერთნაირს, არასოდეს ვქმნი. ეს ჩემთვის უფრო საინტერესოა. მირჩევნია. ერთი ზომა იყოს და ვისაც მოერგება, მან ჩაიცვას. ექსკულუზიურად, ვინმესთვის არ ვმუშაობ. არიან ადამიანები, რომლებიც მიცნობენ, მოდიან და იკერავენ ჩემთან. ბევრი კომპლიმენტი მომისმენია, რაც მახარებს. ერთი თუ გაღიარებს და იტყვის, რომ კარგი ხარ, ესე იგი, მართლა ასეა. საქართველოში სხვის აზრს ანიჭებენ უპირატესობას. საზოგადოება ქმნის შენზე წარმოდგენას.

– **უცხოელი მოდელების შემდეგ, ქართველ გოგონებთან მუშაობა რთულია?**

– ქართველ მოდელებათან მუშაობის მთელი უბედურება იცი რაშია? მათ უნდათ ეცვათ ის, რაც უხდებათ. როცა დიზაინერი გაცმევს, ის უნდა მიიღო ისეთი, როგორიცაა. შენ გევალება სამოსის ჩვენება და არა იმაზე ზრუნვა, გიხდება თუ არა რომელიმე კაბა, ბლუზა და ასე შემდეგ. უპირველეს ყოვლისა, დიზაინერის ინტერესია, რომ მოდელს მოუხდეს ესა თუ ის სამოსი. ქართველ გოგონებს ყოველთვის აქვთ ეს მომენტი. მოდელის მოვალეობაში შედის ჩაცმა, გავლა და გამოვლა, დანარჩენზე ვზრუნავთ ჩვენ, დიზაინერები. უპირველეს ყოვლისა, მოდელმა უნდა წარმოაჩინოს კოსტიუმი. არც მოდელის პროფესიაა მარტივი, უბრალოდ, არ იციან, რა უნდა გააკეთონ.

– **რას ელოდებით ამ სფეროსგან?**

– მომწონს ახლა რასაც ვაკეთებ. აუცილებელია, პროფესიული გაზრდა და განვითარება. შეიძლება ითქვას, რომ დასაწყისში ვარ. თუმცა, მაინც წარმატებულ ადამიანად მიმაჩნია თავი. ჩემს კარიერულ წინსვლაში უფლის ხელიც ურევია. ვერ აგიხსნით, რისი თქმაც მინდა, მაგრამ ყოველ ნაბიჯზე ვგრძნობ უფლის მხარდაჭერას. ერთი ისტორია მაქვს, რის შემდეგაც დავრწმუნდი, რომ სწორ გზას მივყვები და უფალმა მომცა ეს მიმართულება. აბიტურიენტობის დროს, როდესაც აკადემიაში ვაბარებდი, რეპეტიტორთან არ მივლია, შესაბამისად, სერიოზულად არ ვიყავი მომზადებული გამოცდებისთვის. გამოცდაზე დასახატი მქონდა ვენერას ფიგურა, თან წინიდან უნდა დამეხატა, რაც ყველაზე რთულია. 8 საათში უნდა დამესრულებინა ნახატი. ოთხი, ხუთი საათი ისე გავიდა, რომ ფურცელზე მონახაზიც არ მქონდა გაკეთებული, ვერ ვხატავდი. გამოცდის დასრულებამდე დარჩენილი იყო 2 საათი. ამ დროს რა მოხდა, არ ვიცი, გავითიშე, ნახატსაც არ ვაყოლებდი თვალს,

**(გაგრძელება 41 გვერდზე)**

**მარინა ბერიძეს ცხოვრების ახალი ეტაპი აქვს – მას შემდეგ, რაც აქტიურ ასპარეზს ჩამოშორდა და მასთან ერთად პიკზე მიატოვა წარსული, სიმშვიდეს ბევრი არაფერი ურღვევს. ცოტა ალცჰაიმერი „დაიხმარა”, ცოტაც – საკუთარი ძლიერი ხასიათი და, უკვე თაროებთან ერთად, რომელზეც ცხოვრების სხვადასხვა ეტაპი შემოაწყო, საკუთარი თეზისებიც აქვს – საკუთარ თავზე გავლილი და გამოცდილი.**

# როგორ გადაიტანა მარინა ბერიძემ ცხოვრების რთული პერიოდი და ვისი ზმუილი არ აძინებს მას გამთენიისას

**მარინა ბერიძე**: როდესაც „რუსთავი 2-დან”, კერძოდ კი, ნიკა გვარამიასგან შემოთავაზება მივიღე, ეს ჩემთვის აღმოჩნდა ძალიან მიმზიდველი და დროული და უყოყმანოდ დავთანხმდი. ტელევიზია ჩემთვის უცხო ხომ არ იყო, მაგრამ, ტელეწამყვანის ამპლუა ნამდვილად იყო ახალი. ძალიან მიხარია, რომ მოვხვდი „ახალი შუადღის” ძალიან კარგ გუნდში. მე აღარ დავბრუნდებოდი იქ, სადაც ვმუშაობდი; აღარ დავბრუნდებოდი კონკურსებში; აღარ ვიქნებოდი მუსიკალური პროდიუსერი, როგორც იყო წლების განმავლობაში. ყველა ადამიანის ცხოვრებაში არის ეტაპი, რომელიც მთავრდება და უკან აღარ უნდა მიუბრუნდე. ჩემთვის ეს ეტაპი დასრულდა პიკზე, რაც ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. როგორც კი იგრძნობ, რომ პიკზე ხარ და იწყება ვიღაცეების გაუთავებელი, დაუმსახურებელი ლანძღვა, თავად უნდა დასვა წერტილი. ჩემს ცხოვრებაში ბევრი რამ დამთავრდა ერთად. მოვიდა დრო, რომ მე მაყურებლის გარდა არავინ მყავდეს ზედამხედველი. დღეს ვაკეთებ იმას, რაც ძალიან მომწონს – მე ვარ წამყვანი „ახალ შუადღეში”, მაქვს მოკრძალებული როლი და მხოლოდ და მხოლოდ ერთი მიზანი – წარვადგინო ნიჭიერი ადამიანები. არ ვარ ჩაკეტილი არც ესტრადაში, არც კლასიკაში, ნებისმიერი ჟანრის მუსიკოსებთან მაქვს ურთიერთობა; უფრო ახალგაზრდებს ვლობირებ, თუმცა, დიდი პატივისცემით ვარ ღვაწლმოსილი, გამოცდილი მუსიკოსების მიმართაც. ახლა ყველაზე მეტად ის მახარებს, რომ ვერავინ ველარ იტყვის, თითქოს მე სადმე ვინმეს ვბლოკავ. მე ვმუშაობ კერძო ტელევიზიაში, მაქვს ჩემი რუბრიკა და ძალიან დიდი ბოდიში, თუ ვინმე იქ ვერ მოხვდება. „დაბლოკილ-გადაბლოკილებმა” გამართონ კონცერტები, გაყიდონ ბილეთები, გადაავსონ, ბატონო, საკონცერტო დარბაზები, ა, ბურთი! ა, მოედანი!

**– მუდმივად ორ-სამ სამსახურში იყავით, ეს ერთადერთი საქმეა, რასაც დღეს აკეთებთ?**

– მე მაქვს სტუდია „ანა-ბანა”, რომელსაც ეს წლები ჩემი შვილი უძღვებოდა. მე, ინტერესთა კონფლიქტიდან გამომდინარე, მიგდებული მქონდა ეს საქმე, ახლა კი მოვიცლი ჩემი სტუდიისთვის, ძალიან დიდი გეგმები მაქვს. ამ სტუდიამ ბევრ ნიჭიერ ბავშვს გაუხსნა გზა მომავალში და ეს ტრადიცია გაგრძელდება. მიყვარს ივენთების კეთება, რისი უფლებაც ასევე არ მქონდა და ახლა ამ მხრივაც თავისუფალი ვიქნები. მიხარია, რომ არავისთან და არაფერთან აღარ იკვეთება ჩემი ინტერესები. მაშინ ვერ ვგრძნობდი, რამხელა ტვირთია საჯარო სამსახური ჩემნაირი ადამიანისთვის. ახლა ძალიან კარგად ვგრძნობ თავს, რომ ეს ტვირთი მოვიხსენი და ვარ თავისუფალი – ეს ძალიან დიდი ბედნიერებაა, თუმცა, ისიც ვიცი, რაც არის ნამდვილი ბედნიერება. მე მაინც ძნელად ვიტან ჩარჩოში ყოფნას. ახლა უკვე კარგად ვიცი დავიმახსოვრე და არასდროს აღარ შემეშლება, რომ თანამშრომელი არის თანამშრომელი და არა შვილი. მე ხომ ვგიჟდებოდი, რომ უნდა „მეშვილა” ხალხი; თურმე, ყველას თავისი დედა ჰყავს და სულ არ მოსწონს შენი „დედობა.” მარინა ბერიძე რომ სამინისტროში გყავს და მთელ დღეს ისე გაატარებს, რომ არავინ დაუძახებს, ეს ნიშნავს, რომ იქ არავის სჭირდება. მხოლოდ პროექტებზე ხელის მოწერა არ იყო ჩემთვის საინტერესო; ვგრძნობდი, რომ ნელნელა ხელიდან მივდიოდი. მე მიყვარს, როცა ვიღაცას ვჭირდები. იმათაც მოისვენეს და მეც. დავიღალე ამ გაუთავებელი ლანძღვა-გინებით. არასდროს „გამარჯობას” არ ვეტყვი იმათ, ვინც გამოვიდა ტელევიზიით და მე მლანძლა. ისინი ჩემთვის არ არსებობენ. მე ხომ ვარ უნიჭო, არაფრის მაქნისი, არაპროფესიონალი, ბოროტი, მექრთამე, „მამაშა”... სულ ვამბობდი, რომ მხოლოდ ორი რამ ვერ დამაბრალეს. მექრთამე რომ ვყოფილიყავი, ორი წელი სამინისტროში ვინ გამაჩერებდა? მეგონა, ჩემს ყოფაქცევასაც არავინ შეხებია და, თურმე, აქაც ვცდებოდი – ყველაფერი თქვეს და იკადრეს, რაც შეიძლებოდა და რაც არა.

**– როგორ ფიქრობთ, რატომ იყავით მუდმივად ხმაურიანი ისტორიების ეპიცენტრში?**

– არ ვიცი. მე, თურმე, ბევრ რამეს ვერ მივხვდი ბოლო წლებში. ისე ვიმუშავე 25 წელი კონსერვატორიაში, არასდროს მყოლია შემორჩენილი მტერი, ისინი მერე და მერე გაჩნდნენ ჩემს ცხოვრებაში. მე ვიცი, რომ ხისტი ხასიატი მაქვს, მაგრამ, ამდენი გაბრაზებული და დაბოღმილი ადამიანის „სამიზნე” თუ გავხდებოდი, ვერ წარმოვიდგენდი. ვერ მოვკვდი, თორემ, რა აღარ სცადეს!.. აღარ დარჩა ადამიანი, ვინც არ მომატყუა *(იცინის),* მაგრამ, რა ვქნა? ესაა თურმე ცხოვრება. უკან არ ვიყურები. ვხუმრობ, რომ რაღაც ეტაპის ალცჰაიმერი დამემართა *(იცინის).* გასაშვები ყველა უნდა გაუშვა, ოღონდ, თუ შენ დაჯექი საღამოს სავარძელში და დაიწყე ფიქრი წარსულზე, იქ დაღუპული ხარ, აღარაა შენი საშველი. მე შემიძლია, თეზისებად ჩამოვუყალიბო ადამიანებს, როგორ უნდა გამოვიდნენ რთული სიტუაციებიდან. საკუთარი თავის მაშველი რგოლი მხოლოდ თავად ხარ. ვერავინ მეტყვის, რომ ამ მდგომარეობიდან ვინმემ გამომიყვანა, მე თვითონ მოვნახე ის, რაც მახარებს, და, თან, მკაცრი „სასჯელიც” გამოვუტანე საკუთარ თავს – ან გამოვიდოდი ამ მდგომარეობიდან, ან გავხდებოდი სანიმუშო ბებია და დღეს ამ როლს კარგად ვითავსებ. დილით ისე ადრე ვდგებოდი, ისე ჩქარ-ჩქარა გადიოდა დილაც, დღეც, ახლა ეს რიტმი აღარაა ისე გადარეული. მარტო ქალის ცხოვრებამ ბევრი ახალი ჩვევა გამიჩინა, უფრო მეტი ფიქრი დავიწყე და ამ ფიქრებთან აღარ ვარ მარტო. საღამოს, როცა მარტო ვრჩები, როიალთან ვჯდები და ვუკრავ, თუმცა, დროის დიდ ნაწილს სახლში მაინც არ ვატარებ. სტუდენტივით ვცხოვრობ: არ ვაკეთებ სადილს, რასაც ჩემი ახლობლები აპროტესტებენ და თავს იმით ვიმართლებ, არ მაქვს კარგი სამზარეულო-მეთქი; სამაგიეროდ, მაქვს „მიკროვალნოვკა” – გავაცხელე და მორჩა, გაზს საერთოდ აღარ ვანთებ. აღმოჩნდა, რომ ძალიან ეკონომიური ქალი ვარ – აღარც გაზის გადასახადი მომდის და აღარც შუქის *(იცინის).*

**– შვილიშვილებთან ახლოს, ახალ და ლამაზ სახლშიც დასახლდით.**

– მათთან ახლოს რომ მეცხოვრა, ამაზე ჩემმა შვილმა იზრუნა, მაშინ კი არც მაინტერესებდა, სად მივდიოდი საცხოვრებლად. კარგი სახლია, მაგრამ, მე ძველი მერჩია: იქ იყო მეზობელი – სედა, იყო რიტა, იყო პატარა მარკეტი, რომლის გამყიდველსაც ვურეკავდი და სიგარეტი მოჰქონდა ჩემთან. სოლოლაკს კიდევ სხვა ხიბლი აქვს, ის სახლი ისე მიყვარდა, რომ, გამიჭირდა მასთან შელევა, იმ სახლზეც ალცჰაიმერი დამემართა *(იცინის).* იმ სახლში დავიბადე და გავიზარდე, ის იყო ჩემი მშობლების სახლი, იქ მქონდა ჩემი კედლები, ყველაფერი ჩემი იყო. იქიდან წამოვიღე სულ რამდენიმე ნივთი: ჩემი როიალი, ძველებური კარადა და ტახტი – ამ ნივთებს ვერ შეველიე. დათო დოიაშვილმა იხუმრა: ახალ სახლში სოლოლაკის მოკლე შინაარსი გააკეთაო. მე ფანტაზია კარგად მაქვს განვითარებული. როცა ამ სახლში პირველად დავიწყე მარტო ცხოვრება, საკუთარ თავს ისეთ განწყობას ვუქმნიდი, ვითომ სასტუმროში ვიყავი; ვთამაშობდი საკუთარ თავთან, რომ ვცხოვრობდი სხვა ქალაქში და არასდროს მენახა ეს ხედი. ჩემი ძველი სახლიდან ჩანდა ფუნიკულიორი და ბოტანიკური ბაღი, აქედან კი ჩანს ზოოპარკი. მერე რა, თუ ღამის სიმყუდროვეს გამთენიისას მირღვევენ ცხოველები, მათი ყმუილი და ზმუილი; დამიჯერეთ, ეს კეთილი ცხოველები ბევრ ადამიანს სჯობიან. ცხოველთა ხმაურს ჩიტების ჭიკჭიკიც მოჰყვება. მერე დაიწყეს ღამეული სტუმრობები ჩემმა მეგობრებმა – დოიმ, ნიკამ, ზვიად ბოლქვაძემ; მერე მოემატნენ ახალგაზრდები და, მივხვდი, რომ გაცოცხლდა ჩემი სახლი, იქცა ბუდედ საინტერესო და ნიჭიერი მუსიკოსებისთვის, ჩემი მეგობრებისთვის, რომლებიც დამრჩნენ და ისინი ბევრნი არ არიან. ლუსტრაცია კარგი რამაა – ბოლოს გრჩება ის, ვინც ნამდვილად შენია. ლუსტრაციების ბევრი ეტაპი გავიარე, მათ შორის – მთავრობების გამოცვლით. ჩემს ცხოვრებაში არც ერთ პარტიაში არ ვყოფილვარ, თუმცა, ახლა არც ესაა ჩემი სადარდებელი – ვისაც რომელი უნდა, იმ პარტიას მიმაკუთვნოს, ეს არაფერს ცვლის. მე გავიარე ხალხის ცვლა დარბაზებში, რაც ძალიან სასაცილოა. მუსიკა ისეთი რამაა, მან სულ უნდა იაროს დარბაზში, ჩვენთან კი მთავრობის ყოველ ცვლაზე იცვლება დარბაზიც.



მარტო ქალის ცხოვრებამ ბევრი ახალი ჩვევა გამიჩინა

**– დღეს ამ „დარბაზებში” თქვენც გეპატიჟებიან?**

– სამთავრობო ღონისძიებებზე არა, თუმცა, როცა ჩემი მეგობრები აწყობენ კონცერტებს, იქ, რა თქმა უნდა, ვარ. უფრო და უფრო ხშირად ვჩანვარ კონსერვატორიაში – იქ დავბრუნდი, საიდანაც ჩემი გზა დაიწყო, თუმცა, კონსერვატორიაზე არასდროს მითქვამს უარი. ბოლო წლებში ისე გადავაფასე ყველაფერი, სიტყვებიც კი აღარ დამრჩა ლექსიკონში. მე იმ ასაკში ვარ, უკვე შეიძლება, გადახარშო ბევრი რამ, თუმცა, წლების გამო იმის განცდა ნამდვილად არ მაქვს, რომ, დავბერდი და როგორ გამოვიყურები ტელეეკრანზე; რომ აუცილებლად უნდა გავიკეთო ბოტოქსი და პლასტიკური ოპერაციები. არა! კოსმეტოლოგთანაც კი არ დავდივარ. როცა ფული მქონდა, დრო არ მქონდა; როცა დრო მაქვს, ფული არ მაქვს, მაგრამ, არც ესაა პრობლემა *(იცინის).* მე ის ქალი ვარ, ვინც გიჟდება, თაროებზე დადოს ყველაფერი – ჯერ ბავშვი უნდა გამეზარდა, მერე ის გამეკეთებინა, მერე – ეს. პრაგმატული ადამიანი ვარ, მენეჯმენტი ვიცი, მაგრამ, მთავარი მენეჯმენტი – ცხოვრების მენეჯმენტი მეშლებოდა თურმე, თუმცა, არა უშავრს, ცხოვრება გრძელდება და, მგონია, რომ თავგადასავლები კიდევ იქნება.

**თამუნა ნიჟარაძე**



# რატომ უნდა ჰყავდეს ქალს ქმარი მუდმივად „ტონუსში" და რას აიცილებს ამით თავიდან

**იდეალური ადამიანები არ არსებობენ და პარტნიორისთვის იდეალურობის ჩარჩოს მორგება ან მორგების მცდელობა თავიდანვე შეცდომაა. თუ იფიქრებთ იმაზე, რომ ბედნიერი მხოლოდ იდეალური ადამიანის გვერდით იქნებით და მასთან ერთ ჭერქვეშ ყოფნა სრული იდილია იქნება, იმედგაცრუება გელით. ყველას გვაქვს რაღაც ნაკლი, რომელიც, უამრავ ღირსებასთან ერთად, აუცილებლად იჩენს თავს. ზოგჯერ კი ეს ნაკლი ღირსებებს გადაწონის კიდეც...**

**თეონა** *(31 წლის):* რომელი ქალი არ ოცნებობს ისეთ ქმარზე, რომელიც მისი პატივისმცემელი და თაყვანისმცემელი იქნება; გაანებივრებს ყვავილებით, საჩუქრებით; მოუწყობს საოცარ სიურპრიზებს... ბუნებრივია, რომ ასეთი კაცის გვერდით ყოლის სურვილი მეც მქონდა. არც რომანტიკოსი ვარ და არც მეოცნებე. საკმაოდ ვარ რეალობას მორგებული. ამას იმიტომ ვამბობ, რომ მჯეროდა იდეალური მამაკაცების არსებობის. ვფიქრობდი, რატომ არ შეიძლება, ასეთი ქმარი მყავდეს, ვიღაცეებს ხომ ჰყავთ-მეთქი. არ ვიცოდი, რომ ის „ვიღაც" უამრავ სხვა პრობლემას ებრძოდა.

**– რა თქმა უნდა, ყველა ადამიანს აქვს ნაკლი, სხვანაირად შეუძლებელია... თქვენ ასე არ მიგაჩნიათ?**

– ვერ ვიტყვი, რომ ასე არ მიმაჩნდა, მაგრამ, უმნიშვნელო ნაკლს ნაკლად არ მივიჩნევ. ხვდებით, ხომ, რასაც ვგულისხმობ? მთავარი განმსაზღვრელი იყო ის ფაქტორები, რომლებიც საუბრის დასაწყისში ჩამოვთვალე.

**– მამაკაცი იდეალურია, თუ ცოლს პატივს სცემს და მისთვის ყვავილები მიაქვს? სხვა ღირსებები არ სჭირდება?**

– თუ კაცმა იცის, როგორ სცეს პატივი ქალს, შეუძლებელია, სხვა რაღაცეებში ჩაიჭრას-მეთქი, ვფიქრობდი. ქალები, ეტყობა, ცოტათი მაინც სულელები ვართ, თორემ, ასეთი დარწმუნებული როგორ ვიქნებოდი ამაში. „მოთამაშე" მამაკაცს შეუძლია, თავი უნაკლოდაც მოგაჩვენოს და იდეალურადაც. შენ უნდა იყო სათანადო სიმაღლეზე, რომ ბოლოს იმედგაცრუებული და გაწბილებული არ დარჩე. მე ახლა უკვე არ ვიცი, რა ამოძრავებდა ჩემს ქმარს, რომელმაც ყველაფერი გააკეთა, რომ ცოლად გაყოლაზე დავთანხმდებოდი.

**– ანუ, არ გიყვარდათ?**

– სიყვარული ხომ მთლიანად შიშველი ემოცია და გრძნობაა. როცა ამ ყველაფრით ხარ შეპყრობილი, მაშინ ბევრ რამეს ვერ ამჩნევ – კაცის ბევრ ნაკლზე ხუჭავ თვალს და მას იმ ღირსებებს მიაწერ, რომლებიც რეალურად არ აქვს. მე ასე არ ვყოფილვარ. ვხედავდი, რას აკეთებდა ჩემთვის – შეუძლებელი იყო, არ დამენახა, როგორ „ძვრებოდა კანიდან", ჩემთვის რომ ეამებინა. ან, საიდან აფიქრდებოდა ასეთი რაღაცეები! სიურპრიზების ნამდვილი ფოიერვერკები არ მაკლდა კვირაში რამდენჯერმე. რომ მოვყვე, როგორ და რა ფორმით ცდილობდა ჩემთვის სიყვარული და ერთგულება დაემტკიცებინა, ეს ერთი შეხვედრა არ გვეყოფა ამ ყველაფრის მოსათხრობად. არ არის გასაოცარი, რომ მის იდეალურობაში დავრწმუნდი და საკუთარ თავს ვუთხარი, იშვიათი მამაკაცი მარგუნა ბედმა-მეთქი. იმ წუთში ეს არ ნიშნავდა თავის მოტყუებას, რადგან, იდეალურ მამაკაცზე ჩემს შეხედულებებს ემთხვეოდა.

**– ანუ, სტერეოტიპებმა მოგატყუათ.**

– ასე გამოვიდა. ახლა რომ მკითხოთ, იდეალური მამაკაცი როგორი უნდა იყოსო, სულ სხვა რამეს გიპასუხებთ, ჩემი ქმრის ხასიათიდან გამომდინარე. უკვე ისეთ მდგომარეობაში ვარ, რომ მისი არც

## ჩემი მოთმინებისგან აღარაფერია დარჩენილი. იდეალური კი არა, ჩვეულებრივი კაცის ატანაც კი აღარ შემიძლია

ყვავილები მინდა, არც სიურპრიზები და საერთოდ აღარაფერი. ჩემი ნერვული სისტემა განადგურებულია, მოთმინებისგან აღარაფერია დარჩენილი. იდეალური კი არა, ჩვეულებრივი კაცის ატანაც კი აღარ შემიძლია, გარეთ მტერს რომ უბრმავებენ თვალებს, შიგნით კი – მოყვარეს. ჩემს შემთხვევაში, ორმხრივად სიბრმავე გამოვიდა.

**– ანუ, ვერც გარეთ ხიბლავს საზოგადოებას?**

– უკვე აღარ ვიცი, რადგან, ჩემმა ყველა მეგობარმა დაინახა, რა იმალება მისი ფარისევლური „იდეალურობის" მიღმა. ყველაზე საშინელება ის არის, რომ თვითონ საერთოდ ვერ ხვდება, რას აშავებს.

**– და, რას აშავებს?**

– ტირანია – ამ სიტყვის ჭეშმარიტი მნიშვნელობით; ერთპიროვნული მმართველი და ლიდერი. ჩემი აზრი საერთოდ არ აინტერესებს. ფეხებზე ჰკიდია, რა მინდა, რა მომწონს, რა მახარებს და რა მწყინს. წავა, მიყიდის ტანსაცმელს, მაგალითად, კაბას და, მე ვალდებული ვარ, მომწონს თუ არ მომწონს, ჩავიცვა, თანაც, უნდა აღვფრთოვანდე და მადლიერიც ვიყო. ის უნდა შევჭამო, რაც მას უყვარს და უნდა, თანაც იმ დროს, როცა თვითონაც შია. თუ მარტო ყავის დალევა მომინდება, ამის უფლება არ მაქვს. ძნელი წარმოსადგენია, ხომ? მე კი ჯოჯოხეთში ვცხოვრობ. საშინლად არ მიყვარს ვარდები, მაგრამ „იდეალურ" ქმარს მაინცდამაინც ვარდები მიაჩნია პრესტიჟულად, ამიტომ, მოაქვს და მოაქვს. აბა, გავბედო და უკმაყოფილება გამოვხატო ან წარბი შევიკრა... ისეთ ამბავს ატეხს, თავბედს მაწყევლინებს. არადა, თითქოს უმადური გამოვდივარ. ქმარი ყვავილებს მჩუქნის, ნაირ-ნაირ ტანსაცმელს ყიდულობს ჩემთვის, მე კი უკმაყოფილო ვარ – ესე იგი, უმადური ვარ.

**– გეუბნებათ, უმადური ხარო?**

– რა თქმა უნდა! პირზე სულ ეგ აკერია. სხვა ქალი ინატრებდა ჩემნაირ ქმარს, განძი გყავარ და შენ კი ვერ მაფასებო. ნეტავი, სულ წავიდეს და თავი დამანებოს – უკვე ვნატრობ ამას. მართლა გეუბნებით, მის გარეშე თავისუფლად ვისუნთქებ და ვიცხოვრებ ჩემს ნებაზე. როგორია, 31 წლის ქალს გადაწყვეტილების მიღების უფლება არ მაქვს არაფერში, არ ვგულისხმობ ოჯახში საჭირბოროტო საკითხებს. წარმოიდგინეთ, ძალიან მიყვარს კეფირი და ორცხობილა, მაგრამ, სახლში ვერ შევჭამ – გამლანძღავს, რადგან, მდაბიურ საჭმლად მიაჩნია... კიდევ, პრობლემაა ისიც, რომ საკუთარი იდეალურობით ამაყობს, თავი მოაქვს და ესეც საშინელად დამანგრეველია და ნერვების მომშლელი.

**– ხომ არ გღალატობთ კიდეც?**

– არა. მაგას როგორ იზამს! – იდეალური ქმარია და ამ ჩარჩოებში მყარად ზის, თორემ, მე კი ვარ ღირსი, ერთდროულად ორი ან სამი საყვარელი ჰყავდეს – ეს მისი სიტყვებია და, გული რომ მტკივა, ამაშიც, თურმე, მე ვყოფილვარ დამნაშავე. ნეტავ

# როგორ იპოვა ერთმანეთი მამა-შვილმა და ვინ ელოდება სანკტ-პეტერბურგში მცხოვრებ ნახევარძმას

*ვიაჩესლავ ვაჟას ძე სერგეევი (დედის გვარზე) ეძებდა დაახლოებით 65-66 წლის ვაჟა კურტანიძეს.*

**ისტორია**: ვეძებ მამაჩემს – ვაჟა კურტანიძეს. ჩემი მშობლები დაშორდნენ ერთმანეთს და მას შემდეგ მე მამა აღარ მინახავს. ძალიან მინდა მისი მოძებნა და ნახვა. შეიძლება, მას ამჟამად თავისი ოჯახი აქვს და მე მყავს ნახევარდამები და მათი გაცნობა მინდა. პირადად მე საქართველოდან ძალიან შორს ვიმყოფები და, გთხოვთ მამაჩემის მოძებნაში დამეხმაროთ. მაქვს მისი ერთადერთი სურათი, რომელსაც გიგზავნით კიდეც. ვიმედოვნებ, რომ მასაც ენდომება ჩემი ნახვა და გაცნობა.



**ჟურნალისტის შენიშვნა**: ეს ისტორია ამა წლის აგვისტოში დაიბეჭდა ჩვენს რუბრიკაში. საბედნიეროდ, ვიაჩესლავის მამა ნაპოვნია, მასთან ერთად კი ჩემს სტატიას გამოეხმაურა „დაკარგული" ვაჟა კურტანიძის შვილი, 34 წლის ზურა კურტანიძე. ერთი სიტყვით, თუ რით და როგორ დასრულდა ეს ისტორია, მკითხველი დღევანდელი სტატიიდან შეიტყობს.

*ინტერვიუ ნაპოვნ 34 წლის ზურა კურტანიძესთან (ვაჟა კურტანიძის შვილთან):*

**– ზურა, თქვენ პირველი გამომეხმაურეთ და მითხარით, რომ, ვისაც ეძებდნენ, ის კაცი მამათქვენია. გვიამბეთ, რა რეაქცია გქონდათ, როცა გაიგეთ, რომ მამას რუსეთში შვილი ჰყავს?**

– ჩემმა მეგობრებმა სრულიად შემთხვევით წაიკითხეს თქვენის ტატია და, რა თქმა უნდა, მაშინვე იცნეს მამაჩემი ფოტოდან. იმ დღესვე დამირეკა დედამ ლაგოდეხიდან და მითხრა, რომ დაგვკავშირებოდით. ერთი სიტყვით, მთელ ოჯახს ძალიან გაგვიხარდა ვიაჩესლავის გამოჩენა, რადგან, ჩვენც ვეძებდით მას, მაგრამ, წლების განმავლობაში ვერაფრით ვერ ვპოულობდით. რომ არა თქვენ და თქვენი რუბრიკა, ჩვენ ერთმანეთს, ალბათ, ვერც ვიპოვიდით. მამაჩემს არასდროს დაუმალავს, რომ ლენინგრადში მას შვილი ჰყავდა. მე მყავს კიდევ ერთი ძმა და ერთი და, სამივეს ერთნაირად გვიხარია ვიაჩესლავის გამოჩენა ჩვენს ცხოვრებაში. მას შემდეგ, რაც ერთმანეთს დავუკავშირდით, ჩვენ ვიაჩესლავი საქართველოში მოვიპატიჟეთ. ამჟამად ჩემი მშობლები ლაგოდეხში ცხოვრობენ, თავად მე კი რუსეთში ვარ. იმედი გვაქვს, რომ ახლო მომავალში ჩვენ შევხვდებით და პირადადაც გავიცნობთ ვიაჩესლავს. მიუხედავად იმისა, რომ ის არასდროს გვინახავს, მის მიმართ გარკვეული სიმპათიაც კი გაგვაჩნია – ის ხომ ჩვენი სისხლი და ხორცია. მასთან საუბრიდან გაირკვა, რომ ისიც ძალიან ბედნიერია, რომ გვიპოვა, განსაკუთრებულად კი მოხარულია იმით, რომ მამის ოჯახმა (ანუ ჩვენ) ასე კარგად მივიღეთ.

**– მამათქვენს რა რეაქცია ჰქონდა, როდესაც გაიგო, რომ მას სანკტ-პეტერბურგში მცხოვრები შვილი ეძებდა?**

– სიტყვებით რთული გადმოსაცემია, მამა ძალიან ბედნიერი იყო. წარმოიდგინეთ, ორმოცდახუთი წუთი ველაპარაკებოდით ტელეფონით ვიაჩესლავს. როგორც გითხარით, მას ჩვენც ვეძებდით და ძველ მისამართზე უშედეგოდ ვუგზავნიდით წერილებს. აღმოჩნდა, რომ ვიაჩესლავსაც სულ უნდოდა ჩვენი, უფრო სწორად კი, ვაჟას პოვნა. ბოლოს მას ეს ნაბიჯი მისმა მეუღლემ, სვეტლანა კალანდაროვამ გადაადგმევინა, რომელმაც პირველმა გააკეთა განაცხადი სამძებრო საიტზე და შემდეგ თქვენი დახმარებით ყველაფერი ასე კარგად დაგვირგვინდა.

ჩვენ ვიაჩესლავი თავის ოჯახთან ერთად დავპატიჟეთ საქართველოში და ის დაგვპირდა, რომ ზაფხულში ან გაზაფხულზე გვესტუმრება. ჩემს ბიჭს, რომელიც ამჟამად 8 წლისაა, ისე გაუხარდა ვიაჩესლავის პოვნა, რომ ლამის მთელს უბანს მოსდო, მამიკომ ძმა იპოვაო. ლუკას სიტყვებს ბევრი არ უჯერებდა და მერე მე მეკითხებოდნენ, რა ხდება, ვინ იპოვეთო. ერთი სიტყვით, ჩვენს ოჯახში დიდი სიხარულია. მადლობა თქვენ ამისთვის.

*ინტერვიუ ვიაჩესლავთან (ვინც მამას ეძებდა):*

**– თქვენ როგორი რეაქცია გქონდათ, როდესაც გაიგეთ, რომ მამა ნაპოვნია და თქვენთან დაკავშირება მხოლოდ მას კი არა, მთელ მის ოჯახს უნდა?**

– ძალიან გამიხარდა და თქვენი დიდი მადლობელი ვარ ამისთვის. მამის პოვნა ძალიან მინდოდა, მაგრამ, პირველ ნაბიჯს ვერ ვდგამდი და ამაში ჩემი მეუღლე დამეხმარა. ვერ წარმოვიდგენდი, რომ ეს ისტორია ასე მალე და ასე კარგად დამთავრდებოდა. დიდი მადლობა თქვენ და მთელ თქვენს რედაქციას. ის, რასაც თქვენ აკეთებთ და რა საქმესაც უძღვებით, დიდი საგანძურია. მე ყოველთვის მახსოვდა, რომ ქართველი ვარ, ეს ერთი წამითაც არ დამვიწყებია, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთში გავიზარდე და მამა პატარაობიდან არ მინახავს. ყოველთვის მჯეროდა, რომ ცხოვრებაში ერთხელ მაინც ვნახავდი ჩემს სამშობლოს. მე და მამა იმიტომ დავშორდით ერთმანეთს, რომ ჩემი მშობლები დაშორდნენ – ასე დაიკარგა ჩვენ შორის კავშირი. ახლა კი ვხვდები, რომ ამდენი წლის განმავლობაში ეს უსასრულო ლოდინი ღირდა იმად, რომ მეპოვა ამდენი საყვარელი ადამიანი ერთად. ბედნიერი ვარ, რადგან, მყავს ნახევარდამები. ჩემს დიდ ოჯახს მომავალ წელს (გაზაფხულზე ან ზაფხულში) აუცილებლად ვნახავ, ამჟამად კი ჩვენ სატელეფონო და ინტერნეტკავშირი გვაქვს ერთმანეთთან.

**თუ გსურთ, თქვენც გაგიწიოთ დახმარება დაკარგული ახლობლის მოძებნაში, დაგვიკავშირდით: 239-23-52; 239-23-53; 593 22-04-31. დარეკეთ საღამოს, 6 საათის შემდეგ. E-mail: tbiliselebi2001@yahoo.com.**

**ნატალია მახარაშვილი**

# რედაქციაში წერილი მოვიდა

**ამ ბოლო დროს ჩემი ქმარი ქალად ველარ აღმიქვამს – ამას ვამჩნევ და ძალიან ვნერვიულობ. ნახევარი წელია, მისთვის, როგორც ქალი, აღარ ვარსებობ. მე ვცდილობ, მისი ცხოვრებით ვიცხოვრო და ყურადღება მივაქციო, მაგრამ ეს არ შველის. ნეტავი, საყვარელი ხომ არ გაიჩინა? თუ ისევ ვუყვარვარ, მის თვალებში სურვილს რატომ ველარ ვხედავ? რა უნდა გავაკეთო?**

**გამოხმაურება:** ზოგჯერ ქალის მიმართ ინტერესის დაკარგვა მამაკაცის მხრიდან უკავშირდება სტრესს ან ქრონიკულ გადაღლილობას, მით უფრო, შუახნის ასაკში. ბევრი ქალი ქმრის ვნებიანობის წასახალისებლად იცვლის გარდერობს, სტილს და ინტიმურ თეთრეულსაც იძენს. ტაქტიკა გჭირდებათ. მხოლოდ ასე თუ მიუდგებით მეუღლეს. „ეთამაშეთ", მოახერხეთ ეს და, ნახეთ, რა შედეგს მოიტანს.

**ფსიქოლოგი**
**მაგდა როზაძიძე**

## მე ახლა უკვე არ ვიცი, რა ამოძრავებდა ჩემს ქმარს, რომელმაც ყველაფერი გააკეთა, რომ ცოლად გაყოლაზე დავეთანხმებინე

– დამიჯერებთ, რომ უკვე ვერაფერს ველარ ვგულისხმობ? ისე ვარ დათრგუნული და განადგურებული, ამის თავიც აღარ მაქვს. მაგრამ, მშურს ჩემი დაქალების – ისინი თავისუფლები არიან არჩევანში. ტელევიზორისთვის ვერ მიყურებია ჩემს გემოზე. სექსიც კი ისეთი უნდა მქონდეს, ჩემს ქმარს რომ უნდა, მე კი კმაყოფილი უნდა ვიყო. თქვენთვის, ალბათ, რთულია ამ ყველაფრის გაგება. არავის ვუსურვებ ჩემს მდგომარეობაში ყოფნას. შვილებს ვერ ვაცმევ ჩემს ნებაზე და ვერ ვზრდი ისე, როგორც მე მინდა და საჭიროდ მიმაჩნია. „იდეალურ" ქმარს „იდეალური" კრიტერიუმები აქვს და იმით უნდა ვიხელმძღვანელოთ ოჯახში ყველამ. თავიდან, სანამ ახალგათხოვილი ვიყავი და ეიფორიულ მდგომარეობაში გახლდით, კიდევ ვერ ვგრძნობდი, რა ხარში ამოვყავი თავი.

**– ფიქრობთ, რომ გაშორდეთ?**

– ფიქრით ბევრ რამეს ვფიქრობ, მაგრამ, საქმე ის არის, რეალურად რისი გაკეთება შემიძლია – არც არაფრის. ჩემი იდეალური ქმარი იდეალურად საშიში კაცია. იდეალურ გეგმას მოიფიქრებს ჩემს გასამწარებლად – გასანადგურებლად – ამაში დარწმუნებული ვარ. ბედს უნდა შევეგუო. თუმცა, რამდენ ხანს გავუძლებ, არ ვიცი. ჩემი შინაგანი ბუნება უკვე აპროტესტებს ამ ყველაფერს და საკუთარ თავთანაც მიწევს ბრძოლა, რაც კიდევ უფრო მიმძიმებს მდგომარეობას. არადა, უცხო თვალით იდეალურად ჩანს ჩემი ცხოვრება – მზრუნველი, ყურადღებიანი, იდეალური ქმარი, რომელიც, სინამდვილეში, ჩვეულებრივი მონსტრია. ჩვეულებრივ კაცს გავყოლოდი ცოლად, იქნებ ჩემი ცხოვრება უფრო მარტივი ყოფილიყო. ჩვეულებრივი კაცებიც რთულები არიან?!

**– გააჩნია, „ჩვეულებრივში" რას გულისხმობთ.**

**დალი მძელაძე**

**ტელესივრციდან გაუჩინარებული ეკა ბერიძე უკვე ერთი წელია, რაც კომპანია „თბილისის წყალში" „დაბანაკდა". ამბობს, რომ ძალიან მოსწონს ის საქმე, რასაც ბოლო დროს აკეთებს და მას ძველ ცხოვრებაზე აღარ გაცვლის. ხმებს, რომ ის ბიძინა ივანიშვილთან ერთად თოქ-შოუს წაიყვანს, არც უარყოფს და არც ადასტურებს, თუმცა, დარწმუნებულია, რომ ყოფილ პრემიერთან საინტერესო ტანდემი გამოუვა. როგორ გადაიკვეთა მათი გზები და რა ხდება მის ცხოვრებაში პირველად, ამას თავად ყოფილი ტელესახისგან შეიტყობთ, რომელსაც დღეს ახალ ამპლუაში, დირექტორის პოზიციაზე გაეცნობით.**

# სად აღარ იკვეთება ეკა ბერიძისა და მისი ქმრის გზები და რა შეიცვალა მათ ცხოვრებაში 12 წლის შემდეგ

**ეკა ბერიძე**: „თბილისის წყლის" კომუნიკაციისა და კორპორაციული მომსახურების დირექტორად ერთი თვის წინ დავინიშნე, თუმცა, უკვე ერთი წელი გახდება, რაც „თბილისის წყალში" ვმუშაობ. ცხოვრებაში ძალიან ბევრი სამსახური გამოვიცვალე და ყველა დაკავშირებული იყო მედიასივრცესთან, შესაბამისად, ეს იყო ახალი ამპლუა, თუმცა, არა უცხო. 2004 წლიდან, როდესაც ჩემთვის ყველა ტელევიზიის კარი დაიკეტა, მათ შორის – ტელეკომპანია „იმედიც", როდესაც იქ იყო ბადრი პატარკაციშვილი, მე ექვსი წლის განმავლობაში არსად არ ვმუშაობდი. ზოგი ჭირი მარგებელიაო და, დრო უქმად ნამდვილად არ დამიკარგავს – ეს პერიოდი მთლიანად მოვახმარე სწავლას. ინგლისურს ბავშვობიდან ვსწავლობდი, მაგრამ, ვერ ვახერხებდი ენის გაღრმავებას. მე და ჩემი მეუღლე წავედით კემბრიჯში, ინგლისური ენის არაჩვეულებრივ სკოლაში, რაც ძალიან დამეხმარა ენის უკეთ დაუფლებაში. შემდეგ იყო მენეჯმენტისა და მარკეტინგის კურსები მაშინდელ „იესემში", ჩავაბარე ბიზნესის მაგისტრატურაში, სადაც ვისწავლე ორი წელი და ბიზნესის კუთხით ძალიან საფუძვლიანი ცოდნა მივიღე. ეს სფერო, სადაც ახლა ვმუშაობ, არ იყო უცხო და წარმოადგენდა გარკვეული ინტერესის საგანს; შესაბამისად, ჩემი აქ მოხვედრა არ იყო შემთხვევითი. ამ ერთი წლის განმავლობაში აქ ბევრი რამ შეიცვალა: შეიქმნა ძლიერი სამენეჯმენტო ჯგუფი, რასაც მომხმარებელი ყველა ასპექტში ხედავს. დღეს კომპანიის განახლებულ გუნდს ხელმძღვანელობს ყოფილი ეკონომიკის მინისტრი გიორგი გაჩეჩილაძე, რომელიც არის საქართველოში ერთ-ერთი ძლიერი მენეჯერი, რაც კომპანიის საქმიანობას ნამდვილად ეტყობა.



**ჩემს ქმარს, მის გამოცდილ თვალს, ვერაფერს გამოაპარებდი**

**– თუმცა, ეს, ალბათ, მაინც რუტინული სამსახურია თქვენთვის – არ აქვს ის ექსტრემი, რაც ახლავს ტელეჟურნალისტიკას, სადაც წლები გაატარეთ.**

– ვერ დაგეთანხმებით. აქ ისეთი ექსტრემია რთულ და კრიზისულ სიტუაციებში, როცა გამოსავალია მოსაძებნი, ვერც კი წარმოიდგენთ. მე ახლა ვარ 45 წლის; 23 წლის ვიყავი, როცა მუშაობა დავიწყე და ჩემი ყველა სამსახური უკავშირდებოდა მედიას – ვიყავი ან ჟურნალისტი, ან ტელეწამყვანი, სხვა ტიპის სამსახური არ მქონია, მაგრამ, მგონია, რომ ახლა უფრო სასარგებლო საქმეს ვაკეთებ, ვიდრე მიკეთებია ოდესმე. ზოგჯერ ჩემს მეგობარ ჟურნალისტებს ხუმრობით ვეუბნები ხოლმე, თქვენ უსაქმურები ხართ-მეთქი *(იცინის)*. ეს საქმე ჩემთვის ძალიან საინტერესო აღმოჩნდა. დღეს რომ მქონდეს არჩევანი ჟურნალისტიკასა და ამ საქმეს შორის, რასაც ახლა ვაკეთებ, ცალსახად ამ საქმეს ავირჩევ.

– **თქვენ მოიაზრებით ყოფილი პრემიერის, ბიძინა ივანიშვილის თანაწამყვანად ტელეშოუში, რომელიც უახლოეს მომავალში უნდა გაკეთდეს.**

– დღეს მე ამ თემაზე კომენტარს ვერ გავაკეთებ – ჯერ ერთი, არ ვარ უფლებამოსილი; მეორეც, არ ვარ დეტალების საქმის კურსში. თუ ასეთი რამ მართლაც მოხდება, ეს არ გულისხმობს ჩემს წასვლას ამ სამსახურიდან. როგორიც არ უნდა იყოს შემოთავაზება, მე ამ სამსახურს არ დავტოვებ. თუ ამ გადაცემის გაკეთება განხორციელდება, მე მუშაობას მოვახერხებ პარალელურ რეჟიმში.

**– ბიძინა ივანიშვილთან ერთად გადაცემის წამყვანის ამპლუა როგორ წარმოგიდგენიათ?**

– ეს იქნება ძალიან საინტერესო. აქამდე არ წამიყვანია გადაცემა ბიძინა ივანიშვილთან ერთად და გამიჭირდება წინასწარ რამის თქმა, მაგრამ, ის არაერთხელ ყოფილა ჩემი სტუმარი და, ვფიქრობ, რომ არის საინტერესო, არაორდინარული და განსხვავებული რესპონდენტი. ის არ გახლავთ კლასიკური რესპონდენტი, რომელსაც აქვს თავისი გამზადებული მესიჯები; განსხვავებული კი, შესაბამისად, ყოველთვის რეიტინგულია. ვფიქრობ, რომ ჩვენი ტანდემი ძალიან საინტერესო იქნება. მე დიდ პატივს ვცემ ბატონ ბიძინას და რამდენადაც ვგრძნობ, ისიც პატივისცემით არის განწყობილი.

– **ის მაინცდამაინც არ სწყალობს ჟურნალისტებს, თქვენ როგორ მოიპოვეთ მისი ნდობა?**

– არ ვიცი, ვერ გეტყვით. მას საერთოდ არ ვიცნობდი, როდესაც თავის მეორე წერილში პოზიტიურად ვყავდი დახასიათებული. ეს იყო ჩვენი პირველი შეხება. ჩვენი ურთიერთობა არასდროს გასცდენია საქმიან ფორმატს, რომ გვქონოდა არაოფიციალური ურთიერთობა, სადაც კიდევ სხვა ურთიერთობები ყალიბდება.

– **ტელევიზიის ნოსტალგია არ გაქვთ?**

– არა, საერთოდ არ მაქვს. მე არ ვარ ადამიანი, რომელიც ფსიქოლოგიურად რამეზე ან ვინმეზე შეიძლება გახდეს დამოკიდებული; შესაბამისად, არც იმ დროს, როცა არ ვიყავი ტელეეთერში, არ მქონია ტელევიზიის ნოსტალგია. ჩემთვის მთავარია, ვაკეთებდე იმას, რაც მსიამოვნებს და რაც არის სარგებლის მომტანი – იქნება ეს ტელესივრცეში, სახლის სავარძელში თუ კომპიუტერთან – არსებითად არ აქვს მნიშვნელობა. ვერ ვიტყვი, რომ აქტიური ტელემაყურებელი ვარ, იშვიათად თუ ჩავრთავ კაბინეტში ტელევიზორს, უფრო ინტერნეტსივრციდან ვიღებ ინფორმაციას.

– **აქ როგორი დირექტორი ხართ?**

– ჩემი აზრით, მე ვარ ახალი ტიპის დირექტორი, რომელსაც აქვს ძალიან თავისუფალი ურთიერთობა თავის დაქვემდებარებაში მყოფ ადამიანებთან; საკუთარი თავისგან ვითხოვ იმაზე მეტს, ვიდრე ვითხოვ სხვებისგან; ვერავის ვაპატიებ ტყუილს, უპასუხისმგებლობას; გადაწყვეტილებებს ვიღებ სწრაფად – ამ სამსახურს ეს განსაკუთრებულად სჭირდება.

– **საკმაოდ მაღალ პოზიციაზე მუშაობს თქვენი მეუღლე, კახა ბექაური. მის სახელფასო შემოსავალზე ენერგეტიკის მარეგულირებელ კომისიაში ლეგენდებიც კი დადის.**

– არ არის ეს ყველაზე მაღალანაზღაურებადი სამსახური. კახა მარეგულირებელი კომისიის წევრია. ბიზნესორგანიზაციებში, მათ შორის, იმ ორგანიზაციებშიც კი, რომლებსაც დღეს კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისია აკონტროლებს, ბევრად მაღალი ხელფასებია. კომუნიკაციების მარეგულირებელი ორგანიზაცია არ არის სახელმწიფო ორგანიზაცია, ისინი არ ფინანსდებიან სახელმწიფო ბიუჯეტიდან, მათ თანხას უხდიან მათი რეგულირების ქვეშ მყოფი ბიზნესები, ასე რომ, ეს თემა, ჩემი აზრით, სასაუბრო არ უნდა იყოს.

– **დღეს თქვენი და თქვენი მეუღლის საქმიანი რეჟიმი იკვეთება?**

– არა, დღეს ჩვენი გზები საქმიან რეჟიმში აღარ იკვეთება. იმ წლებში, როცა კახა ტელემენეჯმენტში იყო, მე კი ჟურნალისტიკაში, ჩვენი გზები ხშირად იკვეთებოდა. როდესაც კახა გავიცანი, ის „პირველ არხზე" გენერალური დირექტორის მოადგილე იყო და მე იქ გადავედი „რუსთავი 2-დან." მერე დადგა პერიოდი, როდესაც კახა იყო „მზის" გენერალური დირექტორი და მეც იქ ვიყავი, თუმცა მე უფრო ადრე გადავედი „მზეზე". მერე იყო ისევ „პირველი არხი", „მეცხრე არხი", „მაესტრო". მე არასდროს მქონია პრობლემა, როცა კახას დაქვემდებარებაში მიწევდა მუშაობა. კახა არ იყო ლმობიერი დირექტორი, მით უმეტეს – ჩემთან. არ მახსოვს, სამსახურებრივ თემებზე კონფლიქტი გვქონოდეს, მაგრამ, მის რჩევებს ყოველთვის ვითვალისწინებდი; უფრო მეტიც, ის არის ჩემი ყველაზე მკაცრი შემფასებელი. ხშირად, ადამიანთა 99,99 პროცენტს მოწონებია რაღაც და კახა ყოფილა ერთადერთი, რომელსაც ჰქონდა კრიტიკული თვალი, მას ვერ გამოაპარებდი ვერაფერს; ის, რაც შეიძლებოდა, სხვას არ შეემჩნია, კახას გამოცდილ თვალს შეუმჩნეველი არ რჩებოდა. კახა ჰოროსკოპით „ქალწულია" და ამართლებს თავის „თვისებებს" – ძალიან სკურპულოზური და პედანტია *(იცინის)*.

– **თქვენი ზოდიაქო პასუხობს მის „მოთხოვნებს"?**

– მე „ვერძი" ვარ და მაქვს ბევრი მამაკაცური თვისება. ეს ის შემთხვევაა, როცა ჩვენ ჰოროსკოპებითაც „ვემთხვევით" ერთმანეთს *(იცინის)*.

– **ის წლები, როცა სოციალურად ძალიან აქტიური ცოლ-ქმარი არ იყავით საჯარო სივრცეში, რთული გადასატანი იქნებოდა.**

– არ იყო ასე. მამაკაცისთვის უფრო რთულია სახლში ჩაჯდომა, მით უმეტეს – კახას ტიპის ადამიანისთვის, თუმცა, მას ჰქონდა თავისი მცირე ბიზნესი და მის მართვაში იყო ჩართული. ვფიქრობ, რომ ყველაფრიდან შეიძლება მიიღო საშენო შედეგი: მე სწავლა დავიწყე და მოვიცალე ბევრი ისეთი რამისთვის, რისთვისაც ადრე ვერ ვიცლიდი. ის წლები რთული იყო იმ თვალსაზრისით, რომ პროფესიულად ვერ ვახდენდი რეალიზებას, მაგრამ, იმ წლებიდან იმდენი კარგიც მივიღე, მადლობაც კი მინდა ვუთხრა იმ ხალხს, ვინც იმ პერიოდში დასაქმების საშუალება არ მომცა. მიმაჩნია, რომ, თუ ადამიანს რაიმეს გაკეთება, თვითრეალიზაცია უნდა, ამას ყოველთვის მოახერხებს. გავიდა დრო და ყველაფერი შეიცვალა – დღეს ორივე ისევ აქტიურ რეჟიმში ვცხოვრობთ. სახლში ისე გვიან მივდივართ, თუ რამე განსაკუთრებული არ ხდება, სალაპარაკო დროის მოძებნაც კი ჭირს *(იცინის)*.

– **და, ამის გამო მარიამი „იჩაგრება"?**

– არა, არ იჩაგრება – ვცდლობთ, რომ შაბათ-კვირა მარიამთან ერთად გავატაროთ. ჩვენს სამსახურებს, ჩვენი წარსული სამსახურებისგან განსხვავებით, სამუშაო დრო ლიმიტირებული აქვს და შუაღამემდე არ გრძელდება. შესაბამისად, ჩვენ გვაქვს თავისუფალი საღამოები. შაბათი და კვირა არის დასვენების დღეები,

**ჯაბა ქარსელაძე უკვე წლებია, უცხოეთში ცხოვრობს, თუმცა ტრადიციას არ ღალატობს და საქართველოში წელიწადში რამდენჯერმე მაინც ახერხებს ჩამოსვლას. ამჯერადაც, ზაფხულის თითქმის ერთი თვე აქ გაატარა და რამდენიმე კვირის წინ გაემგზავრა საფრანგეთში. მას შეუძლია, ხშირად გააოცოს ადამიანები, ამჯერად კი ახალი თემა წიგნზე მუშაობაა, რაც მის ცხოვრებაში კიდევ ერთი დიდი გამოცდილება იქნება.**

# რით არის დაკავებული ჯაბა ქარსელაძე ამ ეტაპზე საფრანგეთში და რისი გამარტივებისთვის შრომობს ის ბოლო თვეების განმავლობაში

**– ჯაბა, როგორც ჩანს, შენს ექსპერიმენტებს საზღვარი არ აქვს. ამჯერად მართლაც სასიამოვნოდ გააოცებ ჩვენს მკითხველს, განსაკუთრებით კი – სტუდენტებს. გავიგე, რომ წიგნის გამოშვებას აპირებ.**

– საიდან გაიგე ეს ამბავი?

**– ჩემი პროფესია ნუ გავიწყდება. უმჯობესია, ის დააფიქსირე, რის შესახებ იქნება ეს წიგნი, ხალხს მემუარები რომ არ ეგონოს.**

– ზუსტად აგიხსნით, რა ხდება. როგორც ასეთი, მე თვითონ არაფერს ვწერ და წიგნის შექმნამდე კიდევ ბევრი მაკლია. იქიდან გამომდინარე, რომ დოქტორანტურაში ვსწავლობ, მომეცა იმის უფლება და საშუალება, რომ ერთ-ერთ მსხვილ ორგანიზაციაში დავრეგისტრირებულიყავი, რომელიც წიგნებს გამოსცემს. მაქვს უფლება სხვადასხვა ავტორის მასალები გამოვიყენო და შევქმნა კონსპექტი, რომელიც წიგნის სახით გამოვა. ეს იქნება ელექტრონული ვერსია. ხშირად ამბობენ, რომ ფინანსები და ბუღალტერია რთული სასწავლია და ეს მართლაც ასეა. ხშირად, ამა თუ იმ წიგნში რაღაც თავები საინტერესოა, რაღაც თავები კი, პირიქით, არაფერში გჭირდება და მოსაწყენია მისი კითხვა. მე მახარებს ის ამბავი, რომ დოქტორანტურაში სწავლა მაძლევს იმის საშუალებას, რომ სხვადასხვა წიგნიდან საჭირო ინფორმაციის მიქსი გავაკეთო და კონსპექტის სახით ელექტრონული ვერსია გამოვუშვა.

**– ეს ყველაფერი ლიცენზირებული იქნება?**

– რა თქმა უნდა, ყველა გამოყენებული მასალის ბოლოს მითითებული იქნება რომელი ავტორის წიგნიდან არის ინფორმაცია.

**– თავად თუ გექნება ამ კონსპექტის სტუდენტებთან გამოყენების საშუალება?**

– დიდი იმედი მაქვს, მომავალში აუცილებლად გავაგრძელებ სტუდენტებთან ურთიერთობას და მათი სწავლების პროცესს. სხვათა შორის, ძალიან მენატრება ეს ყველაფერი. როგორც იცით, ლექტორობის სამწლიანი გამოცდილება მაქვს საქართველოში. ასე რომ, როცა ამ საქმეს განვაგრძობ, სტუდენტებს ექნებათ საშუალება, ინტერნეტში შევიდნენ და ამ კონსპექტით იხელმძღვანელონ ძალიან მარტივად და უპრობლემოდ. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ლეგალურად იქნება. ეს არ იქნება უფასო, რადგან, ვის მასალებსაც გამოვიყენებ, მათ ანაზღაურება ეკუთვნით.

**– ეს მართლაც გაუადვილებს სტუდენტებს შრომას, რადგან, ათი წიგნის ნაცვლად მხოლოდ ერთის საშუალებით შეეძლებათ საჭირო ინფორმაციის მიღება.**

– ჩემი მიზანი იყო, გაადვილებულიყო სწავლის პროცესი, თუმცა, გამარტივება ხარისხის დაგდებას არ ნიშნავს. თუ ადამიანს სწავლა უნდა, ეს კონსპექტი ძალიან დაეხმარება.

**– როდის ექნება შენ მიერ გაკეთებული ელექტრონული წიგნის გამოყენების საშუალება მომხმარებელს და სად იქნება ის განთავსებული?**

– არის ერთი დიდი ამერიკული კომპანია, „მაგროულ ჰილი“, რომელსაც თითქმის ყველა ქვეყანაში ჰყავს წარმომადგენლობა. რადგან მათ დამარეგისტრირეს როგორც ლექტორი, როგორც კი წიგნი მზად იქნება, მათ საიტზე ავტომატურად დაიდება, ძალიან დიდი სურვილი მაქვს, წლის ბოლომდე მოესწროს. 12 წიგნი, რომელიც, როგორც ლექტორს, უფასოდ მეკუთვნის, უკვე მივიღე. პრინციპში, ძალიან მარტივია ამ ყველაფრის გაკეთება, როცა იცი, რა გინდა და ზუსტად რა გჭირდება ამა თუ იმ ავტორის წიგნიდან. ამ ყველაფერს დავახარისხებ, გავუკეთებ შესავალს და ამის შემდეგ უკვე სარედაქციო კოლეგია გადახედავს, რამე ხომ არ არის ჩამატებული ან მითვისებული. როგორც კი ტესტირებას გაივლის ავტომატურად აიტვირთება საიტზეც.



ფრანგებისთვის ურთიერთობის აწყობა, როგორც თვითონ ამბობენ, სრულგანაკვეთიანი სამსახურია

**– წიგნი ინგლისურ ენაზე იქნება?**

– დიახ, თან, გამარტივებული. დამეთანხმები, რომ, რაც არ უნდა კარგად ფლობდე ენას, ინგლისურად ფინანსებისა და ბუღალტერიის შესწავლა არც ისე ადვილია. ამიტომაც გავუმარტივე საქმე სტუდენტებს და გაცილებით მარტივი ენით შევთავაზებ კონსპექტს. ეს მათ დროსაც დაზოგავს და ლექსიკონშიც ნაკლებად ექნებათ სიტყვები მოსაძიებელი.

**– გარდა იმისა, რომ ელექტრონული წიგნის შექმნით ხარ დაკავებული, პარალელურად რას საქმიანობ პარიზში?**

– დოქტორანტურაში სწავლა – ეს უკვე იმას ნიშნავს, რომ დაკავებული ხარ. მაგრამ, აქვე გეტყვით იმასაც, რომ, რადგან საფრანგეთში მუშაობის უფლება ჯერჯერობით ნახევარ განაკვეთზე მაქვს, ინსტიტუტშივე ვმუშაობ და სხვადასხვა საინტერესო კვლევაშიც დიდი სიამოვნებით ვიღებ ხოლმე მონაწილეობას. ჩემი მიზანია, იქიდან მაქსიმუმი წამოვიღო და, სანამ ასაკი მიწყობს ხელს, ინფორმაცია მაქსიმალურად შევისრუტო. არასდროს მრცხვენია კითხვის დასმა იმის შესახებ, რაც არ ვიცი.

**– დარწმუნებული ვარ, რომ წინ ბევრი რამ გაქვს გასაკეთებელი და ერთ ადგილზე არასდროს გაიყინები, იმდენად ჰიპერაქტიური ადამიანი ხარ, მაგრამ, ამასობაში გადის წლები და პირადი ცხოვრება მოსაწესრიგებელი გაქვს, გამომდინარე იქიდან, რომ მეორე ნახევარი ჯერ არ გყავს.**

– ჰო, ეს კარიერისტი ადამიანების დაავადებაა.

**– ანუ, თან საქმე და თან პირადი შენს ცხოვრებაში არ ერწყმის ერთმანეთს?**

– ალბათ, საქართველოში რომ ვცხოვრობდე, უფრო ადვილი იქნებოდა, მაგრამ, იქ ძალიან რთულია ისეთი ადამიანის პოვნა, ვინც შენთვის თუნდაც გერლფრენდის სტატუსით იქნება. ფრანგისთვის ურთიერთობის აწყობა, როგორც თვითონ ამბობენ, სრულგანაკვეთანი სამსახურია. ძალიან დიდი დრო უნდა ჩადოს ამ ურთიერთობაში და დროის ინვესტიცია გააკეთოს. ბევრს არ უღირს ეს ყველაფერი. მით უმეტეს, როცა მათი ეროვნების წარმომადგენელი არ ხარ, ნდობაც არ არის შენ მიმართ – მაინც რაღაცის ეშინიათ.

**– შენს შემთხვევაში რა ხდება?**

– ჩემი ბრალი, ალბათ, ის არის, რომ ჯერჯერობით პირადი ურთიერთობის აწყობაზე არ ვარ ორიენტირებული და არც მაწუხებს ეს თემა. რა თქმა უნდა, იდეალური ვარიანტია, თუ კარიერაც და პირადი ცხოვრებაც ორივე მოწესრიგებული გაქვს. ვიცი, რომ აღარ ვარ 20 წლის, ასაკი მენატრება. 30 წლამდე დავიცდი და, მერე, მგონია, რომ რაღაცეები თავისით შეიცვლება. ამიტომ, დიდად არ ვნერვიულობ და არ განვიცდი. ვხვდები, რომ ჯერ არ ვარ მზად ოჯახის შესაქმნელად. ოჯახს მხოლოდ იმის გამო ვერ შევქმნი, რომ ცოლი მყავდეს. მე არ ვარ ის ადამიანი, რომელიც რამდენჯერმე მოიყვანს ცოლს. მე მექნება ერთი ოჯახი, მეყოლება ერთი ცოლი და იმდენი შვილი, რამდენსაც ღმერთი მომცემს.

**– მაქსიმალისტი ხარ და, მჯერა, რომ ოჯახისთვისაც ანალოგიურად დაიხარჯები.**

– მაქსიმალისტობა ძალიან კარგია, მაგრამ, რაღაცეებში ხელის შემშლელია. ვფიქრობ, რომ ურთერთობაშიც არ უნდა იყო მაქსიმალისტი, რადგან, თუ იდეალურ ადამიანს დაუწყე ძებნა, ვერასდროს იპოვი ერთი მარტივი მიზეზის გამო – ასეთები არ არსებობენ და ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული. თუმცა, არსებობენ ერთი ჭკუის ადამიანები, რომლებსაც ერთმანეთთან ბევრი საერთო შეიძლება ჰქონდეთ.

**მარიკა ხიდურელი**

---

რომელიც შეგიძლია, შენი თავისთვის გამოიყენო. ცხოვრებაში პირველად გვაქვს ასეთი სამსახურები. ამ დროს საინტერესოდ ვითვისებთ: დავდივართ სასეირნოდ, ვაწყობთ ჩვენს ახალ ბინას, რომელიც, როგორც იქნა, გვეღირსა. 12 წლის განმავლობაში სულ ნაქირავებ ბინებში ვცხოვრობდით, ერთი ბინიდან მეორეში გვიწევდა ხოლმე გადასვლა, რაც არ იყო ადვილი. ახლა, როგორც იქნა, გვაქვს ჩვენი ბინა „ლისი ვერანდაზე". მართალია, დიდი ბინა არაა, მაგრამ, გვაქვს ძალიან კარგი გარემო. ისეა გაკეთებული, თითქოს სასტუმროში ცხოვრობ და ეს ძალიან მომწონს. დიზაინის ავტორი არის კახა, ის ჩემზე აქტიურად იყო ჩართული რემონტის ამბებში. არ დაგიმალავთ და, განსაკუთრებული ემოციები მაქვს, რადგან, ჩვენს ოჯახს პირველად აქვს საკუთარი ჭერი, მარიამს კი – საკუთარი ოთახი. ვინაიდან პატარა ბინაა, ხუთ-ექვს სტუმარზე მეტს ვერ მოიწვევ, ამიტომაც, სტუმრები მორიგეობით გვყავს. ოდესმე, თუ საშუალება გვექნება, ძალიან მინდა საკუთარი სახლი ეზოთი და გამწვანებით – ეს არის ჩემი ოცნება. ისე დამღალა თბილისის ხმაურმა და მტვერმა, ასეთი სახლი ქალაქიდან ცოტა მოშორებით მინდა რომ იყოს.

**– საზაფხულო არდადეგები სად გაატარეთ?**

– თურქეთში, მაგრამ, აგვისტოში თბილისში სტენფორდის დემოკრატიის განვითარების ცენტრის მიერ ორგანიზებული საერთაშორისო კონფერენცია ტარდებოდა, რომელსაც აუცილებლად უნდა დავსწრებოდი, ამიტომ, რვა დღეში დავბრუნდით უკან. მაინც საინტერესო და კარგი არდადეგები გამოგვივიდა. კახას ძალიან უყვარს აქტიური დასვენება, ექსტრემალური სპორტის ნაირსახეობები, წყლის თხილამურებზეც მარჯვეა, მე კი უფრო მშვიდი დასვენება მირჩევნია – ზღვა, პლაჟი, წიგნი და, აუცილებლად დეტექტივი, როცა ზღვაზე ვისვენებ, დეტექტივი უნდა ვიკითხო – ეს ჩემი უცვლელი რიტუალია ***(იცინის).***

**თამუნა ნიჟარაძე**

**ახალი სტილით 14 სექტემბერს მართლმადიდებლურმა ეკლესიამ საეკლესიო ახალი წელი აღნიშნა. თუ რატომ აღინიშნება ამ დროს ახალი წელი, ამაზე არაერთი სწავლება არსებობს. ასევე, მნიშვნელოვანია იმ რამდენიმე მოთხოვნის გათვალისწინება, რომელიც ყველა მართლმადიდებელმა ქრისტიანმა უნდა იცოდეს, რათა მისი ცხოვრება სულიერად წარმატებული იყოს. ამ ყველაფრის შესახებ გვესაუბრება ნარიყალას წმიდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი მამა გიორგი (თევდორაშვილი):**

# როდის არ აქვს ადამიანის ეკლესიაში სიარულს აზრი და რატომ არის ბევრი ქრისტიანის ზეციური საეკლესიო ბანკი ცარიელი

– ალბათ, ბევრს უჩნდება კითხვა, თუ როდის შეიქმნა ადამიანი. ბუნებრივია, პასუხი ასეთია: მეექვსე დღეს. მაგრამ, დიდმა მამამ, ეფრემ ასურმა, გამოიკვლია, კონკრეტულად როდის უნდა შექმნილიყო ადამიანი და ეს დაემთხვა სექტემბრის დასაწყისს, ანუ – შემოდგომას. ძველად ახალი წელი იწყებოდა ან გაზაფხულზე, ან – შემოდგომაზე. ამ დროს ეკლესიაში იწყება საღვთო განგებულება ადამიანის გამოხსნისთვის. თანამედროვე კალენდრით, 21 სექტემბერი – ეს არის ღვთისმშობლის შობა, ხოლო 28 აგვისტო – ღვთისმშობლის მიძინება. საეკლესიო დღესასწაული, ეკლესიური ციკლი, იწყება სექტემბერში და მთავრდება შემდეგი წლის აგვისტოში, ანუ, იწყება ღვთისმშობლის შობით და მთავრდება მისი მიძინებით. საეკლესიო ახალი წელი თარიღად, ანუ, ინდიქტიონად დააწესა პირველმა მართლმადიდებელმა იმპერატორმა, კონსტანტინე დიდმა, მეოთხე საუკუნეში. პირველ მსოფლიო საეკლესიო კრებაზე დადგინდა, რომ სექტემბერი არის საეკლესიო ახალი წელი. რა თქმა უნდა, ამის ცოდნა და გააზრება არავის აწყენს. ასევე, საჭიროა, იმის გააზრება, თუ რა განსაკუთრებული სწავლებები არსებობს იმათთვის, ვინც თავს მართლმადიდებლებად მიიჩნევენ.

**– როგორია ეს განსაკუთრებული სწავლებები, ანუ, რისი კეთება გვევალება ქრისტიანებს?**

– მე გადავწყვიტე, იქიდან რამდენიმე ამომერჩია: 1. ქრისტიანი, უპირველეს ყოვლისა, საქმითა და სიტყვით არის ქრისტიანი. დღეს, საქართველოში, ქუჩაში რომ გააჩერო ადამიანი, ქართველი თუ არაქართველი, თითქმის ყველა ამაყად გეტყვის, რომ მართლმადიდებელი ქრისტიანია, ანუ, უმრავლესობა ქრისტიანია, მაგრამ, აქედან ათი პროცენტი თუ დადის ეკლესიაში და, ამ ათიდანაც, ვინ როგორ ცხოვრობს – ესეც საკითხავია. ანუ, პირველი მოთხოვნა – ეს არის ეკლესიაში სიარული. ამ სიტყვებს ბევრი ქრისტიანი პირდაპირი მნიშვნელობით იგებს: დადიან ეკლესიაში; შევლენ, გავლენ, ხან ტაძარს უვლიან გარშემო, ხან შიგნით შემოვლენ, ისევ გავლენ და ასე იღლებიან სიარულით. რომ ჰკითხოთ – დადის ეკლესიაში. მაგრამ, რა მოიტანე და რა წაიღე?! მადლობა ღმერთს, რომ მოხვედი ეკლესიაში, რომ შეძელი, შენი ფეხით მოსულიყავი, არ ხარ საავადმყოფოში, საპყრობილეში, მაგრამ, ხომ შეიძლება მომავალ კვირას ველარ წახვიდე ეკლესიაში?! აქედან გამომდინარე, ძალიან კარგია, რომ ეკლესიაში მოხვედი, მაგრამ, უკეთესი იქნება, სახარება, ქადაგება მოისმინო; აღსარება თქვა, ეზიარო. თქვენთვის ყოველ კვირას და, არა მხოლოდ ყოველ კვირას, მზადდება ტრაპეზი, წმიდა ზიარება, სულიწმიდა გარდამოდის და ამ დროს თქვენ არც კი მოდიხართ ეკლესიაში. ან, მოდიხართ დაგვიანებით, სახარებას არ უსმენთ... ქადაგებას მაინც დაესწარით, რომელიც მოძღვარმა თქვენთვის მოამზადა, რომ იქიდან რამე გაიგოთ. თუ ვერაფერს გაიგებთ, მაშინ, იმ ადამიანს მაინც ჰკითხავთ, ვინც ესწრებოდა წირვას და მოგიყვებათ, მამაომ რა მაცხოვნებელი სწავლება გადმოგცათ. სამწუხაროდ, ჩვენ ეს არ გვაინტერესებს, რადგან, ჩვენი გონება „აღმატებული“ საკითხებით არის დაკავებული. ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ, იფიქრეთ სულის ცხონებაზე. ეკლესიაში რომ შემოხვალთ, გაჩერდით, გონება მოიკრიბეთ და იფიქრეთ იმაზე, რაც მნიშვნელოვანია თქვენი სულისთვის. მეორე მოთხოვნაა: ეკლესიაში რომ მოხვედით, გაჩერდით და დაიწყეთ ლოცვა. პირდაპირ შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენ არ ვიცით ლოცვა.

**– რას გულისხმობთ? ეკლესიაში მოსულებმა ხშირად ზეპირად იციან ლოცვები, დილა-საღამოს ლოცულობენ.**

– როდესაც ქრისტიანი ეკლესიაში მოდის, მან უნდა იცოდეს, რაზე ილოცოს. ეკლესიამ დაადგინა წირვა-ლოცვა, რომლის დროსაც გამოდის დიაკვანი და ამბობს: „მშვიდობით, უფლისა მიმართ ვილოცოთ“ – და შემდეგ ჩამოთვლის, რატომ უნდა ვილოცოთ. ამ დროს არა მხოლოდ გუნდმა, თქვენც უნდა თქვათ: „ამინ“ და თქვენი გონება არ იქნება გაფანტული. პირველი, რაც ლოცვის დროს გევალებათ, არის არა ფარისეველივით მადლობის თქმა, არამედ, ყურადღება – რასაც ღმერთი, ეკლესია მოითხოვს თქვენგან. თუ ყურადღებით არ იქნებით, ღმერთი არ მოგისმენთ, რადგან, ღმერთი არ უსმენს იმ ადამიანს, ვინც უყურადღებოდ ლოცულობს. ერთ წმიდა მამას ეკითხებიან: „რას აკეთებ ლოცვის დროს?” – ის კი პასუხობს: „ვლოცულობ, რომ კარგად ვილოცო,” ანუ, ლოცულობს და ღმერთს ევედრება: მომეცი, უფალო, ყურადღება, რომ კარგად ვილოცო; შევძლო, გითხრა ის, რასაც მე ვფიქრობ და რაც არის საჭირო ჩემთვის. ამიტომ, ყველა ლოცვა სულიწმიდის მოხმობით იწყება: „მეუფეო ზეცათაო“... მესამე უკვე არის აღსარება. სამწუხაროდ, დღეს აღსარება და ზიარება ერთმანეთთან არის გაიგივებული. ბევრი აღსარებას იმიტომ ამბობს, თან, ბუნდოვნად, ჩამოთვლილი სიით, რომ ზიარება უნდა. თვეში ერთხელ ან ორჯერ სულიერმა მოძღვარმა და მრევლმა უნდა ჩაიხედონ ერთმანეთის სულში, რათა გაიგონ, რა პრობლემები აწუხებთ მათ სულიერ შვილებს; ერთმანეთს უნდა დავეხმაროთ. ტყუილად კი არ ჰქვია აღსარებას „სინანულის საიდუმლო” – უნდა ნანობდეთ იმას, რასაც აღიარებთ. ადამიანი ცოდვების მისატევებლად ეზიარება და, არა იმიტომ, რომ ღირსია, არამედ იმიტომ, რომ მასზე სულიწმიდის მადლი გადმოვიდეს. სასულიერო პირი მაინც აზიარებას ადამიანს – ის საკუთარ თავზე იღებს ერთ მესამედს; ერთ მესამედს – უფალი იღებს საკუთარ თავზე და, ერთი მესამედი თქვენც ხომ უნდა აიღოთ?! ეკლესიიდან რომ გახვალთ ნაზიარები, ჭორაობა კი არ უნდა დაიწყოთ, რამე სასარგებლო საქმით უნდა დაკავდეთ, რათა დაინახონ ღმერთმა, მოძღვარმა, სხვა ადამიანებმა, რომ მადლიერი ხართ წმიდა ზიარების მიღების. ამ ყველაფერს უკვე მოჰყვება მეოთხე – მადლიერება.



ერთ წმიდა მამას ეკითხებიან: „რას აკეთებ ლოცვის დროს?“ – ის კი პასუხობს: „ვლოცულობ, რომ კარგად ვილოცო“

**საეკლესიო დღესასწაული, ეკლესიური ციკლი, იწყება სექტემბერში და მთავრდება აგვისტოში, ანუ, იწყება ღვთისმშობლის შობით და მთავრდება მისი მიძინებით**

**– მადლიერება ყველაზე ხშირად გვავიწყდება, განსაკუთრებით კი – ღმერთის მიმართ.**

– მიიღე ზიარება? – თქვი: „მადლობა ღმერთს ყველაფრისთვის. რა მოწყალე ხარ, ჩემი მოძღვარიც როგორი მოწყალეა.” მადლობა ნიშნავს მადლმოსილებას, მადლიერებას. მადლიერებით უნდა ვიცხოვრო მე. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს მადლიერება ძალიან მალე გვეკარგება. გვიჭირს თუ გვილხინს, მაინც მადლიერები უნდა ვიყოთ. როცა გვიჭირს, განსაცდელში ვართ და მაინც ვმადლობთ უფალს, ღმერთი ამას დაინახავს და წყალობას, სიკეთეს არ მოგვიშლის. მაგრამ, თუ ყველაფერი კარგად გვაქვს სამსახურშიც და ოჯახში, მაშინ ხშირად ღმერთი აღარ გვჭირდება, გავიწყდება, რომ სამადლობელი პარაკლისი უნდა გადავიხადოთ, მადლიერი ვიყოთ უფლის, ვმადლობდეთ, გავცემდეთ. სამაგიეროდ, როგორც კი განსაცდელში ჩავვარდებით, მაშინვე ვამბობთ: „მამაო, მიშველე! ღმერთი რატომ აღარ მისმენს?” – და ასე შემდეგ. მადლიერება ადამიანმა სხვადასხვანაირად უნდა გამოხატოს, ერთ-ერთი კი შესაწირის გაღებაა.

**– ეს ერთ-ერთი ყველაზე რთული თემაა. ამის გამო ხშირად განიკითხავენ ხოლმე სასულიერო პირებს.**

– ძალიან ბევრჯერ მტკენია გული, როდესაც ამბობენ: როგორი ცუდი, ვერცხლისმოყვარე სასულიერო პირები არიან: ნათლობაში ვიყავი – მღვდელმა ფული მომთხოვა; ქორწილში ვიყავი – იქაც ფული მომთხოვა და ასე შემდეგ. ალბათ, ასეთი სასულიერო პირები არ კითხულობენ სახარებას, სადაც წერია: „უსასყიდლოდ მიგიღებიათ და უსასყიდლოდ გაეცით” – საუბარია სულიწმიდის მადლზე. შენდობას ვითხოვ იმ სასულიერო პირების მაგივრად, რომლებიც ზიარებაში, აღსარებაში, ნათლობასა და ქორწილებში ფულს ითხოვენ, მაგრამ, თუ უფიქრია ადამიანს, რომ თავადაც ვერცხლისმოყვარეა და, ეზარება, დაეხმაროს ეკლესიას? მღვდელი არ არის იმის ღირსი, რომ, მოგემსახურა და, შენ, ქვრივი ქალივით, ორი ლეპტა მაინც შესწირო – ის რაც შენი გულიდან, სულიდან მომდინარეობს?! ეს არის ხელფასი მგალობლების; გაზის, შუქის გადასახადი; მღვდლის ელემენტარული ლუკმა-პურის შემოსავალი, რომ იარსებოს, მოვიდეს შაბათ-კვირას და ჩაგიტაროს წირვა-ლოცვა. მოძღვარმა არ უნდა მოითხოვოს თანხა და არც ადამიანები უნდა იყვნენ ძუნწები, რადგან, რასაც არ გასცემ, ის არ იქნება შენი და, რასაც გასცემ, ის შენი იქნება. ზეციური საეკლესიო ბანკი ბევრი ჩვენგანის სახელზე არის ცარიელი. მხოლოდ ფულის გაცემა კი არ იგულისხმება ამაში, არამედ, ბევრი რამის გაკეთება შეიძლება: ეკლესიის დალაგება, სხვებისთვის დახმარება და ასე შემდეგ. პირდაპირ ამბობს ღმერთი: „გამომცადეთ, მოიტანეთ მეათედი და, ნახეთ, თუ არ ავავსო თქვენი ოჯახები დოვლათით და ბარაქით.” და, ბოლოს – ურთიერთობები. სახარებაში პირდაპირ წერია: „ერთმანეთის ტვირთი იტვირთეთ და ასე აღსრულდება სჯული ქრისტესი”. სასულიერო პირი მრევლთან ახლო ურთიერთობაში უნდა იყოს, რათა კარგად გაიგოს მისი მდგომარეობა, მისი პრობლემები. როცა მრევლს სასულიერო პირის ერიდება, არ იცის, როგორ მივიდეს და როგორ ესაუბროს თავის პრობლემებზე, მაშინ, ჯობია, სხვა ეკლესიაში, სხვა მოძღვართან წავიდეს. თუ თქვენ სექტემბერში დაიწყებთ ეკლესიაში სიარულს, აღსარების თქმას, ზიარებას, შესაწირის გაღებას, მადლიერები იქნებით უფლის და უფრთიერთობა გექნებათ ბევრ ადამიანთან, თქვენი ეკლესიის მრევლთან, წარმოიდგინეთ, როგორი მდიდარი იქნებით.

**ნათია უტიაშვილი**

# ნეტარი მატრონას ცხოვრება და წინასწარმეტყველებანი

მატრონა დიმიტრის ასული ნიკონოვა დაიბადა 1885 წლის 9 ნოემბერს, ტულის გუბერნიის სოფელ სებინოში, მრავალშვილიანი გლეხის ოჯახში. ჯერ კიდევ მის დაბადებამდე მატრონას დედამ, ნატალია ნიკონოვამ, საოცარი სიზმარი ნახა: ზეციდან მასთან ბრმა ფრინველი ჩამოფრინდა ადამიანის სახით და მარჯვენა ხელზე დააჯდა.

მართლაც პატარა ბრმა გოგონა დაიბადა, რომელსაც თვალების მაგივრად ჩაღრმავებული ადგილები ჰქონდა. როდესაც მას ნათლავდნენ, ემბაზიდან ჭერამდე მსუბუქი, კეთილსურნელოვანი კვამლის სვეტი აღიმართა. ღვთის რჩეულობის ნიშანი შენიშნა ყველამ, ვინც იქ იყო. გაოცებულმა მღვდელმა კი თქვა: „მე ბევრი ჩვილი მომინათლავს, მაგრამ ასეთ რამეს პირველად ვხედავ. ეს ყრმა წმიდანი იქნება“.

ზამთარში თბილად რომ ყოფილიყვნენ, მატრონას მშობლებთან ერთად ეძინა რუსულ ღუმელზე. ღამით, გამოღვიძებული მშობლები, ხშირად პატარა მატრონას ვერ პოულობდნენ. როდესაც დაძახებაზე ის მათ უპასუხებდა, აღმოჩნდებოდა, რომ მთელი ღამე სახლის წინა კუთხეში იჯდა, ხატებს ეთამაშებოდა და ეღუღუნებოდა, თითქოს ელაპარაკებაო. ყველასთვის გაუგებარი რჩებოდა, როგორ ახერხებდა ბრმა ჩვილი ხატებს მისწვდომოდა, ჩამოეღო ისინი, დაედო მაგიდაზე და თვითონ ჩამოსულიყო. ეს მისი პირველი გასაოცარი ქმედებები იყო. როდესაც მატრონა ცოტა წამოიზარდა და ფეხზე დადგა, ასეთი რამ გადახდა: ერთხელ, თავისი ქოხის ფანჯარასთან იჯდა და ლოცულობდა. უეცრად კარი გაიღო და ოთახში მოხუცი შემოვიდა წყლის სათხოვნელად. მატრონამ წყალი მიაწოდა. მან დალია და ჭურჭელი დაუბრუნა, ხოლო წასვლისას მსუბუქად დაარტყა ბავშვს მკერდზე. მას შემდეგ, წმიდა მატრონას, მთელი სიცოცხლის განმავლობაში, მკერდზე ჯვარი ჰქონდა გამოსახული, თითქოსდა იესო ქრისტეს გამოსახულებით. მისი სიტყვებით, ეს მოხუცი წმიდა ნიკოლოზი იყო, სასწაულმოქმედი და მსწრაფლშემწე.

წინასწარჭვრეტის უნარი მატრონას ადრევე აღმოაჩნდა. ის სოფლის ეკლესიასთან ახლოს ცხოვრობდა და მას თავის მეორე სახლად მიიჩნევდა. არც ერთ ღვთისმსახურებას არ ტოვებდა ბავშვობიდანვე.

ერთხელ მატრონამ გაიღვიძა და დედას ეუბნება: „მოემზადე, დედა, მალე მე ქორწილი მექნება“. დედა მღვდელთან წავიდა და ყველაფერი უამბო. მღვდელი მივიდა მათთან და მატრონა აზიარა. უეცრად, რამდენიმე დღის შემდეგ, მათ სახლთან ეტლებმა იწყეს თავმოყრა. მოდიოდნენ და მოდიოდნენ სხვადასხვა კუთხიდან, მოჰყავდათ ავადმყოფები თავიანთი ჭირ-ვარამითა და უბედურებით. ყველანი, რატომღაც, მატრონას კითხულობდნენ. მატრონა მათ ლოცვებს უკითხავდა და ბევრ მათგანს კურნავდა კიდეც. გაკვირვებული დედის კითხვაზე ის პასუხობდა: „ხომ გითხარი, რომ ქორწილი მექნებოდა“.

აქედან მოყოლებული, ნეტარი მატრონა მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში უანგაროდ იდგა ხალხის სამსახურში და დაუღალავად ეხმარებოდა მათ. მისმა წინასწარმეტყველურმა ნიჭმა კი თანდათან უფრო მეტი სიძლიერით იჩინა თავი. მასვე უნდა უმადლოდეს სოფელი ღვრთისმშობლის სასწაულთმოქმედი ხატის შექმნასაც, რომელმაც ის არაერთი განსაცდელისგან იხსნა.

ღვთისმშობლის ეს ხატი არა მხოლოდ შესანიშნავი ღვთივშთაგონებული ქმნილება გამოვიდა, არამედ მადლმოსილი და სასწაულმოქმედიც. როგორც კი ამ ხატს ლოცვით შემოატარებდნენ, გვალვას გამანაყოფიერებელი წვიმა ცვლიდა. ტაძარში კი ამ ხატისგან უამრავი სნეული იღებდა კურნებას. შემდეგ ამ წმიდა ხატის ასლიც გადაიღეს და ისიც სასწაულმოქმედი გახდა.

# მოძღვარი გვირჩევს

**კითხვა: როგორია ქრისტიანისთვის დროის გონივრული ხარჯვა?**

**პასუხი:** ქრისტიანმა დროის უმეტესი ნაწილი უნდა დაუთმოს სულისთვის ზრუნვას – ლოცვას, უფალზე ფიქრს, შესაბამის გარჯას, კეთილ საქმეთა შესრულებას. ხოლო დანარჩენი დრო კი მოახმაროს ხორციელ საჭიროებათა შესახებ ზრუნვას.

**კითხვა: რატომ ხვდება ადამიანს ცხოვრებაში შეურაცხყოფა, ავადმყოფობა, ტანჯვა?**

**პასუხი:** უფალი უშვებს, რომ ადამიანს ცხოვრებაში შეხვდეს შეურაცხყოფა, ტკივილი, ტანჯვა, ყოველივე ეს იმისთვის ხდება, რომ მისი სული განიწმინდოს ცოდვებისგან, გამოიწრთოს და შემდგომში სასუფეველი დაიმკვიდროს.



**კითხვა: როგორ გავცეთ მოწყალება, რასაც უფალი გვეუბნება, როცა თვითონ არაფერი გაგვაჩნია?**

**პასუხი:** მოწყალება მხოლოდ მატერიალურს არ გულისხმობს. გაეცით ღიმილი, სიხარული, მოეპყარით მოყვასს თბილად, კეთილად – ეს ყველა ადამიანს შეუძლია გააკეთოს, თვით ყველაზე უღარიბესსაც კი.

**კითხვა: შეიძლება თუ არა ვიმკურნალოთ ჰომეოპათიური საშუალებებით, ამით ცოდვას ხომ არ ჩავიდენთ?**

**პასუხი:** ჰომეოპათია მეცნიერებაა და არა რელიგია, ამიტომ ქრისტიანული სარწმუნოება მას არ ეწინააღმდეგება. შეგიძლიათ, გამოიყენოთ ეს სამკურნალო მეთოდი, ამით არ შესცოდავთ.

**კითხვა: შეიძლება თუ არა მარხვის შეწყვეტა, როდესაც ჯანმრთელობის მდგომარეობა გაგვიუარესდება?**

**პასუხი:** ეს საკითხი მოძღვართან შეათანხმეთ, თვითნებურად მარხვას თუ შეწყვეტთ.

# ჭეშმარიტი სარწმუნოება

## ფატიმის სასწაული

ფატიმის სასწაულის გასაოცარი მოვლენები ლისაბონის მახლობლად, პატარა სოფელ ფატიმში, შორეულ წარსულში კი არა, 1917 წელს მოხდა.

პორტუგალიელი ღვთისმეტყველი ი. გონზეგა დე ფონსეკა მოგვითხრობს: „წვიმა უეცრად შეწყდა, ღრუბელნი განიფანტნენ და გამოჩნდა მზის დისკო, მაგრამ იგი იყო ვერცხლისფერი, როგორც მთვარე. და უმალ მზის დისკომ დაიწყო უსწრაფესად ტრიალი, მსგავსად ცეცხლოვანი ბორბლისა. ყვითელ, წითელ, იასამნისფერ სხივთა კონების ფრქვევით შეფერადდნენ ღრუბელნი, ხენი, კლდენი და კაცნი... უეცრად ყველას ეჩვენა, რომ მზე დაიძრა ზეციდან და მათკენ მოიჩქარის. აი, გაისმა ყოველი მხრიდან: „სასწაულია, სასწაული!“ „მე ვირწმუნე ღვთისა!“ „ავე მარია!“ „უფალო, შეგვიწყალე!“ ხალხი მუხლებზე ეცემოდა ტალახში, ლოცულობდა ხმამაღლა და ცოდვათა მიტევებას ითხოვდა. აღუწერელი იყო შთაბეჭდილება. ერთმა მოხუცმა, რომელსაც აქამდე არ სწამდა ღვთისა, აღაპყრო ხელები ცისკენ და შეჰღაღადა: „ყოვლადწმიდაო ღვთისმშობელო! მარად ნეტარო ქალწულო!“

ჭეშმარიტად გასაოცარი იყო ისიც, რომ არავის შეშინებია, არ გაქცეულა, არ დამხობილა მიწაზე, არავის უცდია თავის დაღწევა აპოკალიფსური განსაცდელისგან. არავინ შეძრწუნებულა ამ არნახული მოვლენისაგან.

გოგონა ლუსის ღვთისმშობელი გამოეცხადა და განსაკუთრებული მნიშვნელობის რამ გაანდო. ეს ეხებოდა ანტიქრისტეს მოსვლას და კეთილმორწმუნეთა მოსალოდნელ ომს მასთან. ღვთისმშობელი გოგონას გამოეცხადა ორჯერ – 13 მაისსა და 13 ოქტომბერს, ანუ 25 დღის შემდეგ ლენინის ჩამოსვლიდან პეტროგრადში და 27 დღით ადრე – ოქტომბრის რევოლუციამდე. კათოლიკურმა ეკლესიამ გამოაცხადა 1917 წლის წინასწარმეტყველების შესახებ ფატიმში, 1941 წელს კი ამ სასწაულის კანონიზაცია მოახდინა.

მოსახსენიებელ დღეებში, ჩვენს დროშიც ჩამოდის ფატიმში ორ მილიონამდე მლოცველი. კურთხევისთვის ჩამობრძანდა პაპი იოანე მეორეც.

**მოამზადა**
**რევაზ ტომარაძემ**

# „მანჩესტერ იუნაიტედის“ ახალი ვარსკვლავები

*ჰოლანდიელი სპეციალისტი ლუი ვან გაალი „მანჩესტერ იუნაიტედში“ ახალი გუნდის „მშენებლობას“ იწყებს და ამის გამო კლუბის ხელმძღვანელობამ უპრეცედენტო სატრანსფერო პოლიტიკა აწარმოა. „წითელმა ეშმაკებმა“ ყველაზე მეტი დახარჯეს გუნდის განახლებაზე და რამდენიმე საინტერესო ტრანსფერი განახორციელეს, რომლებსაც დღეს გაგაცნობთ.*

### ანხელ დი მარია

* ანხელ ფაბიან დი მარია ერნანდესი დაიბადა არგენტინულ ქალაქ როზარიოში, 1988 წლის 14 თებერვალს, მიგელ და დიანა დი მარიების ოჯახში.

* დი მარიების ოჯახს უკიდურესად უჭირდა – ანხელის მამა ნახშირის გადამმუშავებელ საწარმოში მუშაობდა, ხოლო დედა დიასახლისი იყო. ანხელი ორ დასთან ერთად პატარა ოთახში ცხოვრობდა და, მისი თქმით, გადარჩენის ერთადერთი გზა ფეხბურთი იყო, რომელსაც ის კარგად თამაშობდა.

* ბავშვობაში ანხელის კერპი არგენტინელი ფეხბურთელი, „ვალენსიისა“ და ნაკრების ვინგერი კილი გონსალესი იყო, რომელთან ერთადაც ანხელს კარიერის დასაწყისში მოუწია თამაში.

* ანხელ დი მარიას პირველი ევროპული კლუბი „ბენფიკა“ იყო.

* სხვა ფეხბურთელების მსგავსად, ანხელი გატაცებულია ტატუირებებით – მას სხეულზე რამდენიმე ათეული ტატუ აქვს.

* 2011 წლიდან ანხელ დი მარია დაქორწინებულია ჟორჟელინა კარდოსოზე. წყვილს ჰყავს ერთი ქალიშვილი – მია.

* ჯორჯ ბესტის, ბრაიან რობსონის, ერიკ კანტონას, დევიდ ბექჰემისა და კრიშტიანუ რონალდუს შემდეგ, ანხელ დი მარია „მანჩესტერის“ ახალი 7 ნომერია.

### რადამელ ფალკაო

* რადამელ ფალკაო გარსია ზარატე დაიბადა 1986 წლის 10 თებერვალს, კოლუმბიაში, სან-მარტაში. სახელი „ფალკაო“ მას ბრაზილიელი ფეხბურთელის, ფალკაოს პატივსაცემად დაარქვეს.

* რადამელ ფალკაო კოლუმბიის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელია, რომელმაც პროფესიონალურ კლუბში ითამაშა. მისი დებიუტი 1999 წელს შედგა, ხოლო პირველი გოლი პროფესიონალურ დონეზე მან 2000 წელს, 14 წლის ასაკში გაიტანა.

* რადამელ ფალკაო „მონაკოს“ საკუთრებაა და „მანჩესტერ იუნაიტედში“ განათხოვრებით თამაშობს.

* ფალკაო არგენტინელ ლორელეია დაიანე ტარონზეა დაქორწინებული. წყვილს ჰყავს ქალიშვილი – დომინიკა. რადამელი მორწმუნე ქრისტიანია და სხვადასხვა რელიგიური ჯგუფის წევრია სამშობლოში.

### დეილი ბლინდი

* დეილი ბლინდი დაიბადა 1990 წლის 9 მარტს, ამსტერდამში. მამამისი, დანი ბლინდი, წარსულში ცნობილი ჰოლანდიელი ფეხბურთელი იყო – ამსტერდამის „აიაქსისა“ და ჰოლანდიის ნაკრების წევრი.

* 2008 წელს დეილი ბლინდი „აიაქსის“ ყველაზე ნიჭიერ ფეხბურთელად დასახელდა. იმავე წელს ის სარეზერვო გუნდიდან პირველ გუნდში გადაიყვანეს.

* დეილი ბლინდის ტრანსფერი „მანჩესტერ იუნაიტედს“ 17,5 მილიონი ევრო დაუჯდა.

* „მანჩესტერ იუნაიტედში“ გადასვლა დეილი ბლინდმა მეგობარ გოგოსთან ერთად ჭიქა ღვინის აწევით აღნიშნა.

### ანდერ ერერა

* ანდერ ერერა აგუერა დაიბადა ბასკეთის დედაქალაქ ბილბაოში 1989 წლის 14 აგვისტოს.




მისი სიმაღლე 182 სანტიმეტრია, ხოლო წონა – 70 კილოგრამი.

* 2013 წელს „მანჩესტერ იუნაიტედს“ ჰქონდა მცდელობა, 25 მილიონ გირვანქა სტერლინგად გამოესყიდა ანდერ ერერა ბილბაოს „ატლეტიკოდან,“ თუმცა, კლუბმა მისი გაყიდვა არ ისურვა. 2014 წლის ზაფხულში „მანჩესტერი“ ხელმეორედ შეეცადა ერერას შეძენას, ამჯერად 29 მილიონის სანაცვლოდ, მაგრამ, კვლავ უარი მიიღო. საბოლოოდ, ანდერ ერერას ტრანსფერი „მანჩესტერს“ 36 მილიონი ევრო დაუჯდა.

* პირველი გოლი „მანჩესტერის“ რიგებში ანდერ ერერამ, ანხელ დი მარიას მსგავსად, „ქუინზ პარკ რეინჯერსს“ გაუტანა.

* ანდერის მამა, პედრო მარია, ასევე ფეხბურთელი იყო, რომელიც რამდენიმე წლის განმავლობაში „რეალ სარაგოსას“ რიგებში ასპარეზობდა.

## უჯრედებიდან „გამოზრდილი“ ორგანო ფუნქციონირებს

ედინბურგის უნივერსიტეტის რეგენერაციული მედიცინის კვლევითი ცენტრის თანამშრომლებმა შეძლეს, თაგვების ემბრიონული უჯრედებისგან გამოეზარდათ ორგანო, რომელიც იმუნური სისტემის მნიშვნელოვანი ნაწილია. ახლად შექმნილი თიმუსი სრულფასოვნად ასრულებს თავის ფუნქციას.

თაგვის ემბრიონის უჯრედები გენეტიკურად „გადააპროგრამეს“, ასევე, მოახერხეს მისი ტრანსფორმაციაც ისეთი ტიპის უჯრედებად, რომლებიც თიმუსში გვხვდება, შემდეგ ის შეურიეს სხვა დამხმარე უჯრედებს და მოათავსეს ცოცხალ თაგვში. თაგვის ორგანიზმში ამ უჯრედთა ჯგუფიდან განვითარდა სრულფასოვნად ფუნქციონირებადი თიმუსი.

როგორც მეცნიერები ამბობენ, ამ მნიშვნელოვანმა მიღწევამ დიდი პერსპექტივები გადაშალა რეგენერაციული მედიცინის წინაშე. თუმცა, არის რიგი წინააღმდეგობებიც, რომელთა გადალახვა საჭირო იქნება რეალურ პაციენტთან – ადამიანთან. მაგალითად, ემბრიონული უჯრედების გამოყენებისას აუცილებლად უნდა მოხდეს ჰისტოლოგიური შეთავსების უზრუნველყოფა. ამასთან, უნდა გამოირიცხოს უჯრედთა უკონტროლო ზრდა, ანუ კიბოს განვითარება.

## კანცლერის ჯილდო – მიროსლავ კლოზეს

გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი, მსოფლიოს ჩემპიონი მიროსლავ კლოზე პრესტიჟული ჯილდოთი – „ოქროს ვიქტორიათი“ დააჯილდოვა. „მიროსლავი ნამდვილი მაგალითია მომავალი თაობებისთვის, იგი ბრწყინვალე სპორტსმენი და მისაბაძი ადამიანია,“ – ასე დაახასიათა ანგელა მერკელმა ფეხბურთელი. შეგახსენებთ, რომ 36 წლის კლოზემ 2014 წლის ბრაზილიის მსოფლიო ჩემპიონატზე ბრაზილიელი რონალდოს რეკორდი მოხსნა და 16 გატანილი ბურთით მუნდიალების ისტორიაში საუკეთესო ბომბარდირის ტიტული მოიპოვა.

## ჩილეს ნაკრების სექსუალური ქომაგი

ჩილეს ნაკრებს ახალი სექს-სიმბოლო ჰყავს – არტურო ვიდალს, ალექსის სანჩესსა და ნაკრების სხვა ფეხბურთელებს ერთ-ერთი ყველაზე სექსუალური ჩილელი სპორტული ჟურნალისტი, ჟენდელინ ნუნიესი ოფიციალურად ქომაგობს და ამას საკმაოდ პიკანტური ფორმით აკეთებს.



ამიერიდან ჟენდელინი სანაკრებო მატჩების დროს, სტადიონზე, ჩილეს სახელმწიფო დროშის ფერებში გაწყობილი ბიუსტჰალტერით უქომაგებს თავის საყვარელ გუნდს. ლამაზმანი ჟურნალისტი ჩილეში იმითაა ცნობილი, რომ პერიოდულად, პრიალა ჟურნალებში, გულახდილი ფოტოსესიებით ანებივრებს მამაკაცებს.

## მაიკ ტაისონის მორიგი სკანდალი

ყოფილი მსოფლიოს ჩემპიონი, მძიმეწონოსანი მოკრივე მაიკ ტაისონი ახალი სკანდალის გმირი გახდა. ერთ-ერთი კანადური ტელეკომპანიის პირდაპირ ეთერში მან ჟურნალისტი უცენზურო სიტყვებით მოიხსენია. ტაისონი ჟურნალისტის დასმულმა კითხვამ განარისხა, რომელიც ტორონტოს მერის, ნარკოტიკული საშუალების მოხმარებაზე გამოჭერილი რობ ფორდისა და მოკრივის შეხვედრას ეხებოდა. კითხვის დასმისას ჟურნალისტმა აქცენტი ტაისონის კრიმინალურ წარსულზე გააკეთა და ამით მისგან გინება მიიღო პასუხად. მოგვიანებით ჟურნალისტმა უტაქტო კითხვის დასმის გამო ბოდიში მოუხადა მაიკ ტაისონს.

## ლიონელ მესი – „ფიფა 15-ის“ სარეკლამო რგოლში

არგენტინელი სუპერვარსკვლავი ლიონელ მესი პოპულარული კომპიუტერული თამაშის – „ფიფა 15-ის“ სარეკლამო სახე გახდა. „ბარსელონას“ ფორვარდმა მონაწილეობა მიიღო თამაშის სარეკლამო რგოლში. კომპიუტერული ფეხბურთის თამაშის სხვა მოყვარულებთან ერთად, მესიც გატაცებული ყოფილა თამაშით და მან საკუთარი თავი განასახიერა თამაშში. მესიმ ფეხბურთის მოყვარულებს დაანახვა, რომ თავადაც ემოციურად თამაშობს კომპიუტერთან და არაფრით განსხვავდება სხვა მოთამაშეებისგან.

**გვერდი მოამზადა უშანგი რუხაძემ**

# ცნობილი ადამიანების ადამიანური სისუსტეები

***მსოფლიოში ცნობილ პოლიტიკოსებს, ჩვეულებრივი ადამიანების მსგავსად, ახასიათებთ ადამიანური სისუსტეები, აქვთ ჰობი და გატაცებები, უცნაური თუ არა, ეგზოტიკური მაინც.***

**ვიქტორ იუშჩენკო**, უკრაინის ექსპრეზიდენტი მეფუტკრეობით არის გატაცებული. თუმცა, ეს უცნაურობა კი არა, უბრალოდ, ჰობია, რომლითაც ბევრი ვერ დაიკვეხნის. ასეთი დონის პოლიტიკოსისთვის „უცნაურობებიდან“ კი ასახელებენ მის არაპუნქტუალობას.

პარტია „ბიუტ-ბატკივშჩინას“ ლიდერსა და უკრაინის ექსპრემიერს, **იულია ტიმოშენკოს** „ძვირფას“ დიზაინერთა ტანსაცმელი უყვარს, რის გამოც არაერთხელ გააკრიტიკეს კიდეც. მისი კაბები ხშირად არის გაწყობილი „აბორკებითა“ და რუშებით, ზოგჯერ უადგილოდ და ზედმეტადაც კი – ასე ფიქრობენ ეტიკეტის ექსპერტები. სულ ახლახან მას კიდევ ერთი ინტერესი გაუჩნდა – iPad-ის პლანშეტით ისეა გატაცებული, რომ მასზე უარი მისი თანამებრძოლის, იური ლუცენკოს სასამართლოს მსვლელობის დროსაც კი არ უთქვამს.



გერმანიის კანცლერი **ანგელა მერკელი** სხვადასხვა დანიშნულების ნივთების ყიდვითაა დაკავებული, რომელთა შორის დიდ ადგილს ტანსაცმელი იკავებს. ამბობენ, ეს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გაზრდის გავლენაა, რამაც დეფიციტის მიმართ შიში სამუდამოდ ჩაუნერგა.

ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი ლედი, **ჰილარი კლინტონი**, სპირიტიზმითაა გატაცებული. როგორც ამბობენ, ჰილარიმ თავად განაცხადა, რომ სეანსების დროს ის გარდაცვლილ, ყოფილ პირველ ლედის, ელეონორა რუზველტს ესაუბრება, რომელიც მასავით სპირიტიზმის მოყვარული იყო.



ექსპრეზიდენტი **ჯორჯ ბუში უმცროსი** ამ რეიტინგში თავისი გასტრონომიული მიდრეკილებებით მოხვდა. მისი სისუსტეა უცნაური საკვები, რაღაც – პიცასა და ჩიზბურგერს შორის. სანამ პრეზიდენტი გახდებოდა, ის კინაღამ გაიგუდა ჩვეულებრივი „პონჩიკით“.

მოქმედ პრეზიდენტს, **ბარაკ ობამას**, შეიძლება, პრობლემა კანონდამცველებთან შეექმნას. საქმე ისაა, რომ ჩვევად აქვს უცნობ ქალბატონებთან ფამილარული დამოკიდებულება და მათ „ჩემო ძვირფასოთი“ მიმართავს. თითქოს ამაში არაფერი კანონსაწინააღმდეგო არ არის, მაგრამ, ფემინიზმისკენ მიდრეკილი ამერიკელებიდან, რომელიმემ შეიძლება უჩივლოს კიდეც.

**მუამარ კადაფი** უამრავი ქალითაა გარშემორტყმული – ლიბიის ლიდერის დაცვაშიც კი საკმაოდ არიან ქალები. გარდა ამისა, თანამედროვე აპარტამენტებს მას ბედუინის კარავი ურჩევნია, ხშირად მიდის უდაბნოში და თავის გარემოცვასთან ერთად კვირაობით რჩება.



**ალექსანდრ ლუკაშენკომ,** „ევროპის უკანასკნელმა დიქტატორმა" – როგორც მას ხშირად უწოდებენ, 2009 წელს აიჩემა, რომ ის, როგორც თავისი ვაჟი, 31 აგვისტოსაა დაბადებული, რის შემდეგაც ოფიციალურ საბუთებში 30 რიცხვი 31-ად გადააკეთეს.

ჩრდილოეთ კორეის მეთაური, **კიმ ჩენ ირი** უცნაურობებით პირველ ადგილზეა. ქვეყანაში დასავლური ფილმის ყურებისთვის შეიძლება დაგიჭირონ, ოლონდ, ეს უბრალო კორეელებს ეხება. თავად კიმ ჩენ ირი კი უცხოური კინემატოგრაფიის დიდი თაყვანისმცემელია. 70-იანი წლების ბოლოს მან ბრძანება გასცა და ჰონკონგში საიდუმლოდ მოიტაცეს მსახიობი ჩოი იუნ ცი და მისი ქმარი. წყვილი იძულებული გახდა, მისთვის 7 ფილმი გადაეღო და მხოლოდ 10 წლის შემდეგ შეძლეს მათ „სტუმართმოყვარე“ ჩრდილოეთ კორეიდან გაქცევა.

# 15 ფაქტი სტივ ჯობსზე

* კომპიუტერულ მაგნატს, სტივ ჯობსს, სირიული ფესვები ჰქონდა – მისი ბიოლოგიური მამა იყო აბდულფათაჰ ჯანდალი.

* სტივის დამ, მონა სიმპსონმა, პირველ რომანში – „ყველგან, ოლონდ აქ არა“, მშობლებთან ურთიერთობა აღწერა. და-ძმამ, რომლებიც სრულიად განსხვავებულ სფეროში იყვნენ წარმატებულები, მხოლოდ 1990-იან წლებში გაიგეს, რომ მათ ერთი და იგივე მშობლები ჰყავდათ.

* ჯობსის ბიოლოგიური მშობლები ეჭვობდნენ, რომ შესაბამის აღზრდას ვერ მისცემდნენ და მის გაშვილებაზე შეიტანეს განაცხადი. მოთხოვნა ერთადერთი იყო – მომავალ მშობლებს უმაღლესი განათლება უნდა ჰქონოდათ. აღმზრდელებმა იცრუეს – აღმზრდელ დედას საშუალო განათლებაც არ მიუღია, თუმცა სტივს კოლეჯი დაამთავრებინეს.



* ჯობსი მეტად თავდაჯერებული იყო და, 12 წლის ასაკში, როდესაც რადიოდეტალები გაუთავდა, HP-ის დამაარსებელს, თვით უილიამ ჰიულეტს დაურეკა და სთხოვა. უილიამმა გამოუგზავნა ყველა საჭირო დეტალი და არდადეგებზე ფირმაში სამუშაოდ მიიწვია.

* სტივი იყო პესკეტარიანელი – მიირთმევდა რძის პროდუქტებს, კვერცხს, თევზს, მაგრამ, არ ჭამდა ხორცს.

* ჯობსი ფიქრობდა, ტაძარში მონაზვნად წასულიყო, მისი საქორწინო ცერემონიალი კი ბუდისტმა ლეთისმსახურმა ჩაატარა.

* მან არ აღიარა პირველი შვილი, რადგან, მიაჩნდა, რომ უნაყოფო იყო.

* სტივს 48 ზომის ფეხსაცმელი სჭირდებოდა.

* 1977 წელს, როდესაც Apple II-მა პოპულარობა მოიპოვა, 25 წლის ჯობსი იმ დროისთვის ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა მილიონერი გახდა.

* 1983 წელს ჯობსმა დაარწმუნა ჯონ სკალი, Pepsi-Cola-დან Apple-ში გადასულიყო. ბოლოს კი მათ შორის კონფლიქტი მოხდა.

* ჯობსმა Pixar-ის სტუდია 10 მილიონ დოლარად იყიდა და „დისნეის" კომპანიას 7,5 მილიარდად მიჰყიდა.

* სტივ ჯობსი Apple-ის თანამშრომელთა 90 პროცენტს არასდროს შეხვედრია.

* სტივი თავად მართავდა ავტომობილს – Mercedes SL55 AMG – სანომრე ნიშნის გარეშე და ყოველთვის ინვალიდთა სადგომზე აყენებდა.

* ჯობსი მრავალი წლის განმავლობაში იყო Beatles-ის ფანი. უყვარდა კლასიკური მუსიკა, განსაკუთრებით – ბახი და... ბარბარა სტრაიზანდის შემოქმედება.

* 2008 წლის 29 აგვისტოს Bloomberg-ის ახალი ამბების განყოფილებამ სტივ ჯონსის 17-გვერდიანი ნეკროლოგი გამოაქვეყნა. საბედნიეროდ, სიმართლე მალე გაირკვა და ეკრანებზე გაჩნდა წარწერები: „ცნობა ჩემი სიკვდილის შესახებ მეტად გადაჭარბებულია."

**გვერდი მოამზადა**
**ლაშა გაბელიამ**

# მხოლოდ ფაქტები

* 622 წლის 16 ივლისი, მუჰამედის მექადან მედინაში გაქცევის თარიღი მუსლიმანური წელთაღრიცხვის – ჰიჯრის დასაწყისია. ამ დროს მთვარე უკანასკნელ, მეოთხედ ფაზაში იყო. სწორედ ასეთი მთვარე გახდა მუსლიმანთა სიმბოლო.

* 1990 წელს ამერიკის შეერთებული შტატების მომავალმა ვიცე-პრეზიდენტმა, დენ კუეილმა, ლათინურ ამერიკაში მოგზაურობის დროს ჩილეს ერთ-ერთი ფირმის მაღაზიაში ინდიელი გოგონას შიშველი სკულპტურა შეიძინა. მადლიერმა ფირმამ მისი ანატომიურად ზუსტი შიშველი ფიგურა გამოუშვა.

* 1959 წელს, ამერიკაში ყოფნის დროს ხრუშჩოვი ეიზენჰაუერმა პირადი ვერტმფრენით გაასეირნა. ნიკიტას ისე მოეწონა, რომ დაბრუნებულმა მიხაილ მილკს დაავალა, პირადად მისთვის შეექმნა ვერტმფრენი. სამუშაო კი თავად ჩაიბარა და მოითხოვა, მილკიც მასთან ერთად აფრენილიყო.

* ინდიელთა ერთ-ერთ ტომში – შავფეხიანებში, მამაკაცებისთვის დამღუპველია მისი შეხედვაც კი. ამიტომ, შემთხვევით შეხვედრის დროს, როგორც შეუძლიათ, ემალებიან... სიდედრს.



### კომბოსტოს, კარტოფილის, კუნელისა და ხახვის წვენებს უებარი სამკურნალო თვისებები აქვს

ბუნებრივი საშუალებებით მკურნალობა იაფიც ჯდება და მეტ შედეგსაც იძლევა უმოკლეს დროში.

კომბოსტოს წვენი კარგია გულის, თირკმელების, წყალმარილოვანი ცვლის დარღვევის, კუჭის წყლულოვანი დაავადებებისა და ბუასილის დროს; შვილის უძილობას, ეგზემასა და დიათეზს. მიიღეთ 1 ჩაის ჭიქა, 1 სადილის კოვზ თაფლთან ერთად, დღეში ორჯერ: დილით – უზმოზე და საღამოს, დაძინებამდე 2 საათით ადრე.

კარტოფილის წვენი ხელს უწყობს ორგანიზმში წყლის ცვლის რეგულირებას და გულის ნორმალურ მუშაობას. მას იყენებენ კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებების სამკურნალოდ. წვენის სისტემატურად მიღებისას კუჭის მჟავიანობა ქვეითდება და გულძმარვა და ბოყინი ქრება. მიიღეთ 1 ჩაის ჭიქა, 1 ჩაის კოვზ თაფლთან ერთად, დილით – უზმოზე და საღამოს – ვახშმობიდან ორი საათის შემდეგ.

კუნელის წვენი გულს ჟანგბადით ამარაგებს და არეგულირებს მის მუშაობას; ასევე, აქვეითებს არტერიულ წნევას. წვენი უნდა მიიღოთ ახალდაკრეფილი ნაყოფისგან და დალიოთ ერთი ჭიქა, 1 სადილის კოვზ თაფლთან ერთად, დღეში სამჯერ.

ხახვის წვენი კარგი შემახორცებელი, გრიპის საწინააღმდეგო, მადის მომგვრელი, ამოსახველებელი, შარდმდენი და ბუასილის საწინააღმდეგო საშუალებაა. ის, ასევე, სიჯანსაღეს უნარჩუნებს კბილებს, ამაგრებს თმის ძირებს, აუმჯობესებს საჭმლის მონელებასა და მხედველობას, ასტიმულირებს სპერმის გამოყოფას; თირკმელკენჭოვანი დაავადების დროს ხელს უწყობს ქვიშის გამოდევნას. რეკომენდებულია სურდოს, თავის ტკივილის, ფურუნკულების დროს. მიიღეთ 1 სადილის კოვზი, 1 სადილის კოვზ თაფლში არეული, დღეში ორჯერ, დილით და საღამოს.

### როდის ხდება სტრესი ჯანმრთელობისთვის სასარგებლო

სტრესს სასიცოცხლო მნიშვნელობაც აქვს და ნებისმიერ სიტუაციაში ორგანიზმის დამცველი რეაქციაა, რომლის დროსაც ერთად იყრის თავს ყველა სისტემა: ნერვული, გულსისხლძარღვთა, კუნთოვანი და ასე შემდეგ. ორგანიზმი სტრესის დროს ფხიზლდება, ემატება ტონუსი, მზადაა საბრძოლველად და თავის დასაცავად. ნებისმიერი ადამიანი დღის განმავლობაში რამდენჯერმე განიცდის ასეთ სტრესს და ეს კარგიცაა. ოღონდ, გასათვალისწინებელია, რომ ეს „კარგი“ სტრესი დიდხანს არ უნდა გაგრძელდეს და კრიტიკული სიტუაციის გასვლისთანავე, აუცილებელია, ორგანიზმი ნორმალურ მდგომარეობას დაუბრუნდეს.

რაც შეეხება „ცუდ“ სტრესს, ის იწყება სტრესული სიტუაციის გასვლის შემდეგ, ანუ, ადამიანი მაინც დაძაბული რჩება და ვერ უმკლავდება ამ მდგომარეობას, შედეგად კი იფიტება ნერვული სისტემა; შესაძლოა, განვითარდეს კუჭის წყლული ან ინფარქტი. „კარგი“ სტრესის დროს გადაღლა ფიზიკური ხასიათისაა: მთელი დღის განმავლობაში დაძაბული იყავით, ბრაზობდით, მაგრამ, საკმარისია, შინ დაბრუნდეთ, შხაპი მიიღოთ, მუსიკას მოუსმინოთ და ყველაფერი წარსულს ჩაბარდება – თქვენ მშვიდდებით. „ცუდი“ სტრესის დროს კი გრძნობთ, ცხოვრებამ როგორ დაგღალათ, სულიერად როგორ გამოგფიტათ, დაგერღვათ ძილის რეჟიმი, დაგიქვეითდათ მადა და მდგომარეობიდან გამოსავალს ვერ პოულობთ.

სტრესის წინააღმდეგ ბრძოლის ერთიანი მეთოდი არ არსებობს. მიდგომა დამოკიდებულია ადამიანის ფსიქოტიპზე, ხასიათსა და თვისებებზე, ასევე, თვითკონტროლზეც. მიუხედავად ამისა, არსებობს ფსიქიატრთა რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინებაც ნამდვილად გამოგადგებათ, მაგალითად:

* „ცუდი“ სტრესის მოსახსნელად არ არის საკმარისი ავტოტრენინგი, უნდა გადაერთოთ აქტიურ მოქმედებაზე – იპოვეთ თქვენი სულიერი მოთხოვნილებების შესაბამისი აქტიური საქმე.

* სტრესის დროს აგრესიას უპასუხეთ აგრესიით, მაგრამ ბრაზი გარშემო მყოფებზე არ გადაიტანოთ. „ცუდმა“ სტრესმა რომ გაგიაროთ და გუნება-განწყობა გაგიუმჯობესდეთ, საკმარისია ენერგიის მაქსიმალურად დახარჯვა.

* დაისახეთ ზუსტი მიზანი, ისწავლეთ დღის დაგეგმვა, ნუ გადაიღლებით ზედმეტად.

* საკუთარ თავში ჩაკეტვით სტრესი დეპრესიაში გადაიზრდება. ეცადეთ, განიტვირთოთ აქტიური ვარჯიშით, სუფთა ჰაერზე სეირნობითა და მეგობრებთან გართობით.

### როგორ ავიმაღლოთ ჰემოგლობინის დონე ხილ-ბოსტნეულის დახმარებით

ადამიანის ორგანიზმში ჰემოგლობინის დონე პერიოდულად საგრძნობლად იწევს ქვემოთ, რაც თავბრუხვევას, სისუსტეს, თავის ტკივილსა და მთელ რიგ დაავადებებს იწვევს.

თუ გრიპის ან სხვა ინფექციური დაავადების გადატანის შემდეგ ჰემოგლობინმა დაიწია, შეგიძლიათ, დამოუკიდებლად, სახლის პირობებში ჩაიტაროთ თერაპიის ერთკვირიანი კურსი ხილ-ბოსტნეულის დახმარებით. მაგალითად:

1) 2/3 ჩაის ჭიქა ახლად გამოწურული სტაფილოს და 1/3 ჩაის ჭიქა ჭარხლის წვენები აურიეთ ერთმანეთში, დაუმატეთ 1 ცალი ლიმონის წვენი და მიიღეთ ყოველდღე, ნახევარი ჭიქა, სადილის წინ.

2) 100 მილილიტრ ბროწეულის წვენს შეურიეთ ამდენივე ლიმონის, სტაფილოს, ჭარხლისა და ვაშლის წვენები, დაუმატეთ 1 სადილის კოვზი თაფლი და მიიღეთ დღეში სამჯერ, 2-2 სადილის კოვზი, ჭამის წინ. გაითვალისწინეთ, რომ ხილ-ბოსტნეულის ეს კოქტეილი აუცილებლად ყოველდღე ახალ-ახალი უნდა მოამზადოთ.

3) აუცილებლად ჩართეთ ყოველდღიურ რაციონში ორთქლზე მოხარშული საქონლის ღვიძლი, ცოცხალი მწვანილი და წითელი ფერის ბოსტნეული. მოერიდეთ ცხარე საკვებს.

4) კარტოფილის სასარგებლო თვისებები კონცენტრირებულია მის კანში, ამიტომ, როცა მას ვთვლით, ფაქტობრივად ვანადგურებთ ვიტამინებით სავსე ფენას. მიირთვით მოხარშული ახალი კარტოფილი კანიანად.

### რა გამოვლინებები აქვს ეგზემას და რომელი ხილის ჭამა იკრძალება ამ დაავადების დროს

ეგზემისთვის დამახასიათებელია კანზე სხვადასხვა ზომის წითელი ლაქების გაჩენა. მათ ზედაპირზე ჩანს გამჭვირვალე სეროზული ან სეროზულ-სისხლიანი სითხით სავსე წვრილი ბუშტუკები, რომელთა გახეთქვისას გაშიშვლებული, ეროზიული ზედაპირი მოჩანს.

დაავადების გახანგრძლივებისას პროცესი კანის მნიშვნელოვან უბნებს მოიცავს და ამ ადგილებში კანი მკვრივდება. დაავადებას თან ახლავს ძლიერი ქავილი, რომელიც მოსვენებას არ აძლევს ადამიანს; ქვეითდება შრომისუნარიანობაც. დაავადების განვითარებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ნერვულ-ენდოკრინული და იმუნური სისტემების მოშლილობები, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ფუნქციონირების მოშლა, დისბაქტერიოზი, ასევე, მდგომარეობას ართულებს სხვადასხვა ალერგენისადმი მომატებული მგრძნობელობა, ნერვული სტრესები, უარყოფითი ემოციები, ფიზიკური და გონებრივი გადაძაბვა, არასწორი კვება. ამიტომ, ეგზემით დაავადებული ადამიანის მკურნალობა კომპლექსური უნდა იყოს და ის დარღვეული პროცესების ნორმალიზებას უნდა მოიცავდეს.

ეგზემის დროს კარგია შრომისა და დასვენების რეჟიმის დაცვა, სეირნობა სუფთა ჰაერზე. ოთახის მტვრის მავნე გავლენის თავიდან აცილების მიზნით, ურიგო არ იქნება, თუ უარს იტყვით ხალიჩებზე, რომლებიც მტვერს აგროვებს, მათი დასუფთავების დროს კი ალერგიული რეაქციები ვითარდება. მოერიდეთ სარეცხ საშუალებებთან, წებოსთან, საღებავებთან და სხვა საყოფაცხოვრებო ქიმიურ საშუალებებთან კონტაქტს.

სახლში, სადაც ეგზემით დაავადებულია, არ შეიძლება სიგარეტის მოწევა. ეგზემის დროს უნდა ერიდოთ სტრესულ სიტუაციებს. ასევე, რეკომენდებულია დამამშვიდებელი საშუალებების მიღება. ამ დროს კარგია მცენარეული ნაყენი, რომელიც მზადდება ვალერიანის ძირების, ორკბილას, გვირილის ყვავილების, კალენდულას, ძირტკბილას, უკვდავასა და ფარსმანდუკისგან. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი კომპონენტი თანაბრად შეურიეთ ერთმანეთს,

1 სადილის კოვზ ნარევს დაასხით 1 ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი და დაახურეთ თავსახური. ნახევარი საათის შემდეგ მიიღეთ ნახევარი ჭიქა ნაყენი, 2-ჯერ დღეში.

ეგზემის გამწვავების პროფილაქტიკისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს დიეტის დაცვას. დაავადებული საკვები უნდა იყოს სრულფასოვანი და საკმაო რაოდენობით შეიცავდეს ვიტამინებსა და მიკროელემენტებს. რაციონიდან უნდა გამორიცხოთ ციტრუსი, მარწყვი, ყოლო, ანანასი, ნესვი, ყავა, კაკაო, შოკოლადი, რძე, შებოლილი თევზი, მანანის ბურღული, მწარე და ცხარე კერძები და ალკოჰოლი. მენიუში ჩართეთ ვეგეტარიანული საკვები, მოხარშული საქონლის ხორცი, რძემჟავა პროდუქტები, მზესუმზირის ზეთი, ბოსტნეულის სალათები, ხილიდან კი – ვაშლი, ქლიავი და ალუბალი.

მკურნალობის მნიშვნელოვანი ეტაპია ორგანიზმის გაწმენდა წიდებისა და ტოქსინებისგან, ამიტომ, ყურადღება მიაქციეთ კუჭ-ნაწლავის მუშაობას, ამისთვის კი რძემჟავა პროდუქტები, ჭარხალი და ნიახური კარგი საშუალებაა.

### ხშირად ჭამეთ სეზონური ხილი და დალიეთ ახალგამოწურული წვენები

სწორედ ახლა გაქვთ შანსი, ორგანიზმი ვიტამინებით მოამარაგოთ. ამისთვის სეზონური ხილი ნამდვილი მისწრებაა. წვენმა რომ თავისი უნიკალური და სასარგებლო თვისებები შეინარჩუნოს, აუცილებელია, მათი მომზადების წესები დაიცვათ.

სასურველია, ხილი და ბოსტნეული გახეხოთ პლასტმასის და არა ლითონის სახეხზე, რადგან რკინასთან შეხება ანადგურებს ვიტამინების ნაწილს, განსაკუთრებით კი C ვიტამინს. თუ წვენსაწური გაქვთ, კურკიან ხილს ნუ ჩაყრით. ფოთლოვანი ბოსტნეული კი ხორცსაკეპ მანქანაში გაატარეთ და შემდეგ გაწურეთ.

ფერმენტები, ვიტამინები და არომატული ნივთიერებები სწრაფად ნადგურდება ჰაერზე ჟანგბადის ზემოქმედების გამო. ამიტომ, წვენი უშუალოდ მიღების წინ უნდა მოამზადოთ ან შეინახოთ მინის, ფაიფურის ან მომინანქრებულ, მჭიდროდ თავდახურულ ჭურჭელში.

წვენი უნდა სვათ ნელ-ნელა, პატარ-პატარა ყლუპებით. წვენი ცოტა ხნით პირის ღრუში გაიჩერეთ, რათა ნერწყვს შეერიოს. ეს ხელს უწყობს ორგანიზმის მიერ მის მთლიანად შეწოვას.

არ არის საჭირო იმ ხილისა თუ ბოსტნეულის გათლა, რომლისგანაც წვენის გამოწურვას აპირებთ, რადგან, ვიტამინების უმეტესობა სწორედ კანქვეშ ილექება. ასევე, არ არის რეკომენდებული, წვენს დაუმატოთ შაქარი, მაგრამ, მომჟავო ხილის წვენი ცოტა წყალში უნდა გააზავოთ.

### გამოკვებეთ ტვინის უჯრედები, რათა მან საღად მუშაობა შეძლოს

იმისთვის, რომ ადამიანის ტვინმა ნორმალურად იმუშაოს, აუცილებელია სწორი კვება. კერძოდ, მისთვის საჭიროა უჯერი ცხიმოვანი მჟავების საკმარისი რაოდენობით უზრუნველყოფა, რომელთა ძირითადი საკვები წყაროა მზესუმზირის, სელისა და ზეთისხილის, ანუ, ზეითუნის ზეთი.

მინერალური ნივთიერებებიდან ტვინისთვის აუცილებელია: გოგირდი, ფოსფორი, სპილენძი, თუთია, კალციუმი, რკინა და მაგნიუმი. ფოსფორი და ფოსფორის ნაერთები ხელს უწყობს ტვინის უჯრედების წარმოქმნას; გოგირდი საჭიროა მათი ჟანგბადით გაჯერებისთვის, დანარჩენი ზემოთ ჩამოთვლილი მინერალები კი უზრუნველყოფენ ტვინის ნორმალურ ცხოველმყოფელობას.

ადამიანის ტვინისთვის, ასევე, აუცილებელია E და B ჯგუფის ვიტამინები. ვიტამინი E არეგულირებს ნათხემის მოქმედებას, ხელს უწყობს ჟანგბადის ეკონომიას.



ასევე, ტვინისთვის აუცილებელია ჟანგბადის დიდი რაოდენობა. კვების პროდუქტები ხელს უწყობს ჟანგბადით მის გაჯერებას. ასეთი პროდუქტებია: კარტოფილი, თალგამი, ხახვი, პომიდორი, ოხრახუში, პიტნა, მდოგვი და ასე შემდეგ.

როგორც ადამიანის სხვა ორგანოსთვის, აქტიური მუშაობის შემდეგ, ტვინისთვისაც აუცილებელია დასვენება. უსაქმურობის დროს კი ტვინი ფორმატდება. ამ დროს ადამიანი ვერ აზროვნებს სწორად და, შესაძლოა, უმნიშვნელო პრობლემების გადაჭრამაც კი დიდი უსიამოვნების წინაშე დააყენოს. ასე რომ, ნუ გააზარმაცებთ ტვინს, რომ ის დიდხანს საღად და ნორმალურად გემსახუროთ.

**გვერდები მოამზადა ნონა დათეშიძემ**

# ექიმის რჩევები

**კითხვა: მყავს 3 წლის ბიჭი. ორივე ყურზე ჩვილობიდან აქვს უკან გადიდებული ლიმფური კვანძები. ახლა, მგონი, კიდევ ცოტათი გაუდიდდა და ძალიან ვნერვიულობ. რისი ბრალი შეიძლება იყოს ეს და როგორ ვუმკურნალო? ამასთან, ძალიან ოფლიანობს ღამითაც და დღისითაც, სეზონის განურჩევლად, სხვა მხრივ ჯამრთელი ბავშვია, ჩვეულებრივად აქტიური და არანაირი ჩივილები არ აქვს.**

**პასუხი:** აუცილებლად აჩვენეთ ბავშვი კვალიფიციურ პედიატრს, გადაუღეთ გულმკერდის რენტგენოგრაფია, აჩვენეთ ოტოლარინგოლოგს, გამორიცხეთ ტუბერკულოზური პროცესი, ჩირქოვანი ტონზილიტი და ასე შემდეგ.

**კითხვა: მყავს 1 წლის შვილი. ბოლო დროს მოსწონს მუცელზე წოლა. რამდენად მიზანშეწონილია ასე წოლა, ხერხემალზე ხომ არ იმოქმედებს? ან, ბალიში როგორი უნდა იყოს – მატყლის თუ ბუმბულის?**

**პასუხი:** მუცელზე წოლა სასარგებლოა ბავშვისთვის. ბალიში, სასურველია, შეურჩიოთ სინთეტიკური მასალის, მაღალხარისხოვანი, რადგან, ის ჰიპოალერგიულია, თან, შესაძლებელია მისი გარეცხვა.

**კითხვა: რა რაოდენობის რკინა უნდა მივიღო დღის განმავლობაში (ვარ, 25 წლის, 50 კილოგრამი და 159 სანტიმეტრი) ასევე, რომელი რკინის შემცველი დანამატის მიღება შეიძლება ექიმის რეკომენდაციის გარეშე?**

**პასუხი:** მოზრდილი ადამიანის ნორმა დღეში 15 მილიგრამია. თუ არ გაქვთ რკინის დეფიციტი, არ გაქვთ ანემია, რკინის პრეპარატის მიღება საჭირო არ არის, უბრალოდ, უნდა იკვებოთ იმ პროდუქტებით, რომლებიც შეიცავს რკინას (საქონლის ხორცი, ღვიძლი, ისპანახი) და ხელს უწყობს რკინის შეწოვას (C ვიტამინი, ცილები, ბოსტნეული).

**კითხვა: არის თუ არა დანდური დიეტური მცენარე, რამდენ კალორიას შეიცავს და, ზოგადად, რისთვის არის სასარგებლო?**

**პასუხი:** დანდური საკმაოდ დაბალკალორიული მცენარეა – 100 გრამი დაახლოებით 25 კალორიას შეიცავს. ის სასარგებლოა კუჭ-ნაწლავის ტრაქტისთვის, რადგან, მდიდარია მცენარეული უჯრედისით, აძლიერებს ნაწლავების პერისტალტიკას და აუმჯობესებს ორგანიზმის გაწმენდის პროცესებს.

**კითხვა: მშობიარობიდან 10 დღეში დამემართა მკერდის ანთება, მქონდა 40 გრადუსი სიცხე. სამწუხაროდ, მომიწია რძის გაშრობა – დავლიე 2 აბი დოსტინექსი. ბავშვს ძალიან გაუჭირდა ძუძუს გარეშე. ჯერ ორი კვირაა გასული მას მერე. ახლა ძალიან მინდა ისევ რძის მოყვანა, ვცადე კიდეც წამლებითა და მასაჟებით, მაგრამ, ამაოდ. ბავშვი დღემდე წოვს ცარიელ ძუძუს „სოსკასავით." არის შანსი ან რამე საშუალება, რომ რძე ისევ მომივიდეს.**

**პასუხი:** რძის მოყვანა გაგიჭირდებათ. ბავშვი გადაიყვანეთ ხელოვნურ კვებაზე. ჯობია, თქვენს პაწიას ძუძუს ნაცვლად მისცეთ მატყუარა საწოვარა.

**რუბრიკას უძღვება ოჯახის ექიმი მაია ნუცუბიძე**

# როგორ გახდა მოსკოვში გელა ჩარკვიანი იტალიელი, გვარად „განდონელლი"

„ჩემი ოთახის კარს რომ მივხურავ, მთლიანად ვეფლობი წარსულში: ფილიპე მახარაძე (ცოცხლად არ მახსოვს), სტალინი, კაგანოვიჩები, კალინინები, ბერიები – ვინ არ არის ამ კედელზე: მონარქები, პრეზიდენტები, პრემიერები, ნანა და მე (ახალგაზრდები), შვილიშვილები, მეგობრები... ღმერთმა განსაკუთრებული ცხოვრება მაჩუქა. მადლობის მეტი რა მეთქმის. ახლა კი, დასვენება – გასვენებამდე!" – ეს გელა ჩარკვიანის დღიურის ჩანაწერებია. პირადად მე, ამ თაობის ასეთი საინტერესო ადამიანი სხვა არც ვიცი, ყოველ შემთხვევაში, თითებზე ჩამოსათვლელები დარჩნენ. რამდენი რამ გამოუვლია, რამდენი საინტერესო ამბის მომსწრეა, რამდენ ეპოქალურ ადამიანს შეხვედრია, ბოლოს და ბოლოს, ის ხომ „ცეკას" პირველი მდივნის, კანდიდ ჩარკვიანის შვილია.



მისი დღიურიდან პირადი ცხოვრების ეპიზოდები ამოვილეთ, რომლებიც ამ უნიჭიერეს ადამიანს უფრო ახლოდან გაგაცნობთ.

„თვეზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც ნანა დავკარგე. ტკივილი არ ცხრება. მტანჯავს მხუთავი დანაშაულის შეგრძნება... ერთი რამ კი უდავოა – ბევრი ბოდიში მაქვს მოსახდელი მასთან. არ გეგონოთ, სხვა ქალებთან ეპიზოდური ურთიერთობების გამო – ეს ყველაზე მცირე ცოდვაა, რადგან, ტესტოსტერონის მოძალების მიზეზით ჩადენილი გადაცდომები ზიანს ვერ მიაყენებდა ჩემს მარადიულ ლტოლვას მისადმი; ბოდიში უნდა მოვუხადო უპირველესად, ალბათ, იმისთვის, რომ ვერ ვიჩენდი საკმარის გაგებასა და ტაქტს ბოლოდროინდელი მდგომარეობის მიმართ. ნანას კიდურების სისუსტეს ვაჟკაცური შემართებით ვუმკლავდებოდი – ხელჩაკიდებულს ვატარებდი ბუკინგემის სასახლის დაუსრულებელ დერეფნებში. ვიცოდი, როგორ ხიბლავდა ინგლისის მაღალი საზოგადოების ზღაპრისეული გლამური და, როგორ დავზოგავდი თავს მისი იქ ყოფნის სურვილის დასაკმაყოფილებლად, მაგრამ, როცა ნანას მეხსიერებამ უმტყუნა; როცა ის დროის უმეტეს ნაწილს კალენდართან ბრძოლაში ატარებდა; როცა ერთსა და იმავე შეკითხვას დღის განმავლობაში რამდენჯერმე მისვამდა, მოთმინება და შემწყნარებლობის სათანადო უნარი არ აღმომაჩნდა – სულ უფრო ვღიზიანდებოდი და უკმეხად ვპასუხობდი; მერე სხვა ოთახში გავიდოდი, დავფიქრდებოდი ჩემს საქციელზე, საკუთარ თავს გავკიცხავდი და, შეცვლილი, ყოვლისმიმტევებელი ღიმილით დავბრუნდებოდი, თურმე, მხოლოდ იმისათვის, რომ მის უცნაურ შეკითხვაზე კვლავ არცთუ თავაზიანად მეპასუხა... ბოდიში მაქვს მოსახდელი იმაზე, რომ ნანასთან ურთიერთობისას სიტყვით არასდროს გამოვხატავდი იმ ყოვლისმომცველ გრძნობას, რომელიც მასთან მაკავშირებდა; იმ სითბოს, მთელს სხეულში რომ დამივლიდა მისი სახელის ხსენებისას ან მისი სახის გონებაში წარმოსახვისას სადმე, შორეული ქვეყნის სასტუმროს ნომერში. ვიცი, ნანამ იცოდა, რომ ძალიან მიყვარდა, მაგრამ, ბოლო წლებში, როცა არაერთმა სენმა შემოუტია და დაუხმარებლად მარტივი, ყოველდღიური ყოფითი ამოცანების გადაჭრასაც ძნელად ახერხებდა, ეჭვები გაუჩნდა. ერთხელ მწარედაც იხუმრა: მე რომ მოვკვდები, შენ ახალ ცოლს მოიყვანო. ყოველღამე, როცა, ჩემგან განსხვავებით, ნანას მშვიდად ეძინა, ჩემს თავთან ფიცს ვდებდი, რომ ხვალ, ჩვენი უკვე ტრადიციად ქცეული ლანჩის შემდეგ, რომლისთვისაც კერძს მე ვამზადებდი და სუფრასაც მე ვაწყობდი, დავსვამდი ნანას მის ძველებურ სავარძელში და, იმ იდიოტური მამაკაცური შეცბუნების გარეშე, გულწრფელად აღვუწერდი ჩემს ჭეშმარიტ გრძნობას. ძველებურად მოვეფერებოდი და გავუფანტავდი ყველა ეჭვს, მაგრამ, ეს „ხვალ" არასდროს დადგა... და მაინც, ყველაზე დიდი ბოდიში ნანას იმისთვის უნდა მოვუხადო, რომ მოვესწარი მის სიკვდილს და დღესაც განვაგრძობ ცხოვრებას: იმავე დროს ვდგები, ვსაუზმობ, ვსადილობ; იმავე დროს ვიძინებ; ვალიუმის აბს აღარ ვუყოფ – მთლიანად მე ვიღებ. მართალია, სიტყვებით ჩვენ არასდროს შევპირებივართ ერთმანეთს, არ აგვიღია ვალდებულება მოგვეკლა თავი მეორის სიკვდილის გამო, მაგრამ, ჩვენი გრძნობის სიმძაფრე, ვფიქრობ, ამას თავისთავად გულისხმობდა... მომაკვდინებელი ორმოცი აბის ნაცვლად, ერთს ვიღებ იმისთვის, რომ ჩამეძინოს და სადღაც, გარიჟრაჟზე, ნანა დამესიზმროს... არასდროს მეგონა, რომ გავუგებდი ხუან პერონს. ახლა მესმის, რატომ დაატარებდა თან ევიტას გვამს შუშის კუბოთი – არ შეეძლო მასთან – სხეულთან განშორება... მზარავს სიტყვა – „არასდროს"... ის, რომ მას ველარასოდეს ვნახავ, ველარ შევეხები, ვერ გავიგონებ მის ხმას... მე მას ვერ ვნახავ მხოლოდ იმ რამდენიმე წლის განმავლობაში, სანამ დროის სისტემაში ვარსებობ. მერე მოვკვდები და ჩემი არსებობა თუ არარსებობა გადაინაცვლებს უდროობის მდგომარეობაში... როდის გაითიშება ჩემი წამზომი? როდის გადავალ უდროობის მდგომარეობაში?.. ნუთუ ეს ჩვენი არსებობა, მთელი თავისი ტრაგიკული და კომიკური ეპიზოდებით, არსად არ აისახება?.. დადგა დრო რეტროსპექციისა და ინტროსპექციის. ვიწყებ საკუთარი არქივის შესწავლას, უფრო რთული იქნება სულის არქივში ჩახედვა...





...დედაჩემი დიდად მოსიყვარულე ქალი არ იყო. საკუთარი ოჯახის წევრების გარდა მაინცდამაინც არავის სწყალობდა. თავდაპირველად არც ჩემი არჩევანით იყო აღფრთოვანებული და ახალდაქორწინებულებს სათბურის პირობებს არ გვიქმნიდა, მაგრამ, როცა მოხუცდა, მახსოვს, სძლია თავს და გაიმეტა ქათინაური ნანას მისამართით – ასე მითხრა, ეგ შენი ცოლი კარგი ადამიანია, უეშმაკო და უბოროტოო. მეტი არაფერი უთქვამს, მაგრამ, ობლობაში გაზრდილი დედაჩემისგან, რომელიც მთელ კაცობრიობას ეჭვის თვალით უყურებდა, ეს წარმოუდგენლად მაღალი შეფასება იყო...

... ანდროპოვს დღემდე რომ ეცოცხლა, ვერც დამოუკიდებელი საქართველოს ელჩი გავხდებოდი, ვერც წიგნს გამოვუშვებდი, ვერც ნოტებს და ვერც დისკებს. საბჭოთა კომუნიზმი უნიჭო და უინიციატივო ხალხის სამოთხე იყო. მათი უნიჭობის კომპენსაციას სახელმწიფო ნიჭიერთა შეზღუდვით ახორციელებდა; ამიტომაც მისტირიან მას უნიჭოები, უუნაროები და „ჟულიკები..."

დღეს სასაცილო აზრმა გამიელვა თავში: ჩემი მუსიკალური განათლების წყალობით, ზუსტად იმდენი იტალიური ვიცი, რაც საკმარისი იქნებოდა იტალიურენოვან ბორდელში ვიზიტისას...

...სიზმარმა ცნობიერების ზედაპირზე კვლავ ერთი ძველისძველი ამბავი ამოატივტივა – ჩემი პირველი სიყვარულის ფერმკრთალი სახე ნისლში გახვეული მომელანდა. გამეღვიძა და შევეცადე, აღმედგინა ამ პლატონური გრძნობის თანმხლები გარემოებები: 14 წლის ვიქნებოდი. ყოველ საღამოს, სამიოდ მეგობართან ერთად, მოსკოვურ მოჟაიკას, დღევანდელ კუტუზოვის პროსპექტს ავუყვებოდით და ჩამოვუყვებოდით. თავგადასავალს ვეძებდით, თანაც, თვალი სულ

უფრო ზრდასრული ქალებისკენ გაგვირბოდა – სწორედ რომელიმე მათგანი უნდა გამხდარიყო ის იდუმალი პირველი, რომლის



გამოჩენას თრთოლვით ელის ყველა ბიჭი. რამდენ სისულელეს ჩავდიოდით იმისათვის, რომ გადაკვრით მაინც გვეუწყებინა საწინააღმდეგო სქესისთვის, რომ გვწადია და მზად ვართ. ერთ საღამოს გადავწყვიტეთ, ამ მიზნით უშუალო სიმბოლოები გამოგვეყენებინა: მოდი, იქ, სადაც პიჯაკზე ყვავილს ამაგრებენ, პრეზერვატივი ჩამოვიკიდოთ და ასე გავიაროთ მოჟაიკაზე – შევთავაზე იდეა მეგობრებს. სიხარულით დამთანმხდნენ, მაგრამ უმალ წარმოიშვა ორი პრობლემა – როგორ შეგვეძინა პრეზერვატივები და სად გვეშოვა საჭირო თანხა. დაფინანსების საკითხი სწრაფად მოგვარდა: ეზოში შესვლისთანავე შემოგვხვდა კრასაკინი, პატარა ტანის თანაკლასელი, რომელსაც მუდამ ედო ფული ჯიბეში. ხელები გადავუგრიხეთ და ერთი დაჭმუჭნული მანეთიანი ძალით წავართვით. ვიცოდით, რომ პაკეტი – ორი პრეზერვატივი – 43 კაპიკი ღირდა, ასე რომ, კრასაკინის მანეთი სრულად დაფარავდა „პროექტის" ხარჯებს... „დვა პოკეტიკა," – ჩურჩულით ვუთხარი აფთიაქის მოლარეს და მანეთიანი გავუწოდე. ამხანაგმა დროზდოვამ (გვარი ფირფიტაზე ამოვიკითხე) გამიღიმა და ჩეკი მომცა. საოცარი აღმაფრენა ვიგრძენი, მეგონა, მსოფლიო დავიპყარი. რა გასაკვირია, რომ მოლარე დროზდოვა შემიყვარდა და, მას შემდეგ, როგორც კი 43 კაპიკს მოვაგროვებდი, იმწამსვე აფთიაქს ვაკითხავდი. ისიც უთუოდ ხვდებოდა, რომ „პაკეტიკებს" მხოლოდ მის გამო ვყიდულობდი... გმირობის ამბავი სკოლაში მალე გავრცელდა და ჩემს მეტსახელს – „ჩირკასს," ფსევდონიმი მიემატა _ „განდონელლი," ორი ლ-თი ვწერდი – ასე უფრო იტალიურად ჟღერდა...

...მობილურ ტელეფონსა და კომპიუტერს აქვს რაღაც ზემატერიალური, ეშმაკისეული. ალბათ, ამიტომაც, სულ ველოდები, რომ ვიღაც საიქიოდან ან დამირეკავს ან იმეილს მომწერს. ერთხელ, პრეზიდენტ კუჩმას მიერ მოწყობილ სადილზე ტრადიციულ უკრაინულ ბორშჩსა და გალუშკებს ზომაზე მეტი „პერცოვკა" დავაყოლე და სასტუმროში დაბრუნებულმა დავიწყე ჩემს „სამსუნგზე" არარსებული ნომრების ქაოტურად აკრეფა, იმ იმედით, რომ რომელიმე წასულ საყვარელ ადამიანს დაველაპარაკებოდი...

...მახსოვს, ბავშვობაში, როცა ნიკოლაი ანდრეევიჩ ყიფშიძემ დამისვა დიაგნოზი – შუა ყურის ანთება, ოთახში მარტო დარჩენილმა უმალ დავიწყე ორ სარკეში ცქერა, საკუთარი კისერი რომ დამენახა – ჩემი გაგებით, „შუა ყური" სწორედ იქ უნდა ყოფილიყო.



სხვებზე შემჩნეული არ მქონდა, მაგრამ, მე ხომ ყველაფრით განსხვავებული ვიყავი!.. კ სტატი, ნიკოლაი ანდრეევიჩი თავის დროზე სტალინის დედას, კეკე გელაძესაც მკურნალობდა".

**ეკა პატარაია**

# ცნობარი

1. ავიაბილეთები ყველა
მიმართულებით 215-80-80; 236-40-11
2. ავტომანქანის გაქირავება, ტურები საქართველოში, სასტუმროს რეზერვაცია 218-22-44;
599 33-33-53
3. ავტოსადგური „ოკრიბა" 234-26-92
4. ადამიანის უფლებათა ცენტრი 237-69-50; 245-45-33
5. ავტომანქანების გაქირავება 595 33-21-00
6. აღსრულების ეროვნული ბიუროს
საინფორმაციო სამსახური 274-96-49
7. გარემოს ეროვნული სააგენტო 243-95-32
8. აეროპორტის საინფორმაციო
ბიურო 231-04-21
9. ბავშვთა უფლებების დაცვის საქალაქო
ცენტრი 599 11-57-44
10. გაზი გამოძახებით 292-32-46; 292-10-08
11. შპს აკადემიკოს გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი 253-06-32
12. საქ. მთავარი პროკურატურის
ცხელი ხაზი 240-52-22
13. გაზის საავარიო (ქალაქის) 14; 238-40-65, 238-56-16 (ცენტ. სადისპეტჩერო)
14. განათლების სამინისტროს კომუტატორი 231-89-40; ცხელი ხაზი: 220-02-20
15. გზებზე ტექნიკური დახმარება 599 25-42-54
16. ჯანდაცვის სამინისტრო (ცხელი ხაზი) 251-00-33
17. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ცხელი ხაზი 220-62-32
18. დამკრძალავი ბიურო, მუნიციპალური საწარმო „ჰერმესი" 221-21-84; 221-25-84
19. კავკაზუს ონლაინი, დეპეშის გაგზავნა ტელეფონით 250-60-06
20. ეკონომიკური განვითარების
სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური 299-10-58; 299-11-21
21. „თელასის" საინფორმაციო ცენტრი 225-52;
225-52-11; 277-99-77
22. „თელასის" ცხელი ხაზი 277-99-99
23. შპს იმუნიზაციის ცენტრი 231-22-78
24. იუსტიციის სამინისტრო 240-52-02
25. კატასტროფის მედიცინის ცენტრი. პაციენტების ტრანსპორტირება სტაციონარებიდან 231-13-20; 231-13-21; 595 33-18-03; 0 790 50-10-50
26. საქართველოს ეროვნული კომუნიკაციების კომისია 238-61-40 (პრესსამსახური); 231-13-13 (ადმინ. დეპარტამენტი)
27. კონტროლის პალატა 243-81-81 (ცხელი ხაზი)
28. კანალიზაციის საავარიო სამსახურის
ცხელი ხაზი 293-11-11
29. ლტოლვილთა და განსახლების
სამინისტრო 243-11-00 (ცხელი ხაზი)
30. მერიის ცხელი ხაზი 272-22-22
31. ნავთლუღის ავტოსადგური 274-83-03; 274-63-23
599 39-35-35
32. სახალხო დამცველი 291-38-14(15)
33. ვაგზლის ცნობათა ბიურო: 219-90-10
34. საგანგებო სიტუაციების მართვის
სამსახური 112
35. საპატრულო პოლიცია 112
36. სასწრაფო სამედიცინო დახმარება 112
37. სასწრაფო სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით 24 საათის განმავლობაში 577 42-42-38, 235-32-33
38. საქართველოს მთავრობის კანცელარია 298-92-73 (ფაქსი), 228-22-88 (მისაღები)
39. საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტი 294-50-00
შიდა 24 (02, 03)
40. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური 226-11-15 (კანცელარია)
41. სადღეღამისო სტომატოლოგიური კლინიკა, 218-01-01; 210-30-50; 599 57-64-12
42. სოფლის მეურნეობის სამინისტროს კანცელარია 237-80-44 (13)
43. საქართველოს სტანდარტების ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო 261-30-90; 261-30-21
44. საყოფაცხოვრებო და საამშენებლო ნარჩენების (ნაგვის) გატანა; შპს „თბილსერვის ჯგუფის" დასუფთავების სერვისი, სანიაღვრე ქსელების ექსპლუატაცია 261-18-37, 261-18-11
45. სამედიცინო-საინფორმაციო სამსახური 225-22-33 (საინფორმაციო); 225-22-45 (ადგილზე მომსახურების განყოფილება, მედიკამენტების სახლში მიტანა)
46. სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის უვნებლობის ვეტერინარიის მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური, რეგისტრაციების და ნებართვების სამმართველო 291-91-67 (68)
47. საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი საქ-პატენტი 292-31-66; 291-71-80 (ცხელი ხაზი)
48. საქართველოს მომხმარებელთა
ფედერაცია 299-78-57
49. ტაქსი გამოძახებით 293-91-00
50. ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი – 210-02-29; ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარება, ცხელი ხაზი – 230-99-03.
51. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცხელი
ხაზი 241-10-66 (კანცელარია, მოქალაქეთა და წერილების განყოფილება)
52. ფინანსთა სამინისტრო 226-14-12; 226-14-10 (კანცელარია); 226-24-09
53. ქორწინების რეგისტრაცია
სიღნაღში 595 24-77-77
54. ღვთისშვილთა კავშირის ცხელი ხაზი (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის) 225-01-45; 222-54-17
55. „ყაზტრანსგაზი" 220-04-04 (გაზიფიცირების სამსახური)
56. „ყაზტრანსგაზის" სადისპეტჩერო 231-04-04

**ადამიანი სასოწარკვეთილებაში რომ ვარდება და გამოსავალს ვერ პოულობს, მხოლოდ მაშინ მიმართავს უარყოფითი, დამანგრეველი ენერგიებისგან დამცავ საშუალებებს. ბევრს არ სჯერა თილისმების სასწაულმოქმედი ძალის. თუმცა, მიუხედავად ამისა, სასწაულები ხდება და ამის არაერთი ფაქტი არსებობს. როგორც პარაფსიქოლოგი, ქალბატონი ნაილი ამბობს, ნებისმიერ ადამიანს შეუძლია, საკუთარ ცხოვრებაში თავადვე შეიტანოს სასიკეთო ცვლილებები, ამაში სხვა ვერ დაგვეხმარება. ბევრს ეშინია კიდეც ცვლილებების, მაგრამ, თუ ის თქვენს ცხოვრებაზე სასიკეთოდ აისახება, ალბათ, დამეთანხმებით, ცდა მაინც ღირს.**

# როდის ხდება თილისმა ბედნიერების უტყუარი მცველი და რომელი ლითონებისგან დამზადებულ სამკაულს აქვს სამკურნალო და დამცავი ძალა

**ნაილი**: დამიჯერეთ, ნამდვილად ღირს, გარისკოთ და თქვენი ცხოვრება უკეთესობისკენ შეცვალოთ. აქ შიში და იმაზე ფიქრი – ვაითუ რაღაც არ გამოვიდესო, ზედმეტია. უბრალოდ, უნდა მოინდომოთ და ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენთ ცხოვრებაში. დამეთანხმებით, ბევრს აქვს პრობლემები როგორც კარიერაში, ასევე პირად ცხოვრებაში – ვერ აწყობენ ურთიერთობას ოჯახის წევრებთან, ნათესავებსა თუ საყვარელ ადამიანთან და ფიქრობენ, როგორ მოაგვარონ ეს ყველაფერი, საშველს და ხსნას კი ვერ პოულობენ. მართალია, ცხოვრება იოლი არავისთვისაა და პრობლემა თუ ბარიერი ნებისმიერს ხვდება წინ, მაგრამ, მთავარია, არ მოეშვათ, იბრძოლოთ და ამით საკუთარ წინსვლას, წარმატებას შეუწყოთ ხელი.

**– დამეთანხმეთ, ქალბატონო ნაილი, რომ ეს სათქმელად ადვილია, მაგრამ, რეალურ ცხოვრებაში საკმაოდ რთული გადასალახავი. ხომ ასეა?**



– გეთანხმებით, მაგრამ გეტყვით, რომ მსგავსი საშინელებები საკუთარ თავზე მაქვს გამოცდილი. წლების წინ, სიყვარულით შექმნილი ოჯახი დამენგრა. რომ იტყვიან, ღალატის მსხვერპლი გავხდი და თითქოს სამყარო ჩამომენგრა თავზე. არც სამსახური მქონდა. დეპრესიაში ჩავვარდი, თავის მოკვლაც კი ვცადე. მაგრამ, მერე მივხვდი, რომ გამოსავალი აუცილებლად მოიძებნებოდა და თავს შემოვუძახე. რომ ამბობენ, რასაც თავს თვითონ დაუშავებ, იმას სხვა ვერ გიზამსო, სრული სიმართლეა. ამიტომ, საკუთარ ბედ-იღბალს თავადვე უნდა დაეხმარო, რომ უკეთესობისკენ წარმართო და ბედნიერება მოიპოვო. ცხოვრებაში უამრავი გამოცდა გველის და თითოეულ წარუმატებლობაზე თუ თავის მოკვლა გადავწყვიტეთ, ხომ წარმოგიდგენიათ, რა მოხდება? ასე არაფერი გამოვა, ბედნიერებისთვის ბრძოლა კი ნამდვილად ღირს. არც ისაა სწორი, როცა მხოლოდ სასოწარკვეთილებაში ჩავარდნის შემდეგ ფიქრობ დამანგრეველი ენერგიის განეიტრალებაზე. თილისმის ტარება ყველასთვის საჭიროა – ასე უფრო დაცულიც ხარ, ჯანმრთელიც და შესაძლო უარყოფითი მოვლენებისგან დაზღვეულიც. ასე რომ, თილისმა მხოლოდ მაშინ კი არ უნდა ატაროთ, როცა გამოსავალს ვერ პოულობთ, არამედ მაშინაც, როცა წარმატებული, ჯანმრთელი და ბედნიერი ხართ. ის ბედნიერების უტყუარი მცველია. აქვე იმასაც გეტყვით, რომ არსებობს ლითონები, რომლისგან დამზადებულ თილისმასაც სამკურნალო და დამცავი ძალა გააჩნია.

**– იქნებ უფრო ზუსტი ინფორმაცია მოგვაწოდოთ, რომელი ლითონია ამ მხრივ განსაკუთრებული?**

– ბევრი დღესაც ატარებს ლითონის სამკაულებს თილისმის სახით, მაგრამ, არც კი იცის, მისი ზუსტი დამცავი თვისებების შესახებ. ძველად კი, თითქმის ყველა ოჯახში მიირთმევდნენ საკვებს ლითონის ჭურჭლიდან, ხმარობდნენ ვერცხლისა და ოქროს დანა-ჩანგალს, ატარებდნენ მისგან დამზადებულ სამკაულს და ზუსტად იცოდნენ, რომ ეს მათი დამცავი თილისმა იყო და უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდა მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში. ლითონისგან დამზადებული სამკაულები და ჭურჭელი უარყოფითი ენერგიისგან დაცვის ყველაზე კარგი საშუალებაა და მას უნიკალური თვისებებიც გააჩნია. სხვათა შორის, ეს თვისება უბრალო რკინასაც აქვს.

**– გამიგია, რომ ამა თუ იმ ლითონის სამკაული ყველა ადამიანზე ერთნაირად არ მოქმედებს. როგორც პარაფსიქოლოგმა, გვირჩიეთ, როგორ უნდა შევარჩიოთ ის, რომ ჩვენთვის დამცავი გახდეს?**

– მართალია, ვერცხლი, ოქრო თუ უბრალო რკინა ყველასთვის ერთნაირად დამცავი და დადებითი შედეგის მომტანი ვერ იქნება. მაგალითად, რბილი ხასიათის, გაუბედავმა, მორიდებულმა და თავმდაბალმა ადამიანმა აუცილებლად უნდა ატაროს უბრალო რკინისგან დამზადებული სამკაულები, რათა კარიერასა და პირად ცხოვრებაში წინ წაიწიოს და ადვილად დაძლიოს წინაღობები თუ ბარიერები. ფეთქებად და უნებისყოფო ადამიანის ოქროს სამკაული ეკრძალება, რადგან ეს მას კიდევ უფრო აღაგზნებს და ააფორიაქებს; უმჯობესია, მათ ვერცხლის

**ცხოვრება იოლი არავისთვისაა და პრობლემა თუ ბარიერი ნებისმიერს ხვდება წინ, მაგრამ, მთავარია, არ მოეშვათ, იბრძოლოთ და ამით საკუთარ წინსვლას, წარმატებას შეუწყოთ ხელი**

სამკაულები ატარონ, რაც ენერგიის კონცენტრაციაში შეუწყობს ხელს. საგვარეულო, ძვირფასი სამკაულების ტარება ყოველდღიურად არ ღირს, ჯობია, კვირაში ერთხელ გაიკეთოთ, დანარჩენ დღეებში კი სახლში იდოს, რომ მათი მძლავრი ენერგეტიკა და პოტენციალი საცხოვრებელში დაგროვდეს. ასეთი ნივთები არც უარყოფით ენერგიას შემოუშვებს სახლში და ბედნიერი ოჯახური თანაცხოვრების შენარჩუნებაშიც დაგეხმარებათ. მაგრამ, გაითვალისწინეთ, ეს ნივთები აუცილებლად თქვენს წინაპარს უნდა ეკუთვნოდეს, ანუ, შეძენილი არ უნდა იყოს.

**– ის მხოლოდ გათხოვილმა ქალმა უნდა ატაროს თუ ოჯახის ნებისმიერ წევრს შეუძლია მისი ტარება?**

– თუ ძვირფას საგვარეულო სამკაულს ატარებს გასათხოვარი გოგონა, დიდი შანსია, პირად ცხოვრებაში უბედური იყოს და ცხოვრების თანამგზავრი ვერ იპოვოს. გათხოვილმა, კი როგორც გითხარით, მხოლოდ კვირაში ერთხელ უნდა გაიკეთოს. ასეთი ნივთის ტარებისას ყურადღება უნდა მიაქციოთ კვირის დღეებს. მაგალითად, არ უნდა გაიკეთოთ საგვარეულო ძვირფასეულობა ორშაბათს, ხუთშაბათსა და პარასკევს. დანარჩენ დღეებში მისი ტარება გამართლებულია. კარგია, თუ რომელიმე ლითონისგან თქვენს სახელზე დაამზადებინებთ სამკაულს და მას ატარებთ ყოველდღიურად – ეს ყველაზე დადებითად მოქმედებს ადამიანის ბედსა თუ კარიერაზე, წარმატებები და იღბალი მოაქვს და იმდენად ძლიერია, რომ, შეუძლია, ჯადოს ენერგიაც კი გაანეიტრალოს. ოღონდ, ასეთი თილისმა-სამკაული დროდადრო მარილში უნდა ჩადოთ და ასე გაწმინდოთ უარყოფითი ენერგიებისგან, რომელსაც ყოველდღიურად იღებს. სხვათა შორის, ყველაზე კარგი დამცავი თილისმა ვერცხლისგან დამზადებული სამკაულია. ის ადვილად გაგარკვევთ სიტუაციებში; გამოიცნობთ ვინ არის თქვენი ნამდვილი მეგობარი და ვინ – მტერი; აგარიდებთ არასასურველ კონტაქტებს. ასეთი თილისმა ქალისთვისაც და მამაკაცისთვისაც კარგია. ადრე, თუ დაკვირვებიხართ, თითქმის ყველა ატარებდა ვერცხლის აქსესუარებს. მაგალითად, კაცები – ქამარ-ხანჯალს, ქალები კი – საყურეებსა და გულსაკიდებს, რადგან, ვერცხლი ადამიანს სურვილების ახდენაშიც ეხმარება და ბედ-იღბლის მოპოვებაშიც. ასე რომ, დამცავი თილისმა თუ გნებავთ, მაშინ ის თქვენს სახელზე ვერცხლისგან დაამზადებინეთ ოქრომჭედელს და ყოველდღიურად ატარეთ. ასეთი თილისმა ავითარებს ზებუნებრივ ძალებს ანუ, გაგიძლიერებთ ინტუიციასა და წინასწარმეტყველურ ნიჭს. თუ ოჯახში ხშირად გაქვთ მეუღლესთან კონფლიქტი, შეიძინეთ ლითონის შანდალი და ხშირად დაანთეთ იისფერი და თეთრი სანთლები – ეს განამტკიცებს იმ ენერგიებს, რომლებიც ოჯახური თანაცხოვრებისთვისაა საჭირო და აგარიდებთ უარყოფითი ძალების ზეგავლენას მეუღლესთან ურთიერთობაში; ასევე, დაგეხმარებათ ოჯახური პრობლემების იოლად გადაწყვეტაში. მარტივი მეთოდია და, დამერწმუნეთ, საკმაოდ ძლიერად ჭრის.

**ნონა დათეშიძე**

## ნაბიჯ-ნაბიჯ...

დაბრკოლება ნებისმიერ საქმეში შეიძლება შეგექმნათ – უამისოდ წარმოუდგენელია ცხოვრება, მაგრამ, პრობლემად, მით უმეტეს – ტრაგედიად, ეს არ უნდა იქცეს. ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი რჩევები და, კარგი იქნება, თუ გაითვალისწინებთ:

* ამოარჩიეთ ერთი კონკრეტული მიზანი, რომელიც მოცემული მომენტისთვის თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია. უნდა იცოდეთ, რომ ყველაფერი ერთად არ გამოვა.

* მიზანი რეალობას უნდა შეესაბამებოდეს.

* თუ შეძლებთ, მოახდინეთ თქვენი მიზნის ვიზუალიზაცია. ფიქრის მატერიალიზაციას თუ მოახერხებთ, მიზანს აუცილებლად მიაღწევთ.

* მიზნისკენ სვლა ნაბიჯ-ნაბიჯ, ნელ-ნელა დაიწყეთ, თავიდან პატარ-პატარა მიზნების შესრულებით. პატარა წარმატება სერიოზული მოტივატორი იქნება საბოლოო მიზნის მისაღწევად.

* ცუდი არ არის გეგმით და კონკრეტული ვადებით ცხოვრება. წინასწარ განსაზღვრეთ ის პრობლემები, რომლებიც, შესაძლოა, შეგექმნათ. თუ მზად იქნებით მათთან შესახვედრად, ადვილადაც მოერევით.

* ნუ მისცემთ საშუალებას თქვენ გარშემო მყოფებს, რჩევებით ან სტერეოტიპული მაგალითებით სწორ გზას აგაცდინონ და ხელი შეგიშალონ მიზნის მიღწევაში.

* კარგია, თუკი გვერდით გყავთ ადამიანები, რომლებიც თქვენს ნებისმიერ წამოწყებას უჭერენ მხარს, თუ არა – გულს ნუ გაიტეხთ, მარტოც კარგად გაართმევთ თავს ყველაფერს... მთავარია, იაროთ ნელა, ჯიუტად და ნაბიჯ-ნაბიჯ...

## ცივი გონებით

თუ საყვარელმა ადამიანმა საწყენი რაღაც გითხრათ, ან, ისე მოიქცა, რომ თქვენდამი ჯეროვანი პატივისცემა ვერ გამოხატა – ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ყველაფერი დასრულდა და თქვენს ერთად ყოფნას აზრი აღარ აქვს... მთავარია, ისწავლოთ წყენის დროულად დავიწყება და მისთვის კიდევ ერთი შანსის მიცემა, მაგრამ, ეს ასე ადვილად არ ხდება. თუმცა, იყო დრო, როცა ნაჩხუბარ მეგობართან შერიგებას უპრობლემოდ ახერხებდით – ბავშვობაში არ გჭირდებოდათ ფიქრი და ნერვიულობა: იჩხუბებდით და მაშინვე შერიგდებოდით – არც სიტყვებს წონიდით, არც ემოციებს. ახლა კი ხედავთ, როგორ გართულდა ყველაფერი და ეს თქვენ გაართულეთ. ემოცია ცუდი მრჩეველი და ცუდი მოკავშირეა. ის გიბიძგებთ იქით, რომ, პატიების სათქმელად მოსულ ადამიანს ისეთ სიტყვებს ეუბნებით, კონფლიქტი თავიდან იწყება, ან, უბრალოდ, თავიდან იმეორებთ მას, მერე კი ნანობთ... ამიტომ, უპირველესად, დამშვიდდით, მოუხმეთ გონებას და ისე იმოქმედეთ.

აუცილებელია, მშვიდად მოისმინოთ ის განმარტება, რომლითაც ახლობელი ცდილობს აგიხსნათ, რატომ მოიქცა ასე; ბოლომდე ათქმევინეთ, არ შეაწყვეტინოთ სიტყვა და არ წამოაყენოთ საპირისპირო არგუმენტები – მხოლოდ ასე მოახერხებთ გაუგებრობის აღმოფხვრას და ურთიერთობის ნორმალიზებას. თუკი ეს ადამიანი სულერთი არ არის თქვენთვის, თუ მასთან ერთად ცხოვრება გსურთ, გონებას უსმინეთ და არა თქვენს ამბიციას და მაშინ ყველაფერი კარგად იქნება.

## არ იცხოვრო სხვებისთვის!

ალტრუიზმი, ცხოვრება სხვებისთვის საკუთარი თავის საზიანოდ, სულაც არ არის საქებარი საქციელი. ისინი, რომლებიც ასე ცხოვრობენ, ან თამაშობენ და იტანჯებიან, ან, ცდილობენ, საკუთარ თავს აჯობონ და, შესაბამისად, მაინც იტანჯებიან... თუ მოხდება ისე, რომ ხშირად მოგიწევთ უარის თქმა საკუთარ სურვილებზე, ერთხელაც, აუცილებლად გიმტყუნებთ ნერვები და თქვენი ყველა მცდელობა – იყოთ იდეალური – კრახით დასრულდება. ზედმეტი მზრუნველობა არავის სჭირდება, მით უფრო – მამაკაცს. თანაც ისეთ მამაკაცს, რომელსაც პრეტენზია აქვს, იყოს ლიდერი! ზოგადად, მამაკაცები ამბიციურები გახლავან და ვერ იტანენ, როცა ქალი თავისი კალთის ქვეშ მის მოქცევას ცდილობს, თანაც, ამას აკეთებს აშკარად, საჯაროდ და დიდი პომპეზურობით. მცდარია მოსაზრება, თითქოს კაცს მოსწონს, როცა მასზე ვიღაც ისე ზრუნავს, რომ გადაწყვეტილებების მიღებასაც არ აცდის. მართალია, – კაცებს უყვართ, როცა ეფერებიან, როცა მათ უპირატესობას აღიარებენ, უქებენ ჭკუა-გონებას, მაგრამ, ენის მოჩლექით ლაპარაკი და იმის ძახილი, რომ თქვენ დიდი მსხვერპლი გაიღეთ მისთვის, როცა დათმეთ ყოველივე პირადი და საკუთარი თავი აღარ გახსოვთ, კაცს მხოლოდ გააღიზიანებს. ყველა ადამიანს თავისი ცხოვრება აქვს და უნდა იზრუნოს იმაზე, რომ მისგან სიამოვნება და სიხარული მიიღოს...

## მე მიყვარს „მე“

ჭეშმარიტად, ქალს არასდროს არ უნდა შეეპაროს ეჭვი საკუთარ შესაძლებლობებში და, მით უმეტეს, არ უნდა შეეცოდოს საკუთარი თავი, ანუ, თუ ირწმუნებს იმას, რომ საუკეთესოა და ყოველთვის ყველაფერს შეძლებს, მიზანსაც აუცილებლად მიაღწევს.

ჭკვიან ქალს საკუთარი თავი ისეთი მოსწონს, როგორიც ის რეალურად არის და, ამიტომაც, არ ცდილობს, „გადაკეთდეს“ ქმრის ან შეყვარებულის შეხედულებისამებრ. თუმცა, ამასთან ერთად, შესანიშნავად იცის თავისი სუსტი წერტილები და ჩუმად მუშაობს მათ გასაძლიერებლად, ან, ახერხებს, სისუსტე ღირსებად წარმოაჩინოს.

თუ ქალს უნდა, პატივი სცენ, ჯერ თავად უნდა სცეს პატივი საკუთარ თავს. არავის არ უნდა მისცეს საშუალება და უფლება, დაამციროს და შეურაცხყოფა მიაყენოს. ქალს უნდა ჰქონდეს ღირსების განცდა და ურთიერთობა უნდა გაწყვიტოს ადამიანებთან, რომლებიც მას არ აწყობს, რომლებიც უქმნიან დისკომფორტს და ხელს უშლიან პიროვნულ ზრდაში. არავინ და არაფერი არ ღირს იმად, რომ დამცირება აიტანო. საკუთარი თავი უნდა გიყვარდეს – ეს მთავარი პირობაა იმისა, რომ ბედნიერი იყო და სრულფასოვანი ცხოვრება გქონდეს. თუ ამას შეძლებთ, სხვებისთვისაც იქნებით ბედნიერების მომტანი და ყველა ეცდება, თქვენ გვერდით იყოს – როგორც საყვარელი მამაკაცი, ისე მეგობრები და ახლობლები.

## სამი მთავარი სიტყვა

არსებობს სამი ჯადოსნური სიტყვა: „მინდა“, „შემიძლია“ და „ვალდებული ვარ“ – ისინი ჩვენი ცხოვრების მთავარი „მოთამაშეები“ არიან. ამბობენ, რომ ძალიან ცუდია, იყო ეგოისტი. „მე“ არ უნდა დომინირებდეს წინა პლანზე, მაგრამ, სინამდვილეში, ეგოიზმი არც ისე ცუდია – მასში უამრავი პლუსია.

წარმოიდგინეთ, რა მოხდებოდა, თუ ჩვენ არ ვეტყოდით საკუთარ თავს – „მინდა“, „შემიძლია“, და „ვალდებული ვარ“... რა წაახალისებდა ჩვენს მოქმედებას? – არაფერი. ანუ, ჩვენ არ გვექნებოდა მოტივაცია, რაც სრული კატასტროფა იქნებოდა. „ჯანსაღი ეგოიზმიც“ არსებობს და ეს არის ის, რაც უნდა გვაინტერესებდეს, რაც ჩვენი ცხოვრების წესად უნდა ვაქციოთ.

ჯანსაღად შეხედეთ სიტუაციას: „მინდა“ – მიზნის მიღწევაში გვეხმარება! „შემიძლია“ – საკუთარი თავის რწმენას გვმატებს; „ვალდებული ვარ“ კი – პასუხისმგებლობის განცდას გვიჩენს, რაც ადამიანისთვის მნიშვნელოვანია, თუ მას პიროვნულ წინსვლაზე აქვს პრეტენზია. ყურადღება გამოიჩინეთ ამ მნიშვნელოვანი სიტყვების მიმართ, თუნდაც დასაწყისისთვის გეჩვენებოდეთ, რომ მათში განსაკუთრებული არაფერია. სწორედ ისინი დაგეხმარებიან ცხოვრებაში გზის გაკვალვასა და წარმატების მიღწევაში!



გვერდი მოამზადა ნინო წულუკიძემ

# როგორ დავამარცხოთ „ფორთოხლის კანი“, ანუ - რეალური ზღაპარი ციტრუსების შესახებ

თქვენ ეს მართლა ზღაპარი გგონიათ? სულ ტყუილად – შედეგს საკუთარი თვალით ნახავთ, თანაც, სულ რაღაც 2 კვირის შემდეგ, თუ, რა თქმა უნდა, ყველაფერს ზუსტად ისე გააკეთებთ, როგორც ჩვენ გირჩევთ.

თავდაპირველად წარმოგიდგენთ ამ „ზღაპრის“ სამ მთავარ პერსონაჟს – ლიმონს,



მანდარინსა და გრეიპფრუტს და გაგაცნობთ მათგან დამზადებული ზეთების ღირსებებს:

ლიმონის ზეთი ასტიმულირებს ნივთიერებათა ცვლასა და სისხლის მიკროცირკულაციას; ჭიმავს კანს და ხდის მას ნაზსა და გლუვს.

მანდარინის ზეთი შესანიშნავად ამაგრებს, ამკვრივებს და ჭიმავს კანს; ხელს უშლის სტრიებისა და ნაწიბურების გაჩენას.

გრეიპფრუტის ზეთი აჩქარებს ლიმფის ცირკულაციას და კანიდან გამოაქვს ზედმეტი სითხე; აწესრიგებს ქსოვილში სისხლის მიმოქცევას და აღადგენს უჯრედების კვებას.

ამ თვისებებიდან გამომდინარე, მათთვის, ვისაც აქვს ეგრეთ წოდებული „ფორთოხლის კანი“, კოსმეტოლოგებმა შეიმუშავეს ფორმულა:

მაღალი კონცენტრაციის ეთერზეთები + მასაჟი = ხავერდოვან კანს.

„შეიარაღდით“ „ფოთოხლის კანთან“ საბრძოლველად: ერთმანეთში თანაბარი რაოდენობით (დაახლოებით 2-2 ჩაის კოვზი) შეურიეთ ლიმონის, მანდარინისა და გრეიპფრუტის ზეთები, დაუმატეთ მაღალი ხარისხის ზეითუნის ზეთი (3-4 ჩაის კოვზი) და დაიმასაჟეთ პრობლემური ზონები. ორმაგი ეფექტურობის ამ ფორმულას აქტიურად გამოაქვს აღნიშნული ზონებიდან ზედმეტი სითხე და ტოქსინები და აქრობს შეშუპებებს, შედეგად კი კანი ხდება უფრო ნაზი, გლუვი და მკვრივი.

მასაჟი გაიკეთეთ შემდეგნაირად:

1. წრიული მოძრაობით წაისვით ზეთების ნარევი პრობლემურ ზონაზე, მაგალითად, მუცელზე და შეეცადეთ, ჭიპის გარშემო წრიულად დამასაჟებით „აიძულოთ“ კანი, გახურდეს.

2. კანი რომ გახურდება, გადადით მსუბუქ ჩქმეტებზე: ჭიპის გარშემო ყოველი სანტიმეტრი (ორივე ხელით ერთდროულად) დაიჩქმიტეთ (ოღონდ, არ დაილურჯოთ) – ეს აუმჯობესებს სისხლის ცირკულაციას.

3. რაც შეეხება ბარძაყებსა და დუნდულებს, ალბათ, მასაჟისტის დახმარება დაგჭირდებათ, რადგან, შესაძლოა, თვითონ ვერ მისწვდეთ, თუმცა, შეგიძლიათ, მაინც სცადოთ.

თავიდან ზეთი წაისვით ისევე, როგორც მუცელზე (ანუ, წრიული მოძრაობით) და ბარძაყები და დუნდულებიც დაიჩქმიტეთ ისევე, როგორც პირველ შემთხვევაში, ბოლოს კი გააკეთეთ მუშტები და წასმული ზეთი მუშტების ძლიერი დაჭერით შეიზილეთ კანში.

პროცედურა ჩაიტარეთ დღეში ერთხელ ან ორჯერ: დილით – სახლიდან გასვლამდე 1 საათით ადრე და, საღამოს – დაძინებამდე 2 საათით ადრე. თუ, არც ერთ საღამოს არ გამოტოვებთ, 2 კვირის შემდეგ თავად დარწმუნდებით, რომ ბევრი ზღაპრის ახდენა თავადვე შეგიძლიათ.

# ყველაზე ადვილი დიეტა

ეს, ალბათ, მართლაც ყველაზე ადვილად დასაცავი დიეტაა, თან, არაჩვეულებრივი შედეგი აქვს, ოღონდ, შეგახსენებთ, რომ ნებისმიერი დიეტის დაცვის წინ კონსულტაცია გაიარეთ თქვენს მკურნალ ექიმთან.

რაც შეეხება ჩვენს დღევანდელ დიეტას, დღის განმავლობაში შეგიძლიათ მიირთვათ ყველაფერი, რაც გნებავთ, საღამოს 6 საათამდე (მხოლოდ პური და ტკბილეული უნდა შეზღუდოთ); 6 საათის შემდეგ, 8 საათამდე, 4 დღის განმავლობაში (გადაბმულად), მიირთვით ხილი ან უცხიმო მაწონი, დანარჩენი 3 დღე კი (უფრო სწორად, 3 საღამო) უნდა „მიუძღვნათ“ წყალს, ანუ 1,5 ლიტრ წყალს შეურიეთ 1 სადილის კოვზი ნატურალური თაფლი, 1 ცალი მოზრდილი ლიმონის ახალგამოწურული წვენი და სვით მთელი საღამოს განმავლობაში, ოღონდ, შეეცადეთ, მთლიანად დაცალოთ დაძინებამდე 1-2 საათით ადრე.

შედეგი უკეთ რომ დაინახოთ, აუცილებლად აიწონეთ დიეტის დაწყების დღეს, დილით და, შემდგომშიც, ყოველი კვირის თავზე, მხოლოდ დილაობით, ერთსა და იმავე საათზე დააფიქსირეთ ხოლმე თქვენი წონა.

იმ სამი საღამოს რეჟიმის დარღვევა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, თორემ, ყველაფრის თავიდან დაწყება მოგიწევთ, ანუ, ვთქვათ, მესამე საღამოს დაარღვიეთ რეჟიმი,



მაშინ, წინა ორი საღამოს დიეტა წყალში ჩაგეყრებათ.

ასე რომ, მთავარია მონდომება. თუ გინდათ, რომ ერთ თვეში საოცარი შედეგი მიიღოთ, ნებისყოფას მოუხმეთ და ეს მარტივი პირობა ზუსტად შეასრულეთ.

# კოსმეტოლოგის რჩევები

**კითხვა: რატომ არ შეიძლება ზაფხულის ცხელ დღეებში სპირტიანი ტონიკის წასმა სახეზე?**

**პასუხი:** ზაფხულში კანს განსაკუთრებით სჭირდება დატენიანება, სპირტი კი აშრობს და ელასტიკურობას უკარგავს მას.

**კითხვა: მთლიანობაში მსუქანი არ ვარ, მაგრამ, ცხიმგროვები მაქვს მუხლების სახსართან (წინაც და უკანაც), რის გამოც ვერც მოკლე კაბას ვიცვამ და პლაჟზეც მეუხერხულება გახდა. მაინტერესებს, არსებობს თუ არა რაიმე სახის ვარჯიში ან სპეციალური კრემები, რომ ეს პრობლემა მოვიგვარო? იგივე კითხვა მაქვს ეგრეთ წოდებულ „მესამე მკერდთან“ დაკავშირებითაც.**

**პასუხი:** „მსუქანი მუხლები“ და „მესამე მკერდი“ (ცხიმგროვები მკერდსა და იღლიას შორის) საკმაოდ რთულად მოსაგვარებელი პრობლემებია. წონაში დაკლება, ცხადია, შეამცირებს მუხლების სიმრგვალესა და „მესამე მკერდის“ ზომას, მაგრამ, სრულად ვერ გააქრობს; ის კი არა, ზედმეტად გახდომის შემთხვევაში, შესაძლოა, კანი ჩამოეკიდოს და ამით უფრო მეტი დისკომფორტი შეგექმნათ. საერთოდ, სხეულის ეს უბნები ძნელად ემორჩილება ზემოქმედებას. ამ ცხიმგროვების მოშორების ყველაზე რეალური გზაა ლიპოსაქცია ან ქირურგიული ჩარევა. თუ ეს არ გსურთ, ორი გზა დაგრჩენიათ: ან მთელი ცხოვრება უნდა აკონტროლოთ კვება, გააკეთოთ სპეციალური ვარჯიშები და შეეგუოთ თქვენს სხეულს, ან, ისეთი ტანსაცმელი ჩაიცვათ, რომელიც თქვენს ნაკლს დაფარავს.

**კითხვა: სადღაც წავიკითხე, რომ ჭარხლის ფოთლების მსგავსი მცენარე, რევანდი, ძალიან დაბალკალორიულია (100 გრამი – 21 კილოკალორია). მაინტერესებს, შეიძლება თუ არა მისი გამოყენება დიეტის დროს და, საერთოდ, აქვს თუ არა მას რამე უკუჩვენება?**



**პასუხი:** რევანდი მართლაც დაბალკალორიული მცენარეა, ამასთან, ის შეიცავს უამრავ ვიტამინსა (მათ შორის, ყველაზე იშვიათ ვიტამინ K-ს) და მიკროელემენტებს; ასევე, ამცირებს ქოლესტერინის დონეს და ორგანიზმიდან გამოაქვს მავნე ნივთიერებები, წიდები და ტოქსინები. მაგრამ, დიეტის დროს მისი გამოყენება მიზანშეწონილი არ არის, რადგან, გარდა იმისა, რომ მას უკუჩვენება აქვს პანკრეატიტით, გასტრიტით, მომატებული მჟავიანობით, დიაბეტით, რევმატიზმით, თირკმელებისა და შარდის ბუშტის ანთებით დაავადებულთათვის, ის ძალიან მჟავეა და, შესაბამისად, სჭირდება ბევრი შაქარი, რის გამოც ის აღარ შეიძლება იყოს დიეტური.

**მოამზადა**
**თამრიკო ზამთარაძე**

# ინტიმური საუბრები

### ყველა შვილი ვალდებულია, მშობელს მოუაროს

18 წლის გავთხოვდი. ჩემი ქმარი ათი წლით იყო ჩემზე უფროსი. ჰყავდა სამი უმცროსი და და ყველანი ერთად ცხოვრობდნენ დიდ, ორსართულიან სახლში. ჩვენ ცალკე ოთახი გამოგვიყვეს. სანამ ჩემი მულები გაუთხოვრები იყვნენ, ბინასთან დაკავშირებით სერიოზული პრობლემები არ შეგვქმნია, მაგრამ გათხოვების შემდეგ ყველამ თავისი წილი მოითხოვა. ამიტომ დათოს მშობლებმა სახლი გაყიდეს და, გოგოებისთვის წილების განაწილების შემდეგ, აღმოჩნდა, რომ დათოს არაფერი შეხვდა – აღარაფერი დაგვრჩაო, – ასე გვითხრეს. თვითონ ჩემმა დედამთილ-მამამთილმა ოროთახიანი ბინა იყიდა თავისთვის, დათოს კი „წილად“ იმდენი თანხა მისცეს, გარეუბანში პატარა ბინის დასაგირავებლად თუ გვეყოფოდა. რადგან არც ყიდვის საშუალება გვქონდა და არც ქირის გადახდის, ამიტომ, ასეც მოვიქეცით – მუხიანის დასაწყისში დავიგირავეთ პატარა, ოროთახიანი ბინა და ბავშვებიანად იქ გადავედით.

ცოტა ხანში ჩემი მამამთილი გარდაიცვალა, დედამთილს კი საშინელი სკლეროზი დაეწყო. ჩემმა მულებმა თავიანთი დედა ჩვენ მოგვაყენეს ბარგით, ბინა კი გააქირავეს და იმ ქირას დღემდე თვითონ ინაწილებენ.

შეიძლება, ძალიან ცუდი ადამიანი ვარ, ამას რომ ვამბობ, მაგრამ, აღარ შემიძლია ორი შვილის, ქმრისა და სკლეროზიანი დედამთილის მარტო მოვლა, თან, ამ პაწაწინა ბინაში. კი მეცოდება, ასეთ დღეში რომ არის, მაგრამ, მე რა დავაშავე? ქონების გაყოფის დროს დათო და მისი ცოლ-შვილი არავის გახსენებია, დედის მოვლა კი არც ერთ ქალიშვილს არ უნდა. ლოგინად ჩავარდნილი რომ იყოს, ხმას არ ამოვიღებდი, მაგრამ, ისეთი ენერგია აქვს, ქალაქს შემოუვლის ფეხით და არ დაიღლება; ამიტომ, სულ სიარული უნდა და გარეთ იპარება, მერე კი საათობით ვეძებთ მთელ უბანში. გარდა ამისა, რამდენჯერმე ონკანი დატოვა მოშვებული, მეზობელი „ჩარეცხა“ და იმისი რემონტის ფულიც ჩვენ დაგვაწვა კისერზე. ორჯერ ხანძარიც გააჩინა – გაზქურა დატოვა ანთებული. მოკლედ, ძალიან „მხიარულად“ ვცხოვრობთ. თან, მეც და დათოც ვმუშაობთ და ლამის სამსახური დავკარგეთ ორივემ. საწყალ ბავშვებს მისჯილი აქვთ ბებიის ყარაულობა.

რამდენჯერმე ვთხოვე ჩემს მულებს, რიგრიგობით, წელიწადში თითო თვით მაინც წაიყვანეთ თქვენთან-მეთქი, მაგრამ, გაგონებაც არ უნდათ – მშობლებს ვაჟიშვილმა უნდა მოუაროსო.

ძალიან მინდა, რომ ეს წერილი წაიკითხონ, იქნებ, შერცხვეთ, და სანახავად მაინც მოვიდნენ დედასთან.

აქამდე ასე ვიცოდი, რომ ყველა შვილი



ერთნაირად არის ვალდებული, მშობელს მიხედოს.

**ელენე, 25 წლის.**

### შეყვარებულმა მიმატოვა

შეყვარებულმა, რომელზეც ვგიჟდებოდი, უცერემონიოდ მიმატოვა. საღამოს რომ უნდა შევხვედროდით, ცოტა ხნით ადრე დამირეკა და მითხრა, ჩვენ შორის ყველაფერი დასრულდა, აღარ მელოდოო. მიზეზი არც უთქვამს, არც არაფერი აუხსნია. ძალიან ცუდ დღეში ვარ. საშინელი დეპრესია დამეწყო. სიცოცხლე აღარ მინდა. ჩემმა დაქალმა თავის ნაცნობ ფსიქოლოგთან წამიყვანა, რომელმაც ყურადღებით მომისმინა და მითხრა, რომ წყენა, სიბრაზე და იმედგაცრუება ბუნებრივი ემოციებია და უნდა მოვძებნო საკუთარ თავში ძალა, რომ ეს ემოციები გამოვხატო, ესე იგი, გარეთ გამოვუშვა, ანუ, ვიტირო; დავხიო მისი ფოტოები, თავიდან მოვიშორო ყველაფერი, რაც მას მაგონებს; ნავშალო მისი ესემესები; მეგობრებთან ერთად წავიდე „ტუსოვკებზე“, მოვიწყო შოპინგი; წავიდე სალონში და შევიცვალო იმიჯი... მოკლედ, მთელი არსებით შევიგრძნო, რა მშვენიერია სიცოცხლე და, არა მარტო „დავიკიდო“ ყოფილი შეყვარებულის საქციელი, არამედ, მადლობა ვუთხრა განგებას, რომ ასე მოხდა, რადგან, ის ნამდვილად არ იყო ჩემი ღირსი; უფრო მეტიც, მასთან მთელი ცხოვრება უბედური ვიქნებოდი.

ეს ყველაფერი გასაგებია და ვეთანხმები კიდეც იმ ფსიქოლოგს, მაგრამ, ჩემს მდგომარეობაში როგორ შევძლო ამდენი რამის გაკეთება, როცა გათენებაც კი არ მიხარია და ყველაზე ახლობელი ადამიანების დანახვა და ხმის გაგონებაც კი ნერვებს მიშლის?! მეშინია, მართლა არ გავაფრინო. ვიცი, ამაზე უარესიც შემთხვევიათ ქალებს და გადაუტანიათ კიდეც, მაგრამ, ყველა ერთნაირად ძლიერი ხომ არ არის? უკვე მთელი თვე გავიდა მას შემდეგ. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი საერთო მეგობრებისგან იცის, რა მდგომარეობაშიც ჩავვარდი და, მიუხედავად ამისა, ერთხელაც კი არ დამირეკა, რომ დავეწყნარებინე მაინც, ან, უბრალოდ, დამლაპარაკებოდა – მე ხომ ასე მენატრება მისი ხმის გაგონება...

**სოფო, 22 წლის.**

### მეშინია, შვილიშვილი არ დამეღუპოს

ჩემი შვილიშვილი, ნუციკო, 16 წლისაა და მეთერთმეტე კლასში სწავლობს. უფრო სწორად, კი არ სწავლობს, ირიცხება, რადგან, შარშანაც არაფერი უსწავლია. ის კი არა, თითქმის არ დადიოდა სკოლაში. არადა, მეცხრე კლასის ჩათვლით, ერთ-ერთი საუკეთესო იყო კლასში. მეათედან კი თითქოს შემიცვალეს ბავშვი – ხასიათიც გაუფუჭდა, სწავლასაც თავი დაანება, ყველაფერზე კაპასობს და ისტერიკებს მართავს, არავინ აღარ მოვწონვართ ოჯახში. თუ ვინმე მეგობარი მოუვიდა, მასთან გამოსვლას გვიკრძალავს, თითქოს რცხვენია ჩვენი გამოჩენა. თავისი დაქალების თანდასწრებით ისე დაგვტუქსავს ხოლმე, თავის მოკვლა მინდება.

თავიდან ასაკს დავაბრალე და ჩუმად წავედი ექიმთან. ისიც დამეთანხმა, რომ, გარკვეულწილად, ასაკის ბრალიცაა, მაგრამ, რამე სტრესი ხომ არ მიიღო ან ოჯახში, ან მეგობრებში, ან, იქნებ, შეყვარებულს დაშორდაო. მეგობრებთან და შეყვარებულთან დაკავშირებით რა ხდება, მთლად ზუსტად არ ვიცი, მაგრამ, ოჯახში მართლაც დიდი ნერვიულობა გადაიტანა: ჩემი ქალიშვილი და მისი ქმარი ერთმანეთს საკმაოდ ცუდად დაშორდნენ – სკანდალით, ურთიერთბრალდებებით და ეს ყველაფერი, სამწუხაროდ, ბავშვის თვალწინ მოხდა.

როცა ოჯახი ინგრევა, მთლიანად ერთი მხარის ბრალი არ არის ხოლმე. ასე იყო ჩემი შვილის შემთხვევაშიც – მასაც, ალბათ, ბევრი რამ შეეშალა ქმართან და არც ჩემი სიძე იყო მამა აბრამის ბატკანი. ცოლმა ქმარს შეიძლება, ბევრი რამ აპატიოს, მაგრამ, როცა საყვარლად ცოლის მეგობარს გაიხდის და არც კი ცდილობს, დამალოს ეს ამბავი; როცა იმ ქალს ოცდაოთხი საათი ჩემი ნაყიდი მანქანით ასეირნებს ალმა-დაღმა, ცოლ-შვილისთვის კი მაშინაც ვერ იცლის, როცა ექიმთან წაყვანა სჭირდებათ, რაღაზე უნდა ელაპარაკო. ეგ კი არა, ერთხელ ნუციკოს შეჰპირდა მამამისი სადღაც წაყვანას – სკოლაში მოგაკითხავ და იქიდან წავიდეთო. ბავშვი მთელი საათი ელოდა სკოლის წინ, მობილურითაც არ დაურეკა, მაგვიანდებაო, თან, გათიშა თავისი ტელეფონი. ბოლოს, როგორც იქნა, მიაკითხა და საწყალი გოგო კინაღამ გაგიჟდა – გვერდით ის აშარშკა ეჯდა, უკანა სავარძელზე კი უზარმაზარი თაიგული იდო. ორივენი გადასარევ ხასიათზე ყოფილან და ამ ჩემს ნაძირალა სიძეს ბოდიშიც კი არ მოუხდია დაგვიანებისთვის. ნუციკოს აღარ უნდოდა მამამისთან წასვლა, თუმცა, მაინც ჩაუჯდა მანქანაში – არ იკადრა სცენების გამართვა, მაგრამ, როცა იმ ქალმა ირონიულად მოიკითხა თავისი ყოფილი დაქალი, ანუ, ჩემი შვილი – რას შვრება დედაშენი, არ მოვენატრეო? – ნუცა გადმოვიდა მანქანიდან, კარი მიუჯახუნა და მამამისს მიაძახა: ვერ გიტან, მეზიზღები და მრცხვენია, შენი შვილი რომ ვარო. იმ ნაძირალამ კი, იმის ნაცვლად, რომ გაჩუმებულიყო და ნათრეული-ყო მაინც, გადმოუხტა ბავშვს, მკლავში ხელი ჩაავლო, შეანჯღრია და უყვირა: შე პატარა ლაწირაკო ნაბიჭვარო, ვის უბედავ აქ სცენების გამართვასო. ნუციკოს წყენისგან, შიშისა და დამცირებისგან გული წასვლია. იმას კი მოუტოვებია ბავშვი, ჩამჯდარა მანქანაში და იმ ძუკნასთან ერთად წათრეულა.

გულწასული ნუცა სკოლიდან გამოსულ ერთ-ერთ მასწავლებელს დაუნახავს, რომელმაც სასწრაფო გამოიძახა და ბავშვი სახლში მოგვიყვანა. ახლა რომ ვუფიქრდები, სწორედ იმ დღიდან შეიცვალა ჩემი შვილიშვილი. მშობლების გაყრა თითქოს მძიმედ არ გადაიტანა (ყოველ შემთხვევაში, გარეგნულად ასე ჩანდა), მაგრამ, როგორც ჩანს, გულში ბოლმა ჩაიდო და ყველაფერს აპროტესტებს, ოღონდ, ისეთი ფორმებით, მეშინია, რამე არ დაემართოს. ამ ყველაფერს კი მე ერთნაირად ვაბრალებ ჩემს შვილსაც და მის ყოფილ ქმარსაც. ცოლ-ქმარს შორის ყველაფერი შეიძლება მოხდეს, მაგრამ არც ერთმა არასდროს არ უნდა დაივიწყოს, რომ ჰყავთ საერთო შვილი, რომელსაც მოფრთხილება სჭირდება, თუკი არ უნდათ, რომ ბავშვი ან დაავადდეს, ან ცუდ გზას დაადგეს და დაიღუპოს.

**ნუნუ, 64 წლის.**

**რედაქციაში შემოსული უამრავი წერილიდან ამოვარჩიეთ საუკეთესო ამბები და ვთავაზობთ მკითხველს. „ინტიმური საუბრებისთვის“ ისტორიები შეგიძლიათ გამოგზავნოთ ელექტრონული ფოსტით: tbiliselebi2001@gmail.com ან მოიტანოთ რედაქციაში წერილის სახით.**

# ეძიე კაცი

● გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №31-37(716)

– არ გეწყინოს, მაგრამ, შენი სიტყვებიდან ის ვიგრძენი, რომ, ნანობ, ქმარს რომ გაშორდი და ამ გადაწყვეტილებაში არავინ შეგიშალა ხელი. როგორც ბებიაჩემი იტყოდა ხოლმე, როცა ქალს ქმარი ჰყავს, თუნდაც უვარგისი, მისი სახლიც და სახელიც დაცულია ცნობისმოყვარე თვალისა და ავი ენისგანო, – თქვა სალომემ, – აი, მე, მაგალითად, დღეს პირველად ვამბობ ამას ხმამაღლა: ხშირად ვნანობ, რომ ქმარს გავშორდი, მიუხედავად იმისა, რომ არაფერი გვაერთიანებდა – არც ხასიათი, არც ინტერესები, არც შეხედულებები...

– სექსი? – ჰკითხა სალომეს მოულოდნელი გულახდილობით გაოცებულმა კატომ.

– და, არც სექსი – წელიწადში რამდენჯერმე ნაძალადევად ჩატარებული ინტიმის პაროდია სექსი რომ არ არის, ალბათ, დამეთანხმებით.

– მერე, ამ ყველაფრის მიუხედავად, ნანობ, რომ გაშორდი?! – გადაირია ქეთა.

– ჰო, თან, საკმაოდ ხშირად, რაც, სიმართლე გითხრათ, თვითონვე მიკვირს, მაგრამ, ასეა. მიუხედავად იმისა, რომ, პრინციპში, ლიკას თითქმის ყველაფერში ვეთანხმები, მაინც ვფიქრობ, რომ ახლობლებმა არ უნდა შეუწყონ ხელი ოჯახის დანგრევას, ყოველ შემთხვევაში, უნდა შეეცადონ, რომ ეს არ მოხდეს – ეს უფრო ჰუმანური და სწორი საქციელი იქნება. ქალს ბევრი რამის ატანა შეუძლია და მოვალეც არის აიტანოს – სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ასეთია საზოგადოების აზრი და ეს მართლაც ასეა.

– რა იქნება სწორი და ჰუმანური, გოგო, რომ მე ახლა ნათიას ვუთხრა, არა უშავს, ქმარი რომ გამცირებდა, შენ ქალი ხარ და, ამიტომ, ვალდებული ხარ, უარესიც აიტანო; ყველაფერი უნდა მოითმინო, თუნდაც იმიტომ, რომ ქმარგაყრილი ქალის სახელი არ შეგერქვას-მეთქი?! იცით, რატომ ვარ დღეს ასეთი რადიკალური? ამ რამდენიმე თვის წინ შემხვდა ერთი ახლობელი, ჩემი ხნის ქალი, რომელმაც მითხრა, ქმარს ვეყრები და ძალიან ცუდად ვარო. იმავე საღამოს დამირეკა და მთხოვა, შენთან დალაპარაკება მინდა და, თუ შეიძლება, მოვალო. რა თქმა უნდა, ვუთხარი, მოდი-მეთქი. მაკა მოვიდა და ქმრის ბოლოდროინდელი „გმირობის“ ამბავი მიამბო. ზაზა ლამის ქორწილის დღიდან რომ ღალატობდა, ეს მანამდეც ვიცოდი – ვიღაცა მაგრად ნაგულავები, 20 წლის ასაკში სამჯერ განათხოვარი და შვილებიანი ქალი ჰყავდა საყვარლად წლების განმავლობაში. იმ გოგოს ქალაქში საკმაოდ ცნობილი მშობლები ჰყავდა, ასე ვთქვათ, რესპექტაბელური ოჯახიდან იყო. მაგრამ იმ გომბიოს მშობლებმა, მიუხედავად იმისა, რომ იცოდნენ, ზაზას ცოლი ორსულად იყო, ყველანაირად შეუწყვეს ხელი თავიანთი შვილისა და ამ შტერი კაცის მაქსიმალურად დაახლოებას (უნდოდათ, მეოთხედაც გაეთხოვებინათ). როდესაც ის გოგო დაორსულდა, მამამისმა დაიბარა ზაზა და კატეგორიულად მოსთხოვა, ცოლს გაეყარე და ჩემი შვილი შეირთეო. ეს ისტორია იმით დასრულდა, მაკას მთელი სანათესაო ჩაერია საქმეში და, საბოლოოდ, ზაზა ცოლს აღარ გაშორდა, ის გომბიო კი იძულებული გახდა, აბორტი გაეკეთებინა. ამ ყველაფრის მიუხედავად, მაკამ აპატია ქმარს და შეურიგდა, მაგრამ, იმის შემდეგ, აგერ უკვე თხუთმეტ წელზე მეტია, ეს ტუტუცი კაცი იმ ქალს მაინც ვერ შორდება, ესემესებით სიყვარულს უხსნის, ხვდება, თან ჰყვება; ცოლმა კი ამასობაში არაერთხელ გამოიჭირა ღალატში და, რამდენჯერაც უთხრა, ყველაფერი ვიციო, იმდენჯერ საშინლად სცემა იმ პირუტყვმა. ეს სცენები ხშირად შვილების თვალწინ იმართებოდა. გულგახეთქილი ბავშვები დედის გამოსარჩლებას ვერ ბედავდნენ, რადგან, თვითონაც კარგად ახსოვდათ მამის ხელის სიმწარე. მერე მაკამ სერიოზულად დაუსვა საკითხი გაყრაზე და ზაზაც, თითქოს დაშოშმინდა, ყოველ შემთხვევაში, მალავდა, ისევ იმასთან რომ დაეთრეოდა. იმ დღეს კი, მაკა რომ შემხვდა, გაირკვა, რომ არაფერიც არ დასრულებულა – ისევ სასიყვარულო ესემესები ნახა მობილურში. ის ზაზა თავხედია თუ იდიოტი, დღემდე ვერ გამირკვევია – აზრზე ვერ მოვდივარ, რატომ არ შლიდა იმ ესემესებს...



– მოიცა, რატომ გვიყვები ასე დაწვრილებით, რაში გვაინტერესებს შენი ახლობლის ოჯახური პრობლემები? – შეაწყვეტინა ქეთამ.

– მაცადეთ, დავასრულო, ძალიან მნიშვნელოვანი რამის თქმა მინდა, – რუსამ მთელი ჭიქაწყალი გამოცალა და განაგრძო: – მოკლედ, მოვიდა ჩემთან ატირებული – ისევ იმ ქალთან მღალატობს და სახლიდან უნდა გავაგდო, შენ რას მირჩევო. მთელი თვე დადიოდა ჩემთან ყოველ საღამოს და მთელი თვის განმავლობაში ვარწმუნებდი, რომ არ უნდა გაყროდა ზაზას.

– ბოლოს რა მოხდა? – ჰკითხა ნათიამ.

– ბოლოს შერიგდნენ და დღესაც მადლობელია ჩემი, მაგრამ, იმ დღიდან პატივს აღარ ვცემ საკუთარ თავს, რადგან, არ ვიყავი გულწრფელი, როცა ვეუბნებოდი, არ გაშორდე-მეთქი, იმიტომ, რომ ვურჩიე ის, რასაც საკუთარ თავს არ ვურჩევდი.

– აბა, რატომ ურჩიე?

– იმიტომ, რომ თვითონ უნდოდა ასე, ანუ, გულის სიღრმეში მაინც არ უნდოდა გაყრა და სჭირდებოდა ისეთი „მრჩეველი“, რომელიც დაარწმუნებდა, რომ უნდა ეპატიებინა ქმრისთვის.

– რა იცი, რომ არ უნდოდა გაყრა?

– ჯერ ერთი, მანამდეც, წლების განმავლობაში, იმდენჯერ უქნა ქმარმა თავზე და იმდენჯერ სცემა პრაქტიკულად იმ ქალის გამო, გაყრა რომ ნდომოდა, მილიონჯერ ჰქონდა ამის რეალური მიზეზი; გარდა ამისა, ერთი ნათესავი გოგო ჰყავს მაკას და იმასაც უამბო ყველაფერი, იმან კი დაურეკა ზაზას, საშინლად გალანძღა და უკანასკნელი სიტყვები უძახა, მაკას კი პირდაპირ უთხრა, ეგეთ ნაძირალას ხვალვე უნდა გაეყარო, თორემ, ახლაც თუ აპატიე, მერე უარესს გიზამს და ჩემთან აღარ მოხვიდეო.

– სწორი უთქვამს, რას ერჩი იმ ნათესავს, – აღნიშნა სოფომ.

– იმ გოგოს მე კი არა, მაკა ერჩის, იმის მერე საერთოდ აღარ ეკონტაქტება – რას ჰქვია, ქმარი გამილანძღა; იმის ნაცვლად, რომ დავემშვიდებინე და შევერიგებინე, ცეცხლზე ნავთს მისხამდა და გაყრისკენ მიბიძგებდაო.

– ანუ, რა გინდოდა, ამ ყველაფრით გეთქვა? – გაუკვირდა ელისოს.

– ის, რომ იდიოტურად გვაქვს ქართველ ქალებს ტვინი დაპროგრამებული – ყველაფერი უნდა მოითმინო, ყველაფერი უნდა აიტანო, ყველაფერი უნდა აპატიო... ქმრებს ვგულისხმობ, რა თქმა უნდა; ისინი კი მონათმლობელებად გრძნობენ თავს და მონათმფლობელებივითაც იქცევიან... – რუსამ ისე ამოიქშინა, თითქოს კიბეებზე აირბინა და უცებ გაჩერდა.

– მონათმფლობელებივით კი არა, ინდიელთა ტომის ბელადებივით იქცევიან, – შეუსწორა ქეთამ, – პირქუშები, საკუთარ სიბრძნესა და სიმართლეში დარწმუნებულები... მთელი ტომი თვალებში შეჰყურებს და მის ნება-სურვილს თვალის დაუხამხამებლად ასრულებს... ერთი, ბუმბულები აკლიათ თავზე და ფერადი ზოლები – სახეზე...

ყველამ თავისი ახლანდელი თუ ყოფილი ქმარი წარმოიდგინა ინდიელი ბელადის როლში და უცებ ყველას ერთად აუტყდა ისტერიული სიცილი.

– ჩემს მეორე ქმარს, ალბათ, „ცბიერი

ტურა" ერქმეოდა ან – „ანგარებიანი სვავი", – ჩაბჟირდა მია, – ინდიელებს ხომ ამდაგვარი სახელები ჰქვიათ...

– პირველს? – სიცილითვე ჰკითხა ქეთამ.

– ალბათ, „საცოდავი მაჩვი" ან რაღაც ამის მსგავსი შენს ქმარს? – მიამ მთელი ჭიქა წყალი ორი ყლუპით დალია, სული რომ მოეთქვა და ქეთას კითხვა გაუმეორა: – თემიკოს რა ერქმეოდა?

– თემიკოს? – ქეთამ უცბად შეწყვიტა სიცილი და თვალები დაუსევდიანდა, – არ ვიცი, ალბათ, „უჟმური მამალი" ან „უხასიათო მგელი", – თქვა და ძალით გაიცინა, მერე კი ნათიას მიუბრუნდა: – რეზოს რა ერქმეოდა?

– „საოწარკვეთილი ნაგაზი" ან... არ ვიცი, ფანტაზია აღარ მყოფნის, – გადაიკისკისა ნათიამ, – ისე, გვისმენდნენ ახლა, რაებს ვლაპარაკობთ მათზე, გვიტირებდნენ ყოფის დღეს.

– მეტი რაღა უნდა გვიტირონ, მთელი ცხოვრება ყოფანატირები არა ვართ? – ბოღმით თქვა ლიკამ, თუმცა, მაინც გაეცინა.

– მაგარი „ლირიკული გადახვევა" გამოგვივიდა მთავარი თემიდან, – სიცილისგან წამოსული ცრემლების წმენდით თქვა სალომემ, – მაგრად ვიხალისე.

– უფრო კარგად იხალისებთ, ჩემს სიუჟეტს თუ ნახავთ! – დაიძახა მიამ და ჩანთიდან ფლეშკა ამოიღო, – ჩავრთო? მზად ხართ საყურებლად?

საკმაოდ ემოციური თანხმობის შემდეგ მიამ კომპიუტერი ჩართო და გოგოები მონიტორს მიაჩერდნენ. ჩანაწერი დაახლოებით ნახევარსაათიანი იყო და, მთელი ამ ნახევარი საათის განმავლობაში ისმოდა სიცილი, მოწონების შეძახილები, ტაში და ქება.

– გადაირეოდა შენი ქმარი, ასეთს რომ გნახავდა, აბა, რას იზამდა, – თქვა აღფრთოვანებულმა ლიკამ, – ისე, ასეთი მრავალმხრივ ნიჭიერი თუ იყავი, ჩვენც არ ვიცოდით.

– რეზოს სახე არასდროს დამავიწყდება, – გაეცინა ელისოს, – მაგრამ, ის სიმპათიური ტიპი ვინ იყო, გვერდით რომ ეჯდა?

– რეზოს ფირმის ამერიკელი პარტნიორია, – აუხსნა მიამ.

– ამერიკელი პარტნიორი უძახე შენ და, მსუნაგი მელასავით კი გიყურებდა, – გაეცინა ელისოს.

– კაცების დედაც ვატირე, უკლებლივ ყველასი! – იყვირა უცებ სალომემ, – ამისთანა ქალები აჩუქათ ღმერთმა და თვალები მაინც ტ... ში გაურბით.

– რა სიტყვებს ამბობ, არ გრცხვენია? – შენიშვნა მისცა კატომ, – თუ მაგრები ხართ, პირში უთხარით ქმრებს სათქმელი.

– ჰო, ისე ვერ ვბედავთ ხმის ამოღებას და, ზურგსუკან მაინც გამოვხატოთ პროტესტი, – ელისომ სიგარეტს მოუკიდა და ნათიას სთხოვა, თუ არ გეზარება, ერთი დიდი ჭიქით უშაქრო ჩაი მომიტანეო.

ნათია ჩაის მოსატანად რომ გავიდა, გოგოებს ჩუმად ჰკითხა:

– რა ვუყოთ ამ გოგოს? ვითომ კარგ ხასიათზეა, მაგრამ, აშკარად ძალიან ნერვიულობს და ვერც ვამტყუნებ – ადვილი არ არის ასეთი სერიოზული ნაბიჯის ასე ერთბაშად გადადგმა.

– უნდა გავამხნევოთ, სხვას ვერაფერს ვიზამთ, – თქვა სალომემ და უცბად გაჩუმდა, რადგან ამ დროს ნათია შემოვიდა და ელისოს ჩაი შემოუტანა.

წამით სიჩუმე ჩამოვარდა. ყველას ეუხერხულა რამის თქმა. ნათიამ გადახედა დაქალებს და ძალიან სერიოზულად იკითხა:

– ესე იგი, რას მირჩევთ, უფრო სწორად, როგორია თქვენი აზრი, ვარ თუ არა მართალი?

– მართალი ვისთან? – ჰკითხა მირანდამ.

– უპირველეს ყოვლისა, ალბათ, საკუთარ თავთან, მერე – შვილებთან და, ზოგადად, ოჯახთან, – დაფიქრებით თქვა ნათიამ, – თან, სიმართლე გითხრათ, არც ის არის ჩემთვის ნაკლებად მნიშვნელოვანი, როგორ იჭორავებენ ჩემზე მეზობლები, თანამშრომლები და ნაცნობები.

– ანუ, გაწუხებს, რას იტყვის ხალხი? – თქვა უცებ კატომ.

– ჰო, შენ წარმოიდგინე, მაწუხებს, თუმცა, აქამდე მეგონა, რომ ეს საკითხი ყოველთვის ფეხებზე მეკიდა, – თქვა ნათიამ, სავარძლის საზურგეს მიეყუდა და თვალები დახუჭა, – მაგრამ, თურმე, ასე არ ყოფილა.

– იცი, რატომ არ ყოფილა ასე? – განაგრძო კატომ, – იმიტომ, რომ არც ერთი ჩვენგანი და, საერთოდ, ქართველები, არ ვცხოვრობთ საკუთარი თავისთვის.

– აბა, ვისთვის ვცხოვრობთ? – გაუკვირდა მირანდას.

– ვისთვის და, სხვებისთვის, უფრო სწორად, სხვების დასანახავად, – ეს გენებში გვაქვს. ოდესმე დაფიქრებულხართ, რა ორი პრინციპით ცხოვრობს ზოგადად ადამიანი, განსაკუთრებით – ქართველი ადამიანი? – კატომ გოგოებს გადახედა და, რადგან პასუხი ვერ მიიღო, თვითონვე განმარტა: – ეს ორი პრინციპია: „ხალხმა გაიგოს" და „ხალხმა არ გაიგოს".

– ეს ხომ ერთმანეთს გამორიცხავს? – ვერ მიხვდა ელისო.

– პირიქით, ერთმანეთის გაგრძელებაა. მაგალითად, ყველაზე კარგ ვარიანტში, თუ ოდნავ, თუნდაც უმნიშვნელო სიკეთეს ვაკეთებთ, ყველანაირად ვცდილობთ, ვითომ შემთხვევითაც და სპეციალურადაც, ამის შესახებ ნაცნობ-მეგობრებთან და, განსაკუთრებით, ჭორიკანა მეზობლებთან ვთქვათ, რომ მერე ყველამ გაიგოს, თურმე, რა კარგები ვყოფილვართ; არის „ხალხმა გაიგოს" სხვა ვარიანტიც – თუ, ვთქვათ, სამსახურში დაგაწინაურეს, ან, ელემენტარულად, რამე მოდური ბრენდის ტანსაცმელი იყიდე – მაშინვე იცვამ და გარეთ გარბიხარ, რომ სხვებმა დაგინახონ და შეშურდეთ, განსაკუთრებით იმათ, ვინც მანამდე ცოტა ზემოდან გიყურებდა, იმიტომ, რომ შენზე კარგად ეცვა, ან, დაუმსახურებლად, მაგრამ, შენზე მაღალ თანამდებობაზე მუშაობდა...

– „ხალხმა არ გაიგოს" როდის ხდება, მივხვდი, მაგრამ, შენ თვითონ დაასრულე, – გაეცინა ლიკას.

– „ხალხმა არ გაიგოს" ხდება, როცა რამის დამალვა გინდა, მაგალითად, სამსახურში ჩამოგაქვეითეს, საყვარელი გაიჩინე, ოჯახის წევრმა, ან, თუნდაც, შენ თვითონ, რაღაც ცუდი ჩაიდინე, ცუდად მოიქეცი, – განაგრძო კატომ.

– ცუდ საქციელსაც აქვს კატეგორიები, მაგალითად – შემთხვევით, უნებურად, გარემოებიდან გამომდინარე, იძულებული გახდი, თავი დაიცავი, სამაგიერო გადაუხადე და ასე შემდეგ, – არ დაეთანხმა სალომე, – ისეც ხომ ხდება, რომ ადამიანი ვერ ხვდება, ცუდს რომ სჩადის?

– არა, ეს კატეგორიები კი არა, გამართლების მცდელობებია, როცა გინდა, რომ შენი ცუდი საქციელი შელამაზებულად, ან, უკიდურეს შემთხვევაში, შენდა უნებურად ჩადენილად მოაჩვენო ვინმეს. რაც შეეხება შენს ბოლო რიტორიკულ შეკითხვას, გეტყვი, რომ, ყველა ადამიანმა, თუ ის ფსიქიკურად ნორმალურია, ზუსტად იცის, როდის აკეთებს ცუდს და, თავიდანვე ცდილობს, ისეთი შირმა გაუკეთოს, რომ სხვები ამას ვერ მიხვდნენ, რომ მათ თვალში არ „გაშიშვლდეს", ანუ, ისეთად არ დაინახონ, როგორიც სინამდვილეშია. ადამიანი რომ ვერ ხვდებოდეს, ავად მოიქცა თუ კარგად, ბოროტება ჩაიდინა თუ სიკეთე, მაშინ, არც პირველის დამალვასა და დაფარვას შეეცდებოდა და არც მეორის შესახებ ყველგან ლაპარაკსა და ტრაბახს... ეს, რა თქმა უნდა, ჩემი პირადი აზრია და, თუ არ დამეთანხმებით, თქვენი ნებაა, – თქვა კატომ, მერე პატარა პაუზა გააკეთა და მორიდებით თქვა: – ახლა კი იმ თემას მინდა შევეხო, რის გამოც შევიკრიბეთ და, კიდევ იმას, წეღან რომ ცუდად მოვიქეციით ყველა.

– ცუდად რატომ მოვიქეცით? – იკითხა ქეთამ, თუმცა, მიხვდა, რასაც კატო გულისხმობდა.

– იმიტომ, რომ, გვეგონა, ქმრებს დავცინოდით და ვამცირებდით, სინამდვილეში კი თითოეულმა ჩვენგანმა საკუთარი თავი დაიმცირა.

– შენ რა შუაში ხარ, შენ ხომ ხმა არ ამოგიღია?

– ჰო, მაგრამ, მე გისმენდით და არ შეგაწყვეტინეთ ეს სულელური მასხრობა.

– ეს მთლად მასხრობა არ ყოფილა, ჩემო კარგო, ეს იყო ჩვენი უსუსური პროტესტის უმწეო გამოხატვა – უბრალოდ, ორთქლი გამოვუშვით, – თქვა მირანდამ, – არ გეწყინოს, მაგრამ, შენთვის ამ საკითხში ჩვენი გაგება ცოტა რთულია, რადგან, შენ და შენმა ქმარმა, მგონი, ათი წელი რომეო და ჯულიეტასავით იცხოვრეთ და ამ წლების განმავლობაში წუთიც არ იყო ისეთი, რომ ნამდვილ ქალად არ გეგრძნო თავი... ეს წარმოუდგენელი ბედნიერებაა, თითქმის ზღაპარია... ჩვენ კი, არც ერთს, ეს არ გვქონია. ალბათ, ეჭვი არ გეპარება იმაში, რომ ახლა შურით არ ვლაპარაკობ, უბრალოდ, ფაქტების კონსტატაციას ვახდენ. ერთში კი ნამდვილად გეთანხმები – ქართველები სხვის დასანახავად, სხვისთ-



ვის თავის მოსაწონებლად ვცხოვრობთ. მგონი, ჰუმბოლდტმა თქვა, ხალხთა ზნეობრიობა ქალების მიმართ გამოხატული პატივისცემით განისაზღვრებაო. უცხოელი სტუმარი ქართულ სუფრაზე თუ მოხვდება, ამ სიტყვებიდან გამომდინარე, ქართველებს დედამიწაზე ყველაზე ზნეობრივ ერად ჩათვლის, რადგან, ალბათ, მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ სვამენ ასეთი აღფრთოვანებითა და მონიწებით დედისა და, ზოგადად, ქალის სადღეგრძელოს, რომ აღარაფერი ვთქვა იმ სიტყვებზე, რომლებშიც ქალების უპირატესობა მამაკაცებთან შედარებით აშკარად ხაზგასმულად ჩანს...

– ანუ, და-ძმა, დედ-მამა, დედაბოძი, და დედასამშობლო? ეს ყველაზე კარგად ილიამ ახსნა, – სიტყვა ჩაურთო სოფომ.

– დიახ და, ამიტომ ამაზე აღარ ვილაპარაკებ. მაგრამ, რა ხდება იმ სუფრებისა და ქეიფების მიღმა, თითოეული ამ კაცის ოჯახში?! – დასვა რიტორიკული კითხვა მირანდამ.

– მე გეტყვით, – ჩაურთო კატომ, – უმრავლეს შემთხვევაში, მსუბუქად რომ ვთქვა, კარგი არაფერი. ანუ, გამოდის, რომ სხვას ვამბობთ და სხვას ვაკეთებთ, ესე იგი, ცრუ და მატყუარა ერი ვართ. დედის რომელ პატივისცემაზეა ლაპარაკი, როცა, ასაკოვანი კაცებიც კი, ორშაურად მოიხსენიებენ საკუთარ დედებს, ხშირად – გარდაცვლილებსაც, გინების კონტექსტში? ამაზე მეტი დაცემა, გადაგვარება და დეგრადირება გაგონილა?! ცოლების ცემა-ტყეპა კიდევ ცალკე თემაა, რომ აღარაფერი ვთქვა მათ გინებასა და სხვა ათასგვარ დამცირებაზე.

– კატო, შენ ვითომ ჩვენ არ დაგვეთანხმე, სინამდვილეში კი იმავეს ამბობ, რასაც ჩვენ, მაგრამ, უფრო მწვავედ, – შეაწყვეტინა ქეთამ.

– არა, დამამთავრებინე სათქმელი. მე ხუთი წელია, ქვრივი ვარ და მთელი ეს ხუთი წელი განსაკუთრებული ტკივილით ვფიქრობ ამ თემაზე, რადგან, თქვენ ვერც კი წარმოიდგენთ, რა საშინელებაა კენტად დარჩენა. ქვრივი და ქმარგაყრილი ქალი აბსოლუტურად სხვადასხვა მდგომარეობაა. ქვრივობა გაცილებით უფრო მძიმე ჯვარია ქალისთვის, რომც არ ჰყვარებოდა ქმარი, და, მით უფრო, თუ უყვარდა. მე ამაზე არასდროს არ მილაპარაკია ხმამაღლა და, საერთოდ, ამდენიც არ მილაპარაკია ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, მაგრამ, ახლა ყველას გასაგონად ვამბობ: დიახ, მე უბედნიერესი ათი წელი გავატარე ქმართან ერთად, მაგრამ, ყოველთვის იდილიური სიამტკბილობა არც ჩვენ გვქონია; ყოფილა წვრილ-წვრილი უსიამოვნებები და უთანხმოებები, მაგრამ, პატარა ასაკის მიუხედავად, ორივეს გვყოფნიდა გონიერება და, რაც მთავარია, სურვილი, ერთმანეთისთვის გვეპატიებინა; ბოდიში მოგვეხადა მაშინაც კი, თუ თვითონ ვიყავით მართალი და ეს ბოდიში მიგვეღო, როგორც დიდი სიყვარულის ნიშანი. რომელიმე რომ გავფხუკიანებულიყავით, სულ პატარა მიზეზის გამოც კი შეგვეძლო, ოჯახი დაგვენგრია..

– ეს იმიტომ, რომ ძალიან გიყვარდათ ერთმანეთი, – შეაწყვეტინა სალომემ.

– რა თქმა უნდა, მაგრამ, თითოეული თქვენგანი, სოფოსა და რუსას გარდა, სიყვარულით გათხოვდა, ოღონდ, ვერ თუ არ გაუფრთხილდა ამ სიყვარულს. ყველაფერში კაცებს რომ ვამტყუნებთ, ჩვენ თვითონ ყოველთვის მართლები ვართ მათთან? ყოველთვის სწორად ვიქცევით? იქნებ, მათაც სჭირდებათ არა მარტო ცხელი სადილი, გაუთოებული პერანგი და ვნებიანი ქალი ლოგინში, არამედ, ელემენტარულად, მეგობარი, რომელიც გაუგებს, გვერდში დაუდგება და, სხვა თუ არაფერი, ხასიათს გაუსწორებს? რომელს გიცდიათ, გამხდარიყავით ისეთი ქალი, როგორიც მის ქმარს მოსწონს?

– ნათიამ სცადა, – ჩაურთო ქეთამ.

– სცადა და მიიღო კიდეც შედეგი – უკვე გულგაციებული და გაქცეული ქმარი მოაბრუნა, მუხლებზე დაამხო და ჯაჭვით დააბა, ახლა კი აწკმუტუნებს, ახვეწნინებს და ეს ძალიან სიამოვნებს, რადგან, მისი ქალური თავმოყვარეობა დაკმაყოფილებულია და ღირსება – აღდგენილი. ასე არ არის, ნათია?

– ჰო, ესეცაა, – გამოტყდა ნათია, – ოღონდ, ჩემს შემთხვევაში კიდევ სხვა რაღაცეებია გასათვალისწინებელი.

– გასაგებია, მაგრამ, ეს ყველაფერი ცოტა ადრე, ვთქვათ, ორი-სამი წლის წინ რომ გაეკეთებინა, თუნდაც უფრო მსუბუქი ფორმებით, ანუ, მანამდე, სანამ რეზო საყვარელს გაიჩენდა, ხომ ყველასთვის უკეთესი იქნებოდა?

– მე მიყვარდა ის ისეთი, როგორიც იყო, ამიტომ, მასაც ისეთი უნდა ვყვარებოდი, როგორიც ვარ, – გააპროტესტა ნათიამ.

– ეს მხოლოდ სიტყვებია. სინამდვილეში, ცოლსაც და ქმარსაც, თუ ერთმანეთი უყვართ, უწევთ საკუთარი თავის ცოტათი გადაკეთება, რომ ერთმანეთს უკეთ მოერგონ. ვიცი, რომ ერთგული და მზრუნველი ცოლი იყავი, მაგრამ, კიდევ რა თვისება გქონდა ისეთი, რომელიც, შენი აზრით, ქმარს უნდა მოეწონოს?

– ტრაბახად თუ არ ჩამომართმევთ, გეტყვით, რომ სახლი ყოველთვის მოწესრიგებული მქონდა, ქმარ-შვილი – მოვლილი; არასდროს მითხოვია რამის ყიდვა, თითქმის სულ სახლში ვიყავი – ეს ერთი წელია, სამსახურში გავედი, ისიც, ნახევარ განაკვეთზე, რომ ჩემი ხელი ოჯახს არ მოჰკლებოდა; არსად დავდიოდი, ჩვენი „სხოდკებისა“ და დედაჩემის გარდა... კიდევ, არასდროს არაფერზე მქონია პრეტენზია... რა ვიცი, კიდევ რა ვთქვა... ჰო, რაც არ უნდა მწყენოდა, პასუხს არ ვცემდი, გულში ვიკლავდი და არც კი ვაგრძნობინებდი, რომ გული მატკინა... მეტი რა უნდა მექნა?

– მერე, არასდროს გიფიქრია, რომ სწორედ ეს ერთფეროვანი მოწესრიგებულობა, უპრეტენზიობა, პასუხის გაუცემლობა და დილიდან საღამომდე საშინაო ხალათში გამოწყობილი, თავწაკრული და მოფუსფუსე ცოლი მობეზრდა? თამამად შემიძლია, ვთქვა, რომ შენ ყველაზე ლამაზი ხარ ჩვენ შორის, მაგრამ, რატომ ჩამოაფარე შენს სილამაზეს ფარდა? კაცი არასდროს არ გადაწევს ამ ფარდას – დაეზარება, ან, ვერც მიხვდება, რომ ფარდის იქითაც უნდა შეიხედოს ხანდახან და, ამიტომ, წავა იმასთან, ვისაც საერთოდ არ უყვარს ფარდები. ამიტომ გეუბნები, იქნებ, შენც ხარ დამნაშავე ამ ყველაფერში?

– ჰო, ალბათ, მართალი ხარ, – მცირეოდენი ფიქრის შემდეგ თქვა ნათიამ, – მაგრამ, როცა ორივეს ეშლება, ესე იგი, იმ ორი ადამიანისგან წყვილი ვერასოდეს შედგება. მე რეზომ იმდენი შეურაცხყოფა მომაყენა, რომ ამის გადატანა და გადახარშვა მიჭირს. კარგი, ვთქვათ, ვაპატიე და შევურიგდი. ჯერ ერთი, რა გარანტია მაქვს, რომ ისევ არ მიღალატებს? თანაც, რა გამოდის, მისი დაინტერესება რომ გამოვიწვიო, სახლში აზრჭყვიალებულმა უნდა ვიარო და, სამსახურიდან დაბრუნებულს „როკ-ენ-როლის“ ცეკვით ან კარაოკეზე დამახსოვრებული სიმღერით შევეგებო?

– იყო სასურველი ქალი – ეს დიდი ხელოვნებაა, – შეახსენა კატომ.

– ვიცი. მხატვრობაც ხელოვნებაა, მაგრამ, ზოგი გენიოსია; ზოგი, უბრალოდ, კარგად ხატავს, ზოგს კი წრეწირის შემოხაზვაც კი არ შეუძლია, – ნათიას სევდა შეეპარა ხმაში და თვალები აუცრემლიანდა.

– მართალი ხარ, მაგრამ, იმას ხომ უნდა ეცადო, რომ ის წრეწირი მაინც შემოხაზო?.. მოკლედ, თავს აღარ შეგაწყენ ჭკუის სწავლებით. საბოლოოდ კი იმას გეტყვი, რომ არც ერთი ჩვენგანის რჩევა არ იქნება სწორი არც პატიების და არც არპატიების შესახებ. ეს შენ თვითონ უნდა გადაწყვიტო, ოღონდ, ცხელ გულზე, ემოციებით აჟიტირებულმა კი არა, კარგად რომ დამშვიდდები, დაწყნარდები, აწონ-დაწონი მომხდარს, გაერკვევი შენს გრძნობებში, მხოლოდ მაშინ უნდა გააკეთო არჩევანი: ღირს კი ამ ნაბიჯად დანგრეული ოჯახი, თუ, პირიქით – დანგრეულ ოჯახად და მარტო დარჩენად ეს ნაბიჯი?! ამას იმიტომ გეუბნები ასე ხაზგასმით, რომ მერე არ ინანო, რადგან, მერე უფრო ძნელი, თითქმის შეუძლებელი იქნება ნაბიჯის უკან გადადგმა – ამას დედაჩემის მაგალითზე გეუბნები.

– ისე, მართალია, – დაეთანხმა სოფო, – ამას წინათ რაღაც ფილმს ვუყურებდი და იქ იყო ერთი ძალიან საინტერესო მომენტი:

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# როგორ აღკვეთა სტალინმა ილიას უარმყოფელთა პარპაში



იოსებ ჯუღაშვილს მონაწილეობა არ მიუღია ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ მიმართულ არც ერთ ბინძურ კამპანიაში, არც ილიას ნააზრევისა და ნაღვაწის შეფასებაში ჩარეულა.

1921 წელს საქართველო საბჭოთა რუსეთმა დაიპყრო. საბჭოთა საქართველოში პირველკაცობდა ილიას უპირველესი უარმყოფელი, ბოლშევიკი ფილიპე მახარაძე. ფილიპე მახარაძე ესწრაფოდა ილიას ნააზრევისა და ნაღვაწის, ილიას გზის უარყოფა სახელმწიფო პოლიტიკის რანგში აეყვანა. სტალინს ამ პოლიტიკის შემუშავებასა და გატარებაში მონაწილეობა არ მიუღია. პირიქით, მან მეოცე საუკუნის 30-იან წლებში ილიას უარმყოფელთა პარპაში აღკვეთა.

იოსებ სტალინს ფილიპე მახარაძე არ უყვარდა და ამას არც მალავდა. დასცინოდა კიდეც, ძველ ბოლშევიკს „საშუალო დონის ლიტერატორს“ ეძახდა. იოსებ სტალინის მიერ ფილიპე მახარაძის ათვალწუნებას რამდენიმე მიზეზი ჰქონდა. ამ მიზეზთა შორის გამოვყოფთ რამდენიმეს: პირველი – ფილიპე მახარაძე, ისევე, როგორც ძველ ბოლშევიკთა თაობა, მიიჩნევდა, რომ იოსებ ჯუღაშვილს ბოლშევიკური პარტიის, რევოლუციის წინაშე მასზე გაცილებით ნაკლები დამსახურება ჰქონდა. წინათ ამას იოსებ სტალინი დიდ ყურადღებას არ აქცევდა. მეოცე საუკუნის 20-იანი წლების შუა ხანებიდან ხელისუფლებისთვის ბრძოლაში ჩაბმულ იოსებ სტალინს უკვე ხელს აღარ აძლევდა ფილიპე მახარაძის მიერ საკუთარი დამსახურების დემონსტრირება, იოსებ სტალინთან შედარებით საკუთარი უპირატესობის ხაზგასმა. მეორე – იოსებ სტალინი ცდილობდა, თავისი რევოლუციური მოღვაწეობის დასაწყისი, რაც შეიძლება, წინ გადაეწია და „მესამე დასთან“ (შეიქმნა 1892-1893 წლებში) დაეკავშირებინა. სტალინის მისწრაფებას წლების განმავლობაში სასტიკ წინააღმდეგობას უწევდა ფილიპე მახარაძე. მესამე – იოსებ სტალინი ცდილობდა, თავი რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის თბილისისა და ბათუმის ორგანიზაციების ერთ-ერთ დამფუძნებლად და ხელმძღვანელად წარმოედგინა. ფილიპე მახარაძე ამასაც გააფთრებით ეწინააღმდეგებოდა. მეოთხე – იოსებ სტალინი ფილიპე მახარაძეს ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში ადანაშაულებდა და ხშირად არაორაზროვნად შეახსენებდა მას ამ დანაშაულს. მეხუთე – საბჭოთა კავშირის შექმნის პერიოდში ფილიპე მახარაძე და მისი თანამოაზრეები ღიად დაუპირისპირდნენ იოსებ სტალინს და ბევრი თავსატეხი გაუჩინეს მას. 1921-1931 წლებში იოსებ სტალინი ფილიპე მახარაძის ქმედებას კონტროლს ვერ უწევდა. ძველი ბოლშევიკი სტალინს არ ერიდებოდა და ხშირად განზრახ აღიზიანებდა კიდეც მას. ფილიპე მახარაძის პოზიციები შეირყა საქართველოსა და ამიერკავკასიის ფედერაციის პოლიტიკური ხელმძღვანელობის სათავეში ლავრენტი ბერიას მოსვლის შემდეგ. თავდაპირველად, ფილიპე მახარაძე არც ბერიას უწევდა ანგარიშს. ვეტერანმა ბოლშევიკმა ლენინის გარდაცვალების ათი წლისთავთან დაკავშირებით, დაწერა ნაშრომი სათაურით: „ათი წელი ულენინოდ“. სტალინის ნების თანახმად, ბერიამ მახარაძე აიძულა, ნაშრომისთვის სათაური შეეცვალა. 1934 წელს იგივე ნაშრომი ასეთი სათაურით გამოვიდა: „ათი წელი ულენინოდ სტალინის წინამძღოლობით“. ფილიპე მახარაძემ დათმო. სრული კაპიტულაცია ძველ ბოლშევიკს ჯერ კიდევ წინ ელოდა.

მეოცე საუკუნის 20-იანი წლების მეორე ნახევარში იოსებ სტალინმა ხელისუფლებისთვის ბრძოლის ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი მოიგო. 1927 წელს ლევ ტროცკი საკავშირო კომუნისტური პარტიის რიგებიდან გარიცხეს, ყველა თანამდებობა დაატოვებინეს და შუა აზიაში გადაასახლეს. ეს სტალინს დამშვიდების საშუალებას არ აძლევდა. საკავშირო კომუნისტურ პარტიაში, საბჭოთა კავშირის უმაღლეს საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებაში, სამხედრო უწყებაში, დიპლომატიურ კორპუსში იოსებ ჯუღაშვილს დიდი ოპოზიცია ჰყავდა. განსაკუთრებით საგანგაშო იყო ის, რომ იოსებ ჯუღაშვილს ოპოზიციაში ჩაუდგა ძველ ბოლშევიკთა, რევოლუციონერთა პირველი თაობის დიდი ნაწილი, მოკავშირე რესპუბლიკების პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელობა. დაბოლოს, იოსებ ჯუღაშვილის პოლიტიკურ კურსს ეწინააღმდეგებოდა ინტელიგენციის აბსოლუტური უმრავლესობა. მეოცე საუკუნის 30-იანი წლების დამდეგისათვის სრულიად ცხადი გახდა: სტალინი ხელისუფლების დაკარგვის რეალური საფრთხის წინაშე იდგა. 20-იანი წლების მეორე ნახევარში გატარებულმა რეპრესიებმა ოპოზიცია ვერ მოსპო.

ხელისუფლებისთვის ბრძოლაში ჩაბმულ იოსებ ჯუღაშვილს, აუცილებლად სჭირდებოდა იმის დემონსტრირება, რომ ის დიდი და სახელოვანი ისტორიის, დიდი სულიერი და მატერიალური კულტურის მემკვიდრე ერის შვილი იყო. ყოველივე ეს უნდა წარმოჩენილიყო დიდი ოსტატობით, დამაჯერებლად. ამ შემთხვევაში, ერთბაშად მიზნის მიღწევა შეუძლებელი იქნებოდა. საჭირო იყო რამდენიმე კარგად გააზრებული ღონისძიება, რომელიც ეფექტს მოახდენდა საბჭოთა კავშირშიც და საერთაშორისო ასპარეზზეც. ასე ჩაიფიქრა და განახორციელა იოსებ სტალინმა ოთხი დიდი ღონისძიება: საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის პირველი ყრილობა; ქართული კულტურის დეკადა მოსკოვში; შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ დაწერიდან 750 წლისთავი; ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 100 წლისთავი.

**სტალინმა ჩაიფიქრა და განახორციელა ოთხი დიდი ღონისძიება: საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის პირველი ყრილობა, ქართული კულტურის დეკადა მოსკოვში, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ დაწერიდან 750 წლისთავი და ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 100 წლისთავი**

საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის პირველი ყრილობა იმითაც იყო აღსანიშნავი, რომ ყველა რესპუბლიკის მწერალთა კავშირის სახელით გამოსულ მომხსენებელს უნდა მიმოეხილა მწერლობის ისტორია უძველესი დროიდან მეოცე საუკუნის 20-30-იანი წლების ჩათვლით. მსგავსი მოხსენების დაწერა დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. მოხსენება ღირებული რომ ყოფილიყო, საჭირო იყო ლიტერატურათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ერთობლივი შრომა. მეორე სირთულეს ის წარმოშობდა, რომ მეცნიერული თვალსაზრისით თუნდაც უნაკლოდ შესრულებული მოხსენება, შეიძლება, მისაღები არ ყოფილიყო პოლიტიკური თვალსაზრისით. ყრილობას სტალინი დაესწრო. 1934 წლის 20 აგვისტოს საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის ყრილობაზე საქართველოდან მოხსენებით გამოვიდა ცნობილი ბოლშევიკი მალაქია ტოროშელიძე. მოხსენების ტექსტს წინასწარ გაეცნო იოსებ სტალინი და ტექსტი დაიწუნა. მოხსენების ის ვარიანტი, რომლითაც ტოროშელიძე 1934 წლის აგვისტოში საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის ყრილობის წინაშე წარდგა, როგორც სტრუქტურით, ისე შინაარსობრივი თვალსაზრისით, სტალინის კარნახითაა დაწერილი. გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ყველა დასკვნა იოსებ სტალინს ეკუთვნის. სტალინი განსაკუთრებით დაინტერესებულა მალაქია ტოროშელიძის მოხსენების იმ ნაწილით, რომელიც ილია ჭავჭავაძის შემოქმედების შეფასებას ეხებოდა. ეს შემთხვევითი არ იყო. იმხანად ბელადს უკვე გადაწყვეტილი ექნებოდა ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 100 წლისთავის ფართოდ აღნიშვნა. ამიტომაა, რომ მალაქია ტოროშელიძის მოხსენების ეს ნაწილი თითქმის მთლიანად იოსებ სტალინის შეხედულებას გამოხატავს. მოხსენების დანარჩენ ნაწილებთან შედარებით, ის მოცულობითაც თვალშისაცემად დიდია. ილიას მსოფლმხედველობის შეფასებისას, მალაქია ტოროშელიძის მიერ გაკეთებული ყოველი დასკვნა მიმართული იყო ფილიპე მახარაძისეული შეფასებების წინააღმდეგ. აცამტვერებდა ყოველივე იმას, რაც ფილიპე მახარაძემ ილიას წინააღმდეგ დაწერა ორმოცი წლის განმავლობაში. უდავოა, ეს კარგად იგრძნო ფილიპე მახარაძემ. მალაქია ტოროშელიძემ, ცხადია, მოხსენება რუსულად წაიკითხა. იმავე, 1934 წელს მოხსენება ცალკე წიგნად გამოიცა მოსკოვში. ესეც სტალინის გეგმის შემადგენელი ნაწილი იყო. 1937 წელს ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 100 წლისთავი დიდი ზარზეიმით აღინიშნა. 1937 წლის 9 მაისს გაზეთ „კომუნისტში“ დაიბეჭდა ოფიციალური მასალა – „ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 100 წლისთავისთვის“. სტატიიდან მკითხველმა შეიტყო, რომ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო დადგენილება ილია ჭავჭავაძის იუბილეს აღსანიშნავად. იქვე ჩამოთვლილი იყო დაგეგმილი ღონისძიებები. 1937 წლის 10 ივნისის გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნდა ცნობა თბილისში, მწერალთა სასახლეში, ილია ჭავჭავაძის იუბილესადმი მიძღვნილი საქართველოს მწერალთა კავშირის პლენუმის გამართვის თაობაზე. გაზეთები „კომუნისტი“ „Заря Востока“ და „ლიტერატურული საქართველო“ სისტემატურად აშუქებდნენ ილიას იუბილესთვის მზადების საკითხებს და საიუბილეო ღონისძიებებს როგორც თბილისში, ისე საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში. მოეწყო ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი გამოფენა. 1937 წელს საიუბილეოდ გამოიცა ილია ჭავჭავაძის თხზულებათა სრული კრებული. რუსულად ითარგმნა და გამოიცა კრებულები: „Избранное“ და „Стихи и поэмы“. ილიას დაბადებიდან 100 წლისთავს გამოეხმაურა მრავალი მწერალი, კრიტიკოსი, პუბლიცისტი, ლიტერატურათმცოდნე და ისტორიკოსი. დუმილს ინარჩუნებდა დამარცხებული ფილიპე მახარაძე. მის თანამოაზრეთაგან ზოგიერთმა ძველ ბელადს უღალატა და ილიას ქება-დიდება დაიწყო. ფილიპე მახარაძე მიხვდა, რომ დამარცხდა და დანებდა.

**ვახტანგ გურულის წიგნის, „მეფე-მამა“ მიხედვით მოამზადა**
**ანრი შავლაძემ**

# თუ გსურთ, გახდეთ მეტად წარმატებული, აირჩიეთ სამუშაო ადგილი თქვენი პირადი რიცხვის გათვალისწინებით



**რუბრიკას უძღვება თბილისის სამედიცინო აკადემიის პროფესორი, ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი**

*„ღმერთო, მომეცი მოთმინება, რომ ავიტანო ის, რისი შეცვლაც არ შემიძლია, გამბედაობა, რომ შევცვალო ის, რაც შემიძლია და გონიერება, რომ განვასხვავო ერთი მეორისაგან“.*

*კურტ ვონეგუტი*

*ასტროლოგიური კანონები იმისთვის არსებობს, რომ ადამიანმა გაიგოს, რისთვის მოვიდა ამქვეყნად, რა ამოცანა აკისრია, რისკენ უნდა ისწრაფოს და რა გამოასწოროს ამ ცხოვრებაში. ამის გამოსაცნობად კი, რიცხვების მაგია დაგეხმარებათ. მისი საშუალებით, ადვილად შეიცნობთ საკუთარ თავს და გაერკვევით თქვენს ბედ-იღბალში. საჭიროა, მხოლოდ დაბადების დღის, თვისა და წლის შეჯამება. მაგალითად, თუ ადამიანი დაბადებულია 15 მარტს, 1974 წელს, საკუთარი მაგიური რიცხვი რომ მიიღოს, ასე უნდა შეკრიბოს ისინი: 1+5+0+3+1+9+7+4=30=3+0=3. ამრიგად, ამ კონკრეტული ადამიანის მაგიური ციფრია 3.*

*გაითვალისწინეთ, რომ ნუმეროლოგია განიხილავს მხოლოდ ერთნიშნა ციფრებს, გამონაკლისია მხოლოდ: 10, 11, 12 და 13. რაც შეეხება რიცხვების მნიშვნელობებს, ამას ქვემოთ დააკვირდით:*

**1** – გიყვართ საზოგადოებაში ყოფნა და ყურადღების მიპყრობა. ეძიეთ ახალი გზები, რათა დაიკავოთ ლიდერის პოზიცია. მუდმივი წინსვლა როგორც პირად, ისე სოციალურ სფეროში, იმის მანიშნებელია, რომ თქვენ სწორი ევოლუციური გზით მიდიხართ. იყავით უფრო მეტად სამართლიანი, დიპლომატიური და გქონდეთ გადაწყვეტილების დროულად მიღების უნარი. სიტუაციაში ადაპტირება უნდა მოახდინოთ ადეკვატურად. თქვენი პოტენციალის რეალიზება შეგიძლიათ სხვადასხვა სახელმწიფო სამსახურში, პოლიტიკაში, მედიცინაში, სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში, ავიაციაში, სამთო-ქიმიასა და ავანგარდულ ხელოვნებაში.

**2** – ორიენტირებული უნდა იყოთ მატერიალური და სულიერი სიმდიდრის დაგროვებასა და შემდეგ მის სწორად გამოყენებაზე. თქვენი ამოცანაა, ისწავლოთ გარემოზე ჰარმონიული მორგება. გჭირდებათ მეტი მოთმინების უნარი, შრომისმოყვარეობის გამოვლენა, შეუპოვრობის განვითარება. ადვილად შეგიძლიათ საკუთარი შესაძლებლობების რეალიზება ფინანსურ სფეროში, საარქივო და სამუზეუმო საქმიანობაში, ვაჭრობაში, სასოფლო-სამეურნეო დარგში, დიეტოლოგიაში, კვების მრეწველობასა და მოდის სამყაროში.

**3** – მეტი დრო დაუთმეთ ინფორმაციის მოპოვებას. ბევრი ისწავლეთ და ირგვლივ შემოიკრიბეთ ერთგული ადამიანები, თანამოაზრეები. თქვენი ვალია, დაამყაროთ კონტაქტები, უხელმძღვანელოთ ხალხს, განავითაროთ დიპლომატიური ურთიერთობები, გაანეიტრალოთ უნდობლობა კოლექტივში. ადვილად მიაღწევთ წარმატებას ხელოვნებაში, დიპლომატიაში, ბიზნესში, ჟურნალისტიკაში, რეჟისურაში, მუსიკაში, ქორეოგრაფიაში, მეწარმეობაში.

**4** – თქვენი უმთავრესი ამოცანაა, დაეხმაროთ სხვებს, კარგად გაერკვეთ ადათ-წესებსა და ტრადიციებში. მართალია, ცხოვრებაში ბევრი წინაღობა და ბარიერი გხვდებათ, მაგრამ, ამასთან შეგუება და გამკლავებაც უნდა შეგეძლოთ. იპოვეთ და გაამყარეთ თქვენი შინაგანი საყრდენი ძალა, დაეყრდენით ტრადიციებს, ისწავლეთ საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღება. წარმატებებს კი ადვილად მიაღწევთ: ისტორიაში, არქეოლოგიაში, სასტუმროების ბიზნესში, სამუზეუმო საქმიანობაში, არქიტექტურაში, საკვები პროდუქტების წარმოების სფეროში.

**5** – გამოხატეთ მეტი სიყვარული და შემოქმედებითი უნარი. გიზიდავთ აზარტი, რისკი და ინტრიგები. ამიტომ, ამ მხრივ მეტი წინდახედულება გმართებთ. ისწავლეთ არასტანდარტული გადაწყვეტილებების მიღება და ნუ შეგეშინდებათ სიახლეების. სადაც საჭიროა, თქვენი ნიჭი და უნარი თამამად გამოავლინეთ. ასევე, შეგიძლიათ, თქვენი ნიჭი კარგად გამოავლინოთ საიუველირო სფეროში, პლასტიკურ ქირურგიაში, კარდიოლოგიაში, სტომატოლოგიაში, ესტრადაზე, კინოსა და ტელევიზიის სფეროებში. თქვენ სანაქებო ხელმძღვანელი პირი ხართ და ამას გარშემო მყოფებიც აფასებენ.

**6** – თქვენ დაგროვილი გაქვთ კარმული ვალები, რომლის გადახდასაც ბევრი მუშაობა სჭირდება. მთავარია, ისწავლოთ მიტევება და შეგუება არსებულ სიტუაციასთან. იყავით შინაგანად თავისუფალი, დაემორჩილეთ მოვლენებს, მაგრამ, ნუ გახდებით მონა. ისწავლეთ საქმეების მშვიდად კეთება. თქვენი შესაძლებლობები შეგიძლიათ გამოიყენოთ იქ, სადაც საჭიროა დისციპლინა, მოთმინება, შრომისმოყვარეობა, ამტანობა და აკურატულობა. ასევე, კარგია ძალების მოსინჯვა ანალიტიკურ და ფილოსოფიურ სფეროებში, ეკონომიკაში, ფიზიკა-მათემატიკაში, მხატვრობაში, საავთიაქო ბიზნესში.

**7** – ხშირად გიწევთ ადამიანებთან საქმეების მოგვარება და მოწინააღმდეგეებთან ურთიერთობის გარკვევა. ეცადეთ, შეინარჩუნოთ შინაგანი სიმშვიდე და არ გამოხვიდეთ წყობიდან. ისწავლეთ საერთო ენის გამონახვა, ნუ ეცდებით გამარჯვების ნებისმიერი გზით მოპოვებას. იყავით კეთილსინდისიერი, დიპლომატიური, შეძელით მოლაპარაკებების გზით საქმის მოგვარება, სხვებზე ზრუნვა და დაცვა იმისა, რაც გაგაჩნიათ. თქვენგან კარგი ორატორი და სცენარისტი დადგება. ამიტომ, გირჩევთ, ამ სფეროში დახარჯოთ ძალები.

**8** – თქვენს ცხოვრებაში სირთულეებია მოსალოდნელი როგორც ქორწინებაში, ასევე, საცხოვრებელი ადგილის, სამსახურისა და პროფესიის შეცვლასთან დაკავშირებით. ისწავლეთ ცვლილებების დროს ორიენტირება გარემოებებზე, მიიღეთ სწორი გადაწყვეტილებები და აიღეთ საკუთარ თავზე პასუხისმგებლობა. თქვენთვის რისკი აუცილებელია და ამაში ხშირად გიმართლებთ კიდეც. ყველაზე მეტად წარმატებული კი, სამედიცინო სფეროში იქნებით.

**9** – თავს კარგად გამოავლენთ რელიგიურ-ფილოსოფიურ სფეროში. მთავარია, არ ჩაიკეტოთ საკუთარ თავში. გახდით სულიერად უფრო ძლიერი და ბევრი იმოგზაურეთ. გათავისუფლდით სტერეოტიპებისგან, შეხედეთ სამყაროს ახლებურად, შეცვალეთ ხედვა. სცადეთ ბედი ფილოსოფიაში, სოციოლოგიაში, პედაგოგიკაში, რელიგიასა და სხვადასხვა საზოგადოებრივ საქმიანობაში.

**10** – მეტად გამოავლინეთ ლიდერული თვისებები. გააცნობიერეთ ყველა მოვლენა, რაც თქვენ გარშემო ხდება. მთავარია, არ შეცდეთ არჩევანში. სწორი გზის მაჩვენებელია წინსვლა კარიერაში, აღიარება კოლეგების მხრიდან. თუ ეს ასე არ ხდება, ესე იგი, თქვენ არასწორი ცხოვრების გზა აირჩიეთ. ამიტომ, შეცვალეთ კურსი და სცადეთ ბედი სახელმწიფო სამსახურში, ფსიქოლოგიაში, სამხედრო სტრუქტურებში – აქ ნამდვილად გაგიღიმებთ ბედი.

**11** – იყავით მეტად მომთმენი, შრომისმოყვარე და მიაღწიეთ ჰარმონიას ადამიანებთან ურთიერთობებში. უნდა ეცადოთ, იმუშაოთ თანამოაზრეებთან ერთად სოციალურ და საქველმოქმედო საქმიანობაში. იპოვეთ არაფორმალური ლიდერის ადგილი, რომლისთვისაც კოლექტივის ინტერესები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე საკუთარი. თქვენი პოტენციალის რეალიზება შეგიძლიათ საზოგადოებრივ საქმიანობასა და საქველმოქმედო ორგანიზაციებში. ამიტომ, ორიენტირება ასეთ სფეროებზე გააკეთეთ.

**12** – ისწავლეთ ხალხის მართვა, ორგანიზებულობა, ხელმძღვანელობა და მეტად ენდეთ ადამიანებს. უნდა შეძლოთ ნეგატიურ მოვლენებთან გამკლავება, რათა იპოვოთ საკუთარი ადგილი ცხოვრებაში. თქვენი პოტენციალის სრული გამოვლენისთვის საჭიროა, ემსახუროთ სიკეთესა და კეთილშობილებას. თქვენთვის საჭიროა, მუშაობა ისეთ სფეროში, სადაც შეძლებთ სხვებისთვის დახმარების გაწევას, მაგალითად, საავადმყოფოში, კლინიკებში, საიდუმლო ორგანიზაციებში, ასევე, პოლიტიკაში. მთავარია, გამოავლინოთ ამტანობა, მოთმენა და ნებისყოფა. თუ მოგიწიათ მსხვერპლზე წასვლა, არც ამაზე თქვათ უარი.

**13** – გიზიდავთ შეუცნობადი სამყარო. ხართ იდუმალი და ამოუცნობი პიროვნება. თქვენს პოტენციალს კარგად წარმოაჩენთ შემოქმედებით სფეროებში, პოლიტიკაში. მთავარია, არ იყოთ ამპარტავანი და არ მიგაჩნდეთ თავი გმირად. ნუ მოექცევით ჩარჩოში, მეტად გამოავლინეთ თქვენი ნიჭი და უნარი. ეცადეთ, ყველა გზით დაიმკვიდროთ ადგილი ცხოვრებაში და გახდეთ ცნობილი, წარმატებული პიროვნება. ეს ნამდვილად გამოგივათ და ამაში თქვენი, ზომაზე მეტად განვითარებული ინტუიციაც დაგეხმარებათ.

# თეატრები

## შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
**რუსთაველის გამზირი №17.**
**ტელ.: 272-68-68**

25 სექტემბერი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„სტუმარ-მასპინძელი...”** - (ბილეთის ფასი - 8, 10 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი: ვალერიან გორგოშაძე. მონაწილეობენ: ბაჩო ჩაჩიბაია, ია სუხიტაშვილი, მანანა აბრამიშვილი, ლევან ხურცია, გელა ლეჟავა. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 15 წუთი;***

26-27 სექტემბერი, **პარასკევი-შაბათი** 19.00 - **„ასულნი”** - პრემიერა - (ბილეთის ფასი - 6, 10, 12, 15, 20 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: რობერტ სტურუა. მონაწილეობენ: ნინო არსენიშვილი, მანანა გამცემლიძე, თათული დოლიძე, მარინა კახიანი, ზაზა ლებანიძე, ნანა ლორთქიფანიძე, ეკა მინდიაშვილი, მარიკა ჭიჭინაძე, დარეჯან ხარშილაძე, მარინა ჯანაშია; ***ხანგრძლივობა: 2სთ.***

## კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
**მარჯანიშვილის ქუჩა №8,**
**ტელ.: 295-59-66**

26 სექტემბერი, **პარასკევი** 18.00 - **„კვიტკა ბუდიაკი”** - (ბილეთის ფასი - 8, 10, 15 ლარი), (დიდი სცენა) - თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი 2014 - ივან ფრანკოს სახელობის ეროვნული აკადემიური დრამის თეატრი, უკრაინა. დამდგმელი რეჟისორი - სტანისლავ მოისეევი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 40 წუთი;***

26 სექტემბერი, **პარასკევი** 21.00 - **„ამერიკა”** - (ბილეთის ფასი - 35 ლარი), (სარდაფი) - თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი 2014 - ფილიპ ჰოხმაირის პროდუქცია, გერმანია. რეჟისორი: ბასტიან კრაფტი. მონაწილეობს - ფილიპ ჰოხმაირი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 15 წუთი;***

28 სექტემბერი, **კვირა** 20.00 - **„კრეპის უკანასკნელი ფირი”** - (ბილეთის ფასი - 35 ლარი), (მცირე სცენა) - თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი 2014 - ოსკარას კორშუნოვასის თეატრი, ვილნიუსი, ლიტვა. რეჟისორი: ოსკარას კორშუნოვასი. მონაწილეობს - იუოზას ბუდრაიტისი. ***ხანგრძლივობა: 1სთ.***

## სამეფო უბნის თეატრი
**გ. აბესაძის ქუჩა №10.**
**ტელ.: 292-38-70, 299-61-71**

27 სექტემბერი, **შაბათი** 20.00 - **„ლირის სიმღერები”** - (ბილეთის ფასი - 15, 35 ლარი) - თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი 2014 - თეატრი „თხის სიმღერა”. რეჟისორი: გრჟეგორჟ ბრალი. მონაწილეობენ: ანუ სალონენი, მონიკა დრილი, ჯულიანა ბლადგუდი, ემა ბონიჩი, ილენია ჩიპოლარი, კასპერ კუზევსკი, რაფალ ჰაბელი, გაბრიელ გავინი, პაოლო გავინი, პაოლო გარჰენტინო, იან მორგანი, ლუკას ვოჟჩიკი, მასიეჟ რიჩლი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 05 წუთი.***

## საქართველოს სახელმწიფო პანტომიმის თეატრი
**რუსთაველის გამზირი №37. ტელ.: 99-63-14.**

23 სექტემბერი, **სამშაბათი** 19.00 - **„ქრისტე”** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი: ამირან შალიკაშვილი. ***ხანგრძლივობა: 50 წუთი;***

26-27 სექტემბერი, **პარასკევი-შაბათი** 19.00 - **„საქართველოო ლამაზო”** - პრემიერა - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი: ამირან შალიკაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ.***

## გაბრიაძის თეატრი
**შავთელის ქუჩა №13, ტელ: 790 98-65-91**
**(მაგთი ფიქსი), 298-65-90**

26 სექტემბერი, **პარასკევი** 20.00 - **„ჩემი გაზაფხულის შემოდგომა”** - (ბილეთის ფასი - 5, 10, 15, 20 ლარი), ავტორი და რეჟისორი: რეზო გაბრიაძე. 10 წლამდე ბავშვები სპექტაკლზე არ დაიშვებიან; ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***

27 სექტემბერი, **შაბათი** 20.00 - **„სტალინგრადის ბრძოლა”** - (ბილეთის ფასი - 10, 15, 20 ლარი), ავტორი და რეჟისორი: რეზო გაბრიაძე. 10 წლამდე ბავშვები სპექტაკლზე არ დაიშვებიან; ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***

28 სექტემბერი, **კვირა** 20.00 - **„რამონა”** - (ბილეთის ფასი - 10, 15, 20 ლარი), ავტორი და რეჟისორი: რეზო გაბრიაძე. 10 წლამდე ბავშვები სპექტაკლზე არ დაიშვებიან; ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი.***

## მ. თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი
**დავით აღმაშენებლის გამზირი №164.**
**ტელ.: 234-28-99, 235-31-52.**

28 სექტემბერი, **კვირა** 20.00 - **„ბაკულას ღორები”** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი: მიხეილ თუმანიშვილი. მონაწილეობენ: ნინელი ჭანკვეტაძე, რუსუდან ბოლქვაძე, რამაზ იოსელიანი, ლაურა რეხვიაშვილი, გვანცა გურგენიშვილი, ზურაბ ყიფშიძე, გიორგი ყიფშიძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი.***

## ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრი
**დავით აღმაშენებლის გამზირი №99/1.**
**ტელ.: 295-78-74, 295-39-27.**

27 სექტემბერი, **შაბათი** 13.00 - **„სამეფო ძროხა”** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი: გურამ ბრეგაძე. მონაწილეობენ: ნინო კიკაჩეიშვილი, ედმონ გაბედავა, ნიკოლოზ დონი, ალექსი ლობოვი, ნინო მუმლაძე, სერგო შვედკოვი, თამარ ცქვიტინიძე, დენ ხლიბოვი, ანა ლეჟავა. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***

27 სექტემბერი, **შაბათი** 16.00 - **„სამეფო ძროხა”** (რუსულ ენაზე) - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი: გურამ ბრეგაძე. მონაწილეობენ: ნინო კიკაჩეიშვილი, ედმონ გაბედავა, ნიკოლოზ დონი, ალექსი ლობოვი, ნინო მუმლაძე, სერგო შვედკოვი, თამარ ცქვიტინიძე, დენ ხლიბოვი, ანა ლეჟავა. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***

28 სექტემბერი, **კვირა** 12.00 - **„ნაცარქექია”** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი: დიმიტრი ხვთისიაშვილი. მონაწილეობენ: ხატია მელქაძე, ბადრი გვაზავა, ლევან კაციაშვილი, გიორგი კაჭახიძე, პაატა მხეიძე, ვახტანგ ნოზაძე, ნინო ლორთქიფანიძე, პაატა კიკვაძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***

28 სექტემბერი, **კვირა** 16.00 - **„სამეფო ძროხა”** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი: გურამ ბრეგაძე. მონაწილეობენ: ნინო კიკაჩეიშვილი, ედმონ გაბედავა, ნიკოლოზ დონი, ალექსი ლობოვი, ნინო მუმლაძე, სერგო შვედკოვი, თამარ ცქვიტინიძე, დენ ხლიბოვი, ანა ლეჟავა. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***

28 სექტემბერი, **კვირა** 18.00 - **„სათამაშო პისტოლეტი”** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (დიდი სცენა) - თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი 2014 - კლაიპედას სასახლის თეატრი, ლიტვა. რეჟისორი: ალვიდას ვიჟგირდა. მონაწილეობენ: ვილია გრუოდიტე, ვილმა პტაშინსკაიტე, რამუნას შეპუტისი, დონატას ჟილინსკასი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი.***

# რა არ მოსწონს ლაშა ჯოხაძეს ქართველი მოდელების და რატომ დათანხმდა ის „ცეკვავენ ვარსკვლავების“ კონტრაქტს

**(მე-18 გვერდიდან)**

მხოლოდ ერთ წერტილს ვუყურებდი. მდგომარეობიდან რომ გამოვედი ვენერა დახატული მქონდა. ვიდრე გამოცდაზე შევიდოდი, დედამ ჯიბეში ლოცვანი ჩამიდო და მითხრა, თუ გაგიჭირდეს 50-ე და 90-ე ფსალმუნი წაიკითხეო. მეც, რომ ვერ ვხატავდი, კორიდორში გავედი და კუთხეში ჩემთვის წავიკითხე ორივე ფსალმუნი. ამ ყოველივეს ღმერთის დახმარების გარდა, ვერაფერს დავარქმევ. ნაშრომში მივიღე უმაღლესი შეფასება და უფასოზე მოვხვდი.

**– გქონიათ ფილმებიდან შემოთავაზება, ამ კუთხით გიმუშავიათ ფრანგებთან. იყო სიყვარული, ფრანგი გოგონა. პირად ურთიერთობაზე რას გვეტყვით?**

– წარსულში იყო რაღაც, მაგრამ დამთავრდა. ძალიან შემიყვარდა ერთი პიროვნება, რომელიც დიდ სითბოს იჩენდა ჩემ მიმართ, მაგრამ, როგორც ადამიანი ისე. კარგი გოგონა იყო, მეტი არაფერი ყოფილა. დღეს მხოლოდ „ფეისბუქზე” გვაქვს მიწერ-მოწერა. ძირითადად, ვარ ჩემი საქმით დაკავებული

**– ოჯხის შექმნაზე არ ფიქრობთ? თქვენი რჩეული მოდელი უნდა იყოს?**

– ყველაფერს თავის დრო აქვს, არ ვჩქარობ, არ ვეძებ. დადგება დრო და მოვა თავისით. რაც შეეხება ჩემი რჩეული უნდა იყოს თუ არა მოდელი, საერთოდ არ ვფიქრობ ამაზე. მოდელები უფრო ფეხბურთელებისკენ მიდიან. პროფესიაში თანხვედრები არ მომწონს. ძალიან უბრალო უნდა იყოს. მიყვარს უბრალო ადამიანები.

**– უცხოეთში აპირებთ კოლექციის გატანას?**

– კი, ძალიან მინდა. ადამიანს გეგმაში სულ აქვს რაღაცეები, მაგრამ მზად უნდა იყო ამისთვის.

**– მზადყოფნაში რას გულისხმობთ?**

– ბევრ რაღაცას, სერიოზული მუშაობაა საჭირო. სწორად უნდა გათვალო ყველაფერი, რას აკეთებ, რისთვის აკეთებ და ასე შემდეგ.

**– ქართულ ელემენტებს თუ იყენებთ მოდელის შექმნისას?**

– არა, ქართულ თემას რომ შეეხო, ბევრი უნდა იცოდე. ასე მარტივად ადგე და რაღაც გამოიყენო, ვფიქრობ, არ შეიძლება. მიმაჩნია, რომ ქართული უნდა დატოვო ისეთი, როგორიც არის და არ უნდა გაათანამედროვო. არ სჭირდება მას გადაკეთება და რაღაც ელემენტების შეტანა. უნდა იყოს ისეთი, როგორც თავიდან შეიქმნა.

**ეთო ხურციძე**

## ორშაბათი 22 სექტემბერი

**08.00** დ/ფ "დროისა და სივრცის მიღმა" **09.00** ან/ფ "ანიმალია" **10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.30** "ყოჩაღების ქუჩაზე" **11.00** ტ/სერ. **"მაგდა ემი"** **12.30** ტ/სერ. **"ტკბილი" მწარე ცხოვრება"** **14.00** "ლიხს იქით და ლიხს აქეთ" **14.30** "გააგრძელე საქართველოს ისტორია" **15.00, 21.00** ტ/სერ. **"ღირსება და პატივი"** **17.00** ტ/სერ. **"ჭორიკანა" "უძლეველნი"** **18.30** "შეხვედრები მწერალთა სახლში" **22.00** "საფეხბურთო მიმოხილვა" **23.00** მხ/ფ **"მეორე დღე რომ დაღამდა"** (მ.ბრანდო) **00.30** მხ/ფ **"ტეხასური ჯლეტა ხერხით: დასაწყისი"** **02.00** დ/ფ "მსოფლიო ოდისეები".

**06.45** სერ. **"შურისმაძიებელი"** **07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.25** ქრონიკა. **10.05** სერ. **"ბედის ანაბარა"** **11.20** სერ. **"სილა"** **12.30** დღის შოუ (პ/ე) **14.40** სერ. **"სიყვარული ცა და მიწა"** **17.35** სერ. **"მინდა გახსოვდე"** **18.45, 19.03** სერ. **"ღირსების საქმე"** **20.55** სერ. **"შავი ვარდი"** **22.00, 23.00** სერ. **"შუა ქალაქში — 3" 8-9** სერ. **00.00** მხ/ფ **"შავი წიგნი"** (ტ.ჰოფმანი) **02.35 2013** წლის მუსიკალური დაჯილდოების ცერემონია.

**06.30** სერ. **"არ დამივიწყო"** **07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"მათრობელა სიყვარული"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. **"ეზელი"** **18.45** სერ. **"სტამბოლის ცა"** **19.45** სერ. **"ქარადაი"** **22.00** საბა (პირდაპირი - **2** ჭრა) **00.00** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერი. დაიჯესტი.

**06.10** საგალობელი **06.20** დ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **06.45** მხ/ფ **"იავნანა"** **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10** პატრიარქის ქადაგება **10.40** საკვირაო სახარების განმარტება **10.50** კვირიაკე **12.05** მხ/ფ **"სანამ წვიმა გადივლიდეს"** **13.25** კონცერტი - სიყვარულის ზღაპარი (ა. ბასილაია) **15.05** აქტუალური თემა **15.25** სპექტაკლი - **"კაცი,რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა"** **16.30** დ/ფ "წინაპართა ნაკვალევზე" ტყემალაძეები **17.20** დეკორატიული ფლორა **17.35** დიდ ხარ შენ, უფალო **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **19.20** მხ/ფ **"ზოგი ჭირი მარგებელია"** **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** პატერიკი **21.30** ღვთის სახლი (სოხუმი) **22.25** დ/ფ "მსახური ღვთისა და კაცისა" გაბრიელ ეპისკოპოსი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დ/ფ "ალექსი მაჭავარიანი" **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ფ **"ჩრდილი გზაზე"**.

**7.00, 1.20** ახალი ამბები **7.20** მულტფილმი **"კატის თვალი"** **8.10, 22.00** "ყოველდღიური ა(მ)ბები/ვასიკო ოდიშვილისგან **8.30** სამედიცინო გადაცემა "პულსი" **09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00** მაესტრო **09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00** (ახალი ამბები) **9.30** ბიზნესკონტაქტი დილის გამოშვება **9.50** პრესა უცხოური პრესის მიმოხილვა **10.05, 11.05 სერიალი "სიყვარული და ღირსება"** **11.50** პრესა ქართული პრესის მიმოხილვა **12.30, 13.03** ბიზნეს კონტაქტი **13.30, 14.03** მაესტროს შუადღე შუადღის შოუ **15.45** პრესა ქართული და უცხოური პრესის მიმოხილვა **16.05, 17.05 სერიალი "1001 ღამე"** **18.40, 19.08, 20.07 სერიალი "ქუჩები და გუნები"** **19.03** ინ-ფაქტი (იუმორისტული გადაცემა) **21.00** მაესტროს "ცხრიანი"(საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა) **22.00** "ყოველდღიური ა(მ)ბები/ვასიკო ოდიშვილისგან **22.15 სერიალი "კურტ სეიტი და შურა"** **23.20 სერიალი "დიდებული საუკუნე"** **1.40 სერიალი "რთული გზა"**.

## სამშაბათი 23 სექტემბერი

**08.00** დ/ფ "ააშენე უფრო დიდი" **09.00** ან/ფ "ანიმალია" **10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.30** "ყოჩაღების ქუჩაზე" **11.00** ტ/სერ.**"მაგდა ემი"** **12.30** ტ/სერ. **"ტკბილი" მწარე ცხოვრება"** **14.00** "გურმანია" **14.30** "გააგრძელე საქართველოს ისტორია" **15.00, 21.00** ტ/სერ. ""**ღირსება და პატივი"** **17.00** ტ/სერ. **"უძლეველნი"** **18.30** "ქართული დოკუმენტალისტიკა" **22.00** მხ/ფ **"უხილავი მხარე"** **00.05** მხ/ფ **"ტიბერიო მიტრი"** **02.05** დ/ფ "ააშენე უფრო დიდი".

**06.45** სერ. **"შურისმაძიებელი"** **07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.50** ქრონიკა. **10.05** სერ.**"ბედის ანაბარა"** **11.20** სერ. **"სილა"** **12.30** დღის შოუ (პ/ე) **14.40** სერ. **"სიყვარული ცა და მიწა"** **17.35** სერ. **"მინდა გახსოვდე"** **18.45, 19.03** სერ. **"ღირსების საქმე"** **20.55** სერ. **"შავი ვარდი"** **22.00, 23.00** სერ. **"შუა ქალაქში — 3"** **00.00** მხ/ფ **"ჰენრის დანაშაული"** (ვ.ფარმიგა) **02.00** მხ/ფ **"სისხლი და შოკოლადი"** (ო.მარტინესი).

**06.30** სერ. **"არ დამივიწყო"** **07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"მათრობელა სიყვარული"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. **"ეზელი"** **18.45** სერ. **"სტამბოლის ცა"** **19.45** სერ. **"ქარადაი"** **20.50** ეროვნული ლატარია **22.00** არჩევანი **23.30** ქ.მხ/ფ **"რაც ყველაზე ძალიან გიყვარს - 2"** **01.00** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** **01.30** მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა **01.00, 03.30** მხ/ფ.**03.00** კურიერი. დაიჯესტი.

**06.10** დ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **07.35** მხ/ფ **"ჩრდილი გზაზე"** **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** დ/ფ "მსახური ღვთისა და კაცისა" გაბრიელ ეპისკოპოსი **11.05** ქვიშით ნაამბობი **11.20** პატერიკი **11.25** ღვთის სახლი (სოხუმი) **12.10** მხ/ფ **"ზოგი ჭირი მარგებელია"** **13.30** კონცერტი -ბიძინა კვერნაძე "ერთი შორი ოცნება" **15.05** აქტუალური თემა **15.25** დ/ფ "გელინო" I-II ნაწ. **17.20** დეკორატიული ფლორა **17.35** დიდ ხარ შენ, უფალო **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.15** მოკ./ფ **"სერენადა"** **20.00** ღია აუდიტორია **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** "ჩვენი ამბავი" **21.25** ისტორიის გაკვეთილი **22.25** მგზავრები წუთისოფლისა **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** ჩვენი ფონდი **23.35** წმინდანთა ცხოვრება - აბო თბილელი **01.00** მხ/ფ **"დღე უკანასკნელი,დღე პირველი"**.

**7.00, 1.20** ახალი ამბები **7.20** მულტფილმი **"კატის თვალი"** **8.20** გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი" **8.40, 22.00** "ყოველდღიური ა(მ)ბები/ვასიკო ოდიშვილისგან **09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00** მაესტრო **09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00** (ახალი ამბები) პ/ე **9.30** ბიზნეს კონტაქტი დილის გამოშვება **9.50** პრესა უცხოური პრესის მიმოხილვა **10.05, 11.05 სერიალი "სიყვარული და ღირსება"** **11.50** პრესა ქართული პრესის მიმოხილვა **12.30, 13.03** ბიზნეს კონტაქტი **13.30, 14.03** მაესტროს შუადღე შუადღის შოუ **15.45** პრესა ქართული და უცხოური პრესის მიმოხილვა **16.05, 17.05 სერიალი "1001 ღამე"** **18.40, 19.08, 20.07 სერიალი „ქუჩები და გუნები"** **19.03** ინ-ფაქტი (იუმორისტული გადაცემა) **21.00** მაესტროს "ცხრიანი/(საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა) პ/ე **22.15 სერიალი "კურტ სეიტი და შურა"** **23.20 სერიალი "დიდებული საუკუნე"** **1.20, 3.00,** ახალი ამბები **1.40 სერიალი "რთული გზა"** (გ/ჩ) **3.20**,ბრძოლა წესების გარეშე (სპორტული შოუ).

გაგრძელება 47-ე გვერდზე

## კინოთეატრები

**კინოთეატრი „რუსთაველი"**
**რუსთაველის გამზირი №5.**
**ტელ.: 293-22-53, 255-50-00.**

**22 – 28 სექტემბერი**

*დარბაზი 1*

12.00, 14.00 - **„თვითმფრინავები 2"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 25 წუთი;*

16.00, 18.00, 20.00, 22.30 - **„ლუსი"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

*დარბაზი 2*

15.00, 17.00, 19.00, 22.00 - **„პატარძლები"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

*დარბაზი 3*

12.00, 14.30, 19.45 - **„კუ ნინძები"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

17.15 - **„თვითმფრინავები 2"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 25 წუთი;*

22.30 - **„შეუჩერებელნი 3"**, *ხანგრძლივობა: 2სთ. 05 წუთი;*

*დარბაზი 4*

12.00, 20.15, 22.30 - **„ცოდვების ქალაქი 2"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*

14.40 - **„ბედის ვარსკვლავის ბრალია"**, *ხანგრძლივობა: 2სთ. 05 წუთი;*

17.45 - **„ქარიშხალი"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*

*დარბაზი 5*

12.00, 14.40 - **„ლუსი"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

17.45, 20.00, 22.30 - **„ბედის ვარსკვლავის ბრალია"**, *ხანგრძლივობა: 2სთ. 05 წუთი;*

(ბილეთის ფასი: 7,50 - 12,50 ლარი).

**კინოთეატრი „ამირანი"**
**კოსტავას ქუჩა №36. ტელ.: 299-99-55.**

*დარბაზი 1*

12.00, 14.00 - **„თვითმფრინავები 2"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 25 წუთი;*

16.00, 18.00, 20.05, 22.30 - **„ლუსი"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

*დარბაზი 2*

12.00, 20.00, 22.30 - **„ბედის ვარსკვლავის ბრალია"**, *ხანგრძლივობა: 2სთ. 05 წუთი;*

14.30 - **„ლუსი"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

17.00 - **„თვითმფრინავები 2"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 25 წუთი;*

*დარბაზი 3*

12.00, 17.30 - **„ცოდვების ქალაქი 2"** (რუსულად), *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*

14.30 - **„კუ ნინძები"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

20.00, 22.30 - **„ლუსი"** (ინგლისურად), *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

(ბილეთის ფასი: 7,50 - 12,50 ლარი).

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ-გვერდი: www.info-tbilisi.com. ან დაგვიკავშირდით შემდეგ ტელეფონზე: 218-22-55.



# ქათმის ფილე და ყველი პომიდვრის საწებელში







**საჭირო ინგრედიენტები:** 8 ნაჭერი ქათმის ფილე, 2 ცალი პომიდორი ან 2 სადილის კოვზი ტომატ-პასტა, ცოტა უცხო სუნელი, 5 სადილის კოვზი მაიონეზი, 1 კონა კამა, 300 გრამი მაგარი ყველი, 4 კბილი ნიორი, 1-2 ცალი კვერცხი, მარილი, პილპილი, ზეთი – შესაწვავად.

**მომზადების წესი:** ფილე ოდნავ დაბეგვეთ, წაუსვით ცოტა მარილი, პილპილი, უცხო სუნელი და სათითაოდ შებრაწეთ ზეთში ყველა მხრიდან 2-3 წუთის განმავლობაში (ფილეს ნაჭრები წინასწარ გათქვეფილ კვერცხში ამოავლეთ). როცა შეიბრაწება, დააწყვეთ გამოსაცხობ ტაფაზე. კანგაცლილი პომიდორი დაჭერით ძალიან თხელ ფირფიტებად, ადვილად რომ გამოცხვეს და დააწყვეთ ფილეს ნაჭრებზე. მოამზადეთ მოსასხმელი სოუსი: ერთმანეთში შეურიეთ მაიონეზი, დანაყილი ნიორი და წვრილად დაჭრილი კამა და ეს მასა გადაუსვით პომიდორს. ზემოდან მოაყარეთ გახეხილი ყველი. გამოაცხვეთ აირღუმელში 15-25 წუთის განმავლობაში. ფანტასტიკური გემო აქვს.

# ჩაშუშული ყვავილოვანი კომბოსტო



**საჭირო ინგრედიენტები:** 2 თავი ხახვი, 1 ცალი მოზრდილი სტაფილო, ზეთი, 1 ცალი ბულგარული წიწაკა, 2 სადილის კოვზი ტომატ-პასტა და ამდენივე რძე, ერთი თავი ყვავილოვანი კომბოსტო (საშუალო ზომის), მარილი, შავი პილპილი. შავი პური და მაგარი ყველი – მისაყოლებლად.

**მომზადების წესი:** ხახვი დაჭერით ძალიან წვრილად, მოშუშეთ ცოტა ზეთში და ჩაუმატეთ ჯერ გახეხილი სტაფილო, შემდეგ კი – წვრილად დაჭრილი ბულგარული წიწაკა. შუშეთ რამდენიმე წუთის განმავლობაში, დაუმატეთ ტომატ-პასტა და რძე და კარგად ამოურიეთ.

ცალკე ტაფაზე მოათავსეთ ყვავილებად დაშლილი ყვავილოვანი კომბოსტო, ჩაუმატეთ ცოტა ზეთი, დაახურეთ თავსახური და შუშეთ დაბალ ცეცხლზე, 10 წუთის განმავლობაში. ათი წუთის შემდეგ უყავით მარილი, პილპილი და თქვენთვის სასურველი სუნელი, ისევ დაახურეთ თავსახური და შუშეთ კიდევ 5 წუთი. შეურიეთ ჩაშუშული ბოსტნეული და კიდევ 10 წუთი შუშეთ. ეს კერძი ძალიან გემრიელია მაგარ ყველთან და შავ პურთან ერთად.

* გახსოვდეთ, ხილისა და ბოსტნეულის საზამთროდ საყინულეში შენახვა კარგი გადაწყვეტილებაა, ოღონდ, გაყინვის წინ ისინი სათითაოდ წინასწარ უნდა გარეცხოთ. გამოყენების წინ მათი გარეცხვა არ შეიძლება.

ყოველკვირეული ჟურნალი თბილისელები



# „სალიანკა“

**საჭირო ინგრედიენტები:** 1 ჩაის ჭიქა ხმელი ლობიო, ნახევარი წითელი ან ყვითელი ბულგარული წიწაკა, 1 ცალი დიდი ზომის პომიდორი, 1 თავი ხახვი, 4 ცალი დიდი ზომის ქამა სოკოს ქუდები, 3 სავსე სადილის კოვზი ტომატ-პასტა, 1 ცალი მოზრდილი სტაფილო, 5 კბილი ნიორი, მარილი, შავი პილპილი, სურნელოვანი წიწაკა – გემოვნებით; ლიმონის 6 თხელი ნაჭერი, 1 კონა შერეული, ყველანაირი მწვანილი (მოზრდილი კონა უნდა იყოს), 3 სადილის კოვზი ზეთი, 3 ცალი კიტრის მწნილი, 1 ჩაის ჭიქა მწნილის წვენი, 200 გრამი მწვანე ლობიო (თუნდაც დაკონსერვებული), 2 ცალი კარტოფილი, არაჟანი.

**მომზადების წესი:** ხმელი ლობიო მოხარშეთ (თუ წინასწარ ჩაალბობთ, უკეთესი იქნება). ბულგარული წიწაკა, სტაფილო და მჟავე კიტრი დაჭერით წვრილ ჩხირებად, ხახვი – ნახევარრგოლებად. ხახვი მოშუშეთ ცხელ ტაფაზე, ზეთში. ჩაუმატეთ დანარჩენი ინგრედიენტებიც (ლობიოს გარდა), დაასხით მწნილის წვენი და ამოურიეთ. ბლენდერში ათქვიფეთ პომიდორი, ტომატ-პასტა, ნიორი და ეს სოუსი მოასხით ტაფაზე ჩაშუშულ ბოსტნეულს. პერიოდულად ურიეთ და 3-4 წუთში გადმოდგით ცეცხლიდან. სოკო დაჭერით ფირფიტებად და მოხრაკეთ ცალკე, მაღალ ცეცხლზე, ცოტა ზეთში.

ქვაბში ერთად მოათავსეთ მოხარშული ლობიო, გაფცქვნილი და კუბიკებად დაჭრილი კარტოფილი, მწვანე ლობიო, სურნელოვანი პილპილი, დაასხით წყალი და ადუღეთ კარტოფილის სრულ მოხარშვამდე. შემდეგ ჩაუმატეთ სოკო, ჩაშუშული ბოსტნეული და წამოადუღეთ. არაჟანი შეგიძლიათ დაიმატოთ პირდაპირ თეფშში. მარილი და პილპილი კერძს სულ ბოლოს უნდა მოაყაროთ.

ორიგინალური გემო აქვს. მოგეწონებათ.

# გოგრისა და ხაჭოს ნამცხვარი





**საჭირო ინგრედიენტები:** 500 გრამი გოგრის რბილობი, 150 გრამი ხაჭო, 2 ცალი კვერცხი, 6 სადილის კოვზი შაქარი, 3-4 სადილის კოვზი მანანის ბურღული, 50 გრამი ქიშმიში, კარაქი.

**მომზადების წესი:** გოგრა დაჭერით მსხვილ კუბიკებად და მოათავსეთ აირღუმელში 40-45 წუთის განმავლობაში, 180 გრადუს ტემპერატურაზე. შემდეგ გააცივეთ და გააკეთეთ მისგან პიურე. შეურიეთ შაქრის ნახევარი, 1 კვერცხი, მანანის ბურღულის ნახევარი და კარგად ამოურიეთ. ცალკე თასში მოათავსეთ ხაჭო, კვერცხი, მანანის ბურღული, შაქარი, ქიშმიში და ხელით ათქვიფეთ.

ფორმას წაუსვით კარაქი და მონაცვლეობით, ფენა-ფენა ჩაასხით ჯერ გოგრის, შემდეგ კი ხაჭოს მასა. გამოაცხვეთ 180 გრადუსზე, 50 წუთის განმავლობაში. მსუბუქია და გემრიელი.



# სოკოს რაგუ თხილით – სალომე ჭაჭუასგან



*ადამიანისთვის გემრიელად დანაყრება აუცილებელია, თუმცა ჩემი პროფესიიდან გამომდინარე, ვცდილობ მსუბუქი კერძები მივირთვა და ეს ჩვევაში ჩამომიყალიბდა. სოკოს რაგუ თხილით უგემრიელესი კერძია, არც ბევრი ინგრედიენტი სჭირდება და, თან, მსუბუქიცაა.*

**საჭირო ინგრედიენტები:** 250 გრამი სხვადასხვა სახეობის ნედლი სოკო, 1 თავი ხახვი, 1 კბილი ნიორი, 2 სადილის კოვზი თხილი, 2 სადილის კოვზი ზეთი, 100 მილილიტრი თეთრი მშრალი ღვინო, 200 მილილიტრი ბოსტნეულის ბულიონი, 300 გრამი დაჭრილი პომიდორი, რეჰანი, მარილი და წიწაკა – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** სოკო მსხვილად, ხოლო ნიორი და ხახვი წვრილად დაჭერით. თხილი მსხვილად დაფქვით. ტაფაზე გააცხელეთ ზეთი, ჩააყარეთ სოკო და შეწვით. მოაყარეთ ხახვი, ნიორი, თხილი და 1-2 წუთი შუშეთ. ამის შემდეგ დაასხით ბოსტნეულის ბულიონი და ღვინო, დაუმატეთ პომიდორი და დაბალ ტემპერატურაზე 2-3 წუთი ადუღეთ. ბოლოს შეაზავეთ მარილით და ჩაუმატეთ წიწაკა და რეჰანი.



სომელიე
თეიმურაზ ბენიძე

# შემწვარი ავოკადო ყველით

**საჭირო ინგრედიენტები:** 100 გრამი სხვადასხვა სახის სალათის ფოთლები, 2 სადილის კოვზი ძმარი „ბალზამიკო", 2-3 სადილის კოვზი ზეითუნის ზეთი, 1 ცალი ლიმონი, 70 გრამი თხის ყველი – ფეტა, 2 ცალი მწიფე ავოკადო, მარილი, პილპილი და შაქარი – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** სალათის ფოთლები გარეცხეთ და გააშრეთ. მარილი, მწიკვი შაქარი, 2 სადილის კოვზი ზეთი, პილპილი და „ბალზამიკო" ერთმანეთში აურიეთ. ყველი ჩანგლით ასრისეთ და მოაყარეთ პილპილი. ავოკადო გაფცქვენით, გაჭერით შუაზე, კურკა ამოაცალეთ და მოასხით ლიმონის წვენი, შიგნიდან მოაყარეთ პილპილი და მარილი და ამოავსეთ ყველით. ტაფაზე გააცხელეთ ზეთი, ზედ დააწყვეთ ავოკადო და შებრაწეთ. შემწვარი ავოკადო დააწყვეთ სალათის ფოთლებზე და ზემოდან მოასხით „ბალზამიკოს" სოუსი.





# თევზი ატმით

**საჭირო ინგრედიენტები:** 800 გრამი კალმახის ფილე, 3 სადილის კოვზი ლიმონის წვენი, 1 ჩაის კოვზი დაფქული წითელი წიწაკა, 0,5 სადილის კოვზი კარის ფხვნილი, 4 ცალი ატამი, 4 ცალი პომიდორი, 1 კონა მწვანე ხახვი, 2-3 ღერი შაშკვლავი, 3-4 სადილის კოვზი თეთრი ღვინის ძმარი, 2 სადილის კოვზი ზეთი, მარილი, პილპილი და შაქარი – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** თევზი გარეცხეთ, გააშრეთ და ოთხად გაჭერით. ერთმანეთში აურიეთ ლიმონის წვენი, წიწაკა და კარი და წაუსვით თევზის ნაჭრებს. ატმები გარეცხეთ, გაჭერით და კურკა ამოაცალეთ. პომიდორი გარეცხეთ, ოთხად გაჭერით და თესლი ამოაცალეთ. ატამი და პომიდორი პატარა კუბიკებად დაჭერით, მწვანე ხახვი და შაშკვლავი – წვრილად. ერთ ჯამში მოათავსეთ ძმარი, მარილი, პილპილი და მწიკვი შაქარი, ჩაუმატეთ ზეთი, დაჭრილი პომიდორი, ატამი, მწვანე ხახვი და შაშკვლავი. თევზის ნაჭრები „გრილზე" შეწვით და სალათასთან ერთად მიირთვით.

ყოველკვირეული ჟურნალი თბილისელები

# მარტივი და სასარგებლო



## სანათი – „მიყვარხარ!“

ძალიან ლამაზი სანათია და ადვილადაც გააკეთებთ საკუთარი ხელით. მასალაც ბევრი არაფერი დაგჭირდებათ: მომცრო ზომის ქილა, წებოვანი სკოჩი, ბასრი დანა, პულვერიზატორიანი, თქვენთვის სასურველი ფერის საღებავი და ლამაზი თასმა ან ლენტი. კარგად დააკვირდით სურათებს. აიღეთ ქილა და დააკარით „სკოჩი“ შუა ნაწილში. დანის წვერით შემოხაზეთ და ამოჭერით გული, დანარჩენი „სკოჩი“ მოაშორეთ და მხოლოდ გული დატოვეთ. შემდეგ ქილა შეღებეთ თავიდან ბოლომდე. როცა გაშრება, სკოჩი მოაძრეთ. შეუღებავი დარჩება გული. ქილას „ყელზე“ შემოახვიეთ ლენტი და ბაფთად შეკარით. ჩადგით სანთელი და აანთეთ.

## სამშვენისი

ძალიან ორიგინალური სამშვენისია. დაგჭირდებათ ორიგინალური, უცნაური ფორმის მინის ბოთლი და სხვადასხვა ფერის მარცვლეული: წითელი, შავი და თეთრი ლობიო; სიმინდი; მუქი და თეთრი ბრინჯი, ქერი, წითელი სიმინდი (ბატიბუტის). დახედეთ სურათებს და თქვენი ბოთლი თქვენი გემოვნებით, ფენა-ფენა შეავსეთ ამ ბურღულით, ფერების მიხედვით. რომელ სურათზეც უფრო მოგწონთ. შემდეგ გაუკეთეთ ლამაზი თავსახური და გაალამაზეთ სამზარეულო ან სასადილო ოთახი.



* კეფირში ან მინერალურ წყალში 1-2 საათით ჩამბალი ხორცი, როგორი მაგარიც არ უნდა იყოს, სწრაფად იხარშება, თან, ნაზი და გემრიელია.

42-ე გვერდიდან

## ოთხშაბათი 24 სექტემბერი

**08.00** დ/ფ "დროისა და სივრცის მიღმა" **09.00** ან/ფ "ანიმალია" "ტატონკას თავგადასავალი" **10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.30** "ყოჩაღების ქუჩაზე" **11.00** ტ/სერ. **"მაგდა ემი"** **12.30** ტ/სერ.**"ტკბილი" მწარე ცხოვრება"** **14.00** "ლიხს იქით და ლიხს აქეთ" **14.30** "გააგრძელე საქართველოს ისტორია" **15.00, 21.00** ტ/სერ. **"ღირსება და პატივი"** **17.00** ტ/სერ. **"უძლეველნი"** **18.30** "ქართული დოკუმენტალისტიკა" **22.00** მხ/ფ **"წმინდა ვალენტინის დღე"** (ჯ.გარნერი) **00.00** მხ/ფ **"ტიბერიო მიტრი" ჩემპიონი და მის იტალია"** **02.00** დ/ფ "დროისა და სივრცის მიღმა".

**06.45** სერ.**"შურისმაძიებელი"** **07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა (პ/ე) **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.25** ქრონიკა. **10.05** სერ.**"ბედის ანაბარა"** **11.20** სერ.**"სილა"** **12.30** დღის შოუ (პ/ე) **14.40** სერ.**"სიყვარული ცა და მიწა"** **17.35** სერ.**"მინდა გახსოვდე"** **18.45, 19.03** სერ.**"ღირსების საქმე"** **20.55** სერ.**"შავი ვარდი"** **22.00** ეკა ხოფერიას თოქ შოუ **00.00** სერ.**"შუა ქალაქში-3"** **01.00** მხ/ფ **"ანგარიშსწორების დრო"** (ს.გუბანოვი) **02.35 2013** წლის მუსიკალური დაჯილდოების ცერემონია.

**06.30** სერ. **"არ დამივიწყო"** **07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"მათრობელა სიყვარული"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. **"ეზელი"** **18.45** სერ. **"სტამბოლის ცა"** **19.45** სერ. **"ქარადაი"** **22.00** "ნანუკას შოუ" **23.30** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** **00.00** კიმონო **01.00** მხ/ფ. **03.00** კურიერი. დაიჯესტი **03.30** მხ/ფ.

**06.10** დ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **06.35** მხ/ფ **"დღე უკანასკნელი,დღე პირველი"** **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** თეთრიდან თეთრამდე **10.45** ქრისტიანული ხელოვნება **11.25** მგზავრები წუთისოფლისა **12.10** ღია აუდიტორია **13.00** მოკ./ფ **"სერენადა"** **13.30** კონცერტი - ანდრე რიე **14.45** "ჩვენი ამბავი" **15.05** აქტუალური თემა **15.25** დ/ფ "ერთი ჭოროხის შვილები" I ნაწ. **16.15** დეკორატიული ფლორა **16.30** დიდ ხარ შენ, უფალო **16.45** კვირიაკე **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **18.55** ისტორიის დღიური **19.00** სიახლენი **19.20** ქრისტიანული სწავლება **19.35** მხ/ფ **"ჩემი ბებია"** **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** "ივერიის ეკლესია" **21.35** ეპოქის სახელები **22.25** ქართული ალბომი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დ/ფ "გარდამოხსნა" **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ფ **"მაია წყნეთელი"**.

**7.00, 1.20** ახალი ამბები **7.20** მულტფილმი **"კატის თვალი"** **8.15** გადაცემა "უცნობი ისტორიები" გ/ჩ **8.40, 22.00** "ყოველდღიური ა(მ)ბები/ვასიკო ოდიშვილისგან **09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00** მაესტრო **09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00** (ახალი ამბები) **9.30** ბიზნეს კონტაქტი დილის გამოშვება **9.50** პრესა უცხოური პრესის მიმოხილვა **10.05, 11.05** **სერიალი "სიყვარული და ღირსება"** **11.50** პრესა ქართული პრესის მიმოხილვა **12.30, 13.03** ბიზნეს კონტაქტი **13.30, 14.03** მაესტროს შუადღე შუადღის შოუ **15.45** პრესა ქართული და უცხოური პრესის მიმოხილვა **16.05, 17.05** **სერიალი "1001 ღამე"** **18.40, 19.08, 20.07** **სერიალი "ქუზეი და გუნეი"** **19.03** ინ-ფაქტი **21.00** მაესტროს "ცხრიანი"(საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა) **22.15** **სერიალი "კურტ სეიტი და შურა"** **23.20** **სერიალი "დიდებული საუკუნე"** **1.40** **სერიალი "რთული გზა"**.

## ხუთშაბათი 25 სექტემბერი

**08.00** დ/ფ "ააშენე უფრო დიდი" **09.00** ან/ფ "ტატონკას თავგადასავალი" და "გამოიცანი" **10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.30** "ყოჩაღების ქუჩაზე" **11.00** ტ/სერ. **"მაგდა ემი"** **12.30** ტ/სერ. **"ტკბილი" მწარე ცხოვრება"** **14.00** "გურმანია" **14.30** "გააგრძელე საქართველოს ისტორია" **15.00, 21.00** ტ/სერ. **"ღირსება და პატივი"** **17.00** ტ/სერ. **"უძლეველნი"** **18.30** "ქართული დოკუმენტალისტიკა" **22.00** "არენა" (პ/ტრ) **23.00** "უცნობი მუსიკა" **00.30** მხ/ფ **"დამარხული"** **02.00** დ/ფ "ააშენე უფრო დიდი".

**06.45** სერ.**"შურისმაძიებელი"** **07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.15** ქრონიკა. **10.05** სერ.**"ბედის ანაბარა"** **11.20** სერ.**"სილა"** **12.30** დღის შოუ **14.40** სერ.**"სიყვარული ცა და მიწა"** **17.35** სერ.**"მინდა გახსოვდე"** **18.45, 19.03** სერ.**"ღირსების საქმე"** **20.55** სერ.**"შავი ვარდი"** **22.00, 23.00** სერ.**"შუა ქალაქში — 3"** **00.00** მხ/ფ **"სნაიპერი"** (ტ.ბერენჯერი) **02.00** მხ/ფ **"მინდა გახსოვდე"** (პ.ბროსნენი) (ტიტ.).

**06.30** სერ. **"არ დამივიწყო"** **07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"მათრობელა სიყვარული"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. **"ეზელი"** **18.45** სერ. **"სტამბოლის ცა"** **19.45** სერ. **"ქარადაი"** **22.00** პროფილი **23.00** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** - დასკვნითი **00.00** სოციალური ცელი **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერი. დაიჯესტი.

**06.10** დ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **06.35** მხ/ფ **"მაია წყნეთელი"** **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.40** ჩვენი ფონდი **11.05** ქართული ალბომი **11.30** ეპოქის სახელები **12.10** მხ/ფ **"ჩემი ბებია"** **13.15** ივერიის ეკლესია **13.30** კონცერტი -აღდგომიდან ამაღლებამდე - მარინე იაშვილი **15.05** აქტუალური თემა **15.25** დ/ფ "ერთი ჭოროხის შვილები" II ნაწ. **16.20** დეკორატიული ფლორა **16.35** დიდ ხარ შენ, უფალო **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **18.55** ისტორიის დღიური **19.20** "პორტრეტები" **20.10** მოკ./ფ **"ოთხი შარვალი და ერთი ჩითის კაბა"** **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** კვირიაკეს სიუჟეტი **21.40** "თვენი" წმინდა მღვდელმთავარი გიორგი ჭყონდიდელი **22.25** "დრო და ტრადიციები" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დ/ფ "სულიერი სამშობლო" **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ფ **"მამლუქი"**.

**7.00, 1.20** ახალი ამბები **7.20** მულტფილმი **"კატის თვალი"** **8.10** სამედიცინო გადაცემა "პულსი" **8.40, 22.00** "ყოველდღიური ა(მ)ბები/ვასიკო ოდიშვილისგან **09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00** მაესტრო **09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00** (ახალი ამბები) **9.30** ბიზნეს კონტაქტი დილის გამოშვება **9.50** პრესა უცხოური პრესის მიმოხილვა **10.05, 11.05** **სერიალი "სიყვარული და ღირსება"** **11.50** პრესა ქართული პრესის მიმოხილვა **12.30, 13.03** ბიზნეს კონტაქტი **13.30, 14.03** მაესტროს შუადღე შუადღის შოუ **15.45** პრესა ქართული და უცხოური პრესის მიმოხილვა **16.05, 17.05** **სერიალი "1001 ღამე"** **18.40, 19.08, 20.07** **სერიალი "ქუზეი და გუნეი"** **19.03** ინ-ფაქტი **21.00** მაესტროს "ცხრიანი"(საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა) **22.15** **სერიალი "კურტ სეიტი და შურა"** **23.20** **სერიალი "დიდებული საუკუნე"** **1.40** **სერიალი "რთული გზა"**

## პარასკევი 26 სექტემბერი

**08.00** დ/ფ "დროისა და სივრცის მიღმა" **09.00** ან/ფ "ტატონკას თავგადასავალი" და "გამოიცანი" **10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.30** "ყოჩაღების ქუჩაზე" **11.00** ტ/სერ. **"მაგდა ემი"** **12.30** ტ/სერ. **"ტკბილი" მწარე ცხოვრება"** **14.00** "შემოძახილი" **14.30** "გააგრძელე საქართველოს ისტორია" **15.00, 21.00** ტ/სერ. **"ღირსება და პატივი"** **17.00** ტ/სერ. **"უძლეველნი"** **18.30** "ქართული დოკუმენტალისტიკა" **22.00** პოლიტიკური თოქ-შოუ: I სტუდია **23.30** მხ/ფ **"ახალი სამყარო"** **01.40** დ/ფ "დროისა და სივრცის მიღმა".

**06.45** სერ.**"შურისმაძიებელი"** **07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.45** ქრონიკა. **10.05** სერ.**"ბედის ანაბარა"** **11.20** სერ.**"სილა"** **12.30** დღის შოუ **14.40** სერ.**"სიყვარული ცა და მიწა"** **17.35** სერ.**"მინდა გახსოვდე"** **18.45, 19.03** სერ.**"ღირსების საქმე"** **20.55** სერ.**"შავი ვარდი"** **22.00** რეაქცია (პ/ე) **00.00** სერ.**"შუა ქალაქში - 3"** **01.00** მხ/ფ **"ორეული"** (ჟ.კ. ვან დამი) **02.55** მხ/ფ **"სნაიპერი"** (ტ.ბერენჯერი).

**06.30** სერ. **"არ დამივიწყო"** **07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"მათრობელა სიყვარული"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. **"ეზელი"** **18.45** სერ. **"სტამბოლის ცა"** **19.45** სერ. **"ქარადაი"** **20.50** ეროვნული ლატარეა **22.00** ვანოს შოუ **23.00** ქერის უბანი **23.30** ქ.მხ/ფ **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერი. დაიჯესტი.

06.10 საგალობელი 06.15 მხ/ფ **"მამლუქი"** 07.50 "ჩვენი ამბავი" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 დ/ფ "სულიერი სამშობლო" 10.05 ქვიშით ნაამბობი 11.20 ისტორიის გაკვეთილი 12.10 პორტრეტები 13.00 მოკ./ფ **"ოთხი შარვალი და ერთი ჩითის კაბა"** 13.25 კონცერტი - გია ყანჩელი "ლიტურგია" 14.25 ღვთის სახლი (სოხუმი) 15.05 აქტუალური თემა 15.20 დ/ფ "ლაზეთის ბულბული" 16.30 დეკორატიული ფლორა 16.40 დიდ ხარ შენ, უფალო 16.55 კვირიაკე 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ **"მაცი ხვიტია"** 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 დროის ჩანაწერები 22.25 მოგზაურობა სამშობლოში 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 წმინდა დიდმოწამე ქეთევანი 23.30 დ/ფ "ძელი ცხოვრებისა" 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ **"ბაში აჩუკი"**.

7.00, 1.20 ახალი ამბები 7.20 მულტფილმი **"კატის თვალი"** 8.20 გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი" 8.40, 22.00 "ყოველდღიური ა(მ)ბები/ვასიკო ოდიშვილისგან 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00 მაესტრო 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00 (ახალი ამბები) 9.30 ბიზნეს კონტაქტი დილის გამოშვება 9.50 პრესა უცხოური პრესის მიმოხილვა 10.05, 11.05 **სერიალი "სიყვარული და "სიყვარული და ღირსება"** 11.50 პრესა ქართული პრესის მიმოხილვა 12.30, 13.03 ბიზნეს კონტაქტი 13.30, 14.03 მაესტროს შუადღე შუადღის შოუ 15.45 პრესა ქართული და უცხოური პრესის მიმოხილვა 16.05, 17.05 **სერიალი "1001 ღამე"** 18.40, 19.08, 20.07 **სერიალი „ქუზეი და გუნეი"** 19.03 ინ-ფაქტი 21.00 მაესტროს "ცხრიანი"(საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა) პ/ე 22.15 **სერიალი "კურტ სეიტი და შურა"** 23.20 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 1.40 **სერიალი "რთული გზა"**.

## შაბათი 27 სექტემბერი

08.00 ან/ფ "ტატონკას თავგადასავალი" და "გამოიცანი" 09.00 მხ/ფ **"სურვილების ქვა"** 10.30 "ყოჩაღების ქუჩაზე" 11.00 ტ/სერ. **"მაგდა ემი"** 12.00, 16.00, 20.00 "მოამბე" 12.30 ტ/სერ. **"ტკბილი" მწარე ცხოვრება"** 13.30 "სპექტაკლის დრო" 15.00, 21.00 ტ/სერ. **"ღირსება და პატივი"** 16.30 "გააგრძელე საქართველოს ისტორია" 17.00 ტ/სერ. **"უძლეველნი"** 18.00 **ფეხბურთი. "ტორპედო" – "დინამო"** – (პ/ტრ) 22.00 მხ/ფ **"მანდარინები"** 23.30 მხ/ფ **"კარი იატაკში"** 01.30 დ/ფ "ააშენე უფრო დიდი".

07.30 ან/ფ "სპანჯბობი" 08.00 მხ/ფ **"ლამაზმანი და ურჩხული"** 10.15 ეკოვიზია 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა. 11.15 ვაკანსია 12.00 სერ.**"შუა ქალაქში - 3"** 13.00 კულინარიული დუელი 14.35 ორი ვარსკვლავი 17.35 სერ.**"მინდა გახსოვდე"** 18.45, 19.03 სერ.**"ღირსების საქმე"** 20.55 სერ.**"შავი ვარდი"** 22.00 სერ.**"შუა ქალაქში - 3"** 23.00 შალვა რამიშვილის შოუ 00.00 მხ/ფ **"ზღვარს მიღმა"** (რ.დე ნირო) 01.50 მხ/ფ **"დაუსრულებელი სიცოცხლე"** (ჯ.ლოპესი).

08.00 კურიერის დაიჯესტი 08.30 მხ/ფ. 10.00 კომედი შოუ 11.00 ექიმები 21 სექტ. 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 ბიზნეს კურიერი 14.00 გააცინე და მოიგე 15.30 ნანუკას შოუ 18.40 ვინ დაამარცხებს ვასოს 19.40 იღბლიანი ბორბალი 22.00 ქ.მხ/ფ **"გასეირნება ყარაბახში - 2"** 00.00 რა? სად? როდის? - დაწყება 01.30 მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერი. დაიჯესტი.

06.10 საგალობელი 06.15 დ/ფ "საქართველოს დაცული ტერიტორიები" 06.30 ჩვენი ფონდი 07.00 დ/ფ "ძელი ცხოვრებისა" 07.30 მოგზაურობა სამშობლოში 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 ჩვენი ფონდი 09.05 "განთიადი" 10.10 ისტორიის დღიური 10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.40 დ/ფ "ლოცვები სამშობლოსათვის" 10.55 კვირიაკე 12.10 მხ/ფ **"მაცი ხვიტია"** 13.30 საღვთისმეტყველო საუბრები 14.05 ღია აუდიტორია 14.45 საკვირაო სახარების განმარტება 15.05 ოპერა -ვერდი **"რექვიემი"** ჩიკაგოს სიმფონიური ორკესტრი (დირ. რიკარდო მუტი) 15.55 დ/ფ "კაპელანი" 16.20 ღვთის სახლი (სოხუმი) 18.10 პატრიარქის ქადაგება 18.20 დ/ფ "ჟიული შარტავა"(სოფო წულაია) 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.30 განთიადის სიუჟეტი "გზა გმირობისკენ - ჟიული შარტავა" 19.35 ქართული ალბომი 20.00 "ერთსულოვნების სალონი" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 ქრისტიანული ხელოვნება 22.25 "ჩვენი ამბავი" 22.35 ძელი ცხოვრელი (რ. ძნელაძე) 22.50 საკვირაო სახარების განმარტება 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 "საუფლონი" - ჯვართამაღლება 23.40 "ზეცის სიმაღლეს ეზიარა" მამა ანდრია 00.35 დროის ჩანაწერები 01.20 მხ/ფ **"კატინი"** I ნაწ.

7.00, 2.00 ახალი ამბები 7.20 მულტფილმი **"მებრძოლი"** 9.00 **სერიალი "ასი"** 10.00 გადაცემა "იდ" 10.30 სამედიცინო გადაცემა "პულსი" 11.00 ბიზნესკონტაქტი ანალიტიკა 11.55, 14.55, 17.55 კვირის აზრები 12.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00 მაესტრო 12.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00 (ახალი ამბები) 12.30 გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი" 12.50 გადაცემა "60 კითხვა ინტერიერში" 13.05 TV 11 მაესტროზე 13.50, 22.00 **სერიალი "რვაფეხა"** 15.20 ოთარ ტატიშვილის შოუ 16.20 მხჭფ **"სიყვარული ყველას უნდა"** 18.40 **სერიალი „ქუზეი და გუნეი"** 20.30 გადაცემა "უცნობი ისტორიები" 21.00 თოქ-შოუ სუბიექტური აზრი პ/ე 23.00 გადაცემა "მუსიკალური საღამოები მაესტროზე"(გ/ჩ) 23.45 "აბების" კვირის ანეკდოტები 0.00 მხჭფ **"მოღალატე გმირი"** 2.20 **სერიალი "რთული გზა"**.

## კვირა 28 სექტემბერი

08.00 ან/ფ "ტატონკა" და "გამოიცანი" 09.მხ/ფ **"მელნის გული"** 10.30 "ყოჩაღების ქუჩაზე" 11.00 ტ/სერ. **"ქალი რომელიც ბრუნდება"** 12.00, 16.00, 20.00 "მოამბე" 12.30 ტ/სერ. **"ტკბილი" მწარე ცხოვრება"** 13.30 ქართ. მხ/ფ **"კეთილი კაცი"** 14.30 "გააგრძელე საქართველოს ისტორია" 15.00 ტ/სერ.""**ღირსება და პატივი"** 16.30 "ვაშინგტონი დღეს" 17.00 ტ/სერ. **"უძლეველნი"** 18.00 მხ/ფ **"ამერიკული ოცნება"** 20.30 "ტელებლოგი" 21.00 ტ/სერ. **"ღირსება და პატივი"** 22.00 კონცერტი: **სანდრო სავიცკი და ლექსო თორაძე** 23.30 მხ/ფ **"ჟუდი"** 01.30 დ/ფ "დროისა და სივრცის მიღმა".

07.30 ან/ფ "სპანჯბობი" 46" 08.30 მხ/ფ **"საკარა"** 11.00, 14.00, 17.00, 20.00 ქრონიკა. 11.15 ბასტი ბუბუ 12.00 სერ.**"შუა ქალაქში -3"** 13.00 EMERGENCY — სასწრაფო დახმარება 14.35 ეკა ხოფერიას თოქ შოუ 16.30 იდენტიფიკაცია 17.35 იმედის გმირები 17.50 ქ.სერ.**"ცხელი ძაღლი"** 7-8 სერ. 20.40 იუმორინა 22.00, 23.00 სერ. **"შუა ქალაქში - 3"** 00.00 მხ/ფ **"ხელმწიფის სახელით"** (კ.ფორლანი) 02.10 მხ/ფ **"გზა წარმატებისკენ"** (ა.პიტი).

08.00 კურიერის დაიჯესტი 08.30 მხ/ფ. 10.30 "სახლი" 11.00 ეკი ვოკი 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 ვანოს შოუ 14.00 ქერის უბანი 14.00 ვინ დაამარცხებს ვასოს 15.30 იღბლიანი ბორბალი 16.30 პროფილი 18.40 ექიმები 19.40 გააცინე და მოიგე 21.00 P.S. 22.00 კომედი შოუ 23.30 ქ.მხ/ფ 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერი. დაიჯესტი.

06.10 საგალობელი 06.20 მულტფილმი 07.15 მოკ./ფ **"ალავერდობა"** 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 საკვირაო სახარების განმარტება 08.40 ჩვენი ფონდი 09.05 "განთიადი" 10.10 ისტორიის დღიური 10.15 სიახლენი 10.40 ივერიის ეკლესია 10.55 "საუფლონი" - ჯვართამაღლება 11.30 ქართული ალბომი 12.10 მხ/ფ **"სიყვარული ყველას უნდა"** 13.30 ქრისტიანული ხელოვნება 14.10 ისტორიის გაკვეთილი 14.45 საკვირაო სახარების განმარტება 15.05, 18.05, 21.05, 00.05 პატრიარქის ქადაგება 15.30 მგზავრები წუთისოფლისა 16.00 ერთსულოვნების სალონი 16.55 ეპოქის სახელები 17.20 საღვთისმეტყველო საუბრები 18.30 დროის ჩანაწერები 19.20 "ჩვენი ამბავი" 19.35 მხ/ფ **"ცისფერი მთები"** 21.30 ინდიქტიონი 21.35 ლექსით ქებათა ქება 21.40 კვირიაკე 22.50 საკვირაო სახარების განმარტება 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დ/ფ "შემოდგომა" 00.30 პორტრეტები 01.20 მხ/ფ **"კატინი"** II ნაწ.

7.00, 2.00 ახალი ამბები 7.20 მულტფილმი **"მებრძოლი"** 9.00 **სერიალი "ასი"** 10.00 ჟურნალისტური გამოძიება "მონიტორი" 10.30 სამედიცინო გადაცემა "პულსი" 11.00 უცნობი ისტორიები 11.30 გადაცემა "60 კითხვა ინტერიერში" 11.55, 14.55, 17.55 კვირის აზრები 12.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00 მაესტრო 12.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00 (ახალი ამბები) 12.30 გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი" 12.50 გადაცემა "იდ" 13.05 სუბიექტური აზრი 13.55 22.00 **სერიალი "რვაფეხა"** 15.00 მაესტრო 15.00 (ახალი ამბები) 15.25 გადაცემა "მუსიკალური საღამოები მაესტროზე"(გ/ჩ) 16.10 მხჭფ "ცისფერი მთები/(უ) 18.30 ჟურნალისტური გამოძიება "მონიტორი" 19.00 **სერიალი „ქუზეი და გუნეი"** 20.15 TV 11 მაესტროზე (იუმორისტული გადაცემა) 21.00 ვახო სანაიას რეპორტაჟი 23.00 ოთარ ტატიშვილის შოუ 0.00 მხჭფ **"გროტესკი"** 2.20 **სერიალი "რთული გზა"**.

### ვერძი

ნუ იქნებით საქმიან პარტნიორებთან მოლაპარაკებების დროს კატეგორიული. დიდი შანსია, ინტრიგებისა და მოტყუების მსხვერპლი გახდეთ. ახალი სასიყვარულო გრძნობა მთლიანად გაგიტაცებთ და გაგიძლიერებთ ფანტაზიის უნარს. თუმცა, ზედმეტად თავისუფალმა კავშირმა შესაძლოა, შიში და კომპლექსები გამოიწვიოს.

### კურო

ენერგიული და შემოქმედებითი პერიოდია. მეტი ყურადღება გამოიჩინეთ გარშემო მყოფების მიმართ. დაასრულეთ ადრე დაწყებული საქმეები და მოერიდეთ აზარტულ თამაშებს. გადაწყვეტილებების მიღებისას ნუ იქნებით იმპულსური და ემოციური. ეცადეთ, ხშირად დაისვენოთ ოჯახის წევრებთან ერთად.

### ტყუპები

მოიმატებს სასიცოცხლო ენერგია და გაუმჯობესდება განწყობა. ჩანაფიქრების განხორციელებაში საყვარელი ადამიანი დაგეხმარებათ. ნუ იმოქმედებთ ფარულად. კარგია ახალი საქმის დაწყება. ნუ ენდობით ახალგაცნობილ ადამიანებს.

### კირჩხიბი

თავს ენერგიულად იგრძნობთ. უამრავი იდეა გაგიჩნდებათ, მაგრამ, მათ განსახორციელებლად ნუ იმოქმედებთ მარტო და დახმარება მეგობრებს სთხოვეთ. მოერიდეთ პრეტენზიების წაყენებას საყვარელი ადამიანის მიმართ. კარგია ბუნებაში გასვლა და დასვენება.

### ლომი

მთელი ენერგია მიმართეთ შემოსავლების ზრდისკენ. თავი შეიკავეთ რისკისგან და არ აჰყვეთ ცდუნებებს. სასიყვარულო კონტაქტები თავდაჯერებულობას შეგმატებთ. უცხოელებთან ურთიერთობა მომავალში კარგ პერსპექტივებს გიქადით.

### ქალწული

საზოგადოებრივი საქმიანობა, შეხვედრები და გადაადგილებები დამღლელი, მაგრამ ნაყოფიერი აღმოჩნდება. არ არის გამორიცხული, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება მოგიხდეთ. ეცადეთ, შეინარჩუნოთ ცივად განსჯის უნარი და არ აჰყვეთ ემოციებს. სასიყვარულო ურთიერთობაში კი ცვლილებები დიდხანს არ გასტანს.

### სასწორი

გაგიადვილდებათ იდეების რეალიზება და კარიერული საკითხების მოგვარება, მაგრამ, ისეთ ვალდებულებას მაინც ნუ აიღებთ საკუთარ თავზე, რის შესრულებასაც ვერ შეძლებთ. ამ პერიოდში დასვენება და მკურნალობის დაწყება სასურველ შედეგს გამოიღებს.

### მორიელი

მეტი კონტაქტი დაამყარეთ ოჯახის წევრებთან. კარგია ადრე დაწყებული საქმეების ბოლომდე მიყვანა. ყველა გადაწყვეტილება დინჯად და საღად მიიღეთ. გაითვალისწინეთ მეგობრების რჩევები. კარგია გადაადგილებები. კარგად გადაამოწმეთ ყველა დეტალი პირად ურთიერთობებში.

### მშვილდოსანი

აიმაღლეთ ცოდნა და პროფესიონალიზმი, რათა ადვილად მიაღწიოთ დამოუკიდებლობასა და წარმატებებს. მოერიდეთ კამათსა და გაუგებრობებს. დინჯად იმოქმედეთ. ყაირათიანად ხარჯეთ ფული. ნუ მოახვევთ თქვენს აზრებს საყვარელ ადამიანს. ერიდეთ უცნობ ადამიანებთან კონტაქტს.

### თხის რქა

კარგია ახალი ნაცნობობა, შეხვედრები, კვალიფიკაციის ამაღლება და სწავლა. ნუ იქნებით ზედმეტად თავდაჯერებული და მოუსმინეთ სხვებსაც. მოერიდეთ ახალ სასიყვარულო კავშირებს. რაციონალურად ხარჯეთ ფული. შეხვედრები, მოგზაურობა და მოლაპარაკებები მომავალში კარგ პერსპექტივებს გპირდებათ.

### მერწყული

თავს ენერგიულად იგრძნობთ. იყავით თავდაჯერებული. ადვილად შეძლებთ ჩანაფიქრების განხორციელებას. ახალი საქმეები კი დაგეგმეთ, გაიაზრეთ და ისე წამოიწყეთ. სასიყვარულო სფეროში მეტი ყურადღება გამოიჩინეთ, რათა არ დაუშვათ შეცდომები.

### თევზები

ენერგიის კლების მიუხედავად, კარგ განწობაზე იქნებით და უამრავი ახალი იდეა გაგიჩნდებათ. ახალი საქმის დაწყებისას დახმარებისთვის მიმართეთ ახლობლებს. წარმატებას ადვილად მიაღწევთ, თუ არ იზარმაცებთ. კარგია ურთიერთობა უცხოელებთან – ეს სერიოზულ მოგებას გპირდებათ.

**ახალმთვარეობა – 24 სექტემბერი 06:30 სთ.**

## კვირის დღეების ასტროპროგნოზი

### ორშაბათი

მოიმატებს აგრესია, ძალადობა, ილუზიები, მოტყუების ალბათობა. გამოიჩინეთ მეტი სიფრთხილე და ყურადღება. ნუ გადატვირთავთ თვალებს. ატარეთ ყავისფერი, ნაცრისფერი, ყვითელი, მწვანე ან ნარინჯისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ყვითელი ან მწვანე იასპი, მალაქიტი, ოპალი ან ქრიზოპრაზი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. არ ვარგა სასიყვარულო შეხვედრები, გამოცდების ჩაბარება, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა. კარგია საფინანსო ოპერაციები, ვაჭრობა, დიეტის დაცვა, თმის შეჭრა. სუსტდება ნაწლავთა სისტემა, კუჭქვეშა ჯირკვალი, ელენთა.

***პოზიტიური დღეა: ქალწულებისთვის, მორიელებისთვის, თხის რქებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის, მერწყულებისთვის.***

### სამშაბათი
### გეომაგნიტური დღე

ამ დღეს შემოდგომის დღეღამტოლობაა. ადამიანებში მოიმატებს სილამაზისა და ჰარმონიის აღქმის უნარი. გამოიჩინეთ მეტი სიფრთხილე, რადგან, მაღალია ცდუნებების, შეცდომების დაშვების, ჯანმრთელობის გაუარესების, კონფლიქტების ალბათობა. ნუ დაიწყებთ ახალ საქმეს. ატარეთ ყვითელი, ნარინჯისფერი, ჩალისფერი, მწვანე ან თეთრი სამოსი; ქვებიდან კი – ამეთვისტო, გიშერი, ყვითელი ან მწვანე იასპი. ყურადღებას ნუ მიაქცევთ სიზმრებს. არ ვარგა სასიყვარულო კავშირები, გამოცდების ჩაბარება. სუსტდება ნაწლავთა სისტემა, ელენთა, კუჭქვეშა ჯირკვალი.

***პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის, თევზებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ლომებისთვის, სასწორებისთვის, მშვილდოსნებისთვის.***

### ოთხშაბათი
### გეომაგნიტური დღე

ამ დღეს ახალმთვარეობაა – დაძაბული კოსმიური ენერგიების დღე. მოიმატებს აგრესიის, დეპრესიის, ტრავმების, ავარიების, კონფლიქტების, ცდუნებების, შეცდომების დაშვების, ჯანმრთელობის გაუარესებისა და სხვა ნეგატიური მოვლენების ალბათობა. ნუ აჰყვებით პროვოკაციებს. ატარეთ ლურჯი, ცისფერი, ჩალისფერი, ყვითელი ან მწვანე სამოსი; ქვებიდან კი – ნეფრიტი, ლაზურიტი, ჟადეიტი, საფირონი ან ფირუზი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია ხელოვნებასთან კონტაქტი, გართობა, შემოქმედებითი მუშაობა, სამეცნიერო კვლევა. სუსტდება ყელი, ენდოკრინული სისტემა, თირკმელები, კანი.

***პოზიტიური დღეა: ლომებისთვის, მერწყულებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: მორიელებისთვის, თხის რქებისთვის.***

### ხუთშაბათი
### გეომაგნიტურია დღის პირველი ნახევარი

კარგია ახალი საქმის დაწყება, უცხოელებთან კონტაქტი, მოგზაურობა, ტექნიკის შეძენა. ატარეთ ლურჯი, ცისფერი, ჩალისფერი, ყვითელი, მწვანე ან ნაცრისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ლაზურიტი, ნეფრიტი, ჟადეიტი, ტოპაზი ან ფირუზი. ყურადღებას ნუ მიაქცევთ სიზმრებს. კარგია შოპინგი, გართობა, ექიმებთან კონსულტაცია და მკურნალობის დაწყება. სუსტდება ყელი, თირკმელები, კანი.

***პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, სასწორებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის.***

### პარასკევი
### გეომაგნიტური დღე

კარგია კონტაქტები, ახალი ნაცნობობა, სწავლა. ყურადღებას ნუ მიაქცევთ ჭორებს. ატარეთ ლურჯი, ცისფერი, ჩალისფერი, მწვანე, წითელი, ყავისფერი, ყვითელი ან შავი სამოსი; ქვებიდან კი – ნეფრიტი, ლაზურიტი, ჟადეიტი, ფირუზი, ტოპაზი ან ოპალი. ყურადღებას ნუ მიაქცევთ სიზმრებს. მოერიდეთ ახალი საქმის დაწყებას, ადგილსამყოფლის შეცვლას, სესხის აღებას. კარგია სასიყვარულო კავშირები, ხელოვნებასთან კონტაქტი, ექიმებთან კონსულტაცია, მკურნალობის დაწყება. სუსტდება ყელი, ენდოკრინული და შარდსასქესო სისტემები, თირკმელები.

***პოზიტიური დღეა: ტყუპებისთვის, მშვილდოსნებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ქალწულებისთვის, თევზებისთვის.***

### შაბათი

შემოქმედებითი დღეა. კარგია ფინანსური ოპერაციები, საოჯახო ურთიერთობები. გამახვილდება ინტუიცია და მგრძნობელობა. მოერიდეთ ახალი საქმის დაწყებას, მოგზაურობას, სესხის აღებასა და ადგილსამყოფლის შეცვლას. ატარეთ წითელი, შინდისფერი, ყვითელი, მწვანე ან შავი სამოსი; ქვებიდან კი – ოპალი, ონიქსი, ზურმუხტი, ამეთვისტო ან მწვანე იასპი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია ავტომანქანის ყიდვა-გაყიდვა, თმის შეჭრა. სუსტდება შარდსასქესო და რეპროდუქციული სისტემები, ცხვირი.

***პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის, თხის რქებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ლომებისთვის, სასწორებისთვის, მერწყულებისთვის.***

### კვირა
### გეომაგნიტური დღე

მოიმატებს ეჭვიანობა და წყენა. კარგია ავტომანქანის ყიდვა-გაყიდვა, შემოქმედებითი მუშაობა, სწავლა, ვაჭრობა, თმის შეჭრა, ვარჯიში. ატარეთ წითელი, შინდისფერი, ყვითელი, შავი ან მწვანე სამოსი; ქვებიდან კი – ოპალი, ობსიდიანი, ქრიზოპრაზი, ზურმუხტი ან მარგალიტი. ყურადღებას ნუ მიაქცევთ სიზმრებს. არ ვარგა ვალის აღება, ახალი საქმის დაწყება, ადგილსამყოფლის შეცვლა. სუსტდება შარდ-სასქესო სისტემა, ცხვირი.

***პოზიტიური დღეა: ქალწულებისთვის, მორიელებისთვის, თევზებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის, მშვილდოსნებისთვის.***

***გეომაგნიტურ დღეებში სუსტდება ნერვული და გულ-სისხლძარღვთა სისტემა, მაღალია თავის ტკივილისა და უგუნებობის ალბათობა.***

# როგორ წარმოიშვა ქართული გვარ-სახელები

### გორგოშიძე

**გორგოშიძეთა** გვარში ფუძედ გამოყენებულია მამაკაცის საკუთარი სახელი **გორგა.**

**გორგა** უძველესი საკუთარი სახელია, რომელიც ბევრ ისტორიულ წყაროსა თუ ხალხურ პოეზიაში გვხვდება; ასევე, გვხვდება მამაკაცის საკუთარი სახელი **გორგიშა, გორგოშა.**

სხვათა შორის, **გორგოშა** გვხვდება ყველაზე ძველ ძეგლში – „ტბეთის სულთა მატიანეში“.

**გორგა**, აგრეთვე, საფუძვლად უდევს მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეებში ერთ-ერთ ნაწარმოებ გვარს – **გორგაეთს**.

ზოგიერთმა მეცნიერმა საკუთარი სახელი **გორგა გიორგისთან** გააიგივა, რაც დაუშვებელი და მცდარია. ეს სახელი უფრო სპარსული სიტყვიდან – **„გორგადან“** იღებს სათავეს, რაც ქართულად „მგელს“ ნიშნავს.

**გორგოშიძე-გორგოშაძე** გვარის ეტიმოლოგიას რამდენიმე მკვლევარი შეეხო. იოსებ ბექირიშვილმა ისინი გოშუა-გოშაძესა და **გორგოშიათა** გვარებს დაუკავშირა, რაც მართებული არ უნდა იყოს. როგორც ჩანს, მკვლევრებმა არ გაითვალისწინეს ის ფაქტი, რომ, გაცილებით ადრე, დაახლოებით მეცამეტე საუკუნის მეორე ნახევარში, გვხვდება გვარები **გოშუანი** და **გოშვანი**.

**გორგოშაძე** აჭარული გვარია, **გორგოშიძე** კი – მისი განაყოფი გვარი.

**გორგოშაძეები** გურიაშიც ცხოვრობენ, მაგრამ მათი უმრავლესობა **გორგოშიძედ** არის ჩაწერილი.

ამ გვარის წარმომადგენლები ძირითადად ცხოვრობენ კორნათში, აჭარისწყალში, ერგეთში, სიმონეთსა და ბათუმში. ეს გვარი თურქეთშიც გვხვდება, კერძოდ, მარადიდში, მაგრამ, აქ ისინი ოზგანად იწერებიან. როგორც ჩანს, მათი წინაპრები მღვდლები იყვნენ და მეტსახელად „ფაფაზი“ შეურქმევიათ, შვილები საბუთებში ფაფაზოღლად ჩაწერეს, ხოლო ზოგიერთი მათგანი – იმამოღლად.

1614 წელს სვიმონ გურიელმა თავისი მამულის მოსახსენიებლად ბაოჭულა გორგოშიძე აჭის წმიდა გიორგის შესწირა და გამოსაღები დაუწესა.




საქართველოში 83 **გორგოშიძე** ცხოვრობს: ზუგდიდში – 48, ქუთაისში – 17, თბილისში – 14. არიან სხვაგანაც.

### მაკარაშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **მაკარი**, რომელიც ბერძნული წარმოშობისაა და ქართულად ბედნიერს, ნეტარს ნიშნავს.

1661 წელს ელიზბარ სოლოღაშვილის ნასყიდობის წიგნში მოიხსენიება ივანე **მაკარაშვილი.**

1781 წელს ერტისში მოიხსენიება დავით სარდლის ყმა, – ვინმე **მაკარაშვილი**.

ამავე ძირისაა გვარი **მაკარიძე**.

საქართველოში 467 **მაკარაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 301, მცხეთაში – 93, გარდაბანში – 73.

### რამინაშვილი – რამინიშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **რამინი**, რომელიც ინდურ-ირანული წარმოშობისაა და მორჩილს, დამჯერს ნიშნავს.

1941 წელს სადღრო **რამინაშვილი** ამბროლაურის რაიონის სოფელ კაჩაეთიდან ასურეთში გადასახლებულა.

გაბრიელ **რამინიშვილი** მოიხსენიება არზაში გიორგი მეთორმეტის მიერ მისი ვალის თაობაზე შედგენილ ოქმში, 1860 წელს.

საქართველოში 264 **რამინაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 54, ქუთაისში – 44, ხობში – 26. არიან სხვაგანაც.

45 **რამინიშვილი**: თბილისში – 32, სამტრედიაში – 4, აბაშაში – 2. არიან სხვაგანაც.

### სულთანიშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **სულთანი**, რომელიც არაბულ ქვეყნებში წარმოიშვა და მეფის ტიტულის აღმნიშვნელია.

1569 წლის ყმების შეწირულობის წიგნში, რომელიც კახთა მეფეს, ლეონ მეორეს, მცხეთის სვეტიცხოვლის ეკლესიისთვის მიუცია, მოიხსენიება ღანეკელი **სულთანა.**

ბასილა, გიორგი და კაცია **სულთანიშვილები** მოიხსენიებიან 1743 წლის ყმისა და მამულის ნასყიდობის წიგნში, რომელსაც იასე საგინაშვილი აძლევს თავის ძმისწულს, როსტომ ბეჟანიშვილს.

საქართველოში 633 **სულთანიშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 363, ონში – 98, რუსთავში – 62. არიან სხვაგანაც.

**აკადემიკოს იაკობ ახუაშვილის მასალების მიხედვით მოამზადა ნონა დათეშიძემ**

---

(მე-14 გვერდიდან)

დი ძალა აქვს. ახლა, რომ ხედავენ ტელევიზორში ვჩანვარ, ესე იგი, სანდო კაცი ვარ და უფრო მეტად მენდობიან. ცნობადობა აშკარად გაიზარდა: კართან ჩურჩული ისმის: ეს არ არის?!

**– რამხელა შვილები გყავთ?**

– ორი ბიჭი მყავს: 8 წლის და 6 წლის – ოთო და სანდრო. სანდრო ახლა წავიდა სკოლაში. სხვათა შორის, ძალიან ხალისით და დიდი ემოციებით. პირველად რომ დამინახეს ტელევიზორში, თბილისში არ იყვნენ და იმხელა ჟრიამული ატეხეს... ახლა, მგონი, შეეჩვივნენ. სხვათა შორის, უყურებენ და მერე მაკონტროლებენ: წყალი დალიე, მარილს რატომ აყრი – მავნებელია ეს.

**– სახლში ექიმი რომ გყავს, თან პედიატრი, ბავშვთა ქირურგი, ეს დიდი ფუფუნებაა, განსაკუთრებით, ალბათ, მეუღლისთვის, უფრო მშვიდად იქნება.**

– როცა ბავშვები ავად არიან, ექიმთან მიმყავს. მე ამ დროს მამა ვარ. როცა რაღაც ელემენტარული პრობლემაა, მე მივხედავ, მაგრამ როცა ჩემს კომპეტენციას ცდება ის კითხვა, რაც შეიძლება გამიჩნდეს, საკუთარ თავზე არ ვიღებ პასუხისმგებლობას და მიმყავს ექიმთან. ნაცნობი ექიმები კი მყავს ბევრი.

**– რა პროფესიისაა მეუღლე?**

– კონფლიქტოლოგია.

**– ანუ, თქვენს ოჯახში კონფლიქტების საქმეც მოგვარებულია.**

– ჩვეულებრივადაა ყველაფერი, თუმცა, ახლა თბილისიდან, ისრაელისა და პალესტინის კონფლიქტს ნამდვილად ვერ მოვაგვარებთ. ოჯახში კინკალობა და ჩხუბი ყოველთვის ხდება, როგორც სხვა ოჯახებში. მეუღლეს ყოველთვის ჩემს რეჟიმთან უწევს აწყობა.

**– არ აქვს პროტესტის გრძნობა?**

– აქვს, მაგრამ, რა ქნას, მიჩვეულია.

**– როგორ გაიცანით ერთმანეთი?**

– ჩემი კურსელი, მეგობარი, იმავდროულად,

# სად დადის ხელთათმანებით და ნაგვის დიდი პარკებით ლევან ხარაშვილი და როგორ არის მათ ოჯახში კონფლიქტების საქმე მოგვარებული

ჩემი მეუღლის კლასელი იყო. მეგობრები არიან და მისგან გავიცანით ერთმანეთი პიკნიკზე. ასე დაიწყო ჩვენი ურთიერთობა. ყველას მეორე ადამიანის მოხიბვლის თავისი მეთოდი აქვს, თუმცა განსაკუთრებული არაფერი ყოფილა. ორი წელი, ცოტა მეტიც დავდიოდით ერთად. არ ვიჩქარეთ, ახალგაზრდები ვიყავით, შევეწყვეთ და მერე მივედით ამ გადაწყვეტილებამდე. დღემდე ერთად ვართ, ღმერთის წყალობით.

**– ოჯახთან ერთად სადმე წასვლას, ცოტა ხნით დასვენებას თუ ახერხებთ?**

– თავისუფალი დრო რომ მაქვს, ვცდილობ, ოჯახთან ერთად გავატარო. თუ სალამოს სადმე გავდივართ, ან საქეიფოდ მივდივართ, მეუღლე ყოველთვის ჩემთან ერთად არის. რაღაცნაირად, ახერხებს იმას, რომ ის დეფიციტი, რაც ურთიერთობაში გვაქვს, ერთად შევავსოთ, ერთად ვიყოთ. თან, ბევრი საერთო მეგობარი გვყავს, ერთი სამეგობრო და ამიტომ, ყოველთვის ერთად მივდივართ. ზაფხულში ვცდილობთ, ქალაქგარეთ გავიდეთ, ბუნება დავათვალიეროთ. ერთი კვირის წინ, მეგობრებთან ერთად, ყაზბეგში ვიყავი, ჯუთაში. უფროსი ბიჭი წავიყვანე, ფეხით იარა, ილაშქრა ზურგზემოკიდებული ჩანთით, ძალიან მოეწონა. მეც გამიხარდა, რადგან ამ ასაკის ბავშვებს უფრო სხვა ინტერესები აქვთ. ოთოს ძალიან მოეწონა, სიამოვნებით იარა და დაათვალიერა ის სილამაზე, რაც მთაშია. მგონი, მოიწამლა ამით. მინდა, რომ გაიზრდებიან, უყვარდეთ ბუნება, იცოდნენ, როგორ მოიქცნენ ბუნებაში, მეგობრებთან ერთად იარონ და მიიღონ სიამოვნება. მთა მიყვარს და ძალიან კარგად ვისვენებ. მეგობრები ზაფხულიდან ზაფხულამდე ველოდებით, როდის გავიქრებით მთაში. წელს ერთი კვირით თუშეთში ვიყავი, ფეხით დავდიოდით სხვადასხვა სოფელში. ჩამოვედი სრულიად აღტაცებული, მოხიბლული თუშეთის სილამაზით და თუში ხალხით. სასიამოვნოდ გაკვირვებული დავრჩი. ერთადერთი, რაც ჭკუიდან მშლის და მაცოფებს, ეს არის ნაგავი, რომელსაც ბუნებაში ყრიან. კოშმარული პრობლემაა, ულამაზესი, დახატული ბუნება და გამოიხედავ, გდია პოლიეთილენის ბოთლი, რომელიც ეგდება მანამ, სანამ ვილაც არ აიღებს. მეგობრები სადმე რომ ვართ, სულ დიდი ნაგვის ჩანთებით, ხელთათმანებით დავდივართ. ვასუფთავებთ, მაგრამ, სამწუხაროდ, დამყრელი უფრო მეტია, ვიდრე დამსუფთავებელი.

**– გაქვთ სპორტული გატაცებები?**

– ველოსიპედი მიყვარს და დავდივართ მეგობრები. ფეხბურთს ვთამაშობთ. მე და ჩემი მეგობრები რაგბის გულშემატკივრები ვართ, ხშირად ვუყურებთ. ახლა საქართველოს თამაში ირლანდიასთან, ოფიციალური ტესტია ნოემბერში. მივდივართ სტადიონზე საქომაგოდ. ერთი სული მაქვს, როდის გავიქრები. აქტიური ქომაგი ვარ, მთლიანად ვარ ჩართული. ფეხბურთიც ძალიან მიყვარს, მაგრამ ამ ეტაპზე რაგბისკენ გადავიხარე. კალათბურთიც მიყვარს, სულ დავდივარ საგულშემატკივროდ. ძალიან მიყვარს ჩვენი გუნდი, ლამაზად თამაშობენ, გრძნობენ მაყურებლის მხარდაჭერას. ჩვენი კაპიტანი, ზაზა ფაჩულია, ყველა დროის საუკეთესო ქართველი სპორტსმენია. ვინც ჩამოდის, ყველა აღიარებს, რომ საქართველოში თამაში ძალიან უჭირთ, რადგან მაყურებლის მხრიდან მხარდაჭერა ძალიან დიდია.

**ნათია უტიაშვილი**

# გაგექცევა თუ არა?

*თქვენი პარტნიორი ისეთი ერთგული აღარ არის, როგორც ადრე და, შიშობთ, რომ „შემცვლელი" მოგიძებნათ? შეამოწმეთ თქვენი ურთიერთობა ამ ტესტით.*

**1. ერთმანეთს სიყვარულში გამოუტყდით:**

ა) პირველივე კვირაში – 0 ქულა;
ბ) ერთი თვის შემდეგ – 1 ქულა;
გ) გაცნობიდან ორი თვის შემდეგ – 2 ქულა.

**2. მას ახსოვს თქვენი გაცნობის დრო, თარიღი?**

ა) დიახ – 2 ქულა;
ბ) არა – 0 ქულა;
გ) არ ვიცი – 1 ქულა.

**3. გიყვართ გამოსასვლელი დღეების გატარება ერთად, სახლში?**

ა) არა – 0 ქულა;
ბ) გააჩნია, როგორ განწყობაზე ვართ – 1 ქულა;
გ) დიახ – 2 ქულა.

**4. მას ბევრი განქორწინებული მეგობარი ჰყავს?**

ა) დიახ – 0 ქულა;
ბ) არა – 2 ქულა;
გ) არ ვიცნობ მის მეგობრებს – 1 ქულა.

**5. გყავთ საერთო შვილები?**

ა) დიახ – 2 ქულა;
ბ) არა – 0 ქულა;
გ) საერთო არა, ისე კი გვყავს – 1 ქულა.

**6. ხშირად დახმარებიხართ ერთმანეთს მნიშვნელოვან საქმეში?**

ა) რა თქმა უნდა – 2 ქულა;
ბ) მე ვეხმარები ხოლმე – 1 ქულა;
გ) არა – 0 ქულა.



**დათვალეთ ქულები და ნახეთ შედეგები:**

*0-4 ქულა: ერთმანეთთან აღარაფერი გაკავშირებთ. რა აზრი აქვს ხავსზე მობღაუჭებას? ერთ-ერთმა თქვენგანმა კარი რომ გაიხუროს, უკან მობრუნების სურვილი არ გაუჩნდება. თქვენ შორის სიყვარული აღარ არის.*

*5-8 ქულა: შეიძლება, ცდუნებამ თქვენ ან თქვენი პარტნიორი ჭეშმარიტების გზას აგაცდინოთ, მაგრამ, ერთად ყოფნის შანსი ჯერ კიდევ გაქვთ. ნაკლები საყვედურები და მეტი ზრუნვა პარტნიორზე – აი, შანსი, რომელიც ერთმანეთისკენ გადებულ ხიდს არ დაგაწვევინებთ.*

*9-12 ქულა: თუ რომელიმე თქვენგანს უბრალოდ, თვალი „გაექცევა", ეს არ იქნება კატასტროფა, რადგან, თქვენ შორის სიყვარული საკმაოდ ძლიერია. თუკი მაინც მოხდება ისე, რომ რაღაც გარემოების ან შემთხვევის გამო გიღალატებთ, აუცილებლად აპატიებთ და სწორადაც მოიქცევით.*

## სიძველის სუნი

ბევრს ჰგონია, რომ ანტიკური სამყარო სანიმუშო და სისუფთავის განსახიერება იყო: თეთრი ქვისგან აშენებული ქალაქები, თეთრ ხიტონებში გამოწყობილი ადამიანები, სუფთა ზღვა... არადა, არქიმედემ დიდი ხნის ფიქრის შემდეგ „ნასოსი" იმიტომ გამოიგონა, რომ შესაძლებელი ყოფილიყო ფეკალური მასებით დაბინძურებული ქუჩების წყლის დიდი ჭავლით ჩარეცხვა. უამრავი ადამიანი სწორედ სიბინძურისგან გაჩენილი დაავადებებით ილუპებოდა.

შედარებით მეტად იცავდნენ სისუფთავეს ძველი ეგვიპტელები. მიჩნეულია, რომ პირველი არომატული ნაზავი – არა სუნამო, სწორედ ძველ ეგვიპტეში შეიქმნა. თუმცა, თავდაპირველად მას მხოლოდ რიტუალების დროს იყენებდნენ. ტაძარი დაუბანელი ადამიანებით ივსებოდა და იატაკზე ამ სურნელოვან ნაზავს ასხამდნენ. შემდგომში ამ ნაზავით ტანის გაწმენდა ისწავლეს. ეგვიპტელების დამსახურებაა ისიც, რომ დღეს სხვადასხვა მცენარიდან სურნელოვანი ზეთების მიღების რეცეპტები არსებობს. ამ რეცეპტების სპეციალური კრებულიც კი არის – „ებერსის პაპირუსი". ედფუში, ერთ-ერთი ტაძრის კედელზე შემონახულია ფრესკა ზეთების დამზადების პროცესით. ამ ზეთებით სუნამოს მსგავსი რაღაც ზეთოვანი სითხე მზადდებოდა, რომელიც ოქროზე ძვირი ღირდა. სპარსეთში სურნელოვან ზეთებს ქალები თმაში იზელდნენ, კაცები – თმასა და წვერში. ბერძნები ასეთ ზეთებს სასიყვარულო კავშირის წინ იყენებდნენ, ასევე, მადის გასაძლიერებლად და სამკურნალო მიზნით. არომატული ზეთები ძირითადად ნუშისგან, ილისა და შროშანისგან მზადდებოდა. როცა ბერძენი კვდებოდა, საფლავში აუცილებლად ჩაუდებდნენ ხოლმე ფლაკონით სურნელოვან ზეთს. ბერძნებმავე მოიფიქრეს სურნელოვანი ზეთების წყლით გაზავება. რომსა და საბერძნეთში ამ წყლით ბანდნენ შინაურ ცხოველებს და ნამავდნენ მათ საცხოვრებელ ადგილს, რომ ცუდი სუნი არ ყოფილიყო.

მოგვიანებით რომის ცენტრალურ ქუჩებში აიგო შადრევნები, რომლებშიც სპეციალურად უშვებდნენ სურნელოვან წყალს. შემდეგ რომის იმპერია დაეცა და თითქმის ასი წლის განმავლობაში ევროპას საერთოდ არ გახსენებია პარფიუმერიის არსებობა... არაბმა ალქიმიკოსებმა, ჯაბირ იბნ ჰაიანიდან (მერვე საუკუნე) მოყოლებული, ვიდრე ავიცენამდე (მეთერთმეტე საუკუნე) თითქმის თავიდან განვლეს გზა სურნელოვანი წყლისა და ნელსაცხებლების შესაქმნელად. ყველაზე დიდი პოპულარობა მოიხვეჭა ვარდის ეთეროვანმა ზეთებმა. საკმაოდ ძვირად ღირებული პროდუქტი იყო, მაგრამ, ყიდულობდნენ. ავიცენამ მოახერხა, დაემზადებინა გაფილტრული ვარდის წყალი. ჯვაროსნების აღმოსავლეთში ჩასვლამდე, ევროპა, შეიძლება ითქვას, ყარდა – სწორედ ჯვაროსნებმა შეიტანეს ვარდის წყალი ევროპაში. ევროპას დიდი დრო დასჭირდა იმის მისახვედრად, თვითონ როგორ დაემზადებინა ვარდის წყალი. ამასობაში, უნგრეთში, სურნელოვანი ზეთის სპირტში გახსნით, პირველი სუნამო მიიღეს – თანამედროვე სუნამოსთან საკმაოდ მიახლოებული. პარფიუმის ისტორიაში ის „უნგრული წყლის" სახელწოდებით შევიდა. საფრანგეთში „უნგრული წყალი" ეკატერინე მედიჩიმ შეიტანა და მეჩვიდმეტე საუკუნეში მთელი საფრანგეთი სერიოზულად „შეჯდა" „უნგრულ წყალზე", რომლის დამზადება ადგილობრივადაც დაიწყეს. ფრანგი არისტოკრატები ტყავის ხელთათმანებსაც კი ამ წყლით ასველებდნენ. ლუდოვიკო მეთხუთმეტის კარს „ყველაზე არომატული სამეფო კარი" შეარქვეს. აქ სუნამოთი იყო გაჟღენთილი ყველაფერი – ტანსაცმელი და ავეჯიც კი – ასე ცდილობდნენ ჩაეხშოთ ის სიმყრალე, რომელიც ქალაქში კანალიზაციის უქონლობით იყო გამოწვეული. ასევე მოხდა ინგლისშიც, სადაც დედოფალმა ელისაბედ პირველმა ვერ გაუძლო უსიამოვნო სუნს და თავშეყრის ადგილებში „უნგრული წყლის" დასხმა ბრძანა.



მეთვრამეტე საუკუნეში უკვე გაჩნდა პირველი მანუფაქტურები, სადაც ოდეკოლონის ჩასასხმელ ფლაკონებს ამზადებდნენ; 1903 წელს კი გასაყიდად გამოიტანეს პირველი სუნამო.

**გვერდი მოამზადა**
**ელენე წულუკიძემ**

# როცა ქალს უყვარს...

**● გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №27-37(716)**

კოტემ ფრთხილად შეაღო ოფისის კარი და იქაურობა ისე მოათვალიერა, თითქოს ეშინოდა, ვინმე არ ყოფილიყო ჩასაფრებული. თამრიკო მდივანმა თავი ასწია და გაოცებული მზერა მიაპყრო:

– ხომ მშვიდობაა, ბატონო კოტე?

– მეც იმავეს თქმას ვაპირებდი, – კოტე დარწმუნდა, რომ მარტონი იყვნენ და შვებით ამოისუნთქა, – ანუ, ზიხარ და მუშაობ, ხომ?

– დიახ, – თამრიკოს კიდევ უფრო გაუკვირდა უფროსის უჩვეულო საქციელი, – თქვენ რომ დამავალეთ, იმ ხელშეკრულებებს ვაკეთებდი. კარგად ხართ, ბატონო კოტე?

– მე? რა თქმა უნდა. რა იყო, ჯანმრთელად არ გამოვიყურები? – კოტემ კარადის ვიტრინაში ჩაიხედა, – მართალი ხარ, ცოტათი არეული სახე მაქვს. გუშინ ზედმეტი მომივიდა დალევა...

– დიახ, ვნახე ცარიელი ბოთლი, – გაუღიმა მდივანმა, – კიდევ სტუმარი გყავდათ?

სტუმრის ხსენებაზე კოტე შეკრთა და გაფითრდა:

– ვინ სტუმარი? არ მესმის, რაზე ლაპარაკობ... მე დავლიე ის ვისკი. ის კი არა, კიდევ მინდოდა და მეორე ბოთლი ვერ ვიპოვე. შენ გადამალავდი სადმე.

გოგოს განცვიფრებისგან თვალები გაუფართოვდა:

– ბატონო კოტე, თქვენ თვითონ არ შემანახვინეთ? განსაკუთრებული შემთხვევებისთვის...

– ჰოდა, გუშინ იყო ის განსაკუთრებული შემთხვევა. თუმცა, რაღა აზრი აქვს ამაზე ლაპარაკს. მაგარი ყავა შემომიტანე და არავინ შემოუშვა ჩემთან. არც ზარები გადმორთო. დასასვენებლად მოვედი, არავის დანახვა არ მინდა და, ფიქრს ვაპირებ კიდევ. შეეცადე, ხელის შემშლელი ფაქტორები ამარიდო.



თამრიკოს გაღებული უჯრიდან ამოღებული კონვერტი ხელში შერჩა. აღარ იცოდა, მიეწოდებინა თუ უკანვე ჩაედო.

– რა არის ეგ?

– არ ვიცი, ბატონო კოტე, დილით რომ მივედი, კართან დამხვდა. აწერია, პირადად კოტე კიტიასო. არ ნახავთ?

კოტეს ისევ წაუხდა განწყობა, კონვერტს ისე მიაშტერდა, როგორც საათის მექანიზმზე დამაგრებულ ასაფეთქებელ მოწყობილობას.

– ბატონო კოტე, გადავაგდო თუ შევინახო?

– გადააგდო? არა, მომეცი... – კიტია ფეხათრევით შევიდა კაბინეტში და კარი მიიკეტა. მდივანმა მხრები აიჩეჩა, ჩანთიდან სიგარეტი და სანთებელა ამოიღო და ფოიეში მოსაწევად გავიდა. მაგრამ, ვინ აცალა, რამდენიმე წუთში მობილურზე ისტერიული რეკვა ატყდა – კოტე ეძახდა თავისთან. გოგო დაფეთებული შევარდა მასთან, ანთებული სიგარეტით ხელში... კიტია სავარძლის საზურგეზე გადასვენებული იჯდა და სათაგურში გამომწყვდეული თაგვივით ატრიალებდა თვალებს. მაგიდაზე გახსნილი კონვერტი და ბარათი ეყარა.

თამრიკო ზღურბლზე გაშეშდა.

– ვისკი მომიტანე და ძალიან ცივი წყალი, ყინულით... – ამოიხრიალა კოტემ.

– სასწრაფოს ხომ არ გამოვუძახო?

– რასაც გეუბნები, ის გააკეთე, საექიმო არაფერი მჭირს... რომ გახვალ, კარიც გაიხურე! – უბრძანა მდივანს. ხოლო, როცა მარტო დარჩა, აკანკალებული ხელით აიღო ბარათი და ხელმეორედ წაიკითხა: „დამალვას აზრი არ აქვს, კოტე! კარგად იცი, თუ შენი მოძებნა დამჭირდება, გიპოვი! სიტუაციას ნუ გაამწვავებ! შენი გონივრულობის იმედი მაქვს. ჩემი ნომერი გაქვს, დამირეკე, დიმიტრი“...

თამრიკომ ვისკი და მოზრდილი ჭიქა შეუტანა, წყლით და ყინულებით სავსე.

– თქვენი ცოლი რეკავს, ბატონო კოტე...

– უთხარი, რომ საერთოდ არ მოვსულვარ დღეს. არ გინახავვარ, გესმის?

– მესმის... – მდივანმა ბოთლი და ჭიქა მაგიდაზე დააწყო  და იქვე გაჩერდა. კოტემ ბრაზით შეხედა.

– რას დამადექი თავზე ჭირისუფალივით? წადი და დაიხსომე, არავითარი ზარები!..

***

პლედში შეფუთნულმა ანამ ჩაი მოსვა და მიდამოს ბედნიერებისგან გასხივოსნებული მზერა მოავლო.

– რა კარგია აქ! ძალიან მომწონს. ისეთი სიმშვიდეა...

ქმარმა ხელზე მოჰკიდა ხელი და ალერსით მოუჭირა:

– საყვარელო... სიმშვიდე ნამდვილად არის... ჩვენც ხომ არ გვეყიდა ერთი ციხე-კოშკი სადმე შოტლანდიაში?

– ხუმრობ?

– არა, სერიოზულად გეუბნები...

ანამ უნდობლად შეხედა ქმარს!

– გეყოფა, დევიდ... შოტლანდიაში ციხე-კოშკის ყიდვა ლონდონის გარეუბანში სახლის ყიდვას არ ნიშანვს, თანაც, მე ვერ გამოვდგები ციხე-კოშკის დიასახლისად. არც წვეულებების მოწყობა მეხერხება, არც სტუმრების მიღება...

– მშვენივრად მოახერხებ ერთსაც და მეორესაც – ვილიმ ვისკით სავსე ჭიქაში მუჭით ჩაყარა ყინული და მეგობარს მხარზე დაჰკრა ხელი.

– გაგიმართლა. ფანტასტიკური ცოლ-შვილი გყავს... დეა შეუდარებელია – სერიოზული და გაწონასწორებული. ლინას არ ჰგავს, სულ რომ ქარიშხალი უქრის თავში. ნახეთ, რა ქნა ნადირობისას? გადარეულია...

– მამა, შენ სულ უკმაყოფილო ხარ ჩემით – ტუჩი აიბზუა ლინამ, – რა გინდოდა, მომეკლა ის ლამაზი იხვი?! შემეცოდა!

– შენ რომ არ მოკალი ერთია და ჩვენც რომ არ მოგვეცი ამის საშუალება – მეორე. შემარცხვინე სტუმრებთან... ნადირობა ჩაგვიშალე.

– უჰ, დიდი საქმე... სულაც არ მიყვარს ნანადირევის ჭამა. ისეთი შეგრძნება მაქვს ხოლმე, თითქოს კაციჭამია ვარ... – აკისკისდა ლინა, – ჩვენი მზარეული ჩვეულებრივი ხორცისგანაც არაჩვეულებრივ კერძებს ამზადებს.

– აჰა, ელაპარაკე ახლა ამას... – ხელები გაშალა ვილიმ და მხრებში რომ ბოლომდე გაიშალა, მართლაც გოლიათივით აღიმართა ვერანდაზე. ანამ აღფრთოვანებით შეხედა. დევიდმა შენიშნა ცოლის მზერა და შემწყნარებლურად გაუღიმა.

– ლინა, რამდენჯერ უნდა გითხრა, რომ ნადირობა ჩვენი ერთ-ერთი მთავარი ღირსებაა, ტრადიცია, რომელიც სხვებისგან განგვასხვავებს...

– არ მინდა, სხვებისგან განსხვავებული ვიყო! – წამოხტა ლინა, – ჩვეულებრივი გოგო ვარ და ჩვეულებრივად მინდა ცხოვრება... ახლა კი ჩვეულებრივად უნდა ვიცურაო აუზში... წამოდი, დეა, აი, აუზი კი მართლაც ძალიან კარგი გვაქვს.

– წვეულებაზე რომ უნდა გველაპარაკა?! – სიტყვა დაადევნა ვილიმ. პასუხად ლინამ რაღაც დაუყვირა, დეას ხელი ჩასჭიდა და ორივემ სირბილით ჩაიარა კიბე...

– ვილი, ხომ ხედავ, რომ ლინას არ უნდა, წვეულება გამართო. იქნებ, ხელი აგეღო შენს განზრახვაზე? – მარიამ მაგიდაზე ბლითებით სავსე ლანგარი დადგა და ყველას ჩაი დაუსხა.

– რას ნიშნავს, არ უნდა? რატომ არ უნდა? – აღშფოთდა გოლიათი.

– იმიტომ, რომ აღარ მოსწონს სამშვენისის როლში ყოფნა, ხელოვნური ღიმილი და ცეკვა ორმოცდაათი-სამოცი წლის კაცებთან, მათი კომპლიმენტების მოსმენა და თავის მექანიკური კანტური.

– მარია! – წყრომით წამოიძახა ვილიმ.

– ეს სიმართლეა, საყვარელო, უბრალოდ, არ გინდა, აღიარო, – მიეფერა ცოლი, –

დანებე თავი, გაერთოს, როგორც უნდა. ნუ ცდილობ, შენი მოსაზრებების და შეხედულებების მიხედვით აცხოვრო, თორემ ეგეც გაგექცევა, ბრაიანივით...

ვილიმ ბრაიანის ხსენებაზე წარბი შეიკრა:

– მოღალატე... ბრაიანმა გული მომიკლა და, კარგად იცი, ამას ვერასოდეს ვაპატიებ. ჩემი იმედი ახლა ლინაა და, თუ ირლანდიელზე არ გათხოვდება, ვიფიქრებ, რომ შვილი საერთოდ აღარ მყავს, – ვილიმ ვისკით სავსე ჭიქა ბოლომდე გამოცალა და თავისთვის ჩაილაპარაკა: – წავალ, მზარეულს დავხედავ... იმას უთხარი, ცურვით ძალიან არ გაერთოს, ზუსტად რვაზე იქნება სადილი.

მარიამ შემრიგებლურად გაუღიმა მიმავალს და ჰაეროვანი კოცნა გაუგზავნა.

– სინამდვილეში, ბრაიანი უზომოდ უყვარს და ამაყობს კიდეც მისი წარმატებით, მაგრამ, აშკარად ამას არ აჩვენებს. ასეთი ხასიათი აქვს, – უთხრა მარიამ ანას და დევიდს, – მეცოდება, ასე რომ წვალობს, მაგრამ საშინლად ჯიუტია.

– არა. მათ თავისი ცხოვრება აქვთ, ჩვენ კი ვერ ვეგუებით იმას, რომ გაიზარდნენ, – გაიღიმა დევიდმა.

ცოლმა უკმაყოფილოდ შეხედა:

– შენი ბრალიც არის, დეა რომ ასეთია, – უთხრა წყრომით.

– ანუშკი, ჩემო საყვარელო... ტყუილუბრალოდ ნერვიულობ. მთავარია, ადამიანები იყვნენ, ამ მხრივ კი მე მშვიდად ვარ. ისე, არც მე ვიტყოდი აუზზე უარს. ხომ არ გაგვეცურა? ქალბატონებო, ხომ არ შევუერთდეთ გოგონებს?

– შენ წადი, მე და მარია ცოტას წავიჭორავებთ.

– მე საყიდლებზე ვაპირებ წასვლას... – თქვა მარიამ.

– ძალიან კარგი. სიამოვნებით წამოვალ შენთან ერთად, თუ საწინააღმდეგო არაფერი გექნება, – შესთავაზა ანამ და წამოდგა.

– რა უნდა მქონდეს საწინააღმდეგო, პირიქით, – გაუხარდა მარიას.

– ჩანთას ავიღებ და წავიდეთ. დევიდ, იცოდე, უჩემოდ არაფერი მოიმოქმედო, – გააფრთხილა ქმარი და თითი მრავალმნიშვნელოვნად დაუქნია.

– არა, საყვარელო, შენ რასაც ფიქრობ, იმას არ ვიზამ... – გაუღიმა კაცმა...

***

ლინამ სიცილით გათიშა მობილური და შეზლონგზე ნებივრად წამოწვა.

– რაო, ტომასი იყო? – ჰკითხა დეამ.

– გამოიცანი! – თვალი ჩაუკრა ლინამ, – ალექსანდრე არ გირეკავს?

– მესიჯებს მიგზავნის. მხოლოდ ერთ სიტყვას მწერს – „მომენატრე“!

– გეუბნები, უკვე უყვარხარ მაგ ბიჭს, – აკისკისდა ლინა, – ცოდოა...

– მე არაფერ შუაში ვარ, – წარბი შეიკრა დეამ.

– ჰო, რა თქმა უნდა, შენ არაფერ შუაში ხარ, საერთოდ არაფერში... – ეშმაკურად ჩაიცინა ლინამ, – მართლა არ ფიქრობ მასზე?

– ვინ გითხრა, რომ არ ვფიქრობ? ოღონდ, ჩემი ფიქრი რეალურია და რაციონალური.

– ვაიმე, ძალიან ფილოსოფიურად უდგები ყველაფერს. მე გამიხარდებოდა, ბიჭს ასე რომ ვუყვარდე. მაგარი ხარ, ძალიან მალე შეაბი ეჟვანი.

– „შეაბი ეჟვანი“... – გაიმეორა დეამ უკმაყოფილოდ, – მე ასე არ მგონია. არც არაფერი გამიკეთებია საამისოდ. უბრალოდ, შევუყვარდი და ეს მხოლოდ მასზე იყო დამოკიდებული და არა ჩემზე.

– მე კი მაინც მგონია, რომ შენ გინდოდა, მაგ ბიჭს შეჰყვარებოდი, – თვალები მოჭუტა ლინამ.

დეა შეკრთა. უნდოდა, მაშინვე ეპასუხა მეგობრისთვის, მაგრამ დევიდი გამოჩნდა და გაჩუმება ამჯობინა.

– გოგონებო, გავეჯიბროთ ცურვაში? – ღიმილით შესთავაზა კაცმა.

– დევიდ, შენ მაინც ორივეს გვაჯობებ, მერე კი დაგვცინებ! – გააპროტესტა დეამ, თან ლანას სიტყვებზე ფიქრობდა.

– ესე იგი, უარს მეუბნებით?

– არა, მე თანახმა ვარ, – წამოხტა ლინა და აუზისკენ გაიქცა, – წაგებული ვილის გამოიწვევს ცურვაში!..



***

ლენუკა ქმარს ვერაფრით რომ ვერ დაუკავშირდა, გამოეწყო, გაბრაზებულმა თიკოს გაუარა სახლში და ზღურბლიდანვე გამოუცხადა:

– პირდაპირ წამოვედი, აღარ დაგირეკე... ისეთი გაბრაზებული ვარ, რამე რომ არ გავაკეთო, გავგიჟდები. მირჩიე, სად წავიდეთ, მასაჟზე თუ სალონში?

– ჯერ შემოდი, ყავა დავლიოთ და ერთად გადავწყვიტოთ, – შესთავაზა თიკომ და ეჭვით შეათვალიერა: – იჩხუბეთ?

– ჰმ, რას იჩხუბებ. დილით კვდებოდა, საცოდავად იჭყანებოდა და კვნესოდა. არაფრით არ მითხრა, რატომ დალია. წარმოგიდგენია? სადღაც ბინძურ სასადილოში გამომთვრალა არყით... სულ გაგიჟდა და, რა ვუშველო, არ ვიცი.

– ახლა სად არის? – ფრთხილად ჰკითხა თიკომ – ხომ ვერ ეტყოდა, ვურეკავ და არ მპასუხობსო.

– ვიცი? ისე ჩუმად გაიპარა სახლიდან, ვერც დავინახე, როდის ადგა და როდის ჩაიცვა. ვურეკავ – არ იღებს. სამსახურში არ მისულა. მოდი და, ნუ იფიქრებ, რომ ვიღაც ჰყავს.

– ნუ იგრუზები, საქმეზე იქნება...

– იმ სიფათით? უნდა გენახა, რას ჰგავდა დასიებული სიფათით და ამღვრეული თვალებით... მოეშვი მაგ ყავას, კაფეში დავლიოთ სადმე... გეუბნები, რაღაც ხდება ჩემი ქმრის თავს და უნდა გავარკვიო. შენ ვერ დამეხმარები?

– მე?! – გაფითრდა თიკო, – რანაირად?

– ჯერ არ ვიცი, – თავი გადააქნია ლენუკამ, – მის მდივანს რომ დაუმეგობრდე?

– ვის? იმ უცხვირპირო თამრიკოს? – წამოსცდა თიკოს და მაშინვე ინანა, თავი რომ გაყიდა.

ლენუკამ გაკვირვებით შეხედა:

– იცნობ? საიდან?

– საიდან უნდა ვიცნობდე. შენ მითხარი ერთხელ, მაგარი უცხვირპირო მდივანი ჰყავს კოტეს, საერთო ენა ვერ გამოვნახე მასთანო, – სიტუაციიდან გამოძვრა თიკო.

– ჰო, თან ისეთი უშნოა, ვერც კი იეჭვიანებ მაგაზე. მე რომ მივიდე და რაღაცეების გარკვევა დავიწყო, არ გამოვა. თან, მგონი, დიდად გულზეც არ უნდა ვეხატებოდე. შენ მიდი, რა,

– კი მაგრამ, როგორ მივიდე, რა ვუთხრა? ციდან ჩამოვარდნილივით ხომ ვერ მივადგები და ვეტყვი, გამარჯობა, შენთან დამეგობრება მინდა-მეთქი?

– მაგაზე ნუ დარდობ, მე უკვე მოვიფიქრე, ოღონდ, უარი არ მითხრა, – ლენუკას თვალები აუციმციმდა, – იმ შენობაში, სადაც კოტეს აქვს ოფისი, ერთ ჩემს ძველ მეგობარს აქვს ფირმა, ზუსტად იმავე სართულზე. ვთხოვ და სამსახურში აგიყვანს. ადრე ვუყვარდი და უარს არ მეტყვის.

– გაგიჟდი? რაზე უნდა ვიმუშაო იმ ფირმაში, დამლაგებლად?

– არა, გოგო, ეგ არც მიფიქრია, რამე უფრო შესაფერისს შეგირჩევ, ცოტა ხანს წაიმუშავე, რა, ჩემი ხათრით...

– არა მგონია, ეგ კარგი იდეა იყოს. რომც დაგეთანხმო, მერე რა მოხდება?

– თამრიკო გარეთ გამოდის ხოლმე სიგარეტის მოსაწევად. შენც ხომ ეწევი... გაიცნობ და დაუმეგობრდები, არ გაგიჭირდება. უარი არ მითხრა, იცოდე!

თიკო შეყოყმანდა, ცდუნება დიდი იყო. თვითონაც აინტერესებდა კოტეს შესახებ რაღაც-რაღაცეები, მაგრამ, შეთქმულებაში მონაწილეობა მაინც აფრთხობდა. კიტიას რომ გაეგო ამ ყველაფრის შესახებ, ოცნებას მანქანაზე ხომ დაემშვიდობებოდა, შეიძლება, საერთოდაც მიეტოვებინა.

– ჰა, რას ფიქრობ ამდენს? – ვეღარ მოითმინა ლენუკამ.

– რატომ ხარ დარწმუნებული, რომ ის კაცი თავის ფირმაში ამიყვანს?

– იმიტომ, რომ, მგონი, ახლაც ძალიან მოვწონვარ, – კეკლუცად გაიღიმა ლენუკამ, – მოკლედ, მაგაზე მე ვიზრუნებ. შენ ის მითხარი, თანახმა ხარ?

თიკომ თავი დაუქნია.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# ფლორის სამყაროში



რუბრიკას უძღვება ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ამირან ბიწაძე

ყვავილებს არ აქვთ სალაპარაკო ორგანოები, მაგრამ ისინი გულის ენას ქმნიან, რომლითაც გველაპარაკებიან და გრძნობენ.

**გოეთე**

**კითხვა: ბინაში ჰაერის გასაწმენდად განსაკუთრებით რომელ მცენარეს მირჩევთ?**

**პასუხი:** ოთახში ყველა მცენარე ქმნის ჯანსაღ გარემოს, მაგრამ, მათგან მაინც სწრაფად მზარდ ქლოროფიტუმს გამოვარჩევდი. ის ძალიან კარგად წმენდს ჰაერს. იმისათვის, რომ მცენარემ სიჯანსაღე შეინარჩუნოს და თქვენც გასიამოვნოთ, ზრდის პერიოდში გაანოიყერეთ ბალანსირებული, თხევადი სასუქით. ის კარგად იტანს ოთახის პირობებს და, მისი მოვლა არ გაგიჭირდებათ.

**კითხვა: არ მინდა, რომ აბუტილონი სიმაღლეში წავიდეს. როგორ დავაბუჩქო?**

**პასუხი:** თქვენი აბუტალონი ძალიან რომ არ გაიზარდოს, გაზაფხულზე უნდა გასხლათ. თუ წვეროებს წააჭრით, ბუჩქს დაემსგავსება, ოღონდ, იცოდეთ, რომ, ამ შემთხვევაში, შეიძლება, ის ცოტა გვიან აყვავდეს. ზაფხულში კი, აქტიური ზრდის პერიოდში, შესაძლოა, ხელახლა დასჭირდეს გასხვლა.

**კითხვა: როგორი სინათლე და ტემპერატურა სჭირდება კურკუმას?**

**პასუხი:** ამ მცენარეს კაშკაშა სინათლე და მზე სჭირდება, თუმცა, გაითვალისწინეთ, რომ გაშლილი ყვავილები ჩრდილში მეტხანს ძლებს. ზაფხულში მისთვის იდეალურია 18-23 გრადუსი, ზამთარში კი 7 გრადუსსაც უძლებს. სასურველია, თუ კურკუმას ნათელ ინტერიერში დადგამთ.

**კითხვა: არის თუ არა პრობლემური მცენარე ადიანტუმის ერთ-ერთი სახეობა – „ვენერას თმა“?**

**პასუხი:** ეს მცირე ზომის გვიმრა საკმაოდ იოლი მოსავლელია და პრობლემებსაც ნაკლებად შეგიქმნით. ის ჩინებულად ერგება სხვა მცენარეებისთვის პრობლემურ ადგილებს და ნაკლებად ნათელ ან გრილ ოთახშიც შესანიშნავად იგრძნობს თავს.

**კითხვა: მაინტერესებს, გამძლე მცენარეა თუ არა ქამეროპსი და რა ტემპერატურაზე უნდა ვამყოფო?**

**პასუხი:** ქამეროპსი ძალიან გამძლე მცენარეა. ის რამდენიმე გრადუს ყინვასაც უძლებს და ზაფხულის მწველ მზეშიც კარგად გრძნობს თავს, მთავარია, მას სინათლე არ მოაკლოთ – წელიწადის ნებისმიერ დროს მაქსიმალური სინათლე სჭირდება. რაც შეეხება ტემპერატურას, როგორც გითხარით, იტანს ყინვას, თუმცა, მისთვის ზამთარში კარგია 9-10, ზაფხულში კი 15-24 გრადუსი სითბო.

**კითხვა: ბინაში მაქვს დენდრობიუმი, რომელსაც ფოთლები დაულპა. იქნებ, ამიხსნათ მიზეზი?**

**პასუხი:** თქვენ, ალბათ, წყალი მის ფოთლებს მოახვედრეთ – ამ შემთხვევაში აუცილებლად დალპებოდა. ზაფხულში დენდრობიუმის ქოთანი კვირაში ერთხელ რამდენიმე წუთით ჩადგით რბილწყლიან ჭურჭელში და შემდეგ კარგად დაწრიტეთ; ზამთარში კი მცენარე თითქმის სრულ სიმშრალეში უნდა ამყოფოთ. დაიმახსოვრეთ, რომ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაუსველოთ ფოთლები.

**კითხვა: მაქვს სხვადასხვა სახის კალანჰოე, თითოეულ მათგანს განსხვავებული მოვლა სჭირდება თუ ყველა იდენტურია?**

**პასუხი:** კალანჰოე მართლაც ათასგვარი ფორმის, ზომისა და ფერის არსებობს. მათ შორისაა: ტომენტოსა, მანგინი, კალანდივა და სხვა. მიუხედავად ამ სახეობების გარეგნული სხვაობისა, ყველას თითქმის ერთნაირი გარემო უხდება. ასე რომ, შეგიძლიათ, ყველა კალანჰოე ერთნაირ პირობებში გაზარდოთ.

**მოამზადა**
**თეონა გოზალიშვილმა**

# ადვოკატი გირჩევთ



რუბრიკას უძღვება ადვოკატი ირაკლი გაბრიჭიძე

*უვიცობის სამეფოში თვით უწესიერესი ადამიანიც კი დამნაშავე ხდება.*

**ანატოლ ფრანსი**

**კითხვა: ბრალდების მხარის მიერ ჩატარებული იქნა ექსპერტიზა, რომლის შედეგები ეჭვის საფუძველს გვაძლევს. დაცვის მხარემ სხვა საექსპერტო დაწესებულებაში დავნიშნეთ ალტერნატიული ექსპერტიზა, მაგრამ გამომძიებელი საექსპერტო კვლევის ობიექტის გადაცემაზე უარს გვეუბნება. გთხოვთ, განგვიმარტოთ, აქვს თუ არა გამომძიებელს უფლება, უარი გვითხრას საექსპერტო კვლევის ობიექტის ექსპერტისთვის დამატებით გამოსაკვლევად გადაცემაზე?**

**პასუხი:** განგიმარტავთ, რომ, თუ საექსპერტო კვლევის ობიექტი მეორე მხარესთან ინახება, ის ვალდებულია, გადასცეს ობიექტი ექსპერტიზის ინიციატორი მხარის ექსპერტს. ექსპერტიზის ინიციატორი მხარე უფლებამოსილია, ჩაატაროს ექსპერტიზა. თუ მხარე ნებაყოფლობით ვერ იღებს, ის უფლებამოსილია, საექსპერტო კვლევის ობიექტის ექსპერტისათვის გადაცემის შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს გამოძიების ადგილის მიხედვით. შუამდგომლობა განხილულ უნდა იქნეს არაუგვიანეს 48 საათისა. შუამდგომლობის განხილვის დრო და ადგილი ეცნობება მხარეებს. შუამდგომლობის ავტორის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, შუამდგომლობა არ განიხილება. სასამართლო უფლებამოსილია, შუამდგომლობა განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე. სასამართლოს განჩინება არ გასაჩივრდება.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, რა თავისებურებებით ხასიათდება და რა მონაცემები უნდა იქნეს შეტანილი ჩხრეკისა და ამოღების საგამოძიებო ოქმებში?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ ჩხრეკის ან/და ამოღების ოქმში უნდა მიეთითოს: რა ადგილას და რა ვითარებაშია აღმოჩენილი საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი; ის ნებაყოფლობითაა გადაცემული თუ იძულებითაა ჩამორთმეული. ყველა ობიექტი ოქმში უნდა აღიწეროს რაოდენობის, წონის, ღირებულების, ინდივიდუალური და გვარეობითი ნიშან-თვისებების მითითებით. თუ ამოღების ან ჩხრეკის ჩატარებისას სცადეს, გაენადგურებინათ ან გადაემალათ მოსაძებნი საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი, ან/და თუ გასაჩხრეკმა ან სხვა პირმა წინააღმდეგობა გასწია, ეს უნდა აღინიშნოს ოქმში. ამოღების ან ჩხრეკის ოქმის ასლი გადაეცემა პირს, რომელთანაც ჩატარდა ამოღება ან ჩხრეკა, ან, მისი ოჯახის სრულწლოვან წევრს, ხოლო, მათი არყოფნის შემთხვევაში – სახლის მფლობელს ან მეზობელს, ახლო ნათესავს, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელს, რომელიც ამოღებას ან ჩხრეკას ესწრებოდა. თუ ამოღება ან ჩხრეკა ჩატარდა იურიდიული პირის ან ადმინისტრაციული ორგანოს მფლობელობაში ან დიპლომატიური წარმომადგენლობის ტერიტორიაზე, ოქმის ასლი გადაეცემა შესაბამისად ამ საგამოძიებო მოქმედების დამსწრე იურიდიული პირის, ადმინისტრაციული ორგანოს ან საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელს.

# როგორ დავიცვათ ავტომობილი სიცხით გამოწვეული პრობლემებისგან

*სიცივე ავტომობილს ძალიან დიდ პრობლემებს უქმნის, თუმცა, ამ მხრივ არც სიცხეა უკეთესი.*

*სიცხით გამოწვეულ პრობლემებზე ჩვენს რუბრიკაში ადრეც ვწერდით. მართალია, ზაფხული მიიწურა, მაგრამ, მევლუდ მელაძის*

> *ნუ ივლი მანქანით შენს მფარველ ანგელოზზე უფრო სწრაფად.*
> **მიხაილ შუმახერი**

*რჩევების გათვალისწინება მაინც სასარგებლო იქნება თქვენი ავტომობილისთვის, რადგან, ჯერ კიდევ საკმაოდ ცხელა. როგორც აღმოჩნდა, ავტომობილისთვის, ისევე, როგორც ჩვენთვის, მთავარი საშველი ჩრდილი და ხშირად წყლის მისხმაა. მევლუდ მელაძე იმ პრობლემებზე გვესაუბრება, რომლებიც სიცხეში უჩნდება ავტომობილს.*

**მევლუდ მელაძე**: დავიწყოთ იმით, თუ როგორ ზემოქმედებს სიცხე მანქანის გარეგნულ მხარეზე. თუ არის საშუალება, ეცადეთ, მანქანა ყოველთვის ჩრდილში გააჩეროთ, რადგან, როგორი ძვირად ღირებული სალებავითაც არ უნდა იყოს შეღებილი, მაინც დიდი საფრთხეა, რომ სიცხეში ის გაფუჭდეს, მით უფრო, თუ თქვენი ავტომობილი მუქი ფერისაა. თეთრი ან ვერცხლისფერი ირეკლავს მზის სხივებს და მეტად არის დაცული. სწორედ ამიტომ ღებავენ თვითმფრინავებს მხოლოდ ვერცხლისფრად. ერთი ზაფხულიც საკმარისია, რომ მუქი ავტომობილის სალებავი გახუნდეს, დაკარგული ელვარება კი ძალიან ცუდ ხასიათზე დაგაყენებთ. იგივე ემართება ფარებსაც – ისინი ძალიან იოლად ყვითლდება მზისგან. ფარების პოლირება თბილისში ძალიან პოპულარულია, ამის გაკეთება ბევრ ადგილას შეგიძლიათ, თუმცა, ნამდვილად ბევრ დროს დაკარგავთ. მზისგან პრობლემები იქმნება სალონშიც. ალბათ, ხშირად გინახავთ დახეთქილი, დაზიანებული ტორპედოც; თან, შუშას აქვს ის თვისება, რომ სიცხეს ატარებს და უკან აღარ უშვებს. ამიტომ, გირჩევთ, ფანჯრები ოდნავ ღია დატოვოთ, რომ სიცხემ გამოსვლა მოახერხოს. სიცხეში განსაკუთრებით ზიანდება ტყავის სალონი, რომელიც იოლად შრება, ხმება და მტვრევადი ხდება. ამის საწინააღმდეგოდ ძალიან კარგია სპეციალური ვერცხლისფერი სტენდები, რომლებიც, შეგიძლიათ, წინა საქარე მინას აფაროთ. მას აქვს სხივის ასხლეტის უნარი და, თანაც, საკმაოდ იაფი ღირს.

**– კონდიციონერს რომ ვრთავ, მართალია, მანქანაში გრილა, მაგრამ, როგორც კი გადმოვდივარ, ვგრძნობ, რომ გარე ტემპერატურაზე გაცილებით დიდი სიმხურვალე ამოდის ძრავის სექტორიდან.**

– კონდიციონერი სიცხეში საჭიროა, მაგრამ, უნდა იცოდეთ, რომ ძრავისა და გაგრილების სისტემისთვის ის სერიოზული დამატებითი პრობლემაა. კონდიციონერს სჭირდება ცალკე დამატებითი რადიატორი ძრავასთან, რომელიც უნდა გააგრილოს. ეს ნიშნავს, რომ ძრავასთან კიდევ უფრო დიდი სიმხურვალე იკვრება. ძრავიდან და კონდიციონერის რადიატორებიდან წამოსული და ვენტილატორებით გამოტანილი გავარვარებული სიცხე სულ ძრავასთან გროვდება. ძრავას გაგრილების დამატებითი პრობლემა აქვს და, ამიტომ, აუცილებელია, მუდმივად აკონტროლოთ ტემპერატურა, რადგან, ძალიან ადვილად ხდება მისი გადახურება. რომ გადმოვდივართ მანქანიდან, გავარვარებული ჰაერის მასა ავტომობილის ქვემოდან გამოდის. თუ მაინცდამაინც მოკლე მანძილზე უნდა გადაადგილდეთ, უკეთესია არ ჩართოთ კონდიციონერი, რადგან, ის გაგრილებას ვერ მოასწრებს. აქვე იმასაც გეტყვით, რომ, ძალიან ბევრი მძღოლი ჯერ კიდევ ზამთრის საბურავებიანი ავტომობილით დადის. თუ ნელა მოძრაობთ, შეიძლება, განსხვავებას ვერც მიხვდეთ, მაგრამ, ოდნავ ექსტრემალურად დამუხრუჭება, მოსახვევში შესვლა ან დაძვრა თუ მოგიწევთ, კატასტროფულ განსხვავებას იგრძნობთ. ამიტომ, თუ ჯერ კიდევ არ შეგიცვლიათ, აუცილებლად შეცვალეთ საბურავები.

**– რა ხდება სიცხეში ძრავის შიგნით, რასაც ჩვენ ვერ ვხედავთ და ვერ ვამჩნევთ კონკრეტულ მომენტში?**

– შეიძლება, წინა წელს თქვენი ავტომობილის გაგრილების სისტემა კარგად მუშაობდა, მაგრამ, ზამთარგამოვლილი მანქანა აუცილებლად უნდა გადაამოწმოთ. თუ წყლის ტემპერატურის მაჩვენებელი ნახევარზე მაღლა დგას, ამას, შეიძლება, ყურადღება არ მიაქციოთ. თუ ზამთარში შუაზე იდგა, ზაფხულში რომ ოდნავ მაღალი იყოს, შეიძლება, არაფრად ჩააგდოთ, მაგრამ, ეს მარტივი გაუმართაობა ძალიან სერიოზულ პრობლემად შეიძლება იქცეს. ამ დროს გაჭედილია თერმოსტატი. როგორც კი ავტომობილის დიდი დატვირთვით მუშაობა მოგიწევთ, მაგალითად, აღმართზე ნელა ასვლა ან ქალაქში პირველ-მეორე სიჩქარით სიარული, წყლის ტემპერატურა ძალიან იოლად მიაღწევს პიკს და იძულებული გახდებით, ავტომობილი გააჩეროთ, დაელოდოთ, სანამ გაგრილდება, წყალი დაამატოთ და ასე შემდეგ. შეიძლება, თერმოსტატი გალღუნული ან გაჭედილი იყოს, განსაკუთრებით იმ მანქანებზე, რომლებსაც ზამთარში მძღოლები არ აწვალებდნენ, მშვიდად დადიოდნენ და თერმოსტატს გახსნა-დაკეტვა არც უწევდა. მაგრამ, ზაფხულში, როცა მას გაღება-დაკეტვა მოუწია, შესაძლოა, ის გაიჭედოს ერთ, ოდნავ ღია პოზიციაში, რაც უზრუნველყოფს წყლის რაღაც დონეზე გაგრილებას. ამიტომ, არ გამოგეპაროთ, თუ ისარი შუის ზემოთაა.

**მოამზადა**
**სალომე გველესიანმა**



რუბრიკას უძღვება საქართველოს ეროვნული საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტი
**მევლუდ მელაძე**

> **ჟურნალი „თბილისელები" გირჩევთ:**
> ** დაფიქრდით, სანამ დაიწყებთ ავტომობილის მართვას;*
> ** ისარგებლეთ უსაფრთხოების ღვედებით;*
> ** ნუ დასვამთ მცირეწლოვან ბავშვს წინა სავარძელზე;*
> ** მართვისას ნუ ისარგებლებთ მობილური ტელეფონით;*
> *გისურვებთ უსაფრთხო მგზავრობას!*

# ვეტერინარის რჩევები

**კითხვა: რომელი ცხოველები ავადდებიან ყველაზე ხშირად ცოფით?**

**პასუხი**: ყველაზე ხშირად გარეული ცხოველებიდან ავადდებიან მელიები და მგლები, ხოლო შინაური ცხოველებიდან – ძაღლები და კატები. ისინი ინფიცირდებიან გარეული ცხოველებისგან დაკბენით ან ნერწყვის მოხვედრით დაზიანებული კანის ნაწილზე. რამდენიმე ხნის განმავლობაში ვირუსი დასნებოვნების ადგილზეა, შემდეგ კი მიჰყვება ნერვულ დაბოლოებებს და ნერვული გზით ხვდება ჯერ ზურგის, შემდეგ კი, თავის ტვინში. დაავადების სიმპტომები ვლინდება მას შემდეგ, რაც ვირუსი გავრცელდება მთელს ორგანიზმში. დაავადების კლინიკური სურათის ჩამოყალიბებას წინ უსწრებს მისი ფარული, ანუ ინკუბაციური პერიოდი. ცხოველი აღნიშნულ პერიოდშიც საშიშია. ხშირად ინკუბაციური პერიოდი გრძელდება 10-14 დღის განმავლობაში, ხოლო ადამიანში მისმა ხანგრძლიობამ შეიძლება, შეადგინოს ერთ წლამდეც კი. მოხვედება რა ცოფის ვირუსი თავის ტვინში, იქიდან ისევ ნერვის გავლით ხვდება სანერწყვე ჯირკვალში, სადაც ხდება მისი აქტიური პროდუცირება და გამოყოფა ნერწყვთან ერთად. კლინიკური ნიშნების გამოვლინებამდე 10 დღით ადრე შეიძლება, დაიწყოს დასნებოვნებულმა ცხოველმა ვირუსის გამოყოფა.

**კითხვა: შემოდგომაზე, კვების რაციონის შეცვლა ყველა ჯიშის ძაღლისთვის ერთნაირად საჭიროა თუ განსხვავებული აზრიც არსებობს?**

**პასუხი**: კვების რაციონის შეცვლა განსაკუთრებით იმ ცხოველებისთვის არის საჭირო, რომლებიც ეზოს პირობებში იმყოფებიან, რადგან ეზოს ძაღლები გაცილებით მეტ ენერგიას ხარჯავენ. რაციონის შეცვლა გულისხმობს მისი ენერგეტიკული ღირებულების მომატებას, ანუ მისი ყუათიანობის გაზრდას, რაც აისახება მასში შემავალი ინგრედიანტების გამრავალფეროვნებითა და ხარისხიანობით. ამ პერიოდისთვის მართლაც სასურველია, ვიტამინებისა და მინერალების მიცემა, მაგალითად, მულტივიტამინებისა და მინერალების კომპლექსის სახით. ეს კი უზრუნველყოფს იმუნიტეტის, ორგანიზმის ბრძოლისუნარიანობის გაზრდას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აღნიშნული პერიოდისთვის. უნდა გაითვალისწინოთ, რომ ტემპერატურის დაცემასთან ერთად, დამახასიათებელია ქრონიკული დაავადებების გამწვავება. ასევე, ამ დროს ხდება ბეწვის ცვენა, რაც დაკავშირებულია შემოდგომის „ლინკის" პერიოდთან. ამიტომ, ვიტამინების მიცემა აუცილებელია, რადგან ის უზრუნველყოფს აღნიშნული პრობლემების შემცირებას და ბეწვის ხარისხის გაუმჯობესებას. „ლინკის" პერიოდი ასევე დამოკიდებულია იმაზე, თუ ცხოველი რა პირობებში ცხოვრობს. ანუ, ძაღლი, რომელიც ქუჩაშია და მასზე მოქმედებს მზის სხივები და გარემო ტემპერატურის ცვალებადობა, მისთვის აღნიშნული პერიოდი უფრო მალე მთავრდება იმ ძაღლებთან შედარებით, რომლებიც ოთახის პირობებში არიან. ასევე, მნიშვნელობა აქვს ჯიშს. მაგალითად, პუდელს ნაკლებად აღენიშნება შემოდგომაზე ბეწვის ხშირი ცვენა, ხოლო ლაბრადორსა და დალმატინელს ეს მთელი წლის განმავლობაში ახასიათებს.

**მოამზადა**
**მარიკა ხიდურელმა**



რუბრიკას უძღვება
ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი
**ზაქრო ბაჯიაშვილი**

> ადამიანებს ისევე რომ უყვარდეთ, როგორც ძაღლებს, სამყარო სამოთხედ იქცეოდა.
> **ჯეიმს დუგლასი**

# კაცობრიობის გადასარჩენად

გაგრძელება. დასაწყისი
იხ. „თბილისელები“ №29-37(716)

– შინ მიგიყვან, – ვუთხარი და ეფრემოვის ქუჩისკენ ავიღე გეზი.

– ცოცხალია? – მკითხა 15-წუთიანი დუმილის შემდეგ

– ჰო.

– იქნებ ღამე მეგობართან გავათიო?

თვალებში შიში შევატყვე.

– მითხარი, ვარა, ეგორ კაზაკოვი, იგივე კაბანი, სიტყვის კაცია?

– რატომ მეკითხები?

პასუხი არ გამიცია. ჩაფიქრდა და ცოტა ხანში მითხრა:

– ალბათ... ყოველ შემთხვევაში, ტყუილი არასოდეს უთქვამს.

– მაშინ, მშვიდად იყავი. შინ წადი – ის აღარ შეგაწუხებს!

– თვითონ გითხრა?

– ასე ვთქვათ.

ვარვარა კვლავ ჩაფიქრდა.

– მითხარი, ალექს, ეს როგორ მოახერხე?

– რა?

– ეგორს თავი გაუტეხე და თანაც აიძულე, ჩემზე უარი ეთქვა.

– დამიჯერე, მეორე პირველზე ძნელი არ ყოფილა.

სახეზე წყენამ გადაურბინა, მაგრამ შეეცადა, არ შემეჩნია.

– რამდენი ხანია, შენ და ეგორი ერთად ხართ?

– 5 წელი იქნება.

– ესე იგი, სანამ ვილაც რიმსკის „სახალხო ტაძარში“ არ გაერთიანდებოდით, ულრუბლოდ ცხოვრობდით, არა?

– ჰო.

– მერე რა მოხდა?

– არაფერი... უბრალოდ, ეგორს არ უყვარს, როცა შინ არ ვზივარ და ქადაგებებზე სიარულს ამიტომ მიკრძალავდა.

– თუმცა, თავიდან, როცა „წითელ კარავში“ გაერთიანდი, არაფერი უთქვამს, არა?

ვარვარამ დაკვირვებითა და ეჭვით შემათვალიერა, მაგრამ მე მის გამოხედვას კარგად გავუძელი – წარბიც არ შემიხრია.

– განა ამის შესახებ თვითონ გითხრა? დაუჯერებელია... შენ მას თავი გაუტეხე.

– არა. ამას თვითონ მივხვდი, შენი საუბრიდან. შენ მითხარი, ბოლო დროს ქადაგებაზე სიარულს მიკრძალავსო...

– ასე გითხარი?

– ჰო.



– არ მახსოვს.

– ის ხომ გახსოვს, რაღაცის მოყოლას რომ აპირებდი და ეგორმა შეგაწყვეტინა.

ვარვარა დადუმდა და ფანჯრიდან განათებული პროსპექტის თვალიერებას მოჰყვა.

– ვარა, რატომ გიკრძალავდა ეგორი „სახალხო ტაძარში“ სიარულს?!

– უკვე გითხარი, არ უყვარს, როცა სახლიდან ხშირად გავდივარ... თანაც „წითელ კარავში“ თუ შედგი ფეხი, ფაქტობრივად, შინ ველარ შეხვალ და კომუნაში უნდა იცხოვრო.

– როგორც რომა, არა?

– დიახ.

– კარგი... რადგან „ვერ გაიგე“ შეკითხვა, ახლა სხვანაირად გკითხავ: რატომ ითმენს მამა ვლადი ურჩ და თავნება ეგორ კაზაკოვს თავის გარემოცვაში?

– ის ძალიან ძლიერია და თავის მოვალეობას კეთილსინდისიერად ასრულებს.

– ისე კეთილსინდისიერად, რომ სვამს და თანაც, როგორც ხედავ, არც ისეთი ძლიერია, თუ ერთ ჩვეულებრივ მოქალაქეს შეუძლია, ჩვეულებრივ ბარში, ჩვეულებრივად მოცელოს და მწყობრიდან გამოიყვანოს?!

– ჩვეულებრივი მოქალაქე?! – ვარვარამ ეჭვით შემომხედა, – ჩვეულებრივი მოქალაქეები იარაღით არ დადიან.

ბრაზმა წამომიარა და, ალბათ, ვარვარას მანქანიდან გადავსვამდი, რომ არა ჩემი მისია, რომელიც უპირველესი იყო.

– შენ გავიწყდება, რომ შეგპირდი, იგორს ჩამოგაშორებ-მეთქი. კარგად იცი, რომ ეგორთან დაპირისპირება შიშველი ხელებით საშიშია... ამიტომ იარაღი ორი დღის წინ შევიძინე.

– მართლა? – შევატყვე, ესიამოვნა და მოლბა:

– ოჰ, საშა... მაპატიე, ჩემ გამო საფრთხეში ჩაიგდე თავი.

ეს მისი მიმართვა უკვე მაღიზიანებდა. თანაც, მივხვდი, რომ ჩემი დაჟინებული კითხვები ეჭვს უფრო გაუღრმავებდა, ამიტომ დროებით უკან დავიხიე, რადგან ძირითადი უკვე ეგორისგან იყო ჩემთვის ცნობილი.

– ახლა რას აპირებ?

– არ ვიცი... ეგორს მაინც ვერ ვენდობი.

– მოკლედ, ვარა, თუ „წითელ კარავში“ დაბრუნდები, ეგორი ველარ შეგაწუხებს. ამას მე გპირდები!

– მეშინია, საშა... ეგორმა რომ რამე დამიშავოს?

– ნუ გეშინია, შენ გვერდით ვიქნები... ანუ, იმის თქმა მინდა, რომ, თუ რეკომენდაციას გამიწევ მამა ვლადთან, იქნებ „წითელ კარავშიც“ მოვხვდე.

ვარვარა შეიშმუშნა, შევატყვე, ყოყმანობდა.

– მართალი გითხრა, „წითელი კარვის“ წევრად ყოფნა აღარ მინდა.

– შენ მე მაოცებ, ვერა! ამ გზაზე შენ დამაყენე და ახლა უკან იხევ?! ასე არ გამოვა... მე უკვე გადაწყვეტილი მაქვს ყველაფერი და შენ ამაში დამეხმარები!

– კარგი! შენ გამო „წითელ კარავში“ დავბრუნდები!

მანქანა 14-სართულიან კორპუსთან გავაჩერე. ვარვარამ მაკოცა და გადასვლისას მითხრა:

– ორ დღეში დაგირეკავ, საშა, ჯობია, ეგორი ჯერჯერობით აღარ გავაღიზიანოთ... პარასკევს კი მამა ვლადის ოფისში ერთად წავიდეთ.

„ეგორმა სწორი გადაწყვეტილება მიიღო!“ – გავიფიქრე და მანქანიდან გადასულ ვარვარა ანტონოვნას დავაწიე: – შენს ზარს დაველოდები!

***

მეორე დილით ნასტიამ დამირეკა. ვუთხარი – მდინარე მოსკოვმა კალაპოტი შეიცვალა-მეთქი. ქარაგმას მიმიხვდა და სალამოს 8-ზე შენთან გამოვალო, მითხრა. მანქანით დახვედრა შევთავაზე, მაგრამ, ჩვეულებისამებრ, იუარა.

გაცრეცილი დღე იდგა. მონაცრისფრო-მოიისფრო ღრუბელი გადაჰკვროდა ჩრდილოურ ბაც ცას. მალე დაიქუხა და მსხვილი წვეთები დაუშვა. ფანჯარა გამოვაღე. თბილ, ჟუჟუნა წვიმას მონატრებული მიწის სურნელი მე-7 სართულზეც კი ვიგრძენი. შეიძლება, მომეჩვენა კიდეც... ისე მომენატრა ჩემი მზედალეული მთაბარი... ლურჯი ცა, თბილი, მეგობრული და ტალღებით მოთამაშე ზღვა. „ერთი ეს საქმე მიმაყვანინა ბოლომდე... და თუ ცოცხალი გადავრჩი, საქართველოში დაბრუნებული, ბათუმისკენ გავეშურები. ბათუმი... მისი მწვანე და პატარა ქუჩები, ზღაპრული, თბილი ქალაქი... რა შორეული ჩანს, როცა მოსკოვს გადაჰყურებ, რომელზეც მდინარე გველივით მიიკლაკნება და კრემლის მრგვალი, ბოლოკა გუმბათები მოჩანს შორიდან.

ძლივს გადავაგორე დრო 8 საათამდე. შინაყუდა არასდროს ვყოფილვარ. გული ვერაფერს დავუდე. შუადღისას გამოვედი, მანქანა დავქოქე და კუტუზოვის ქუჩაზე „ღვინის გალერეაში“ შევიარე. ხის თაროებსა და მუხის ძველებურ კასრებზე ჩამწკრივებულმა ღვინის ბოთლებმა და მათმა სურნელმა კიდევ ერთხელ გამახსენა სამშობლო. სხვადასხვა ფრანგული ღვინიდან ორი ბოთლი – 1991 წელს ჩამოსხმული „ვინ დუ ცარი“ და ორიც – შინაური „ლუი როდერერი“ შევარჩიე და კვლავ დავბრუნდი. ფრანგული ღვინო ჭიქაში ჩამოვარაკრაკე, ფანჯრის რაფაზე ჩამოვჯექი და ორი ყლუპი მოვსვი. ჩემს თავზე გამეღიმა – ღვინოს ქართველივით სუფრასთან როდი ვსვამ... ნამდვილი ინგლისელივით ვიქცევი... მაგრამ ვიცი, მაინც არ გადავჯიშდები და კიდევ ვიმეორებ გულში: „ერთი, ეს საქმე ბოლომდე მიმაყვანინა და ვარვარას კი არა, გორგონასაც ჩავიწვენ ლოგინში!“ ვარვარას ხსენებაზე ნიშატი წამიხდა, ღვინოც ველარ მშველის. მაგრამ თავს იმით ვიმშვიდებ, რომ მალე ნასტენკა მოვა და ბავშვივით სუფთა ხმით მკითხავს – აბა, ალექსანდრ, როგორ არის საქმე? სამწუხაროდ, მხოლოდ ამას მკითხავს.

წვიმიან მოსკოვში ღამე მიწიდან ცისკენ მიიზიდება და არე-მარეს უცებ აშავებს. ბინების ფანჯრებში ერთიმეორის მიყოლებით ინთება სინათლე. ბანერების, რეკლამებისა და ლამპიონების შუქებზე ბრწყინავს სველი ასფალტი. გუბურებში ფერადი შუქი ირეკლება, მანქანები შხუილით დაქრიან ფართო პროსპექტებზე. ჩემი სახლიდან მოსკოვის თითქმის ერთი მეოთხედი მოჩანს... ეს კი ძალიან „ბევრია“ იმ ადამიანისთვის, ვინც მთელი ცხოვრება მთაწმინდას შესცქეროდა ფანჯრიდან...

ნასტია 9-ის ნახევარზე მოვიდა. ზუსტად ვიცი, იმიტომ, რომ 7 საათის მერე ყოველ 5 წუთში საათს ვაკვირდებოდი.

– აბა, ალექსანდრ, როგორ არის საქმე? –

ჩამოჯდა თუ არა, იკითხა.

გამეცინა.

– იქნებ ჯერ გვევახშმა, სამსახურიდან მოდიხარ...

– რა გაქვს?

– პერმული პელმენები, სოჭის არაყანი, იტალიური პიცა, რომელსაც მიკროტალღურ ღუმელში 10 წუთი სჭირდება, რათა „ფორმაში მოვიდეს“... და ბოლოს, „ლუი როდერერი“.

– წითელი ღვინო მირჩევნია, – გაეღიმა ნასტიას და სამზარეულოში შემომყვა.

– ძალიან უხერხულად მოძრაობ სამზარეულოში, – გაეღიმა, როცა ქურა ჩავრთე და პელმენების მოსახარშად ქვაბი დავდგი.

– ჰო... სამზარეულო ის ადგილი არ არის, სადაც ჩემი ფანტაზია ფრთებს გაშლის.

– ეგეთი ადგილი სად არის? – ეშმაკურად მოწკურა თვალები.

– სად არის და... ბევრგან, მაგალითად, ზღვის სანაპიროზე, მდინარესთან, მთაში, მინდორში, ტყეში... ლოგინში, თუ მარტოს არ მძინავს.

– მაინც შენებურად გადაამლაშე...

– რა ვქნა, სიმართლის თქმა მიყვარს, – ვიმართლე თავი.

– ნამდვილი მექალთანე ხარ, – თითი დამიქნია ნასტიამ, – შენნაირებს არ ვენდობი!

– ძალიანაც ცდები... არც მექალთანე ვარ და არც ღალატი მჩვევია.

– ისე, მართლა, ალექსანდრ, უკვე 35 წლის ხარ... ნუთუ არავინ გყვარებია?

ნასტიას შეკითხვამ მოგონებები ამიშალა და ხუმრობის ხალისი ჩამიქრო.

– იყო ერთხელ... მაშინ 22 წლის ვიყავი, – სკამზე ჩამოვჯექი და ვთხოვე: – იქნებ მიკროტალღურ ღუმელში შეგეხედა... მგონი, პიცა გამოცხვა... მე ამაში ვერ ვერკვევი.

ნასტია წამოდგა, ღუმელის კარი გამოაღო და გამომრთველ ღილაკს დააჭირა ხელი.

– უკვე მზად არის... გუნება გაგიფუჭდა, ალბათ, სევდიანი ამბავია, არა?

– არა, უფრო კომიკური.

ნასტიამ იჭვნეულად გაიქნია თავი.

– არ გჯერა? მოგიყვები და ნახავ.

– გისმენ.

– მე-2 კურსზე ვიყავი, ჩემი ინსტიტუტელი მომეწონა. დავუახლოვდი. მალე მოწონება ორმხრივ სიყვარულში გადაიზარდა. ისე იქცეოდა, მეგონა, ჩემზე გიჟდებოდა. მერე შინ მივიყვანე, ჩემი ოჯახის წევრები გავაცანი. როცა წამოვედით, მითხრა, საუკეთესო ოჯახი გყავს, ძალიან მომეწონაო და ამ სიტყვებს სხვათა შორის მოაყოლა, – ოჯახს რომ შევქმნით, სად უნდა ვიცხოვროთო. ჯერჯერობით ჩემებთან და მერე ვნახოთ-მეთქი, ვუთხარი. ერთ კვირაში გათხოვდა... ვიღაც დედისერთა, მდიდარ ბიჭზე. არადა, ერთი წელი ვხვდებოდით ერთმანეთს... წინა დღეს სახლამდე მე მივაცილე. ის კი მეორე დღეს სხვას გაჰყვა, – თხრობა დავამთავრე, ჩაფიქრებულ ნასტიას გავხედე და გავუღიმე, – განა სასაცილო არ არის?!

– არა! – სრული სერიოზულობით მიპასუხა და მკითხა: – ... და მას შემდეგ სერიოზულად არავისზე გიფიქრია, ასეა?

– ჰო, ასეა.

– შენც ჩემსავით გაგტეხია გული...

– არც მთლად ასეა საქმე: გული მთელი მაქვს და სიყვარულს ელის.

– ფრთხილად იყავი, ვარვარა არ შეგიყვარდეს! – მაინც გამკრა კბილი.

თუმცა, ვარვარას ხსენებაზე ისეთი სახე გამიხდა, რომ აღარ გააგრძელა.

– ჰო, მართლა, ვახშმის შემდეგ უნდა წავიდე, მამას გული აწუხებდა დილიდან, არ მინდა, ძალიან დავიგვიანო. ამიტომ მომიყევი, რა მოხდა, – ნასტიამ თეფშები მაგიდაზე დააწყო და მრგვალფირფიტიანი საჭრელით პიცის „ხაზვას“ შეუდგა.

– მოხდა ის, რომ მე და ეგორ კაზაკოვი ერთმანეთს შევხვდით... ეს მოულოდნელი შეხვედრა მე მსუბუქ ტვინის შერყევად, მას კი გატეხილ თავად და ჩაჭეჭყილ „კვერცხებად“ დაუჯდა.

– რას ამბო, ალექსანდრ! – ნასტიას ლამის ლუკმა გადასცდა და ჩანგალი თეფშზე დადო. – და შენ ასე მშვიდად ლაპარაკობ ამაზე?!

– დამშვიდდი, ნასტია. თუმცა, ეგორ კაზაკოვი ლეონიდ ტაბნიკოვივით (ტაბნიკოვი – ყველაზე მაღალი ადამიანი ევრაზიის კონტინენტზე) ახმახია, მაგრამ არც ისეთი მოხერხებულია, რომ მცემოს ან რამე დამიშავოს. თანაც, რუსული ანდაზის არ იყოს, „ცუდი კარგის გარეშე არ არსებობს“ – მე ვარვარას გავუხსენი გზა „წითელი კარვისკენ“ და ვარვარა მე გამიხსნის გზას ვლად რიმსკისკენ. აბა, როგორია.?

– საუცხოოა, თუ ეგორმა მანამდე საიქიოს არ გაგისტუმრა...

– ეგორი თითსაც აღარ გაანძრევს – ანგარიში გასწორებულია!

ნასტია ჩაფიქრდა და ორწუთიანი პაუზის შემდეგ მკითხა:

– ალექს, როგორ ფიქრობ, კაბანს საყვარელი წაართვი, ის კი მშვიდად იჯდება და გულხელდაკრეფილი გიყურებთ, როგორ ივლით შენ და ვარვარა ხელიხელჩაკიდებულები „სახალხო ტაძარში“?!

– საქმეც ეგ არის, რომ კაბანს ვარვარა აღარ სჭირდება, მე „დამითმო“, – ირონიულად გამეღიმა და უცბადვე დავაყოლე: – თუმცა, იგივე არ გაუკეთებია, როცა ვარა ანტონოვნას ვლად რიმსკისთან შეუსწრო... ალბათ, უკვე დაიღალა.

– რაო?! – ნასტიას გაკვირვებისგან თვალები გაუფართოვდა. – აი, თურმე რატომ უკრძალავდა ამ ქალს „წითელ კარავში“ ყოფნას და ქადაგებებზე სიარულს!

– და აი, რატომ ითმენენ ეგორ კაზაკოვის თავნებობას რიმსკის წითელკარველები... შიშობენ, რომ ეგორი ამ ამბავს „სახალხო ტაძრის“ მრევლში გაახმაურებს იმ შემთხვევაში, თუ სამსახურიდან დაითხოვენ.

– ახლა ყველაფერი ნათელია...

– დიახ, და ისიც ნათელია, რომ რომა აკოინიკოვს არ გაუვიდა ნომერი – კაბანი არც ისეთი სულელია, იმ ვარვარას გამო, რომელმაც ორჯერ უღალატა, შარში ჩაიგდოს თავი, მით უმეტეს, თუ მისი მეტოქე ადვილი საცემი არ არის.

– ყველაფერი თავისთავად დალაგდა, – ნასტიამ წითელი ღვინით სავსე ჭიქას წამოავლო ხელი, – გილოცავ, ალექსანდრ, წისქვილმა ჩვენს სასარგებლოდ დაიწყო დაფქვა.

– გმადლობ, ნასტენკა... იმედია, მალე რიმსკის ნდობას მოვიპოვებ, თანაც ისე, რომ კაბანის მოშორება აღარ დამჭირდება – მისი გატეხილი თავი ამჯერად უფრო კარგი მოკავშირეა, რადგან ძალიან გაახარებს რიმსკისა და თეთრთავა რომას.

ღამის 11 საათი იყო, ჩემი ბინიდან რომ გამოვედით. ნასტიას მარტო გაშვებაზე ამჯერად ცივი უარი ვუთხარი და აღარ შემწინააღმდეგებია. ქუჩები აღარ იყო ისეთი გადატვირთული, როგორც პიკის საათებში იცის მოსკოვში, მაგრამ მანქანა მაინც ნელი სვლით მიმყავდა – ვცდილობდი, ნასტიასთან ყოფნის წუთები გამეხანგრძლივებინა, თანაც, ცარიელ ბინაში დაბრუნებაც არ მეხალისებოდა. აფსუს თბილისი! მარტო ვინ დაგტოვებს – ეზოდან ძმაკაცი შემოგძახებს, ტელეფონით ნათესავი შეგეხმიანება, ხოლო კარზე მეზობლის ზარი არ მოგაკლდება.

ნასტია ჩუმად იყო... ალბათ, ჩვენს საქმეზე ფიქრობდა... ან იქნებ... თუმცა, არ მიყვარს ვარაუდების გამოთქმა, როცა საქმე ქალს ეხება. მისმა სიჩუმემ ოდნავ დამძაბა და გადავწყვიტე, ცოტა გამებრაზებინა.

– აბა, ნასტენკა, როგორ მიდის „კოსმოპოისკში“ საქმე – უცხოპლანეტელებს ისევ დასდევთ? ან იქნებ დაიჭირეთ კიდეც ერთი-ორი...

– სულაც არ არის სასაცილო! – როგორც ვვარაუდობდი, ოდნავ გაბრაზდა, – ჩვენ უცხოპლანეტელებს კი არა, ანომალიურ მოვლენებს ვიკვლევთ და მერე კოსმოსურ ძალებთან ვაკავშირებთ.

– ძალიან საინტერესო სამუშაო გქონიათ... სახელიც ძალიან უცნაური ჰქვია...

– როგორი?

– როგორ გითხრა... არაყოველდღიური... თუ შეიძლება, ასე ითქვას. ცოტათი მეცინება კიდეც.

– სულ ტყუილად! შენ არ იცი, დედამიწაზე უამრავი ისეთი რამ ხდება, რასაც ლოგიკასთან საერთო არაფერი აქვს, ანუ ლოგიკას არ ექვემდებარება.

– მაგალითად?

– მაგალითად... შარშან ზაფხულში ყირიმის ნახევარკუნძულის ფენომენზე ვმუშაობდით და მთებში მცხოვრები უძველესი რასის – ჯენტაიფასას კვალს ვიკვლევდით, რომლებიც ოქროს აკვნის მფლობელ ნახევარღმერთებად მიაჩნდათ, რადგან ადამიანებს არ ჰგავდნენ.

– კარგი რა, ნასტია! ასეთი ზღაპრების ბავშვობიდან არ მჯერა, – სკეპტიკურად განვუცხადე.

– შენ რა, ეს ზღაპარი გგონია?! იმ ტერიტორიაზე აღმოჩენილია აკუსტიკური გამოქვაბულ-ორმოები, რომლებიც მიახლოებისას ისეთ ხმას გამოსცემს, რომ ადამიანის ფსიქიკურნევროზულ მდგომარეობას ამწვავებს და იქიდან გამოქცევის სურვილს გიჩენს. ალბათ, მა-




## ნათელმხილველი - ნელი ბიჩიკაშვილი

თუ ბევრი გასაჭირი დაგატყდათ თავს, როგორიცაა უბარაქობა, ბედის ჩაკეტვა, უშვილობა, ჯადოს ზემოქმედება, ნარკომანია, ლოთობა, კაზინოდამოკიდებულება და სხვა. მიმართეთ ნათელმხილველ ნელი ბიჩიკაშვილს! ქალბატონი ნელი იმ ერთეულთა შორისაა, ვისაც შეუძლია უზუსტესად იწინასწარმეტყველოს თქვენს თავს დატეხილი უბედურების მიზეზი და ამ მიზეზის განეიტრალება მოახდინოს... ქალბატონმა ნელიმ ბევრ უშვილო წყვილს აჩუქა შვილის ყოლის ბედნიერება....

*ჩაწერა ხდება წინასწარ.*

**ტ: 214-20-65 (ბინა). 593-30-65-51, 599-20-37-64, 597-10-23-37.**



თი საშუალებით იცავდა ჯენტაიფასა ვილაცის ან რალაცისგან საკუთარ ტერიტორიას.

ამას გარდა, „კოსმოპოისკში“ ნიჭიერი ადამიანები მუშაობენ, მეცნიერები, სწავლულები... მათი მტკიცებით, ატლანტიდა სულაც არ არის მითი – ის სანტარინის კუნძულზე მდებარეობდა და ვულკანის ამოფრქვევის შედეგად წარმოქმნილმა ცუნამიმ გაანადგურა...

ახლა ყველაზე მნიშვნელოვანი რამ უნდა გითხრა, რაზეც ამჯერად მუშაობს „კოსმოპოისკი“. ეს არის წმინდა გრაალი. ხომ არ გგონია, რომ ის მართლა თასი ან ფიალაა, რომლითაც იესომ ღვინო დაალევინა მოწაფეებს?

– მაშ, რა არის?

– ეს არის ქვა, რომელიც კოსმოსიდან ჩამოვარდა, რადგან შემადგენლობით დედამიწური წარმოშობა არ აქვს და მისი მეშვეობით ადამიანს შეუძლია ტელეპათიური უნარის პროვოცირება.

– არ მგონია, ეს ქვა ვინმეს ენახა... მგონი, რაღაც მითებს ყვები, ნასტია, – შევაწყვეტინე სიტყვა ძალიან შთაგონებული სახით მოსაუბრეს.

– ნახეს კიდევაც და ნახევრად გამოიკვლიეს... თუმცა დაახლოებით ნახევარი საუკუნის წინათ დაიკარგა.

– კარგი, ნუ ცხარობ, ქირსაც წაუღია ეგ რალაც საკრალური ქვა... ამაზე ხომ არ უნდა ვიკამათოთ მე და შენ.

ნასტია გაჩუმდა.

– თუმცა, მაინც ვერ ვხვდები, თქვენი ორგანიზაცია ვლად რიმსკის მასწავლებლით რატომ დაინტერესდა... ნუთუ ფიქრობთ, რომ ისიც კოსმოსიდან მოვიდა დედამიწაზე?!

– დრო მოვა და ამაზე ველარ გაიცინებ, იმიტომ რომ, დარწმუნდები, – ეს მოვლენა თუ ფენომენი ადამიანის გონებისთვის ისეთივე მიუწვდომელია, როგორც სამყაროს სრულყოფილი აღქმა.

– ეჰ, ნასტია... მე კი ვფიქრობ, რომ საზოგადოება იმაზე ადვილი მოსატყუებელია, ვიდრე ჩვენ გვგონია. საერთოდ, ბრბო უფრო ადვილი სამართავია, ვიდრე ერთი ადამიანი. მისი ფსიქოლოგია კარგად ვიცი. საკმარისია, მოუწოდო, ვინმე ჩაქოლონ, რომ ბრბო წამსვე მზად არის, ეს გააკეთოს... იმიტომ, რომ საკმაოდ ბევრი თავი აქვს იმისთვის, რომ რამეზე დაფიქრდეს და – საკმაოდ ბევრი თვალი იმისთვის, რომ სინათლე სიბნელისგან გაარჩიოს...

– ნასტიას აღარაფერი უთქვამს, მოვედით, მანქანა გამაჩერებინა და გადასვლისას მომაძახა:

– ეგორს მაინც მოერიდე, ალექსანდრ!

– კარგი, – თავი დავუქნიე და ჩემთვის ჩავილაპარაკე: – რომ იცოდე, კაბანი მართლა ტახივით უცოდველია აფთარ აკონიკოვთან შედარებით... აი, ვის უნდა მოვერიდო.

მანქანა საბურავების ხრჭიალით შემოვაბრუნე საპირისპირო ზოლზე და მანქანების კოლონაში შევერიე.

***

როგორც დამითქვა, ვარვარა ანტონოვნამ, მართლაც, ორი დღის შემდეგ დამირეკა და მითხრა, რომ „მამა“ ვლადი მშენებარე რიმგოროდიდან, რომელიც 5 საათის სავალზე იყო მოსკოვიდან, პარასკევს 6 საათისთვის დაბრუნდებოდა და შეხვედრა პარასკევს 5 საათისთვის დავთქვი. შევატყვე, არ ესიამოვნა, მისი ნახვა იმ დღესვე რომ არ მოვინდომე. მაგრამ ვარა უკვე მუჭში მყავდა მოქცეული და მის ხუშტურებს იმდენად აღარ ვაქცევდი ყურადღებას, მით უმეტეს, რომ მისი ნახვა სიამოვნებას არ მანიჭებდა.

პარასკევს ეფრემოვის ქუჩაზე, სახლთან მივაკითხე. როგორც კი ჩაჯდა, წყენით შემომხედა:

– ველარ გცნობ, საშა, ამ ბოლო დროს ცივად მექცევი.

– გეჩვენება, ძვირფასო, – გადავიხარე და მისი ეჟვი რომ გამექარწყლებინა, ყურის ბიბილოსთან, ყელზე ვაკოცე, – თუმცა, ეს შეიძლება იმის ბრალიც იყოს, რომ გამუდმებით „სახალხო ტაძრის“ წევრობაზე ვფიქრობ. იცი, ვარა, გადაწყვეტილება მივიღე, მამა ვლადის ერთ-ერთი რჩეულთაგანი მინდა, გავხდე და კომუნაში სხვებთან ერთად ვიცხოვრო.

– მერე ჩვენ? – მკითხა ხმის კანკალით.

– ნუ წუხხარ, ყველაფერი კარგად იქნება! – ჩემი პასუხი, თუმცა ოპტიმისტურად ჟღერდა, საკმაოდ შორს იდგა კონკრეტიკისგან. მიუხედავად ამისა, ჩემმა ამაღლებულმა ტონმა გაჭრა და აღარაფერი უკითხავს.

6 საათი იქნებოდა, როცა ძველი სინაგოგის შენობასთან გავაჩერე მანქანა... ალექსეის საშვის მოთხოვნა არც უფიქრია, ისე შეგვიშვა. დარბაზი თითქმის შევსებული იყო. ამაღლებულ ადგილზე, ელიტჯგუფის წევრებს შორის რომა აკონიკოვის თეთრი თავი შევნიშნე, რომელიც, ალბათ, წარსულში წითური თმით იყო „დაფარული“. ამ ვარაუდის თუ მოსაზრების საფუძველს მისი გახუნებული ნარინჯისფერი წარბები და წამწამები მაძლევდა. იმანაც შეგვამჩნია და, ჩემს გასაკვირად, ჩვენკენ ღიმილით გამოემართა:

– საღამო მშვიდობისა, ვარვარა, – მიესალმა თანაკლასელს და მეც შემომაცეცა წვრილი წყვილი თვალი. – როგორ ხარ, ალექსანდრ?

– გმადლობ, კარგად, – თავს ძალა დავატანე, რომ ზრდილობიანი პასუხი დამებრუნებინა. რა თქმა უნდა, მაშინვე მივხვდი მისი ასეთი სახეცვლილების მიზეზს.

– მამა ვლადი უკვე მოვიდა? – ცივად შეხვდა ვარვარა.

– აქ არის... მალე გამოვა, – რომა შეყოვნდა და ვარვარას კვლავ შეჰლიმა: – რადგან მოხვედი, ალბათ, უკვე იცი, რომ ეგორ კაზაკოვი დღეს არ იქნება... არც ხვალ და არც ზეგ...

– რატომ? – ვარვარა ანტონოვნამ ისეთი გაოცებული სახე მიიღო, რომ მეც კი დამაეჭვა, 5 დღის წინანდელი ამბავი ხომ არ დაავიწყდა-მეთქი.

– ვილაცას ისე მაგრად ჩაურტყამს, ალბათ, ერთთვიანი წოლითი რეჟიმი გარანტირებული აქვს.

– მართალა?! – ვარვარამ კვლავ გაიოცა, – მერე მამა ვლადს ვინ იცავს?

– ჩვენ, მისი გარემოცვა... როგორც ვიცი, ეგორ კაზაკოვი თავის მოვალეობის შესრულებას აღარ აპირებს, ამიტომ მამა ვლადს დროებით ჩვენ დავიცავთ, სანამ მის შემცვლელს არ ვიპოვით.

კისერზე ძარღვები დამეჭიმა, ისე დავიძაბე. მივხვდი ჩემი მოქმედების გადამწყვეტი დრო დამდგარიყო და თვით განგებამ მომცა დიდი შანსი, ამიტომ რომას მეგობრულად გავუღიმე, არც ვაციე და არც ვაცხელე, ისე ვკითხე:

– რომან ნიკოლაევიჩ, იქნებ მე გამოგადგეთ რამეში? – სპორტული თანრიგი მაქვს მძლეოსნობაში და, ამასთან, მიზანში სროლა ჩემი ჰობია.

– მართლა? ვნახოთ... მამა ვლადს დაველაპარაკები! – მითხრა და გაგვშორდა.

„ოჰო, ეს სულ სხვა ლაპარაკია! – გავიფიქრე და ცოტაღა დამაკლდა, ხელები მომეფშვნიტა. – ვიცი, რამაც შეცვალა ასე ეს იქედნესნაშობი – საძულველი ეგორ კაზაკოვი თავიდან მოიშორა და ამას მე მიმადლის“.

– თუ სპორტსმენი იყავი, რატომ არ მითხარი? – ჩამჩურჩულა წყენით ვარვარამ.

– არ ვიცი... ალბათ, იმიტომ რომ, არ მიყვარს საკუთარ თავზე ლაპარაკი.

წინა ადგილები სულ შევსებული დაგვხვდა, ამიტომ მე და ვარვარა ანტონოვნა უკანა რიგში ვისხედით. მალე „მამა“ ვლადი გამოჩნდა... კვლავ თეთრებით შემოსილი, მხოლოდ პერანგი ეცვა ცისფერი. „სახალხო ტაძრის“ რჩეული საზოგადოებას დიდი სიყვარულითა და ხელების ქნევით მიესალმა და თავისი „ფართო“ და „განიერი“ სიტყვა დაიწყო. საკმაოდ ბევრჯერ „გადაჰკრა“ მიმართვის დროს, რომ ღვთის რჩეული იყო, რომ, როგორც რჩეულს, პასუხისმგებლობა ეკისრა ღვთისა და საკუთარი მრევლის წინაშე. ბოლოს საუბარში რიმგოროდის მშენებლობის ვადებსა და ფინანსურ დახმარებას შეეხო... ვრცლად ისაუბრა შემოწირულობების მნიშვნელობაზე და რჩეულნი დაამედა, რომ მალე ღვთის მიერ ნაწყალობევი ქალაქი საზეიმოდ გაიხსნებოდა და რომ თვითონაც იქ იცხოვრებდა თავის მრევლთან ერთად.

ასე მეგონა, საათ-ნახევარი ზლარბზე ვიჯექი. გამიჭირდა ჩემთვის არაფრისმთქმელი და მოსაბეზრებელი სიტყვის მოსმენა, მაგრამ რას ვიზამდი. თანაც, დროდადრო ვარვარა მრავალმნიშვნელოვნად შემომხედავდა ხოლმე მისი სულიერი მოძღვრის მჭევრმეტყველებით მოხიბლული.

სიტყვის დასასრულს, მამა ვლადი იქ მყოფთ ენერგიული ჟესტებით და ამაღლებული განწყობით დაემშვიდობა და დარბაზის წინა კარიდან გაუჩინარდა. მას უკან ელიტჯგუფი მიჰყვა.

წამოდგომა დავაპირე, მაგრამ ვარვარამ მკლავზე მომქაჩა და შემაჩერა.

– აქ დამელოდე, ახლავე მოვალ, – მითხრა და იმ კარისკენ გაემართა, რომლითაც მისი სულიერი წინამძღოლი გაუჩინარდა.

ალბათ, 15 წუთი მაინც გავიდა. მოთმინებით ვიჯექი და ვუცდიდი, რა მოხდებოდა ვლად რიმსკის კაბინეტში, რომელიც ადრე რაბინების სამყოფელი უნდა ყოფილიყო.

ვარვარა, როგორც იქნა, გამოვიდა, სახეზე საზეიმო ღიმილი უბრწყინავდა.

– საშა, მამა ვლადს შენ შესახებ ველაპარაკე, ხვალ 5 საათზე მოხვალ და გაგესაუბრება.

– არაჩვეულებრივია! – ფეხზე წამოვდექი, ვარვარას გადავეხვიე და ჩემთან ამოსვლა შევთავაზე... ისიც დაუფარავი სიხარულით დამთანხმდა.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# მომხიბვლელი მკვლელი

## ერვინ ჰიკსი



ჯო ჩავისკი პოლიციაში აღარ მუშაობდა. დამსახურებული პენსია მიიღო და ტკბებოდა თავისუფლებით, თუმცა ზოგჯერ ენატრებოდა პოლიციური რეჟიმი და თავისი საქმე. იმ დილით სათევზაოდ აპირებდა წასვლას, როცა განყოფილებიდან დაურეკეს და მისვლა სთხოვეს. მის მეგობარს, ფრენკი უევერლის, მკვლელობაში ედებოდა ბრალი და, ადვოკატის ნაცვლად, მასთან შეხვედრა მოინდომა.

– ჯო, შენ უნდა მიშველო, – აღელვებით შეეგება გაფითრებული ფრენკი – მე არ მომიკლავს სალი. ესენი კი მეუბნებიან, რომ ყველა სამხილი ჩემ წინააღმდეგ მეტყველებს.

– სალი მოკალი? შენი საყვარელი? – გაოგნდა ჯო, – დაჯექი და მომიყევი, რა მოხდა... ორი წელი იყო შენი საყვარელი და მე გსაყვედურობდი კიდეც ამის გამო, იმიტომ, რომ დიდ პატივს ვცემ შენს არაჩვეულებრივ ცოლს, ვანდას.

– ჰო, ვიცი... მაგრამ, მე მიყვარდა სალი, ვანდა კი უარს მეუბნებოდა განქორწინებაზე. მეუბნებოდა, რომ არ მქონდა ამისი უფლება, რადგან, თვითონ შემქმნა მამამისის დატოვებული მემკვიდრეობისგან...

– არ მინდა ემოციები, ფაქტებზე მელაპარაკე! – წარბი შეიკრა ჯომ.

– გეტყვი. ვანდასთან განქორწინების შანსი გამიჩნდა და ამ ახალი ამბის სათქმელად მივედი სალისთან, მაგრამ, მკვდარი დამხვდა – იატაკზე ეგდო. სამი ტყვიით მოუკლავთ. იმ რევოლვერით, რომელიც მე შარშან ვუყიდე ვანდას და ორი თვის წინ დაიკარგა – სახლიდან მოიპარეს.

– მოიცა, მოიცა, როგორ თუ დაიკარგა? ან, ვანდასთან განქორწინების რა შანსი გაგიჩნდა? იცოდე, ყველაფერი გულახდილად უნდა მითხრა.

– გეტყვი. სასტუმრო „პიკარდიაში" ვანდა ჰარი ვალერთან ერთად იყო – ფაქტზე დავიჭირე.

– შეუძლებელია! ვანდას ბავშვობიდან ვიცნობ. არ მიეკუთვნება ქალების იმ კატეგორიას, რომლებსაც ღალატი შეუძლიათ. შენ ხომ არ მოისყიდე ჰარი?

ფრენკმა თავი ჩაქინდრა:

– ჰო, მე მოვისყიდე, რომ პატარა სპექტაკლი დამედგა. რა მექნა, ვანდამ სხვა გამოსავალი აღარ დამიტოვა... ვიპოვე საშუალება, რაც მასთან განქორწინებისა და სალისთან დაქორწინების საშუალებას მომცემდა. მაგრამ ეს არ არის მთავარი. ვანდას ალიბი აქვს, თანაც, ასპროცენტიანი. მისი მოწმე, რომ ნამდვილად მთელი საღამო სასტუმროში იყო, ჰარი ვალერის გარდა, მეც ვარ და სასტუმროს რამდენიმე თანამშრომელიც; ასევე, კერძო დეტექტივი. ხედავ, როგორ შარში ვარ? შენ უნდა მიშველო, ჯო... – შეევედრა ფრენკი.

– გეუბნებოდი, მოეშვი მაგ სალის-მეთქი და არ დამიჯერე.

– მიყვარდა სალი, ძალიან მიყვარდა...

– ჰო, კარგი... ვნახავ, რისი გაკეთება შეიძლება.

ჯომ ჯერ გამომძიებელთან გადაწყვიტა შეხვედრა.

– 25-კალიბრიანით არის მოკლული... მიკვირს, რომ ფრენკ უევერლისთანა პიროვნებას ასე აერია გონება. თუმცა, ეს სალი მაგარი „ნაშა" იყო, – თქვა გამომძიებელმა, – რევოლვერი იქვე ვიპოვეთ, დივანზე, ბალიშის ქვეშ იდო. საგულდაგულოდ არის გაწმენდილი.

ჯომ დაათვალიერა გვამის ფოტოები, იარაღი, ჰილზები... გამომძიებლის ნებართვით – დანაშაულის ადგილიც... მართლაც ყველაფერი იმაზე მიუთითებდა, რომ მკვლელი ფრენკი იყო.

ხანმოკლე ლანჩის დროს ჯო მკვლელობაზე ფიქრობდა, ფრენკზე, ვანდაზე, სალიზე და შესაძლო ვარიანტებზე. „დავუშვათ, სალი შანტაჟით დაემუქრა ფრენკს, მაგრამ, მამაკაცები იშვიათად კლავენ შანტაჟისტ ქალებს, ჩვეულებრივ, მათ სცემენ ხოლმე. რატომ უნდა მოეკლა უევერლის საყვარელი? თანაც, სამი გასროლით... – ეს შეკითხვა არ აძლევდა მოსვენებას ჩავისკის...

პოლიციაში კი იდო ფრენკის განცხადება იმის შესახებ, რომ შუმარ-ლოუფ-ლეიკის კოტეჯიდან ვიღაცამ რევოლვერი მოიპარა, მაგრამ ეს მის ბრალეულობას ვერაფრით შველოდა. ჯომ გადაწყვიტა, ისევ ვანდას ალიბი გადაემოწმებინა. როცა უევერლების სახლს მიუახლოვდა, დაინახა, რომ იქიდან რაღაცით ძალიან აღელვებული ქალი გამოვიდა და ტაქსში ჩაჯდა. ჯომ იცნო – ეს იყო ელიზაბეტ ენდრიუსი, ფორტ-სანდერსის უძველესი გვარის წარმომადგენელი. ის ვანდასთან ბავშვობიდან მეგობრობდა. აგებულებით ერთმანეთს ძალიან ჰგავდნენ. უბრალოდ, ვანდა შავგვრემანი იყო, ელიზაბეტი კი – ქერა... ერთბაშად ჩავისკის რაღაც აზრმა გაუელვა...

ვანდას საკმაოდ მშვიდად ეჭირა თავი:

– მიხარია შენი ნახვა, ჯო...

– ვანდა, შენი დახმარება მჭირდება. ჭკვიანი ქალი ხარ და, ხვდები, აქ რატომ მოვედი.

– დილით ჩემთან უკვე იყო გამომძიებელი და ვერაფრით დავეხმარე... – მკაცრად მიუგო ქალმა.

– ჰო, მაგრამ, მე არ ვარ გამომძიებელი და არც არავის მხარეს არ ვარ, სიმართლე მაინტერესებს. ხომ იცოდი, რომ ჰარი ვალერი ფრენკის დავალებით მოქმედებდა, რატომ წახვედი მასთან პაემანზე სასტუმროში?

– ფრენკის განქორწინება უნდოდა. როცა იქნებოდა, მიაღწევდა თავისას. იმ ქალმა ჭკუა საერთოდ დააკარგვინა და მეც აღარ შემეძლო ამდენი შეურაცხყოფის ატანა. ვალერს ფრენკმა ფული მისცა და დაავალა, ჩემზე კომპრომატი შეექმნა. მე უფრო მეტი გადავუხადე და ჰარიმ ხელწერილი მომცა, რომ გაყრის პროცესზე სასამართლოში სიმართლეს იტყოდა – ამით ფრენკი ვერაფერს მიიღებდა ჩვენი ქონებიდან და ტანსაცმლის ამარა გავუშვებდი თავის კახპასთან... შენ ხომ იცი, რაც გვაქვს, ყველაფერი მხოლოდ ჩემია და ჩემი მშობლების დანატოვარი. ფრენკი ცუდად მომექცა.

– და, შენ მისი დასჯა გადაწყვიტე... მკაცრად დასჯა... მომიყევი, რა როლი შეასრულა სალის მკვლელობაში მის ენდრიუსმა – შენმა მეგობარმა ელიზაბეტმა?

ვანდა გაფითრდა, თავი დახარა და მძიმედ ამოიოხრა.

– შენ არ მოხვიდოდი, ყველაფერში დარწმუნებული რომ არ იყო. მეტისმეტად ჭკვიანი ხარ და საკმაოდ დიდი გამოცდილებაც გაქვს იმისთვის, რომ მომხდარის არსს მიმხვდარიყავი. მაგრამ, ჩემიც უნდა გაიგო. ელიზაბეტმა მხოლოდ მაშინ გაიგო რეალობა, როცა სალის მკვლელობის შესახებ შეიტყო. აღელვებული მოვარდა ჩემთან და ვუთხარი, რომ ყველაფერი უნდა დაევიწყებინა. დიახ, ელიზაბეტი იყო ის, ვინც სასტუმროს ნომერში ლანჩი შეუკვეთა და ალიბი გამიმყარა, სანამ მე ტაქსით სალის მოსაკლავად გავედი. ორმოცი წუთი დამჭირდა ამისთვის... ელიზაბეტი არაფერ შუაშია. ფრენკი კი ნაძირალაა, მლალატობდა, თან, ჩემი გაძარცვა მოინდომა... ელიზაბეტის დახმარებით შევძელი ერთდროულად ორ ადგილას ყოფნა. მან ჯერ ნომერში ლანჩი შეუკვეთა, მერე დარეკა და ოფიციანტს ლანგრის წაღება სთხოვა... სალისთან პარიკით მივედი. კარი რომ გამიღო, ვუთხარი, ჰარი ვალერისგან ვარ, ახალი ამბით-მეთქი და, სახე რომ გაუბრწყინდა, მხოლოდ მაშინ მოვიხსენი პარიკი, რომ ვეცნე. მე ორი წელი ვიტანდი მისგან დამცირებას და ხელის აუკანკალებლად ვესროლე... არ ვნანობ... ფრენკიც იმსახურებს, რომ უდანაშაულოდ იჯდეს ციხეში. იმიტომ, რომ მკვლელობისკენ სწორედ მან მიბიძგა თავისი ორგულობით... ახლა შენზეა, ჯო, ეტყვი პოლიციას სიმართლეს?

ჯო დიდხანს შესცქეროდა ქალს... მერე თვალები დაუსევდიანდა და თავი გადააქნია:

– არაფერს არ ვეტყვი. შენ მართალი ხარ. ფრენკმა შექმნა შენგან მკვლელი და ის უნდა დაისაჯოს...

**თარგმნა**
**ნინო წულუკიძე**


**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც); შარდვის პრობლემები: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი; გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან; ასევე, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ და სწრაფად გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა; „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა; ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა. საჭირო გამოკვლევები და დიაგნოსტიკა უახლოესი აპარატურით, ანონიმურობის დაცვით, მყარი, 100-პროცენტიანი შედეგით.

**599-90-54-78; 2-34-02-38. – ოფისი. ქ-ნი მარიამი**

# მაფიის შვილობილი

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №28-37 (716)**

გამრეკელმა მილიციის მორიგეს დაუბარა, რომ ათი საათისთვის ყველა განყოფილების უფროსი, მათი მოადგილეები, აგრეთვე, მალხაზ ჯიბუტი და ჭიჭიკო ხოშტარია, მილიციის უფროსის კაბინეტში დახვედროდნენ.

– არის, ამხანაგო მაიორო! – გამოეჯგიმა გამრეკელს მორიგე.

ქუჩაში რომ გავიდნენ, მილიციის სამმართველოს ეზოში ორი შავი „ვოლგა“ გაჩერდა. ერთ-ერთიდან შუახნის მძღოლი გადმოვიდა, რომელსაც ხელში ბლანკები ეჭირა და პირდაპირ მერაბს ჰკითხა:

– მეგობარო, ეს მილიციის სამმართველოა?

– დიახ, – მიუგო მერაბმა და ღიმილით გახედა ნოეს.

– უფროსი აქ არის?

– აი, უფროსი, – მერაბმა ბუცხრიკიძეზე მიანიშნა მძღოლს.

შუახნის მამაკაცმა უნდოდ შეხედა ლეიტენანტს, შემდეგ მერაბს უთხრა:

– მე მილიციის უფროსი მინდა.

– მეგობარო, თქვენ, ალბათ, „ვოლგა“ უნდა ჩააბაროთ პატრონს და ბლანკზე ხელის მოწერა და ბეჭედი გნებავთ, ხომ?

– დიახ.

– ბეჭედს კანცელარიაში დაგირტყამენ. ამ „ვოლგის“ პატრონი კი ამხანაგი ნოეა და ხელსაც ეგ მოგიწერთ. გასაღები ჩააბარეთ, – უთხრა მერაბმა მძღოლს.

– ბოდიში, თქვენ ვინ ბრძანდებით? – ჰკითხა მძღოლმა მერაბს.

გამრეკელმა მძღოლს პირადობის მოწმობა გაუშალა. თავისი „ვოლგა“ დაანახვა და უთხრა:

– მეც მყავს მასეთი და ეს „ვოლგები“ ჩემმა განყოფილებამ მიიღო მთელი რესპუბლიკის მასშტაბით.

– ბოდიში, ამხანაგო მაიორო, არ ვიცოდი, თუ მერაბ გამრეკელი იყავით, – გაუღიმა მაიორს მძღოლმა, შემდეგ ბუცხრიკიძეს „ვოლგის“ გასაღები გადასცა და უთხრა: – მშვიდობაში მოიხმარე, ძმაო, ეს მანქანა. მაგარ ხოდზეა, მაგრამ, სანამ აბკატკას არ გაივლის, გაზს ბოლომდე ნუ მიაჭერ. მე კი კანცელარიაში ავალ და ბეჭედს დავარტყმევინებ. სოხუმში მივდივართ, მეორე „ვოლგა“ იქ უნდა ჩავიყვანოთ. ნახვამდის.

მძღოლი მილიციის სამმართველოს შენობაში შევიდა, მერაბმა კი ნოეს უთხრა:

– საჭეს მიუჯექი, ლეიტენანტო. წავიდეთ, ვისაუზმოთ.

ნოე ბუცხრიკიძეს თავი სიზმარში ეგონა. ის ფრთხილად მიუჯდა საჭეს და „ვოლგა“ ადგილიდან დაძრა. მილიციის სამმართველოს თანამშრომლები თვალებგადმოკარკლულები ადევნებდნენ თვალს ამ სცენას ფანჯრებიდან და ნუნუკამ თავის უფროსს უთხრა:

– უყურე ამ ლაწირაკ ბოჟმს, რა შავი „ვოლგა“ დერტყა ამ უთენია?

– არაა ეგ შენი საქმე, – შეუღრინა თავის მდივანს სამძებროს უფროსმა, – ენას კბილი დააჭირე და ნუ ტინგიცობ. ეგ ბოჟმი კი არა, განყოფილების უფროსია და ნოიკია აღარ დოუძახო, ღმერთი არ გაგიწყრეს.

– შენ არ გაჩუქებენ მაგფერ მაშინას? – არ ცხრებოდა მდივან-საყვარელი.

– გაჩუმდი-თქვა, გოგო! სავუშჩანიეა ათ საათზე და რამდონიას მდივანს კაბინეტის დალაგებაში მიეხმარე.

– დაალაგოს თვითონ, დამლაგებელი კი არ ვარ მე, – იუკადრისა ნუნუკამ.

– მამა გიცხონდა, ინგლისის დედოფალი ხარ. წადი-თქვა, გოგო და, მიეხმარე, ჩქარა ქენი!

– ლოგინში რომ მეუბნები, დედოფალი ხარო? – წამოაძახა ნუნუკამ სამძებროს უფროსს.

– ეს ლოგინში ხარ დედოფალი, აქ კი უსტავს უნდა დაემორჩილო, – თავი იმართლა სამძებროს უფროსმა.

ნუნუკია კი არ შეეპუა მას და მიახალა:

– უსტავი, თვარა, სულ ბწკარ-ბწკარ ასრულებ მაგ უსტავს. შენ არ მეუბნები ხოლმე – მოი აგერ, ჩემო გვაზდიკა სტოლზე უნდა დეგეუფლოო? გვაზდიკას და გიორგინას განახვებ აწი! მართლა შევასრულებ უსტავს, შენ კი ყვავილები „ვაგზალსა“ და ბაზარში მეიძიე.

– ნუ ბრაზობ, ნუნუკია. რამ გაგაცხარა, გოგო! ასეა საჭირო. ვერ ნახე, რაფერ მოპრობკეს რამდონია? წაი და მიეხმარე შენს დაქალს, ანუგეშე თან. ცოდვაა ის უბედური. უფროსი გოუგდეს და, შეიძლება, ისიც უკან მიაყოლონ. წაი, ჩემო გვაზდიკა, ჩემო ლამაზო გოგო, წაი, – უთხრა სამძებროს უფროსმა თავის საყვარელს, აკოცა და თეძოების რხევით მიმავალ ნუნუკიას წუნკი მჰერა გააყოლა.

***

მერაბი და ნოე თათბირის დაწყებამდე თხუთმეტი წუთით ადრე დაბრუნდნენ მილიციის სამმართველოში. რამდონიას კაბინეტში ყველა დაბარებული თანამშრომელი იყო შეკრებილი. მაიორმა მათ კუტუბიძის წასვლის შესახებ ოფიციალურად აცნობა, შემდეგ ჭიჭიკო ხოშტარიას იქვე დააწერინა განცხადება და სამსახურიდან გაათავისუფლა. მალხაზ ჯიბუტს კი უთხრა:

– ვითვალისწინებ რა თქვენს პროფესიონალიზმსა და დამსახურებას, ერთი თვით კადრების განყოფილებაში გადამყავხართ და არ გათავისუფლებთ. ხელფასს ძველებურად აიღებთ, შემდეგ კი რიგით „ოპერად“ განაგრძობთ მუშაობას, სად – ჯერ არ გადამიწყვეტია. ახლა კი შეგიძლიათ, წახვიდეთ და დაისვენოთ. იფიქრეთ თქვენს საქციელზე და სწორი დასკვნები გამოიტანეთ. თავისუფალი ბრძანდებით!



სახეწამოჭარხლებული, თავჩაღუნული მალხაზ ჯიბუტი ფეხზე წამოდგა და მაიორს უთხრა:

– ამხანაგო მაიორო, რა მეთქმის, მართალს ბრძანებთ. უფრო დიდ სასჯელს ვიმსახურებ და მადლობელი ვარ, რომ არ გამაგდეთ. გთხოვთ, რიგით „ოპერად“ დამტოვოთ. უხელფასოდ ვიმუშავებ, ოღონდ კი კადრების განყოფილებაში არ გადამიყვანოთ. მე უკვე შევიგნე ჩემი დანაშაული და, მზად ვარ, სისხლით გამოვისყიდო.

მალხაზ ჯიბუტი მართლაც კარგი ოპერმუშაკი იყო. მას მთელ იმერეთში იცნობდნენ და პატივს სცემდნენ. მერაბმა ეს იცოდა და ამიტომაც დანიშნა განყოფილების უფროსად. გამრეკელი იმასაც მიხვდა, რომ ჯიბუტს თავმოყვარეობა ალაპარაკებდა. ამიტომ, შეეცოდა კოლეგა და უთხრა:

– კარგი, ამჯერად უკან დავიხევ და დაგითმობთ. ნოე ბუცხრიკიძის განკარგულებაში გტოვებთ. შეგიძლიათ, პირადობის მოწმობა და ტაბელური იარაღი დაიბრუნოთ, დანარჩენი კი თქვენ იცით. რაც შეეხება დანაშაულის სისხლით გამოსყიდვას, ამაში არ გეთანხმებით. რისკზე წასვლა უგუნურსაც შეუძლია. მე კი პატიოსანი, პროფესიონალი და ცოცხალი თანამშრომლები მჭირდება. გასაგებია?

– გასაგებია, ამხანაგო მაიორო! – სახეგაბრწყინებული გამოეჯგიმა ჯიბუტი გამრეკელს და რამდონიას კაბინეტიდან გავიდა.

– ახლა ავტოინსპექციის უფროსთან მაქვს პრეტენზიები, – თქვა მერაბმა და წითელსახიან, მსუქან პოდპოლკოვნიკს შეავლო მზერა. ის ფეხზე წამოდგა და ოფლიანი სახე უზარმაზარი ცხვირსახოცით მოიწმინდა, მერაბს კი უთხრა:

– გისმენთ, ამხანაგო მაიორო.

– დაბრძანდით და ისე მომისმინეთ, – უთხრა მერაბმა, – ყველა რომ სამსახურიდან გავუშვა, მილიციაში არავინ დარჩება. უკანასკნელ გაფრთხილებას გაძლევთ და, თუ მდგომარეობა სასწრაფოდ არ გამოსწორდა, მხოლოდ სამსახურიდან დათხოვნით ვერ გადარჩებით.

– გასაგებია, ამხანაგო მაიორო, – თქვა ავტოინსპექციის უფროსმა და ოფლი ნაკადულივით წამოუვიდა თავიდან.

– პირველ ყოვლისა, ის ავტოინსპექტორი გაათავისუფლეთ, ქუთაისის შემოსასვლელთან რომ დგას და მძღოლებს სამ-სამ მანეთს ართმევს.

– ტრიოშნიკა გუშინვე გავაგდე, ამხანაგო მერაბ, – სხაპასხუპით მიუგო მაიორს ოფლიანმა.

„ტრიოშნიკას“ გაგონებაზე მერაბმა ძლივს შეიკავა სიცილი. პაუზა გააკეთა და უთხრა:

– მხოლოდ ეს არ კმარა. მსგავსი „ტრიოშნიკებით“ სავსეა თქვენი უწყება და, თუკი სასწრაფოდ არ აღკვეთთ ასეთ სისაძაგლეს, მკაცრ, გადამჭრელ ზომებს მივმართავთ. დღეიდან ყოველდღე ფარულად შეამოწმებენ თქვენს ხელქვეითებს და, ერთი გამოძალვის ფაქტიც რომ დაფიქსირდეს, გამომძალველთან ერთად თქვენც პასუხისგებაში მიგცემთ. გასაგებია?

– გასაგებია, ამხანაგო მაიორო! – თქვა

ავტოინსპექციის უფროსმა, რომელსაც ნერვიულობისგან ისეთი ინტენსიური ოფლდენა დაეწყო, რომ მთელი ფორმა დაუსველდა და მაიორს სთხოვა: – ბატონო მერაბ, ნება მომეცით, ახლავე გავიდე მარშრუტებზე და ჩემი თანამშრომლები გავაფრთხილო, რომ ფული არავის გამოსძალონ.

– კარგი აზრია, მიბრძანდით, – ნება დართო გამრეკელმა და კაბინეტიდან გაისტუმრა.

თათბირი რომ დასრულდა, დღის 2 საათი იყო დაწყებული. მაიორმა საბოლოო სიტყვა თქვა და ასე დაასრულა:

– ორ-სამ დღეში პირადად ჩვენი მინისტრი წარმოგიდგენთ მილიციის ახალ უფროსს. თათბირი დასრულებულია. ნახვამდის.

მერაბ გამრეკელი ნოე ბუცხრიკიძემ მიაცილა „ვოლგამდე“ და უთხრა:

– ყველაფრისთვის დიდი მადლობა, ამხანაგო მაიორო. ნახვამდის.

– დიდი ხნით არ გემშვიდობები, ნოე. რამდენიმე დღეში დავბრუნდები და ბეშქენაძეებს არავინ გააკარო ჩემს ჩამოსვლამდე. ერთმანეთსაც არ შეახვედრო ისინი. აბა, შენ იცი. შენი იმედი მაქვს. ნახვამდის, – უთხრა მერაბმა ბუცხრიკიძეს და თბილისისკენ აიღო გეზი.

მაიორი 8 სექტემბერს აპირებდა ქუთაისში დაბრუნებას, მანამდე კი „რომეო და ჯულიეტას“ სოხუმურ პრემიერას უნდა დასწრებოდა თამართან ერთად და, სწორედ აფხაზეთიდან გეგმავდა ქუთაისში ჩასვლას.

უკიდურესი დაღლილობის მიუხედავად, მერაბმა სწრაფად და შეუჩერებლად იარა თბილისამდე და, ჯერ 7 საათიც არ იყო, შინაგან საქმეთა მინისტრის კაბინეტში რომ შეაბიჯა. გენერალმა ხელი ჩამოართვა გამრეკელს, სკამზე მიუთითა და ჰკითხა:

– რა ქენი, როგორ მოიარე ქუთაისი?

მაიორმა მინისტრს დომენტი კუტუბიძის განცხადება მიაწოდა და უთხრა:

– კუტუბიძის განცხადებაა სამსახურიდან წასვლის თაობაზე.

გენერალმა რის ვაი-ვაგლახით წაიკითხა რამდონიას ბატიფეხურით დაწერილი განცხადება, იქვე დაადო რეზოლუცია და თქვა:

– როგორც იქნა, მოვიშორეთ თავიდან ეს მექრთამე. სხვა რა ხდება ქუთაისში, ასე რატომ დაგაგვიანდა ჩამოსვლა?

მერაბ გამრეკელმა ყველაფერი დაწვრილებით უამბო მინისტრს და ბოლოს უთხრა:

– ძირითადად, იქ პატიოსანი და პროფესიონალი კადრები მუშაობენ. უბრალოდ, დომენტი კუტუბიძე ხრწნიდა მათ და, თუკი ნორმალური უფროსი ეყოლებათ, ათჯერ უფრო ეფექტურად იმუშავებენ.

– უფროსი, გიყვარდეს, მაგარი ეყოლებათ – ტყავს გააძრობს და შავ დღეში ჩააგდებს, ვინც ცუდად იმუშავებს, – მიუგო მინისტრმა მერაბს, – ქუთაისში ნოდარ შავიძეს ვნიშნავ. რას იტყვი, როგორი არჩევანია?

– კარგი არჩევანია, ამხანაგო გენერალო. ნოდარი პატიოსანი, პრინციპული და მღალი დონის პროფესიონალი მუშაკია.

– ჰოდა, შენ წარადგენ მას ქუთაისში.

– მე?! – გაუკვირდა მერაბს.

– დიახ, შენ. ხვალიდან თვის ბოლომდე ხომ შვებულებაში ხარ, შენ თვითონ არ მითხარი, რვაში ქუთაისში უნდა დავბრუნდე ბეშქენაძეების გამოო? ჰოდა, ნოდარსაც წარადგენ. თან, მას პირადად ჩააყენებ ყველაფრის საქმის კურსში. მოვილაპარაკეთ?

– მოვილაპარაკეთ, – მიუგო მერაბმა გენერალს.

– მაშინ, ახლა ნოდარი ნახე და ყველაფერზე შეუთანხმდი. ხვალიდან კი ხარ თავისუფალი, მაგრამ, შენი ამბავი რომ ვიცი, ვერ მოისვენებ და ფრთხილად იყავი. თუ რამე საგანგებო მოხდა ან დაგჭირდი, შეგიძლია, დღე-ღამის ნებისმიერ მონაკვეთში დამიკავშირდე. თოთხმეტში, საღამოს რვა საათზე კი მეუღლესთან ერთად რესტორან „არაგვში“, ქორწილში გეწვევი. ახლა კი ნახვამდის. აბა, შენ იცი, ყოჩაღად იყავი! – უთხრა მინისტრმა მერაბს, ხელი ჩამოართვა და კაბინეტიდან გამოისტუმრა.



ნოდარ შავიძეს მერაბ გამრეკელი კარგად იცნობდა და დიდადაც აფასებდა. პოდპოლკოვნიკი მაიორზე თორმეტი წლით უფროსი იყო. ისინი ჯერ კიდევ რაიონულ მილიციაში დაახლოვდნენ და ექვსი თვე მეწყვილეებიც კი იყვნენ. შემდეგ ნოდარი სამინისტროში გადაიყვანეს, მაგრამ, არც მაშინ გაუწყვეტიათ მეგობრობა. ხოლო, მერაბიც რომ ცენტრალურ აპარატში დაინიშნა, კიდევ უფრო დაახლოვდნენ და არაერთი სარისკო ოპერაცია ჩაატარეს წარმატებით ერთად.

– გილოცავ, ნოდარ, ახალ თანამდებობას. იქ ახლა სწორედ შენნაირი ხელმძღვანელი სჭირდებათ, რომ სიტუაცია დაალაგოს, – უთხრა გამრეკელმა შავიძეს, როდესაც მას კაბინეტში ეწვია.

– მადლობელი ვარ. დაჯექი, – მიუგო შავიძემ და დაამატა: – მინისტრმა მითხრა, რომ შენ უნდა წარმადგინო რვაში. მითხარი ერთი, რა ხდება რამდონიას სამფლობელოში?

– ყოფილ სამფლობელოში, – გაეცინა მერაბს, – რამდონია უკვე წარსულს ჩაბარდა და შენ მოგიწევს იმ მექრთამის აწეწილი სიტუაციის დალაგება.

– დავალაგებ კიდეც. შენ მხოლოდ საქმის კურსში ჩამაყენე, რა ხდება იქ და დანარჩენი მე ვიცი, – მტკიცედ თქვა პოდპოლკოვნიკმა და სმენად იქცა.

მერაბი შავიძეს ორი საათის განმავლობაში უყვებოდა ქუთაისის ამბებს და ბოლოს უთხრა:

– ძირითადად ასეთი სურათია ქუთაისში, ნოდარ.

– სურათს ვუჩვენებ მე მაგათ! ყაზარმულზე რომ გადავიყვან და ამოსუნთქვის საშუალებას არ მივცემ, მერე გაიგებენ, როგორ უნდა ასეთი სურათების ხატვა, – თქვა შავიძემ და მცირე პაუზის შემდეგ დაამატა: – ჩვენში დარჩეს, მერაბ და, მინისტრის ადგილზე რომ ვიყო, რამდონიას დედას ვუტირებდი. სამსახურიდან გაშვებას არ ვაკმარებდი და „ვირის აბანოში“ გამოვამწყვდევდი.

– მაგის სიმამრთან დაპირისპირებას მოერიდა. რაც არ უნდა იყოს, ცეკას ფუნქციონერია და, შეუძლია, უდამპლოს.

– ისედაც უდამპლებს, თუკი შანსი მიეცა, – თქვა შავიძემ და ხელი ჩაიქნია, მოკლედ, ასე, ჩემო მერაბ, რვაში, დილის რვა საათზე თეატრთან გელოდები და სამმართველოში ერთად მივიდეთ. ახლა კი ნახვამდის. მაზეგამდე!

მერაბი ზუსტად შუაღამისას მივიდა სახლში. ისეთი დაღლილი იყო, რომ მხოლოდ შხაპის მიღება შეძლო, შემდეგ საწოლზე მიეგდო და მკვდარივით ჩაეძინა.

– ჯერ არ ჩამოსულხარ და უკვე მიემგზავრები?! იშვიათად გხედავ ხოლმე, სალაპარაკოდ ხუთი წუთითაც ვერ გიხელთებ. გამოვყრუვდი მარტო. ხმის გამცემიც კი არ მყავს, – უსაყვედურა დედამ შვილს, როდესაც მერაბს გაეღვიძა და დილაადრიან საძინებლიდან გამოვიდა.

– ხმის გამცემიც გეყოლება და დამხმარეც. მოვიყვან თამარს და ილაპარაკეთ, რამდენიც გინდათ, – მიუგო მერაბმა დედას, აკოცა და სააბაზანოში შევიდა.

– რომელ საათზე მიემგზავრები, შვილო? – ჰკითხა დედამ სააბაზანოდან გამოსულ მერაბს და გაშლილ სუფრასთან მიიპატიჟა.

– ათ საათზე გავალ, დედი, – მიუგო მერაბმა. დედას მიეფერა და ლოყაზე აკოცა, – თუ დარდობ და განიცდი, აღარ წავალ.

– დარდი და განცდა დედის ხვედრია. როგორ არ წახვალ, თამარი გელოდება. უბრალოდ, ძალიან მენატრები ხოლმე. სულ გასული ხარ, სულ ხიფათში ხარ...

– ნუ დარდობ, დედი. მოვიყვან ცოლს და სახლშიც უფრო ხშირად მნახავ ხოლმე. რა ვქნა, ასეთი სამსახური მაქვს. ჩვენ რომ არ ვიყოთ, ამ ქვეყანას ავაზაკები დააქცევდნენ, – თქვა მერაბმა, რამდონია გაახსენდა და გა-


**ძვალ-სახსართა პათოლოგიების ცენტრი**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა; დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა; მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე ძვლის მკვებავებით; წონის დაკლება თვეში 5-18 კილოგრამამდე, დიეტების, აკრძალვებისა და ვარჯიშების გარეშე, მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით; ასევე, სიმაღლეში ზრდა 2-დან 25 წლამდე, კურსის განმავლობაში 3-5 სანტიმეტრის მომატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით; ინდივიდუალურად შედგენილი პროგრამა – დანიშნულებით+ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

**599-91-37-65 – ქ-ნი ქეთევანი; 2-47-58-83 – ოფისი.**



იფიქრა: „რამდონიასნაირი ავაზაკები ჯერ კიდევ ბოგინობენ, თუ ფესვებიანად არ ამოვძირკვეთ, სარეველასთვის მოედებიან ქვეყანას და შემდეგ მათი მოსპობა შეუძლებელი იქნება. მართალი მითხრა ნოდარ შავიძემ – რამდონია „ვირის აბანოში“ უნდა გაეშვაო მინისტრს. ეს ნაძირალა, ბუთბაზე, ჩოჩიანზე და თვით ფანტომზეც არანაკლებად საშიშია საზოგადოებისთვის, უფრო მეტად საშიში თუ არა. რამდონია, უბრალოდ, მოსულელო, გალორებული ტიპია, თან, ჭკუა არ ჰყოფნის და თავი ვირეშმაკობით, უფრო მეტად კი, გავლენიანი სიმამრის წყალობით გააქვს. მას რომ ფანტომისნაირი გონება ჰქონოდა, პლუს, ასეთი ძლიერი მფარველი, ასე იოლად ვერ მოვიშორებდით“.

– მერაბ, შვილო, რამ ჩაგაფიქრა? – მაიორი დედის ხმამ გამოარკვია ფიქრებიდან, გაუღიმა და უთხრა:

– არაფერია, დედი, რაღაც გამახსენდა.

– ხომ მშვიდობაა, მერაბ?

– კი, რატომ მეკითხები?

– იმიტომ, შვილო, რომ, ისეთი მკაცრი და შეუვალი სახე გქონდა, შემეშინდა. მაინც, რა გაგახსენდა?

მერაბი არასდროს ლაპარაკობდა სახლში სამსახურის საქმეებზე და არც დედა ეკითხებოდა ხოლმე ასეთ რამეებს. მათ ერთგვარი უსიტყვო შეთანხმება ჰქონდათ და ეს თემა ტაბუდადებული იყო. მაგრამ, რადგან კითხვა დაისვა, მერაბმა დედას ტყუილი ვერ შეჰბედა და უთხრა:

– ერთი მექრთამე პოდპოლკოვნიკი მოვიშორეთ მილიციიდან და ის გამახსენდა.

– ფრთხილად იყავი, შვილო, ძალიან ფრთხილად. ასჯერ გაზომე და ერთხელ გაჭერი. უფროსობასთან კონფლიქტს მოერიდე, გულში ჩადება იციან და მახე არ დაგიგონ.

დედის სიტყვებმა მერაბი გააოცა. მართალია, დედა მას ყოველთვის სიფრთხილისკენ მოუწოდებდა, მაგრამ, ასეთი რამ არასდროს უთქვამს. ისე გამოდიოდა, რომ მერაბს მასზე მაღალი წოდების ადამიანთა დანაშაულზე თვალი უნდა დაეხუჭა და დედას უთხრა:

– რას მეუბნები, დედი, თუ ავაზაკი მილიციის პოდპოლკოვნიკია, დანაშაული უნდა ვაპატიო და ვაპარპაშო?

– არა, მერაბ. უბრალოდ, არ მინდა, რომ მამაშენივით დაგემართოს, – მიუგო დედამ და ენაზე იკბინა...

მერაბს ხორცწამოგებული ჩანგალი ჰაერში გაუშეშდა, შემდეგ თეფშზე დადო, დედას გაოგნებული მზერა მიაპყრო და ჰკითხა:

– მამაჩემს რა დაემართა? გამაგებინე, რა ხდება, დედი!

– არაფერი, შვილო, არაფერი. ჭამე, ჩაისაც დაგისხამ...– მიუგო დედამ და გაზქურისკენ შეტრიალდა.

– არ მშია, – თქვა სახეწამოჭარხლებულმა მაიორმა, – დედი, მითხარი, რა ხდება, რა დაემართა მამაჩემს?

გაფითრებული ქალი სკამზე დაეშვა. თვალები აუცრემლდა და შვილს უთხრა:

– მამაშენს ერთი ნაძირალა პოლკოვნიკი გადაეკიდა. ხალხის მტრობა დააბრალა. გააციმბირებინა და დალუპა.

– როგორ, მამაჩემი ფრონტზე არ დაიღუპა?

– არა, – თავი გააქნია ქალმა, – ურალის მთებს იქით, პატიმართა ბანაკში გარდაიცვალა ჭლექით. შენ მაშინ სამი წლისაც არ იყავი. იქ გამგზავრებას ვაპირებდი, მაგრამ, არ გამიშვეს. საშინელი ომი მძვინვარებდა და ქვეყანა თავზე გვენგრეოდა, ვის ეცალა მაშინ ხალხის მტრების სალოლიავოდ. მამაშენის სიკვდილის ამბავიც სრულიად შემთხვევით გავიგე. ჩემი შორეული ნათესავი მსახურობდა იმ ბანაკში გუშაგად და ეს ამბავიც მან ჩამომიტანა. ყინვასა და მარტოობაში ამოხდომია სული ჩემს საცოდავ კოტეს და, ტყეში, ჭლექიანთა საერთო საფლავში დაუმარხავთ. შენ კი იმიტომ გიმალავდი ამ ყველაფერს, რომ თავი დაჩაგრულად არ გეგრძნო და არ გაბოროტებულიყავი.

მერაბ გამრეკელი შოკში ჩააგდო დედის მონათხრობმა და კარგა ხანს ჩუმად, თავჩაღუნული იჯდა. შემდეგ თავი ასწია და ხმის კანკალით თქვა:

– საცოდავი მამა... ესე იგი, მე ხალხის მტრის შვილი ვარ?

– არა, შვილო. სტალინის სიკვდილის მერე მამაშენი გაამართლეს და რეაბილიტაციის საბუთიც კი მაქვს შენახული.

– კი მაგრამ, ორგანოში სამუშაოდ რეაბილიტირებულთა შვილებსაც ძალიან რთულად იღებდნენ. ყოველ შემთხვევაში, მათ პირად საქმეში აღნიშვნას მაინც აკეთებენ, ჩემსაში კი, ზუსტად ვიცი, რომ ასეთი აღნიშვნა არ არის. გამოდის, რომ ავტობიოგრაფიის დაწერისას ტყუილი ვთქვი და უფროსობას ეს ფაქტი დავუმალე? კარგი, მე არ ვიცოდი და ამიტომ არ დავწერე ეს, მაგრამ, კადრებმა რატომ ვერ აღმოაჩინა? ისინი არქივიდანაც ითხოვდნენ ჩვენს ბიოგრაფიულ მონაცემებს და არქივში ეს მონაცემები აუცილებლად იქნება.

– იმიტომ, შვილო, რომ კოტე დამეხმარა. ჯერ კიდევ სტუდენტი იყავი, როდესაც კოტეს ვთხოვე, რომ, თუკი მილიციაში ან სადმე სხვაგან დაიწყებდი მუშაობას, დაგხმარებოდა. მას ჩემი თქმაც არ სჭირდებოდა, ისედაც დაგეხმარებოდა. კოტე მამაშენის უახლოესი მეგობარი იყო და კოლეგები მათ „კოტე-კოტეს“ ეძახდნენ.

– ვინ კოტე, დედი?

– გენერალი კოტე თავართქილაძე.

– ჩვენი მინისტრი?

– ჰო, დედა, შინაგან საქმეთა მინისტრი, გენერალი კოტე თავართქილაძე, – მიუგო მერაბს დედამ და ცრემლი შეიმშრალა.

მერაბ გამრეკელი ერთხანს ჩუმად იჯდა და ფიქრობდა, შემდეგ დედას მოეფერა და ჰკითხა:

– ის ნაძირალა პოლკოვნიკი ვინ იყო, ვინც მამაჩემი დალუპა?

– აი, ამას ვერიდებოდი და მამაშენის ამბავს იმიტომ არ გიყვებოდი. არ მინდოდა, რომ სული მომეწამლა შენთვის, გაბოროტებულიყავი და შურისძიებაზე გეფიქრა; ამიტომ დაგიმალეთ მე და კოტემ ეს ამბავი.

– დედი, მე სრული უფლება მაქვს, რომ ყველაფერი ვიცოდე და, გთხოვ, ნუ დამიმალავ. მითხარი, ვინ იყო ის პოლკოვნიკი?

– ვინმე რობერტ მანძულია. მეტი არაფერი ვიცი, შვილო. ის უკვე ცოცხალიც აღარ არის – დაპატიმრებისას მოკლეს, თუ თავი მოიკლა, აღარ მახსოვს. ესეც კოტემ მითხრა და ამ თემაზე მეტი აღარ გვილაპარაკია. სამართალმა პური ჭამა, – უთხრა მერაბს დედამ და დაამატა: – ერთი სიტყვით, ამაზე აღარ იფიქრო. წარსული ამბავია, წარსულს კი ვეღარ შეცვლი. მამაშენი მართალი კაცი იყო ცხონებული და, რაც მთავარია, რეაბილიტირებულია.

„გენერალი უნდა ვნახო“, – გაიფიქრა მერაბმა, შემდეგ საათს დახედა და დედას უთხრა:

– თორმეტი დაიწყო, ჩემი გამგზავრების დროა. არაფერზე ინერვიულო, დედი, წავედი.

– აბა, შენ იცი, შვილო. ფრთხილად იარე და თამარი და მართა მომიკითხე, ასთამურიც, – უთხრა დედამ მერაბს, გულში ჩაიხუტა და სახლიდან გაისტუმრა.

მაიორი მერაბ გამრეკელი რაკეტასავით მიაქროლებდა „ვოლგას“ და, სამინისტროში რომ მივიდა, სიგარეტი ნახევრამდეც არ ჰქონდა მოწეული. მანქანიდან რომ გადმოვიდა, სიგარეტი ბოლომდე მოწია, შემდეგ ღრმად ამოისუნთქა და, რაც შეეძლო, მშვიდად შეაბიჯა შენობაში. კოტე სოხაძე მას სამორიგეოსთან შეეფეთა, რადგან გარეთ გამოდიოდა. მერაბის დანახვა ძალიან გაუკვირდა და ჰკითხა:

– მოხდა რამე, მერაბ? აფხაზეთში არ უნდა გამგზავრებულიყავი?

– არა, არაფერი. მინისტრი აქაა?

– კი, მარტოა კაბინეტში, ახლა გამოვედი მისგან.

– კარგი, წავედი.

– მოიცა, მერაბ, სახეზე ფერი არ გადევს. ხომ მშვიდობაა?

– კი, მშვიდობაა, მშვიდობა. თოთხმეტში ქორწილში გელოდები. წავედი, – მიუგო მერაბმა და კიბეებს აუყვა.

– შეიძლება, ბატონო კოტე? – იკითხა მერაბმა, როდესაც მინისტრის კაბინეტის კარი შეაღო.

გენერალი ჯერ მაიორის მოულოდნელმა ვიზიტმა გააკვირვა, უფრო მეტად კი – მიმართვის ფორმამ, რადგან, „ბატონი კოტე“ არასდროს დაუძახია მერაბს მინისტრისთვის.

– შემოდი, დაჯექი. მოხდა რამე?

მაიორი სკამზე ჩამოჯდა და გენერალს უთხრა:

– თქვენთან პირადი საქმე მაქვს, ბატონო კოტე, რაღაც მინდა გკითხოთ.

– მკითხე, გისმენ.

– ბატონო კოტე, მამაჩემის შესახებ სიმართლე მინდა გავიგო; ისიც მაინტერესებს, ვინ იყო რობერტ მანძულია და ასე რატომ გაწირა მამა.

მინისტრს სისხლი მოაწვა სახეზე. ჯერ პაუზა გააკეთა, შემდეგ თავი გააქნია და მაიორს უთხრა:

– რა საჭიროა წარსულის გახსენება? მთავარია, რომ ის გარეწარი საკადრისად დაისაჯა, კოტე კი გაამართლეს.

– შვილი ვარ და მამის ამბავი მაინტერე-

სებს. ბოდიშს გიხდით შეწუხებისთვის, – თქვა მერაბმა, წამოდგა და კარისკენ სწრაფი ნაბიჯით გაემართა.

– მაიორო გამრეკელო, დაუბრუნდით ადგილს! – მოესმა მერაბს გენერლის მრისხანე ხმა, თუმცა, ეს ის მრისხანება არ იყო, რომელსაც მინისტრი დამნაშავე ხელქვეითების მიმართ იჩენდა ხოლმე თათბირებზე.

მერაბი ადგილს დაუბრუნდა, შემდეგ სიგარეტის კოლოფიდან ღერი ამოაცურა და მოკიდება დააპირა, მაგრამ, უმალვე მოეგო გონს და კოლოფი კვლავ ჯიბეში ჩაიდო.

– მოწიე, მერაბ, მოწიე და მეც მომაწევინე, – უთხრა გენერალმა მაიორს და გამოწვდილი კოლოფიდან „კოლხეთის“ ღერი ამოაცურა. მერაბმა მას ასანთი მოუკიდა და, ორივემ რომ გააბოლა, მინისტრმა თქვა:

– ოც წელზე მეტია, არ მომიწევია. ცუდი გემო არ აქვს, კარგი თამბაქოა, მაგრამ, ძველი უკეთესი იყო. მე და მამაშენი „ყაზბეგს“ ვეწეოდით. რუსთაველის თეატრთან თამბაქოს ჯიხური იდგა, იქ ერთი მოხუცი ებრაელი მუშაობდა და იმასთან ვყიდულობდით. მოშე ერქვა. 104 წლის იყო, რომ გარდაიცვალა – თავის კიოსკში დალია სული.

– 104 წლის?!

– ჰო, ასოთხის, – მიუგო მინისტრმა და დაამატა: – ძალიან ჰგავხარ მამაშენს. განსაკუთრებით კი, წელან. რომ წამოდექი და მიდიოდი, თვალწინ ცხონებული კოტე წარმომიდგა. როცა რამეზე გაბრაზდებოდა, მანაც ასე იცოდა. თუმცა, მალევე მოთოკავდა ხოლმე თავს.

– ბოდიში, ამხანაგო გენერალო, – წამოწითლდა მერაბი და ფეხზე წამოდგა.

– დაჯექი, დაჯექი, – თქვა გენერალმა და ჰკითხა: – მანძულიას შესახებ საიდან შეიტყვე?

– დედას წამოსცდა.

– გასაგებია. ჯერ კიდევ ძალიან პატარა იყავი, როდესაც მე და მერიმ გადავწყვიტეთ, რომ ეს ამბავი შენთვის დაგვემალა. მერიმ ისურვა ასე – არ გამიბოროტდესო. მე საპირისპიროს ვფიქრობდი, მაგრამ, მერის ხათრი ვერ გავუტეხე. თუმცა, ყოველთვის მინდოდა, ეს შენთვის მეთქვა და ახლა თავისთავად გამოვიდა ასე.

– ვიცი, ამხანაგო გენერალო, დედამაც მითხრა ეს.

– ამხანაგს და ბატონს რომ მეძახი, ძალიან მრცხვენია, მამაშენი ჩემი უახლოესი ძმაკაცი იყო და იმიტომ. მოდი, ასე შევთანხმდეთ, პირისპირ „ძია კოტე“ დამიძახე, სამსახურში – „ამხანაგო გენერალო.“ „ბატონი კოტე“ კი არ გამაგონო, კარგი?

– კარგი, ძია კოტე.

– ახლა კი ყველაფერს მოგიყვები, – თქვა გენერალმა და დაიწყო: – მე და კოტემ ერთმანეთი რომ გავიცანით, ძალიან ახალგაზრდები ვიყავით, ბევრად უფრო ახალგაზრდები, ვიდრე შენ ხარ ახლა. კოტე უცოლო იყო და არც მე ვიყავი დაქორწინებული. „ჩეკაშიც“ ერთად დავიწყეთ მუშაობა და საკმაოდ წარმატებულადაც ვართმევდით თავს ჩვენს საქმეს. აბა, მაშინ იყო ბანდები, თუ იყო და, თავდაუზოგავად ვებრძოდით მათ. განსაკუთრებით მამაშენი გამოირჩეოდა ამ მხრივ. შენსავით უშიშარი იყო; შეეძლო, მარტო შებმოდა კბილებამდე შეიარაღებულ ავაზაკებს და უკან არ დაიხევდა; საოცრებებს სჩადიოდა, მაგრამ, ტყვია არ ეკარებოდა. ერთხელ კი უეჭველ სიკვდილს გადაემარჩინა: მთაში ერთი



საშიში ბანდის ასაყვანად მიგვავლინეს, მაგრამ, აგენტ-ინფორმატორმა გაგვყიდა – ოცკაციანი რაზმი ტყეში შეგვიტყუეს და დაგვცხეს. იმ სასაკლაოდან ოთხი ადამიანი გადავრჩით ცოცხალი, მაგრამ, ორი მძიმედ იყო დაჭრილი. ჩვენც ბევრი ჩავაძაღლეთ, თუმცა, ბანდის მეთაური ხელიდან დაგვისხლტა. ისე მოხდა, რომ მე ტყვიები გამითავდა და ტყვედ ამიყვანეს, ერთ დიდ მუხაზე მიმაბეს და დახვრეტას მიპირებდნენ. ამ დროს კოტემ ცეცხლი გაუხსნა მათ და ექვსი ავაზაკი ადგილზევე გაათავა. შემდეგ ამხსნა. დახოცილებს იარაღი ავყარეთ, მძიმედ დაჭრილები ზურგზე ავიკიდეთ იარაღთან ერთად და ბარში ჩამოვაღწიეთ. ერთი თვის შემდეგ მე და მამაშენმა ის გაქცეული ბანდიტი ავიყვანეთ, რომელიც ნაძალადევში იმალებოდა და „ჩეკაში“ მივათრიეთ. დავკითხეთ და მან ხელი რობერტ მანძულიას დაადო – ის დაასახელა ბანდის მფარველად და, თქვა, რომ ჩვენი რაზმის ხაფანგში შეტყუება მანძულიას ნამოქმედარი იყო. უხერხული სიტუაცია შეიქმნა. მანძულია „ჩეკას“ პოლკოვნიკი იყო და მისი ასე ხელაღებით დადანაშაულება არ გამოდიოდა. იმავე ღამეს, დაპატიმრებული ბანდის მეთაური საკანში ყელგამოჭრილი იპოვეს, მაგრამ, მისი ხელით დაწერილი ჩვენება კოტეს სეიფში ჰქონდა შენახული. მეორე დღეს „ჩეკას“ ხელმძღვანელობამ სასწრაფო საიდუმლო პაკეტით კავკასიის ფრონტის შტაბში გამგზავნა. ომი მძვინვარებდა და ფაშისტები ყოველი მხრიდან გვიტევდნენ. მე და კოტემ მოვილაპარაკეთ, რომ ჩემს ჩამოსვლამდე არაფერი გვეღონა და მერე გადაგვეწყვიტა, როგორ მოვქცეულიყავით. ერთი კვირის შემდეგ დავბრუნდი და მამაშენი უკვე გაციმბირებული დამხვდა – მაშინ ეს სწრაფად ხდებოდა. როგორც ჩანს, მანძულია ყველაფრის საქმის კურსში იყო და დაგვასწრო. ხელმძღვანელობა დაარწმუნა, რომ მამაშენი ცილისმწამებელი იყო, კოტე ხალხის მტრობაში დაადანაშაულეს და ციმბირში გაუშვეს. ამის მერე კი მეც დამიბარეს „ჩეკას“ უფროსთან. მანძულიაც იქ იყო და მე დავადასტურე, რომ ყელგამოჭრილმა ბანდიტმა ყოველგვარი ზეწოლის გარეშე, თავისი ნებით დაასახელა მანძულია, თუმცა, არავინ დამიჯერა. მეც გაციმბირებას მიპირებდნენ, მაგრამ, ფაშისტების შემოტევამ გადამარჩინა და ფრონტის წინა ხაზზე გამიშვეს. ერთი წლის მერე უკან დამაბრუნეს და სწორედ მაშინ შევიტყვე, რომ რობერტ მანძულია აყვანის დროს მოუკლავთ „ჩეკისტებს“. თურმე, ის ბანდიტებთან კავშირში უმხილებიათ და, დასაჭერად რომ მივიდნენ კაბინეტში, იმ გარეწარს ერთი „ოპერი“ მოუკლავს და იქვე ჩაუძაღლებიათ – აი, ასე იყო ყველაფერი, ჩემო მერაბ. მამაშენი კი იმ დროისთვის უკვე გარდაცვლილი იყო და, „ჩეკას“ ხელმძღვანელობას თავისი შეცდომა რომ დაემალა, კოტეს გამართლებაზე არც უზრუნიათ. მხოლოდ სტალინის სიკვდილის შემდეგ მოხერხდა ეს, მაგრამ, მანამდე მოსკოვში ორჯერ ჩავედი და, პირველად „ჩეკაში“ შევიტანე განცხადება, მეორედ კი – ცენტრალურ კომიტეტში. აი, ასეთი საშინელი დრო იყო, მერაბ, მაგრამ, სიმართლემ მაინც იზეიმა. მართალია, ეს მამაშენს არ გააცოცხლებდა, მაგრამ, მის სახელს მაინც ჩამოერეცხა

ლაქა, – მინისტრმა თხრობა რომ დაასრულა, „კოლხეთის“ კოლოფიდან კიდევ ერთი ღერი ამოიღო და გააბოლა.

– ძია კოტე, იმ მანძულიას შესახებ უფრო დაწვრილებით ვერაფერს მეტყვით?

– ყველანაირად შავბნელი ტიპი იყო. სულ ორჯერ მყავს ნანახი: ერთხელ – „ჩეკას“ კლუბში, როდესაც წითელი არმიის იუბილე გაიმართა, მეორედ კი მაშინ, როდესაც მამაშენის გამო უფროსთან დამიბარეს. გრძელი, კეხიანი ცხვირი ჰქონდა. შავგვრემანი კაცი იყო და ეშმაკს ჰგავდა. კაბინეტიდანაც კი იშვიათად გამოდიოდა, თითქოს იმალებაო. მე მგონი, ცოლ-შვილიც ჰყავდა. ერთი სიტყვით, ძალიან საზიზღარი პიროვნება იყო და ყველაფერს იკადრებდა. ვინ იცის, კიდევ რას ამოუჩხრეკდნენ, რომ არ ჩაძაღლებულიყო. მე ვფიქრობ, მფარველიც ჰყავდა, ან, სულ მცირე, თანამოაზრე.

– „ჩეკაში“?

– ან „ჩეკაში“, ან ცენტრალურ კომიტეტში. თუმცა, შეიძლება, ვცდები კიდეც.

– ძია კოტე. მისი საქმის არქივში ნახვა არ შეიძლება?

– ძალიან რთულია. მოსკოვში, „კაგებეში“ ექნებათ, მაგრამ, იქ შეღწევა თითქმის შეუძლებელია. თუ მყარად დასაბუთებულ არგუმენტს არ წარადგენ, იქ არავინ მიგიშვებს. „კაგებეა“ მაინც და თავის საქმეში არავის ახედებენ, – მიუგო გენერალმა მერაბს და ჰკითხა: – მაინც, რად გინდა იმ ნაძირალას საქმის ნახვა, რას მოგცემს ეს? იქ, შეიძლება, ისიც კი არ ეწეროს, რაც მე შენ მოგიყევი.

– ისე, უბრალოდ, ინტერესის გამო.

– არა, მერაბ, თუ დასაბუთებული არგუმენტი არ წარადგინე, ვერაფერს გახდები. მაგაზე ნუღარ იფიქრებ. მართალია, გვიან, მაგრამ, მაინც ყველაფერი თავის ადგილზე დადგა და ნერვებს ნუღარ მოიშლი.

– კარგი, ძია კოტე, წავალ ახლა მე. სამი საათი დაწყებულა და, მინდა, მალე ჩავიდე გაგრაში.

გენერალმა მერაბ გამრეკელი კარამდე მიაცილა, გამოემშვიდობა და უთხრა:

– აბა, შენ იცი, მერაბ, ბედნიერად იარე. თოთხმეტში კარგად ვიქეიფოთ. შენი საცოლე მომიკითხე!

– ნახვამდის, ძია კოტე. ქორწილში შეგხვდებით. ბოდიშს გიხდით და დიდი მადლობა, – მიუგო მერაბმა მინისტრს, შემდეგ გადეხვია და კაბინეტიდან გამოვიდა.

მერაბი საკმაოდ დიდი სისწრაფით მიაქროლებდა „ვოლგას“, თან რობერტ მანძულიაზე ფიქრობდა.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# როგორ გახდა თბილისელი ქურდი ბავშვი ერთ-ერთი უმსხვილესი ამერიკული კომპანიის სრული მეწილე



***ცნობილი კრიმინალი მოშე კაციაშვილი, მეტსახელად „მოშკა“, გასულ საუკუნეში საკმაოდ დიდი პოპულარობით სარგებლობდა შავ სამყაროში და მილიციაც კარგად იცნობდა მას. თუმცა, ის ისე „სუფთად“ მუშაობდა, რომ სამართალდამცველებს, ხშირ შემთხვევაში, მისი გამოაშკარავება და მოხელთება ძალიან უჭირდათ. გთავაზობთ რამდენიმე ეპიზოდს ამ ცნობილი დამნაშავის მდიდარი კრიმინალური ცხოვრებიდან.***

## პატარა მძარცველები

1947 წელს დაბადებული „მოშკა“ ადრეული ბავშვობიდანვე დაადგა კრიმინალურ გზას – 13 წლისაც არ იყო, რომ მძარცველთა ბანდა ჩამოაყალიბა. ბანდაში მისი ასაკის ბავშვები იყვნენ გაერთიანებული და სხვადასხვა სახის კრიმინალურ საქმიანობას ეწეოდნენ. ძირითადად ისინი ძარცვა-ქურდობით იყვნენ დაკავებული და თბილისის ძველ, ისტორიულ უბნებში მუშაობდნენ, სადაც ტურისტები იყრიდა ხოლმე თავს. პატარა მძარცველები მოშკას მიერ მოფიქრებული და კარგად დამუშავებული სქემით მოქმედებდნენ: რომელიმე ისტორიული ძეგლის დასათვალიერებლად მისული ტურისტული ჯგუფის ავტობუსის მარცხენა წინა საბურავს ბავშვები წვეტიანი რკინით ჩაფუშავდნენ ხოლმე. სანამ მძღოლი საბურავს ცვლიდა, ათიოდე პატარა კრიმინალი ჩუმად შედიოდა ავტობუსში და ტურისტების მიერ დატოვებულ ნივთებს იპარავდნენ და თვითნაკეთი ველოსიპედებით ტოვებდნენ შემთხვევის ადგილს. 1960 წელს თბილისის სხვადასხვა ისტორიულ უბანში ცხრა მსგავსი შემთხვევა დაფიქსირდა და, მილიციის ძალისხმევის მიუხედავად, ბოროტმოქმედები ვერ მოიხელთეს. იმავე წლის 14 აგვისტოს პატარა მძარცველებმა მოსკოველი ტურისტების ავტობუსი გაძარცვეს ფუნიკულიორის ზემო პლატოზე და გაიქცნენ. მოშკას უზარმაზარი შავი ჩანთა მხარზე ჰქონდა გადაკიდებული, კისერზე კი უახლესი მარკის ფოტოაპარატი ეკიდა. ის ერთ-ერთმა მორიგე მილიციელმა შენიშნა და დაედევნა. გაქცეული მოშკა ნაძარცვი ნივთებით ცდილობდა, ხელიდან დასხლტომოდა მდევარს – ის საცალფეხო გზით დაეშვა ქვევით, შემდეგ მკვეთრად მარჯვნივ გაუხვია და კლდოვან ციცაბოს მიადგა, რომელიც სოლოლაკს გადაჰყურებს. მოშკა წამით შეჩერდა, შემდეგ კლდიდან ისკუპა და ისე გავიდა სამშვიდობოზე, არც ჩანთა დაუკარგავს და არც ფოტოაპარატი. მდევარმა მილიციელმა კი ვერ გაბედა ამ სახიფათო ტრიუკის განმეორება და ბავშვი ხელიდან გაუსხლტა.

თუმცა, მილიციის ოპერატიულმა ჯგუფმა მაინც მოახერხა ორი პატარა მძარცველის შეპყრობა, შემდგომ დღეებში კი დანარჩენებიც აიყვანეს და მხოლოდ მოშკა ვერ მოიხელთეს, რომელიც სახლიდან გაიქცა და ჯერ ქუთაისში იმალებოდა, შემდეგ კი ბათუმში გაემგზავრა. მოშკა მხოლოდ ორი წლის შემდეგ გაიცნო მილიციამ, ისიც მას მერე, რაც მამამისმა საქმე „ჩააწყო“ და თავისი შვილი თბილისში ჩამოიყვანა. თუმცა, მოშკას უკვე გაგებული ჰქონდა დანაშაულის გემო და პატიოსანი ცხოვრება აღარ სურდა. 1964 წელს, სკოლის დამთავრების შემდეგ, მოშკა მოსკოვში, თეატრალურ ინსტიტუტში მოეწყო და სწავლის პარალელურად კრიმინალურ საქმიანობას განაგრძობდა.

## სადაზღვეო აგენტი

მოსკოვის თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტმა, მოშე კაციაშვილმა, ერთი წელი „გარემოს ათვისებასა“ და გრიმის ხელოვნებაში დაოსტატებას მოანდომა, 1965 წლის სექტემბრიდან კი საბჭოთა კავშირის დედაქალაქში ფართო კრიმინალური საქმიანობა გააჩაღა. თმაშეღებილი, სათვალეებიანი და ბლანჟიანი მოშკა მოსკოვის ელიტურ ბინებს

**„მოშკა“ ცამეტი წლისაც არ იყო, როდესაც თბილისში პატარა მძარცველთა ბანდა ჩამოაყალიბა**

აკითხავდა, მათ მფლობელებს სადაზღვევო აგენტად წარუდგენდა თავს და დაზღვევას სთავაზობდა. სინამდვილეში კი ბინებს ათვალიერებდა, საკეტების ანაბეჭდებს იღებდა და გასაღებებს ამზადებდა. მოგვიანებით კი ცარიელ ბინებში ბრუნდებოდა და პირწმინდად ძარცვავდა მათ. 1965-68 წლებში მოშკამ ოცდათხუთმეტი ბინა გაძარცვა და მილიონი მანეთის ღირებულების სხვადასხვა ნივთი წაიღო. მოხერხებული ქურდი ოქროსა და ძვირფასეულობას ინახავდა, ნივთებს ყიდდა. აღებული ფულის ნაწილს იყენებდა, დანარჩენით კი ოქროსა და ძვირფასეულობას ყიდულობდა. „მურის“ (მოსკოვის სისხლის სამართლის სამძებროს) ძალისხმევის მიუხედავად, „სადაზღვეო აგენტის“ მოხელთება ვერ ხერხდებოდა – მილიცია ეძებდა ქერათმიან, ორმოციოდე წლის მამაკაცს, მოშკა კი შავგვრემანი და, სულ რაღაც, 22 წლის იყო...

მოშკა 1969 წლის იანვარში დააკავა „კაგებ-ემ,“ თანაც, არა ქურდობაზე, არამედ იმიტომ, რომ მან 50 დოლარი იყიდა ერთ-ერთი „ვალუტჩიკისგან“, რომელსაც უშიშროება უთვალთვალებდა. ვალუტა კი მოშკას მაღაზია „ბერიოზკაში“ საჩუქრის შესაძენად სჭირდებოდა. მიუხედავად ამისა, ის გაასამართლეს და ორი წლით ჩასვეს ციხეში. აბა, რა იცოდა „კაგებ-ემ,“ რომ, „ჩიტს,“ რომელიც მათ ჩაუვარდათ ხელში, ერთ-ერთი მოსკოვური ბინის სამალავში მილიონი მანეთის ღირებულების განძი ჰქონდა შენახული. მოგვიანებით მოშკა კმაყოფილიც კი იყო, რომ უშიშროებამ ვალუტის გამო დააპატიმრა, რადგან, ბინის ქურდობაზე რომ აეყვანათ, მას გაშიფრავდნენ, ნაძარცვ განძსა და ფულსაც ჩამოართმევდნენ და თორმეტი წლით ციხეშიც ჩასვამდნენ. ორი წლის შემდეგ კი მოშკა ციხიდან გამოვიდა და ერთ-ერთ მოსკოვურ თეატრში მსახიობად დაიწყო მუშაობა.

## იატაკქვეშა გასართობი ქსელი

გასული საუკუნის სამოცდაათიანი წლები საბჭოთა კავშირში კრიმინალური სამყაროსთვის ნამდვილი გაფურჩქვნის ხანა იყო. იმ დროს ყვაოდა ყველა სახის იატაკქვეშა ბიზნესი, მათ შორის – სათამაშო ბიზნესიც და მოშკა იმთავითვე ჩაერთო მასში. ქართველი ქურდების საფარქვეშ მან არალეგალური სამორინეების ქსელი ააწყო, სადაც მრავალი ცნობილი ადამიანი, მათ შორის, პარტიულებიც დადიოდნენ. რაც მთავარია, იქ ტრიალებდა დიდი ფული და მოშკა ამ კაპიტალის ორმოც პროცენტს იდებდა ჯიბეში, დანარჩენს კი ქურდებსა და სხვადასხვა პარტიულ თუ მილიციის მაღალჩინოსნებს უხდიდა. ორი ასეთი სამორინე თბილისშიც ფუნქციონირებდა. ამ ბიზნესის პარალელურად, მოშკა არც თაღლითობას თაკილობდა, ოღონდ, მსხვილ მასშტაბებში და ერთ-ერთ პირველ „ატკატებს“ სწორედ ის ახორციელებდა. მოშე კაციაშვილი, ყალბი საბუთების გამოყენებით, სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს თანხებს არიცხვინებდა სხვადასხვა დაწესებულებაში, ვითომდა ხელმოკლე მოქალაქეებისთვის. სინამდვილეში კი ეს ფული მასა და მაღალჩინოსნებს შორის ნაწილდებოდა და ამ გზით მან რამდენიმე მილიონი მანეთი იშოვა.

1979 წელს 32 წლის მოშკამ სხვადასხვა მაქინაციითა და სამორინეებში ნაშოვნი მილიონებით ოქრო და ძვირფასი ქვები შეიძინა. შემდეგ ეს ქონება დიპლომატიური ბარგით გაიტანა შვეიცარიაში და ერთ-ერთ ბანკში შეინახა. 1981 წელს კი, ერთ-ერთი სპორტული დელეგაციის შემადგენლობაში, ცოლ-შვილთან ერთად გაემგზავრა დიდ ბრიტანეთში და იქიდან აღარ დაბრუნებულა.

გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში მოშკამ მთელი თავისი ქონება ერთ-ერთი მსხვილი ამერიკული კომპანიის აქციებში დააბანდა, ხუთი წლის შემდეგ კი მისი სრული მფლობელი გახდა და დღემდე იქ მოღვაწეობს.

**ნიკა ლაშაური**

**ავტორიზებული თბილისის ტურიზმის აკადემია**

აგრძელებს მიღებას გიდის; ინტერნეტტექნოლოგის (კომპიუტერი); კორესპონდენტისა და მუსიკოს–რეპეტიტორის პროგრამებზე.

დიპლომი სახელმწიფოა, სწავლის ღირებულება ხელმისაწვდომი.

მოქმედებს შეღავათები.

**მისამართი: კოსტავას N 47 (ფილარმონიასთან)**
**ტელ.:2936603; 599188924; 2935430; 2999626.**

# როგორ დააკავეს ქალებმა საპარიკმახეროში ყაჩაღობისთვის ძებნილი და რა დანაშაულს მალავდა ის

41 წლის ნანა ბ-შვილი ორი შეიარაღებული თავდამსხმელის მსხვერპლი საკუთარ სახლში გახდა. მცირე ბიზნესით დაკავებული ქალი, რომელიც საბავშვო სათამაშოების მაღაზიის მფლობელი გახლდათ იმ დღეს დააყაჩაღეს, როცა მან ბანკიდან ექვსი ათასი ლარის ღირებულების კრედიტი აიღო. დანაშაული, რომელსაც შემთხვევის ადგილზე ერთ-ერთი თავდამსხმელი ემსხვერპლა, დაზარალებულმა ქალმა ინციდენტიდან ოთხი თვის შემდეგ გახსნა – მან თავად ჩააბარა სამართალდამცველებს მეორე თავდამსხმელი, რომელიც შემთხვევის ადგილიდან მიიმალა და თან ნანა ბ-შვილის კუთვნილი თანხა წაიღო.

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, დაზარალებულმა ქალმა პირველი ჩვენება იმავე ღამეს მისცა გამოძიებას, როდესაც ინციდენტი მოხდა. ნანა ბ-შვილის განცხადებით, ორი ნიღბიანი თავდამსხმელი მის სახლში მოტყუებით შევიდა. ამონაწერი დაზარალებულის ჩვენებიდან: „საღამოს სახლში მე და ჩემი მცირეწლოვანი შვილი ვიყავით, როცა კარზე ზარი დარეკეს და მითხრეს, რომ წყალსადენის წარმომადგენლები იყვნენ და ჩემს ბინაში დაზიანების შეკეთების შემდეგ, წყლის ჭავლის სიმძლავრის განსაზღვრა უნდოდათ. კართან ახალგაზრდა ბიჭი იდგა, სანდომიანი სახით, სათვალით. ძალიან დამახასიათებელი გარეგნობა ჰქონდა. კარი გავუღე თუ არა, მასთან ერთად ბინაში შემოვარდა სახეზე ნიღაბაფარებული მამაკაცი, რომელმაც კორიდორშივე იარაღი დამადო და ფული მომთხოვა. მე ყვირილი მოვასწარი, რაც ერთ-ერთ ჩემს მეზობელს არ გამოჰპარვია. სანამ ორი თავდამსხმელი ჩემგან ფულის გატაცებას ცდილობდა, მეზობლები ჩემი ბინის კართან იდგნენ და კარზე აბრახუნებდნენ. თუმცა, უნიღბო თავდამსხმელის მიერ დაკეტილ კარს ვერ ხსნიდნენ. ბავშვით რომ დამემუქრნენ, იძულებული გავხდი, მათთვის ის 6 ათასი ლარი მიმეცა, რაც იმ დღეს გამოვიტანე ბანკიდან. სადარბაზოდან მეზობლების ყვირილი ისმოდა, გახსენით კარი, პოლიცია უკვე გამოვიძახეთო. დროის გაყვანას ვცდილობდი, მაგრამ როგორც კი თავდამსხმელებმა ფული ხელში ჩაიგდეს, ბინის დატოვებას შეეცადნენ. კარიდან ველარ გავიდოდნენ, ორივე მათგანი აივანზე გავიდა და იქიდან სცადეს თავის დაღწევა. ორსამ წუთში, სანამ გონზე მოსვლა და აივანზე გასვლა მოვასწარი, ეზოდან ხმაური გავიგონე. გარეთ გავვარდი, ძირს ჩემი აივნიდან გადავარდნილი თავდამსხმელი ეგდო, რომელიც მეოთხე სართულიდან გადახტომის შედეგად ადგილზე გარდაიცვალა. მეორე თავდამსხმელი კი, რომელსაც ნიღაბი არ ეკეთა, მეზობლის აივანზე გადავიდა და იქიდან ჩაძვრა ძირს. ის ისე გაუჩინარდა, მისი დაკავება მეზობლებმა ვერ შეძლეს. შემთხვევის ადგილზე პოლიციაც მოვიდა. ნიღბიანი თავდამსხმელი უკვე გარდაცვლილი იყო".

## შეიარაღებული ყაჩაღი გაქცევის დროს დაიღუპა

საქმის მასალებით, გამოძიებისთვის ცნობილი გახდა გარდაცვლილი მამაკაცის ვინაობა. ის აღმოჩნდა 28 წლის მამუკა ნ-ძე, რომელიც დაზარალებულ ქალს შორეულ ნათესავად ეკუთვნოდა. გარდაცვლილი მამაკაცი წარსულში ყაჩაღობისთვის იყო ნასამართლევი და ციხიდან გარდაცვალებამდე სამი თვით ადრე გათავისუფლდა. დაზარალებული ქალის განცხადებით, გამოძიებამ იმ ქალბატონის ვინაობასაც მიაკვლია, ვისი მეშვეობითაც მამუკა ნ-ძემ შეიტყო, რომ ნანა ბ-შვილს სახლში კრედიტით აღებული თანხა ჰქონდა. გამოძიებამ ვერ დაადგინა, ნანა ბ-შვილის ყოფილი რძლის კავშირი დანაშაულთან. მისი ჩვენების მიხედვით, ბიძაშვილს ჩვეულებრივ საუბარში მოუყვა, რომ ნანას ბიზნესში პრობლემები ჰქონდა და მაღაზიის საქონლით მოსამარაგებლად სესხი აიღო. როგორც გამოძიებით დადგინდა, მამუკა ნ-ძემ იმავე დღეს დაგეგმა და განახორციელა ყაჩაღური თავდასხმა მარტოხელა ქალზე, რომელიც ბინაში მცირეწლოვან შვილთან ერთად ცხოვრობდა.

გამოძიებამ მეორე თავდამსხმელის ვინაობის დასადგენად ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები დაიწყო, თუმცა ვინ იყო გარდაცვლილი მამაკაცის თანამზრახველი, იოლი დასადგენი არ აღმოჩნდა. მამუკა ნ-ძის საახლობლო წრიდან გამოძიებამ დაკითხა რამდენიმე საეჭვო წარსულის და რეპუტაციის მამაკაცი, თუმცა მათი ყაჩაღობის ფაქტთან დანაშაულებრივი კავშირი არ დადგინდა. კრიმინალური ინციდენტიდან ოთხი თვის შემდეგ, ნანა ბ-შვილმა თავად აღმოაჩინა თავდამსხმელი, რომელიც ინციდენტს შემსწრე ადამიანების დახმარებით დააკავა. როგორც გამოძიებისთვის გახდა ცნობილი, დაზარალებული ნანა ბ-შვილის ჩვენების მიხედვით, თავდამსხმელს ის სრულიად შემთხვევით შეხვდა საპარიკმახეროში. ამონაწერი ნანა ბ-შვილის ჩვენებიდან: „ამ საპარიკმახეროში ხუთი წელია, რაც დავდივარ. იმ დღესაც ჩვეულებრივ შევედი. თმას ვიჭრიდი, როცა საპარიკამახეროში მამაკაცი შემოვიდა. მისგან ზურგით ვიჯექი, მაგრამ სარკეში დანახვისთანავე მივხვდი, ვინც იყო – ამოვიცანი თავდამსხმელი, რომელიც ჩემს სახლში შემოიჭრა და 6 ათასი ლარი გაიტაცა. ის ჩემს სახლში 10 წუთზე მეტხანს დარჩა, იმის მიუხედავად, რომ ძალიან შეშინებული ვიყავი, მისი სახე კარგად დამამახსოვრდა. ის ისე დაჯდა ჩემს გვერდით სკამზე, რომ ვერ შემამჩნია. მე ავდექი, საპარიკამხეროს მეპატრონე გარეთ გავიხმე და ვუთხარი, რაშიც იყო საქმე. იქვე ერთმა გამყიდველმა, პოლიცია გამოიძახა. მე სალონში შევბრუნდი, მეპატრონეს კარი დავაკეტინე, რომ თავდამსხმელი სალონიდანაც არ გაქცეულიყო. როგორც კი სალონში შევტრიალდი, შემომხედა და მიცნო. უცებ ადგა, მე მივვარდი, კიდევ სამი ქალი დამეხმარა და კუთხეში მივიმწყვდიეთ. წინააღმდეგობას გვიწევდა, ერთ-ერთი სარკისკენ გაიწია და მაკრატლის აღება სცადა, რომ როგორმე მოვეგერიებინეთ, მაგრამ ამ დროს სალონში მყოფი მამაკაციც მოგვეხმარა. საბედნიეროდ, პოლიციაც მალე მოვიდა. წინააღმდეგობის გაწევის მცდელობის მიუხედავად, ის დააკავეს და პოლიციაში წაიყვანეს."

საპარიკამახეროში, ქალების მიერ დაკავებული მამაკაცი წარსულში ყაჩაღობისთვის ნასამართლევი ვანო ვ-ძე აღმოჩნდა. ის თავიდან უარყოფდა ჩადენილ დანაშაულს. გამოძიებამ დაადგინა, რომ ის სასჯელს იხდიდა გარდაცვლილ მამუკა ნ-ძესთან ერთად და ციხიდან გათავისუფლების შემდეგ, მასთან ხშირი ურთიერთობაც ჰქონდა. დაკავებულმა ვანო ვ-ძემ ჩადენილი დანაშაული აღიარა, მისი ჩვენების მიხედვით, ყაჩაღური თავდასხმა მისი ციხის მეგობრის, მამუკა ნ-ძის ორგანიზებით მოხდა. ის იმავე დღეს დაუკავშირდა მეგობარს, როგორც კი ქალის ბინაში ფულის არსებობის შესახებ გაიგო. სამართალდამცველებმა დაკავებულის, ვანო ვ-ძის ბინიდან ამოიღეს არარეგისტრირებული ცეცხლსასროლი იარაღი, რომლითაც, როგორც გამოძიებით დადგინდა, ჩადენილი იყო კიდევ ერთი ყაჩაღური თავდასხმა. სასამართლომ ვანო ვ-ძე დამნაშავედ ცნო ნანა ბ-შვილზე განხორციელებული ყაჩაღური თავდასხმის ბრალდებით და მას 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

**ეკა ბარაბაძე**

# რა მოხდა ამ დღეს

### 22 სექტემბერი

1499 – შვეიცარია გახდა დამოუკიდებელი სახელმწიფო.

1692 – უკანასკნელი აუტოდაფე ჩრდილოეთ ამერიკაში, მასაჩუსეტსში – ჩამოახრჩეს რვა „ალქაჯი".

1980 – დაიწყო ირან-ერაყის ომი.

1990 – ინგლისელმა სტივ ვუდმორმა დაამყარა უჩვეულო რეკორდი სწრაფად საუბარში. მან 1 წუთში წარმოთქვა 637 სიტყვა.

### 23 სექტემბერი

1846 – იოჰან ჰალემ აღმოაჩინა მზის სისტემის მერვე პლანეტა ნეპტუნი.

1913 – ფრანგმა პილოტმა როლან გაროსმა პირველმა გადაუფრინა ხმელთაშუა ზღვას.

1930 – იოჰან ოსტერმაიერმა დააპატენტა ფოტონაპერწკალი („ვსპიშკა").

### 24 სექტემბერი

1852 – ცაში აიჭრა პირველი დირიჟაბლი.

1960 – ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ექსპლუატაციაში გაუშვა პირველი ატომური ყინულმჭრელი „ენტერპრაისი".

1989 – კათოლიკურმა ეკლესიამ მოახდინა გალილეო გალილეის რეაბილიტაცია.

### 25 სექტემბერი

1513 – ესპანელმა კონკისტადორმა ვასკო ნუნიეს-ი-ბალბოამ, პირველმა ევროპელთაგან, იხილა წყნარი ოკეანე.

### 26 სექტემბერი

1580 – დასრულდა ფრენსის დრეიკის მოგზაურობა დედამიწის გარშემო (მეორე ასეთი მოგზაურობა მაგელანის შემდგომ).

1815 – ვენაში რუსეთმა, ავსტრიამ, საფრანგეთმა და პრუსიამ შექმნეს „წმინდა კავშირი" მიმართული რევოლუციური და ეროვნულ-გამათავისულებელი მოძრაობების წინააღმდეგ ევროპაში.

1934 – ინგლისელებმა წყალზე გაუშვეს მაშინდელ მსოფლიოში უდიდესი საოკეანო ლაინერი „Qeen Mery".

1960 – ფიდელ კასტრომ „გაეროს" სხდომაზე წარმოთქვა „გაეროს" ისტორიაში ყველაზე უფრო ხანგრძლივი სიტყვა. ის განუწყვეტლივ ლაპარაკობდა 4 საათისა და 29 წუთის განმავლობაში.

### 27 სექტემბერი

1540 – რომის პაპმა პავლე მესამემ დაამტკიცა იეზუიტთა ორდენი.

1937 – ქალაქ ალბიონში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, გაიხსნა მსოფლიოში პირველი სკოლა სანტა-კლაუსებისთვის.

1977 – უკრაინაში ექსპლუატაციაში შევიდა ჩერნობილის ატომური ელექტროსადგური.

1993 – სოხუმის დაცემა.

### 28 სექტემბერი

1850 – ვაიმარში შესდგა რიჰარდ ვაგნერის ოპერის „ლოენგრინის" პრემიერა, დადგმა განახორციელა ფერენც ლისტმა.

1879 – ინგლისელებმა ტყვედ იგდეს ზულუსთა ბოლო მმართველი კეჩვაიო და დაასრულეს ზულუსთა სახელმწიფოს დაპყრობა (სამხრეთ აფრიკა).

1936 – იაპონიაში დაარსდა საავტომობილო კომპანია „ტოიოტა".

1996 – პრინც ჩარლზის და პრინცესა დიანას განქორწინება.

# ისწავლეთ ხატვა ზალიკოსთან ერთად



1. თავით დაიწყეთ ბეტმენის ხატვა



2. მიახატეთ თვალები



3. დაასხიულეთ თავის და ტანის ხატვა



4. მიახატეთ ფეხები



თაბუკაშვილის №36
ტელ.: 272 9191
ზაალ სულაკაურის სამხატვრო სტუდია



5. შემდეგ – ხელები



6. დაასხიულეთ ნახატი



7. გააფერადეთ

# იპოვეთ 10 განსხვავება





## დაეხმარე გზის გაკვლევაში



## ვის რა სჭირდება სამუშაოდ





# ლომი და კაცი

## (იგავ-არაკი)

ლომი და კაცი გზად მიდიოდნენ. კაცმა აიჩემა, ადამიანი ლომზე ძლიერიაო, ლომი კი, პირიქით – ადამიანზე ძლიერი ლომიაო, – ამბობდა. მაშინ კაცმა ქანდაკება დაანახვა – დამორჩილებული ლომები ადამიანთა ფეხთით ეყარნენ.

– ლომებსაც რომ შეეძლოთ გამოქანდაკება, ბევრ ადამიანს ნახავდი ლომების ფერხთით გართხმულსო, – უთხრა ლომმა.

ბევრი ტრაბახობს, საქმით კი არაფრის გამკეთებელია

## რიცხვრებუსი

20, 1,,, 2,, ,,0, 10,,

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | | |
| პატარა კატა | | | ძველებური ტრანსპორტი / პატარა წყარო | |
| | | | | |
| ახლის საპირისპირო | | | შინაური ცხოველი | |

აღმოსავლური ორთაბრძოლა
ესკორტი
ადათ-წესი
ხოცვა-ჟლეტა
დიდი გეოლოგიური ხანა
პუშკინის გალია / ბრაზილ. მწერალი
ტბა ფინეთში / კასპის სოფელი
ყოფილი იუგოსლავიის ნაწილი
ძველი ბელგიელი ფეხბურთელი
ორგანული ნაერთიც, მაგარი სასმელიც
(.......) გომეს ლა სერნა
კონტინენტი / მაგარი ღვინო
....გელაშვილი / გაზი
გაუხედნავი კვიცი
(......) დუმბაძე
თბილისის გარეუბანი
მოთხოვნა / ათენელი ორატორი
ირლანდია / ურანის თანამგზ.
ლაიზა (.........)
სხეულის რბილი ადგილი
დასამალი მოწყობილობა
წვის პროდუქტი
რაიცენტრი აჭარაში
ბევრი კორპუსი / სანადირო დანა
სუსტი გონების მქონე
მალტის დედაქალ. / სპარსელი პოეტი
შივას ცოლი ინდუიზმში
ლერწამი
საჭმელს ამუშავებს / ქალის. სახელი
რა უნდა გამოიჩინო ცხოვრებაში?
ცალ ფეხზე ხტომა ანუ?
ფრანგი ფეხბურთელი. / მიდამო
ნიალისეული / ესპანეთ. ქალაქი
ქალაქი კოლუმბიაში
იტალ. მსახიობი ფრანჩესკა....
პარიზში შეიქმნა 1871 წ
დიდი იოსები / ხანში შესული
ხეჩოს გულის ცენტრალნაია
ინფორმაციის ერთეული
რაბინოვიჩი
სამშენებლო მასალა
.....ქეიშვილი / იემენის ქალაქი
საბრძოლო ხომალდი
ეპილეფს. სიმპტომი / მოკლე დროში
(.....) ბრავო!
განქიქება / სახლი
ცენტრ. აფრიკის სახელმწიფო
სავანე უდაბნოში
ფირნიში
კაშკაშა ვარსკვლავი
დრეკადი შიგთავსი / მათრობ. მცენარე
ქან-ქაკ...
ფოსო თვალთან
ფოტოგრაფის "მამა"
პოლონეთის ფეხბ. გუნდი
ბრაზილ. შტატი / ფრანგ. მანქანა
აღგზნებული განწყობილება
პატარა თევზი



პერუელი მწერალი / ინგლის. ფული
სიმღერა / უდანაშაულობის საბუთი
ბილიარდის ჯოხი / ინგლის. საზომი
(......) მაკარტნი
აქვს ლომს და ცხენს
ედგარ ალან.... / პირველი ქალი
ნაბიჯით (......)!
რა ჰქვია უფროს ზვამბაიას?
ფრანგი მწერალი მარკიზ დე.....
(......) ელიავა / მეორე ნოტი
სანახობა / ჩვენთან
„გვადი ბიგვას" პერსონაჟი
სიშმაგის მიზეზი
კროსვორდის დასასრული
უაზრო ლაპარაკი / „ერთი" ნარდში
გადასატანი რადიოსადგური

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 1 | 3 | 3 | | 3 | | | 4 | | | | | | | | | | | | 3 | | | | | | | | |
| | | 3 | 3 | 2 | 1 | 1 | | 1 | 9 | 3 | | | | | | | | 14 | 4 | 6 | 5 | | 3 | 4 | 3 | | | | |
| 5 | 7 | 2 | 2 | 5 | 2 | 3 | 3 | 9 | 1 | 8 | 7 | 9 | 8 | | 6 | 10 | | 2 | 14 | 4 | 2 | 2 | 4 | 1 | 1 | 3 | | | |
| 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 3 | 5 | 13 | 2 | 1 | 4 | 6 | 2 | 1 | 9 | 6 | 7 | 21 | 2 | 1 | 1 | 1 | 9 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | 9 |
| | | 2 | 2 | 2 | 2 |
| | | 2 | 2 | 2 | 2 |
| | | | 2 | 2 | 5 |
| | | | | 2 | 7 |
| | | | 3 | 6 | 1 |
| | | | 3 | 5 | 3 |
| | | 3 | 4 | 3 | 2 |
| | | | 3 | 4 | 7 |
| | | | 2 | 5 | 6 |
| | | | 6 | 3 | 1 |
| | | | | 11 | 5 |
| | | | | 13 | 1 |
| | | | 9 | 4 | 1 |
| | | | 10 | 5 | 1 |
| | | | | 11 | 5 |
| | | | 2 | 9 | 5 |
| | | | 1 | 11 | 2 |
| | | | 1 | 4 | 8 |
| | | 1 | 4 | 2 | 5 |
| | 2 | 3 | 2 | 3 | 1 |
| | 2 | 2 | 3 | 2 | 1 |
| | 1 | 2 | 2 | 2 | 1 |
| | | 3 | 3 | 3 | 1 |
| 5 | 3 | 3 | 3 | 1 | 7 |

## სუდოკუ

სუდოკუ – ეს არის იაპონური კროსვორდი-თავსატეხი, ნებისმიერი ასაკის ადამიანების გონების საუკეთესო სავარჯიშო. მის ამოსახსნელად საჭიროა, ჩასვათ ციფრები 1-დან 9-მდე, ისე რომ ციფრები არ განმეორდეს როგორც ჰორიზონტალურ სტრიქონებში და ვერტიკალურ სვეტებში, ასევე ცხრა დანაყოფებიან ბლოკებშიც.

## ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 9 | 7 | | 5 | 3 | | 4 | 2 |
| | 4 | 2 | 1 | 9 | | 7 | | 5 |
| 6 | | | 2 | 7 | | 8 | 9 | |
| 2 | | 5 | | | 1 | 4 | 7 | 9 |
| | 1 | | 5 | 4 | | 6 | 3 | |
| 4 | 3 | 8 | | 6 | | | 2 | 1 |
| | 2 | | 9 | 1 | 7 | | 8 | 4 |
| 1 | | 4 | | 2 | 6 | | 5 | |
| 9 | 7 | | 4 | | 5 | 2 | | 6 |

## რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 4 | | 7 | | | 3 | | 9 |
| | 3 | | 8 | | 4 | | 7 | |
| 2 | | 6 | | 3 | | 5 | | |
| | 8 | | 6 | | | | 9 | |
| 1 | | | | | | 4 | | 5 |
| | | | | 1 | | 6 | | 7 |
| | 1 | | 3 | | | | | 4 |
| 4 | 5 | | | | | | | 1 |
| | | 7 | | 4 | | 8 | | 2 |

**მიუხედავად იმისა, რომ გადატვირთული გრაფიკის გამო დასვენებას, ტრადიციული გაგებით, უკვე დიდი ხანია, ველარ ახერხებს, მაინც ასწრებს სახალისო ისტორიების გახსენებას, რომლებიც ზაფხულსა და დასვენებას უკავშირდება, თუმცა, არა მხოლოდ ამ თემას. ცნობილი თამადაა და სახალისო ისტორია სუფრაზეც ბევრი გადახდენია, მოგზაურობის დროსაც და ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზეც. მისი სახელისა და გვარის გაგონება ადამიანს უკვე კარგ განწყობაზე აყენებს, რადგან, იცის, მისგან რას უნდა ელოდეს. როგორ დარბოდა წყალზე, ვინ არ აპატია სუფრის არევა და რატომ აღნიშნა ახალი წლის დადგომა ოთხი საათით ადრე, ამას ბესო ბერულაშვილისგან შეიტყობთ.**

# რატომ ლოცულობდა ხალხი „წყალზე მორბენალი“ ბესო ბერულაშვილის დანახვისას და როგორ გაიცნო მან დათო როსტომაშვილი

– ბავშვობის შემდეგ ისე, რასაც ნამდვილად დასვენება ჰქვია, არ დამისვენია. როცა დასასვენებლად მიდიხარ, გააჩნია, ვისთან ერთად ხარ. ძირითადად, დასვენებაში იგულისხმება მეუღლე და ოჯახი, მაგრამ, თუ ძმაკაცი და მისი ოჯახიც მოდის, იქ უკვე დასვენება გამორიცხულია, იქ გარდაუვალია სუფრა. თუმცა, ეს კარგიც არაა, პრობლემები მომიტანა – ფორმაში ველარ ვდგები და სულ ბენდუქიძეს ვაბრალებ. არადა, რა შუაშია ბენდუქიძე *(იცინის).* გადავწყვიტე, სპორტული და ჯანსაღი წესით მეცხოვრა, მაგრამ, მაცივარი რომ გამოვაღე და უამრავი ლუდი დავინახე, დამაჟრჟოლა და, მეთქი, ვარჯიშის დედაც... *(იცინის)*

**– ამასთან დაკავშირებით, ალბათ, მეუღლე პროტესტს გამოთქვამს.**

– კი, მეუღლე ევროპასავით შეშფოთებულია და ამერიკასავით აღშფოთებული, მაგრამ ახლა მართლა მოვუკელი. თუმცა, უცხოეთში რომ ჩავდივარ, ყველა მონატრებულია და, ერთ დღეს ერთი გეპატიჟება, მეორე დღეს – მეორე და ასე შემდეგ. ლონდონში ვიყავი გასტროლებზე და ერთი ფოტოც არ გადამიღია. ხეტიალის მოყვარული არ ვარ, შოპინგი და მსგავსი რამეებიც არ მიყვარს უცხოეთში.



**მეუღლე ევროპასავით შეშფოთებულია და ამერიკასავით აღშფოთებული, მაგრამ ახლა მართლა მოვუკელი**

**– საინტერესო ადგილებს არ ათვალიერებთ ხოლმე?**

– თითქმის ყველა ქვეყნის ზოოპარკში ვარ ნამყოფი. ატრაქციონზე, შემიძლია, კილომეტრიან რიგში ჩავდგე... ერთხელ მე და ჩემი ძმაკაცი ვიყავით ზღვაზე. იქ ფოტოგრაფი დადიოდა და დათვი დაჰყავდა, ყველას უნდოდა მასთან ფოტოს გადაღება – ერთგვარი ბიზნესი ჰქონდა. ცოტა ხანში მოვიდა და ჩემს ძმაკაცს ეუბნება ჩემზე – ახლა ჩემი სამუშაო საათებია და ეგ ნუ გამოგყავს, კლიენტები მეკარგებაო. მე რა შუაში ვიყავი, დათვი ვარ?! *(იცინის)* ხალხი მე რომ მხედავდა, მოდიოდა და ჩემთან იღებდა ფოტოებს, კაცს ბიზნესი ჩავუგდე. ისე, როცა ზღვაზე ვარ, წყალში არ ჩავდივარ და ამიტომაც ვარ ფიფქიასავით. ერთხელ ხმელთაშუა ზღვაში ვართ იახტით შესულები. სასწაული წყალი იყო და გადავხტი. იახტის პატრონი ყვირის – „კოპა ბალა!“. ვიფიქრე, ჩემზე ამბობს, თეთრი ზვიგენი გაიჩითა, რა მაგრად ცურავსო. თურმე, იმას ყვირის, სად ჩახტი, მანდ ზვიგენები არიანო, მე კი მეგონა, ჩემი ცურვით იყო აღფრთოვანებული. როგორც ჩავხტი, ისე ამოვხტი *(იცინის).* ერთხელ, ისევ ზღვაზე ვართ და „პარაშუტზე დაჯდომა“ ავიჩემე. ტვინი წავიღე. პატრონი მეუბნება: რას ამბობ, ვერ ხედავ, რამხელა ხარ, „მატორი დაასტუკებსო“. არა-მეთქი, – ვეუბნები, – აუცილებლად უნდა დავჯდე-მეთქი. ესე იგი, მე იმან წყალზე მარბენინააა. რა თქმა უნდა, ვერ ამწია და წყალზე დავრბოდი. ხალხი გაოცებული მიყურებდა და ლოცულობდნენ – ვინ არის ეს წმინდანი, წყალზე რომ დარბისო! ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, ავიწიე. ავიწიე და, ატომური ბომბის ჩამოვარდნა წარმოგიდგენია? უცებ ეგეთი რაღაც მოხდა – წონას ვერ გაუძლო და გაწყდა. მე რომ ამწევდა, აბა, რა მოუვიდოდა?! კატერი საერთოდ გადასაგდები გახდა. მაგრამ, რაც მართალია, მართალია, წყალზე სერიოზულად ვიარე *(იცინის)...* მერე ტვინი წავიღე, „ბანანზე“ უნდა დავჯდე-თქო. წინ ბავშვები ჩასხდნენ, უკან – მე და „ბანანი“ ფეხზე დადგა. მე თავი წყალში მაქვს და ვყვირი, მიშველეთ, ვიხრჩობით-მეთქი, ისინი კიდევ, ხალისობდნენ. რა მექნა, ბავშვები გავართე.

**– მოგზაურობის დროს არ გაქვთ ხოლმე მსგავსი სიტუაციები?**

– ერთხელ, მე, გიორგი ნემსაძე, ზურიკო ხიზანიშვილი და შოთიკო არველაძე ახალ წელს შევხვდით შოტლანდიაში. ჩვენ შორის, დროის თვალსაზრისით, ოთხსაათიანი სხვაობაა. ბევრი ასაფეთქებელი ვიყიდეთ და, ჩვენთან რომ დადგა ახალი წელი, იმდენი ავაფეთქეთ, ლამის ქალაქი ჰაერში ავწიეთ, თუმცა, იქ მხოლოდ რვა საათი იყო და მოგვადგა მილიცია. ვეუბნებით, რომ ახალი წლის დადგომა აღვნიშნეთ და გაოცებულები გვიცქერდნენ – რვა საათზე რა დროს ახალი წელიაო?! შემდეგ ავუხსენით, რაშიც იყო საქმე.

მე ძველი ფეხბურთელი ვარ, მეკარე ვიყავი. ერთხელ ცხონებული მამაჩემი მოვიდა ჩემს მწვრთნელთან და ეკითხება, როგორი მეკარეაო. მწვრთნელმა – რას ამბობ, გინესის რეკორდებშია შესაყვანიო. კაცს გაუხარდა – მართლა ეგეთი მაგარი მეკარეაო? – მაგის რა გითხრა, მაგრამ, მსოფლიოში არც ერთ მეკარეს არ აქვს ასეთი ბურთები გაშვებულიო. წადი, შვილო, სწავლას მიხედე, რა ფეხბურთიო... იქაც, კარში იმიტომ ვიდექი, რომ სირბილი მეზარებოდა *(იცინის).* ფეხბურთს კი დავანებე თავი, მაგრამ, ფეხბურთელებთან ყოველდღიური ურთიერთობა მაქვს.

ერთხელ კიდევ, სანადიროდ წამიყვანეს. რომელი მონადირე ახლა მე ვარ. ავედით მთაზე. ჯერ ჩემი სიარული წარმოიდგინე, მერე – მწვერვალზე, მაგრამ, იმ დღეს ჩაიშალა. მეორედ წავედით. სადღაც დამაყენეს – აქ იყავი და დათვი გამოვაო. თუ ააცილებ, არა უშავს, უკან

**ამერიკაში, მადამ ტიუსოს მუზეუმში სამი კახელის კახური გინება ისმოდა. გაგიჟდნენ, გაოცებულები გვიყურებდნენ და წითელი ბარათებით გამოგვიშვეს**

მსროლელები არიან და ისინი მოკლავენ. ოღონდ, არ იხმაურო და სიგარეტი არ მოწიოო – და წავიდნენ. „ნუ, პაგადი“ ხომ გინახავს? სიგარეტი რომ უჭირავს ყველა თითს შორის. ჩავიდე ეს სიგარეტები, ვექაჩებოდი და თან ვყვიროდი, რომელი მონადირე მე ვარ, სად დამაყენეთ-მეთქი. ერთი კარგი კაცი მყავდა, რევაზ შალვოვიჩი, მეცხოვრიშვილი, რომელიც, წაუყვანიათ თურმე სანადიროდ, დაუყენებიათ და უთქვამთ – აქ დადექი, დათვმა კარგა მოზრდილი ხბო შეიყვანა ბუნაგში და, რომ გამოვა, ესროლეო. ეს რეზიკო თურმე იძახის: კაცო, ორი კილო ხორცი რომ შემაქვს სახლში, სამი დღე მე აღარ გამოვდივარ და, ამან ასი კილო მაინც ხომ შეიტანა, იქიდან გამომსვლელიაო?! – არც მე ვარ დიდი მონადირე.

**– წელან თავადაც ახსენეთ გარდაუვალი სუფრები, ცნობილი თამადა ხართ და სუფრებზეც ხშირად გექნებათ ხოლმე სახალისო სიტუაციები.**

– ვაიმე, არ გამაგონო! ერთი რაღაც გადავწყვიტე: სახელი უნდა გავიტეხო – სადმე ცუდად უნდა ვითამადო. რომ იტყვიან, ბესო ავირჩიოთ თამადადო, სხვამ უნდა თქვას – უი, მაგი არ გამაგონოთო... თუმცა, რამდენიმე ხნის წინ თავდაცვაში ვმუშაობდი და ხელმძღვანელობასთან არასასიამოვნო საუბარი უნდა მქონოდა. მივედი, – „ვა, კაცო, შენ ის არა ხარ?“ – ვიფიქრე, ახლა იტყვიან, ბენდუქიძეო, მაგრამ, აღმოჩნდა, რომ ორ-სამ სუფრაზე ვყოფილვართ ერთად. რომ გამოვედი, ცოლს დავურეკე: რომ მეუბნები, რატომ თამადობ და რისთვისო, აჰა, მივედი და ჩემი თამადობით ორ წუთში საქმე გავაკეთე-მეთქი. მაგრამ გადავწყვიტე, ჯანმრთელობის გამო ფორმაში ჩავდგე.

ერთხელ სუფრაზე დაგვიანებით მივედი. ხალხი მოვიკითხე, რამდენიმემ ფოტო გადაიღო. ერთმა სვანმა შემომიტია: „აგერ ახლა რა წესია ეს? აგერ ახლა ორნი გავალთ და მარტო დავბრუნდები, სუფრის არევას არავის ვაპატიებ“, – იქადნება, რა! მეთქი, ვინაა ეს შუშის თვალებიანი?! მაშინ არეული დრო იყო. მე ვუთხარი: ბიჭო, რა გინდა, შავები გინდა, წითლები გინდა, რა გინდა, თავი დამენებე... ეს სვანები ჩემი ახლობლები არიან-მეთქი. კიდევ იქადნება, თან იარაღი აქვს. დიდი განსხვავებულებით სვამს, უკვე შუშის თვალები გაუხდა და მერე რაღა მოუვა. წავედი მე და, ვუთხარი – ძმაო, კარგად იყავი-მეთქი. გულში ვფიქრობ, ეს ვინ არის, მთელი საღამო ჩამამწარა-მეთქი. მივდივარ და გზაში მომაძახა: „მიწა-წყალოო“, – ეგ იყო დათო როსტომაშვილი. ასე გავიცანი როსტიკა. როცა მივხვდი, რომ, სვანი კი არა, კახელი იყო, ესე არაფერი გამხარებია, ეს დაახლოებით თხუთმეტი წლის წინ იყო. ბატონ ჯემალ ბაღაშვილს მოვუყევი, რომ ძალიან მაგარი ბიჭი ვნახე, მერე როსტიკამ მისცხო და მისცხო.

**– უარყოფითი რეაქციები აქვთ ხოლმე სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლებს, როცა მათ აჯავრებთ?**

– ჩემთან არა. მე სვანებს ნაკლებად ვაჯავრებ. გართულებები ძირითადად მათგან მოდის, მაგრამ, როსტიკას „ლიცენზია” აქვს – ჩემმა ცხონებულმა ძმაკაცმა, ლერი ნაკანმა მისცა. ამიტომ, როცა დათო ყვება სვანებზე რამეს, ამბობს, ლიცენზია მაქვსო. მე როცა მინდა მათზე რამის მოყოლა, ვაბმობ, რომ დათომ მომიყვა, მაგას კიდევ, ლიცენზია აქვს და, რა, ძმაო-მეთქი *(იცინის).*

ისე, უცხოეთში ნელ-ნელა პატარა ჭიქებზე გადავიდნენ, ჩვენთან – ჯერჯერობით ვერა, განსაკუთრებით – ზუგდიდში. ძალიან თბილი ხალხია, მაგრამ, ერთი მინუსი აქვთ – პატარა ჭიქა არ იციან, უშველებელი სასმისები აქვთ. დალევ ამხელა სასმისებს და, ისეთი ღვინოა, მართალია, არ გათრობს, მაგრამ, იბერები და, იქიდან ისეთი გაბერილი ჩამოვედი, ლამის ჩაჩავაში მივედი საშველად. ძმაკაცი მყავს იქ და კახური ღვინო უნდა გავუგზავნო – ნახავს, კახურის დიდი ჭიქებით დალევა როგორ უნდა. პატარა ჭიქების ქარხანა უნდა გავაკეთო-მეთქი, თბილისის მერს, დათო ნარმანიას ვუთხარი *(იცინის).*

**ქეთი კაპანაძე**

**თამრიკო ჭოხონელიძე იმ იღბლიან ადამიანთა შორისაა, ვისაც როგორც თავად ამბობს, ცნობილი ბაბუისგან მემკვიდრეობით დიდი მადლი ერგო. წრე, რომელშიც ის გაიზარდა, მუსიკალური სამყაროს და ექიმთა ცნობილი წარმომადგენლებისგან შედგებოდა. თუმცა, იმასაც გვიმხელს, რომ ყველაზე ახლო ნათესავებს შორის, რომელთაც ჩვენ არ ვირჩევთ, ცხოვრებამ ბევრი ისეთი ადამიანი არგუნა, ვისთან სიახლოვეც მისთვის ცხოვრებისეული დიდი საჩუქარი იყო.**

# რა განძი ერგო თამრიკო ჭოხონელიძეს მემკვიდრეობით და რა ანდო მას ბიძინა ივანიშვილმა 17 წლის წინ

**თამრიკო ჭოხონელიძე:** ადამიანების ცხოვრებაში ყველაზე დიდ როლს უახლოესი გარემოცვა: ოჯახის წევრები, მშობლები, ბებია-ბაბუები ასრულებენ. კარგი წინაპარი ყველაზე დიდი განძია, რომლისგანაც შეუდარებელი მადლი მოგყვება მთელი ცხოვრება. მე ძალიან ბედნიერი ვარ, რომ მყავდა ისეთი წინაპარი, როგორიც იყო ჩემი დიდი ბაბუა – ევსევი ჭოხონელიძე, რომელიც რიაზანის სასულიერო სემინარიაში სწავლობდა. მე მაქვს მისი ფოტო, გადაღებული 1901 წელს, ქუთაისის გიმნაზიაში გრიგოლ რობაქიძესთან ერთად, რომელიც მისი მეგობარი იყო. ბაბუაჩემი მღვდელი იყო, ალბათ, ეს გახლდათ, ყველაზე დიდი საჩუქარი ჩვენთვის, მისი შთამომავლებისთვის. ბაბუა იყო პირველი, რომელმაც ქუთაისში სანთლის წარმოება დაიწყო, როდესაც ურწმუნო ხალხი ბაგრატის ტაძრის გალავანს ძარცვავდა. ბაბუა ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც განგაშის ზარი შემოჰკრა და აიძულა, გავლენიანი ადამიანები ახალი გალავანი შემოერტყათ ტაძრისთვის. ის ბაგრატის ტაძრის ეზოშია დაკრძალული, რაც ძალიან მეამაყება. ვფიქრობ, მისგან გვერგო მემკვიდრეობით მადლი, ერთმანეთის გატანის უნარი და ადამიანების სიყვარულის ნიჭი, რაც მეც და ჩემს დებსაც მთელი ცხოვრება მოგვყვება. ძალიან ღირსეული წინაპარი მყავდა ბაბუაჩემის, დავით ჭოხონელიძის სახით და რა თქმა უნდა, მამაჩემი, რომელზე საუბარიც ყოველთვის მიჭირს. მასზე ვერასდროს ვლაპარაკობ იმას, რაც მინდა, რომ ვთქვა. მასზე დღემდე ამბობენ, რომ როდესაც წავიდა ამქვეყნიდან, ის მარტო ოჯახს კი არა, ერს დააკლდა. მახსოვს, როდესაც შემომთავაზეს მამა კონსერვატორიის მცირე დარბაზიდან გაესვენებინათ, მე ვთქვი, რომ მამა ამას არ მაპატიებდა, რადგან ძალიან თავმდაბალი იყო. მე ყველანაირად შევეცადე, ეს ასე არ ყოფილიყო, მაგრამ დამიკავშირდნენ საპატრიარქოდან: უწმიდესს უნდა შენი ნახვაო. უწმიდესმა ცრემლებით მომისამძიმრა. მახსოვს მითხრა: ის უნდა გასვენდეს იქიდან, საიდანაც გააცილა ქართველმა ხალხმა ერისკაცები და ეს ადგილი არის სიონის ტაძარიო. მისი უწმიდესობის ამ სიტყვების შემდეგ, მე სათქმელი აღარაფერი მქონდა. მამა იყო ჩემი ცხოვრების რეალური საჩუქარი, რომელსაც ფიზიკურად ვეხებოდი, ვეფერებოდი. რა დროსაც არ უნდა წასულიყო ის ამქვეყნიდან, ჩემთვის ყოველთვის უდროო იქნებოდა მისი წასვლა. მამასთან ერთად გატარებული თითოეული დღე იყო საოცრება, დიდი განძი. მისი სიტყვა ჩემთვის ყველაფერს ნიშნავდა. ვაჟი არ ჰყავდა და ხუმრობდა ხოლმე: ყველაზე ვაჟკაცებს გოგოები ჰყავთო. თუმცა, მე და თინიკოს ისე გვზრდიდა, გვერდიდან არ გვიშორებდა. თინიკო დაჰყავდა ფეხბურთზე, სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებაზე. არ ვიცი, როდის და როგორ აღმოაჩინა, რომ მე კარგად ვისროდი ტირში. პლეხანოვზე გააკეთა კედელი, სადაც მე და მამა ტირში ვვარჯიშობდით. ისე გამომაწრთო, რომ სკოლაში ყველაზე კარგად ვისროდი. ჩემმა სამხედროს მასწავლებელმა კონსერვატორიაში საოცარი რეკომენდაცია-დახასიათება გამოატანა. პირველკურსელი ვიყავი, წარმოიდგინეთ 16-17 წლის გოგო გაპრანჭვის პერიოდში და ერთ დღეს ფიზკულტურის კათედრის ხელმძღვანელმა გამომიცხადა, სპორტულ გუნდში იქნები, შენი სამხედროს მასწავლებელმა თქვა, „ტყვიას ტყვიაში აჯენსო".

**– ახლაც ასე მარჯვე ხართ სპორტის ამ სახეობაში?**

– კი, ნებისმიერი მამაკაცი შემიძლია, გავიწვიო ტირში. საკუთარ თავს გამოვიჭერ ხოლმე, როცა შვილიშვილები მიმყავს მუშტაიდის ბაღში, თვალი სულ ტირისკენ გამირბის. როცა ჩემი შვილები პატარები იყვნენ, მთაწმინდის პარკში წასვლა მათზე მეტად მე მიხაროდა. ტირს რომ დავინახავდი, ჩემზე ბედნიერი არავინ იყო. ცხოვრებაში მაინცდამაინც ვერ აღმოვჩნდი ასე მარჯვე მსროლელი – ათიანში, „ტყვიას ტყვიაში ვერ ვაჯენ" *(იცინის)*. ეს მართლა მამისგან გამომყვა, რომლის მადლიერიც ვარ თუნდაც იმისთვის, რომ მასწავლა სიყვარული, მაგრძნობინა ქართული მიწის მადლი. ჩვენ ყველა ერთად მასთან დავდიოდით ექსპედიციებში საქართველოს მთასა და ბარში. მე რომ ეს ფესვები არ მქონოდა, ალბათ, ასე ვერ ვიმღერებდი, ამდენს ვერ გავაკეთებდი. მამა იყო მაგალითი ჩემთვის, თუ როგორ უნდა გიყვარდეს ქალი. მისი და დედაჩემის სიყვარულზე ლეგენდები დადიოდა სამეგობრო წრეში. მათ სიყვარულის საოცარი ისტორია ჰქონდათ.



**ცხოვრებაში მაინცდამაინც ვერ აღმოვჩნდი ასე მარჯვე მსროლელი, ათიანში, „ტყვიას ტყვიაში ვერ ვაჯენ"**

**– ამ მხრივ თქვენი პირადი ცხოვრება უფრო რთული აღმოჩნდა. თუმცა, ბოლო დროს, ამბობენ, რომ თქვენი ურთიერთობები ყოფილ მეუღლესთან, გია რონინშვილთან უკეთესობისკენ შეიცვალა.**

– არა, ასე არაა. რატომღაც გია კვლავ არ მელაპარაკება, რითაც უკვე გაოცებული ვარ და არა – გაბრაზებული. ადრე ძალიან მტკიოდა ეს ყველაფერი, ახლა – უკვე აღარ. უფრო და უფრო ვხვდები, რატომ აღმოვჩნდით აბსოლუტურად სხვადასხვა პოლუსზე. ამაში ბოლოს უკვე ჩვენმა პოლიტიკურმა სიმპათიებმაც დიდი როლი შეასრულა. გიამ ვერ მაპატია, რომ მე სხვა პოლიტიკური მოსაზრებები მქონდა, სხვა გუნდის მხარდამჭერი ვიყავი. გარკვეულწილად, ხელის შემშლელადაც კი ჩამთვალა. იფიქრა, რომ ჩემთან არ უნდა ჰქონოდა არანაირი კავშირი. გადის დრო და ხვდები, რომ ცხოვრებაში ორი ახლობელი ადამიანის სხვადასხვა პოლუსზე მოხვედრა, არც ისეთი დიდი ტრაგედიაა. ცხოვრება გრძელდება. ჩვენ ორი შვილი გვაკავშირებს და მე ვერ მივცემ თავს უფლებას, გიას მიმართ აბსოლუტურად გულგრილი ვიყო. პირიქით, სულ ვფიქრობ, რომ ის უნდა იყოს კარგად. ხშირად, თვითონ რომ არც კი იცის, კოკოს ისე „ვამოწმებინებ" სახლში მივიდა თუ არა, კარგად არის თუ არა.

**– თქვენი ბედი გაიზიარა თქვენმა შვილმა მარიამმაც. როგორ შეხვდით მის გადაწყვეტილებას?**

– მარიამის თემა ჩემთვის ძალიან მტკივნეულია. მე ეს ყველაფერი ხომ საკუთარ თავზე გავიარე, თუმცა მარიამი ჩემზე უფრო ძლიერი აღმოჩნდა. მე ძალიან რთულად გადავიტანე ჩემი ცხოვრების ის ეტაპი, როცა მე და გია დავცილდით. მარიამისთვის ამ გადაწყვეტილების მიღება არ იყო ასე მძიმე, მან ძალიან გააზრებულად დაუსვა წერტილი იმას, რაც დასამთავრებელი იყო. თუმცა, მე მის გადაწყვეტილებაში საერთოდ არ ჩავერეულვარ. როცა ადამიანი ხვდება, რომ ურთიერთობა ის აღარაა, რაც იყო და ფუჭდება, უნდა დაასრულო. დღეს მარიამს ძალიან საინტერესო ცხოვრება აქვს. ცოტა ხნის წინ ჩააბარა რომის სანტა ჩეჩილიას ნაციონალურ აკადემიაში, საუკეთესო ქულები აიღო. მეც ვისურვებდი, რომ ჯერ პროფესიულ კარიერას მიხედოს, ის ძალიან ახალგაზრდაა და მოვა დრო, როცა მის ცხოვრებაში სიყვარულიც მოვა და ახალი ურთიერთობებიც. არ მინდა, ცხოვრება ისე გააგრძელოს, როგორც მე გავაგრძელე. ვფიქრობ, რომ ქალი მარტო არ უნდა იყოს.

**– ნათლულებზე მინდა გკითხოთ, ნათელმირონი ქართველებში განსაკუთრებული თემაა.**

– მე ისე გავიზარდე, რომ მირონს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. მე იმ კატეგორიას არ მივეკუთვნები, ნათლიებს ფინანსური და სოციალური სტატუსით რომ ირჩევენ. ჩემი სამივე ნათლია იყო ერთმანეთზე საუკეთესო. შესაბამისად, ეს ფენომენი ჩემს ცხოვრებაში ძალიან მნიშვნელოვანია. მე 16 ნათლული მყავს. ჩემი ნათლულები არიან ნინი ბადურაშვილი, დათუნა სირბილაძე და კიდევ ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა. არ ვიცი, რამდენად კარგი ნათლია ვარ, თუმცა სულ ვცდილობ, წავიკითხო ლოცვა ნათლულთათვის, მოვიკითხო ისინი, ვიყო ყურადღებიანი ნათლია. ვნახულობ თუ არა მათ, ისინი მაინც სულ ჩემთან ერთად არიან.

**– თქვენს ნათლულთა შორისაა ბერა ივანიშვილიც, როგორ მონათლეთ ის? რა გაკავშირებდათ მის ოჯახთან?**

– ბერას ბებია და ბაბუა, ეკას მშობლები – დეიდა ლუდა და ბიძია ფედია, ძალიან ახლოს იყვნენ ჩემს მშობლებთან. ჩემი და, სოფიკო და ეკას უფროსი და, ირმა ერთად მივიდნენ სკოლაში – ნული კლასიდან ერთად ისწავლეს სკოლის დამთავრებამდე, რამაც უფრო შეაკავშირა ჩვენი ოჯახები. მაშინ ეკა პატარა გოგო იყო, ჩვენ ერთმანეთთან ახლოს ვცხოვრობდით. შესაბამისად ახლო, მეგობრულ-ნათესაური კავშირი გვქონდა. ქალბატონი ლუდა არ იყო ქართველი. უკრაინული წარმოშობის ქალს საოცრად უყვარდა საქართველო, რომ გენახათ, როგორ საუბრობდა ქართულად, როგორი სიყვარული, მოფერება, მასპინძლობა იცოდა, ცრემლი მოგადგებოდათ. დეიდა ლუდას არაჩვეულებრივი ურთიერთობა ჰქონდა თავის სიძესთან, პატივს სცემდა და აფასებდა. ჩემთვის მამაკაცის შეფასებ-

(გაგრძელება 75-ე გვერდზე)

**განათლება შვილის მომავალში ჩადებული ყველაზე კარგი ინვესტიციაა და, იმისთვის, რომ ეს ინვესტიცია წარმატებული აღმოჩნდეს, საჭიროა სასწავლო პროცესის სწორად დაგეგმვა.**

**პირველი სირთულე პირველ კლასშივე იჩენს თავს, რადგან ეს არის გარდამავალი პერიოდი ბავშვის ცხოვრებაში, როცა რადიკალურად იცვლება მისი ცხოვრების წესი. ამას ფსიქოლოგები „ადაპტაციურ ავადმყოფობას" უწოდებენ.**

**რა სირთულეები ახლავს ამ პროცესს, როგორია მასში მშობლის როლი და რა გზით შეიძლება ამ პრობლემების მოგვარება, ამ კითხვებზე პასუხის მისაღებად ფსიქოლოგ რამაზ საყვარელიძეს მივმართეთ.**

# როგორ უნდა გააუფასუროს მშობელმა შვილის წარუმატებლობა და რა დოზით უნდა შეაქოს წარმატების შემთხვევაში

**– რა სირთულეები ახლავს პირველკლასელის სკოლასთან ადაპტაციას და რა როლი აქვს ამ პროცესში მშობელს?**

– დაბადებიდან ბავშვი ხვდება გარემოში, სადაც მისთვის ყველაფერი უცხო და გაურკვეველია. გაურკვევლობა ყოველთვის იწვევს სტრესს (დისტრესს). პირველივე დღეებიდან სტრესის მოხსნის ძირითადი საშუალება არის დედასთან სიახლოვე, მისგან სითბოს მიღება, ამ სიტყვის პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით. ბავშვმა უნდა მიიღოს სითბოც და, ამავე დროს, თანდათანობით უნდა ისწავლოს დედის გარეშე არსებობაც. ამ ორი მომენტის ბალანსზეა დამოკიდებული სკოლისთვის მისი ემოციური მზაობა, რადგან, სკოლა არის ახალი სამყარო, სადაც მისთვის ისევ ყველაფერი უცხო და გაურკვეველია. თუ ბავშვი ნამყოფია საბავშვო ბაღში, სკოლასთან შეგუება უფრო გაუადვილდება, ხოლო, თუ პირდაპირ ოჯახიდან მიდის სკოლაში და თუ ოჯახში მის გვერდით სულ იყო დედა, უდედოდ სკოლაში ყოფნა მისთვის მძიმე გადასატანი იქნება. ამდენად, დედის როლი ძალზე მნიშვნელოვანი და რთულია – მან უნდა „კვებოს" ბავშვი სითბოთი და, ამავე დროს, ასწავლოს მას პერიოდულად თავისი სითბოს გარეშე ყოფნაც (საჭმელსაც ხომ პერიოდულად ვაძლევთ ბავშვს, მუდმივად ხომ არ ვაჭმევთ); სამაგიეროდ, სკოლიდან დაბრუნებულის მიმართ განსაკუთრებით ყურადღებიანი და თბილი უნდა ვიყოთ, რომ ავანაზღაუროთ ჩვეული სითბოს დეფიციტი.

**– ბაღი ახსენეთ და, საინტერესოა, რამდენად მნიშვნელოვანია იქ მიღებული გამოცდილება სასკოლო პროცესისთვის მოსამზადებლად?**

– თუ ოჯახში ბევრი ბავშვია (რაც დღეს იშვიათობაა), მაშინ ბაღი დიდ გავლენას არ მოახდენს ბავშვის ჩამოყალიბებაზე, მაგრამ, თუ მას აკლია თანატოლების გარემო, მისთვის ბაღი აუცილებელია სკოლასთან ნორმალური ადაპტაციისთვის.

**– რა ფორმით უნდა მიაწოდონ მშობლებმა ბავშვს ცოდნა, რომ მასში სწავლისადმი მოტივაცია გამოიწვიონ?**

– სკოლამდელ ეტაპზე, როცა მშობლები, ამავდროულად მასწავლებლებიც ვართ, ბავშვს ცოდნა ანუ ინფორმაცია უნდა მივაწოდოთ თამაშის ფორმით, რადგან თამაში ამ პერიოდის აქტივობის ბუნებრივი ფორმაა. ყურადღება უნდა მივაქციოთ, რომ ამ თამაშებში არ იყოს არც გამარჯვებული და არც დამარცხებული, უფრო ზუსტად – ბავშვს ყოველთვის უნდა ჰქონდეს გამარჯვებულის განცდა, რადგან, დადებითი ემოცია ცოდნის დაფიქსირებასაც უწყობს ხელს და ცოდნის მიღების მოტივაციის გაღვივებასაც.

**– როგორც ჩანს, თამაშს დიდი როლი აქვს ამ პროცესში და, შესაბამისად, მისი აკრძალვა არ იქნება მიზანშეწონილი.**

– ბავშვი სკოლაში წასვლამდე ყველაფერს თამაშით სწავლობს. ის თამაშობს მოზრდილის როლს და მისი მიბაძვით სწავლობს ენას, სოციალურ ნორმებს, იმ კონცეფციებს, რომლებზეც დიდები მსჯელობენ. ის დადებითი ემოცია, რომელიც ფონად ედება ამ პროცესს, ხდება იმის საფუძველი, რომ პატარა ადამიანი გაცილებით მეტს ითვისებს, ვიდრე სასკოლო შტუდირების პირობებში. ამ ფორმით შემეცნება იმდენად პროდუქტიულია, რომ თანამედროვე პედაგოგიკამ თამაშის ელემენტები არათუ სასკოლო, არამედ, უმაღლეს სკოლაშიც კი შემოიტანა (სწავლების ინტერაქტიური მეთოდები, რომლებიც ხშირად ბავშვური შემეცნების მექანიზმებს ეყრდნობა). ამდენად, მისი აკრძალვა დაუშვებელია, ოღონდ, გონიერმა მშობელ-პედაგოგმა მისი საჭირო კალაპოტში მოქცევა და შემეცნების განვითარებისთვის გამოყენება უნდა შეძლოს.

**– როგორ უნდა შეაფასოს მშობელმა შვილის ინტელექტუალური შესაძლებლობები სწორად?**

– აი, ამ საქმისთვის ნამდვილად უნდა მიმართოთ ბავშვის ფსიქოლოგს, რადგან, მათ აქვთ



ტესტების დიდი რაოდენობა ამგვარი შეფასებისთვის. ზოგადად, სასურველია, ვიცოდეთ, რომ ყოველ ადამიანში დაბუდებულია რაღაცის ნიჭი, რომელიც, თუ შეუმჩნეველი დარჩა, შესაძლებელია, ადამიანს ცხოვრება დაუმახინჯდეს. ამიტომ, ამ ნიჭის გულდასმით ძიება აუცილებელია. ჩარლზ დარვინი გონიერებას ვერ ავლენდა ვერაფერში, მაგრამ, ძალიან უყვარდა ცხოველები. მოგვიანებით მან ცხოველთა სამყაროს ევოლუციის თეორია შექმნა და გენიოსის სახელი დაიმკვიდრა. ამდენად, თუ ბავშვის გატაცების ჩამოყალიბებას ხელს შევუწყობთ, შეიძლება, ეს დიდი სიკეთის მომტანი აღმოჩნდეს მისთვისაც და საზოგადოებისთვისაც, ამგვარი გატაცება კი, შეიძლება, ვერ მოთავსდეს ტესტების ჩარჩოებში.

**აუცილებელია, ჩვენგან შემოთავაზებულმა დატვირთულობამ ბავშვს არ წაართვას თამაშის, თანატოლებთან ურთიერთობის, საკუთარი თავის ძიების საშუალება**

**– ბავშვს რიგი დავალებებისთვის თავის გართმევა დამოუკიდებლად შეუძლია, ზოგჯერ კი დახმარების გარეშე ვერ ართმევს თავს დაკისრებულ მოვალეობას, როგორ გამიჯნოს მშობელმა პირველი მეორისგან?**

– ისევე, როგორც მიჯნავს სხვა დროს: როცა მშობელი ბავშვს სიარულში ეხმარება, ეხმარება მხოლოდ ვერტიკალური მდგომარეობის შენარჩუნებაში, თორემ, ნაბიჯებს ბავშვი თავად დგამს. ანალოგიურად, ყველა სახის დავალების ის ნაწილი, რისთვისაც თავის გართმევა დამოუკიდებლად შეუძლია, ბავშვს უნდა დავუტოვოთ და ხელი შევაშველოთ მხოლოდ იქ, სადაც თავად უძლურია.

**– ზოგიერთ ბავშვს წარუმატებლობის შემთხვევაში უყალიბდება ნეგატიური დამოკიდებულება სასწავლო პროცესისადმი. რას ურჩევთ მშობელს ასეთ შემთხვევაში?**

– მშობელი ყოველთვის უნდა ეცადოს, რომ წარუმატებლობა გააუფასუროს („ხვალ მიაღწევ"), ან აქცენტი გადაიტანოს ისეთ საქმეზე, რაც ბავშვს კარგად გამოსდის და შეაქოს ამისთვის.

**– რა შედეგი შეიძლება გამოიღოს აგრესიამ ან ფიზიკურმა დასჯამ?**

– თქვენ უკვე ბრძანეთ – სწავლის მიმართ გულაცრუება; მაგრამ, ეს მინიმალური უბედურებაა. ამის გარდა, შესაძლებელია, მის პიროვნებაში ჩამოყალიბდეს საკუთარი თავის არასრულფასოვნების განცდა, რაც, როგორც ბავშვზე, ისე მის გარემომცველთა ბედზე მოახდენს გავლენას მთელი ცხოვრების განმავლობაში.

**– რაც შეეხება შექებას, რა დოზითაა ის მიზანშეწონილი?**

– გააჩნია ასაკს. 4-5 წლამდე რაც მეტად ვაქებთ, მით უკეთესია – ასე საკუთარი თავისადმი რწმენა ჩამოუყალიბდება. შემდეგ ნელ-ნელა ემატება სამართლიანი კრიტიკა, 11-13 წლიდან კი უნდა მოვექცეთ, როგორც თანატოლ მეგობარს.

**– რა უნდა გააკეთოს მშობელმა, რომ ამ პროცესში ბავშვი არ გახდეს მასზე ზედმეტად დამოკიდებული?**

– აქაც გააჩნია ასაკს. ძალიან ადრეულ ასაკში დედაზე მიჯაჭვულობა კარგია; ადრეული სასკოლო ასაკისთვის უნდა მივაჩვიოთ დავალებების დამოუკიდებლად შესრულებას; გარდამავალი ასაკისთვის – საკუთარი თავისთვის დავალების დამოუკიდებლად მიცემას და შემდეგ პასუხისმგებლობას მიღებული გადაწყვეტილებების სისწორეზე.

**– სასურველია თუ არა ამ პერიოდში ბავშვის სხვა აქტივობებით დატვირთვა?**

– ჩვენ ხშირად ვკარგავთ განსხვავებას დატვირთვასა და გადატვირთვას შორის. აუცილებელია, რომ ჩვენგან შემოთავაზებულმა დატვირთულობამ ბავშვს არ წაართვას თამაშის, თანატოლებთან ურთიერთობის, საკუთარი თავის ძიების საშუალება. დატვირთვაც ბავშვისთვის საკუთარი შესაძლებლობების გარკვევად უნდა ვაქციოთ და არა – ძალდატანებად.

**– და ბოლოს, რა ასაკი მიგაჩნიათ საუკეთესოდ ბავშვის სკოლაში შესაყვანად?**

– ის ასაკი, როცა ბავშვის პიროვნების ძირითადი ხერხემალი უკვე ჩამოყალიბებულია – ესაა 6-7 წელი.

**ქეთი კაპანაძე**

**ლეგენდის თანახმად, ცხელი წყლების აღმოჩენა ვახტანგ გორგასლის პერიოდს უკავშირდება, რომელმაც ხოხობისა და მიმინოს წყალობით თბილ წყელბს მიაკვლია. შემდეგ კი ამ ადგილზე ქალაქი გააშენა, რომლესაც „ტბილისი“ უწოდა. გოგირდის აბანოებს მრავალი წლის ისტორია აქვს, შეიძლება ითქვას, რომ ის ძველი ტბილისური ცხოვრების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო. ამ აბანოებს მხოლოდ სამკურნალო დანიშნულება არ ჰქონდა, აქ იკრიბებოდა საზოგადოება, რომელიც საჭირბოროტო თემებზე მთელი დღის განმავლობაში მსჯელობდა. თბილისში ნომერ მეხუთე აბანოს გარდა, კიდევ რამდენიმე არსებობს, თუმცა მათი მდგომარეობა არცთუ ისე სახარბიელოა. შესაძლებელია, იცით კიდეც, გრიშაშვილის თერთმეტში მდებარე ორი აბანოს კომპლექსი, რომელიც რამდენიმე წლის უკან სანაგვედ იყო ქცეული. ჩვენ მის ხელმძღვანელს ბატონ ირაკლი ძნელაძესა და არქეოლოგ მერაბ ძნელაძეს გავესაუბრეთ.**

# სად მდებარეობს თბილისში „უფლისწულისა და დედოფლის“ აბანოები და რა სტერეოტიპები აქვთ ჩამოყალიბებული ქართველ მამაკაცებს აბანოში შესვლისას

**მერაბ ძნელაძე**: ზოგადად, აბანოთუბანს აქვს ძალიან საინტერესო ისტორია. ეს აბანო დიდ ნაწილს წარმოადგენს „ტბილისისას“, „თ“ შემდეგ, კომუნისტების დროს შემოვიდა. ძველი თბილისი სამი ნაწილისგან შედგებოდა: პირველი თბილ გოგირდის წყლებს უკავშირდება, მეორე კალა – დედაციხის ნაწილია და მესამე – ისნის ტყის გადაღმა მხარეა. 1801 წელს, როცა რუსეთმა საქართველო მიიტაცა, შესაბამისად ქვეყანა რუსეთის იმპერიის ნაწილი გახდა. ამ დროიდან მოყოლებული, სამეფო ქონება იქცა სახელმწიფოს საკუთრებად. ეს იმიტომ ვთქვი, რომ ამ აბანოებს „მირზოევის“ აბანოს ეძახიან, რაც ტყუილია. ეს სახელწოდება მან, მას შემდეგ მიიღო, რაც აბანოები და ზოგადად, მეფის საკუთრება, სახელმწიფო ხაზინამ მიისაკუთრა. გრიშაშვილის თერთმეტ ნომერში მდებარე აბანო, ორი აბანოს კომპლექსია, ერთი იყო უფლისწულის და მეორე – დედოფლის. ორი წლის წინ, აქ რომ შემოსულიყავით მიხვდებოდით, საბჭოთა კავშირის გავლენას. ამ აბანოს ფასი მის სიძველეშია. ჩვენც ვცდილობთ, იმ ძველს ერთგვარი „პეწი“ შევუნარჩუნოთ. ტურისტს ვერ გავაკვირვებთ ასსართულიანი შენობებით, მათ იზიდავთ ის სიძველე, რომელიც ქვეყნის ისტორიასთან, კულტურასთანაა დაკავშირებული.

**– ვის საკუთრებაში იყო ეს აბანო?**

**ირაკლი ძნელაძე**: ეს აბანოები სომეხ მეპატრონეს ეკუთვნოდა წლების განმავლობაში. ძალიან მოუვლელი იყო აქაურობა. ეს არის ისტორიული ძეგლი, რომელიც დაახლოებით 700 წელს ითვლის. ჩვენს მფლობელობაში შვიდი წელია, რაც გადმოვიდა. დავიწყეთ გასუფთავება, ეს იყო ნაგავსაყრელი. ამ ნაგებობას გამოიყენებდნენ მატყლის საჩეჩად და აბანოს ეზო ჰქონდათ სანაგვედ, უფრო მეტიც, მატყლს გოგირდის წყლით ამ აბანოებში რეცხავდნენ. ეს შეისყიდა გია სვანიძემ, რომლისთვისაც ძველი კულტურა და ისტორია ძალიან მნიშვნელოვანია.

**– ცოტა უცნაურია, აბანოში შესვლისას ბარი გხვდება, თანამედროვე ელემენტებიც შეგაქვთ?**

– ჩვენ ვცდილობთ აბანოს რესტავრირებას და არა რემონტს, ყველაფერს ვუბრუნებთ ძველ იერსახეს. განადგურებული იყო აქაურობა, სვანიძემ თავადვე გამოთქვა სურვილი, დახმარება გაეწია არქეოლოგიური ტურისტული სააგენტოსთვის, რომ აღედგინათ აბანოს ძველი იერსახე. აბანო ფუნქციონირებს დაახლოებით ექვსი წელია. ჩვენთან აზიური და ევროპული კულტურა შერწყმულია, ამიტომ ეს არ უნდა დაიკარგოს. ყველანაირად ვცდილობთ, მის აღდგენას და მასში თანამედროვე ელემენტების შეტანას. ვაპირებთ კადრების გადარჩევას და მექისეების დატრენინგებასაც. ვგეგმავთ რბილ ფონურ მუსიკას, ოღონდ, რა თქმა უნდა, ცოცხალს. მუსიკა იქნება აღმოსავლური, ყველასთვის სასიამოვნო და მისაღები. ვცდილობთ ვითანამშრომლოთ ჯანდაცვის სამინისტროსთანაც. აქაურობას დავუმატეთ საუნა.

**– მომხმარებლის სიმცირეს განიცდით?**

– ჩვენი აბანო სხვასთან შედარებთ, მომხმარებლის სიმცირეს განიცდის ადგილმდებარეობის გამო, მაგრამ სეზონურად გვაქვს მუშაობა. სეზონი იწყება სექტემბრის ბოლოდან და გასტანს მარტის ბოლომდე. მიუხედავად მომხმარებლის სიმცირისა, ვცდილობთ, ბოლომდე მივიყვანოთ დაწყებული საქმე და ქალაქის ძეგლი აღვადგინოთ. ახალი ინვესტიციები იდება, ვუბრუნებთ მას პირვანდელ სახეს. ეს არაა მხოლოდ კერძო საკუთრება, ესაა თბილისის რელიკვია. ძველი ძეგლი, რომელსაც ყურადღება და დაფასება სჭირდება. ბევრი ტურისტი მოდის ჩვენთან, რომლებიც ძალიან კმაყოფილები მიდიან. გუშინ ერთი გულდაწყვეტილი წავიდა, რატომ პეტერბურგში არ არის მსგავსი აბანოო. მექისეებს ხშირად სთავაზობენ, რომ მათთან წავიდნენ და იქ იმუშაონ.



**მათი რეაქცია ქართველ ვაჟკაცს რომ შეეფერება, ისეთია: „რა პონტში არ გყავთ, აბა, რას მუშაობთ“**

## აქ მოჰყავდათ სადედამთილოებს სარძლოები და ამოწმებდნენ, რაიმე ნაკლი თუ ჰქონდა

**– მომსახურების ფასები თუა მისაღები საზოგადოებისთვის?**

– სხვა ქვეყნებთან შედარებით, ამ კუთხით, დაბალი ფასებია – ქისა და მასაჟი 10-10 ლარი ღირს. სხვა ქვეყნებში 80 დოლარიდან იწყება ფასები. ზოგადად, თბილისში ძალიან დაბალი ფასებია, მხოლოდ ჩვენ არ გამოვირჩეით ამ მხრივ.

**– ექვსი წლის განმავლობაში ბევრი საინტერესო ისტორიის მომსწრენი იქნებოდით, იქნებ გვიამბოთ რომელიმე მათგანი.**

– ერთი კურიოზი მახსენდება, უფრო სწორად ძალიან ხშირია მსგავსი შემთხვევა, რატომღაც ქართველებს მიგვაჩნია, რომ აბანოში უნდა მოხვიდე ქალთან ერთად, ჩამოყალიბებული გვაქვს ეს სტერეოტიპი. მოლარეებად ქალბატონები გვყავს, როდესაც ბიჭები მოდიან, მათ ვერ უბედავენ რაიმეს თქმას, როგორც კი დამინახავენ, ჩუმად მეძახიან: „ძმაო, ქალები არ გყავთ?“ მე ვპასუხობ, რომ არა, ჩვენ მსგავსი საქმიანობით არ ვართ დაკავებულიო და მათი რეაქცია, ქართველ ვაჟკაცს რომ შეეფერება, ისეთია ***(იცინის):*** „რა პონტში არ გყავთ, აბა, რას მუშაობთ“.

**– ახალგაზრდები დადიან ხშირად?**

– დადიან, მაგრამ უფრო ისინი, ვინც იცის გოგირდის აბანოს ფასი და მნიშვნელობა. აბანოს მნიშვნელობა ბევრს არ ესმის. აქ უნდა მოხვიდე დასაბანად, თორემ ქალს სხვაგანაც იშოვი და სადაც გინდა, იქ წაიყვან. გვყავს სისტემატური კლიენტები, რომლებსაც არ შეუძლიათ გოგირდის აბანოს გარეშე, იმდენად არიან შეჩვეულები. გოგირდის წყალი ძალიან ბევრ დაავადებას კურნავს. ეს უფრო ძველმა ხალხმა იცის, ახალგაზრდებს ბევრი რამ ეშლებათ. გოგირდის აბანოები მხოლოდ წყლის გადავლება არაა. ეს არის ისტორიული რიტუალი.

***რა ხდება თავად აბანოში. მექისეზე კარგად არავინ იცის. ისინი უამრავი მისტიკური ამბის მომსწრენიც არიან. ხშირია სახალისო ისტორიებიც. ბატონი რომან ღლონტი 24 წელია, აბანოში მუშაობს. ეგრეთ წოდებული „უფლისწულის“ გოგირდის აბანოში 7 წელია, რაც გადმოვიდა. ბატონმა რომანმა რამდენიმე კურიოზი გაიხსენა:***

– ძალიან ბევრი სახალისო ისტორიის მომსწრე ვყოფილვარ. ერთი მექისე გვყავდა, სახელსა და გვარს არ დავასახელებ, ეშმაკობით გამოირჩეოდა. ერთხელ ნასვამი კაცი შემოვიდა, პრეტენზიულად განგვიცხადა, ისეთი ქისა მინდა, ცხოვრებაში რომ არავის წაუსვია ჯერ. მექისემაც ეშმაკობას მიმართა, ყველა „დუში” შემოატარა. ანუ, რა გააკეთა: ოთახში ათი „დუში” იყო, ათივეს ქვეშ სათითაოდ დააყენა, წესისამებრ ზურგზე ხელი დაარტყა, გამოიყვანა გარეთ და ორი ზეწარი შემოახვია. ამით დაუმთავრა ყველანაირი მომსახურება, არც ქისა წაუსვამს და არც არაფერი. ეს კაცი გაგიჟებული იყო, ასეთი მექისე ჯერ არ მინახავსო, არადა, ფაქტობრივად, არაფერი გაუკეთებია მისთვის – „დუშებს” შორის არტყმევინა „კრუგები”. ასეთი ბევრი ყოფილა. აქ მოჰყავდათ სადედამთიოებს სარძლეობი და ამოწმებდნენ რაიმე ნაკლი თუ ჰქონდათ, იკრიბებოდნენ მამაკაცები და ათას საჭირბოროტო თემაზე მსჯელობდნენ. ერთიც მახსენდება, ძალიან მაღალი კაცი შემოვიდა, 2 მეტრამდე იქნებოდა, ტახტზე დავაწვინეთ და ფეხები გარეთ დარჩა, მოკლედ ტახტის სიგრძე სანამდედაც იყო იქამდე წავუსვით ქისა, ცოტა ხანი არაფერი უთქვამს და მერე გონს რომ მოვიდა შემოგვიტრიალდა და გვეკითხება: ეს ფეხები ჩემი არ არისო. ძველად, აქ, დილის შვიდ საათზე მოდიოდნენ, შემდეგ სახაშეში მიდიოდნენ და საღამოს იშლებოდნენ. ეს იყო ძველი ქართველი კაცის ცხოვრების წესი.

**ეთო ხურციძე**

**16 სექტემბერს, ბრიტანეთში მოღვაწე ქართველი მომღერალი, ქეთი მელუა იუბილარი გახლდათ. მას ოცდაათი წელი შეუსრულდა და საკუთარი დაბადების დღის აღნიშვნა, საყვარელ სამშობლოში, საქართველოში დაგეგმა. როგორც შევიტყვეთ, იუბილე ქეთიმ ვიწრო წრეში, ყვარელში გადაიხადა და ჩვენს ქვეყანაში პირველად ჩამოსული დედამთილ-მამამთილი, ქართული სტუმართმოყვარეობით, კერძებითა და ღვინით, ნამდვილად გააოცა. წელს პირველად, ქეთის საკუთარ იუბილეზე არ უმღერია. თუმცა, დუდუკების ფონზე, ცეკვით იჯერა გული. როგორც ქეთის ოჯახისგან შევიტყვეთ, სტუმრები კმაყოფილი იყვნენ. ქეთის ქმარი კი სიამაყით ამბობდა და სვამდა იმ ქართულ სადღეგრძელოებს, რომელიც მას ქეთის ბაბუამ, ბატონმა ამირან მელუამ ასწავლა.**

# ვინ მოუწყო კახეთში ქეთი მელუას დაუვიწყარი დაბადების დღე და რამ გააოცა საქართველოში პირველად ჩამოსული მისი ქმრის ნათესავები

**ამირან მელუა**: როცა ქეთიმ საქართველოში გადაწყვიტა დაბადების დღის გადახდა, ძალიან გაგვიხარდა მის ოჯახის წევრებს. დიდი ხანია ამბობდა, 30 წლის იუბილეს ჩემს საყვარელ ქვეყანაში და უახლოესი ადამიანების გარემოცვაში გადავიხდიო, და ასეც მოიქცა. თან, ვიცოდით, რომ ის მეუღლესთან, ჯეიმს ტოსელენდთან და დედამთილ-მამამთილთან ერთად აპირებდა ამ დღესასწაულის შეხვედრას. მოკლედ, დაგვირეკა და გვითხრა, კარგი ადგილი შეარჩიეთ ქალაქგარეთ, ბუნებაში და იქ გავშალოთ კარგი ქართული სუფრაო. ოჯახმა მოვითათბირეთ და ოთხ ადგილზე შევაჩერეთ არჩევანი – ან რაჭაში, ან სამეგრელოში, ან კახეთში და ან ყაზბეგში



ჯეიმსი ამბობდა, ეს რა ვნახე. ქართველები „გულაობთ" თურმე, თქვენ ცხოვრობთ და ჩვენ ვარსებობთო

უნდა წაგვეყვანა სტუმრები. საბოლოო ჯამში, არჩევანი კახეთზე შევაჩერეთ და იქ წავიყვანეთ ქეთის ქმრის ნათესავები – დედა,

**ქეთის რომ ემღერა, ქეიფი დაგვიჯდებოდა. ამიტომ, დუდუკების ფონზე გავმართეთ ქეიფი**

მამა, ძმა, დეიდა და მისი ქმარი, ანუ ბიძა.

**– ეს არჩევანი ქეთისთან არ შეათანხმეთ?**

– როგორ არა, სურათები გავუგზავნეთ ქეთის და მოეწონა. მოკლედ, ღვინის ტურიც მოვაწყვეთ და ისეთი სუფრა გავშალეთ „ხარებას მეღვინეობის" დიდ დარბაზში, ნამდვილი შოკი მიიღეს ჯეიმსის ნათესავებმა, გაოცებულები იყურებოდნენ ***(იცინის).*** სუფრამდე, პატარა ექსკურსია მოვაწყვეთ, სტუმრებს დავათვალიერებინეთ კახეთი, გავასინჯეთ ჩვენი ქვეყნის ღვინო და სამახსოვრო ფოტოები გადავიღეთ.



**– ამ ყველაფერს ორგანიზება ხომ სჭირდებოდა? ვინ დაგეგმა ეს ყველაფერი?**

– ძირითადი ორგანიზატორი ჩემი ვაჟი, არჩილი გახლდათ, ანუ ქეთის ბიძა და ქეთის მამის მეგობარი და თანაკურსელი, შოთა მარგიშვილი. სხვათა შორის, ქეთიმ შოთას სადღეგრძელო პერსონალურად დალია. არჩილი, ძალიან განიცდიდა, ამბობდა, მინდა, ქეთის ისეთი დაბადების დღე მოვუწყო, მისთვის ნამდვილი ზეიმი იყოს და ეს დღე არასდროს დაავიწყდესო, და, ნამდვილად გამოუვიდა.

**– სუფრა გასაგებია, მაგრამ, ტორტი, რომელიც ნამდვილად ორიგინალური და იუბილარისთვის შოკის მომგვრელი აღმოჩნდა. ვისი იდეა იყო?**

– ეს ჩემი ვაჟის, არჩილის და მისი მეუღლის იდეა გახლდათ. დასხდნენ და მთელი ინტერნეტი გადაქექეს. იპოვეს ტორტების მცხობელი სტელას საიტი და მას შეუკვეთეს გიტარის ფორმის, იასამნისფერი, ერთმეტრიანი ტორტი. ეს არავინ იცოდა და სიურპრიზი იყო. ქეთის ზუსტად ასეთი გიტარა აქვს, რომელიც ძალიან უყვარს და მასზე უკრავს კონცერტებზე. ტორტის პარამეტრებიც ზუსტად იგივე იყო. არჩილმა რომ დაურეკა სტელას და შეკვეთა მისცა, გადაირია ქალი. ამას ვერ მოვასწრებ ასე მალე, მაგრამ, ფოტო მაინც გადმომიგზავნეთ, როგორი ტორტი გინდათო. არჩილმა რომ ქეთის ფოტო გაუგზავნა, სადაც ხელში ის იასამნისფერი გიტარა უჭირავს, გადაირია. თუ ქეთი მელუასთვის გინდათ, ყველა შეკვეთას გადავდებ და მოვუსწრებო. სპეციალური მანქანით წავიღეთ კახეთში ის ტორტი. აბა, ჩვეულებრივ მანქანაში არ ჩაეტეოდა. დაბადების დღის დასასრულს, შუქი ჩავაქრეთ და არავინ რომ არ ელოდებოდა, ისე შევიტანეთ ის გიტარის ტორტი შუშხუნებით. თან, სიმღერა გაისმა: „რა ლამაზი დღეა, რა ლამაზი დღეა, იმიტომ რომ დღეს ქეთის დაბადების დღეა!.." და ქეთის ცრემლები წამოუვიდა. ნამდვილად არ ელოდა ასეთ სიურპრიზს. ისეთი ტორტი იყო, ყველას ნამდვილი გიტარა ეგონა, თავიდან ***(იცინის).*** სხვათა შორის, ქეთიმ თქვა, ასეთი ტორტის შეკვეთა და დამზადება ინგლისში შვიდი ათასი ფუნტი ღირსო. მაგრამ, ჩვენ ამ თანხასთან შედარებით საკმაოდ ნაკლები დაგვიჯდა. დამიჯერეთ, ეს თანხა ქეთის ასეთ გახარებად ნამდვილად ღირდა.







მარტო ქეთი კი არა, ჩამოსული სტუმრებიც გადაირივნენ. ფოტოებს უღებდნენ ტორტს, ასეთი რამ პირველად ვნახეთო. ქეთის რომ ვუთხარით, დაჭერიო, გადაირია, ამას დანა როგორ დავადოო *(იცინის)*.

**– თამადობა ვინ ითავა?**

– თამადობას ვის დავუთმობდი ჩემი საყვარელი შვილიშვილის დაბადების დღეზე? *(იცინის)* მე ვითამადე და თქვენ წარმოიდგინეთ, საკმაოდ კარგად. სიძემ, ჯეიმსმა ისეთი მადლობები გვიხადა, ჩემი ქეთი რომ



ასეთი ბედნიერიაო, უნდა მოგესმინათ. ამბობდა, ეს რა ვნახე, ქართველები „გულაობთ" თურმე, თქვენ ცხოვრობთ და ჩვენ ვარსებობთ, ასე გამოდისო *(იცინის)*. ისეთი ღვინო იყო, მეორე დღეს ნაბახუსევიც კი არ გვქონია, არადა გული მისკდებოდა, ეს საპატივცემულო ხალხი თავის ტკივილმა არ გაგლიჯოს „პახმელიაზე"-მეთქი *(იცინის)*. სამი სახის ღვინოს ვსვამდით – ქართული ტექნოლოგიით დამზადებულ წითელ „ქინძმარაულს", ნახევრად მშრალ, წითელ „საფერავს" და ევროპულად დაყენებულ „მწვანეს". სტუმრებიც მოკრძალებულად დავპატიჟეთ, ოჯახის ახლო გარემოცვა, სულ ორმოცი კაცი. ქეთიმ თქვა, ეს ჩემთვის გამორჩეულად დასამახსოვრებელი დაბადების დღეაო.

**– ქეთი საკუთარ დაბადების დღეზე, ყოველთვის გიტარის თანხლებით მღერის, წელს ხომ არ დაურღვევია ეს ტრადიცია?**

– ეს ტრადიცია, ნამდვილად დაარღვია *(იცინის)*. წელს პირველი დაბადების დღე იყო, როცა მას არ უმღერია და სხვის ნამღერ-დაკრულზე ცეკვავდა. ქეთის რომ ემღერა, ძვირი დაგვიჯდებოდა *(იცინის)*, ამიტომ, დუდუკების ფონზე გავმართეთ ქეიფი. ქეთის დედამთილ-მამამთილიც კი ვაცეკვეთ დუდუკებზე და მჯერა, ეს კახეთში გატარებული დღე, არასდროს დაავიწყდებათ.

**– ქეთი და მისი სტუმრები უკვე წავიდნენ ბრიტანეთში?**

– კი, 18 სექტემბერს გაფრინდნენ. ქეთის ძალიან უყვარს ფერწერა, ეს ყველა ჩვენმა ახლობელმა იცის და დაბადების დღეზე უამრავი ნახატი აჩუქეს სტუმრებმა. ისინიც თან წაიღო და თქვა, ჩემს ოთახში დავკიდებ. ამათ რომ შევხედავ, სულ კახეთი და ჩემი დაბადების დღე გამახსენდებაო *(იცინის)*. ქეთის დედამთილ-მამამთილი კი ამბობდა, აღარ გვინდა აქედან წასვლა, ეს რა ხალხი ყოფილხართ, როგორი მასპინძლობა გცოდნიათო. ერთ საიდუმლოს გაგიმხელთ, ქეთი ახალ პროექტს გეგმავს, რომლის პრეზენტაციაც საქართველოში იქნება.

**ნონა დათეშიძე**

(71-ე გვერდიდან)

# რა განძი ერგო თამრიკო ჭოხონელიძეს მემკვიდრეობით და რა ანდო მას ბიძინა ივანიშვილმა 17 წლის წინ

ისას მისი მთავარი განმსაზღვრელია მისი დამოკიდებულება ოჯახთან, ქალთან. იმ პერიოდიდან, როცა მე ახლოს გავიცანი ივანიშვილების ოჯახი და თავად ბიძინა ივანიშვილი, მისი განსაკუთრებული დამოკიდებულება ოჯახის მიმართ, ჩემს დიდ პატივისცემას იმსახურებდა და ასეა დღემდე.

**– სად მონათლეთ ბერა?**

– თბილისში, ტრადიციული ნათლობა იყო, ქართული სუფრით, სტუმრებით. ჩემმა დამ, სოფიკომ მითხრა, ეკას და ბიძინას ძალიან უნდათ, რომ ბერა მონათლოო. მე, რა თქმა უნდა, დავთანხმდი. ეს იყო დაახლოებით 17 წლის წინ, ბერა ძალიან პატარა იყო. მე ძალიან დიდ სიამოვნებას მანიჭებდა ეს კარგი, თბილი ოჯახი, სადაც ძალიან უყვარდათ სტუმარი. მეც და ჩემი ოჯახიც ჭორვილაში ივანიშვილების სასურველი სტუმრები ვიყავით. არ დამავიწყდება, ბიძინას არაჩვეულებრივი დედის, ქალბატონი ციცინოს მასპინძლობა ჭორვილაში. ეს გახლავთ კარგი ქართული ოჯახი, სადაც დიდი სიყვარული სუფევდა. იმის მიუხედავად, რომ იქ იყო უამრავი ხალხი, ვისაც შეეძლო მასპინძლის როლის აღება საკუთარ თავზე, ქალბატონ ციცინოს უყვარდა, როცა თავად უმასპინძლდებოდა სტუმრებს. სულ უნდოდა, თვითონ ეფუსფუსა, თავისი ხელით დამზადებულ გემრიელობებს გვთავაზობდა სტუმრებს.

**– სად ცხოვრობდნენ მაშინ ივანიშვილები?**

– ბიძინა და ეკა ბავშვებთან ერთად ხან პარიზში ცხოვრობდნენ, ხან – თბილისში, ხან – მოსკოვში. ბიძინას უკვე დაწყებული ჰქონდა კომერციული საქმიანობა, ბევრი ადამიანისთვისაც უკვე გამართული ჰქონდა ხელი. იქიდან გამომდინარე, რომ ივანიშვილებს ხშირად უწევდათ ცხოვრება სხვადასხვა ქვეყანაში, ჩვენ ხშირად ვერ ვახერხებდით ურთიერთობას. მაგრამ, მახსოვს, ჭორვილაში ჩასულს როგორი კონცერტი მომიწყვეს ბერამ და უტამ პატარა ვიოლინოებით. საგანგებოდ იყვნენ გამოწყობილები და მომზადებულები იმისთვის, რომ პატარა კონცერტი გაემართათ ჩვენთვის, სტუმრებისთვის.

**– მუსიკით გატაცება, როგორც ჩანს, თქვენ დაანათლეთ.**

– არ ვიცი, შეიძლება, თუმცა ბერას დედას, ეკასაც ძალიან კარგი მუსიკალური სმენა აქვს. როდესაც ბერა წამოიზარდა, მე ხშირად ვერ ვხედავდი მას. თუმცა, ყოველ მის დაბადების დღეს, ვრეკავდი და ვუბარებდი, რომ ჩემი მილოცვა გადაეცათ. თვითონაც ძალიან ყურადღებიანები იყვნენ ნათლიის მიმართ. ამ ოჯახისგან მახსოვს ბევრი სიკეთე, ყურადღება, ფინანსური მხარდაჭერა. ეკა ხშირად მიგზავნიდა პარიზიდან სასცენო კაბებს, რომლებიც დღემდე მაქვს შენახული.

**– დღეს როგორი ურთიერთობები გაქვთ ივანიშვილებთან? ცოტა ხნის წინ დაიწერა, რომ მათთან კომუნიკაციას მისი ახლო გარემოცვა გიზღუდავთ.**

– მე ვერ ვიტყვი, რომ პოლიტიკამ რამე შეცვალა ჩვენს ურთიერთობაში. მესმის, როგორი დაკავებულია ბიძინა ივანიშვილი, მისი ოჯახის სხვა წევრებიც და ალბათ, ესეც არის ნაკლები კომუნიკაციის მიზეზი. თუმცა, ერთიც კია, მე ვიცი, რამდენი ადამიანი ეხვია გარს ბიძინა ივანიშვილს, რამდენი იყო დადარაჯებული, თუნდაც ჭორვილაში, რომ მის სიახლოვეს მომხვდარიყო. უფრო მეტს გეტყვით, უამრავი ადამიანი პირადად მე მიკავშირდებოდა და მთხოვდა, მასთან დაკავშირებას. მას შემდეგ, რაც ის ქართულ პოლიტიკაში გამოჩნდა, სრულ ტერორში აღმოვჩნდი – დღეში მინიმუმ, რვა-ათი ადამიანი მოდის ჩემთან და ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრის ორგანიზებას მთხოვენ. არავის სჯერა, რომ მე ამ ოჯახთან ურთიერთობა არ მაქვს. მაშინ, აქციები რომ დაიწყო, მე, როგორც რიგითი მოქალაქე, ამ აქციებს ვესწრებოდი. ბიძინა, ან ბერა თუნდაც ერთი წამით თუ ახლოს მოვიდოდნენ ჩემთან, მაშინვე უამრავი ადამიანის გარემოცვაში ვხვდებოდით. არ დაგიმალავთ, უამრავ შიშნარევ თვალს ვხედავდი, რომ კიდევ უფრო არ დავახლოებოდით ერთმანეთს *(იცინის)*. ეჭვი არ მეპარება, რომ ბევრი ცდილობდა, ახლოს არ მივსულიყავი მასთან. ასეთები ადამიანებს ბევრ ნამდვილ მეგობარს აკარგვინებენ და ოსტატურადაც გამოსდით ეს. ისე „საყვარლად" დაგახასიათებენ, ისე ჩააგდებენ მარცვალს, რომელიც ურთიერთობას აფუჭებს... მე ვიცი, რომ ჩემზეც „იმუშავეს" ამ მხრივ. თავად მე არ გამომიხატავს ინიციატივები ურთიერთობებში. ვფიქრობ, თუ თვითონ ჩათვლიან, რომ მე ვარ ადამიანი, ვინც შეუფარავად მათი მეგობარი და გულშემატკივარია, თვითონ „მომძებნიან". იმ ხალხის გასაგებად კი, ვინც საშინელი უგუნურობით შეეცდება იმის ტირაჟირებას, თითქოს მე განაწყენებული ვარ, დაწერეს, რომ მე მილიარდერი „დავკარგე." ვიტყვი, რომ ეს ასე არაა. მადლიერების მეტი არაფერი მეთქმის ბიძინას და მისი ოჯახის მიმართ. ასე რომ, ვილაც-ვილაცეები თავის დაგეგმილ, იაფფასიან ტრიუკებში ვერ ჩამითრევენ. საკუთარი რეპუტაცია ყველაფერს მირჩევნია. ბევრი მცდელობის მიუხედავად, ეს ბოლო წლებში ვერავინ შეძლო. მე რეპუტაციის მოპოვება პიარით არ მჭირდება. ასე ვაპირებ ცხოვრების გაგრძელებას მომავალშიც. ასე რომ, ის ვინც სკანდალებში ჩემს გახვევას ცდილობს, სულ ტყუილად ირჯება.

**თამუნა ნიჟარაძე**

# როგორ აღიარა გრიგოლ ხანძთელმა ბაგრატიონები ქრისტეს ნათესავებად და როგორ დალოცა ისინი

***ყოველ ქვეყანაში, ყოველი მეფე, მთავარი ან დაწინაურებული საგვარეულოს მეთაური ცდილობდა, თავისი წარმოშობა დაეკავშირებინა რომელიმე განსაკუთრებული, ლეგენდარული ადამიანისთვის. რაც მეტად ცნობილი იქნებოდა წინაპარი, მით მეტად პრესტიჟულად ითვლებოდა დინასტია.***

ხშირად დინასტიები სიმართლეს ავრცელებდნენ თავისი წინაპრების შესახებ. ხანდახან იყო გადაჭარბებაც, ან ამბების გამოგონებაც. დინასტიის პრესტიჟულობა პოლიტიკურ მოვლენებზე ახდენდა გავლენას, მით უმეტეს მაშინ, თუ რამდენიმე დინასტია ექიშპებოდა ერთმანეთს ქვეყნის გაერთიანების საქმეში.



მერვე-მეცხრე საუკუნეებში საქართველოში რამდენიმე სამთავრო არსებობდა. ყოველი სამთავრო ცდილობდა, შემოეერთებინა მეზობელი სამთავრო და თავად გამხდარიყო ერთიანი ქვეყნის ცენტრი, ანუ უფრო დიდი სამეფოს შემქმნელი ან უფრო განევრცო თავისი საზღვრები. ეს მოქმედი დინასტიის ძალაუფლების გავრცელებისა და გაძლიერების საშუალება იყო. იმ დროს რამდენიმე დაწინაურებული საგვარეულო ერთმანეთს უპირისპირდებოდა საქართველოსა და კავკასიის მასშტაბით პირველობის მოსაპოვებლად. აქვე იყვნენ დამპყობლებიც, არაბები და ბიზანტიელები.

საგვარეულოებისა და სამთავროების ქიშპობაში, სამხედრო საქმის გარდა, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იდეოლოგიას და პროპაგანდას.

მერვე-მეცხრე საუკუნეებში საქართველოში, სხვა საგვარეულოებთან ერთად, მოქმედებდნენ ბაგრატიონებიც. ბაგრატიონთა წარმოშობის შესახებ სხვადასხვა აზრი არსებობს. სამეცნიერო თვალსაზრისები დაახლოებით ამგვარია: ჯერ კიდევ ქრისტესშობამდე მეორე საუკუნეში ეს გვარი დაწინაურებული იყო, კერძოდ, ძველ ქართულ მხარეში, სპერში, საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში. ისინი იყვნენ ფარნავაზის შთამომავლები. სპერი რომ ქართული მხარე გახლდათ, ამას მეცნიერული მონაცემები აშკარად ადასტურებს. ძველ საქართველოში შავ ზღვას სპერის ზღვას ეძახდნენ, ჭოროხს – სპერის მდინარეს. შავიზღვისპირა ქვეყნის შავიზღვისპირა ერი – ქართველები უცხო მხარის სახელს, სპერის ზღვას არ დაარქმევდნენ. ლეჩხუმში არსებობს სოფელი „ნასპერი". ესეც მიმანიშნებელია, რომ სპერი ქართული სამყაროს ნაწილი გახლდათ. კიდევ სხვა მონაცემებიც გვაქვს. უდავოა, რომ სპერი ქართული მხარე იყო. აშკარაა, რომ ისინი ქართველები არიან წარმოშობით.

არსებობს სხვა მოსაზრებაც: კერძოდ, ძველი წელთაღრიცხვის მერვე საუკუნეში ურმიის ტბის მიდამოებში არსებობდა მანას სამეფო. მანას სამეფო მოქცეული იყო ურარტუს სახელმწიფოს შემადგენლობაში, მისი ნაწილი გახლდათ. წყაროებში იხსენიება მანას მეფე ბაგადატი. ზოგი ფიქრობს, რომ ეს ბაგადატი შესაძლებელია, იყოს ბაგრატიონთა საგვარეულოს წინაპარი. ასევე, უნდა ვთქვათ, რომ მანას სამეფო სახლში, დინასტიაში გავრცელებული იყო სახელი აზა. შეიძლება ეს სახელი აზა უკავშირდება აზოს – ქართლის მეფეს ფარნავაზამდე, რომელიც, საისტორიო ტრადიციის მიხედვით, „არიან ქართლის", ე. ი. საქართველოს სამხრეთ მხარეებში მდებარე ქართული სამეფოს უფლისწული გახლდათ („ძე არიან ქართლის მეფისა") და შემდეგ გამეფდა მცხეთაში.

არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ზოგიერთ ქართულ წყაროში ბაგრატიონთა გვარი წარმოდგენილია როგორც „ბაგრატუნიანი" (ასევე, „ბაგრატონიანი", „ბაგრატოანი" და სხვა) „უნი" ურარტული (და არა არმენული) სუფიქსია. ეს გარემოება კი, შესაძლებელია, მოწმობდეს იმას, რომ ბაგრატიდთა გვარი მართლაც უძველესია და ურარტული დროიდან (ძველი წელთაღრიცხვით მეცხრე-მეექვსე საუკუნეები) მოდის. შესაძლოა ურარტუს სამყაროდანაც, კერძოდ მანას სამეფოდან (ძველ ქართულ სამეფოდან, „არიან-ქართლიდან") იყოს მოსული ჯერ ქართულ მხარე სპერში და შემდეგ აქედან მათი ერთი შტო – სომხეთში, რამეთუ ამიერკავკასიაში ბაგრატიდთა უძველესი სამკვიდრო უთუოდ სპერი იყო. „ან" ძველქართული სუფიქსია. ასევე, ძველ საქართველოში გვარები ნაწარმოები იყო „ან"-ით, მაგალითად, ფარნავაზიანი და სხვა მრავალი. ამის ტრადიცია შემორჩენილია სვანეთში და ლეჩხუმში (გვარები) და აღმოსავლეთ საქართველოშიც (წარმომავლობა, „ოთარაანთი", „გიორგიანთი" და სხვა).

არის ამ ვარაუდის სხვა ვარიაციაც... არის კიდევ ერთი თვალსაზრისი, რომელიც ყველაზე მეტად არის გავრცელებული საქართველოსა და მსოფლიოშიც. მეთერთმეტე საუკუნეში მოღვაწე სუმბატ დავითის ძე თავის შესანიშნავ თხულებაში „ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა", რომელიც სხვათა შორის, ძალიან დახუნძლულია სხვადასხვა საიდუმლო ინფორმაციითა და სიმბოლიკით, გვიამბობს ბაგრატიონების საქართველოში მოსვლისა და გამთავრების ამბავს. სუმბატ დავითის ძის თქმით, ბაგრატიონები არიან ბიბლიური მეფის, დავით წინასწარმეტყველის შთამომავლები. სხვათა შორის, ამ შტოს წარმომადგენელი იყო ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი და მართალი იოსები. სუმბატ დავითის ძის მიხედვით, პირველი ბაგრატიონ-დავითიანი, რომელიც ავიდა ქართლის ერისმთავართა ტახტზე (ადრე რომ სამეფო ტახტი ერქვა), იყო გვარამი, რომელიც ქართლის მამულიშვილთა კრებაზე აირჩიეს ქართლის მმართველად – ერისმთავრად.

საქართველოში მართლაც, 575 წელს ქართლის ერისმთავრად აირჩიეს გვარამი. სუმბატ დავითის ძის თხზულებაზე გაცილებით უფრო ძველი, „მოქცევა ქართლისა" მის გვარს არ ასახელებს. მერვე ან უფრო მეცხრე საუკუნეში მოღვაწე მემატიანე ჯუანშერი გვარამს ბაგრატიონად მიიჩნევს.

ალბათ, მეექვსე საუკუნის შემდგომ, სუმბატ დავითის ძემდე, ბაგრატიონთა დავითიანობის თეორია გავრცელებული იყო კავკასიაში და განსაკუთრებით საქართველოში – როგორც ამას გვამცნობს სუმბატ დავითის ძე და როგორც ეს ჩანს ჯუანშერთან და გიორგი მერჩულის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში". ის შეიქმნა 951 წელს, გრიგოლ ხანძთელის გარდაცვალებიდან 90 წლის შემდეგ. ეს თხზულება ასახავს მერვე-მეცხრე საუკუნის მოვლენებს და ეყრდნობა გრიგოლ ხანძთელის მოწაფეთა და მოწაფეთა მოწაფეების მიერ მონათხრობს. ამგვარად, სანდო წყაროდ მიიჩნევა.

**ასეთი პრესტიჟული თეორია არც ერთ დინასტიას არ ჰქონდა ქრისტიანულ სამყაროში – მხოლოდ ბაგრატიონებსა და ეთიოპიის მეფეებს**

786 წელს ქართლის ერისმთავარი გახდა აშოტ პირველი ბაგრატიონი. ცოტათი ადრე ქართლის ერისმთავარი გახლდათ სტეფანოზ მეოთხე, ხოლო მანამდე მისი ბიძა, დედის ძმა ნერსე მეორე. რომლის კარზეც იზრდებოდა საქართველოს ეკლესიის მომავალი ვარსკვლავი გრიგოლ ხანძთელი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბაგრატიონები თავს მიიჩნევდნენ დავით წინასწარმეტყველის შთამომავლებად. ამგვარად, მათი დინასტიის ისტორია ძალიან პრესტიჟული შეიძლება ყოფილიყო – ყველაზე პრესტიჟული, არა მხოლოდ საქართველოსა და კავკასიაში, არამედ მსოფლიოშიც, რადგან, სისხლის ნათესაობით ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს უკავშირდებოდნენ. ამგვარად კი, განკაცებულ მაცხოვარს და მართალ იოსებს, ქრისტეს დამწინდველს.

ასეთი პრესტიჟული თეორია არც ერთ დინასტიას არ ჰქონდა ქრისტიანულ სამყაროში – მხოლოდ ბაგრატიონებსა და ეთიოპიის მეფეებს, რომლებიც თავის წარმოშობას უკავშირებდნენ დავით წინასწარმეტყველის ვაჟს, მეფე სოლომონს და ეთიოპიის (საბას) ლეგენდარული სამეფოს ლეგენდარულ დედოფალს... მაგრამ, ამ თეორიას აღიარება სჭირდებოდა საქართველოში, კონკრეტულად კი, ქართული ეკლესიის მხრიდან. ეს იყო აუცილებელი...

აშოტ ერისმთავარი გააფთრებული ებრძოდა დამპყრობ არაბებს. წარმატებებსაც მიაღწია. მაგრამ, შემდეგ დამარცხდა და 809 წელს მოუწია ქართლის დატოვება და შავშეთ-კლარჯეთში გადასვლა. ტაო-კლარჯეთი ადმინისტრაციულად დაკავშირებული იყო ქართლთან. იქ არაბების გავლენა იმ პერიოდში ნაკლები იყო და ბიზანტია ცდილობდა, მოეპოვებინა გავლენა.

აშოტ კურაპალატმა აღადგინა ვახტანგ გორგასლის მიერ დაარსებული არტანუჯის ციხე. იქ მოიწყო დედაქალაქი და შეუდგა ამ ქართულ მხარეში ძლიერი სამეფოს ჩამოყალიბებას. ეს აწყობდა არაბების კონკურენტ ბიზანტიას და ამიტომ, აშოტს კურაპალატის ტიტული მიანიჭა ბიზანტიის იმპერატორმა.

მერვე საუკუნის 70-იან წლების ბოლოს, კლარჯეთში ქართლიდან გადავიდა და სამონასტრო ცხოვრების გავრცელება დაიწყო ნერსე მეოთხე ერისმთავრის მეუღლის ძმისშვილმა – გრიგოლ ხანძთელმა. გრიგოლ ხანძთელმა და აშოტ კურაპალატმა უმნიშვნელოვანესი მისია შეასრულეს საქართველოს ისტორიაში. გრიგოლ ხანძთელს განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა აშოტ დიდთან. ისინი თანამებრძოლები და შეიძლება ითქვას, მეგობრები იყვნენ. თანამებრძოლობა, მით უმეტეს ქვეყნის ძლიერებისთვის მოღვაწეობის საქმეში, ხალხის სამსახურში, ძალიან აახლოებს ადამიანებს. განსაკუთრებით მაშინ, თუ მათ არ აქვთ ბელადობის ამბიცია და პატივმოყვარეობით არ არიან შეპყრობილნი.

აშოტი ხელმწიფე იყო. მას არ სჭირდებოდა ვინმესთვის რაიმეს მტკიცება. არც ამბიციების გამოვლენა და ა. შ. თან იყო ძალიან მორწმუნე. როცა მამა გრიგოლმა მას წაჰგვარა საყვარელი და მონასტერში აღკვეცა, დიდმა ხელმწიფემ მხოლოდ იტირა და ბედს, მამა გრიგოლის ავტორიტეტსა და სარწმუნოების მოთხოვნას დაემორჩილა გულგატეხილი.

გრიგოლ ხანძთელი არქიმანდრიტი იყო, უარი თქვა მღვდელმთავრობაზე... ის გამოირჩევა ზოგადად ბერების აბსოლუტური უმრავლესობისგანაც კი, საერთოდ, როგორც ცხოვრების წესით, ისე ბერად აღკვეცის მიზნითაც. ეს ქართულმა აგიოგრაფიამ კარგად გადმოგვცა. როგორც აღნიშნავდა რევაზ სირაძე: „უნივერსალობა უმთავრესი ნიშანია აგიოგრაფიულ სახე-იდეა-

(გაგრძელება 86-ე გვერდზე)

# გლადიატორთა თამაშებს ორგანიზატორებისთვის უზარმაზარი პოლიტიკური დივიდენდები მოჰქონდა

შეიძლება ვინმეს ჰგონია, რომ რომაელები ჰუმანურები იყვნენ და ყოველთვის ისწრაფოდნენ, აეკრძალათ ადამიანების მსხვერპლშეწირვის ტრადიცია მაგრამ, ეს მთლად მართალი არ არის. არსებობდა მოღვაწეობის ორი სფერო, რომლებისთვისაც რომაელები არ იშურებდნენ რიტუალურ სისხლს და, უპირველეს ყოვლისა, ეს იყო იურისპრუდენცია. მსოფლიო დავალებულია კვირიტებისგან (სრულუფლებიანი მოქალაქეების ოფიციალური სახელწოდება ძველ რომში), რადგან მათ რომაული კანონმდებლობის განსაკუთრებით განვითარებული და პროგრესული სისტემა შექმნეს, რომელიც დღესაც მრავალი სახელმწიფოს კანონმდებლობას უდევს საფუძვლად. მაგრამ, მიუხედავად თავიანთი ხისტი ერთგულებისა საერო კანონმდებლობისადმი, რომაელები სიკვდილით დასჯის ნებისმიერ შემთხვევას ერთგვარ მსხვერპლშეწირვად მიიჩნევდნენ.

ადამიანთა ყველაზე მასობრივი მსხვერპლშეწირვა რომში გლადიატორთა თამაშები იყო. მხოლოდ გაოცება შეიძლება იმის გამო, რომ, რომაელები, რომლებიც მსხვერპლშეწირვის საკითხში ჯერ კიდევ მეფე ნუმას დროიდან (ჩვენს წელთაღრიცხვამდე მესამე საუკუნის ბოლოდან) ცდილობდნენ, ჰუმანურობა გამოეხატათ და თავიანთ ქვეშევრდომ ხალხებშიც კი კრძალავდნენ სისხლიან რიტუალებს, ასეთი საშინელი სანახაობის მგზნებარე მოტრფიალენი ხდებიან. რასაკვირველია, რომაელთა ბრბოს ცირკით გატაცებას პირდაპირი შეხება არ ჰქონდა რიტუალთან. როდესაც რესპუბლიკის თანამდებობის პირები, მოგვიანებით კი – იმპერატორები, ხალხისთვის აწყობდნენ ასეთ არაჩვეულებრივ სანახაობას, როგორც თავისი ბრწყინვალებით, ისე დაქცეული სისხლის რაოდენობით, ეს იყო არა იმდენად ღმრთისმსახურება, რამდენადაც მდაბიო ხალხის მოსყიდვის სურვილი.

გლადიატორთა პირველი შერკინება მარადიულ ქალაქში ჩვენს წელთაღრიცხვამდე 264 წელს შედგა. გლადიატორული თამაშები, მემკვიდრეების აზრით, მიცვალებულისადმი ვალის საბოლოო გადახდა იყო და ამ დღეს ნათესავებს საფლავზე მოკრძალებული შესაწირავი მიჰქონდათ: კვერცხი, ბურღული, პარკოსნები, მარილი. შემდეგ სულის მოსახსენიებელი სადილი იმართებოდა. მდიდარი და წარჩინებული რომაელები თავს მოვალედ მიიჩნევდნენ, იმ დღეს საზოგადოებას გამასპინძლებოდნენ. ვისაც ამის გაკეთება შეეძლო, სულის მოსახსენიებელი დღის აღსანიშნავად გლადიატორთა ორთაბრძოლებსაც აწყობდნენ. თავიდან ორთაბრძოლების ორგანიზება მემკვიდრეთა კერძო საქმეს წარმოადგენდა და მხოლოდ ჩვენს წელთაღრიცხვამდე105 წელს; ამასთან ერთად, დამატებით შემოიღეს სახელმწიფო თამაშები, რომელთა მოსაწყობად მაგისტრატები უნდა გარჯილიყვნენ და ის მიძღვნილი უნდა ყოფილიყო ღირსშესანიშნავი თარიღის ან რელიგიური დღესასწაულისადმი; მაგრამ, დაკრძალვის თამაშები არ შეწყვეტილა. მაგალითად, გაიუს იულიუს კეისარმა, მამის ხსოვნის აღსანიშნავად, გლადიატორთა თამაშები ჩაატარა. მისივე ორგანიზებით, რომის ისტორიაში პირველად ჩატარდა გლადიატორთა შერკინება ქალის – მისი ქალიშვილის, იულიას სულის მოსახსენიებელ დღეს.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე 186 წელს, გლადიატორთა ორთაბრძოლებს დაუმატეს ახალი სა-



ხეობა – ველურ ცხოველებთან შერკინება. დასაწყისში მხეცები სპეციალურად გაწვრთნილ გლადიატორებს – „ვენატორებს“ (სინამდვილეში მონადირეებს) ერკინებოდნენ, შემდეგ კი – ერთმანეთს. ხოლო, სულ მალე, ჩვენს წელთაღრიცხვამდე 167 წელს, ედილ (უმცროსი მაგისტრატი) ლუციუს ემილიუსის ბრძანებით, არენაზე სპილოები შეუშვეს დეზერტირებისა და მტრის მხარეზე გადასულთა გადასათელად. ასე გაჩნდა ტრადიცია – მხეცების დასაგლეჯად გაეწირათ დამნაშავეები.

მალე გლადიატორთა თამაშებმა შეინარჩუნა რა ერთგვარად რიტუალური ხასიათი, უპირველეს ყოვლისა, რომაელთა საყვარელ სანახაობად იქცა. ის პირები, რომლებიც არჩევნებში აპირებდნენ კენჭისყრას, გლადიატორთა შერკინებებს მართავდნენ ხმების მოპოვების უზრუნველსაყოფად.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე 63 წელს ციცერონმა გაატარა კანონი, რომელიც მაღალი სახელმწიფო თანამდებობის კანდიდატს არჩევნებამდე ორი წლის განმავლობაში უკრძალავდა გლადიატორთა ორთაბრძოლების ჩატარებას, მაგრამ, ამან დიდად ვერაფერი შეცვალა, რადგან, ეს თამაშები ჯერ კიდევ მსხვერპლშეწირვად ითვლებოდა და არავის შეეძლო, კერძო პირისთვის აეკრძალა მისი ჩატარება, თუ ეს მის მოვალეობას წარმოადგენდა ანდერძის მიხედვით. მაგრამ, თუ მოანდერძე ძალიან ადრე კვდებოდა, შესაძლებელი იყო, მემკვიდრეს უფრო ხელსაყრელი მომენტისთვის მოეცადა, როგორც ამ შემთხვევაში გაიუს იულიუს კეისარი მოიქცა – მან მამის ხსოვნის აღსანიშნავი თამაშები მისი გარდაცვალების 20 წლისთავზე მოაწყო.

გლადიატორთა თამაშების მოწყობას დიდძალი პოლიტიკური დივიდენდები მოჰქონდა ორგანიზატორებისთვის, ამიტომ იმპერატორებმა კერძო პირების უფლებების რამდენადმე შეზღუდვა დაიწყეს: ადგენდნენ კვოტებს როგორც გლადიატორთა რაოდენობასა და სანახაობის ხანგრძლივობაზე, ასევე, თამაშების ჩატარების სიხშირეზე. თუმცაღა, თვით იმპერატორებისთვის ამას ხელი არ შეუშლია – ისინი დანახარჯებს არ გაურბოდნენ. ავგუსტუს ოქტავიანე (რომის იმპერატორი – ძველი წელთაღრიცხვით 63-14 წლები) თავისი ქმედებების ჩამოთვლისას აღნიშნავდა, რომ მან რვაჯერ ჩაატარა თამაშები, რომლებშიც დაახლოებით 10 000-მა გლადიატორმა მიიღო მონაწილეობა, ხოლო 26-ჯერ – „მონადირეების“ მხეცებთან შერკინება, როდესაც 3 500 ნადირი იქნა მოკლული. ჩვენი წელთაღრიცხვით 107 წელს, დაკებზე გამარჯვების შემდეგ, იმპერატორმა ტრაიანემ მოაწყო თამაშები, რომელშიც 10 000 გლადიატორი და 11 000 მხეცი იღებდა მონაწილეობას.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ჩვენს წელთაღრიცხვამდე 97 წელს, სენატის სპეციალური დადგენილებით, ადამიანთა მსხვერპლშეწირვა აიკრძალა, მაგრამ, გლადიატორთა თამაშებს ეს დადგენილება არ შეეხო. როგორც ჩანს, ამ დროისთვის გლადიატორთა თამაშები თავის პირვანდელ საკრალურ მნიშვნელობას კარგავს. დაკრძალვის თამაშებიც კი, არა იმდენად მიცვალებულთათვის გაცემული მსხვერპლის როლს ასრულებდა, რამდენადაც გასართობ სანახაობას წარმოადგენდა, რომელიც ხალხისთვის ეწყობოდა მიცვალებულის ხსოვნის აღნიშვნის საბაბით. იმპერიის პერიოდში სიცოცხლე იაფი ღირდა და სენატის დადგენილება ადამიანთა მსხვერპლშეწირვის აკრძალვის შესახებ დავიწყებულ იქნა. მართლაც, მსხვერპლის გაღება ხდებოდა უკვე არა იმდენად ღმერთების გულის მოსალბობად, რამდენადაც პოლიტიკური მოწინააღმდეგეების დასაშინებლად ან იმპერატორთა ხუშტურების დასაკმაყოფილებლად.

**მოამზადა**
**რევაზ ტომარაძე**

## წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ი | რ | ო | ი | | ნ | ა | გ | ა | ს | ა | კ | ი | |
| ი | ნ | დ | ი | რ | ა | | ვ | | მ | ი | ნ | ო | რ | ი |
| | ა | | კ | უ | ნ | ს | ტ | კ | ა | მ | ე | რ | ა | |
| ე | ვ | ა | | ი | დ | ა | ნ | | ბ | ი | ნ | ო | მ | ი |
| ხ | | რ | | ს | ა | ნ | ა | თ | ა | | | | ა | |
| ი | ნ | ა | ვ | ა | ლ | ა | ფ | | ლ | ა | ზ | ა | თ | ი |
| ც | | დ | | მ | უ | ქ | ა | რ | ა | | | | | |
| | ა | ნ | ი | | ს | ე | დ | ა | | | | | | |
| ა | ი | ა | | ა | ი | ბ | | შ | უ | | | | | |
| ზ | | ფ | ა | რ | ა | ო | ნ | ი | | | | | | |
| ა | ნ | ა | გ | ა | | | ო | | | | | | | |
| ბ | ა | კ | ა | ლ | ა | ვ | რ | ი | | ბ | | | | ნ |
| | ძ | | ბ | ე | ლ | ი | ა | შ | ვ | ი | ლ | ი | | ა |
| | ვ | | | | ა | ს | | უ | | ა | ი | ს | ო | რ |
| ნ | ი | ს | ლ | ი | | ო | | ბ | ა | ნ | კ | ი | | თ |
| ო | | ა | | ნ | უ | ლ | ი | | | კ | ა | მ | ე | ა |
| ნ | ო | კ | ი | ა | | ი | ს | ა | ბ | ა | | ა | | უ |
| ე | | უ | ს | ტ | ა | | ო | | უ | | ი | რ | ი | ლ |
| ტ | ა | რ | ი | ე | ლ | ი | | ა | რ | ა | დ | ა | ნ | ი |
| ი | ნ | ა | ს | რ | ა | კ | | ნ | ი | რ | ო | | ე | |
| | ე | | ა | ბ | გ | ა | | ა | მ | ა | ნ | ა | თ | ი |
| ა | ლ | ა | მ | | | ხ | ო | ს | ე | | ა | | ა | |



### ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 5 | 4 | 8 | 6 | 9 | 2 | 1 | 3 |
| 6 | 2 | 1 | 4 | 3 | 5 | 7 | 8 | 9 |
| 3 | 8 | 9 | 7 | 2 | 1 | 4 | 5 | 6 |
| 1 | 3 | 8 | 5 | 7 | 6 | 9 | 2 | 4 |
| 9 | 4 | 5 | 2 | 1 | 3 | 6 | 7 | 8 |
| 2 | 7 | 6 | 9 | 8 | 4 | 5 | 3 | 1 |
| 8 | 6 | 2 | 3 | 9 | 7 | 1 | 4 | 5 |
| 4 | 1 | 3 | 6 | 5 | 2 | 8 | 9 | 7 |
| 5 | 9 | 7 | 1 | 4 | 8 | 3 | 6 | 2 |

### რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 3 | 9 | 2 | 1 | 4 | 8 | 5 | 7 |
| 7 | 8 | 1 | 3 | 9 | 5 | 6 | 2 | 4 |
| 2 | 4 | 5 | 8 | 7 | 6 | 1 | 3 | 9 |
| 5 | 9 | 3 | 1 | 4 | 7 | 2 | 6 | 8 |
| 8 | 7 | 6 | 9 | 5 | 2 | 4 | 1 | 3 |
| 1 | 2 | 4 | 6 | 3 | 8 | 9 | 7 | 5 |
| 3 | 1 | 8 | 7 | 6 | 9 | 5 | 4 | 2 |
| 9 | 5 | 7 | 4 | 2 | 1 | 3 | 8 | 6 |
| 4 | 6 | 2 | 5 | 8 | 3 | 7 | 9 | 1 |

**„თუ გამოიცნობთ“ რუბრიკის პასუხები: 1. ვენესუელა. 2. ტანკი. 3. „მთავარია მონაწილეობა და არა გამარჯვება“. 4. გაგორებისას ერთი კამათელი შუაზე გაიპო და სამი ნაწილის ჯამი 13 გამოვიდა. 5. მღერიან სახელმწიფო ჰიმნს, რომლის მუსიკა ძველი ბრიტანული სუფრული სიმღერიდან მოდის. 6. გაყინვისას წყალი სითბოს გამოყოფს და ჰაერს ათბობს. 7. ბალანსს. 8. არც ერთი – მითის მიხედვით ავგიას თავლაში ძროხები და ხარები ჰყავდა. 9. გაეთავისუფლებინათ იმდენი მეკობრე, რამდენსაც მისი სხეული ჩაურბენდა თავმოკვეთილი. 10. მის ფესვებს აქვს ადამიანის სხეულის ფორმა.**

**ვაჟა მანია უკვე რამდენიმე წელია, ამერიკაში ცხოვრობს, კერძოდ ბოსტონში, ბერკლის მუსიკალურ კოლეჯში სწავლობს და საკმაოდ წარმატებულადაც. თუმცა იმის გამო, რომ საქართველოდან სწავლის დაფინანსება დროებით შეუწყვიტეს, მას რამდენიმე სემესტრის გამოტოვება მოუწია. ამ ყველაფრის გასარკვევად ის საქართველოში ჩამოვიდა, თუმცა, სამწუხაროდ, ჯერჯერობით ეს საკითხი ისევ გაურკვეველია და ნიჭიერ, პერსპექტიულ მომღერალს ამ კუთხით კვლავ პრობლემები ექმნება. არადა, ვაჟა მანია აქამდე ერთადერთი ჟაზ-შემსრულებელი იყო, რომელიც ბერკლის მუსიკალურ კოლეჯში სწავლობდა და ნელ-ნელა კიდევ უფრო მეტ წარმატებას აღწევდა. ასე რომ, ვიმედოვნებთ მას სახელმწიფოს მხრიდან სწავლის საფასურთან დაკავშირებით პრობლემები აღარ შეექმნება.**

# რის მიმართ გამოუმუშავდა იმუნიტეტი ვაჟა მანიას და რატომ ექმნება მუდმივად პრობლემები „ბერკლიში“ სწავლასთან დაკავშირებით

**ვაჟა მანია**: ერთი წელი და სამი თვეა, არ ვყოფილვარ საქართველოში და მომენატრა. ეს პერიოდი საკმაოდ რთული იყო, მაგრამ რამდენად, ამაზე აღარ დავიწყებ საუბარს, მკითხველს ეს ნაკლებად აინტერესებს. სირთულეები ადამიანს ბევრ რამეს ასწავლის და მათ გარეშე არაფერი გამოდის. თუმცა, სირთულეებზე სწავლა ნამეტანი რთულია, თუ ნაკლებად იქნება, უფრო კარგია. იუმორით რომ არ მივუდგე ამას, არ ვიცი, რა იქნებოდა. დიდი ხანია, მივეჩვიე, რომ ყველაფერი ძალიან რთულად გამომდის. მაგრამ, თუ გამოდის, ესე იგი, ღირს ის წვალება და შრომა, რომელიც მანამდე იყო. ძალიან ბევრი რამ ვისწავლე, ბევრი თვისება შევიძინე. რაც შეეხება სწავლას, პროგრესს ნამდვილად ვხედავ, რადგან იქ იმისთვის ჩავედი, რომ ეს პროგრესი დამენახა.

**– ორი წელია, იქ ხარ, თუმცა იმის გამო, რომ სწავლის საფასურთან დაკავშირებული პრობლემები გქონდა, რამდენიმე სემესტრის გამოტოვება მოგიწია.**

– ბევრი სემესტრი გამოვტოვე: ხან ფულის გადმორიცხვის დაგვიანების გამო და ხან რის გამო, მოკლედ, სხვადასხვა მიზეზია. თუმცა, ამ ყველაფერში მე ნაკლებად ვიყავი დამნაშავე, ანუ მიზეზი მე არ ვყოფილვარ. სასწავლებლიდან სემესტრების გამოტოვების გამო პრობლემები არ შემქმნია, უბრალოდ, მიცდება, დროს ვკარგავ. ყველაფრის მიუხედავად, ვცდილობ, „ბერკლიში“ ვიყო, ჩემთვის ვიმეცადინო, სხვა მოსწავლეებთან მქონდეს ურთიერთობა. „ბერკლის“ ვარ შეკედლებული, რომ მუდმივად ფორმაში ვიყო, არ ამოვვარდე. ჯერჯერობით არ მრიცხავენ სასწავლებლიდან, არ მაქვს ასეთი პრობლემები, მაგრამ თუ ასე გაგრძელდება, შეიძლება, ყველაფერი სხვანაირად განვითარდეს... უბრალოდ, ყველაზე მნიშვნელოვანს – დროს ვკარგავ, რადგან, რაც უფრო მალე გავაკეთებ ყველაფერს, გადავდგამ ნაბიჯებს წინ, მით უფრო შეიძლება, მალე მოვიდეს წარმატება. დროს იქ ძალიან დიდი ფასი აქვს. ამიტომ, თუ დროს ნაკლებად დავკარგავ, კარგი იქნება. ვისთან ერთადაც დავიწყე სწავლა, ისინი უკვე ბოლო სემესტრზე არიან, ამთავრებენ. მე კი მეოთხე სემესტრზე გადავედი. რომ მეკითხებიან: რატომმო, მარტივად ვუხსნი ყველაფერს. რამდენიმე გაკვეთილეზე ერთი და იგივე მასწავლებლები მყავს და უკვირთ: ჩვენ გვგონია, უკვე ამთავრებო, რადგან ბევრი დრო გავიდა.



კომფორტულად არ ვგრძნობ იქ თავს, მაგრამ ეს უნდა გადავლახო, გავუმკლავდე. მიზანი მაქვს დასახული და იმდენად მინდა ვისწავლო, ყველაფერს გავუძლებ

**– არა მხოლოდ ამ კუთხით, შენი ნიჭიერებითაც დაამახსოვრე მათ თავი.**

– უკვე მოვერგე იქაურობას. პირველ სემესტრში მაინც გარემოს ეგუები. ამიტომ, ნებისმიერი სტუდნეტი, რომელიც იქ ჩადის, ერთ-ორ სემესტრში ვარსკვლავებს ვერ წყვეტენ და არც არავის მოუწყვეტია. მერე, დრო რომ გადის, გარემოს ეგუები, შენი სახლივით ხდება, უკვე სხვანაირად იქცევი, მასწავლებლებსაც უკეთ აცნობ თავს. ამიტომ, თუ ვინმეს უკვირს, რომ ვაჟამ აქამდე არ მოწყვიტა ვარსკვლავებიო, ეს ჩემთვის არაფერს ნიშნავს. რაც მთავარია, საკუთარ თავში პროგრესს ვგრძნობ და ეს მაკმაყოფილებს. თან, სწავლაში ხელი უფრო მეშლება, არადა პირიქით უნდა იყოს. ნამდვილად არ ვგრძნობ იქ თავს კომფორტულად, უბრალოდ, ამას დიდ მნიშვნელობას აღარ ვანიჭებ. ეს უნდა გადავლახო, გავუმკლავდე, რადგან მიზანი მაქვს დასახული: იმდენად მინდა ვისწავლო, რომ ყველაფერს გავუძლებ.

**– სირთულეებთან ბრძოლის იმუნიტეტი გამოგიმუშავდა.**

– გამომიმუშავდა იმუნიტეტი. იქაურობას ისე შევეჩვიე, რომ მხოლოდ იმაზე ვფიქრობ, როგორ წავიდე წინ და წინ. რაც მთავარია, „ბერკლის“ რაღაც ნაწილად, გამორჩეულ სტუდენტად შემიძლია ვიგრძნო თავი, რადგან ამას თვითონ მასწავლებლები მეუბნებიან. ჯერჯერობით საკუთარი თავის პროგრესზე ვმუშაობ და პატარ-პატარა წარმატებები უკვე მაქვს, მიუხედავად ბევრი სირთულისა.

**– მითხარი: გამორჩეულ სტუდენტად შემიძლია, ვიგრძნო თავი, ამას სტუდენტებიც მეუბნებიანო. ანუ, როგორია მათი შეფასებები?**

– ვოკალის მასწავლებელთან ძალიან კარგი დამოკიდებულება მაქვს, სულ დადებით რაღაცეებს მეუბნება. მე საკუთარი თავით ხშირად უკმაყოფილო ვარ – ვაკეთებ, ვაკეთებ, მაგრამ უფრო მეტი მინდა, რომ გავაკეთო. ამიტომ, სულ ვეკითხები: ეს მოგწონს, ეს კარგად გავაკეთე? ის კი მეუბნება: დამშვიდდი, ეს ყველაფერი კარგია, კარგად გამოგდის და ყოველ საღამოს საკუთარ თავს უთხარი, რომ შენ ყველაზე კარგი მომღერალი ხარო. მაგრამ, ვერ ვეუბნები, არ შემიძლია, არ მიყვარს საკუთარი თავის შექება. აქ, „ბერკლიში“ ბევრი მუსიკოსია, პროფესორები, რომლებიც სცენაზე გასვლის წინ საკუთარ თავს ეუბნებიან: ყველაზე კარგად დავუკრავ, ახლა ყველაზე კარგად გამოვალ სცენაზეო – ეს, თურმე, დიდ სტიმულს გაძლევს და დადებით ენერგეტიკას უგზავნი საკუთარ თავს. ასე თუ არ მოიქცევი, შეიძლება, ვიღაცამ დაგჯაბნოს, წინ ვერ წახვიდე. ასე მამხნევებს და რაც მთავარია, იმ პროგრესს, რაც იქ ყოფნით განვიცადე, მასწავლებლები კარგად აფასებენ. ჯერჯერობით ეს არის მთავარი და თუ მომცემენ იმის საშუალებას, რომ ყველა სემესტრი გავიარო, მაშინ, ვფიქრობ, ყველაფერი კარგად იქნება. წარმატებას მივაღწევ და ჩემს სათქმელს ვიტყვი, რადგან ამის პოტენციალი ნამდვილად მაქვს და შემიძლია, ამას პირველ სემესტრზე ვერ ვიტყოდი, მაგრამ ახლა შემიძლია ვთქვა. მთავარია, შენ იყო სრულყოფილად ჩამოყალიბებული მუსიკოსი და თქვა: მე რაღაც შემიძლია. ჩემი პედაგოგი ყველაზე მეტად იმპროვიზაციის ნიჭით გამომარჩევს. მახსოვს, ერთხელ მასტერკლასზე ვიყავით: წამოდი, მოუსმინე, მეც იქ ვიქნებიო. „მანჰეტენ ტრანსფერის“ ერთ-ერთი წევრი იყო ჩამოსული და ის ატარებდა მასტერკლასს. იყვნენ სტუდენტები ჯაზის მიმართულებით. რამდენიმე მუსიკოსმა იმღერა, ჩემი მასწავლებელი უკმაყოფილო დარჩა ყველაფრით. ამის შემდეგ გაკვეთილი გვქონდა და კლასში ავედით, სადაც ერთ-ერთი პროფესორი მოვიდა. ჩემმა პედაგოგმა უთხრა: ხედავ, რა ხდებოდა მასტერ-კლასზე, რა იმღერეს სტუდენტებმა, ეს რა იყოო და მერე უცებ ამბობს: აი, ახლა მოგასმენინებ ჯაზს, მე და ვაჟა ჩაგიტარებთ მასტერ-კლასსო. ასეთი რაღაცეები ძალიან დიდ სტიმულს მაძლევს, თან, იქ ტყუილად არავინ არაფერს გეტყვის, ერთ ზედმეტ სიტყვასაც კი. საკუთარ თავზე არ მიყვარს საუბარი. უბრალოდ, ამას იმიტომ ვამბობ, რომ ეს მაძლევს იმის საშუალებას და უფლებას, ვთქვა: „ბერკლიში“ ბევრი რაღაცის გაკეთება შემიძლია.

**– მიუხედავად იმისა, რომ თითქმის მთელი წელი გაგიცდა, მაინც ცდილობდი, გაკვეთილებზე გევლო, შენთვის გემეცადინა და არ ამოვარდნილიყავი ფორმიდან.**

– იმიტომაც არ ჩამოვედი საქართველოში, ვცდილობდი, მემუშავა საკუთარ თავზე, ფორმიდან არ ამოვვარდნილიყავი. იქ სხვანირად ვარ ფორმაში. დილით რომ ვიღვიძებ, უკვე ვიცი, რა უნდა გავაკეთო. 10 საათზე სარეპეტიციო დარბაზში ვიკეტები და მთელი დღე იქ ვარ, ხან ვუსმენ, ხან ვფიქრობ, ვმღერი, ვმუშაობ. ეს ყველაფერი კი გზრდის. სად, როგორ ატმოსფეროში ხარ – ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. ამიტომაც გავიჭირვე და დავრჩი ამერიკაში. ბევრ მასტერკლასში მივიღე მონაწილეობა, ვიმღერე და კარგი რჩევებიც მივიღე. გარდა ამისა, გაზაფხულზე „ბერკლიში” ტარდება ჯაზის სერიები, რომელსაც ერთ-ერთი ძალიან ცნობილი მუსიკოსი ატარებს. იმისთვის, რომ მასში მონაწილეობა მიიღო, კონკურსი უნდა გაიარო, რომელშიც ძალიან ბევრი სტუდენტი მონაწილეობს. მე ამირჩიეს 8 სტუდნეტს შორის და მომეცა საშუალება, კონცერტზე გამოვსულიყავი – რაც ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. გარდა ამისა, რაც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის, ბობი მაკფერენი გავიცანი, თან, ჩემს დაბადების დღეზე. ნიუ-იორკში წავედით მეგობრები, მანჰეტენზე ვსეირნობდით და დავინახეთ აფიშა, სადაც ეწერა, რომ იმ დღეს ბობი მაკფერენს ჰქონდა კონცერტი. ყველამ იცის, როგორ მიყვარს. ბიჭებმა საჩუქარი გამიკეთეს და ბილეთი მიყიდეს. სანამ კონცერტი დაიწყებოდა, მანამდე დარბაზში ავედი, ბობი ჯერ არ იყო მოსული. დავრჩი და ვუსმენდი ინსტრუმენტალისტებს. შემდეგ გარეთ გამომიშვეს, უნდა მოვემზადოთ კონცერტისთვისო. გადავწყვიტე, უკანა შესასვლელიდან შევსულიყავი. იქ დაცვა დამხვდა რაციით, რომელიც არავის უშვებდა. ამ დროს ორმა გოგონამ გამოიარა, გაუშვა ისინი და მეც გავყევი. რომ მკითხა: სად მიდიხარო, ვუპასუხე: ამ გოგონებთან ვარ-მეთქი. ასეთი თამამიც არ ვარ, მაგრამ ისე მინდოდა ბობის ნახვა... ავედი დარბაზში, შემოვიდა ბობი, მოვუსმინე და მერე კულისებშიც გავყევი. მივესალმე, მომესალმა. გაკვირვებულმა მკითხა: აქ როგორ შემოხვედიო. ვუთხარი, საქართველოდან რომ ვიყავი, კარგად გაიხსენა. შემდეგ მკითხა: აქ რას აკეთებო. „ბერკლიში“ ვსწავლობ-მეთქი. მეც ვიყავი „ბერკლიში“ რამდენჯერმე, მასტერკლასებიც მქონდაო. მოკლედ, ჩვენ შორის სასიამოვნო დიალოგი შედგა.

**ნათია უტიაშვილი**

**კაკო ვაშალომიძის უმშვენიერესი ქალიშვილი – თამუნა, სულ ახლახან კოსოვოდან დაბრუნდა, სადაც სილამაზის საერთაშორისო კონკურს „მის თავისუფლება 2014-ში” მონაწილოეობდა. ამ კონკურსიდან ქართველი კონკურსანტი საპატიო, „მის პრესის” ტიტულით დაბრუნდა. როგორი იყო წლების წინ მისი ცხოვრება, რა მოუტანა თამუნას, დიზაინერ ირაკლი კახნიაშვილის გაცნობამ და „ირაკლეონის” მოდელობამ; ვინ არის ქართველი ლამაზმანის ყველაზე დიდი გულშემატკივარი და რა შეთავაზება მიიღო მან რუსული „ფლეიბოიდან.” ამას ჩვენი იტერვიუდან შეიტყობთ.**

# ვინ მოხატა და მორთო გულებითა და ამურებით კაკო ვაშალომიძის ქალიშვილის ავტომანქანა და რა შეთავაზება მიიღო მან რუსული „ფლეიბოისგან“

**– თამუნა, მიამბე იმ კონკურსზე, რომლიდან სულ ახლახან ჩამოხვედი.**

– ეს კონკურსი, რომლის სახელწოდებაცაა: „Miss Freedom of the World 2014” ჩატარდა კოსოვოში, ქალაქ პრიზრაში. ჩავფრინდი ფინალამდე 2 კვირით ადრე. 15 დღის განმავლობაში, თითქმის ყოველდღე გვქონდა გადაღებები, რეპეტიციები. არაჩვეულებრივი სიტუაცია იყო. ძალიან თბილი დამოკიდებულება იგრძნობოდა, როგორც ორგანიზატორების, ასევე კონკურსანტების მხრიდანაც. მე ამ სილამაზის საერთაშორისო კონკურსიდან „მის პრესის” ტიტულით დავბრუნდი საქართველოში.

**– სულ რამდენი ქვეყანა მონაწილეობდა კონკურსში?**

– კონკურსში 40 ქვეყანა მონაწილეობდა, მაგრამ ფინალში 23 დავრჩით. დანარჩენებმა „სხვადასხვა” მიზეზის გამო, დატოვეს პროექტი.

**– ამ 23 ფინალისტიდან, რეალურად რამდენი მიგაჩნდა კონკურენტად?**

– კონკურენტად მიმაჩნდა უნგრეთისა და იტალიის წარმომადგენლები. კარგი გოგონები იყვნენ. საერთოდ კონკურსანტებს შორის არ იგრძნობოდა არანაირი კონკურენცია. პირიქით, ერთმანეთთან დავმეგობრდით და დავახლოვდით. პირადად მე, ძალიან დავუმეგობრდი კანადელ, უნგრელ, ალბანელ და ყირგიზელ კონკურსანტებს. ხუმრობით, ჩვენს ხუთეულს მაფიას გვეძახდნენ *(იცინის).*

**– ლამაზმანთა მაფიის წევრები გახდით?**

– ეგრე გამოდის... ამ ხუმრობაზე ხუთივენი მაგრად ვხალისობდით.

**– თამუნა, რას ნიშნავს შენთვის ამ კონკურსზე „მის პრესის” ტიტულის მოპოვება?**

– რა თქმა უნდა, ძალიან დიდი სტიმულია ჩემთვის, რომ გავხდი პრესის რჩეული ამ მნიშვნელოვან საერთაშორისო სილამაზის კონკურსზე. როცა ჩაწერა გვქონდა ტელევიზიასა თუ ჟურნალ-გაზეთებში, ყველანაირად შევეცადე, საქართველო წარმომეჩინა. მინდოდა, დაენახათ, რომ საქართველოშიც ძალიან ლამაზი და ჭკვიანი გოგონები ვართ *(იცინის).*

**– გამოგივიდა კიდეც, რასაც კიდევ ერთხელ გილოცავ. რაიმე შემოთავაზება თუ გქონდა ამ კონკურსის შემდეგ?**

– კი, რამდენიმე კონკურსზე მიმიწვიეს... ასევე, მოწვევა მქონდა რუსული „ფლეიბოიდან”...

**– „ფლეიბოიო”... აბა, უფრო დაწვრილებით მომიყევი...**

– როდესაც „მის ბიკინი” ჩატარდა, ჟიურის ერთ-ერთი წევრი იყო რუსული „ფლეიბოის” მენეჯერი. კონკურსის დამთავრების შემდეგ, შემომომთავაზა, რომ მეთანამშრომლა მის ჟურნალთან.

**– რაო მერე, რა უპასუხე?**

– პასუხი მაშინვე არ გამიცია, ვუთხარი, – დრო მომეცი მოსაფიქრებლად-მეთქი. ახლო მომავალში ეს ადამიანი აპირებს საქართველოში ჩამოსვლას და ამჯერად უფრო დეტალურად განვიხილავთ ამ შემოთავაზების დეტალებს.

**– როგორც გავიგე, კოსოვოში მიმავალს, რაღაც ინციდენტი შეგმთხვევია...**

– ჰო, ჩემოდანი დამეკარგა... ახლა უკვე კურიოზად მახსენდება ჩემი ჩემოდნის ამბავი. *(იცინის).* იმ ჩემოდანში ელაგა მთელი ჩემი სამოსი და კოსმეტიკა. ამის გამო ყოველ საღამოს სილამაზის კონკურსის ორგანიზატორს შოპინგზე დავყავდი. ერთ დღესაც, როცა უკვე მოვრჩით შოპინგს და სასტუმროში უნდა დავბრუნებულიყავით, შემეშალა მანქანა, ზუსტად ანალოგიურ მანქანაში ჩავჯექი და მძღოლს ვეუბები: მე მოვრჩი წავედით-მეთქი. საჭესთან მჯდომმა ბიჭმა საწყალი და დაბნეული თვალებით შემომხედა *(იცინის).* ამ დროს, ჩვენი კონკურსის ორგანიზატორის ყვირილიც მომესმა: ჯორჯია, სად ხარო?

თითქმის ყოველ საღამოს, რეპეტიციების შემდეგ, კონკურსანტებს პატარა დისკო-საღამოები გვქონდა, რომლის დროსაც, რატომღაც სულ ყურადღების ცენტრში ვიყავი. ყურადღებას ყველგან ვგრძნობდი – თბილისის აეროპორტიდან დაწყებული, კოსოვოს აეროპორტით დამთავრებული.



ყოველთვის ვაკონტროლებ ჩემს პარამეტრებს

**– საერთოდ როგორ მოხვდი ამ კონკურსზე?**

– რამდენიმე თვის წინ ჩატარდა სილამაზის კონკურსი „მის ბიკინი”. მე ამ კონკურსში მივიღე მონაწილეობა. რამდენიმე თვეში ირაკლიმ, სააგენტო „ირაკლიონის” გენერალურმა დირექტორმა, შემომთავაზა კონკურსზე მონაწილეობა და მეც დავთანხმდი. საერთოდ, „ირაკლიონთან” ურთიერთობამ ჩემი ცხოვრება შეცვალა.

## წმიდა ანტონ მარტყოფელის სახელობის ტაძარში ვმსახურობდი გარკვეული დროის განმავლობაში

**– როგორი ბავშვი იყავი? როგორც ვიცი, გარკვეული ხნის განმავლობაში, ეკლესიაში მედავითნეც ყოფილხარ...**

– ძალიან ცელქი, მოუსვენარი ბავშვი ვიყავი. დიახ წმიდა ანტონ მარტყოფელის სახელობის ტაძარში ვმსახურობდი გარკვეული დროის განმავლობაში.

**– რეალურ ცხოვრებაში როგორია თამუნა?**

– რეალურ ცხოვრებაში, თამო არის გოგო, რომელსაც უყვარს ბობოქარი რიტმით ცხოვრება, ერთ ადგილას არ ჩერდება. ვსწავლობ ფსიქოლოგიურზე... წელს ვამთავრებ და ამავე დროს, ვმუშაობ ტურისტულ ფირმაში „ბი-ემ თრეველში,” ვარ გენერალური მენეჯერი.

**– ტურისტულ ფირმაში თუ მუშაობ, მოგზაურობა გეყვარება...**

– კი, სიგიჟემდე მიყვარს მოგზაურობა. მიყვარს ჩეხეთი და მისი დედაქალაქი. პრაღამ და ფაველის მოედანმა წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. ძალიან უშუალო და თბილი ხალხია ჩეხები. არ ვარ ნამყოფი პარიზში და ამ წელს ვაპირებ წასვლას.

**– სამოდელო სფეროში როგორ მოხვდი?**

– ქასთინგით მოვხვდი „იმიჯ-ცენტრში.” იქ სწავლის პერიოდში რამდენიმე ჩვენებაში მივიღე მონაწილეობა. მერე დიზაინერმა ირაკლი კახნიაშვილმა შემომთავაზა „მის ბიკინში” მონაწილეობა. ასე მოვხვდი კომპანია „ირაკლიონთან,” რის შემდეგაც იყო „მის თავისუფლება 2014” და ჩემი საამაყო ტიტული ამ კომკურსზე – „მის პრესა.”

**– მუსიკასთან როგორი დამოკიდებულება გაქვს? როგორც ვიცი, ცნობილი გიტარისტის, კაკო ვაშალომიძის ქალიშვილი ხარ...**

– დიახ და ვამაყობ, მისი შვილი რომ ვარ... რაც შეეხება ოჯახის დამოკიდებულებას ჩემს საქმიანობასთან, პატივს სცემენ და ძალიან გაგებით ეკიდებიან. მყავს პატარა ძამიკო, რომელიც ჩემი ყველაზე დიდი გულშემატკივარია და ბებო – ეს ადამიანები არიან ჩემი სტიმული... პატარაობისას მქონდა გაატაცება, დავიწყე ბას-გიტარაზე სწავლა, მინდოდა როკ-ჯგუფის გაკეთება. მიყვარს „ბითლზები”, „დიპ-ფარფლი,” ერიკ კლაპტონი, ჯო კოკერი... ეს ის მუსიკაა, რითაც მე განვიტვირთები.

**– როგორია შენი პარამეტრები?**

– ჩემი პარამეტრებია – 92X62X90.

**– როგორ ახერხებ ასეთ კარგ ფორმაში ყოფნას, ასეთი აქტიური ცხოვრების პარალელურად?**

– ვვარჯიშობ თითქმის ყოველდღე „ასპრიაში,” ვიკვებები სწორად „ფითკაფით.” ყოველთვის ვაკონტროლებ ჩემს პარამატრებს.

**– ასეთი გარეგნობის და ჭკვიან გოგოს ბევრი თაყვანისმცემელი გეყოლება...**

– საკმაოდ ... არ დაგიმალავთ *(იცინის).*

**– რა სიგიჟეებს სჩადიან თაყვანიმცემლები შენი გულის მოსაგებად?**

– ამ ბოლო ხანს რაც მოხდა, იმას მოგიყვებით. თეთრი ფერის ავტომანქანა მყავს. ერთ დილას, სამსახურში რომ მივდიოდი, მანქანა დამხვდა მთლიანად მარკერით მოხატული – გულებითა და წარწერებით აჭრელებული, ბუშტებით მორთული. მეზობლები გაგიჟებულები იყურებოდნენ *(იცინის).*

ასევე, თბილისში რომ ჩამოვფრინდი კონკურსის შემდეგ, კართან დამხვდა ვარდების თაიგული, დიდი დათუნია და მოსალოცი ბარათი. ეჭვი მაქვს, ეს ის პიროვნებაა, ვინც მანქანა გამილამაზა *(იცინის).*

**– უახლოესი გეგმებიც გამაცანი.**

– იწყება ახალი პროექტი „ტოპ-გოგო” და მონაწილეობის მისაღებად მიმიწვიეს. ასევე, რამდენიმე თვეში უცხოეთში მივდივარ კიდევ ერთ სილამაზის კონკურსზე. არის კიდევ, რამდენიმე საინტერესო შემოთავაზება, რასაც თქვენც მალე გაიგებთ.

**ეკა ალბრეხტი**

**მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორია დავით კლდიაშვილის შემოქმედებიდან იღებს სათავეს. ამ დიდი მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ ბევრი რამ იცის მკითხველმა. და მაინც, გავიხსენოთ რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტი მისი რთული და საინტერესო ბიოგრაფიიდან. თუნდაც – როგორ შეძლო მან, მშობლიურ ენას მოწყვეტილმა და რუსულად განათლებულმა, გამხდარიყო ქართული სიტყვის დიდოსტატი. ჩვენი რესპონდენტია რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის ქართული ისტორიისა და თანამედროვე ლიტერატურის განყოფილების უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი ზოია ცხადაია.**

# რატომ დაწერა თავისი პირველი მოთხრობა რუსულად დავით კლდიაშვილმა და რატომ სჭირდებოდა მას თარჯიმანი დედასთან

**ზოია ცხადაია**: პროფესიით სამხედრო პირი, სიყრმიდანვე სამხედრო ხელოვნებას ნაზიარები დავით კლდიაშვილი, მოწოდებით მაინც მწერალი იყო, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია ქართული მწერლობა. „მხოლოდ სინამდვილე, სინამდვილე, რომელსაც გადაუხრელად ვემსახურებოდი მთელი ჩემი მწერლობის განმავლობაში," – წერს ის თავის მოგონებაში და ამას მიიჩნევს წარმატების საფუძვლად. ამ „სინამდვილეს" კი არაორდინარული სადინარი მისცა მწერლის სიტყვამ. მართალია, მან განათლება რუსული მიიღო, მაგრამ ვინც მის მოგონებებს გაეცნობა, დარწმუნდება, რომ შინაგანად არასოდეს მოწყვეტია საკუთარ ფესვებს. ამიტომაც იყო, რომ მოსკოვის სამხედრო სასწავლებლის კურსდამთავრებულმა თავისი „ჩიქორთული" – ასე უწოდებდა თავის ქართულს – მალე ბრწყინვალე ქართულად აქცია.

დავითის მამა, სოლომონი, ღარიბი აზნაურის ოჯახიდან იყო, დედა კი, კესარია – შეძლებული აზნაურის ქალიშვილი. ამ ქორწინებასაც თავისი საინტერესო ისტორია აქვს. თავმომწონე, მდიდარი აზნაური ღარიბს ნაკლებად გაატანდა ქალიშვილს, თანაც ერთადერთს, მაგრამ ეს სიმონ კლდიაშვილს დაუმსახურებია. მრავალრიცხოვან ოჯახში ის ნაბოლარა იყო. ბაბუამ მაინც მოახერხა და დაათხოვა ყველა ქალიშვილი – დარისპანის გასაჭირს გვახსენებს მწერალი ამ ნახევრად იუმორით ნათქვამში – და ორ ვაჟს ცოტაოდენი განათლებაც მიაღებინაო ქუთაისში. სიკვდილის წინ მამას მცირეწლოვანი სიმონი „გულითად მომვლელ-მზრუნველისთვის", დათიკა გიორგაძისა და მისი ცოლისთვის ჩაუბარებია. მათაც გაამართლეს მოხუცებულის იმედები და ნამდვილი დედმამობა გაუწიეს ბოლომდე სიმონს. ქუთაისში ორკლასიანი სასწავლებელიც დაამთავრებინეს, სამსახურის შოვნაშიც დაეხმარნენ, მატერიალურადაც დიდად შეუწყვეს ხელი. ღირსეული ახალგაზრდა გაზარდეს და ოჯახიც ღირსეული შექმნა. მამობილი მერეც თვალ-ყურს ადევნებდა, დღე ისე არ გაივლიდა, რომ თვალი არ შეევლო შვილობილის ოჯახისათვის.



**– იმ დროს პირველ განათლებას შინ იღებდნენ. რა როლი შეასრულა ოჯახმა ამ მხრივ?**

– დედამ ასწავლა წერა-კითხვა, მაგრამ მალე რუსულის სწავლა გადაუწყვიტეს. მიაბარეს ეროვნებით რუსს, ივანოვს და მის ცოლს, გარუსებულ ლეკის ქალს, ვარვარა ნაუმოვნას. პირველად გაჭირვებით, მაგრამ მალე შეიჩვიეს თურმე და სახლიც კი დამავიწყესო, – იხსენებს მწერალი.

მერე იყო ეგრეთ წოდებული მრელოვის სკოლა და რუსეთში გამოცდებზე წასასვლელად მომზადება. მთავრობას მიჰყავდა უფასოდ თბილისისა და ქუთაისის გუბერნიიდან თავად-აზნაურთა ორმოც-ორმოცი ბავშვი სამხედრო სასწავლებელში. საინტერესოა, რა შეფასებას აძლევს ჩვენი მწერალი თავის მოგონებებში ამას: „მიჰყავდათ ისინი იმ მიზნით, რომ გაერუსებინათ და კიდეც მიზანს აღწევდნენ. იქ, სამშობლოს მოწყვეტილი ბავშვები ივიწყებდნენ ქართულ ენას, ზნეს. ბრუნდებოდნენ ქართული გვარით, მაგრამ ერთიანად, თავიდან ფეხებამდე გარუსებულნი. თავადაზნაურობაც დიდი სიხარულით ატანდა ბავშვებს მთავრობას, რადგან ის ზრდიდა თავის ხარჯზე".

1872 წელს, 10 წლისა კიევის სამხედრო სასწავლებელში გაგზავნეს, სადაც სწავლა იყო შვიდკლასიანი. იქ ყოფნისას მწერალი განსაკუთრებით იხსენებს რამდენიმე აღმზრდელს: მიხაილ სტეპანოვიჩს, მამასავით გვქცეოდაო და მეორე – კურპატოვი კი „ტატარჩუკებს" გვეძახდა. ამაზე ძალიან მწარდებოდნენ ყმაწვილები. დაიწყეს საქართველოს ისტორიის მოძიება, რომ ქართველები უძველესი ქრისტიანული ერია. ვერაფერი ვიპოვეთ, მაგრამ ვუჩივლეთ კურპატოვს და მოგვაშორესო. მეხუთე კლასში ყოფილა, როცა ერთ-ერთ მასწავლებელს საქართველოს ისტორიის წიგნი მიუცია და იქიდან შეუდგენია საქართველოს მოკლე ისტორია. ახალგაზრდები წუხდნენ იმას, რომ ქართული ავიწყდებოდათ. ამიტომ თავს იყრიდნენ, ყვებოდნენ ზღაპრებს, ვარჯიშობდნენ კითხვაში. მაგრამ მაინც, თითქმის ავიწყდებოდათ ქართული ენა...

**– პირობებს მაინც შეეგუვნენ, ალბათ...**

– ვერ ვიტყვით, რომ ადვილად შეეგუვნენ. წლის ბოლოს გავნახევრდით, ზოგი სხვაგან გადაიყვანეს, ზოგი დასნეულდა, ზოგიც გარდაიცვალაო, – იხსენებს კლდიაშვილი. ასე რომ, დიდი რისკის ფასად უჯდებოდათ ეს მათ მშობლებს და რისთვის?!... დავით კლდიაშვილი ისედაც დიდი მწერალი იქნებოდა ქუთაისში მიღებული განათლებითაც. მას ბედმა გაუღიმა და დაბრუნდა საქართველოში. სხვები კი...

**– 7 წლის განმავლობაში სამშობლოში არ დაბრუნებულა?**

– პირველად 3 წლის შემდეგ დაბრუნდა. 2 კვირა ქუთაისში დარჩა. იქიდან თარჯიმნად თავისი თანატოლი ბაიმაშვილი წაიყვანა, რადგან დედამ რუსული არ იცოდა, შვილმა – ქართული. დედა ჯავრისგან დაავადებული დახვდა, აცნობდა ბებიას, ახლობლებს. ერთმა იოხუნჯა: ბავშვს დასამუნჯებლად ბარემ აქვე დავამწყვდევდი ოთახში, რაღა რუსეთში აგზავნიდითო... ეს იყო გაზაფხულზე... ზაფხულში უკვე გვარიანად გავიხსენე ქართულიო, – იგონებს მწერალი. უკან დაბრუნებულმა თან წაიღო პატარ-პატარა წიგნები. შემდეგ ყოველ საზაფხულო არდადეგებზე ბრუნდებოდა სახლში და ახერხებდა ქართულად ლაპარაკს.

1880 წლიდან მოსკოვის სამხედრო სასწავლებელში სწავლობდა კლდიაშვილი, რომელიც 2 წელში დაასრულა.

**„არა, მე არ გავრუსდები," თქვა კლდიაშვილმა, რასაც აკაკიმ მოაყოლა: „ვნახოთ... ვნახოთ..."**

**– შემდეგ იწყება ახალი ცხოვრება, სამხედრო სამსახური...**

– ბათუმში რომ ჩამოვიდა, ჟურულების ოჯახში მიიყვანეს. დიასახლისმა დედობრივად დაარიგა, ქართული კარგად ისწავლეო.

**– მწერლობაში როდის ჰქონდა პირველი მცდელობა?**

– მეორე კლასში დაუწერია პირველი მოთხრობა რუსულად, რომელსაც ვერც იხსენებდა.

**– მართლა რუსულად წერდა და შემდეგ ითარგმნებოდა მისი ნაწარმოებები?**

– არა, პირველი მოთხრობის მერე, რომელიც საერთოდ დაავიწყდა, რუსულად მხატვრული ნაწარმოებები არ დაუწერია.

მოსკოვში ყოფნისას თარგმნა ნ. ლომოურის მოთხრობა „ალი", პირველი თარგმანები დაიბეჭდა 1885 წელს ჟურნალ „თეატრში". საინტერესოა ერთი ისტორიაც: ერთხელ გრიგოლ ვოლსკიმ, მე და ალექსანდრე აბაზაძეს გვითხრა: შაბათობით ერთმანეთს რამე საკუთარი წავუკითხოთო. დავითმაც წაიკითხა თავისი მოთხრობა. ვოლსკის უთქვამს: დავით, შენ კორესპონდენციას წერ თუ მოთხრობებსო. 2 წელი არაფერი დამიწერია. მერე კი „მსხვერპლი" და „შერისხვა" გამოვიდა ამ „უშნო კორესპონდენციისგანო". „მოამბის" რედაქციამ მადლობაც შემოუთვალა. წაქეზებამ „სოლომანიც" დამაწერინაო.

ბათუმში დავითმა სამსახური დაიწყო სამხედრო ნაწილში, იქ გაატარა ცხოვრების დიდი მონაკვეთი. მოწოდებით მწერალსა და ჰუმანისტს მეფის არმიაში უნდა ემსახურა იძულებით, მაგრამ რამდენადაც სამხედრო სამსახური აძლევდა საშუალებას, ის მფარველობდა მოსახლეობას. როცა 1902 წლის 9 მარტს ბათუმის მუშათა გაფიცვისას, კაპიტანს დავით კლდიაშვილმა არათუ გაუყვანა თავისი რაზმი დემონსტრანტების წინააღმდეგ, არამედ ყოველნაირად შეეცადა, ხელი შეეშალა სისხლისღვრისთვის. თავშესაფარს აძლევდა დასჯისთვის განწირულებს.

**– დუელის ისტორიაც ბათუმს უკავშირდება ხომ?**

– ბათუმში გამოდიოდა ანტიქართული გაზეთი, რომლის რედაქტორიც გახლდათ პალმი. მან დაწერა ქართველთა ეროვნული ღირსების შემლახავი სტატია, რომელიც გაბრიელ ეპისკოპოსის დაკრძალვის ცერემონიალს ეხებოდა. ამის გამო კლდიაშვილმა დუელში გამოიწვია პალმი. თუმცა, საქმე დუელამდე არ მივიდა. როდესაც პალმმა გაიგო, რომ კლდიაშვილი კარგი მსროლელი იყო, საბოდიშო წერილის გამოქვეყნების პირობა დადო.

**– სიყვარული როდის ეწვია, რა არის ცნობილი დავით კლდიაშვილის ოჯახის შესახებ?**

– კლდიაშვილის სიყვარულის ისტორიაც ბათუმს უკავშირდება. 1892 წელს მან გაიცნო აზნაურ პავლე მაჭავარიანის ასული მარიამი, რომელიც სიზმარში ენახა თურმე. პავლე მაჭავარიანის ოჯახთან სიახლოვემ ბიძგი მისცა მის შემოქმედებას. ამ დიდმა, მრავალფეროვანმა გარემომ შექმნა მისი პერსონაჟების სამყაროც.

**– დაბოლოს... კლდიაშვილის აკაკისთან ურთიერთობიდან რას გაიხსენებთ?**

– აკაკი პირველად 1880 წელს თბილისში გაიცნო, როცა არდადეგებიდან კიევში ბრუნდებოდა, იქიდან მოსკოვს გასამგზავრებლად. აკაკის მის მეგობართან, ანდრია კაპანაძესთან შეხვდა. მანამდე დავითი აკაკის ლექსებს უკვე იცნობდა. გაესაუბრა თურმე პოეტი. ჰკითხა, სად მიდიხარო. რომ გაიგო, კიევიდან მოსკოვში გადადიოდა სამხედრო სასწავლებელში, აკაკის მხიარული სიცილით უთქვამს: სასწავლებლად თუ გარუსების დასამთავრებლადო?.. „არა, მე არ გავრუსდები," – თქვა კლდიაშვილმა, რასაც აკაკიმ მოაყოლა: „ვნახოთ... ვნახოთ..."

ასე რომ, არათუ გარუსებას გაართვა თავი დავით კლდიაშვილმა, არამედ, როგორც თქვენ აღნიშნეთ, ქართული სიტყვის დიდოსტატიც გახდა. აკაკი მოესწრო მის წარმატებას. გარდაიცვალა 1931 წელს, სოფელ სიმონეთში, დაკრძალულია მთაწმინდაზე.

**ეკა სალაღაია**

# რატომ აღარ იმართება საქართველოში დოლი და რატომ ვერ გაემგზავრა ქართველი გამარჯვებული თასის ფინალზე

(მე-13 გვერდიდან)

ოლება. ეს მომსახურება კლიენტს თვეში 500 ლარი დაუჯდება დღგ-ს ჩათვლით.

გაქირავება კი ჩვენი მოღვაწეობის მეორე სფეროა. ჩვენთან არსებობს სპორტული სკოლა, სადაც მოსვლა და ჯირითის სწავლა შეუძლია ნებისმიერ მსურველს ასაკის შეუზღუდავად.

ცხენი მაინც ცხოველია და ბოლომდე დაზღვეულები არ ვართ. ამიტომ, დასაწყისისთვის სწავლება მაქსიმალური ზედამხედველობის ქვეშ მიმდინარეობს. ყველას ემსახურება ინდივიდუალური პედაგოგი. ამიტომ, ღირებულება დასაწყისისთვის შედარებით მაღალია. შემდეგ, როცა მოსწავლე თანდათან დამოუკიდებელი ხდება და ნაკლებ დახმარებას საჭიროებს, ფასიც იკლებს.

ცხენის მხედართან ერთად დაქირავება 1 საათით იპოდრომის ტერიტორიაზე, 60 ლარი ღირს; იპოდრომის გარეთ – 80 ლარი; საწვავით და ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა თბილისის ტერიტორიაზე, ასევე, მხედართან ერთად – 150 ლარი. თუ ფოტოსესია გნებავთ, ეს 45 ლარი დაგიჯდებათ 1 საათის ხანგრძლივობით.

არის კიდევ ერთსაათიანი ტურები ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე. აქ თითო კაცის ღირებულება 80 ლარს შეადგენს. ტურისთვის დგება 5-7-კაციანი ჯგუფი. მათ მომსახურებას უწევენ იპოდრომის ინსტრუქტორ-მეთოდისტები.

**– ყიდვა რა თანხებთან არის დაკავშირებული?**

– ცხენის გაყიდვა არ არის ჩვენი სფერო. ამას თავისუფალი ბაზარი არეგულირებს. ძირითადად, კერძო მეწარმეები ერთმანეთისგან ყიდულობენ ან უცხოეთიდან ჩამოჰყავთ. ჩვენ მხოლოდ იმ შემთხვევაში ვყიდით, თუ კონკრეტული ფუნქციისთვის ველარ ვიყენებთ.

ყოფილა შემთხვევა, როცა საჭიროების დროს, სხვა სკოლებისთვის საჩუქრად გადაგვიცია, ან მათ ტენდერი გამოუცხადებიათ, რომელშიც მივიღეთ მონაწილეობა და ამ გზით გავყიდეთ ცხენი.

ზოგადად, ცხენის ფასი დაახლოებით სათქმელი თანხა არ არის. მაგალითად, ცხენის ფასი, რომელიც ოლიმპიადაზე გამოდის – 500 000 დოლარიდან იწყება; დუბაის შეიხის ცხენების ფასი კი – სადღაც მილიონი დოლარიდან.

საქართველოში მისი ღირებულება ამხელა თანხებთან არ არის დაკავშირებული, თუმცა საკმაოდ ძვირია, 2 000 დოლარიდან – ზევით. 15-20 ათას დოლარს არ სცდება. მაგრამ, ცალკე თემაა სპორტული ცხენები. მათი ღირებულება მეტია. ასეთები ჩვენთან ცოტაა. ფასი კი 20-დან 40 ათას დოლარამდე მერყეობს.

**– ხშირად ყიდულობენ ჩვენთან ცხენს?**

– ცხენები ძალიან სპეციფიკური საკუთრების ფორმაა. უპირველესად, ის უნდა გიყვარდეს. შემდეგ, უნდა გქონდეს მისი შენახვის შესაძლებლობა და დრო, მოვლისა და მასთან ურთიერთობის სიამოვნებისთვის.



**– თუ არიან ცხენების მოყვარულები, რამდენიმე ცხენი რომ ჰყავთ?**

– კი. არის რამდენიმე კერძო პირი. არა მგონია, ამაში რაიმე საიდუმლო იყოს, თუმცა მათ ვინაობას მაინც ვერ გაგიმხელთ. მათ ჩემთვის ამის უფლება არ მოუციათ.

**– რაც შეეხება დოღს, ხშირად იმართება?**

– წეღანაც აღვნიშნე, დოღი სპორტის სახეობა არ არის. ეს არის ცხენის შესაძლებლობების გამოცდის საშუალება მსოფლიოში – სანახაობრივ-კომერციული ნაწილი, კლუბებსა და ცხენების მეპატრონეებს შორის შეჯიბრება. სამწუხაროდ, საქართველოში დოღი ველარ იმართება. წელიწადში დოღის ერთი სეზონი რომ ჩატარდეს, მინიმუმ 200-300 სადოღე ცხენი უნდა გყავდეს. ანუ, ამდენ ფიზიკურ პირს უნდა ჰქონდეს, მინიმუმ, ერთი ცხენის შენახვის, დოღისთვის მომზადების, ჟოკეისთვის ანაზღაურების მიცემის შესაძლებლობა. ამიტომაც, ჩვენთან პროფესიონალური დოღი აღარ იმართება. თუმცა, იმართება მოყვარულის დონეზე ბახმაროში, კახეთში, ფშავში.

**შალვა გაჩეჩილაძე** *(სპორტსმენი, იპოდრომის ნაკრების კაპიტანი).*

**– ბატონო შალვა, გავიგეთ, რომ პროფესიონალური დოღი, სამწუხაროდ, ჩვენთან აღარ იმართება, საინტერესოა, სპორტული შეჯიბრებები თუ ტარდება?**

– სამწუხაროდ, სპორტული შეჯიბრებებიც აღარ ტარდება ისეთი ინტენსივობით, რადგან დაფინანსების ნაკლებობას განვიცდით. მაგრამ, ასე თუ ისე, წელიწადში ერთი შეჯიბრების ჩატარებას ვახერხებთ სპონსორების დახმარებით. ესაა მსოფლიო თასის ეტაპი.

**– როგორი პოზიციები გვაქვს რეგიონში?**

– საკმაოდ ნორმალური ჩვენი ფონდის გათვალისწინებით. ყველაფრის მიუხედავად, ორჯერ ზედიზედ – 2012, 2013 წლებში ავიღე მსოფლიო თასის ფინალის საგზური. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, ამისთვის ემზადები მთელი წელი, იგებ შეჯიბრებებს, აგროვებ ქულებს და შესაბამისად, ვისაც ყველაზე მაღალი ქულა აქვს, ის მიემგზავრება ფინალზე. მე ორჯერ მოვიპოვე საგზური, თუმცა ფინანსების არქონის გამო, ვერცერთხელ ვერ გავემგზავრე.

**– რაიმე სახალისო ამბავს ხომ ვერ გაიხსენებთ, რომელიც ამ სფეროში თქვენს მოღვაწეობას უკავშირდება?**

– ერთი ჩვევა მაქვს, ცხენიდან ჩამოვარდნას ვითვლი. 31-ჯერ ვარ უკვე ჩამოვარდნილი, თუმცა არც ერთხელ არაფერი დამშავებია, ღვთის წყალობით. ეს მთლად სახალისოც არაა, თუმცა გეტყვით, როცა შეჯიბრება ტარდება, დალაგებულია ბარიერები, რომელთა გადალახვაც ძალიან მნიშვნელოვანია. იყო შემთხვევა, როცა ვიგებდი ეს მარშრუტი დამვიწყებია და სხვა ბარიერზე გადავმხტარვარ, რის გამოც შეჯიბრებიდან მოვუხსნივარ კიდეც.

**ქეთი კაპანაძე**

## ახალი ფილმი ილიას მკვლელობის შესახებ

კინოთეატრ „ამირანში“ გაიმართა პრემიერა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გადაღებული ფილმისა – „ვინ მოკლა ილია.“ შსს-ს არქივში დაცული სისხლის სამართლის საქმისა და მნიშვნელოვანი დოკუმენტების მიხედვით, ფილმზე მუშაობა, პრემიერ-მინისტრ, ირაკლი ღარიბაშვილის გადაწყვეტილებით, 2013 წელს დაიწყო. მოქმედება დროის სამ მონაკვეთში ხდება: ილიას მკვლელობის დღეს, ბოლშევიკურ ეპოქაში, როდესაც მკვლელობაში მონაწილე პირები გაასამართლეს და თანამედროვე ეპოქაში, როცა მომხდარის დეტალების აღდგენა თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით მიმდინარეობს.

საზოგადოება ამ ფილმით ილიას მკვლელობის სრულიად ახალი ვერსიის ეკრანიზაციას გაეცნობა. ექსპერტების დახმარებით გაკეთდა მკვლელობის სრული რეკონსტრუქცია. შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, მკვლევრებთან ერთად, ილიას მკვლელობის სრულიად ახალი და აქამდე უცნობი დეტალები აღმოაჩინეს. ჩატარდა ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ფაქტზე სისხლის სამართლის საქმის ხელახალი შესწავლა, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივშია დაცული და 11 ტომს მოიცავს.



შსს-ს საექსპერტო-კრიმინალისტიკურ მთავარ სამმართველოში ჩატარდა ჰაბიტოსკოპიური ექსპერტიზა, ხოლო ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ ილია ჭავჭავაძის გაკვეთაში მონაწილე ექიმის დასკვნის ხელახალი ექსპერტიზა მოახდინა.

მხატვრულ-დოკუმენტურ ფილმში ილია ჭავჭავაძის როლი შესანიშნავად შეასრულა მსახიობმა კოტე თოლორდავამ, ხოლო მწერლის მეუღლე, ოლღა – ნანუკა ხუსკივაძემ განასახიერა.

ფილმში მონაწილეობენ: გოგი ქავთარაძე, გივი ბერიკაშვილი, პაატა მხეიძე, ირაკლი ჩოლოყაშვილი, ზაზა იაქაშვილი...

ახლო მომავალში ფილმის ჩვენება სატელევიზიო ეთერში და, ასევე, რეგიონების კინოთეატრებში იგეგმება.

ფილმის რეჟისორი და სცენარის ავტორია მიხეილ ბერინაშვილი, მუსიკალური გაფორმება კი ნიაზ დიასამიძეს ეკუთვნის.

**ალმოსავლურ ცეკვებს არა მხოლოდ სასიამოვნო შეგრძნებების აღძვრა შეუძლია ადამიანებში, ჯერ კიდევ საუკუნეების წინ, მათი განსაკუთრებული სამკურნალო მნიშვნელობაც იცოდნენ. ნინო ლეჟავა, გარდა იმისა, რომ საქართველოსა და ევროპის ორგზის ოლიმპიური ჩემპიონია აღმოსავლურ ცეკვებში, დიდ ივენთებზე მუშაობს და თბილისში მასშტაბურ, განსხვავებულ შოუ-პროგრამებს აკეთებს, ის აღმოსავლური ცეკვების ერთ-ერთი საუკეთესო ქართველი წარმომადგენელია. ნინოს ცხოვრებაში სასიამოვნო სიახლეა – იგი უცნობთან ერთად 3D მიუზიკლზე – „ტაიაზე“ მუშაობს, რომელშიც მას ერთ-ერთი მთავარი და საინტერესო როლი აქვს.**

# როგორ ცვლის აღმოსავლური ცეკვები ძვირად ღირებულ ვიბრომასაჟორებს და როგორ აუმჯობესებს ის ქალის ინტიმურ ურთიერთობას საპირისპირო სქესთან

**ნინო ლეჟავა**: აღმოსავლური ცეკვა მეათე საუკუნიდან იღებს სათავეს. მას ძალიან ბევრი სამკურნალო თვისება გააჩნია, ამიტომაც, თავიდან მას სამედიცინო დატვირთვა ჰქონდა. ადამიანების დიდი ნაწილი დარწმუნებულია, რომ ბევრი დაავადების განკურნება მხოლოდ წამლების დახმარებით ან ქირურგიული ჩარევით ხდება. ძველ აღმოსავლეთში ასე არ ფიქრობდნენ. ის მოძრაობები, რომლებსაც აღმოსავლური ცეკვის დროს ვასრულებთ, აჯანსაღებს ქალის ორგანიზმს, აგვარებს ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ იმ პრობლემებს, რომლებიც თითქმის ყველა ქალს აქვს, მაგალითად, მენსტრუალურ ტკივილს. რა თქმა უნდა, შედეგი პირველივე დღეს არ მიიღწევა, თუმცა, რამდენიმეთვიანი რეგულარული ვარჯიშის შემდეგ ქალები საბოლოოდ ივიწყებენ მენსტრუარულ ტკივილს. გარდა ამისა, აღმოსავლური ცეკვის შესრულების დროს ძლიერდება სისხლის ცირკულაცია, რაც ორგანიზმიდან წიდების გამოდევნას უწყობს ხელს; ასევე, ხდება მიომებისა და კისტოზური წარმონაქმნების გაწოვა, რომლებიც დღეს ერთ-ერთი საკმაოდ გავრცელებული დაავადებებია. აღმოსავლური ცეკვები, ასევე, ამაგრებს ხერხემალსა და კუნთებს, რაც ადამიანს ხერხემლის ტკივილთან დაკავშირებულ პრობლემებს უგვარებს. უმჯობესდება სახის კანის ფერი, სტრუქტურა, რადგან, ცეკვის დროს ჩართულია ნაწლავური სისტემა და, შესაბამისად, აუმჯობესებს საჭმლის მომნელებელი სისტემის მდგომარეობას. აღმოსავლური ცეკვის დროს აქტიურად არის ჩართული მენჯის ღრუს შიდა კუნთები, რომლებსაც დიდი როლი აკისრიათ გინეკოლოგიური დაავადებების სამკურნალოდ და, ასევე, მშობიარობის პროცესში. თუ ეს კუნთები საკმარისად არის განვითარებული, მშობიარობაც ადვილი და ნაკლებად მტკივნეულია, ორსულობა კი პრობლემების გარეშე მიმდინარეობს ყველა თვეში. როგორც უკვე აღვნიშნე, აღმოსავლური ცეკვები ამაგრებს ზურგის კუნთებს, ხერხემალს, რაც ერთ-ერთი აუცილებელია ორსულობის პერიოდში, რადგან, ამ დროს საკმაოდ დიდი დატვირთვა სწორედ ხერხემალზე მოდის. გარდა ამისა, როგორი გასაოცარიც არ უნდა იყოს, აღმოსავლური ცეკვები გამორიცხავს ისეთი ფართოდ გავრცელებული დაავადების წარმოქმნას, როგორიც არის ვენების ვარიკოზული გაგანიერება. ამ ცეკვებში არსებული უამრავი მოძრაობიდან ერთ-ერთი არის Shimmy, რომელიც ნებისმიერ ძვირად ღირებულ ვიბრომასაჟორსაც ცვლის. ეს არის თეძოს ვარჯიში, რომელიც სახლში ყოველდღე შეუძლიათ აკეთონ ქალებმა, თუნდაც სარკის წინ და გასაოცარ შედეგს მიიღებენ. ამიტომაც, ქალების უმრავლესობა, რომლებიც აღმოსავლურ ცეკვებში აქტიურად ვარჯიშობენ 5-6 თვის განმავლობაში, საგრძნობლად იცვლიან სხეულის ფორმებს, მკვრივდება კანი, მკერდი, მუცელი ლამაზ ფორმებს იღებს და, რაც მთავარია, ქრება ყველაზე ვერაგი პრობლემა – ცელულიტი. ამ ცეკვას მიმართავენ ისინიც, ვისაც წონის პრობლემა აქვს ან მშობიარობის შემდეგ სურთ, დაიბრუნონ სხეულის ლამაზი ფორმები, გაიმკვრივონ კანი და მკერდი და მუცელი ლამაზი ფორმის გაუხდეთ. ასე რომ, აღმოსავლური ცეკვების შესრულებისას, ქალებს შეუძლიათ, კორექტირება გაუკეთონ საკუთარ სხეულს, რადგან, ის სასარგებლოა არა მხოლოდ ახალგაზრდა, არამედ, ასაკოვანი ქალბატონებისთვისაც. აღმოსავლურ ცეკვებს კიდევ ერთი დანიშნულება აქვს – ის ეხმარება და უკეთესს ხდის ქალის ინტიმურ, სექსუალურ ურთიერთობას საპირისპირო სქესთან. გარდა ამისა, სხვა ადამიანებთან ურთიერთობისას ქალი უფრო ნაზი და თბილი ხდება; მასში ჩდება ქალურობის ის მარცვალი, „იზიუმინკა“, რომელიც ასე ხიბლავს საპირისპირო სქესის წარმომადგენლებს.



**რობერტ სტურუაც დაესწრო ჩვენს რეპეტიციას, ჩემი ცეკვით აღფრთოვანდა, შუბლზე მაკოცა და მითხრა: მაგარი გოგო ხარ, მაგრად ცეკვავო – ეს ჩემთვის სრული შოკი იყო. ჩემთან ერთად მონაწილეობენ გია გაჩეჩილაძე – უცნობი, ნატო მეტონიძე...**

**– შეიძლება ითქვას, რომ აღმოსავლურ ცეკვებს უნიკალური თვისებები გააჩნია. როდესაც მის შესწავლას იწყებდი, ალბათ, ამ ყველაფრის შესახებ არაფერი იცოდი.**

– თავიდან იმიტომ დავიწყე ამ ცეკვების შესწავლა, რომ, მომწონდა მისი ვიზუალური მხარე, ქორეოგრაფია. მერე და მერე გავარკვიე, რომ ეს აღმოსავლური ცეკვები ძალიან სასარგებლო ყოფილა ქალის ჯანმრთელობისთვის: უპირველეს ყოვლისა, გამიუმჯობესდა სულიერი მხარე – უფრო მშვიდი, თავდაჯერებული და ქალური, გაწონასწორებული გავხდი. სხეულის დახვეწასთან ერთად, ასევე, იხვეწება შენი ურთიერთობა ადამიანებთან, განსაკუთრებით კი – საპირისპირო სქესთან; ქალს კიდევ უფრო მიმზიდველსა და სასურველს ხდის; ბევრად უფრო ელასტიკური ხარ ურთიერთობაში და ეს ბევრ პრობლემას ხსნის. ვარჯიშის მერე სხვანაირი თვალით უყურებ სამყაროს და უფრო პოზიტიური ხდები, რადგან, ცეკვის ვარჯიშების გარდა, ნახევარ საათს ყოველთვის ვუთმობ იოგას ვარჯიშებს. ეს ვარჯიშები კარგია, ორსული ქალებისთვისაც – მათთვის არსებობს იოგას ექვსი ფაზა და ორსულობის თითოეულ თვეზე თავისი დატვირთვა გააჩნია. შესაბამისად, მშობიარობის პროცესიც უფრო მარტივია. სხვათა შორის, პრაქტიკაში მქონდა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც ფეხმძიმე ქალბატონებს ორსულობის სხვადასხვა ეტაპებზე ვეხმარებოდი, სუნთქვის ვარჯიშებს ვაკეთებინებდი, ვავარჯიშებდი და მართლაც გასაოცარი შედეგები მივიღეთ. როგორ არარეალურადაც უნდა ჟღერდეს, ასეთ დროს ქალი ორ-სამ ჩასუნთქვაში, მარტივად მშობიარობს. ფეხმძიმესთან ურთიერთობა ძალიან დელიკატური საქმეა და შეცდომის დაშვების უფლება არ გაქვს. მე ეს ყველაფერი შევისწავლე, პროფესიონალების მუშაობა მაქვს ნანახი და ამიტომაც ვაძლევ თავს უფლებას, მათთან ვიმუშაო. ორსულობისა და, ასევე, წონის ცვალებადობის დროს, ქალებს ხშირად უჩნდებათ კანზე სტრიები. აღმოსავლური ცეკვების ვარჯიში ერთგვარი პრევენციაა იმისთვის, რომ სტრიები არ გაჩნდეს, რადგან, ამ დროს კანი იმდენად მოქნილი, ელასტიკური და მკვრივი ხვდება, რომ არ სკდება და არ ჩნდება სტრიები. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში ძალიან მნიშვნელოვანია რეგულარული ვარჯიში. წონის კორექციაც ძალიან მარტივად ხდება. ვინც ცეკვავს აღმოსავლურ ცეკვას, მათ სჭირდებათ პატარა „ხორცები” – პატარა მუცელი, მკერდი და თეძოები; მაგრამ, არიან ადამიანები, ვისაც აღმოსავლური ცეკვების დახმარებით სურთ წონაში დაკლება. მე მათ ვურჩევ სპეციალურ მოძრაობებს, ასევე, დიეტას, რომელიც საერთოდ არ არის რთულად დასაცავი და, ქალი მხიარულად და სასიამოვნოდ იკლებს წონაში.

**– როგორც ვიცი, შენს კარიერაში ძალიან მნიშვნელოვანი სიახლეა – სულ მალე მაყურებელი უცნობთან ერთად გიხილავს რუსთაველის თეატრში, ძალიან საინტერესო მიუზიკლში.**

– თეატრში აქამდე არ მიმუშავია. მშობლებს თეატრალური, საესტრადო აქვთ დამთავრებული და, არ უნდოდათ მეც თეატრალურზე ჩამებარებინა. როდესაც პირველად შევაბიჯე რუსთაველის თეატრში, დედას ვუთხარი – ნახე, ჩემი ბოლო დაშვება მაინც თეატრში მოხდა-მეთქი. რაც შეეხება სპექტაკლს, დამირეკს რადიო „უცნობიდან“ და მითხრეს, რომ გია გაჩეჩილაძე აპირებს 3D მიუზიკლის გაკეთებას, რისთვისაც სჭირდებათ აღმოსავლური ცეკვების შემსრულებელიო. გამიკვირდა და გამიხარდა ძალიან. გავეცანი სცენარს. ვუთხარი, რომ მე არ ვიყავი მხოლოდ აღმოსავლური ცეკვების შემსრულებული, ვარ, ასევე, ლაურეატი სხვადასხვა ჟანრის, მათ შორის, მსოფლიოს ხალხთა და სამეჯლისო ცეკვებში. ათი-თერთმეტი წელია, აღარ მიცეკვია ვალსი, მაგრამ, ერთ-ერთ ეპიზოდში, სადაც ვალსი უნდა ვიცეკვო, როგორც კი გადავდგი პირველი ნაბიჯი, თავისით წავიდა ცეკვა, ყველაფერი გამახსენდა. მსუბუქი პანტომიმაც არის სპექტაკლში ჩართული, მაგრამ, ძირითადი დატვირთვა მაინც აღმოსავლურ ცეკვებზეა. ჩემთან ერთად მონაწილეობენ გია გაჩეჩიალძე (უცნობი), ნატო მეტონიძე, რობი კუხიანიძე, მარიამ ბოლქვაძე, ედვარდ სააკაძე. გია ყანჩელის მუსიკასა და უცნობის სიმღერებზეა ყველაფერი აწყობილი. გიასთან მუშაობა ძალიან სასიამოვნოა. ვერასდროს წარმოვიდგენდი, რომ იმ ადამიანთან ერთად ვიმუშაოვებდი, ვის მუსიკაზეც გავიზარდე, მასთან ერთად დავდგებოდი სცენაზე. რობერტ სტურუაც დაესწრო ჩვენს რეპეტიციას, ჩემი ცეკვით აღფრთოვანდა, შუბლზე მაკოცა და მითხრა: მაგარი გოგო ხარ, მაგრად ცეკვავო. ეს ჩემთვის სრული შოკი იყო. დოისგანაც ბევრი კომპლიმენტი მივიღე. მიუზიკლ „ტაიას“ რეჟისორები არიან გია გაჩეჩილაძე და სანდრო ყანჩელი, პრემიერა კი იქნება 23 სექტემბერს, 24 სექტემბერს და 2 ოქტომბერს.

**ნათია უტიაშვილი**

# ჯადოსნური ველის საიდუმლო

პირველი წყაროები საირმის წყლების შესახებ მეცხრამეტე საუკუნის 90-იანი წლებიდან გვხვდება. იმერეთში, ერისთავების კუთვნილ ტყეებში, ირმების ამოჩემებული ადგილი პირველად მონადირეებმა შენიშნეს. ხალხში გავრცელებული თქმულებით, წყალი დაჭრილ ირმის კვალს ადევნებულმა ძმებმა აღმოაჩინეს. წყარო ჟანგით გადაწითლებულ ქვებზე მოედინებოდა, მის გარშემო კი ყველაფერი მარილს გადაეთეთრებინა. ირმის ჯოგები მარილსა და წყალს მორიგეობით ეტანებოდნენ და, ამიტომაც, იქაურობას „საირმე" უწოდეს.

ადგილს ყურადღება მწყემსებმაც მიაქციეს და კიდევ ერთი უჩვეულო რამ აღმოაჩინეს — ირმების წყაროდან დაახლოებით 3 კილომეტრის მოშორებით, ერთ ადგილას, ბალახი მუდამ მწვანე რჩებოდა; იმ მონაკვეთზე თოვლი არ დებდა, მიწა კი წვიმის მოსვლიდან რამდენიმე წუთში გამშრალი იყო. „ჯადოსნური" ველის საიდუმლოს ფარდა 20-იან წლებში აეხადა, როცა გეოლოგებმა მიწის სიღრმეში ცხელი მინერალური წყალი აღმოაჩინეს.





ასე გაჩნდა საირმე – წიწვოვანი და ფოთლოვანი ტყეებით, მთის კლიმატით გამორჩეული და, რაც მთავარია, სამკურნალო, მინერალური და თერმული წყლის საბადოებით მდიდარი ბალნეოლოგიური კურორტი, ქალაქ ქუთაისის სამხრეთით, ბაღდათის რაიონში, ზღვის დონიდან 950 მეტრზე. ის უკვე რამდენიმე ათეული წელია, მნიშვნელოვან საკურორტო ზონად ითვლება.

კურორტის რეაბილიტაცია 2011 წელს დაიწყო და პროექტის ფარგლებში მოეწყო მაღალი სტანდარტის სასტუმრო „საირმე", რომელიც 150 ნომრისგან შედგება და 390 დამსვენებელზეა გათვლილი. აგრეთვე, მოხდა საირმის ლანდშაფტის მოდერნიზება: ჩატარდა მნიშვნელოვანი სამუშაოები სარეკრეაციო, სავაჭრო და საკვები ობიექტების მოსაწყობად.

გარდა ამისა, კურორტზე მოქმედებს სარეაბილიტაციო ცენტრი, რომელიც ერთ-ერთი წამყვანი გერმანული ფირმის – „კრაფტის" უახლესი ტექნიკითაა აღჭურვილი. საკმაოდ დიდი მოცულობის კომპლექსი ნებისმიერი ტიპის გამაჯანსაღებელ პროცედურას შემოგთავაზებთ.





საირმის კურორტი მთელი წლის განმავლობაში იღებს ვიზიტორებს – აქ ოთხივე სეზონზე შესანიშნავი კლიმატია. როგორც ამბობენ, „დაავადებამ სეზონი არ იცის," ამიტომ, სამკურნალო ცენტრი აქ მუდმივად, 24 საათის განმავლობაში მუშაობს. საირმის კურორტზე 4 სასტუმრო, კლინიკა და სპა-ცენტრია განთავსებული და მინერალური წყლების 4 ბიუვეტია მოწყობილი.

წარმოდგენილი 4 ტიპის წყლებიდან, თითოეული ადამიანისთვის ინდივიდუალურად, ძალიან დიდი ყურადღებით ხდება წყლის ტიპის შერჩევა და განისაზღვრება დოზირება; საირმის კურორტზე ჩასულ ვიზიტორს უფასოდ ეკუთვნის კლინიკაში თერაპევტთან ვიზიტი, რომელიც ამ ყოველივეს განსაზღვრავს და შეადგენს გრაფიკს. შესაბამისი წყლის აღების პუნქტიდან – ბიუვეტიდან კი მინერალური წყლის ჩამოსხმა საჭირო დოზირებით ხდება ღილაკზე თითის დაჭერით.

სამკურნალო-სარეაბილიტაციო პროგრამა-მინიმუმი 2-კვირიანია, ასევე 2-კვირიანია გასახდომი პროგრამა, რომელიც მოიცავს კომბინირებულ პროცედურებს: წყლები, სწორად შერჩეული მენიუ, სასეირნო ბილიკები, ფიტნეს-დარბაზი, დახურული და ღია აუზები, თერმული აბაზანები, „შარკოს" შხაპი და ანტიცელულიტური მასაჟები.

აქვეა ღია კაფე და ტერასა, სადაც ზაფხულობით მუსიკალური კარაოკე, x-box თამაშები, კინოთეატრი, ფეხბურთის ტრანსლაცია და საღამოობით გასართობი ღონისძიებები იმართება.



საირმე დაცული ტერიტორიაა. პარკი აღჭურვილია საბავშვო მოედნებით, აქვე შეგიძლიათ, ისარგებლოთ ძიძისა და ანიმატორის სერვისით.

**ნინო წულუკიძე**

# ბრძნული აზრები

**ფოიერბახი**: ჩემი სინდისი არის ჩემი „მე“, რომელსაც ვაყენებ შეურაცხყოფილი „შენ“-ის ადგილას

**სიუნ ძი**: თუ ძალზე სასტიკად მოიქცევი, წარუმატებლობა მელის; თუ ძალზე რბილად – თვითონ აღმოჩნდები ბორკილებში.

**პითაგორა**: მიუხედავად იმისა, რომ „დიახ“ და „არა“ ძალზე მოკლე სიტყვებია, ყველაზე სერიოზულ გააზრებას სწორედ ისინი მოითხოვენ.

**შერიდანი**: მოლაყბეები არიან ისინი, რომლებსაც ფიქრი არ შეუძლიათ.

**პასკალი**: არსებითი სასიამოვნოს უნდა ერწმუნოდეს, მაგრამ, სასიამოვნო მხოლოდ ჭეშმარიტებაში უნდა ვეძებოთ.

**ფენელონი**: რაც მეტს იტყვით, ხალხი მით ნაკლებს დაიმახსოვრებს.

**სოკრატე**: როცა სიტყვა ვერ სცემს, მაშინ ჯოხიც ვერ უშველის.

**დიუმა-შვილი**: ადამიანებმა შეამკეს სიყვარული სიმორცხვით, პოეზიით, თავგანწირვით, მაგრამ, მათვე შეიტანეს მასში ისეთი რამ, რაც ცხოველებსაც არ შეუძლიათ: მეტისმეტობა, ღალატი, გარყვნილება და მლიქვნელობა.

**პლატონი**: მეგობრობისთვის საჭიროა: მათი დამსახურება ჩვენ მიმართ უფრო ფასეულად ჩავთვალოთ, ვიდრე ჩვენი – მათ მიმართ.

**ლაროშფუკო**: ყველას უყვარს, რომ სხვები გამოიცნოს; არავის უყვარს, გამოცნობილი იყოს.

**ლაო ძი**: მე ვარ ძალიან უბედური, რადგან ჩემს თავს ძალიან ვუფრთხილდები; როცა მე აღარ გავუფრთხილდები თავს, მაშინ მეც აღარ ვიქნები უბედური.

**გოეთე**: მე არ მინდა, დავემსგავსო იმათ, ვინც მთელი დღე ტკივილისგან წუწუნებს, ხოლო ღამით – ღვინოს ყლაპავს, რომელიც ამ ტკივილს იწვევს.

**გორკი**: მასწავლებელი, თუ ის პატიოსანია, მუდამ ყურადღებიანი მოწაფე უნდა იყოს.

**მონტენი**: ისინი, ვინც ადამიანებსასწავლიან, თუ როგორ მოკვდნენ, იგივენი ასწავლიან მათ ცხოვრებას.

**სენეკა**: სიბერე მოურჩენელი ავადმყოფობაა.

**ლაბრიუერი**: ადამიანები ისე მიუდგომელნი არიან საქმეში; ისე მიუკარებელნი იქ, სადაც ოდნავი ანგარება მაინც არის გარეული; ისეთი ანჩხლი, თუ რამე დაბრკოლება გადაეღობათ; ისე უნდათ, რომ მოტყუვდნენ და სხვები მოატყუონ; ისე ძვირად აფასებენ თავიანთ საკუთრებას და ისე იაფად – სხვის ავლადიდებას, რომ, საკვირველია, როგორ და რანაირად ახერხებენ ერთმანეთთან შეთანხმებას ქორწინებით, კონტრაქტებით, ვაჭრობით, დაზავებით, ხელშეკრულებით, კავშირებით.

**უაილდი**: არაფერი არ უშლის ხელს სიყვარულს ისე, როგორც იუმორის გრძნობა ქალში და, მისი არარსებობა – მამაკაცში.

**ადისონი**: ანგარიშიან და უგულო მატყუარას უფრო შეუძლია ქალის დარწმუნება სიყვარულში, ვიდრე სიყვარულის გრძნობით სავსე ადამიანს.

**ბეკონი**. გიყვარდეს და ბრძენი იყო – შეუძლებელია.

# თუ გაიცნობთ

1. 1499 წელს, როცა ესპანური ექსპედიცია სამხრეთ ამერიკის ჩრდილოეთ სანაპიროს მიადგა, მეზღვაურებმა ყურეში დაინახეს ხიმინჯებზე შემდგარი ქოხები, რომლებიც ხიდებით უკავშირდებოდა ერთმანეთს. ამან ევროპელებს ვენეცია გაახსენა და დასახლებას „პატარა ვენეცია“ უწოდეს (მალე ასე დაერქვა მთელ ქვეყანას). **როგორ ჟღერს ეს სიტყვები ესპანურად?**

2. ამ მანქანების ექსპერიმენტული ნიმუშები მატარებლით გადაჰქონდათ. შალითებზე ეწერა „წყლის რეზერვუარი“. **რა სახელწოდებით ვიცნობთ ჩვენ ამ საბრძოლო მანქანებს.**

3. ლონდონის 1908 წლის ოლიმპიადაზე მარათონული მორბენალი, იტალიელი პიეტრო დორანდო პირველი მივიდა ფინიშთან, მაგრამ წაიქცა და მაყურებლებმა ააყენეს. ამიტომ ოქროს მედალი ამერიკელს ერგო, იტალიელი კი მიღწევისთვის თასით დააჯილდოეს. სწორედ მაშინ, მის დასამშვიდებლად წარმოთქვა პენსილვანიის ეპისკოპოსმა თავის ქადაგებაში ის სიტყვები, რომლებიც შემდეგ ფრთიან ფრაზად იქცა. **დაასახელეთ ეს ფრაზა.**

4. ლეგენდის თანახმად, ნორვეგიის დედაქალაქის ხანგრძლივი ალყის შემდეგ, შვედეთის მეფემ გადაწყვიტა, ნორვეგიის მეფესთან ერთად კამათლის საშუალებით დაედგინა, ვის დარჩებოდა ქალაქი. პირველად შვედეთის მეფემ გააგორა და ორი ექვსიანი მოუვიდა, მაგრამ ნორვეგიის მეფემ მაინც მოახერხა მეტი ქულის დაგროვება. **როგორ?**

5. ბრიტანელები ამას სუფრასთან მსხდომნი აკეთებენ. მერე ამერიკელებმა ამის კეთება დგომელა დაიწყეს. **რას აკეთებენ ფეხზე მდგომი ამერიკელები?**

6. ცივ ღამეებში, ყინვის დროს სათბურებში წყლით სავსე კასრებს დგამენ. **რატომ?**

7. ბუღალტერთა საერთაშორისო პროფესიონალურ გერბზე გამოსახულია მზე, რომელიც აღნიშნავს აღწერას – აშუქებს სამეწარმეო საქმიანობას, ბერნულის მრუდი – დაუსრულებელი აღრიცხვის სიმბოლო და სასწორი. **რას აღნიშნავს სასწორი?**

8. ჰერაკლეს ერთ-ერთი ცნობილი გმირობა – ავგიას თავლების გაწმენდა იყო. **რამდენი ცხენი ჰყავდა ავგიას თავლაში?**

9. 1389 წელს დანიისა და ნორვეგიის დედოფალმა მარგარეტმა „ჯვაროსნული ომი“ გამოუცხადა მეკობრეებს. როდესაც მეკობრეთა ბაზები გაანადგურეს, ბევრი მეკობრე სიკვდილით დასაჯეს. ყველა მათგანს ჰქონდა უკანასკნელი სურვილის უფლება. **რა ისურვა** ისეთი შტერტებეკერმა (ერთ-ერთი ყველაზე უფრო სასტიკი მეკობრე), თუ მისმა სურვილმა გადაარჩინა 11 მისი თანამებრძოლი.

10. ძველად მანდრაგორას მიაწერდნენ მაგიურ თვისებებს, მისგან ჯადოქრები და ალქიმიკოსები ხარშავდნენ ვითომდა ჯადოსნურ ელექსირს ადამიანზე ზემოქმედებისათვის. **გაიხსენეთ, როგორ გამოიყურება ეს მცენარე და თქვით, რატომ დაიმსახურა მან ასეთი „პატივი“?**

***პასუხები იხილეთ 77-ე გვერდზე***

# ოჰ, ეს ქალები!..

* 1770 წელს ინგლისში მიიღეს კანონი: ის ქალი, რომელიც რაიმე ხერხით მოატყუებდა მამაკაცს, მაგალითად, სახეზე ფერ-უმარილის წასმით, ჩასმული კბილებით, პარიკით, მაღალქუსლიანი ფეხსაცმლით და თავს შეართევდა, ისჯებოდა, როგორც კუდიანი, ხოლო ქორწინება უქმდებოდა.

* ნეპალის პროვინცია მუსტანში ქალები და კაცები სხვადასხვა კერძებს ჭამენ: ის, რაც მისაღებია კაცებისთვის, ქალებს ეკრძალებათ და – პირიქით.

* ავსტრალიელ აბორიგენებში მიმაკაცის მიერ წყლის მოტანა დიდ სირცხვილად ითვლება – ეს ქალის მოვალეობაა.

* უხსოვარი დროიდან, ინდოეთში, როცა მამაკაცს ქალიშვილი მოსწონდა, საჩუქრები უნდა მიერთმია სასიმამროსთვის, ვინაიდან, სწორედ მასზე იყო დამოკიდებული, შედგებოდა თუ არა ქორწინება. თუ ქალის მამა საჩუქარს მიიღებდა, ესე იგი, თანახმა იყო ქორწინებაზე. სიმამრის უფლებაშივე რჩებოდა საჩუქრების უკან დაბრუნება და ამით ნიშნობის ჩაშლა.

* სხეულის შიშველი ნაწილების გამოჩენა ყველაზე ერთნაირად არ მოქმედებს. ზოგიერთ აფრიკულ და სამხრეთამერიკულ ტომში ქალებს სრულებით არ რცხვენიათ, თუ მათ შიშვლებს ნახავენ, მაგრამ, სირცხვილით იწვიან, როდესაც ჭამის დროს წაასწრებენ.

* ძველად საბერძნეთში ჭაბუკები და ქალიშვილები სრულიად შიშვლები ვარჯიშობდნენ. ასე იყო გიმნაზიაში (ბერძნულად „გიმნოს“ – შიშველს ნიშნავს, „გიმნასტიკა“ – შიშვლად ვარჯიში). ეს სილამაზის ზეიმი იყო. მათ გამოსვლებს უამრავი მაყურებელი ესწრებოდა, მაგრამ, არავის აზრადაც არ მოუვიდოდა, რომ ეს სამარცხვინო იყო. პლუტარქეს მოწმობით, ბერძნები ქალიშვილების სიშიშვლეში სამარცხვინოს ვერაფერს ხედავდნენ. თავაწყვეტილობასა და შეუფერებელ საქციელს ადგილი არ ჰქონდა. სიშიშვლე მათ უზრალოებას აჩვევდა და სხეულის გაკაჟების სურვილს უღვიძებდა. მათ, თურმე, რცხვენოდათ მხოლოდ ულამაზო, უძლური სხეულის, რომელსაც გულმოდგინედ იფარავდნენ ქსოვილებით.

## შამათი ორ სვლაში



**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის პასუხი: 1. 0-0-0!**

**შეადგინა შერგილ სუხიტაშვილმა**




ჩემს ცოლს, რაღაც, ძალიან ხშირად მოსდის ესემესები „მაგთიკომიდან“... ყურადღებას კი




არ მივაქცევდი, მაგრამ, მე თვითონ ახალი საყვარელი ტელეფონში ჩაწერილი მყავს, როგორც „ჯეოსელი“.

***

– მარო, გამიკეთე... ისა... რა ჰქვია...
– ახლავე, მიხო!
რამდენიმე წუთის შემდეგ.
– ოო... ყავის დედაც არ ვატირე...

***

გადავხედე ყველას და ყველაფერს.

დავფიქრდი და დავრწმუნდი, რომ ზიგმუნდ ფროიდი მართალი იყო, რომ ყველაფერში ფალოსურ სიმბოლოს ხედავდა.

***

– აბა, ბავშვებო, რა პროფესიის არიან თქვენი მშობლები, სად მუშაობენ... გყოფნით ოჯახში შემოსავალი?
– დედაჩემი მეძავია, გვყოფნის.
– მამაჩემი საგზაო პატრულია, ნორმალურად ვართ.
– მამაჩემი დისტრიბუტორია... ჩვენც გვეყოფოდა, რომ არა იმის ბოზი დედა და ამის გზის ყაჩაღი...

***

– რატომ იზრდებიან ბავშვობაში გოგოები უფრო სწრაფად, ვიდრე ბიჭები?
– კვერცხების გამო – მიზიდულობის ძალა.
– კი მაგრამ, რომ იზრდებიან, კაცები ხომ ქალებზე მაღლები არიან...
– ჰოო... ძუძუების გამო – მიზიდულობის ძალა...

***

უნდა ებანავა და აბაზანაში წყალი მოუშვა, მიუჯდა კომპიუტერს და როცა ჩუსტები აქტივტივდა, მიხვდა, რომ აბაზანა უკვე აივსო...

***

– ბავშვებო, თქვენ გინახავთ ღმერთი?
– არა...
– ესე იგი, არც არსებობს.
სანდრო თითს იწევს:
– შეიძლება, კითხვას დავსვამ.
– შეიძლება.
– ბავშვებო, თქვენ გინახავთ ჩვენი მასწავლებლის ტვინი?

***

– საყვარელი რომ მოდის, არავის გამოეპარება... ქურდები სახლში რომ შემოვიდნენ – არავის დაუნახავს...

***

– გოგოებო, გათხოვდით... არც ერთი კაცი დაუსჯელი არ უნდა დარჩეს!

***

თუ ყველაფერი კარგადაა, შენ ან შეყვარებული ხარ, ან მთვრალი.

***

– ვასია, გუშინ ლუდს ვსვამდით?
– კი?
– არაყს?
– ვურევდით.
– კონიაკს?
– ვსვამდით.
– რაკეტის საწვავს?
– კი.
– ტუალეტში გახვედი?
– არა?!
– არ გახვიდე... ტოკიოდან ვრეკავ!

***

– პარასკევს ბავშვის კრებაა, პირადობის მოწმობა არ დაგავიწყდეს, სავარაუდოდ, კრედიტის აღება მოგვიწევს,

***

პოლიციელმა ქუჩაში დაგდებული კაცი წამოაყენა.
– შეგიძლიათ, დაახასიათოთ, ვინ დაგარტყათ?
– სწორედ მაგას ვაკეთებდი, როცა დამარტყა?

***

– ზურა მართლა დაიჭირეს?
– კი.
– აუ, რა მატყუარაა. რომ დამირეკა, მითხრა, ძმასთან მივდივარო.
– არ მოუტყუებიხარ, ძმა უფრო ადრე დაიჭირეს.

***

– რამე კერძის მომზადება თუ იცი?
– კი... ძალიან გემრიელად ვჭრი ძეხვს.

***

– მიირთვი გენაცვალე, კარგი კანფეტია, ჭამე, რამდენიც გინდა, თუნდაც ორი.

***

– თუ ადამიანს ვამპირი უკბენს, ისიც ვამპირად იქცევა...




– ვხედავ, ხალხი ცხვრებს დაუკბენიათ...

***

რესტორანში კლიენტმა ოფიციანტი მოიხმო, ორლარიანი ჩაუდო ხელში და ეკითხება:
– რას მირჩევდით?
ოფიციანტმა ჯიბეში ჩაიდო ფული, დაიხარა და ყურში უჩურჩულა:
– აქედან წადით.

## ცნობილი ადამიანთა იუმორისტული გამონათქვამები

– ერთხელ, უფლისწულ გიორგის (გიორგი მეთორმეტე) სასახლის ბაღში გაფხორილი ინდაურების შემხედვარეს, უთქვამს:
– ღმერთო, ისე ნუ გამიჭირვებ, ამათი ხორცი ვჭამოო.

***

ზუგდიდელი მთავარ-დიაკონი იოსელიანი ძლიერ დახელოვნებული იყო ზმაში.

ერთხელ, როდესაც ალექსანდრე ჭავჭავაძე ზუგდიდს ყოფილა თავის ქალთან, ეკატერინე დედოფალთან, ლუკას შეუკვეთეს, აბა, ეკატერინეზე ზმა სთქვითო.

მთავარმა ჯერ ითხოვა, რომ რუსულის სიტყვის გამორევის ნება მიეცათ და შემდეგ თქვა:
– გამიგონე, კატერი ნავს ჰქვიან, მგონია, რუსულად.
– ცამ დამირეკა, ტირინარ-ნარად, – განა ქართულად არ ითქმებოდაო, უპასუხა სიტყვა-მოსწრებით ალექსანდრე ჭავჭავაძემ.

***

აკაკი წერეთელი „კუჭის მიმდევარ ინტელიგენტებს“ უწოდებდა ზოგიერთ ქართველს, ხოლო ასევე ზოგიერთს, ილია „ორლობის ინტელიგენციას“ ეძახდა.

***

აკაკის ჩაი მიართვეს სამეგრელოში: შაქარი დავიწყებოდათ, თუ როგორღაც იყო. აკაკიმ ზედიზედ ერთსა და იმავე ჭიქისთვის სამჯერ მოითხოვა შაქარი.




– რამდენიც უნდა შაქარი ჩააგდო, რაკი შენი ენა მოხვდება, გამწარდება, – უთხრა მასპინძლის ახალგაზრდა ქალმა.
– მაშ ჯერ თქვენ არ უნდა დააწოთ შაქარს ენა, რომ აღარ გამწარდეს! – მიუგო პოეტმა.

***

კენჭის ყრის შემდეგ ერთმა მოხუცმა ჰკითხა აკაკის:
– რა მიზეზია, კაცი რომ დაბერდება, წვერ-ულვაში და თმა გაუთეთრდება? აი, მაგალითად, მე შავი აღარც კი მირევიაო!“
– ალბათ, საიქიოს გირჩევენ, იქ უყრიათ თქვენთვის კენჭი და გაუთეთრებიხართო, – უპასუხა ცივად კენჭისყრაში დამარცხებულმა აკაკიმ.

# „ვოლგიანი" ქართველი მსახიობები და ავტოინსპექტორის ლექსები

მაშინ, როცა არც შუქი იყო, არც წყალი, არც პური და არც ფული, მხნეობა მოვიკრიბეთ მსახიობებმა. გავერთიანდით და ჩვენი მოყვასისთვის რომ ცოტათი შვება მიგვეცა, შევქმენით პროექტი: „ხუმრობენ და მღერიან კინოსა და თეატრის მსახიობები" (თუ რაღაც ამის მაგვარი).

უარი ამ პროექტზე არც ერთს არ უთქვამს. ჩაერთნენ გივი ბერიკა, კახი, მედიკო ჩახავა, თენგო არჩვაძე, ბევრი და ბევრი ძველი და ახალი მსახიობები. უნდა ვთქვა, რომ უანშლაგოდ არც ერთ ჩვენს (კონცერტი ჰქვია) ღონისძიებას არ ჩაუვლია. დასწრება იყო „გადაჭყლეპვამდე". გაერთიანდა დრამა, კომედია და ყველაფერი. გადავერთეთ ხალხის გართობაზე... ვილას ახსოვს, კაცო, „ოტელლო", „ჰამლეტი"... გადარჩენაზე ვართ.

ჩვენც, კმაყოფილები, თავს როგორ დავზოგავთ, რომ ხალხს ცოტა შვება მივცეთ – ერთი... ერთი სასიამოვნო საღამო მაინც ვაჩუქოთ, რომ მერე ბალიშზე, მოგონებებით დასდონ თავი და ერთხელ... ერთხელ მაინც მშვიდად... მოგონებებით დაიძინონ.

ამ კონცერტის მეორე დღეა, ანუ ორშაბათი. „ვოლგა" მყავს – „96-96" და მივგრუხუნებ, ბატონო ჩემო, ელბაქიძის დაღმართზე.

დაღმართი რატომ ვთქვი და არა „აღმართი". დადაღმართება არ შეიძლებოდა ელბაქიძის აღმართზე მაგრამ, მეჩქარება და დავადაღმართე.

– შშტრრ! – „ეს ინსპექტორია" გამიელვა თავში... გამაჩერებდა, აბა, რას იზამდა, კაცო, აღმართზე „მოთავდაღმართოზე". დამრღვევი ვარ „სტაპრაცენტი"!

გავაჩერე.

მომიახლოვდა სქელწარბება, ჩექმებიანი ინსპექტორი. ამიღო „ჩესტი".

– თქვენი საბუთები! – მეუბნება მკაცრად.

დამნაშავე კი ვარ, მაგრამ ჯემალი რომ ვარ ღალანიძე, რატომ არ მიცნო-მეთქი – გული დამწყდა.

– ყმაწვილო ინსპექტორო, თქვენ ვერ მიცანით?

– საბუთები, მოქალაქევ! – არ მეპუება არც მე ვეპუები ახლა... თუ სადმე რამე როლი მითამაშია, ყველანაირად დავიმანჭე ფანჯრიდან... ხან ისე ვაჩვენე, ხან ასე და რომ მგონია, უკვე მიცნო-მეთქი, უცებ მეუბნება:

– ბატონო, თქვენია ეს მანქანა?




– რა თქმა უნდა, ჩემია!

– და თქვენ ხართ მძღოლი?

– დიახ!

– აბა, რატომ იღრიჭებით? მომეცით საბუთები.

სხვა რა გზა იყო და მივაწოდე...

ინსპექტორმა დინჯად გამომართვა „პრავა" თავისი „ტეხასმოტრით" და ჩემი მანქანის „კაპოტზე" არ გაშალა „კაბინეტი"?! ვუყურებ ახლა...

აილო ფურცელი და წერს (ოქმს ადგენს!)

ზუსტად 1 საათი და 20 წუთი წერდა.

– ა, ბატონო, მომაწოდა, როგორც იქნა „ოქმი", – ჩაიბარეთ ეს და სახლში მისვლისთანავე წაიკითხეთ... თავისუფალი ბრძანდებით! ამიღო „ჩესტი".

მივედი სახლში და ერთი სული მაქვს, ვნახო, რა თანხით დამაჯარიმეს?!

გავშალე ფურცელი და ლექსი არ წერია?

„გუშინ კონცერტზე ვიყავით
მე და ჩემი ცოლი – ლია,
დღეს იმიტომ „დაგაკავეთ",
რომ – პირველი აპრილია".

... გამაცია და გამაჟრჟოლა... ჩვენს კონცერტს ნაყურებლარიენ! როგორ ვყვავრებივარ ხალხს და თან – ინსპექტორებს?!

არ გაუვლია ცოტა ხანს.

ჩემი „ვოლგით" – „96-96" – წეროვანში მივდივარ ჩემს აგარაკზე. შესასვლელში ის ჭრელი ჯოხი ამიწია ინსპექტორმა.

მოგოგმანდა და... ის არაა ისევ?!

ვითომ ვერ ვიცანი.

სამაგიეროდ, თვითონ მიცნო და ჩაბერა – ტრრ!

– კაცო, – ვეუბნები, – შე დალოცვილო, ლექსი დამიწერე ისეთი, რომ გული ამიჩუყდა და ძლივს მომაბრუნეს... ახლა რატომ მაჩერებ?

– თქვენ როგორ არ გიცნობთ, ბატონო ჯემალ, თქვენ ცნობას რა უნდა, მაგრამაო (კახელი რო იყო მაშინ შევატყვე – კილოს), იცით, ერთი რაღაც მეინტერესება, კაცოო! წელანა კარლო საკანდელიძემ ამიარა „ვოლგითა", მერე ბორია წიფურიამ ჩაიარა „ვოლგითა", მერე თენგიზა არჩვაძემ ამაიარა „ვოლგითა", ახლა შენ მიდიხარ „ვოლგითა", ვააა! რა ხდება – „კავკასიური ცარცის წრეა?"

– ერთ რამეს გეტყვი, შვილო! – ცოტა დამაცადე! – ვუთხარი, – ფურცელი ამოვიღე (სულ ვატარებ რვეულს „მაშინაში") და წავუწერე: 1. კარლო საკანდელიძე, 2. გურამ საღარაძე, 3. თენგიზ არჩვაძე, 4. ბორია წიფურია, 5. კახი კავსაძე, 6. იმედა კახიანი და ასე შემდეგ.

ბოლოში კი ლექსიც გავრისკე:

„ამათ არც ერთს ხმა არ გასცე,
შენს ხელშია ჩვენი სია,
აქეთ აგარაკები გვაქვს,
დღეს თორმეტი მაისია".

**ჯემალ ღალანიძის ნაამბობის მიხედვით მოამზადა მურმან მერკვილიშვილმა**

(76-ე გვერდიდან)

თა. ჩვეულებრივ, აგიოგრაფიული უნივერსალიზმი არ გულისხმობს პიროვნების მრავალმხრიობას, პირიქით, ეს ნიშნავს მაქსიმალისტურ განდეგილობას, ან მაქსიმალურ მორჩილებას, ან არადა, თავგანწირვას სხეულებრივი მარტვილობისთვის, თუ სარწმუნოებრივი ქადაგებისთვის.

გრიგოლ ხანძთელის სახემ გვიჩვენა ქართული აგიოგრაფიის სულ სხვაგვარი შესაძლებლობა: საერო და სასულიერო ინტერესთა შერწყმა, ცხადია, სულიერის უპირატესობით, ცხოვრების გასულიერებით".

ანუ, გრიგოლ ხანძთელის მაგვარი ბერები, დიდი მოღვაწეები, შემდგომში იოანე ათონელი, მისი ვაჟი, საქართველოს ეკლესიის მნათობი ეფთვიმე ათონელი, ასევე, ჩვენი ეკლესიის სხვა მნათობი – გიორგი მთაწმინდელი და სხვები მხოლოდ საკუთარი სულის გადარჩენისთვის კი არ იღვწოდნენ, არამედ სამშობლოსთვის... ხშირ შემთხვევაში უფრო მეტად, რადგან კარგად ესმოდათ, სამშობლოსა და ხალხის სამსახური არის ღვთის სამსახურთა შორის უპირველესი. ისინი სრულიად თავისუფალი იყვნენ პირადი ინტერესებისგან, პირადი ეგოიზმისგან, რა თქმა უნდა, თუ შეიძლება, ასე რომ ითქვას.

ქართულმა იდეოლოგიამ კარგად გადმოსცა უმთავრესი ინტერესი ქართული საზოგადოებისა, სასულიერო და საერო მოღვაწეებისა – ქვეყნის აღორძინების მცდელობა. რადგან ძლიერ სახელმწიფოში ეკლესიაც უფრო ძლიერია და რწმენაც.

გრიგოლ ხანძთელი და აშოტ კურაპალატი ერთ მიზანს ემსახურებოდნენ და ორივემ კარგად იცოდა თავისი საქმე. მათი ურთიერთობა კი ასე დაიწყო. აშოტ კურაპალატის კარზე მოღვაწეობდა დიდებული აზნაური გაბრიელ დაფანჩული. მისი მამულები ახლოს იყო მამა გრიგოლის მიერ დაარსებულ ხანძთის მონასტერთან. გაბრიელ დაფანჩულმა და მისმა კეთილმორწმუნე მეუღლე მარიამმა დიდი ნივთიერი დახმარება აღმოუჩინეს მამა გრიგოლის საძმოს წევრებს მონასტრების მშენებლობაში და მშენებლებიც მიახმარეს.

## როგორ აღიარა გრიგოლ ხანძთელმა ბაგრატიონები ქრისტეს ნათესავებად და როგორ დალოცა ისინი

შემდგომ გაბრიელ დაფანჩულმა აუწყა თავის სუზერენს გრიგოლ ხანძთელისა და მისი მოწაფეების სიწმინდისა და მოღვაწეობის შესახებ. ხელმწიფემ მოინდომა გაეცნო მამა გრიგოლი, თავისი ხელით წერილი მისწერა და შეხვედრა სთხოვა. „უდაბნოს ვარსკვლავი" დიდი სიხარულით ეწვია ხელმწიფეს სასახლეში.

მეფემ გააცნო თავისი შვილები ადარნასე, ბაგრატი და გუარამი. ამ საუბრის გადმოცემისას გიორგი მერჩულე გვამცნობს, რომ ქართული ეკლესიის ერთ-ერთ ყველაზე ავტორიტეტულ პიროვნებას ესე მიუმართავს აშოტ ბაგრატიონისთვის:

„დავით წინაისწარმეტყუელისა და უფლისა მიერ ცხებულისა შვილად წოდებულო ხელმწიფეო! მეფობა და სათნოებანიც მისნი დაგიმკვიდრენ ქრისტემან ღმერთმან, რომლისათვისცა ამას მოგახსენებ: არა მოაკლდეს მთავრობა შვილთა შენთა და ნათესავთა მათთა, ქვეყანათა ამათ უკუნისამდე ჟამთა, არამედ იყვნენ იგინი მტკიცედ უფროის კლდეთა მყართა და მთათა საუკუნეთა და დიდებულ იყვნენ უკუნისამდე".

ეს უკვე ნიშნავდა ქართული ეკლესიის მხრიდან ბაგრატიონების აღიარებას დავით წინასწარმეტყველის შთამომავლებად, ქრისტეს ხორციელი ბიძაშვილის შთამომავლებად, ღვთისმშობლის ნათესავებად, უფლის ნათესავებად".

ეს პირველი წყაროა (თუ სხვა დაკარგული არ არის), რომელიც თანამედროვეების მიერ არის გადმოცემული და სადაც ჩანს, რომ ქართული ეკლესიის წარმომადგენელი აღიარებდა ბაგრატიონებს უფლის ნათესავებად. თან, კათალიკოსთა და ეპისკოპოსთა მოძღვარი და აღმზრდელი, წმინდა გრიგოლ ხანძთელი.

სუმბატ დავითის ძე მეთერთმეტე საუკუნეში ვერ გამოიგონებდა ბაგრატიონთა დავით წინასწარმეტყველისგან წარმომავლობის თეორიას. ჩვენ ვხედავთ, რომ ამ აზრის იყო მერვე საუკუნეში გრიგოლ ხანძთელი.

გარდა ამისა, გრიგოლ ხანძთელის სიტყვებში ჩანს სხვა რამეც. ის, ფაქტობრივად, იმეორებს დავით წინასწარმეტყველის სიტყვებს 88 ფსალმუნიდან, სადაც წმიდა მეფე ამბობს, რომ უფალმა იგი გამოარჩია სხვა მეფეთა შორის და აღთქმა მისცა, რომ მისი შთამომავლობა იმეფებს მუდამ.

ეს იყო აღიარებაც და დალოცვაც ქართული ეკლესიის მხრიდან უდაბნოს ვარსკვლავის – გრიგოლ ხანძთელის პირით.

გრიგოლ ხანძთელი შემთხვევით არც არაფერს ამბობდა და არც არაფერს აკეთებდა. მას ამ აღიარებისთვის უსათუოდ ექნებოდა საფუძველი, ძველი წყაროები, გადმოცემა, ტრადიცია უკვე დამკვიდრებული და რაც მთავარია, რწმენა, რომ ბაგრატიონები მართლაც დავით წინასწარმეტყველის შთამომავლები არიან.

**გიორგი მახოზაშვილი**

**სულ მალე დაიწყება სატელევიზიო შოუ „ცეკვავენ ვარსკვლავების" ახალი სეზონი, რომელშიც არაერთ ცნობილ ადამიანს ვნახავთ „სამბა-რუმბა-ჩაჩაჩაზე" აცეკვებულს. ჯერ, გასაიდუმლოებულია, თუ ვინ იქნებიან ამ პროექტის წლევანდელი ჟიურის წევრები და მონაწილეები. თუმცა, გოჩა ჩერტკოევი რომ ამ შოუს ნამდვილად „დაამშვენებს," ეს ცნობილია. ასევე, კულუარებიდან შევიტყვეთ, რომ აცეკვებას წლევანდელი „ახალი ტალღა 2014-ის" გამარჯვებული, 17 წლის მომღერალი ნუცა ბუზალაძეც აპირებს. ჩვენც ეს შანსი ხელიდან არ გავუშვით და ნუცას დავუკავშირდით.**

# როგორ აპირებს ხმის ამოუღებლად ხალხის გაოცებას ნუცა ბუზალაძე და რაში ბაძავდა ის ბავშვობაში ბიონსეს და შაკირას

**– ნუცა, სულ მალე დაიწყება „ცეკვავენ ვარსკვლავების" ახალი სეზონი, სადაც, როგორც გავიგეთ, შენც აპირებ აცეკვებას. როგორი სასიმღერო მონაცემები გაქვს, ეს უკვე დაგვიმტკიცე, მაგრამ, როგორ ფიქრობ, ცეკვაც ისე კარგად გამოგდის, როგორც სიმღერა?**

– როცა „ცეკვავენ ვარსკვლავებში" მონაწილეობა შემომთავაზეს, ძალიან გამიხარდა და უარი არ მითქვამს, თუმცა, პროფესიონალი მოცეკვავე არ ვარ. ბავშვობაში, სულ ვცეკვავდი. დავდგებოდი სარკის წინ, თან ვმღეროდი და თან ვცეკვავდი. ძალიან მოძრავი, თავისუფალი და პლასტიკური ბავშვი ვიყავი. ბერას სტუდიაში კი ამერიკელი ქორეოგრაფი, ვიზდონიც გვასწავლიდა ბავშვებს „ჰიპ-ჰოპის" ცეკვას. ასე რომ, ცეკვისგან შორს არ ვარ და ვფიქრობ, ყველაფერი გამომივა. სულ მომწონდა და ვაკვირდებოდი შაკირას და ბიონსეს მოძრაობებს. ვცდილობდი, სარკის წინ ის მოძრაობები მეც გამემეორებინა. ცეკვაშიც მაქვს, მგონი, ნიჭი. ვინც მიცნობს, ამბობს, კარგად ცეკვავ, გამოგდისო. მაგრამ ლათინური ცეკვა როგორ გამომივა, ვერ გეტყვით. მთავარია, შრომა მიყვარს, ვივარჯიშებ და ვისწავლი. მერე კი მაყურებელი და ჟიური შემაფასებს. შეუძლებელი არაფერია. მეც შევძლებ, ხმის ამოუღებლად გავაოცო ჩემი პლასტიკით მაყურებელი *(იცინის).* სიმღერისა და ცეკვის დროს, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ემოციის და მიმიკის სწორად გადმოცემას. ახლა კი, „ცეკვავენ ვარსკვლავებში" მე ემოციის ხმის ამოუღებლად გადმოცემა, ჟიურის მოხიბვლა და მაყურებლის სიმპათიის მოპოვება უნდა შევძლო და მგონი, გამომივა.

**– გოჩა ჩერტკოევის ემოციით გაკვირვება ცოტა რთული საქმეა, ის ცეკვის დროს, მანერას უფრო აქცევს ყურადღებას და თავისი შეფასების კრიტერიუმები აქვს. ხომ მეთანხმები?**

– გეთანხმებით და, არ დაგიმალავთ, მისი ცოტა მეშინია *(იცინის).* გოჩა პროფესიონალი მოცეკვავეა და „ცეკვავენ ვარსკვლავების" ყველაზე კომპეტენტური შემფასებელი მონაწილეებისთვის. ყველაზე მეტად მის შეფასებას დაველოდები. შენიშვნებს მივიღებ და გავითვალისწინებ. ვეცდები, თავი მოვაწონო. ამ პროექტში გამარჯვება ჩემი მოტივაციაა და არავინ თქვას, რომ გამარჯვებისთვის არ იბრძვის. ეს ტყუილია. ზუსტად ამ მოტივაციით ვიყავი იურმალაში წელს და იქიდან უფრო მეტად თავდაჯერებული, ამაყი და გამარჯვებული დავბრუნდი.

**– არ შემიძლია არ გკითხო. ვიცი იქ მოგებული თანხით ბინის ყიდვას აპირებდი. ეს მოახერხე თუ ფული სხვა რამეში დახარჯე?**

– მოგებული თანხიდან ოცი ათასი დამრჩა. აქედან ხუთი ათასიც დავხარჯე. ბინა უნდა მეყიდა, მაგრამ თავი შევიკავე. ერთ-ერთმა სამშენებლო ფირმის წარმომადგენელმა დამირეკა და შემომთავაზა ბინა, რომელიც მეტრო „ახმეტელთან" შენდება. მაგრამ, მე არ მოვინდომე გარეუბანში ცხოვრება და ახლა ველოდები „ვორონცოვის" ტერიტორიასთან ახლოს, ახალი სახლის აშენებას, რომელიც სავარაუდოდ, მალე დაიწყება. იქ 80 კვადრატული უნდა ამიშენონ და გარემონტებული ჩამაბარონ. ადგილი უკვე ვნახე, ამაღლებული ტერიტორიაა და იქიდან მთელი თბილისი მოჩანს. აი, თუ „ცეკვავენ ვარსკვლავებში" ბინა მოვიგე, მერე იქ აღარ ავიშენებ *(იცინის)* და ამ ფულს სხვა რამეში დავხარჯავ. ის ხუთი ათასი კი, რაში დავხარჯე არც კი ვიცი, „დებილობებში" დამეხარჯა.



მოგებული თანხიდან ოცი ათასი დამრჩა. აქედან, ხუთი ათასიც დავხარჯე

**– ახალი სიმღერის ჩაწერას არ გეგმავ?**

– აუცილებლად ჩავწერ ახალ სიმღერას, მაგრამ ჯერ ცეკვებზე ვარ გადართული. ალბომის გამოშვება ჯერ არ მინდა, მაგრამ ახალი სიმღერების ჩაწერა გეგმაში მაქვს. მთავარი მიზანია, ჩემი სიმღერა გაჰიტდეს. ერთ საიდუმლოსაც გაგიმხელთ – მინდა, დუეტი ჩავწერო სოფო ხალვაშთან. სხვათა შორის, ეს, მე და სოფომ იურმალაში დავგეგმეთ.

**– ნუცა, მომავალ წელს აბიტურიენტი იქნები. თქვი, ახალი სიმღერების ჩაწერას ვგეგმავო, „ცეკვავენ ვარსკვლავებში" მონაწილეობაც საკმაო შრომასთანაა დაკავშირებული. როგორ მოასწრებ მეცადინეობას და უმაღლესი სასწავლებლის გამოცდებისთვის მომზადებას?**

დღეს ბერა ამერიკაშია, იქ აგრძელებს თავის კარიერას და აღარ ვკონტაქტობთ. თუმცა, მისი წარმატებები მეც მიხარია და დარწმუნებული ვარ, მასაც – ჩემი

– აბიტურიენტი ვარ, მაგრამ არ ვაპირებ, ეროვნული გამოცდების ჩაბარებას. არ მინდა სწავლის გაგრძელება საქართველოში. გეგმაში მაქვს, მოვემზადო და ამერიკაში, ბერკლის მუსიკალურ კოლეჯში ჩავაბარო. იქ მეტად განვვითარდები მუსიკალურად და ყველაზე კარგი იქნება, ამერიკაში სწავლის გაგრძელება. სხვათა შორის, რუსეთშიც ვფიქრობდი სწავლის გაგრძელებას და მერე დავფიქრდი, იქ ხომ უკვე გავიმარჯვე და, ახლა, ჯობია, ამერიკა დავიპყრო-მეთქი *(იცინის).*

**– ნუცა, პირად ცხოვრებაში რაიმე ცვლილება ხომ არ არის?**

– ჯერ არ მქონია შემთხვევა, ვიღაც სერიოზულად მომწონებოდა. თუმცა, რაც იურმალიდან გამარჯვებული დავბრუნდი, თაყვანისმცემელ მამაკაცთა რიცხვი გაორმაგდა *(იცინის).* სიმართლე გითხრათ, მეც არ მინდა, ჯერ ვინმე სერიოზულად მომეწონოს და თავდავიწყებით შემიყვარდეს. ამისთვის არც მზად ვარ და არც მცალია *(იცინის).*

**– მერე, მოცლა და მომზადება გულმა რომ არ იცის, ის არ გვეკითხება და ვერც თავად უბრძანებ, როდის და ვინ შეგვიყვარდეს?**

– ეს ვიცი, მაგრამ, ჯერ მართლა არავისზე გავგიჟებულ-გადავრეულვარ *(იცინის).* დამიჯერეთ, ცხოვრებაში არ მყოლია შეყვარებული და რა ვქნა? თუმცა, თაყვანისმცემლები ყოველთვის მყავდა და მყავს. პიროვნულად ჩაკეტილი ვარ და არ მინდა, ვინმე ახლოს „მოვუშვა". ალბათ, მეც არ მომწონებია და სერიოზული გრძნობა არ გამჩენია კონკრეტული ბიჭის მიმართ. ასე რომ, დღეს, არ მაქვს სურვილი, შემიყვარდეს, დავინახო და „გადავირიო".

**– ერთი პერიოდი, შენზე და ბერაზე დადიოდა ხმები, თითქოს შეყვარებულები იყავით. ეს ტყუილი იყო?**

– ეს ჭორი მეც გავიგე, თითქოს მე და ბერას ერთმანეთი გვიყვარდა. გეტყვით, რომ მე და ბერა კარგი მეგობრები ვართ და ვის მოუვიდა ეს ჭორი თავში, ვერ გეტყვით. ბერა, ყოველთვის ისე მიყურებდა, როგორც პატარა დას. ამჩნევდა ჩემს ნიჭს, სჯეროდა ჩემი შესაძლებლობების და ცდილობდა, დამხმარებოდა. არც კი გავბრაზებულვარ ამ ჭორზე, იუმორით შევხედე.

**– დღესაც მეგობრებად დარჩით?**

– დღეს ბერა ამერიკაშია, იქ აგრძელებს თავის კარიერას და აღარ ვკონტაქტობთ. თუმცა, მისი წარმატებები მეც მიხარია და დარწმუნებული ვარ, მასაც – ჩემი. ერთი წელია, ის იქ არის და სოციალური ქსელითა და ტელეფონით არ ვკონტაქტობთ.

**– ანუ, ბერას ამერიკაში წასვლით, თქვენი მეგობრობაც დასრულდა?**

– არა, რატომ? უბრალოდ, ძალიან ახლო მეგობრები არ ვყოფილვართ, სტუდიაში ვხვდებოდით ერთმანეთს და პროექტ „ერთი ერთში". როცა ვნახავ, ზუსტად ვიცი, ისევ ისე, მეგობრულად და დიდი სიყვარულით შევხვდებით ერთმანეთს. ახლა ისიც დაკავებულია და მეც. დილით ათ საათზე რომ გავდივარ სახლიდან, ღამით გვიან ვბრუნდები. სულ მოძრაობაში და ტემპში ვარ. არ ვაძლევ თავს მოდუნების უფლებას. მიყვარს გადატვირთული დღეები.

**ნონა დათეშიძე**



**როგორ ცვლის აღმოსავლური ცეკვები ძვირად ღირებულ ვიბრომასაჟორებს და როგორ აუმჯობესებს ის ქალის ინტიმურ ურთიერთობას საპირისპირო სქესთან**

გვ. 82



**როგორ აპირებს ხმის ამოუღებლად ხალხის გაოცებას ნუცა ბუზალაძე და რაში ჰბაძავდა ის ბავშვობაში ბიონსესა და შაკირას**

გვ. 87



გვ. 79

**ვინ მოხატა და მორთო გულებითა და ამურებით კაკო ვაშალომიძის ქალიშვილის ავტომანქანა და რა შეთავაზება მიიღო მან რუსული „ფლეიბოისგან“**


ISSN 1987-569X
9771987569002

საქართველო ბეჭედია ბაჯაღლო და თბილისი ჩასმული ბადახში

# თბილისელები®

ყოველკვირეული ჟურნალი * გამოდის ორშაბათობით * 22 – 28 სექტემბერი №38 (717) * ფასი 1,50 ლარი

www.tbiliselebi.ge